E S C A L A D E

სადღესასწაულოდ მორთულ მდიდარსა და ძალზე ახმაურებულ კაფეში ვიჯექი, მაგრამ მაინც მოწყენილი ვიყავი. ჩემს გარშემო საზეიმო მხიარულება სუფევდა, თამამი, შეუკავებელი და გიჟური... ჩემში კი მძიმე დუმილი ფუსფუსებდა, შავფიქრიანი და გულჩათხრობილი.

ნაირად მორთული ახალგაზრდობის ფაფარ-აყრილი ტალღა როკვითა და ყიჟინით შემოდიოდა კაფეკში, ცეკვავდა, ბუქნაობდა, სვამდა და შემდეგ ქუჩაშივე გარბოდა აღტყინებული, რომ საერთო ფერხულში ჩაბმულიყო და ხალხის აზვირთებულ მდინარეს შემატებოდა...

ხოლო მე მაინც ჩემი რამ სევდა მიღიტინებდა გულში და გამოურკვეველი სულიერი განწყობილების ნემსი გულის მიმღებელ თანდათანობით მიჩხვლეტავდა სულს. უცხო იყო იქ ჩემთვის ყოველი, როგორც ყაიდა ქეიფისა და მოლხენის, ისე საერთო წესი დღესასწაულისა. უცხონი იყვნენ იქ ჩემთვის როგორც უნიღბო, ისე ნიღბიანი სახეები... და შუბლშეკრული ნაღვლიანად ვიყავი მიჩქმალული გაბრწყინვებული კაფეს მივარდნილ კუთხეში...

... უკანასკნელი ღამე იწყებოდა სამ დღე-ღამიანი ეროვნული უქმისა, რომელსაც ყოველ წელს დიდი ზეიმით აღნიშნავს ხოლმე პატარა რესპუბლიკა მშვენიერი ჟენევის კანტონისა, მესამე და უკანასკნელი ღამე ნიღბოსანი «Eescalade »-ისა.

დიდსა თუ პატარას, კაცსა თუ ქალს, ყველას განსაკუთრებით მოელხინა ამ საღამოს, როგორც ქუჩებში, ისე კაფეში ტევა არ იყო.

.

ჩემს გვერდით კაფეში უცნაურ ჯგუფს მოეკალათნა. ათამდის იქნებოდნენ. ხმის კილოზე ვამჩნევდი, რომ ქალებიც ერივნენ. ყველას ნიღაბი ჰქონდა სახეზე აკრული. ფანტასტიურად იყვნენ მორთულნი. ყვიროდნენ, სტვენდნენ, სვამდნენ და სადღეგრძელოებს ამბობდნენ.

- მე ვსვამ, _ ამბობდა ვაჟთაგანი, _ ჩვენი წინაპრებისათვის, რომლებმაც უკუაქციეს ჩვენს ტურფა სამშობლოზე გამოლაშქრებული მტერი!.. დავლიოთ თავისუფლებისა და

გამარჯვებისათვის!

- მე კი ვსვამ სიყვარულისათვის! _ კრიალა ხმით გამოაცხადა ქალთაგანმა. _ სიყვარულისათვის და სხვა არაფრისათვის!

- რომელი სიყვარულისათვის, ჩემო პატარავ? კაცური სიყვარულისათვის, რომელმაც იესოს ჯვარცმა მოგვცა, თუ ქალურისათვის, რომელმაც შენ გუშინ rendez-vous-ზე ორ საათს გაყურყუტა? _ ხუმრობით მიმართა ქალს მეზობელმა ვაჟმა, მოხდენილი სიმარდით მოხვია ხელი და მუხლზე დაისვა. _ რომელი სიყვარულისათვის, ჩემო ჩიტუნავ?

- იმ სიყვარულისათვის, რომელიც ოთხ საათს მაყურყუტებს rendez-vous-ზე, ჩემო რაინდო! _ მიეხმატკბილა ქალი და გულში ჩაეკრა.
- ხუმრობა იქით იყოს! ამაოება ყოველი, გარდა ღვინისა!.. დავლიოთ სმისათვის, მეგობრებო! _ თქვა რომელიღაცამ.

- მე ვსვამ მხოლოდ სიყვარულისათვის! _ უფრო ბეჯითად წარმოსთქვა ვაჟის გულში ჩახუტებულმა ქალმა.

- რომელი სიყვარულისათვის, ჩემო გაპენტილო ბამბავ? იმ სიყვარულისათვის, რომელიც სიბრძნის წყაროა, თუ?..

- რომელიც rendez-vous -ზე რვა საათს მაყურყუტებს, ჩემო კლდე-რაინდო!

- ეჰ, თავი მოგვაბეზრა ამ სიყვარულისაგან! ვსვამ სიცოცხლისათვის!... იგი მეუფეა სიყვარულისა! _ ადგა და განაცხადა ქალთაგანმა.

- თუ მაგრეა, ვსვამ სიკვდილისათვის, რომელიც უფალია თვით სიცოცხლისა! _ გაეჯიბრა ქალს ვაჟთაგანი.

- მე მაინც ვსვამ სიყვარულისათვის! _ კვლავ დაჟინებით ჩაარაკრაკა ამის პირველმა მთქმელმა.

- რომელი სიყვარ... _ დაიწყო ისევ მისმა რაინდმა. მაგრამ ამ დროს ერთმა წითელ-ყვითელი ფერით შემოსილმა შავნიღბიანმა ქალმა დაჰკრა სუფრას ხელი და დაიკივლა:

- სმენა! სიტყვა ჩემია!... გაავსეთ ჭიქები!.. გული სფინქსის ბრჭყალებმა ჩამომკაწრეს და უცნაურობა რამ საწამლავივით შემესხა სისხლში! ეს სიყვარული როდია! არც სიკვდილია იგი!

- ისევ და ისევ სიყვარულისათვის! _ ჩაურთო თავისი ვაჟის მუხლზე მჯდომარე

ქალმა.

- რომელი სიყვარულისათვის? _ გადააბა მის სიტყვას მისმა რაინდმა.

- ალბათ, იმ სიყვარულისათვის, _ დაცინვით უპასუხა წითელყვითელმა შავმა ნიღაბმა, _ რომელიც ჩვენს მეგობარს თექვსმეტ საათს აყურყუტებს rendez-vous -ზე!

- დიახაც, დიახაც! _ დაუდასტურა სიყვარულის მოტრფილე ნიღაბმა. _ თექვსმეტი რაა? ოცდათორმეტ საათს!!!

- ეს ერთნაირი «escalade»-ია, ჩემო კარგო! ამ მხრით მისაღებია შენი სიტყვამახვილობა!.. სიტყვა გამაწყვეტინეთ... მე ვთქვი, რომ სფინქსმა დამბრჭყალა-მეთქი და საწამლავი რამ უცნაური სისხლში შემესხა-მეთქი... მეგონა, რომ იგი სიყვარული არ იყო. ახლა კი ვგრძნობ, რომ სიყვარულია! მეგობრებო! შეყვარებული უნდა ვიყო!

- ვაშა, ვაშა!

- ვაშა, თუ სიყვარული კიდევ არ მოგვჭარბებია!

- ასე თუ ისე, მე ვსვამ სადღეგრძელოს... დიახ... სმენა! ვსვამ სადღეგრძელოს იმ ყმაწვილისას, რომელის ჩვენს გვერდივ ზის, მაგრამ ჩვენთან არ არის!.. მე მომწონს მისი ნიღაბი და თავდაჭერილობა არტისტული! უცხოელსა ჰგავს, მაგრამ ამას ის იგონებს! შეყვარებულსა ჰგავს, მაგრამ არცოდეს ყოფილა შეყვარებული!.. შეუბრალებელსა ჰგავს, მაგრამ ტყუილია!... არისტოკრატსა ჰგავს, მაგრამ დემოკრატია!.. სწავლულსა ჰგავს, მაგრამ ამასაც იგონებს... კაცსა ჰგავს, მაგრამ...

- ხა-ხა-ხა!.. ხა-ხა-ხა!.. მაგრამ რა არის? _ ერთხმად გადიხარხარა ყველამ.

- მაგრამ სფინქსია! _ ბრძანების კილოთი თქვა წითელ-ყვითლიანმა. _ მაშ გაუმარჯოს უცნობს! ჩვენს მეზობელ უცნობს, რომელსაც საკუთარი სახე ასე მოხდენილად ნიღაბად აუფარებია! _ ამ სიტყვებით სწრაფად მოშორდა თავის ადგილს ამ უცნაური სადღეგრძელოს ავტორი და მაღლა ამართული სავსე ჭიქით ჩემსკენ წამოვიდა.

ახმაურდნენ დანარჩენები, წამოცვივდნენ ფეხზე.

- გაუმარჯოს უცნობს! _ დასძახეს და ჩემს სუფრას გარს შემოეხვივნენ.

რაღა დამრჩენოდა, უნდა გამეცა პასუხი. სავსე ჭიქით მივეგებე უცხო სახეებს და მადლობა მოვახსენე.

- მოხარული ვარ, _ მივმართე წითელ-ყვითელიანს, _ რომ ჩემი ნიღაბი მოგწონებიათ! ჩემდა სამწუხაროდ, მის არჩევანში მონაწილეობა არ მიმიღია... შემიძლია დაგარწმუნოთ, ჩემგან რომ ყოფილიყო დამოკიდებული, სხვანაირს ავირჩევდი!... მაგრამ... ჩემი ნიღაბის ისტორია ცოტა გრძელია და არ მინდა თავი მოგაწყინოთ!.. გთხოვთ დაბრძანდეთ... ბედნიერი ვარ... ჰეი, მოგვიტანეთ შამპანური!

- ჰო, ჰო... რა თავაზიანი ყოფილა! ნეტავი მართლა უცხოელია, თუ კილოც მოგონილი აქვს?.. თქვენი ვინაობა, ბატონო?

ამის საპასუხოდ ამოვიღე ჩემი სადარბაზო ბარათი და გადავეცი. რამდენიმე თავი შეჯგუფდა ბარათის წასაკითხავად.

- ბარათზე არაფერი რომ არ სწერია? _ ერთხმად წამოიყვირეს.

- შეგშლიათ, უცნობო!.. აქ თქვენი ვინაობა არ არის აღნიშნული! _ ახმაურდნენ.

- ეს არის ჩემი სადარბაზო ბარათი, ბატონებო! _ ვუპასუხე.

- უცნაურია, საკვირველია!

- ახირებულზე უახირებულესია!

- მე კი მშვენივრად ვკითხულობ ამ ბარათზე უცნობის ვინაობას! ახლა მისი სახელიც ვიცი, გვარიცა და ეროვნებაც! _ მტკიცედ განაცხადა წითელ-ყვითელიანმა.

- მისტიური რაღაც ამბავია!

- შენი ხელი, მეგობარო! _ ხელი გამომიწოდა შავ ნიღბიანმა ქალმა. _ მე და შენ ტყუპები ვართ! ჩემი ვინაობაც მაგ ბარათზეა აღნიშნული!.. ჩემთან! _ ამ სიტყვებით დამატანა ხელი და თვალის დახამხამებაში კაფედან გარეთ გამაქანა.

.

საოცარი და უცნაური იყო ქუჩა. ჰაერში ყიჟინა და აღტყინების სუნი ტრიალებდა.

მთელი ქალაქი გაკუდიანებულიყო. ჭინკებს გიჟური ფერხული გაემართათ.

- ეს თუ სინამდვილეა, წარმოდგენა რა უნდა იყოს? _ ვკითხე ჩემს თანამგზავრს, რომელიც ჭინკასებრ გაჰკიოდა და სულ წინ მეზიდებოდა.

- ყოველი სინამდვილე წარმოდგენაა და ყოველი წარმოდგენა სინამდვილე, მეგობარო! _ მიპასუხა ნელი ხმით და შემდეგ უცებ შესდგა და რაც ღონე ქონდა ქუჩის გასაგონად დაიყვირა:

- ჰეი, ისმინეთ! აზრისა და ფიქრის ბორბალი ამ ღამეს შეჩერებულია! ამ ერთ ღამეს მაინც ბედნიერია ჩვენი ქალაქი! ბრუნავს მხოლოდ ერთადერთი ბორბალი სიგიჟისა, რომელსაც უძველესი ღვთაების მთვარის შუქი აბრუნებს! კურთხეულ იყოს იგი!! _ ჩვენს გარშემო კუდიანები და რქიანები შეგროვდნენ.

- კურთხეულ იყოს, კურთხეულ იყოს! _ გაიმეორეს.

- დიახ, ბრუნავს მხოლოდ ბორბალი სიგიჟისა!.. აი, როგორ! აი ასე!

დაიჩხავლეს და მყისვე შეჰკრეს ფერხული. დატრიალდა წრე გიჟური სისწრაფით.

მე და ჩემი მეგობარიც ფერხულში ჩავებით.

არ გასულა ხუთი წამიც, რომ გაისმა ჩემი მეგობრის:

- შესდექით!.. მინდა ვიცეკვო ამღამინდელი ცეკვა!

- ვაშა! ვაშა! _ მოეწონათ. _ უკუდო კუდიანს ცეკვა უნდა! გაიშალენით!

გაქანდა ჩემი მეგობარი და ფერხულის რგოლის შუა ჩადგა.

- დაჰკარით საცეკვაო!

ატყდა სტვენა, კივილ-წივილი.

საიდგანღაც დოლის ხმა გაისმა.

უცებ მოსწყდა მის ადგილს წითელ-ყვითელიანი შავი ნიღაბი და, თითქო ქარს შეესვას ფრთებზე, ზეაფრინდა, მაღლა ჰაერში შეტრიალ-შემოტრიალდა. ვერ მოვასწარი გაკვირვება, რომ იქვე მდგარ ხის ტოტს წაატანა ხელი და ტანის უცები მაღლა შესროლით ზე მოექცა მეორე ტოტს.

- ჰაუ, _ დაიკივლა და მესამე ტოტზე გადავიდა. მესამედან მეოთხეზე და ხის წვერზე მოექცა.

- ნამდვილი კუდიანი! ნამდვილი კუდიანი! _ დაიგრიალა ხალხმა, _ დაიჭირე, ვინც ვაჟკაცი ხარ!

- დიახაც დამიჭირეთ, თუ ვაჟკაცები ხართ! მისი ვიქნები, ვინც პირველი ამოვა ხეზე და დამიჭერს!.. დეე, გაიმართოს Escalade!.. Escalade!

- ჰოო... ნამდვილი Escalade! აი, ნამდვილი Escalade! ყოჩაღ, ქალო, ყოჩაღ!

- Escalade! Escalade! _ მოისმოდა ხიდან ვნებიანი მთვრალი ხმა ჩემი უცნობი მეგობრისა. _ მე ვარ შუქი მთვარისა, ასული მისი!.. მე ვატრიალებ ბორბალს ამღამინდელ სიგიჟისას! Escalade, Escalade!..

რა მეგობარი ვიქნებოდი უცნობისა, თუ პირველი არ ავიდოდი ხეზე!..

გავიხსენე ჭაბუკური... ქართველური ქარის სარტყელი შემოვირტყი და ევროპელთ გადავაბიჯე...

ხეზე რომ აველი, მიმოვიხედე და თვალი მოვკარი, რომ ჩემი უცნაური მეგობარი სულ მაღლა ასულიყო და საკვირველად ჩამოკიდებულიყო ხის წვერის უკანასკნელ სუსტ ტოტზე.

«მართლა კუდიანი არ იყოს-მეთქი», გავიფიქრე და შევდექი. ცხადი იყო, რომ ის ტოტი, რომელზედაც უნდა ავსულიყავი, არ დამიმაგრებია.

ვუხმე მეგობარს.

პასუხად ზედ ყურთან მომესმა ჩურჩული:

- ეს ხომ შენა ხარ, მეგობარო? ყოჩაღ... მოგელოდი კიდევაც... ჩუმად იყავ! ისეთი აზრი მომივიდა, რომ პირდაპირ საუცხოვოა! წამოდი აქეთ! მომყევი, არ შეგეშინდეს!

- მოითმინე... ხმა ჩემი მეგობრის მესმის, მაგრამ ჩემს წინ კი სხვა დგას! ვისაც ვეძებ, აი, იმ ტოტზე ჰკიდია!..

- არა! ის მე არ ვარ! ღმერთო ჩემო, რა სასაცილოა, მართლა! იმ ტოტზე ჩემი შავი ნიღაბი და წითელ-ყვითელიანი მოსასხამი ჰკიდია მხოლოდ!.. ეს ჩემი იდეაა!.. დამაცადე ახლა!.. დეე, ხალხი მას მიაწყდეს! ჩვენ კი გავიპაროთ და სეირს ვუცქიროთ ქვევიდან! სუ... ჩუმად!.. ჩქარა მომყევი, სანამ ამოვიდოდნენ!

ამ სიტყვებით გაჰყვა ქალი ტოტს.

- Escalade! Escalade! _ დაიკივლა კიდევ რამდენიმეჯერ და კატის სიმარდით დაეშვა ძირს ტოტიდან.

მეც მივბაძე მის მაგალითს.

აუარებელი ხალხი ირეოდა ხის ძირში. ყველა ისე იყო ჯიბრით გატაცებული, რომ ვერავინ ვერ შეგვნიშნა.

ყვიროდნენ:

- Escalade! ჩქარა! Escalade!

ვინ ხეზე ადიოდა, ვინ ზურგზე ისვამდა ამხანაგს და ეხმარებოდა...

დიდი ხმაურობა იყო... ჩოჩქოლი...

მე და ჩემი მეგობარი ახლა შორი-ახლო დავდექით.

- აი, ჩემი იდეა! ხომ კარგია! შეხედე, რა ამბავია? თითქო ხეზე მართლა ვინმე იყოს! ხა-ხა-ხა! რა სულელია ხალხი. ნახავ, თუ ჩხუბიც არ მოუვიდესთ!..

ხის ძირში აურზაური იზრდებოდა. აქა-იქ გაისმოდა გინებაც. ბევრი ასულიყო კიდეც ხეზე, ტოტებს ლაწა-ლუწი გაჰქონდა.

- Escalade! Escalade! _ გმინავდა ახლა მთელი ქალაქი.

- ადით ჩქარა! არ ჩამორჩეთ!

- მომეცი ხელი!

- მომეშველე!

- ჰე, ჩამოვარდა!

- სისხლი!

- ექიმი!

ჰაუუუ!

ნამდვილი აჯანყება ატეხილიყო. ნამდვილი ბრძოლა გამართულიყო.

- ხა-ხა-ხა! მეგობარო, არ გეცინება? როგორ მოგწონს ჩემი იდეა? არ გაგონებს, განა ეს სურათი თვით კაცობრიობას, მის ბრძოლას, მის ცხოვრებას? რა კარგია! განა ასე ტყუილად არ იბრძვის კაცობრიობა? განა ასე თავდავიწყებით არ ეპოტინება რაღაც იდეალს, რომელიც ბოლოს და ბოლოს ისეთივე სისულელეა, როგორც ხეზე ჩამოკიდებული ჩემი ნიღაბი და წითელ-ყვითელიანი მოსასხამი!.. ჰაჰა... მიდი, ჰო... Escalade! Escalade!.. აჰა, ვინ იგდებს ხელთ მშვენიერ ქალს! ვინ ხართ მამაცი? ვინ ხართ პირველი?!

საშინლად დამცინავი ხმა ჰქონდა ჩემს მეგობარს. შევხედე: ჩვეულებრივი ქალი იდგა ჩემს გვერდით. არც ლამაზი, არც ულამაზო. მოკლე კაბიანი და მოკლე თმიანი, მაგრამ კოხტა და მოხდენილი, როგორც ფრანგის ქალი.

- ხა-ხა-ხა! _ გულიანად იცინოდა იგი და მთელი ყურადღება ბრბოსაკენ ჰქონდა მიქცეული. _ მიხვედით? ჩამოიყვანეთ? ხა-ხა-ხა!.. ვინ ხარ პირველი? ხა-ხა!

- პირველი მე ვიყავი, მეგობარო დაგავიწყდა?

- ჰო, მართლა! კი, შენ იყავი. ხა-ხა-ხა! _ მომიბრუნდა და ისე მითხრა რაღაც სხვანაირი სიცილით. _ კი, შენ იყავი, მაგრამ... ხა-ხა-ხა, მეშინია, რომ... გითხრა!

ვიგრძენი, რომ დამცინოდა უცნაური ნაცნობი.

- მაგრამ... მე ხომ არ მოვტყუებულვარ, მეგობარო?

- ვაიმე, რომ კი! ხა-ხა-ხა! მეც იგივე ვარ, რაც ჩემი ნიღაბი ხეზე! _ მითხრა და თვალის დახამხამებაში გაჰქრა ქალი! ათასნაირ ჭინკებსა და კუდიანებში გაერია!

სახტად დავრჩი.

... ისევ კაფეში ვიჯექი.

მთვრალი კაფე უკანასკნელ ჭიქას სცლიდა.

ქუჩიდან კიდევ მოისმოდა:

- “Escalade”, “Escalade!”

არ ნელდებოდა სტვენა, ყიჟინა და ყვირილი!...

- ჰო, ეს ბებერი ევროპა! _ ვამბობ ჩემთვის _ რომ არ ცხრება!

<u>რაც იყო და არ იყო</u>

ამ მოთხრობის პატარა გმირმა ბევრი რამ არ იცოდა.

მისთვის საუბედურო შეიქმნა უმთავრესად ის, რომ მან არ იცოდა, რაც ხდებოდა მის გარშემო ამ ომისა და რევოლუციის დროს.

მას ეგონა, რომ ყველაფერი მართლა იყო, რაც იყო, და არ იყო ის, რაც არ უნდა ყოფილიყო!

საწყალი ბიჭი!

მაგრამ მას ბევრი რამ ეპატიჟება: ის ისე მოჰკვდა კიდევაც, რომ რ იცოდა, რისთვის კვდებოდა.

საინტერესოა ეს ისტორია.

ეს ვაჟი მეოცნებე იყო და ერთ დიდ ქალაქში ცხოვრობდა. მას უცნობი ქალი უყვარდა, და სიყვარულს ისე დაებრმავებინა, რომ ვერც კი ამჩნევდა, რომ ქვეყანაზე ომი მძვინვარებდა.

უთუოდ უცნაური იყო ეს ვაჟი. _ ბედნიერად მოჰქონდა თავი და ყოველთვის უმანკო, ბავშვური ღიმილით იღიმებოდა.

მთელ ქალაქში ისე უმანკოდ აღარავინ იღიმებოდა, როგორც ეს ვაჟი და მის გარდა იმ ჟამად აღარავინ ფიქრობდა ბედნიერებაზე.

დაინახავდნენ თუ არა ქუჩაში, ხალხი ერთი ამბით დაედევნებოდა ვაჟს.

- აი, მოდის ვიღაცა, რომელიც იღიმის. ეტყობა, ბედნიერია! შეხედეთ, ბედნიერები კიდევ ყოფილან ქვეყანაზე!

მაგრამ არავინ კი არ იცოდა, ვინ იყო ეს ვაჟი. ისიც ყოველთვის მარტო დასეირნობდა ქუჩებში და ყურადღებას არავის აქცევდა. მუდამ სატრფოს დაეძებდა, მასზე ფიქრობდა და მისთვის იღიმებოდა.

იგი სატრფოსაც არ იცნობდა, არც სახელი იცოდა მისი. მაგრამ თინას კი ეძახდა გულში და დარწმუნებული იყო, რომ ეს სახელი ერქვა სატრფოს, როგორც მას _ მისი საკუთარი.

ყოველდღეს შეხვდებოდა ვაჟი სატრფოს. შეხვდებოდა, გაუღიმებდა, და გაივლიდა.

ქალიც არ იცნობდა ვაჟს, მაგრამ ღიმილზე ყოველთვის ღიმილითვე უპასუხებდა.

ხანდახან შორი-შორიდან თვალს გააყოლებდა ვაჟი თინას და ასე სახლამდის მიაცილებდა. მერე კიდევ დიდხანს დადიოდა ქუჩაში და ხან ხმამაღლა, ხან კი ჩუმად სატრფოსა და სიყვარულზე ოცნებობდა...

ასე ხდებოდა მაშინ, როცა დიდი ომი იყო დ შერყეუო ქვეყნიერებას რევოლუცია სასწაულს უმზადებდა.

და აი, ერთ დღეს ქალაქის მცხოვრებლებმა შენიშნეს, რომ ვაჟი ქუჩაში არ გამოჩნდა. არ გამოჩნდა იგი მეორე, მესამე დღესაც. მერეც არ გამჩენილა.

შეწუხდნენ ყველანი, რადგანაც ახსოვდათ ვაჟის უმანკო ღიმილი და კვლავ მისი ხილვა ენატრებოდათ.

- ალბათ, დაიღუპაო, _ იფიქრეს ბოლოს და ამით გაათავეს, რადგანაც ჩვეულებრივი იყო მაშინ დაღუპვა. მაგრამ ამავე დროს ისეთი ამბავი დატრიალდა ქალაქში, რომ გაკვირვებას გადაჩვეულებიც კი გააოცა.

სწორედ ვაჟის გაქრობის დღეს, ქალაქში მოულოდნელი ზედაწყვეტა შეიქმნა: დიდი და პატარა ფეხზე დადგა, და საშინელი წყრომის ზუზუნი გაისმა კიდით-კიდემდე.

ზედაწყვეტა ქალაქის სასაფლაოსთან ჩამავალ ქუჩაში დაიწყო და რამდენსამე წამში ხანძარივით მთელ ქალაქს მოედვა.

ამის მიზეზი ის იყო, რომ ქალაქში ვიღაცა უცნობი გამოჩნდა შეუწყნარებელი შესახედაობისა და შეჰლახა ხალხის უკანასკნელი სასოება. ამ უცნობს სახეზე გაშიშვლებული საშინელება გამოხატოდა და დაურიდებლად გამოემჟღავნებინა ისეთი შიში ცხოვრებისადმი, რომელიც უთუოდ დაფარულად უნდა ეგრძნო.

ხალხმა ეს ვერ მოითმინა. შეიპყრო უცნობი, გაიყვანა ქალაქგარეთ და ჩაქოლა.

მოხდენილმა კვლევა-ძიებამ ჩაქოლილის ვინაობა გამოარკვია. _ ის მეოცნებე ვაჟი აღმოჩნდა, რომელიც ქუჩაში დადიოდა მარტო და ყოველთვის უმანკო ბავშვური ღიმილით იღიმებოდა.

ვაჟის ჩაქოლვას წინ უსწრებდა ერთი ღამის ფანტასტიური ამბავი.

დანამდვილებით არავინ იცოდა, რა მოხდა იმ ღამეს. არც ის იცოდნენ დანამდილებით, მართლა მოხდა რამე თუ არა.

ასეც ხშირად ხდებოდა.

სრულიად მოულოდნელად იმ ღამეს ომის ხაზი მოუახლოვდა ქალაქს, სადაც მეოცნებე ვაჟი სცხოვრობდა. აქუხდნენ საომარი იარაღები და მალე რომელიღაც მეომარი ჯარიც ქალაქში შემოვიდა.

რა დატრიალდა ღამის განმავლობაში, ეს არავინ იცის. ხოლო დილა რომ გათენდა, ყველაფერი ისე იყო, როგორც წინადღეს. ბევრს ეჭვიც კი დაებადა, რომ ომის ხაზი ქალაქს დაახლოვებოდა.

მაგრამ ის ღამე მაინც საბედისწერო შეიქმნა მეოცნებე ვაჟისათვის.

იმავე ღამეს იგი ნაცნობ ბინისაკენ გაიჭრა, რომ სატრფოს რაიმე უბედურება არ შემთხვეოდა.

გზაზე არავინ შეხვეკდრია. სიცარელე იყო და სიწყნარე.

ნეტავი, ვინ თქვა ომი იყოო.

რომ არ ჰგავს?

ეს გაუხარდა.

სატრფოს სახლთან რომ მივიდა, გაოცებული შესდგა მოშორებით. ვერ იცნო

იქაურობა. მოჩვენებად წარმოუდგა.

სინათლის ზღვა კიაფობდა როგორც სახლის გარეთ, ისე შიგნითაც. წამდაუწუმ მოდიოდნენ ავტომობილები, მოარული მანქანები და კიდევ რაღაუ მანქანები.

შესავალთან ხალხი ირეოდა. შედიოდნენ, გამოდიოდნენ.

სახლიც ზღაპრულ ქარვასლას დამსგავსებოდა.

სად მოვხვდიო, გაიფიქრა ვაჟმა. მოსაფშვნეტად ხელი თვალთან მიიტანა, მაგრამ უცებ ჩაჰქრა სინათლე. მერე შეინძრა ყველაფერი არახრახებით და ყველაფერი გაჰქრა.

ვაჟი სატრფოს ნაცნობ სახლთან იდგა.

მოეწონა, რომ ღამე ასეთი უცნაური იდგა.

მერე საყვარელი ფანჯრები შეათვალიერა. ერთ მათგანზე შეაჩერა თვალი.

დარაბები დახურული იყო. სინათლე ჩამქრალი.

- ძილი ნებისა! _ ალერსით უსურვა სატრფოს და ფეხაკრეფით უკან დაბრუნდა.

ამას წინად მოჩვენებულის წარმოდგენაზე თავი გაიბერტყა. კოშმარად ჩასთვალა და თავიდან მოიშორა.

მეორე დღეს ქაჩაში გამოვიდა. ჩვეულებრივად იღიმებოდა. მაინც იჭვით შეათვალიერა ქალაქი. _ უეჭველია, ყველაფერი მოჩვენება იყო, რაც წინაღამეს მოხდა.

მაინც წავიდა სატრფოს ბინისაკენ.

ანაზდეულად გზაზე სამგლოვიარო პროცესიას წააწყდა: ვიღაცას სასაფლაოსკენ მიასვენებდნენ; სულ ათიოდე ქალი და კაცი მიჰყვებოდა ღარებად მორთულ კუბოს.

არც მუსიკა, არც გალობა, არც ერთი გვირგვინი. საწყალი.

კუბო თავახდილი იყო.

ვაჟი გაერია პროცესიაში, თუმცა ყველანი უცნობები იყვნენ. მალე დაუახლოვდა კუბოს და შიგ ჩაიხედა.

კუბოში მისი სატრფო ესვენა.

უცებ _ ვიდრე გონებით დაადასტურებდა ნახულს _ მთელმა ღამემ გაურბინა თავში. მერე:

- მაშ, რა ყოფილა ომი და თინაც მოუკლავსთ.

ჭირისუფლებში ჩადგა და ასე განაგრძო გზა.

და აი, უკანასკნელად ეთხოვებოდა იგი საფლავზე სატრფოს.

მდაბლად თავდახრილი მიუახლოვდა კუბოს.

- ესაა! _ დაიწყო და დადუმდა.

მაშინ ვიღაცა მიუახლოვდა და თავაზიანად შენიშნა, რომ ის იღიმოდა და ეს უადგილო იყო.

ვაჟმა თავი ასწია და მიმოიხედა.

- მაშ მოჰკლეს!.. ასე მოჰკლეს ჩემი თინა! _ წარმოსთქვა ხმამაღლა.

მიცვალებულების ჭირისუფლებში ჩოჩქოლი ატყდა. რამდენიმე კაცი მივიდა ვაჟთან. მოჰკიდეს ხელი და კუბოს მოაშორეს.

უთხრეს, რომ შეცდომით იყო აქ მოსული. მიცვალებული ესა და ეს ქალიაო. დაუსახელეს უცნობის სახელი. არავის მოუკლავს. თვითონ მოკვდაო.

მაშინ უცებ ჩამოეხსნა ღიმილი ვაჟს. ხოლო ღიმილის ქვეშ ისეთი საშინელი გამომეტყველება დაუნახავს, რომ მყისვე შიშისაგან გაეცალნენ.

ამის შემდეგ მოშორდა იქაურობას ვაჟი და მიიმალა.

თვალი გააყოლეს, შენიშნეს, რომ მიმავალს გაოცებით გზას უთმობდენ.

ცოტა ხანი და მახლობელ ქუჩაში ხმაურობა ატყდა. მერე უზომო წყრომის გამომხატველი ყვირილი და მალე ზედაწყვეტაც შეიქნა.

- შეიპყარით, ჩაჰქოლეთ! არ გვინდა! _ გაისმა გუგუნივით.

რით გათავდა, ეს ზემოთ არის ნათქვამი.

<u>ს ი ს ხ ლ ი</u>

ნაწილი პირველი

I

კოხტად ჩაცმული შავგვრემანი ბიჭი მინდვრის კუთხეში დგას, იელის ბუჩქნართან, და შეშფოთებული სახით გასცქერის გზას, რომელიც ბუჩქნარით მინდორზე გამოდის.

სახეზე ეტყობა პატარაა. ტრიალი. მხოლოდ გზის მხრით თავყვითელა იელის

რამდენიმე ბუჩქი შეჰქოჩრებია და იქვე ობლად მიჩქმალულა თეძოებშემხმარი მაჟალოს ერთადერთი ხე.

შავგვრემანი ბიჭი ისე დგას, თითქოს ამ ხეს ამოფარებიაო.

მოკლე ჩოხა აცვია. წელი წერწეტა აქვს და ბეჭები განიერი. რქის ტარიანი უბრალო ქამარი არტყია, და თავი თეთრი ყაბალახით აქვს წაკრული.

დილის მზეზე ნაფერი ფოლადივით უციალებს უწვერულვაშო პირისახე, რომელიც შინაგანი ფორიაქის კვლებს დაუსერავს. იგი ისეთი გამომეტყველებით გასცქერის გზას, თითქოს ამოწვდილი მოელვარე სატევარი იყოს.

თრთოლავს.

მოლოდინად არის გადაქცეული.

...

მოიწია თუ არა განთიადმა, ეს ბიჭიც აქ გაჩნდა, თითქოს ხის ტოტზე მჯდარიყო და ღამე ასე გაეთენებინოს. მოვიდა, დადგა და ამდენი ხანია, ფეხი ადგილიდან არ მოუცვლია, თვალი გზისათვის არ მოუცილებია.

ნისლიანი იყო რიჟრაჟი, და ბიჭი აჩრდილსა ჰგავდა. მაჟალოზე შეხიზნული ჩიტები დააფრთხო. როცა გათენდა, შეუბრალებელი თვალებით გაჰხედა მიდამოს, თითქოს შეუტიაო ბავშვობიდან თანაშეზრდილ არემარეს:

- მოღალატევ! _ და ხანჯალზე ხელი წაივლო.

მერე მზეც ამოვიდა. სარულით გასჭრა ლაჟვარდის სიღრმე და მხარულის დაკვრით გაჰყვა თავის გზას.

- ჰო, დღეა, უკვე დიდი დღე, და შავგვრემან ბიჭს კი ლოდინი არ უმართლებდა.

ჰო, რა საშინელია, როცა იცი, რომ ამაოა სულისკვეთება!

მაგრამ, დეე, ნუ მოვა!

ვიდრემდის ვითონ დედამიწა ფეხებიდან არ გამოეცლება, ის თავად იმ ადგილს არ მოშორდება.

ასე ფიქრობს და ხმას არ იღებს, რადგანაც გრძნობს, რომ ხმა არ აქვს, და სიტყვა პირიდან არ ამოუვა.

ხმის ნაცვლად ქარქაშიდან ხანჯალი ამოსწია და ისევ ჩარტყმით ჩააგო.

სახე ბრაზის ელვამ გადაუწვა, თვალებში ცეცხლის ალი ჩაუდგა.

იგი არც შეფიქრდება, ისე დაჰკლავს ყველას, ვინც არამზადაა და ამ ქვეყნად სიცოცხლეს სწამლავს.

ჰოო, როგორ შესცდა, რომ ეს არ შეასრულა, როცა ამის საშულება ჰქონდა.

ახლა რა დროსია!

აი, ვარდომაც როგორ უღალატა!

...

ეს მოხდა ათ დღეში. ათი დღე რა დიდი დროა მაინცდამაინც, რომ ადამიანის ბედის ასე სასტიკად შეცვლა შეეძლოს?

სახლში არ იყო ათი დღე. მხოლოდ გუშინ საღამოს დაბრუნდა ანაკლიიდან, სადაც სწორედ ათი დღის წინად ურემი გარეკა თხილით დატვირთული. ივაჭრა. დააგვიანდა, მაგრამ დაბრუნდა მოგებული, გახარებული. ვარდოს უცხო საჩუქარი ჩამოუტანა, სოფელში რომ არავის უნახავს ისეთი: თურქმა მიჰყიდა საიდუმლოდ.

სახლამდის რომ მოაწია, შემოაღამდა. ღიღინით შემოჰყვა სოფლის შუკას. ვარდოს სახლთან უნდა გამოევლო. აქ ხმა ასწია და შეუკრიმანჭულა. ნათქვამი ჰქონდა სატრფოსათვის, რომ მშვიდობით დაბრუნებას კრიმანჭულით აცნობებდა. ეს კიდევ იმის ნიშანი იყო, რომ ვარდო დილით ადრე მინდორზე, ბუჩქნართან უნდა გამოსულიყო.

კარგად დაინახა, რომ ვარდოს ოდა არაჩვეულებრივად განათებულიყო. ყველა ფანჯრიდან სინათლე გამოსჭვივოდა და უცხო ფუსფუსი იდგა.

გაიკვირვა. შესწყვიტა კრიმანჭული. წამოდგა ურემზე და ხელმოფარებული თვალები მიაპყრო ნაცნობ კამრმიდამოს.

«ვინ სტუმრებია ნეტავი?»

ასე გაიარა მცირედ შეფიქრიანებულმა.

თავის ეზოს რომ მიადგა, ჭიშკართან მამიდა დახვდა. იგი ამ საღამოს მოელოდა ძმისშვილის დაბრუნებას. როცა სიმღერას მოჰკრა ყური, ჭიშკარს მიაშურა. შეეგება დაბრუნება მიულოცა.

- რა ამბავია, მამიდა?

- მშვიდობა, გენაცვალოს მამიდა... დაგაგვიანდა, ანდრო!

- ჰოო, აღარ დაილია ეს ტიალი გზა.

ურემი თავის ადგილას დააყენა. ნიშა და ლომა ბალახზე მიუშვა. სახლში შევიდა.

ტახტზე ჩამოჯდა. ხურჯინიც გვერდით მოიდვა, მამიდას საიდუმლო ღიმილით გადახედა.

- რაები ვივაჭრე... რაები ჩამოვიტანე, მამიდავ! გაგახარებ.

მამიდამ კი თვალები აარიდა.

- შენ კი რას მეტყვი აქაურობის? _ ისე ჰკითხა, მიახვედრა, ვისზე ეკითხებოდა.

მამიდა კი უცნაურად გაყუჩდა. მერე პირისახეც მოიქუშა.

- ჰო?

- ვარდოს ათხოვებენ, შვილო... დანიშვნა მოხდა.

ჯერ ხუმრობა ეგონა. იქნება მამიდა მაჯავრებსო. მაგრამ მალე გამოირკვა საშინელი სინამდვილე.

მამიდაც კი გრძნობდა თავს შეურაცხყოფილად, დაწვრილებით უამბო, რაც იცოდა. ჩამოსთვალა ყველა, ვინც საქმე მოაგვარა.

ქუთაისში რომ ვარდოს ბიძა მსახურობს, მდიდარი, იმან მოაწყო ყველაფერიო.

ბოლოს სიძეც დაუსახელა.

- ჩინოვნიკ სოლომონს რომ შარშან, ბუნტის დროს, აქ სტუმრად ჰყავდა, ის არის... ჩინებიანი... თუ გახსოვსო!

ანდრო ვეღარ იგონებს, როგორ გაატარა ამის შემდეგ ღამე.

...

განთიადს კი დაასწრო და აქ, ამ მინდორს, ბუჩქნარს, ამ მაჟალოს მოაშურა. თანახმად ურმიდან მიცემული ნიშნისა.

მაგრამ, საცა არის შუადღეც მოაღწევს, და ვარდო კი არ ჩანს.

ახლა კი ცხადია, რომ მამიდამ მართალი უთხრა.

დიახ, ათმა დღემ დააკარგვინა ანდროს ვარდო: ორმოცმა ფუთმა თხილმა დაღუპა ანდრო.

იგი დღესვე ასჩეხავს თხილნარს! ამიერიდან არ უნდა იგი!

და დარბევის ქარმა შემოუქროლა. აჯანყების ცეცხლი მოედვა.

დღესვე დაამსხვრევს ურემსაც და საკუთარი ხელით დაჰკლავს ლომას და ნიშას!

თუ არა ეს თხილი, თუ არა ეს ურემი და ხარ-კამეჩები, ის ფეხს არ მოიცვლიდა სოფლიდან... და მაშინ ვარდოსაც ვერავინ წაართმევდა.

მამა არა ჰყავს და დედა. ძმა არასოდეს ჰყოლია, არც და, ახლა იმასაც ნაღვლობს, რომ მამიდა ჰყავს, _ პირველად ხომ მისი პირიდან გაიგონა: «ვარდოს ათხოვებენო».

ჰოო, შემოაკვდება ხალხი ანდროს, ღმერთმანი!

და გაანჩხლებულმა ქარქაშიდან კვლავ ამოსწია ხანჯალი. მოეჩვენა, რომ დხოცილთა სისხლმა ითქრიალა.

გულს ესალმუნა.

ხანჯალი ისევ ჩააგო.

ამავე დროს ანაზდად შეამჩნია, რომ იელის ერთი ბუჩქი შეირხა და ვიღაცის ლანდი მინდვრის პირს აეკრა.

ნუთუ ვარდოა?

სახეზე სისხლი აუვარდა. გულისცემა შეუჩერდა. თავი ძირს დაჰხარა.

არ შეუძლია ვარდოს შეხედოს.

- გამარჯობა, ანდრო. გავიგე შენი ჩამოსვლა, _ გაისმა ბოხი ხმა და ანდრომაც თავი მაღლა შეისროლა. მის წინ პირმცინარი არსენა იდგა და გახარებული ესალმებოდა. კარგა მოზრდილი ქაღალდის შეკვრა იღლიაში ამოეჩარნა.

- დაგაგვიანდა, ბიჭო! _ და ხელი ჩამოსართმევად გაუწოდა.

- გაგიმარჯოს, არსენა! _ ძალდატანებული გაღიმებით უპასუხა მეგობარს ანდრომ დ ხელი უგულოდ ჩამოართვა.

- აი, რა მოგიტანე, სამი დღეა, რაც არჩილმა გამოაგზავნა... _ და არსენამ ფრთხილად მიიხედ-მოიხედა. _ შენ რომ იცი, ის უნდა იყოს, მაგრამ უშენოდ მაინც არ გავხსენით... გადმოგცე? _ შეკვრა გაუწოდა.

- არჩილმა? _ ხმას აუწია გაკვირვებულმა ანდრომ. შეკვრა ფიცხლად გამოართვა გასინჯა.

- ჰო, ვიცი... კარგი, დასტოვე, _ უთხრა დაბნევით.

- ის არის ხომ? ა? _ საიდუმლო ჩურჩულით ჰკითხა არსენამ და თვალებში ჩახედა. ვერ შეამჩნია, რომ ანდროს მაინცდამაინც გახარებოდეს ამანათის მიღება.

- ახლა კი, არსენა... თუ ძმა ხარ. _ დაიწყო ბორძიკით ანდრომ, მაგრამ სიტყვა ვერ დაამთავრა. ისევ მზერად გადაიქცა, ისევ მილოდინმა შეიპყრო.

არსენა მიხვდა, თუ რა სჭირდა მეგობარს.

- ვიცი, ანდრო... განა არ ვიცი, რაც მოხდა. ამიტომაც გკითხე, ახლა გადმოგცე, თუ არა-მეთქი! _ ამბობდა იგი და მეგობარს თანაგრძნობიან თვალებს ადევნებდა. _ მაგრამ შენს თავს ასე ადვილად არ დავაჩაგვრინებთ. ყველანი შენთან ვართ!

- არა, არსენა... თუ ძმა ხარ, ნუ... _ გააწყვეტინა ანდრომ შებზარული ხმით.

- აქაო და დიდი კაცი არისო და გაუვაო, ეს არ იქნება! ისედაც გამწარებულები ვართ, _ გნაგრძო მაინც არსენამ. _ გულახდით მითხარი, ანდრო... აი, იონამაც დამაბარა და სანდრომაც მითხრა: თუ შენ თანახმა იქნები, იმ კაცს მოგაშორებთ.

- არასოდეს!

- რათა? ხომ ვიცით, ვინც ბრძანდება? დიდი ციხის უფროსია ქუთაისში... შარშან კი ჯაშუშობისათვის სდევნიდნენ ჩვენები და სოლომონ ვარაძე აქ მალავდა, ძმის სახლში, ვითომ სტუმარიაო. გვატყუებდა თურმე... ახლა ჩვენი საქმეც, ხომ ხედავ, არც ისე წაგებული ყოფილა, როგორც აქ ჰგონიათ! აი, არჩილიც კარგ ამბავს იტყობინება. ეს პროკლამაციები, ჩანს, რასმე ნიშნავს, ალბათ, ა? შენ როგორ ფიქრობ: იფეთქებს კიდევ?

- ა? ალბათ... შეიძლება...

ანდროს თვითონაც არ ესმოდა, რასაც ამბობდა. მან თვალი მოჰკრა, რომ გზის პირად ბუჩქი შეირხა. აენთო.

- დამაცა არსენა... _ უთხრა და ხელი მოუთმენლად მკლავზე წაავლო, განზე გასწია. ანიშნა, წადიო. _ უკაცრავად, მაგრამ... თავი დამანებე ახლა, თუ ხათრი გაქვს.

არსენამაც შენიშნა, რომ ბუჩქნარში ვიღაცა ქალი შემოვიდა. მიხვდა ანდროს აღელვების მიზეზს.

- კარგი, შენი ჭირიმე, _ თანაგრძნობით უთხრა, ბეჭზე ხელი წაუთათუნა ალერსით და აჩქარებით მოშორდა იქაურობას.

ანდრო კი თვალებს არ უჯეროდა:

გზიდან მინდორზე ვარდოს მეგობარმა ლიზიკომ გადმოუხვია და ანდროსკენ გამალებული წამოვიდა.

ფარული იმედის უკანასკნელი ნატამალი მოსწყდა გულზე ანდროს.

- ის არ მოვა... _ სთქვა თავისთვის და მწარე ღიმილის ნაოჭმა სახის ერთი ნახევარი მოუქცია.

- ანდრო, ვარდომ შენთან გამომაგზავნა საიდუმლოდ, _ სხაპასხუპით დაიწყო

მოახლოვებისთანავე ლიზიკომ. _ მან იცის, რომ შენ აქ მოელი და მითხრა, ნახეო... თვითონ ვერ გნახავს... და ეს ბარათი გამოგიგზავნა.

ხელმა უსწრო ანდროს და ქაღალდი გამოართვა. არ უნდოდა კი ხელში შეჭმუჭნა. ზედ არც კი დახედა. სიჩუმე ჩამოვარდა.

- კარგი... სხვა არაფერიო? _ ვითომ დამშვიდებული ხმით ჰკითხა გვიან.

- არაფერი, ანდრო... _ სთქვა ლიზიკომ და ისეთი თანაგრძნობით შეხედა ანდროს, თითქოს მისი საიდუმლო ტანჯვა გაიზიარაო. ანდრომ რომ ეს შენიშნა, უცებ გამოიცვალა.

- არაფერი? _ გაიმეორა გამწყრალმა და გოგოს თვალები შეანათა.

წითელმა ალმა გაუელვა გამოხედვაში და თვალებიდან ნაპერწკალი დასცვივდა. უცებ მაღლა ამართა ბარათიანი ხელი და ლიზიკოს ზედ სახესთან მიუტანა. შეუბრალებელი მუქარით უთხრა:

- ალბათ, ქორწილზე მპატიჟებს ქალბატონი, არა? უთხრი, ანდრო მადლობელია და გეწვევა-თქო!

და ამ სიტყვებით შეჭმუჭვნილი ქაღალდი ლიზიკოს სახეში ესროლა.

- წერილები თავის ჩინოსან კავალერს სწეროს!

- ანდრო, არ იცი განა, რომ ვარდოს ბრალი არ არის?

- აჰა... მაშ, მართლა გათავებულა საქმე... თუ ასეა, იცოდეთ, მოღალატეებო, რომ ანდრო ქარივაძე ამას თავის დროზე გაგიხსენებსთ! გაგიხსენებსთ ისე, რომ... _ უკანასკნელი სიტყვები კბილებში გამოსცრა და არსენასაგან მიღებული შეკვრა შესროლით მაღლა ასწია.

- იცოდეს ყველამ, რომ ჩვენი დრო კიდევ დადგება... აი, ამას ხომ ხედავ? _ დასჭექა, შეკვრა ჰაერში შეათამაშა და შეშინებულ გოგოს ზურგი შეაქცია. მეტი სიტყვა არ დაუძრავს, ისე ტანის მუქარიანი რხევითა და მტკიცე ნაბიჯით თავის სახლისკენ გაემართა.

II

ვარდოს გათხოვება ყველასათვის მოულოდნელი იყო: მშობლებისთვისაც და თვითონ ვარდოსათვისაც.

საცოდავ გოგოს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ასეთ საკვირველ ბედს ეწეოდა. იგი მას მოვარდნილი ქარივით დაატყდა თავს.

ანდროს ანაკლიაში წასვლის მეორე დღესვე სოლომონ ვარაძე _ დიდი კაცი, საგუბერნიო სამმართველოს მოხელე და ორი სახლის პატრონი ქუთაისში _ მოულოდნელად ეწვია ვარდოს მამას, თავის უმცროს ძმას, და თან მელიტონ აბლანდია ჩამოიყვანა.

- სიძე! _ უთხრა მან ვარდოს მშობლებს და აბლანდია წინ წაუყენა.

- ამ ვაჟბატონს თურმე შარშანდელს აქეთ უყვარს ჩვენი ვარდო. ეს ამბავი როგორც თქვენ, ისე მეც აქამდის არ შემიტყვია. გავიგე თუ არა, არ დამიყოვნებია: დასაქორწინბლად ჩამოვიყვანე. სამი დიდი ღირსება აქვს. აზნაურია, დაწინაურებული მოხელე და კარგი ჯამაგირიც აქვს. არას ვამბობ იმაზე, რომ ჩემი გაზრდილიც არის და წარჩინება წარჩინებაზე მოელის. მომილოცავს!

ვარდოს მამას თვალი მოეჭრა:

მბრწყინავი ეპოლეტები. სირმის ქუჩუჩიანი ხმალი. ორი მედალი გულზე და არწივგამოხატული ოქროსფერი ღილები ორწყებად მკერდზე.

იშვიათი სასიძო კაცი სოფლის გოგოსთვის!

ვარდოს სასიძო კაცი სოფლის გოგოსთვის!

ვარდოს დედის ყველა ოცნებას ხორცი შეესხა.

ვარაძეებს ჭკუით იცნობდნენ: სად გიჟი, უსახლკარო ანდრო ქარივაძე და სად ეს «ღუბერნატორისთანა» კაცი!

სოლომონის ეს წყალობა ყველა წყალობაზე უფრო დიდად მიიჩნიეს.

სთქვეს:

- ბიძაც სწორედ ასეთი უნდაო!

...

- ნუ მეხუმრებით, სტუმარზე გათხოვება სად გაგონილა! _ ამბობდა შეშინებული ვარდო. არ უნდოდა დაეჯერებინა.

მაგრამ მამა სასტიკად შეუწყრა. სიდინჯე და თავდაჭერილობა მოსთხოვა გადაჭრით.

მერე ნიშნის ნივთებიც მიართვეს.

მაშინ ვარდომ ხმა გაჰკმინდა და ცხარე ცრემლით ტირილი დაიწყო.

არავინ აღმოჩნდა მშველელი, არც თანამგრძნობი უბდურებაში, ლიზიკოს გარდა.

ანდრო კი შორს იყო.

როცა ანდრო ჩამოვიდა, შველაც უკვე გვიან იყო. მაგრამ ვარდომ მაინც მისწერა წერილი. ამცნო გასაჭირი, _ ეგონა, დიდი უბედურება დატრიალდებოდა: ანდრო მოვიდოდა, მოწინააღმდეგეს მოჰკლავდა, ხოლო თვითონ მას შორს გაიტაცებდა.

მაგრამ მინაწერი ქაღალდი რომ უკან დაუბრუნდა ლიზიკოს ხელითვე და ანდროს განწყობილებაც შეიტყო, უცებ ჩაფუკვით მოეშვა, თითქოს სიცოცხლე გაეცალაო.

ახლა აღარ ტიროდა, ხოლო ცრემლი კი მაინც სდიოდა თავისთავად, შეუწყვეტლივ.

წაუმწარდა სიძეს გამარჯვება. იგი მით ანუგეშეს, რომ უთხრეს:

- აქაურ ქალებს ასე სჩვევიათ გათხოვების დროს... ყურადღებას ნუ მიაქცევ... მალე გაუვლის და შეგეჩვევაო.

ასე მოხდა:

ანდროს დაბრუნების მეორე დღესვე, საღამოს, დანიშნულებს ჯვარი დასწერეს გაუხმაურებლად.

ქორწილის ნაცვლად მცირე ვახშმით გაუმასპინძლდნენ უახლოეს ნათესავებს.

- ნამდვილი ქორწილი მერე გვექნებაო! _ გამოაცხდა სოლომონმა და ორი ეტლი დააბარებინა მახლობელ დაბიდან გვიან ნაშუაღამევისათვის, რომ ადრიანი დილის მატარებელზე არ დაგვიანებოდათ. რკინიგზის სადგურამდე თხუთმეტიოდე ვერსი იქნებოდა ვარაძეების სახლიდან.

ყველაფერი ისე მოეწყო, როგორც სოლომონს უნდოდა. მას სოფლური ჩვეულებები არ უყვარდა და დავიდარაბის თავი არ ჰქონდა. სიძითურთ სამსახურში მიეჩქარებოდა. ისედაც შეაგვიანდათ და ჩქარობდნენ.

ვარდოს დედას მაინც ძალიან სწყდებოდა გული, რომ შვილი თავს უბედურად გრძნობდა. როგორ დაენებებია თავი. ამიტომ გადაეწყვიტა, გაჰყოლოდა ქუთაისში და სრულ დამშვიდებამდე მასთან დარჩენილიყო.

...

იმ ღამეს ანდრო ძლივს მონახეს მისმა მეგობრებმა. მათ იცოდნენ, ვარდოს თავს

რაც ხდებოდა და უნდოდათ გამოერკვიათ, რას ფიქრობდა ანდრო: გაჩუმებას თუ თავის გამოდებას.

მაგრამ ანდრომ უცნაურად დაიჭირა მათთან თავი.

როცა უთხრეს, _ ვარდო ამ ღამეს ქუთაისში მიჰყავთო, _ ისე ჩაიცინა, თითქოს ეს მისი მოხერხებული საქმე ყოფილიყო. მერე სულ სხვა საგანზე დაუწყო საუბარი, ვითომ არაფერი მომხდრიყოს.

- დამიჯერეთ, ძმებო, _ დაუწყო მან თვალის არიდებით, _ რომ ვარაძის ქალის ამბავი სულაც არ მაინტერესებს! თქვენ ამბობთ, მიჰყავთო, წაიყვანონ!... მერე რა? აბა, თქვენ თითონ განსაჯეთ, რა თავგამოსადებია ვარაძეების ბუდის ბარტყი? მე დიდი ხანია, რაც თავი მინებებული მქონდა... თუმცა ამაზე არც ღირს ლაპარაკი... ჰო, აი რა უნდა გითხრათ: არჩილი ფოთში მიბარებს, და რას იტყვით ამაზე.

ამ ცნობამ უცებ დააინტერესა და ძალიანაც გააკვირვა მეგობრები.

არსენა ჩახმახივით შესდგა.

- რა ამბავიაო, კარგად გვითხარი, თუ ძმა ხარ. გამოგზავნილი ხომ მართლა პროკლამაცია აღმოჩნდა? _ ერთმანეთზე გადაბმით ჰკითხა მან ანდროს. მერე იონამ ჩამოართვა სიტყვა:

- დიდი საქმეა რაღაც, იცოდე, რაკი გიბარებს. შემოგითვალა, თუ წერილი მოგწერა? არჩილი ახლაც ფოთში იმყოფება?

შემოეხვივნენ მეგობრები ანდროს. სულ დაავიწყდათ ვარდოს ამბავი.

ეზოს კუთხეში იდგნენ, კაკლის ჩრდილში. მთვარიანი ღამე იყო, თბილი და წყნარი.

ანდროს სახე არ უჩანდა. გარდა კაკლის ჩრდილისა, ყაბალახიც ჰქონდა ჩამოფარებული.

- პროკლამაცია სულ ახალი უნდა იყოს, უკანასკნელი... ვიბორგის მოწოდებაა. _ არსენასადმი მიმართვით დაიწყო ანდრომ, დინჯად, გულჩათხრობით. მერე იონას მიუბრუნდა:

- არჩილი ამჟამად ფოთშია, ამხანაგო. უთუოდ საქმეზე მიბარებს... წერილი არ მოუწერია, ერთი ამხანაგის პირით შემომითვალა.

- მერე აპირებ წასვლას?

- ყოველ მიზეზს გარეშე...

- რა თქმა უნდა, უთუოდ უნდა წავიდეს... ჩვენც დაგვიბარე თუ საჭირონი ვიქენით! ხომ ხედავ, აქ აღარ გვეცხოვრება.

და მცირე ხნით დუმილი ჩამოვარდა ფიქრიანი.

- ხო, მართლა... პროკლამაციებიც უნდა გადმომეცა თქვენთვის... დამავიწყდა... დავითვალე და დავაწყვე. სულ სამასი ცალია. თითქოს ას-ასი გვერგება. ზედ აწერია, როგორც წესი და რიგია: «პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!» ქვეშ ბათუმის კომიტეტი აწერს ხელს, ჩვენი პარტიისა.

- წაიკითხე?

- კი. «არც ერთი შაური და არ ერთი სალდათი» მთავრობას არ მისცეთო, განაცხადეს თურმე «დუმის» დეპუტატებმა. ეს ამბავი სწერია. ჩვენ უნდა შევემზადოთ.

ორი ცალი პროკლამაცია ჯიბიდან ამოიღო და ამხანაგებს გადასცა მთვარის სინათლეზე მოგრძო ოთხკუთხიან ფურცლებს თვალიერება დაუწყეს თვალების რევოლუცია.

- დაიცათ, ბარემ მოგიტანთ და გადმოგცემთ თქვენს წილს... განაწილებული მაქვს _ და ანდრო სახლისკენ გაიქცა, ორი კოხტა შეკვრა გამოიტანა და მეგობრებს გადასცა.

- ფრთხილად, იცოდეთ. ზოგი ხელზე დაარიგეთ, ზოგიც დააბნიეთ... მთელ უბანს უნდა მოედოს, აი...

- ფიქრი ნუ გაქვს, ანდრო... პირველად ხომ არ ვართ ამ საქმეზე, არც ერთი არ დაიკარგება.

სთქვეს გახარებულმა და ქაღალდები უბეებში ჩაიჩარეს.

ამის შემდეგ ეზოში გაიარ-გამოიარეს.

ანდრო თავის მომავალ მუშაობაზე ლაპარაკობდა. აგზნებული და ოცნებიანი იყო მისი სიტყვა. ხშირად და დაჟინებით ლაპარაკობდა ტერორზე და სულ კვლა და ჟლეტა აგონდებოდა.

მისი აზრით, იგი მუშად ჩაირიცხებოდა ფოთში და არჩილის ხელმძღვანელობით პარტიულ მუშაობას დაიწყებდა. შეადგენდა ტერორისტების ჯგუფს და ყუმბარის კეთებას შეისწავლიდა.

- ყველი ტერორი მე უნდა მოვახდინო, _ ამბობდა შურისძიებით გალესილი და

წამდაუწუმ ხანჯლის ტარს ჰკიდებდა ხელს. _ მუსრი უნდა გაევლოს მოღალატეებს. სისხლით უნდა გაირეცხოს ეს ქვეყანა, სხვა გზა არ არის. გახსოვდეთ, ჩვენგან მტრის დაზოგვა არ იქნება ამიერიდან!

ხმას აუწია. თითქოს მტერს შეუტიაო, მაგრამ უცებ შუა გასწყვიტა ხმა. დადუმდა. ყაბალახი მთელ სახეზე ჩამოიფარა.

მოკრძალებით უსმენდნენ მას მეგობრები. ისინიც ჩუმად ოცნებობდნენ «მუშად გახდომას» და დიდ ქალაქში თავგადასავლიან ცხოვრებას.

- მე რა! ერთი კაცი ვარ, ყველგან გავიტან, _ განაგრძო ისევ ანდრომ, ახლა კი გრძნობის დამორჩილებით, მაგრამ უაღრესად სევდიანი ხმით. _ რომც დავიღუპო, არაფერია! არ მენაღვლება...

ღამესაც სევდა რამ შემოსწოლოდა უნაზესი, და მთვარეც თვალად მოგვირისტებულ ციდან სევდას რასმე ათოვდა ყმაწვილების გულს.

- ჩვენც რომ დავიღუპოთ, არ გვენაღვლება. შენთან ვართ, ანდრო!

...

შუაღამე იქნებოდა, რომცა ანდრომ მეგობრები სათითაოდ სახლამდის მიაცილა, გამოემშვიდობა და უკან დაბრუნდა.

მიდიოდა იგი ნელა, ორღობეებით. კმაყოფილი იყო, რომ მეგობრები ასე შეიქცია და ვარდოს ამბავი კი მიჩქმალა. არჩილთან წასვლაზე ყოველთვის ფიქრობდა, მაგრამ აქამდის ვარდო აკავებდა. ახლა კი, თუმცა არჩილს არ დაუბარებია, მაინც არსებითად მართალი უთხრა ამხანაგებს: გულში წასვლა გადაეწყვიტა.

რომ დაუფიქრდა მეგობრებთან ნათქვამს, ძალიან დაუჯდა ჭკუაში.

- რა თქმა უნდა, ამდენი ხანი კი გავაცდინე, _ წარმოსთქვა ხმამაღლა მერე თითქოს წამოსცდაო, გულაჩუყებით დასძინა: _ ან კი, აქ რა დამრჩენია ამიერიდან?

ამ შეკითხვაზე თავისივე თავი დაიჭირა. არ ესიამოვნა საკუთარი ხმა. ნაბიჯს მოუმატა, მაგრამ მაინც აეკიდა აჩრდილივით ვარდოზე ფიქრი და სახეზე წამოაწითლა.

სხვისაგან რომ დაფაროს, თავის თავს ხომ ვერ დაუმალავს, რაც დაემართა.

დაემართა კი ის, რომ...

ფიქრი დაასრულა. არ უნდოდა ეღიარებინა, რომ საშინლად დამარცხდა. თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა.

ისე განვლო სოფლის მჭიდროდ დასახლებული ნაწილი. მალე გაშლილ განაპირას გავიდა.

მარჯვნით გზა მის სახლში მიდიოდა, მარცხნით კი ვარაძეების უბნისაკენ უხვევდა ხეივნით.

ხეივანმა მოგონება აუშალა. გაუცხოველა მის ხავერდოვან ჩრდილში განცდილი სიყვარული. მერე ვარდოს სახეც მოელანდა და ფოთოლთა იდუმალ შრიალში სატრფოს ჩურჩული მოესმა.

გაჰყვა ხეივანს.

გრძნობდა, თუ რა ძალა ეზიდებოდა აქეთკენ, მაგრამ ახლა მას ურჩობას ვერ უწევდა.

ნაცნობი ხეები მდუმარედ ესალმებოდნენ, თითქოს უსაყვედურებენო, რომ მარტო იყო, ვარდო თან არ ახლდა.

აი, ის ცაცხვი, რომლის ძირში უკანასკნელად ერთად ისხდნენ ის და ვარდო.

ღამეც ასეთივე იყო მაშინ...

გული აუჩუყდა, მისი ფარული გრძნობის დახშული კარიც ერთბაშად გაიღო.

ცრემლმა თვალებზე მოუღიტინა და ალერსის წყურვილმა _ გულზე გადაუარა სიანჩხლემ. ბალღს დაემსგავსა.

მივიდა ცაცხვთან და მის ძირში პირქვე დაემხო ქვითინით.

მერე გაყუჩდა. სული განაბა. დიდხანს იყო ასე.

ოცნებაში წასულს ეჩვენა, თითქოს თავს ტყის დედოფალი დასდგომოდა, თვალებჩაფერფლილი და სახეგატანჯული.

ანდრომ ვითომ იცნო იგი. არაერთხელ მოსჩვენებია ამ საოცნებო ადგილებში განმარტოვებისა და გულზე დრდის მოწოლის დროს. ეს იყო ტყისა და ღამის კეთილი დედოფალი, მეგრული ზღაპრის საყვარელი არსება, მაგრამ ასე მოწყენილი კი არასოდეს არ ყოფილა და ასე ახლო ანდროს მისთვის არასოდეს შეუხედავს.

მთვარის შუქისა და ხეები ჩრდილის ფარდაგზე იდგა. თეთრი უხვი თმა გაეშალა. ზოგი შიშველ მოლივლივე ტანზე შემოეფარა, ზოგიც ჰაერში შეეფინა.

- რა დაგმართნია, ჩემო ბიჭუნი? რა ნაღველი ჩაგდგომია გულში? ადექი... ხომ მიცანი: მე საიდუმლო სიყვარულის დედოფალი ვარ. გამინაწილე შენი გულის დარდი.

ვიცი, სიყვარულისაგან იტანჯები. ეს მე არ დამემალება. გამიმჟღავნე საიდუმლოება, გულზე მოგეშვება.

წამოდგა ანდრო.

ასეთნაირად არავის მიუალერსებია და ასე ტკბილად არავის მიუმართავს მისთვის.

- ჰო, მე ვიცი: შენ ფიქრობ, რომ ვარდომ გიღალატა და ამის გამო ხარ უბედური. ეს კი ტყუილია, ჩემო ბიჭუნი. ვარდოს შენთვის არ უღალატნია. პირიქით, შენ გადააგდე მისი წერილი, ლიზიკოს ხელით რომ გამოგიგზავნა. რატომ არ წაიკითხე მაინც? რა იცოდი, რა ეწერა წერილში? იქნება, შველას გთხოვდა სატრფო და შენი იმედი ჰქონდა. შენ კი... კარგი ბიჭი ხარ, ანდრო, მაგრამ ავი ხარ! შენ გგონია, რომ ვარდო არ იტანჯება? აი, გუშინ და გუშინ წინ ღამეს აქ იყო, ამ ხეივანში, ამ ცაცხვის ძირში იჯდა და ცხარე ცრემლით სტიროდა. გიჩივოდა, რატომ მიმატოვეო.

- მე? მე მივატოვე? ამ დაწყევლილ ანაკლიაში შემაგვიანდა... რომ ჩამოველ, მითხრეს, თხოვდებაო. რა მექნა? მერე დანიშნულ ადგილზე არ გამოცხადდა. არ მნახა. პირობა დაარღვია.

- საწყალი ბიჭი! ვერ მიხვდი, რომ ვარდოს ბრალი არ იყო? ვერ მოიაზრე, რომ შენს სატრფოს ძალა დაატანეს? პატარა ხომ არა ხარ? რომ არ იცოდე ამ ქვეყნის ბოროტების ამბავი! ჰო, რა მებრალება საცოდავი გოგო! შენ კი ახლაც ეჭვობ, რომ იგი იტანჯება, აი, ამ წუთშიაც მესმის მე მისი ქვითინი... რაც გამოუცხადეს გათხოვება, მის მერე ტირილი არ შეუწყვეტია. ეს იცოდე, ანდრო: ის ყველა უბედურზე უფრო უბედურია. იგი ამაღამ მიჰყავთ აქედან და უკანასკნელად ეთხოვება ქალწულის იმედებს, ეთხოვება თავის უმანკო სიყვარულს შენდამი... ნეტავი, გუშინ მოსულიყავი აქ, რომ გენახა. აი, ამ ხის ძირში იჯდა და ცრემლისაგან იცლებოდა. ბევრი ვანუგეშე, ვეალერსე, მაგრამ ვერ დავაწყნარე. შენი ბრალია, ანდრო, რომ ახლა ყველაფერი გვიანაა.

- რატომ გგონია, რომ ყველაფერი გვიანაა. მე მეგობრები მყავს, ჩვენ არ გვეშინია. არსენა ისეთია, რომ ტყვიას ხელით იჭერს.

- მაგრამ შენ ხომ უარი სთქვი ვარდოზე. იმის მაგიერ, რომ შველა გეთხოვნა მეგობრებისათვის, არჩილთან წასვლაზე ელაპარაკე... რა უცნაური ხარ! იქნება მართლა ფიქრობ აქედან წასვლას?

- კი. შორს... ძალიან შორს მინდა წავიდე, აქაურობას მოვშორდე.

- მერე არ გეშინია, რომ დაიღუპო? ქვეყანა დიდია და შენ კი პატარა... ობოლი ხარ, ღარიბიც. არავინ მოსარჩლე არ გეყოლება... სჯობდა, ვარდო რომ არ დაგეკარგა და აქ დერჩენილიყავ.

- თუ მართალია, რასაც მეუბნები, მე ამ ღამესვე მოვიტაცებ ვარდოს...

- გვიან არის... აი, ყური დაუგდე: გესმის, რა ამბავია? ცისკრის წინამორბედი რეკავს, და ვარდოსაც უკვე მიამგზავრებენ სადგურზე... მშვიდობით, ჩემო უბედურო და მშვენიერო გოგონავ! უკანასკნელი ნატვრაც კი აუსრულებელი დაგრჩა...

- რა ნატვრა, მითხარი...

- ნატრობდა, შორიდან მაინც დაენახე... უკანასკნელად...

...

მაგრამ ტყის დედოფლის უკანასკნელი სიტყვები სულ სხვა ხმაზე მოესმა გამოფხიზლებულ ანდროს. მოჩვენების ნაცვლად ახლა წკრიალა ეჟვნები ჟღარუნობდნენ შორით და მიწურული ღამის წყნარ ჟრიამულს აკრთობდნენ.

ანდრო შეფრთხიალებით წამოდგა. ყურები დასცქვიტა. მიმოიხედა.

გარემო გამცვლილი ეჩვენა. ცისკიდური შენაცრებულიყო.

ეჟვნების ჟღარუნს ცხენების ფეხის ყრუ თქარათქურის ხმაც შერეოდა.

- ვარდო მიჰყავდათ მტარვალებს!

მიაყურა.

მახლობელ გზატკეცილზე ეტლები მიჩხარუნობდნენ და ეჟვნების წკარუნი ჩუმსა და წყნარ სივრცეში იფანტებოდა.

- ჰა, ბიჭო, ანდრო! _ კივილით აღმოხდა კვლავ ანდროს, მაშინვე ქარივით მოსწყდა თავის ადგილს.

ხეივანი გაირბინა.

ახლა უფრო გარკვევით მოესმა ეტლების ხმაურობა.

ანდროც მოუფიქრებლად მისკენ გიჟივით გაექანა.

თავში ის აზრიღა უტრიალებდა, რომ ეტლს დასწეოდა. მაგრამ ცოტა რომ გაირბინა, აზრი შეიცვალა: წარმოიდგინა გასარბენი მანძილი, ეტლების სიშორე და უცებ შესდგა. ფეთებით შეათვალიერა მიდამო. უცებ იქვე გზის პირად მდებარე ყანაში

გადახტა. წინ წამოწეული მოღუნული მკლავი სახეზე წამოიფარა და ზრდადასრულებულ სიმინდში შრიალ-ფრიალით შეიჭრა. ახლა ის განზრახვა ჰქონდა, რომ გზა მოეჭრა და ვარდოსთვის რკინიგზის სადგურზე მიესწრო.

გარკვეული არ ჰქონდა, თუ რას მოიმოქმედებდა, როცა ვარდოს დაინახავდა, მაგრამ რომ უთუოდ უნდა ენახა, ეს კი გულში ამოჭრილი ჰქონდა.

კარგად იცოდა, თუ როდის გამოივლიდა მატარებელი და რა მანძილიც ედგა წინ გასავლელი. მუხლების სიმარდის იმედიღა ჰქონდა და შურდულივით გასროლილ ქვასავით სჭრიდა სივრცეს.

გარბოდა პირდაპირი ხაზით, _ ყანებით, ეზოებით, ჩირგვებით. გარბოდა სულის მოუთქმელად, ძალ-ღონის დაუზოგველად.

შორიდან კი ხან ყრუდ, ხან კი მკაფიოდ მოესმოდა თავისებურად მჟღერადი, დრო-გამოშვებით ცხენის ტორების თქარა-თქურში გარეული ეჟვნების საბედისწერო წკარუნ-ჩხარუნი.

იგი ისე მოსდევდა კვალდაკვალ ანდროს, თითქოს ვარდოს უიმედო ვედრება ყოფილიყო... ქვითინში ჩამხრჩვალი სატრფოს ხმობა, ძახილი.

თითქოს მოჩვენებული ტყის დედოფლის საყვედურიც ამ ჟღარუნში იყო ჩაქსოვილი და ვარდოს უკანასკნელ ნატვრას მოაგონებდა.

და გარბოდა ანდრო ამ დადევნებული ხმებით აფორიაქებული. გარბოდა ათრთოლებული გულისძგერით, აჯანყებული ფიქრებით გარემოცული.

III

ის იყო, მატარებელი დაიძრა პატარა სადგურიდან ახალ გათენებულზე, და რკინიგზის ლიანდაგის გასწვრივ მდებარე მინდორზე, მქშინავი ორთქლმავალი პირდაპირ ლანდს დასმსგავსებული ანდროც გამოჩნდა.

კაცის ფერი არ ედვა და ბარბაცით მიქანაობდა.

ქამარ-ხანჯალი შეეხსნა გზადაგზა და მხარზე გადაეგდო. ჩოხასა და ახალუხზე ღილები შეეგლიჯა. თმა აბურძგვნოდა და სასიკვდილოდ განწირულივით ხრიალებდა.

მოჰკრა თვალი მიმავალ მატარებელს თუ არა, მოწყვეტით შესდგა.

დაიგვიანა!

აერია ყველაფერი. თავბრუ დაესხა და თვალთ დაუბნელდა.

სწრაფად და რახრახით ჩაიარეს ვაგონებმა. გაიციალეს ფანჯრებმა.

თავიღა მიატრიალა მათკენ ანდრომ და თვალები უიმედოდ გააყოლა. ტანი ვერ დასძრა ადგილიდან. ფეხები გახევებოდნენ და მუხლებში კანკალი ჩასდგომოდა. გრძნობდა, რომ კვლავ სარბენად ძალა აღარ შესწევდა.

როცა მატარებელი მიიმალა, თვალები მინაბა. მერე შეირხა. ჩაიღმუილა დაჭრილი ნადირივით წაბარბაცდა და ჩაფუშვით მიწას გაერთხა.

გრძნობა დაჰკარგა.

...

გათენდა.

ქვეყანა დღის ნაჩვევ კვალში ჩადგა, ჩვეულებრივი სახე მიიღო.

მზე ამოვიდა. დღე გაიშალა.

კვირა იყო.

მალე სოფლის საყდარზე ზარიც ჩამოჰკრეს.

დაიწყო ხალხის მიმოსვლა.

როცა ანდრო გონს მოვიდა, მზე სახეში უნათებდა და ყურში ზარის რეკა უწიოდა.

წამოდგა მიიხედ-მოიხედა. სიზმარივით მოაგონდა ყველაფერი, რაც თავს გადახდა, მაგრამ მის განხილვაში არ შესულა აზრდაკარგულივით გამოიცქირებოდა.

უხმოდ იდგა, იმ ადგილს მიაპყრო თვალები, სადაც დილის მატარებელი მიიმალა. წარმოიდგინა, თითქოს კვლავ დაინახა მსრბოლავი ვაგონები და ყურში კვლავ მათი ბორბლების რახრახი ჩაესმა.

სული ეტკინა.

განცდილის ხელმეორედ ატანა აღარ შეეძლო.

- გათავდა! _ უნდოდა ეთქვა, მაგრამ მხოლოდ ტუჩები შეენძრნენ, ხმა კი მკერდშივე ჩაუწყდა.

და მერე თავდახრილი, თითქოს პირიქით, გაჰყვა იმავე უგზო მიმართულებას თავის სახლისკენ, საიდანაც წუხელ თავგანწირვით მორბოდა.

მალე მიეფარა ტყეს აჩრდილივით.

ღიღინით მიდიოდა. ხეებს ეფარებოდა. გამშრალ პირში მწკლატე გემო

ჩასდგომოდა, შხამიანი, გულში კი აოხრების ბოლი.

...

ტყის ბოლოს წყარო იყო. იქვე სოფელი იწყებოდა. წყაროსთან შესდგა. ძელზე ჩამოჯდა. აქ სიჩუმე იყო და ნესტიანი სიგრილე. ხელი დაიბანა. სახეზე წყალი შეისხა. დაისვენა გარინდებულად. არაფერზე არ ფიქრობდა. აზრის ძაფი გაწყვეტოდა. ასე იყო კარგა ხანს. არაფერზე არ ფიქრობდა. აზრის ძაფი გაწყვეტოდა. ასე იყო კარგა ხანს.

მერე შარაგზაზე გამოვიდა. შინისაკენ წალასლასდა.

პირდაპირ მომავალი ორი ქალი შენიშნა შორითვე. ერთი მაღალი, მეორე დაბალი, რომელიც პირველს ცოტა დაშორებით მოსდევდა.

ეტყობოდათ წირვაზე მიდიოდნენ.

ანდრომ იცნო ისინი. გადასახვევი ახლოს არ იყო. ძალაუნებურად უნდა შეხვედროდა. არ უნდოდა კი.

პირველი ქალი არჩილ დადიშიანის დედა იყო, სალომე. მეორე კი მისი განუყრელი მოახლე _ მაიკო.

ანდრომ ნაბიჯი შეანელა. მკერდზე გახსნილი ახალუხი შეისწორა. ქამარ-ხანჯალის მორტყმას ვერ მოასწრებდა. მათი ხელში დაჭერა ამჯობინა.

არჩილის დედა კი წარბებშეკრული უახლოვდებოდა. გაკვირვებით უმზერდა, თითქოს თვალებს არ უჯერებდა, რომ ანდროს ხედავდა.

- აბა, მაიკო. _ მიმართა მან მოახლეს ანდროს გასაგონად, _ შეხედე ერთი, ვინ მოდის? ნუ თუ ანდროა?

- ის არის... შეჩვენებული! _ გაიკვირვა მოახლემ, რომელსაც სახეზე შიში გამოხატოდა.

- აი, სად ყოფილა, და მას კი სად ეძებენ! _ სალომე შუაგზაზე შეჩერდა. ცოტა კიდევ დაიახლოვა ანდრო და მერე შეტევით მიმართა:

- ალბათ, საიდუმლო კრებიდან მობრძანდები, ვაჟბატონო! სწორეა: სახეზე გეტყობა, რომ არ გეძინა. ბუნტს ამზადებ კიდევ? ალბათ, არჩილმა დაგავალა! თურმე, ნუ იტყვით, ამისათვის ეძებდა ამ დილით პოლიცია. გაგიგეს? ასე გინდა... პატივსაც გცემენ! მადლობა ღმერთს, ახლა მაინც გამარჯვებულია რუსის ხელმწიფე.

ანდროც შესდგა და ქალბატონს მორიდებული სალამი მისცა.

- საწყალი მამიდაშენი მეცოდება, თორემ შენ რა შესაბრალებელი ხარ: ეშმაკი, დაუცხრომელი!.. მე რომ არჩილი დამეკარგა, ამაში წილი შენც გიდევს... ნეტავი, ამდენხანს გაეციმბირებინეთ, ჭირისუფალიც მოისვენებდა და სოფელიც...

სთქვა და ნაოჭებიანი თეთრი ხელის ხმელ თითებში მომსხო გიშრის კრიალოსანი გაათამაშა.

შვენოდა ქალბატონური თავდაჭერილობა, დინჯი, აუჩქარებელი ლაპარაკი. გარდასული სილამაზის ლანდი უკრთოდა პირისახეზე. სწორი ცხვირი და მარცხენა ლოყაზე მიმჯდარი ხალი სიმტკიცის იერს ჰფენდა. ხოლო წელთა დენით შეფერფლილ თვალებში დროებისაგან მიყენებული მწუხარება დარდის მუქ არშიად შეჰქსოვებოდა.

- რას გვერჩი, შვილო... რა დაგვიშავებია?.. აი, ახლაც ამ თემშარაზე რომ გამოსულხარ და თავს აჭერინებ, გამზრდელ მამიდას რას ეუბნები? სახლ-კარს ვის უტოვებ?.. ღმერთს რა პასუხს აძლევ ამდენ საცოდავებისათვის? მოხუცებულობას რატომ გვიმწარებ, რომ ასე თავი გაგიწირავს.

დაასრულა ნაღვლიანი საყვედურით და ისევ გზა განაგრძო.

- ნუ ხარ აქ, შე უღვთო... წადი, დაიმალე სადმე! დაგიჭერენ! არ გესმის? _ შეუცაცხანა ანდროს მაიკომაც და თავის ქალბატონს აედევნა.

ანდროს არ გაჰკვირვებია ასეთი შეხვედრა: არჩილის დედას ყოველ მის დანახვაზე უთუოდ მოაგონდებოდა შვილი, პოლიცია, ჩხრეკა, დაპატიმრება და ათასი ასეთი უბედურება, რაშიც წილი ანდროსაც ედვა, როგორც არჩილის უახლოეს თანამშრომელს.

მაიკოს შეცაცხანებაზე სხვა დროს ანდროს უთუოდ გაეცინებოდა.

მაიკო ხორცით და სულით სალომეს ისე შებერებოდა, რომ დამოუკიდებელი აზროვნების უნარი დაჰკარგოდა. იგი თავის ქადბატონის ფიქრებისა და წარმოდგენის უშუალო გამოძახილი გამხდრიყო.

ანდროც ყოველთვის საციმბირო კაცად ჰყავდა წარმოდგენილი, რომელზედაც პოლიციას მუდამ უნდა ენადირნა. თუმცა მაინც ეცოდებოდა და სალომესებურად არიგებდა ჭკუას, როცა შემთხვევა მიეცემოდა: ჯერ გაჰკიცხავდა, მერე გააფრთხილებდა და მამიდას შეაცოდებდა, ბოლოს არჩილის დაკარგვასაც დააბრალებდა.

ამიტომ ანდრო ერთსაც და მეორესაც გაუჩუმდა.

მაგრამ მიმავალი სალომე კიდევ განაგრძობდა ჩივილს:

- უბედურება არ არის, მაი, რომ ჩემი სტუდენტი შვილი, დიდი ზურაბ დადიშიანის შთამომავალი, ანდროსთანა ბიჭებს მეგობრობს; მე კი მას ჩემი ქალობა შევალიე და ქმრის სიკვდილის შემდეგ ერთი ნათელი დღეც არ მინახავს... განა ამისთვის გავუწიე მამობა, იმისათვის გავგზავნე რუსეთში, რომ სწავლის დამთავრების მაგიერ მეამბოხე გლეხებს გადაჰკიდებოდა და ჩემი ამაგი დაევიწყნა?

ამის გაგონებამ გული დასწყვიტა ანდროს. უკადრისობას არ მოელოდა არჩილის დედისაგან. სანახევროდ მისას იყო გაზრდილი, არჩილთან ერთად.

ცალი ყბა მოექცა.

- ჰეე... _ წარმოსთქვა გულდაწყვეტილმა. მაგრამ სიტყვა არ დაასრულა. ხელი ჩაიქნია და აჩქარებული გაჰყვა გზას.

წინ კიდევ დაინახა მომავალი მლოცველები. რომ არ შეხვედროდა ვისმე, გზიდან გადაუხვია. ადამიანთან დალაპარაკება ახლა აუტანელი იყო მისთვის.

...

სახლს უახლოვდებოდა, როცა მახლობელ ტყიდან გამაფრთხილებელი სტვენა მოესმა. მიიხედა, _ არსენა ხეს ამოფარებოდა და ხელით ანიშნებდა, ნუ ხარ მანდ, ტყეში შემოდიო. არსენას გვერდით იონაც შენიშნა. ესეც გაფაციცებით უქნევდა ხელს, ჩქარა აქეთ წამოდიო.

გაკვირვებულმა ანდრომ მეგობრებთან მიირბინა.

- რა ამბავია, ყმაწვილებო?

- ის ამბავია, ანდრო, რომ დასაჭერად დაგეძებენ! ამ დილას ყოფილან შენთან და გაგჩხრიკეს. პროკლამაცია სახლში გქონია. იპოვნეს და წაიღეს. ახლა უნდა დაიმალო, თორემ უთუოდ დაგიჭერენ.

ანდრო გაფითრდა.

- პროკლამაციები წაიღეს?

- მამიდაშენმა გვითხრა, წაიღესო; იმას ისიც ჰგონია, რომ შენ დაჭერილიცა ხარ და ძალიან შეშინებულია. წუხელ სახლში არ ყოფილხარ?

ანდროს სიტყვის ამოღებაც არ დააცალეს ამხანაგებმა, ჩაიყენეს შუაში და ტყის შუაგულისკენ გააქანეს.

- ნეტავი, საიდან გაიგეს, რომ სახლში პროკლამაცია მქონდა? რომ არავინ, იცოდა!

_ შეეკითხა ანდრო გზდაგზა მეგობრებს.

- ამაში დამნაშავე მე უნდა ვიყო, ანდრო, _ დაიწყო შეწუხებულმა არსენამ თავის გასამართლებლად. _ ფიქრადაც არ მომსვლია, რომ ასეთი ამბავი დატრიალდებოდა... წუხელ შინ რომ დავბრუნდი, ძილი გამიტყდა რაღაც... ვიფიქრე, რა დრო გავაცდინო- მეთქი... ღამეც მთვარიანი იყო... ავდექი და კანცელარიისკენ წაველი და ხუთი პროკლამაცია წინა კედელზე ავაკარი... ათიოდე წინ მოედანზე გავაპნიე. კვირაა, ხალხი გაივლის, ნახავს მეთქი... ჰო და ეს, ალბათ, შენთვის დაუბრალებიათ...

ანდროსთვის ახლა სალომეს და მაიკოს გაანჩხლებაც გასაგები შეიქმნა.

- მერე მთელმა სოფელმა გაიგო, რომ გაჩხრიკეს?

- დილით იყვნენ... ყველამ გაიგო. შენ დაჭერილი ჰგონიხართ.

გულჩათხრობილი მიჰყვებოდა ანდრო მეგობრებს, უნებისყოფოდ ეჭირა თავი, თითქოს არსენასა და იონას ხათრისათვის მიდიოდა ტყეში დასამალად.

ასე შევიდნენ ტყის შუაგულში.

- შენ, მგონია, წუხელ არც დაგიძინია, ანდრო. ფერზე არ ხარ... დასვენება თუ გჭირია, მიწექი ხის ძირში, ცოტა წაიძინე. ჩვენ გიყარაულებთ. _ უთხრა არსენამ ანდროს. დიდად გაკვირვებულმა მისი არაჩვეულებრივი მოქანცულობით.

- უგუნებოდ კი ვარ... მაგრამ არ იფიქროთ მეშინოდეს. დამიჭერენ, თქვენი ჭირი წამიღია... ნუ შეწუხდებით...

- არც ისეა საქმე! შენს თავს არავის დავანებებთ... საღამომდის აქ დავრჩებით, მერე...

- მერე მე ფოთისკენ გავუდგები გზას! _ ჩამოართვა უცებ სიტყვა ანდრომ არსენას. _ მაინც უნდა წავსულიყავი... _ მერე სახის შეუცვლელად ჩაეცინა, რაღაც არაბუნებრივად წარმოსთქვა. _ ხე, ხე... ურია წყალს მიჰქონდა, გზაც იქითკენ ჰქონდაო... ასეთი საქმე მჭირს!..

სთქვა და მოწყვეტით ერთი წიფლის ძირში მიწვა. ყაბალახი დაამრგვალა, თავქვეშ ამოიდო.

- რომ მართლა პასორტი მქონდეს, წავიდოდი ამღამესვე... _ ფული მეყოფოდა... იმ ოხერ თხილზე მონაგები...

თვალი ეხუჭებოდა.

არსენა თავთან მიუჯდა. იონა ცოტა მოშორებით დადგა.

- პასპორტი, სანდროს გარდა, აქ რავის აქვს. იმას უნდა გამოვართვათ... სანდროს პასპორტი ძალიან გამოგადგება. ვითომ სანდრო ხარ და ბიძია ერასტისთან მიდიხარ. ხომ კარგია? ერასტოს მაინც ვერ აუვლი გვერდს ფოთში, იცოდე, ზედგამოჭრილია სანდროს პასპორტი! _ ჭკვიანური გამომეტყველებით ეუბნებოდა არსენა.

- მართალია, უერასტოდ არჩილსაც ვერ მივაგნებ.

- მისი ბინა ხომ იცი? ყოფილხარ.

- ხომ არ გამოუცვლია, თუ იცი?

იონამ უპასუხა:

- არა... ამას წინად სანდრომ წერილი გაუგზავნა. ისევ ძველ ბინაზეა. ნამდვილად ვიცი.

მაგრამ ანდრო უკვე აღარ უსმენდა მეგობრებს. სადღაც არსენას იქით იცქირებოდა და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს არაფერი აინტერესებსო.

- ხო, ძალიან კარგი, _ უაზროდ უთხრა და თვალები დახუჭა უკაცრავად... არ შემიძლია.

- დაიძინე, დაიძინე! _ წააქეზა არსენამაც და ხმა გაკმინდა. ხოლო გამომცდელი თვალები კი მაინც მიაპყრო სახეზე. უნდოდა შეეტყო მეგობრის მოქანცულობის ნამდვილი მიზეზი, იქნებ, სახეზე დაეწეროსო. თუმცა ფიქრობდა:

«რა დიდი მიხვედრაა საჭირო, განა არ ვიცი, რაც სჭირს? რა უცნაურია, რომ მალავს!»

მაგრამ მაინც უნდოდა მეგობრის სახეზე ეპოვნა. ძილში ხომ ვერ დაჰფარავს, თუ გულში ცეცხლი უნთიაო.

ცოტახანში მართლაც ენიშნა:

კანს შიგნით რომელიღაც ძარღვი უცნაურად აუცახცახდა ანდროს და უფერული, ელვასავით ღრაკნილი ზოლები ცალ ლოყაზე გაავლო, ვიდრე კისრამდის.

- აი, გულის ჭრილობისაგან არის! _ დაადასტურა არსენამ თავისი აზრი და ერთხანს კიდევ არ მოაცილა თვალები მეგობრის სახეს. მერე უცებ წამოდგა, ფეხაკრეფით მიირბინა იონასთან და დიდმნიშვნელოვანი საიდუმლოებით ჰკითხა:

- შენ რას ფიქრობ, იონა, იმაზე, რომ ანდრო წუხელ სახლში არ ყოფილა? სად

იქნებოდა, შენი აზრით?

- რატომ მკითხავ ასე? რა არის? _ გაუკვირდა იონას.

- პროკლამაციები რაკი შინ აღმოჩნდა, ჩანს, სხვა საქმე ყოფილა... ა?

- რა საქმეზე?

- მე მგონია, იმ გოგოს წაყვანას არც ისე უმნიშვნელოდ ჩაუვლია მისთვის, როგორც გვარწმუნებდა.

- შესაძლებელია... დიდი გულჩათხრობილია, მაგრამ რატომ დაგვიმალავდა?

- ხომ იცი, ასეთი ხასიათი აქვს... ვინ იცის, რა წვალება გადახდა, მაგრამ არ ამბობს!.. ისე კი კაცის ფერი არ ადევს და... უცნაურად იქცევა.

- ჰუჰ, როგორ მებრალება, რომ იცოდე? შევცდით, არსენა, თორემ არც უნდა გვეკითხნა, ისე მოგვეშორებია თავიდან ის ვიღაც ოხერი...

- განა არ მინდოდა? მაგრამ არ ჰქნა, თავი მოიკლა...

მეგობრებში სიჩუმე ჩამოვარდა.

- ეტყობა, უჭმელიცაა, _ დაიწყო ისევ არსენამ, _ მოდი გაიქეცი და რამე საჭმელი მოარბენინე... მე ვუყარაულებ. ცოდვაა.

იონა მაშინვე დათანხმდა. დაფაცურდა წასასვლელად.

- მოიცა... შენი აზრით არ სჯობია, რომ არ წავიდეს; თავს ხომ აქაც შეინახავს? ცუდი დროა: ქალაქებში თურმე ხვრეტაა გახშირებული...

- არჩილთან მივდივარო, თორემ არც მე ვურჩევდი... ხომ იცი, გიომაც აიჩემა შარშან... წავიდა და მისი კვალი არ ჩანს... დაიკარგაო, ამბობენ ძალიან საშიშია შორს წასვლა.

არსენა საოცნებოდ განეწყო:

- კარგი მებრძოლი კი იქნება, ბიჭო, ანდრო... ძალიან მაგარია და გაბედული! ჰე, ნეტავი მეც მივდიოდე, ის კი არა... დიდი ბრძოლაა თურმე ქალაქებში გაჩაღებული გაზეთებში არ სწერენ თორემ რამდენს იქიდან მთავრობა ახრჩობს ჩვენიანებს, იმდენს ჩვენებიც ჰკლავენ სამაგიეროდ... აქ კი რა ცხოვრებაა! ლაჩრები გამოვდექით, ყველამ აგვიგდო.

- ჩვენი რა ბრალია? დრო დაუდგათ, ძმაო.

გულდაწყვეტილბი იყვნენ [1];?: წლის ბრძოლაგადახდილი ყმაწვილი გმირები

ნაღვლობდნენ, რომ ცუდი დრო დაუდგათ.

მცირე ხანს კიდევ ილაპარაკეს. მერე იონა საჭმლის მოსატანად გაიქცა. არსენა საყარაულოდ დარჩა.

...

ანდროს კი ტყის სიგრილეში ისე ჩასძინებოდა, როგორც ბუმბულში.

ხშირ ხეებს შორის მზე მხოლოდ აქა-იქ ატანდა. მისგან მდელო ისე იყო მოხატული, თითქოს ფირუზისა და მარგალიტის თვლები ყოფილიყო ზედ მიმობნეული.

გარშემო მყუდრო სიჩუმე იდგა, მსუბუქი, ფრთხილი, რომელიც ყოველ ჩქამზე შვლის ნუკრივით შეკრთებოდა ხოლმე, ყურების დაცქვეტით მიმოიხედავდა და ისევ გაყუჩდებოდა სულის განაბვით, თითქოს სიჩუმეც ანდროს ყარაულობსო.

ანდროს მართლა შვება ეგრძნო ძილში. ფერი შესცვლოდა: ლოყები ოდნავ შეწითლებოდა და გარემოს მშვიდი იერი სახის გამომეტყველებაში შექსოვებოდა. აკვანში ჩაკრულ ჩვილ ბავშვს დამსგავსებოდა. თითქოს უკანასკნელი დღეების მისი ტანჯვა ზღაპარი ყოფილიყო და ბედისწერას შეუბრალებელ დაყვავებას არ მოეწამლოს მისი შეგნება.

არსენამ ერთხელ კიდევ შეათვალიერა მიდამო. მერე ისევ ანდროსთან დაბრუნდა და თავთან დაუჯდა.

სახეზე რომ დახედა, გაკვირვებას მიეცა, თითქოს ვერ იცნო მეგობარი. გაუხარდა, რომ უჩინარი ძარღვი კანქვეშ აღარ უცახცახებდა ანდროს და ამას წინად შიშის მომგვრელი ამღვრეული გამომეტყველება ძილში სრულიად დამშვიდებოდა.

- გაუვლია! _ გაიფიქრა კმაყოფილებით. თავი მაღლა ასწია და მახვილივით მჭრელი თვალები ოთხივ კუთხით ტყეს შეავლო დასაზვერავად.

- ჰეე, მართლა არავინ იფიქროს, დრო დამიდგაო და... აქა ვართ!

...

ღამეა.

ტყის პირად ოთხი ლანდი დგას.

ანდრო გულამოსკვნით მტირალ მამიდას ეთხოვება და მის თავს არსენასა და იონას აბარებს.

- ჩემი ჯავრი ნუ გაქვს, მამიდა, მალე დავბრუნდები. ჩემ ხარ-ურემს არსენა და იონა ამუშავებენ. ლომას და ნიშასაც მოუვლიან. ყანებს მიხედავენ... შენც საზრდო არ მოგაკლდება.

პატარა ხურჯინი მხარზე აქვს გადაგდებული. უხანჯლოა. მაჟალოს ხის ჯოხიღა უჭირავს ხელში. გვერდში არსენა და იონა ამოდგომიან.

- თუ, ვინმემ გკითხოს, უთხარი, მის ჭკუაზე დადის-თქვა, მე არა ვიცი რა-თქვა...

და დაჩუმდა.

მამიდას სლუკუნი ახრჩობდა.

მერე უცებ მედგრად გაისმა:

- მშვიდობით!

და სამი მეგობრის ლანდი ერთდროულად მოსწყდა ტყის კალთას.

ანდროს უკანასკნელი სიტყვა კი სივრცის უჩინარმა მავთულებმა გაიტაცეს, ტყის სიღრმისაკენ გაათამაშეს და შორს, უფსკრულში გადასტყორცნეს.

კვნესამ შეარხია ჰაერი.

გარემოს გული ჩაუთუთქა.

...

კარგი დიდი მანძილი ჰქონდათ გასავლელი მეგობრებს. გადაეწყვიტათ, ყოველი ხიფათის თავიდან ასაცილებლად მახლობელ სადგურისათვის გვერდი აევლოთ და ანდრო მეორე სადგურზე ჩაესვათ ფოთის მატარებელში.

ხმა ამოუღებლად, ფრთხილად მიდიოდნენ:

წინ არსენა, ცოტა მოშორებით _ ანდრო და შემდეგ კი _ იონა.

IV

დიდი რეაქციის თარეში იდგა საქართველოში.

სამხედრო წესები. საველე სასამართლოები. სახრჩობელები. ეკზეკუციები. მაისური გადასახლება. ხვრეტა. დარბევა.

აქრობდნენ [1];?: წლის რევოლუციის ცეცხლს.

მაგრამ ხალხი მაინც არ ნებდებოდა, ბორგავდა, შფოთს განაგრძობდა.

ბევრი შეხიზნებოდა ტყესა და მთებს. უმთავრესად წითელრაზმელები.

პროფესიონალ რევოლუციონერებს და პარტიულ მუშებს კიდევ ქალაქებში გაეჩინათ საიდუმლო ბინები. არ სცხრებოდნენ, ბრძოლას მაინც განაგრძობდნენ.

დაიწყო ტერორი და ექსპროპრიაცია.

თავდაპირველად ამ ბრძოლას დისციპლინის უღელი ედგა. მიზანშეწონილობის აზრი ჰქონდა. «გამოსვლების» სადავე პარტიებს ეჭირათ ხელთ.

მაგრამ გამარჯვებული რეაქცია ფართო შემოტევას აწარმოებდა გაშლილი ფრონტით მოდიოდა.

თანდათან შეიზღუდა რევოლუციონური პარტიების გავლენის ფარგალი და ორგანიზაციული კავშირის თოკიც პარტიათა, ჯგუფთა და ცალკე პირთა შორის დამოკლდა.

მალე დემორალიზაციამ იჩინა თავი.

დაიწყო «დამოუკიდებელი» ექსპროპრიაციები.

მერე გამოჩნდნენ ვიღაც-ვიღაცეები, რომელთაც შემოიღეს კუბოიანი წერილების წერა და მუქარით ფულის მოთხოვნა.

გახშირდა ვაჭრების გატაცება ტყეში და მათი დაბეგვრა და სხვა ათასი უწესოება.

მთავრობა პოლიტიკურ პარტიებს აბრალებდა ამ ამბებს, პარტიები კიდევ მთავრობას.

ანარქია იყო გამეფებული.

...

ანდრო ქავთარაძე მშვიდობით ჩავიდა ფოთს.

მას კარგად ჰქონდა გათვალისწინებული მოსალოდნელი ხიფათი, როგორც გზაზე, ისე ქალაქშიც, სანამ არჩილამდე მიაღწევდა.

ორს რასმე ამყარებდა იმედს: ბედს _ ფარულად, და აშკარად კი _ პასპორტს და მოგზაურობის ლეგალურ მიზანს.

ეშინოდა, არჩილთან მისვლამდე არ ჩავარდნოდა ხელში ჟანდარმებს. არჩილთან კი, მისი აზრით, არაფერი გაუჭირდებოდა.

ზედმიწევნით გაეზეპირებია თავისი ვინაობა სანდროს პასპორტის მიხედვით. პასუხიც დაელაგებინა გუნებაში იმ შემთხვევისათვის, თუ ვინმე შეეკითხებოდა სოფლიდან წამოსვლის მიზეზს.

იგი ალექსანდრე, იგივე სანდრო, როსტომის-ძე გერგაძე იყო, ფოთელი მუშის, ერასტი გერგაძის ძმისშვილი და ოჯახური საქმეების გამო ბიძასთან მიემგზავრებოდა სასწრაფო დავალებით. ამ მხრით ანდროს თამამად ეჭირა თავი: თუ ვინმე ეჭვს შეიტანდა მის ჩვენებაში, სულ ადვილად გამოირკვეოდა, რომ ფოთში მართლა ცხოვრობდა ერასტო გერგაძე, რომელიც, რა თქმა უნდა, ყოველთვის დაადასტურებდა, რომ სანდრო მისი მკვიდრი ძმისშვილი იყო.

მზე ჩასულიყო და საღამოს ბინდი ნისლად დაწოლოდა ქალაქს, როცა ანდრო თავისი პატარა ხურჯინით მხარზე და ჯოხით ხელში ფოთის სადგურიდან გამოვიდა და ჩამოსულ ხალხს შეერია, _ ქალაქისკენ გაემართა.

პირველი ხიდის ყურესთან შესდგა. დაიწინაურა ჩამოსულები, მერე გაიხედ-გამოიხედა გარშემო და რაიონის მარჯვენა ნაპირს გაჰყვა აუჩქარებლად. ნავსადგურისაკენ მიმავალ გზას დაადგა.

ანდრო ორჯერ ყოფილა ფოთში და ორჯერვე ამ ქუჩით უვლია ერასტოს ბინისკენ. კარგად იცნობდა ფოთის ამ კუთხეს.

ერასტო გერგაძეს სმუგების უბანში ჰქონდა დაქირავებული ორთვალიანი პატარა ხის სახლი.

ეს უბანი ზედ ნავსადგურს ეკვროდა იმ მხრით, სადაც საზღვარგარეთული დიდი გემები დგებიან და შავი ქვით იტვირთებიან. იგი პატარა და ღარიბ სოფელს მოჰგავდა, _ საქათმეებივით წვრილ ბოძებზე შემდგარი სახლები, ვიწრო სარკმლიანები, შეძარცული ყავრის სახურავებითა და ხავსგაკიდებული კედლებით. ღობეშენგრეული უსწორმასწორო ეზოები ჰაერში შეყირავებული ჭის საქაჩავებით. ვიწრო მრული შუკები და მათ გასწვრივ გვერდებშელეწილი ჭიშკრისნაირი კარები.

უბანი განსაკუთრებულ ცხოვრებას ატარებდა. მისი მცხოვრებნი მთელი დღის განმავლობაში სამუშაოზე იმყოფებოდნენ, და ჩაკეტილ-ჩარაზულ სახლებში კაცის ჭაჭანებაც არ იყო. მიდამოც ნაოხრალი სოფლის შთაბეჭდილებას სტოვებდა. მხოლოდ ფერდებჩაცვივნული მშიერი ძაღლები ეზოდან ეზოში დაძრწოდნენ და გემების საყვირის ყოველ გაგონებაზე შუკებით ზღვისკენ გარბოდნენ წკავ-წკავითა და უიმედო ღრენით.

მაგრამ შეღამებისას სურათი იცვლებოდა. მუშები შინ ბრუნდებოდნენ და უბანიც

გამოცოცხლდებოდა. სარკმლებში სინათლე გაიბრჭყვიალებდა და მდუმარე სახლებიც ახმაურდებოდნენ: დაიწყებოდა აივნების მოაჯირებზე გადმოდგომა და შავი ქვის მტვრით შემურული ხელ-პირის საყოველთაო ბანვა, წენგოიანი ტანსაცმლის გამოცვლა. გაძახ-გადმოძახება. მერე მისვლა-მოსვლა. პურის ჭამა, ზოგან კიდევ მოგვიანოდ მეგრულ-გურული კრიმანჭულიანი სიმღერები და სადღეგრძელოები.

...

მოაწია თუ არა ამ უბნამდის, ანდრომ მყისვე ნაცნობ შუკას მიაშურა. სამშვიდობოს ეგონა თავი და გამარჯვებულის სითამამე ეტყობოდა. ერასტოსათვის სალამიც კი პირზე ეკერა გამზადებული.

მაგრამ შუკის პირად მომაღლოდ მდგომ ერთი ჩაბნელებული სახლის აივნიდან ვიღაცა ლანდივით გადმოიზნიქა და წელზეითა ტანი შუკისკენ უცნაურად გადმოისროლა. ასე დაუწყო მზერა უშიშრად მიმავალ ანდროს.

ეოცა ანდროს, მაგრამ გზა მაინც განაგრძო.

- ჰეი, რომელი ხარ? შესდექი! _ შეუტია უცებ უცნობმა გურულ კილოზე.

ანდრომ ვერ გაარჩია, ნამდვილად შემოუტია ლანდმა თუ ეხუმრა.

მის ხმას ხუმრობის კილოც დაჰკრავდა.

შესდგა ანდრო, შეათვალიერა უცნობი, რომელიც ოჩოკოჩად მოეჩვენა ამ ღამეში.

- არავინ... მე ვარ... _ მიუგო დაბნევით, ფრთხილად.

- შენ რომ ხარ, გხედავ, რას მალავ ვინაობას, ძმავ? სთქვი! ისე მიიპარები, ავი სული უნდა იყო, სად მიდიხარ? _ დამხვდური აღარ ხუმრობდა.

- ერასტო გერგაძესთან... რა გნებავს?

- ასე სთქვი, შე კაი კაცო! სამეგრელოდან მოდიხარ? _ შეარბილა ხმა უცნობმა, ხელის გული თვალებზე ჩამოიფარა და კიდევ დაკვირვებით შეათვალიერა ანდრო.

- დიაღ...

- რა ამბავია სოფელში? ხომ არაფერი სჭირს?

- მშვიდობა...

- მშვიდობა მოგცეს მამაზეციერმა... _ ახლა ხუცური წართქმით გააბა უცნობმა. მერე უცებ ორი თითი პირში ჩაიდვა და ზედიზედ მოკლედ, მაგრამ მაღლა დასტვინა. შემდეგ ისევ ანდროს მოუბრუნდა:

- კაცო, შენ, იქნება, ერასტოს ძმისშვილი ხარ?

- დიაღ... _ გაუბედავად დაუდასტურა გაკვირვებულმა ანდრომ.

- ბიჭოს! სანდრო ხომ არ ხარ, ჩქიმი ჯიმაია? ვერ გიცანი!

ახლა კი დაიბნა ანდრო. აღარ იცოდა, რა ეპასუხნა. მის ბედზე მახლობელმა ჭიშკარმა შეიჭრიალა და ერასტოს ხმაც გაისმა:

- სამსონა ხარ? რამ დაგაყენა სტვენი გუნებაზე? _ შუა შუკაზე გამოვიდა და ანდროსკენ წამოვიდა.

- სტუმარი ჩამოგივიდა... აბა, თუ იცნობ? მე კი ვერ ვიცანი. უცხო მეგონა და არ გამოვუშვი, _ უთხრა აივნიდან ერასტოს სამსონამ.

- ანდრო?! საიდან, ბიჭო! _ მიახლოვებისთანავე იცნო ერასტომ ანდრო. გაუხარდა, მივიდა, ხელი ჩამოართვა. გადაკოცნა.

- რა ამბავია? ხომ არ გიჭირთ რამე?

- არა... სანახავად ჩამოვედი.

- მე კი სანდრო მეგონა! რამდენი ძმისშვილი გყოლია, შენ, ჩემო ბიძია, _ ჩაურთო სამსონამ ერასტოს სიტყვაში.

- მაშ შენ რა გეგონა? გერგაძეებს ნუ ეხუმრები! _ ხუმრული კვეხნით ესროლა მას ერასტომ, ხელი ხელში გაუყარა ანდროს და ბინისკენ წაიყოლია.

...

დაბალჭერიანი ოთახი. ბუხრის თავზე პატარა ლამპა. ბუხარში მბჟუტავი ცეცხლი და ზედ მიდგმული მაღალყელიანი ძვლებური თუნგი. შუა ოთახში გრძელი მაგიდა. გარშემო სამიოდე ტაბურეტი. კუთხეში, კედლის გასწვრივ, უზეწრო და უბალიშო საბანგადაფარებული მოგრძო ტახტი.

ანდრომ თვალის ერთი მოსმით შეათვალიერა ერასტოს ნაცნობი ოთახი. ხურჯინი ჩამოხსნა და კუთხეში მიაყუდა.

- დაჯექი, ანდრო... მიამბე ჩვენი სოფლის ამბავი... როგორ არიან? _ ანდრო ჩუმად ჩამოჯდა სკამზე. ხმა ვერ ამოიღო. სახეზე კი ზედმეტი ბარგივით ღიმილი შერჩენოდა.

- რამ გაგაჩუმა ასე, ანდრო? იმ გურულს ხომ არ შეუშინებიხარ?

ანდრომ შეაგვიანა პასუხი.

- არა... შემაჩერა და...

- ამხანაგია... სანდრო ჰგონებიხარ, ალბათ.

ანდრო უცებ წამოდგა. უხერხულად მიიხედ-მოიხედა. ბორძიკით დაიწყო:

- ერასტო... სანდროს სახელს მე ვატარებ... მისი პასპორტი მაქვს... და ვითომ შენთან ჩამოვედი... სანდრო დამიძახე.

- ჰოო... ასე გაქვს საქმე! კარგი და პატიოსანი... მერე რა ვუყოთ, შე კაცო? დღეს ყველა ასე ცხოვრობს. ამან ჩაგაფიქრა?.. მაშ, ჩემო სანდრო, ახლა მაინც მიამბე რამე...

ამ დროს შეუმჩნევლად ანდროს პირდაპირ განისმ კარი გაიღო და გაბოლებული პაპიროსით პირში, თავზე გიდელივით ჩამოცმული ყაბალახით, მომაღლო თხელტანიანი კაცი კართან აიტუზა.

თვალის შევლებისთანავე იცნო იგი ანდრომ. აენთო. სახეზე სისხლი მოაწვა გაოცდა.

მის წინ მისი საყვარელი არჩილი იდგა და სახეში მომღიმარი შეცქეროდა.

უმწეო თვალებით შეხედა ანდრომ ერასტოს.

«ნუთუ მართლა არჩილია?»

- ვერ მიცანი, ანდრო? _ მიმართა ბოლოს არჩილმა და ჩამოსართმევად ხელი გაუწოდა. ანდრო კი ბავშვივით გადაეხვია.

- ყოჩაღ, ჩემო ანდრო! ძალიან მიხარია შენი ნახვა. არ მოგელოდი.

მერე ერასტოს მიუბრუნდა.

- მე ჯერ ნიკო მეგონა ხმა რომ გავიგონე, გამიკვირდა სად ნახე?

- მეც მეგონა, ნიკო იყო სამსონამაც ისეთი ნიშანი მოგვცა. გავიხედე: ანდრო უკაცრავად... ეს სანდრო კი შემრჩა ხელში.

- ეს რა ამბავია, ანდრო? ხომ არ იმალები, სახელი რომ გამოგიცვლია...

ანდრომ მხოლოდ თავი დაუქნია დასტურის ნიშნად.

- ჰო-ჰო... ერასტოს ჩვენს ოჯახს. აბა მითხარი, რაშია საქმე? _ არჩილმა სკამი მოსწია. ანდროს გვერდით დადგა.

- მოჰყევი შენი თავგადასავალი!

არ ელოდა ანდრო, რომ არჩილს ერასტოსთან ნახავდა. მოულოდნელი გახარებისაგან პირი ვერ მოებრუნებინა.

მაგრამ, როგორც იყო, უამბო მეგობრებს თავგადასავალი. ხოლო, რა თქმა უნდა,

ნაწილობრივ: პროკლამაციების ამბავი და მასთან დაკავშირებული მისი გაჩხრეკა დ დაპატიმრების საშიშროება.

- მე ვყოფილვარ დამნაშავე! _ დააბოლოვა მისი სიტყვა არჩილმა. _ თუმცა არ ვნაღვლობ სრულიად. შენც ნუ ინაღვლებ, ჩემო ანდრო: ვინც ვარგა, დღეს ყველა ამ ყოფაშია. შენ რას იტყვი, ერასტო: საჭირო იყო ხომ აქ ანდრო?

- რა საკითხავია. რომ არ ჩამოსულიყო, უნდა დაგვებარებინა.

შეაქეს ანდრო. მიუალერსეს.

განსაკუთრებულად არჩილი ეფერებოდა. ესიყვარულებოდა.

- ჯავრი ნუ გაქვს: ერთად ვიქნებით. ერთად ვიმუშავებთ. ადრე თუ გვიან გამარჯვება ჩვენია, ეს იცოდე. _ უთხრა და წასაქეზებლად ლოყაზე ხელი მიუთათუნა.

ზღვისფერი თვალები ჰქონდა არჩილს, მეოცნებე. სახეზე მოალერსე ნათელი იერი უკრთოდა, მიმზიდველი, მომაჯადოები. სულ კი არა ჰგავდა მებრძოლს.

«ამას კი ყველაფერს გავუმხელ», _ ფიქრობდა თავისთვის ანდრო, _ «არაფერს დავუფარავ».

ამისგან გულის ტვირთი შეუმსუბუქდა. უფრო თამამად ჩაება საუბარში.

არჩილს ახლა სოფლის ამბავი აინტერესებდა. ნათესავები მოიკითხა. მეზობლები, შორეულებიც.

ამასობაში ერასტომ ჩაი დაამზადა.

მაგიდას მოუსხდნენ.

აეშალათ მოგონება: [1];?: წლის ამბები, თავგადასავალი, გამარჯვება. დამარცხება.

ბოლოს არჩილმა შეპარვით ვარდოს ამბავიც ჰკითხა ანდროს.

ანდრო უცებ გაწითლდა. თვალები დაჰხარა.

- არ ვიცი... დიდი ხანია არ მინახავს! _ იცრუა.

არჩილს არ გამოჰპარვია ანდროს ფარული უხერხულობა.

- აფხაზურ ჩვეულებას ხომ არ მისდევ, ანდრო? ჯერ არ შეგირთავს ის ქალი, და რას ემართლები, რომ ასე უარყოფ?

მაგრამ მეორე წინადადებაზევე შეიცვალა სახუმარო კილო. შეამჩნია, რომ ანდრო ამ საგანზე სასაუბროდ არ იყო განწყობილი.

«ალბათ, ერთმანეთს ებუტებიან, ჩემი და ცაცასი არ იყოს», _ გაიფიქრა. _

«საკვირველია, რომ ეს სიყვარული ყველგან და ყოველთვის ერთნაირია». _ და საკუთარი თავისადმი მიმართული ირონიული ღიმილი სახეზე აეკრა.

...

იმ საღამოს ერასტოს ბინაზე არჩილს საიდუმლო მოლაპარაკება ჰქონდა დანიშნული. მასთან ძველი პარტიული მუშა უნდა მისულიყო, ცნობილი კონსპორატორი _ ნიკო. მაგრამ აგვიანებდა.

ანდრომ ერთხანს სულაც დაავიწყა არჩილს ეს პაემანი. მხოლოდ მოგვიანოდ გაახსენდა, როცა ბავშვობის მეგობართან საუბრით გული მოიჯერა.

- მართლა სად არის ეს ნიკო ამდენი ხანი? _ გახსენებისთანავე ჰკითხა მან ერასტოს. _ ახალი ხომ არაფერი შეგიტყვია მისი საქმისა?

- ახალი არაფერი... მზადებაში არიან.

- ნეტავი, გადაიფიქრებდნენ. ა? შენ რას იტყვი. ძალიან სახიფათოა მათი განზრახვა! _ მერე ანდროს გადახედა, შეუცინა. _ ანდროსთან ყველაფერი ითქმის... ესეც დიდი მესაიდუმლეა. ხო და, შენი არ ვიცი, ერასტო, მე კი წინააღმდეგი ვარ მაგ საქმისა. კაცო, ბოლშევიკები აქ ცოტანი არიან და ჩვენს ხარჯზე უნდათ ფონს გასვლა... დაუჩემებიათ, გინდათ, თუ არა, მატარებელს უნდა დავხვდეთ, პატიმრები გავათავისუფლოთ და ჯარს იარაღი ავყაროთო. იმას კი არ უწევენ ანგარიშს, რომ ამის დრო აღარ არის. ძალაც არ შეგვწევს.

- გონი, სამსონასაც უპირებენ გადაბირებას. ვაჟკაცი არისო. იარაღი დაგვრჩება ბლომად და დაპატიმრებული ამხანაგები დაგვიბრუნდებიანო. ასე და ამნაირად მუშაობასაც უფრო გავაჩაღებთო...

თუ ბრძოლაა, ბრძოლა უნდა იყოსო.

- ჰე... ბრძოლაც არის და ბრძოლაც, ჩემო ერასტო!

- რაც კი ბრძოლის დროს მტერს ასუსტებს, ყველაფერი მისაღებიაო...

- ასეთი ბრძოლა ჩვენ გვასუსტებს და არა მტერს. რამდენი მსხვერპლი სჭირია. არა, მე არ მივცემ ნებას, ჩვენს რაიონში ეს მოხდეს. შეუძლებელია! _ ცხარობდა არჩილი და კუთხიდან კუთხეში დადიოდა პაპიროსის განუწყვეტელი ბოლებით.

ანდრო კი სმენად იყო გადაქცეული. არჩილის გაცხარების მიზეზი მაინცდამაინც კარგად ვერ გაერკვია, ხოლო კი მიმხვდარიყო, რომ საკითხი დიდად საიდუმლო საქმეს

შეეხებოდა. მალულ სიხარულს განიცდიდა, რომ ასე ახლოს იმყოფებოდა არჩილთან და პარტიულ საიდუმლოებას მის წინაშე არ ფარავდნენ.

მაგრამ მალე თავისებური სტვენის ხმა შემოიჭრა ოთახში. მეგობრები ყურების ცქვეტით ზეზე წამოვარდნენ. ერასტო კარებისკენ გაეშურა.

- სამსონას ნიშანია! ეს კი ნიკოა, ალბათ!

- სხვა არავინ იყოს, იცოდე! _ მიაძახა მას არჩილმა და კარამდის მიჰყვა. მიაყურა ერთხანს და მერე ზედ კართან მოკლედ გაიარ-გამოიარა. აღელვებას ვერ მალავდა. სახეზე ოდნავ შეფითრებული იყო.

ბოლოს, თითქოს პირველდ შეამჩნიაო ანდრო, უცებ შესდგა მის წინ და ნაძალადევი მოფერებით გაუღიმა:

- შენ ნუ გეშინია, ანდრო. ამხანაგია.

- ხელს თუ შეგიშლი, წავალ და მერე... _ მორიდების გამოხატვით დაიწყო ანდრომ.

- არა, შენ აქ მოისვენებ, ჩვენ მეორე ოთახში ვიქნებით. ნუ მოგერიდება. აი ლოგინი... დაწექი. დაიძინე, ნამგზავრი ხარ... თუ რასმე ყური მოჰკრა, გულს ჩაიმარხე შენებურად. _ უთხრა მას არჩილმა ერთხელ კიდევ მიუალერსა თვალით და იმავე კარით გავიდა, რომლითაც ამას წინათ შემოვიდა.

V

ნიკოს ორი ამხანგი მოჰყვა თან. ერთი მათგანი პარტიული იყო, მიხელა-იმერიელი, ბოლშევიკი, რომელსაც არჩილი კარგად იცნობდა. მეორეს კი პირველად ხედავდა.

ნიკოს მოსვლამდე არჩილი ფიქრობდა, შეკამათებოდა მას ამხანაგურად და ამნაირად დაერწმუნებინა, რომ ის განზრახვა დაუშვებელი იყო პარტიული ინტერესის თვალსაზრისით. ახლა კი მის საიდუმლო ოთახში უცნობის შემოსვლამ ისე იმოქმედა მასზე, რომ წინასწარ გადასწყვიტა, უკამათოდ უარეყო ნიკოს წინადადება და მასთან სიტყვა არ გაეგრძელებინა.

მაგრამ ნიკომ ჩვეულებრივი საუბრით დაიწყო. მოიშინაურა ახალი გაცნობილი და შემდეგ მოსვლის მიზეზი განუმარტა.

არჩილი ძალაუნებურად მიჰყვა.

მალე დიდი კამათი შეექმნათ.

კამათის საგანი იყო: ჭალადიდის რაიონში, პატარა ფოთს და ჭალადიდს შუა, საფოსტო მატარებელზე თავდასხმა, რომელსაც პოლიტიკური პატიმრები, ჯარის მცირე ნაწილი მოჰყავდა და სახაზინო ფულიც გადმოჰქონდა ფოთისათვის.

ნიკო ამტკიცებდა, რომ ეს საქმე აუცილებელი იყო და პარტიისათვის მრავალი მხრით მნიშვნელოვანი. მისი აზრით, ეს აქტი თავისთავად აგიტაცია იქნებოდა, რომელიც ხალხს კიდევ მოაგონებდა რევოლუციონერების სიძლიერეს. გრდა ამისა, ის დეზორგანიზაციასაც შეიტანდა მტრის ბანაკში, ხოლო პარტიას კი გააძლიერებდა, რაც ასე საჭირო იყო არარეგალური მუშობის გასაჩაღებლად.

ნიკო დაბალი, მაგრამ მკვრივად შეკრული ტანის კაცი იყო. მკერდბურთიანი. შეუპოვარი ჩანდა: სქელი, გაერთიანებული წარბები, პირდაპირ მომზირალი თვალები, მაღალი ცხვირის ჩრდილში მიმალულები ყურსალებივით. მოურიდებელი ლაპარაკი სჩვეოდა. ხმას ბრძანების კილოს ატანდა და თავისებურს, ხანგრძლივ პარტიულ მუშაობაში შეძენილ რიხს.

პარტიული სკოლა ბათომში ჰქონდა გავლილი, სადაც სამხედრო ორგანიზაციის თვალსაჩინო წევრად ითვლებოდა. ფრაქციული განხეთქილების გამწვავების შემდეგ ქუთაისში გდასულიყო სამუშაოდ. გაბედული მებრძოლის და ორგანიზატორის სახელი ჰქონდა მოხვეჭლი.

ამ საღამოსაც ასეთი იყო, როგორც ყოველთვის: შეუპოვარი და მოურიდელები. მოითხოვდა, რათა ფოთის ორგანიზაციას აქტიური მონაწილეობა მიეღო მატარებელზე თავდასხმაში.

- ამ შემთხვევაში მე შენი წინააღმდეგი ვარ პრინციპულად, ამხანაგო ნიკო. _ ჩამოართვა მას არჩილმა სიტყვა, როცა მოუსმინა. _ ასეც რომ არ იყოს, უგნურება იქნებოდა ახლა ფოთში ზედმეტი რეპრესიების გამოწვევა. ძლივ-ძლივობით აღვადგინეთ აქ ორგანიზაცია და განვაახლეთ პარტიული მუშაობა. ახლა კი შენი გეგმით ყველაფერი უნდა დაიშალოს და ისევ დაინგრეს.

- ეს რატომ, კაცო?

- ადვილი გასაგებია: რეაქცია, საველე სასამართლოები. თვითნებობა. მოხდება

თუ არა ახლოს ასეთი დიდი საქმე, ნაცარტუტას აგვადენენ.

ნიკოს დამცინავი ღიმილი მოწყდა სახეზე. ამხანაგებს გადახედა. მერე ისეთი თვალებით შეხედა არჩილს, თითქოს მის გულწრფელობაში გამანადგურებელი ეჭვი შეიტანაო.

- ამხანაგო, მე არ ვიცი, რას აკეთებს აქ თქვენი ორგანიზაცია და რისი რევოლუციონერები ხართ, თუ ბრძოლის დროს აქტიურ მოქმედებას გაურბიხართ. ნაცარტუტას აგვადენენო... ორგანიზაცია ორგანიზაციისათვის კი არ უნდა არსებობდეს, არამედ ბრძოლისათვის, ამხანაგო არჩილ. აგვადენენ, ჩვენც უნდა ავადინოთ სამაგიეროდ.

- კი, მაგრამ...

- ჰე, სხვანაირად მსჯელობ რაღაც... ასე ლიკვიდატორები ლაპარაკობენ, კაცო.

- უკაცრავად, ასე ლაპარაკობს ს.დ. პარტია.

- ჩვენ ვიცით, რას ლაპარაკობს ჩვენი პარტია. ამას მე ახლა ფოთელი ამხანაგები ვერ მასწავლიან, თუმცა ის კი არ მაქვს შენთან სადაო, მოხდეს, თუ არ მოხდეს ეს აქტი... ეს უკვე გადაწყვეტილია, და მე სრული მინდობილობა ქუთაისიდან მაქვს. აქ მხოლოდ ის არის გამოსარკვევი, მიიღებს მონაწილეობას ამ საქმეში ფოთის ორგანიზაცია თუ არა?

- თუ საკითხი ასე დგას, მე შემიძლია მოკლედ გიპასუხო: არა.

- ეს პირადად შენი პასუხია, თუ...

- ჩემი და იმ ორგანიზაციისაც, რომელსაც მე ამჟამად ვხელმძღვანელობ, _ იგი სავსებით გამოხატავს პარტიის შეხედლებას ამ საგანზე.

- მეეჭვება...

- გარწმუნებ, რომ ასეა.

- თქვენ ამახინჯებთ პარტიის აზრს. მე ამას აშკარად ვამბობ. აქაო და ბრძოლაზე ხელს ვიღებთ და ამას პარტია გვიკარნახებსო. სირცხვილია, სხვა არა იყოს რა... პარტიის თქვენ არაფერი გცხიათ!

- თქვენ კი, ამხანაგებო, ამ საკითხის არაფერი გესმით!

აქ ნიკო უცებ გაუჩუმდა არჩილს. ზიზღით შეათვლიერა თავიდან ბოლომდის და სახის შეუვლელად გიჟივით გადაიხარხარა.

- გესმით, ხალხო, ეს კაცი რას ამბობს? _ ვითომ გაოცებით მიმარა მან თავის

მეგობრებს. _ და ასეთი კაცი ათასზე მეტი მუშის ხელმძღვანელად გვევლინება! ჩვენ გარეშე მტერს ვებრძვით და შიგნით პარტიაში კი უარესი გვყოლია! _ მერე ისევ არჩილს მიუბრუნდა. _ ამხანაგო, ჩვენ კი, მუშებს, გვგონია, რომ მტერს ტერორზე ტერორითვე უნდა გაეცეს პასუხი, და ინტელიგენტურ ქანაობასა და წაჯექ-უკუჯექობას პარტიაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს! მე გეუბნებით თქვენ იმ მუშების აზრს, რომელთა ხელმძღვანელად თავი მოგაქვთ... თქვენ, ინტელიგენტები, ჯერ კიდევ შორს ხართ მუშებისაგან! მაშ! ჩვენი სისხლი იღვრება, და თქვენ კი წამომჯდარხრთ აქ, კაბინეტებში და რაღაცას მიედ-მოედებით... პროგრამაო, პრინციპიო. გვაშინებთ! ალბათ, ჩუმჩუმად ნაციონალიზმის შხამითაც სწამლავთ ხალხს. კმარა. გადმოგვეცით სადავეები, ბატონებო, და იცოდეთ, რომ რევოლუცია ჯერ კიდევ არ დამარცხებულა.

ნიკომ კარგად იცოდა ნიშნის აღება. «ინტელიგენტი», «ინტელიგენტური ქანაობა», «ნაციონალიზმის შხამი» უდიდეს ბრალდებად ითვლებოდა პარტიულ წრეებში.

შეწუხდა არჩილი. ერთხანს თითქოს საპასუხო არაფერი ჰქონდა. მერე უცებ წამოწითლდა სახეზე. წმოდგა და ჩვეულებრივად მოკლედ გაიარ-გამოიარა პატარა ოთახში.

- რა საჭიროა ჩემთან ასე ლაპარაკი, ნიკო? _ მოულოდნელი სილბილით დაიწყო მან. -

პირველად ხომ არ მხედავ, შე კაი კაცო. დემაგოგიას აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ვინც მიცნობს, მან ჩემი «ქანაობის» ამბავიც უნდა იცოდეს. არ მონია, რომ შენც არ იცნობდე ჩემს მუშაობას. და, განა იმის უფლება არ მაქვს მე, რომ პარტიის სახელით გითხრა: ასეთი ტაქტიკა არ არის ჩვენი პარტიის ტაქტიკა-მეთქი. ჩვენ მასიური, პროლეტარული, მუშათა პარტია ვართ და ამიტო შეუწყნარებელია ის, რასაც შენ მეუბნები. ამბობ, ქუთაისმა მომცა მინდობილობაო...

- დიაღაც. ქუთაისის კომიტეტმა.

- რა ვუყოთ მერე. ქუთაისის კომიტეტი შემცდარა.

- იქნება, იმიტომ, რომ ის ბოლშევიკურია.

- მე ეს არ მითქვამს. ვამბობ, რომ ამ შემთხვევაში იგი შემცდარია!

- უკაცრავად, ამხანაგო, უნდა გაგაწყვეტინო. მე აქ ფრაქციული კამათისათვის არ მოვსულვარ. ჩანს, რომ თქვენ ფრაქციული ინტერესით ხართ დაბრმავებული და ფოთში

ცალმხრივ პოლიტიკას აწარმოებთ.

- სრულიადაც არა!

- ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს. აკი ახლა სთქვი ქუთაისელი ამხანაგები პარტიას ღალატობენო. უნდა გითხრა, რომ პირადად შენგან ამას არ მოველოდი, ამხანაგო არჩილ,. ცხადია, იმდენად ხართ ამ საქმის წინააღმდეგი, რამდენადაც მისი ინიციატივა ჩვენ, ბოლშევიკებს, გვეკუთვნის. მაშ, რა არის ეს, თუ არა ფრაქციული ბრძოლა? ამ ხაზით თქვენ იქამდისაც მიხვალთ, რომ რევოლუციასაც კი ეტყვით უარს, რაკი ის ჩვენ გვწამს.

- ჰეე, შენ დემაგოგიას არ ეშვები, ნიკო. ეს ხერხი ჩემთან ვერ გასჭრის! _ გაცხარდა ახლა არჩილიც, _ მე გეუბნები, პრინციპული წინააღმდეგი ვარ-მეთქი, ფრაქცია აქ რა მოსატანია? ფრაქციონერი მე სულაც არ ვარ.

- ვიცით, ვიცით... _ დიდმნიშვნელოვანი ორაზროვნებით გააწყვეტინა ნიკომ.

- რა იცით, კაცო? თქვენ პარტიის დეზორგანიზაციას ახდენთ და პირიქით გვედავებით. რა უფლებით, ნეტავი ვიცოდე! ახლა ნიკოც წამოდგა. უცნაურად გამოიჭიმა და რიხით განაცხადა:

- თქვენ შეგიძლიათ ეს საკითხი ცენტრში გადაიტანოთ, ამხანაგო, ხოლო რაც შეეხება საქმეს, იგი უთუოდ უნდა შესრულდეს. რა თქმა უნდა, თქვენ შეგიძლიათ მასში მონაწილეობა არ მიიღოთ. მორჩა და გათავდა. მეტი სალაპარაკო თქვენთან არ მაქვს. მაგრამ ერთიც გულახდილად კი უნდა გითხრა... რაც უნდა იყოს, ერთად გვიმუშავნია... პირში გეტყვი: თქვენისთანებს პრტიაში ადგილი არ უნდა ჰქონდესთ! ნუ გეწყინება!

სთქვა და გასავალ კარებს მიაშურა.

- აბა, ამხანაგებო, ნუღარ ვაყოვნებთ, წავიდეთ, _ მოუბრუნდა იგი მასთან მოსულებს და კართან შესდგა. ისინიც უმალვე წამოიშალნენ.

- არ შემიძლია დაგაკავოთ, _ მიმართა ნიკოს თავშეკავებით არჩილმა. _ ამ ამბავს ხვალვე ჩავიტან ქუთაისში. საინტერესოა, მართლა ასე მსჯელობენ ამხანაგები, თუ არა...

- მარტო ამისათვის თუ აპირებ წასვლას, ნუ ირჯები: შემიძლია დგარწმუნო, რომ ასეა საქმე.

- არა, მაინც უნდა წავსულიყავი... სხვა საქმეც ბევრია, გრწმუნებ.

- ხო, უთუოდ საჭიროა ფოთის ჭაობს იქითაც გაიხედოს კაცმა, რომ არ ჩამორჩეს! _

გესლით ესროლა ნიკომ და გავიდა. მას ამხანაგებიც მიჰყვნენ. ხოლო ამათ ნიშნად გამოსალმებისა გასვლისას სახე ირიბად მოიქციეს და თავი ისე დაუქნიეს არჩილს. ამანაც ასე უპასუხა.

- ერასტო, გააცილე! _ მიმართა დამშვიდებული ხმით არჩილმა ერასტოს, რომელიც მთელი დავის განმავლობაში კუთხეში იდგა გაქვავებულივით და ასე ისმენდა კამათს.

ნიკოს წასვლის შემდეგ არჩილი ერთხანს კიდევ დარჩა თავის პტარა ოთახში. ბრაზს იმორჩილებდა. მერე ჩვეულებრივი პოზა მიიღო: ცალი ხელი ზურგს უკან ქამარზე მოიკიდა, ცალით კი გაბოლებული პაპიროსი ტუჩებთან გაათამაშა და ამ სახით რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახში.

- მოდი და იმუშავე ამისთანა ხალხში! _ სთქვა ბოლოს და ერასტოს ოთახში გავიდა, სადაც ანდრო დასტოვა.

სმენად გდაქცეული ანდრო კი ზედ კართან მიმდგარიყო და ისე აბრიალებდა თვალებს, თითქოს მთელ ოთახს ანათებსო.

- შენ კიდევ არ გძინავს, ანდრო? _ ჰკითხა მას არჩილმა შესვლისთანავე.

- არა.

- რტომ მერე? ხომ არაფერი გინდა?

- მე რა უნდა მინდოდეს! _ და ანდრომ თვალებში ჩახედა არჩილს. არჩილმა შეამჩნია, რომ მისი მეგობარი მასზე ნაკლებ არ იყო აღელვებული. მოეწონა. უცებ მოულბა გული.

- შენც გაგაჯავრა იმ კაცმა, ანდრო. არა უშავს რა, ამხანგია:

- თუ ამხანაგია, რატომ არ გიჯერის?

- შე კაცო, განა არ იცის, რომ კამათის დროს ეს ხშირად ხდება?

- მაგრამ ის ხომ ფედერალისტი არ იყო, ან ნაციონლისტი...

- ჰოო... ძველ ამბებს იგონებ, არა? მოიცა ცოტა და ახალსაც გაიგებ, შენ გგონია, რომ სხვა პარტიის კაცთან შეიძლება მარტო კამათი? მაგრამ შენ ის მითხარი, ყველაფერი გესმოდა?

ანდრომ თავი დაუქნია.

- სიტყვა არსად, იცოდე! ახლა დამშვიდდი და დაისვენე.

- ყოლშევიკები და ჩვენ ხომ ერთი პარტია ვართ?

- კი, მაგრამ ცოტა უთანხმოება გვაქვს... ამასაც მალე შეიტყობ. აქ წრე გვაქვს მოწინავეების და შენც იქ ჩაგრიცხავ. უთუოდ ბევრი უნდა იმუშაო, იკითხო, ეს ახლა ძალიან საჭიროა... მე გიხელმძღვანელებ.

- ქუთაისში მივდივარო, რომ სთქვი?

- ორი ან სამი დღით მხოლოდ, მანამ აქაური ამხნაგები გაიცანი. შენს თავს ერასტოს ჩავაბარებ.

- მარტო მიდიხარ?

- მაშ.

- რატომ? არ გეშინია, რო დაგიჭირონ? მე წამოგყვები!

- მერე შენ რას მიშველი? არა, ჩემო კარგო ბიჭო, მე არა მიშავს რა. ხშირად დავდივარ, საქმე ისე გვაქვს მოწყობლი: რკინიგზელები თითქმის ყველანი ჩვენს ორგანიზაციაში არიან. არხეინად იყავ. მე არ გამიჭირდება რა.

თვალები გაუყარეს ერთმანეთს. უაღრესად სათუთმა სიყვარულმა გაირბინა მათ შორის. ორსავეს, შეთანხმებულსავით, ბავშობის დროის მეგობრობა მოაგონდათ, ერთად გატარებული სიყრმე.

დადუმდნენ ერთხანს.

ანდროს თვალები დაენამა.

- შენისთანა მეგობრი მე არა მყავს, ანდრო. _ დაარღვია არჩილმა სიჩუმე.

- შენ დიდი კაცი ხარ და ნასწავლი... მე რა?

- ჰე, ნეტავი, შენად მაქცია, ანდრო! არ იცი, თუ რამდენი უბედურება მჭირს... _ მაგრამ უმალვე ხმა გამოიცვალა და მოულოდნელად: _ ჰო, მართლა, წეღან ერასტოსთან გკითხე ვარდოს ამბავი... უკაცრავად... შენ ცოტა სხვანაირი კაცი ხარ, არ უნდა მეკითხნა სხვასთან... ახლა კი მითხარი, როგორ არის შენი ვარდო? გიყვართ ხომ ერთმანეთი?

ანდრო დაიბნა. ვერ უპასუხა. თვალები ძირს დაჰხარა.

- ა? რაღაცას მიმალავ, გატყობ...

როცა ანდრომ თავი ასწია და არჩილს თვალები გაუსწორა, ვეღარ დაჰფარა საიდუმლოება.

- ვარდო გაათხოვეს... _ ძლივს ამოზიდა გულის სიღრმიდან და სახეზე

ნერვიულმა კანკალმა გადაურბინა.

- როგორ თუ გაათხოვეს? _ შეიცხადა არჩილმა. _ როდის? ვისზე? რას მეუბნები, ანდრო?

- არაფერია. მერე გეტყვი... ახლა ნუ... _ ხმაზე დაეტყო, რომ მეტის თქმისათვის ძალა არ შესწევდა ანდროს. მის სიტყვებში არჩილს ბედთან შერიგებულის სისუსტეც მოესმა და დამარცხებულის ფარული შურისძიების კივილიც.

თანგრძნობის გამოსახატავად არჩილმა სიტყვა ვერ მონახა. ისღა შესძლო, რომ მძლავრად მოხვია ხელები მეგობარს და გულში ჩაიკრა.

- რა მშვენიერი სიყვარული დაუღუპავთ. რა დიდი გრძნობა დაუხრჩვიათ! _ ამბობდა იგი სადღაც მკერდის შიგნით და ასე ეხვეოდა ანდროს.

VI

ფოთიდან არჩილის წასვლის დღესვე ანდრო სამსონასთან დააბინავეს ღამის გასათევად. იქნება, შემთხვევით მოხდა ეს. მაგრამ საფიქრებელია, რომ ერასტო გერგაჟეს უფრო საკონსპირაციო ხასიათის მოსაზრება ჰქონდა.

ყოველ შემთხვევაში, იმ ღამემ ანდროზე წარუშლელი კვალი დასტოვა: გარდა ამისა, რომ ორი მეგობარი შესძინა, სამსონა და მისი ამხანაგი დათია, შემთხვევა მიეცა, რომ ნიკოც უფრო ახლოს გაეცნო და ამ შესანიშნავ მებრძოლს საკმაოდ დაკვირვებოდა.

სამსონა ფოთის განაპირას ცხოვრობდა, ნაბადას ბოლოს. მიუგნებელი ბინა ჰქონდა, ტყეში მიკრუნჩხული. უეზოვო და ხულას მსგავსი სახლი უმეტეს შემთხვევაში გამოკეტილი იყო. კაცს მიტოვებული ეგონებოდა, ან ჭალადიდის ტყის მეშეშეების დროებითი სადგომი.

შებინდებისას სამსონამ და დათიამ ანდრო ამ ბინაზე მიიყვანეს. თან მოდიდო დოქით ღვინო, კალათით პური დ შემწვარი კუპატები წამოეღოთ სავახშმოდ.

საღამო დახშული იყო. ზღვის სუსტი ნიავი სამსონას სახლამდის ვერ ატანდა. ზაფხული მიწურული იყო, მაგრამ ფოთის ჰაერის ორთქლიანი სიმძიმილი მაინც გართხმით დასწოლოდა ნაბადას და ჭაობიანი მიდამოსთვის სუნთქვა შეეხუთა.

სამსონას სტუმარი სახლში არ შეუწვევია. გამოიტანა ძველი ჭილოფის ფარდაგი, მახლობელ ხის ძირში გაშალა და ზედ მოტანილი საჭმელი დაალაგა.

ჭილოფზე მალე ორი თეფში და მოზრდილი, ხელიანი თიხის ჭიქაც გაჩნდა.

ამხანგები პურის ჭამას შეუდგნენ.

- ანდრო, პატიჟი ნუ გინდა. მიირთვი! ერასტოს ძმისშვილი რომ არ ხარ, ვიცი, მაგრამ კაი ბიჭი რომ ხარ, კი გეტყობა. შენი სადღეგრძელო იყოს, ძამია, იცოცხლე.

ანდრო მოწყენილი იყო და ნაღვლიანი. ობლად დარჩენილის შთაბეჭდილებას სტოვებდა. არჩილის ფოთიდან უეცარ გამგზავრებას სწუხდა მთელი დღე. მაგრამ სამსონას უბრალოებამ და გულითადმა მოპყრობამ გულზე დაწოლილი ჯავრი თანდათან ჩამოაშორეს და პურის ჭამასა დ ღვინის სმაში ცოტა მოხალისდა.

სამსონაც იმას ცდილობდა, რომ სტუმარი როგორმე გაერთო. იგი მკვირცხლი მიხვედრის კაცი იყო და ანდროს სულისკვეთების ამბავი სრულად გამოერკვია. ამისდა მიხედვით სათანადო კილოც აეღო და სადღეგრძელოს სახით ისეთ რასმე უამბობდა, რაც ანდროს გულზე საამოდ ხვდებოდა.

მაგრამ სამსონას მარტო სტუმრის გართობა კი არ ჰქონდა მიზნად. ძალიან მოსწონდა ეს თავაზიანი და თავდაჭერილი მეგრელი და გულში გადაეწყვიტა მისი სრული ნდობის დამსახურება.

სულ მცირე ხანში მათ ბევრი რამ იცოდნენ ერთიმეორის. ანდრომ აღტაცებით მოისმინა სამსონას მოკლე ბიოგრაფია, რომელიც თავის ცხოვრებას ძლიერ აგონებდა, აგრეთვე რევოლუციური წარსულიც, _ თუ როგორ დასტოვა სამსონამ გურიის მივარდნილი სოფელი და ბიძას წაჰყვა ბათომში სამუშაოზე. მერე ქარხანაში მუშაობის ამბავი. ბიძამისის დაპატიმრება, გადასახლება და მისი გარდაცვალება ციმბირში. მარტოობა. შემდეგ საიდუმლო წრე. გაფიცვის დაწყება. პირველი რევოლუციური თავგადასავალი. ქარხნიდან დათხოვნა. უმუშევრობა. სოფელში დაბრუნება [1];?: წელი და ფოთში ჩამოსვლა. ბოლოს არჩილის გაცნობა და მასთან დაახლოება.

«ეს ის უნდა იყოს, ვისაც ვეძებდი», _ ეწერებოდა გულზე ანდროს და აგზნებით უსმენდა სამსონას. _ «ნეტავი არსენა და იონაც იყვნენ აქ! ჰო, როგორ შევეთვისებოდით ერთმანეთს ყველანი!»

მერე თვითონაც უამბო სამსონას, თუ ვინ იყო, სად იყო და ახლა კიდევ რას ესწრაფოდა.

გაათავა თუ არა ანდრომ თავისი მოკლე მოთხრობა, სამსონი უეცრად ზეზე

წამოხტა. ხელის ერთი გაკვრით ჩამოიხსნა წელზე რევოლვერი ბოხჩიანად და ანდროს გაუწოდა. _ ეს იყო სმიტისა და ვისსონის დიდი ყალიბის რევოლვერი.

- ჩვენი შეამხანაგების საწინდრად მომიცია შენთვის, გამომართვი.

ამის დანახვაზე დათიაც წამოიჭრა ადგილიდან და სამსონას გვერდში ამოუდგა.

ანდროც წამოდგა.

მოულოდნელად ამ ამბავმა ზეიმისებური სახე მიიღო.

- რაღა დაგიმალო, მომეწონე. მინდა ძმად გაგიხადო. ეს რევოლვერი ჩემი მარჯვენა ხელია, შენთვის არ მშურს.

ანდროს კი პირსახე სულ ალეწოდა ამ მოულოდნელი ბედნიერებისაგან. თითქოს არ სჯეროდა, რასაც თვალით ხედავდა და დაბნეული შესცქეროდა სამსონას.

გამოწვდილი იარაღის გამორთმევა კი ვერ მოეხერხებინა. ხმაც ვერ ამოეღო.

- გულწრფელად გაძლევ, გამომართვი, _ გაიმეორა სამსონამ.

ანდრომ ერთი წამით კიდევ დაუგვიანა პასუხი და მერე თავის ნიშნებით ჰკითხა:

- შენ?

- მე სხვაც ბევრი მაქვს. ნუ მოგერიდება, რადგანაც ვიცი, რომ იმალები. მართლა, ლაჩრულებ კი არ უნდა დანებდეს კაცი მტერს. ჩვენც შენთან ვართ!

ანდრომ ჩამოართვა ძვირფასი საჩუქარი სამსონას და, ის-იყო, გრძნობიერი მადლობის გადახდა უნდოდა, რომ ანაზდად მეგობრების ყურთასმენა მოახლოებულმა ფეხის ხმამ მიიქცია. გაიხედეს: ორი ლანდი გაპირდაპირებით მათკენ მოდიოდა. ვერ გაარჩიეს ღამეში, თუ ვინ იყვნენ.

- ყმაწვილებს გაუმარჯოს! _ დაასწრეს მოსულებმა.

ანდრომ გაგონებისთანავე იცნო არჩილის წუხანდელი სტუმრის ხმა. შეკრთა. რევოლვერი ზურგს უკან სწრაფად მოიგდო და უკან დაიხია.

- არ შეშინდეთ! ჩვენა ვართ! _ სთქვა ახლა მეორემ, უცნობმა.

- მობრძანდით. მოგელოდით და რატომ შეგვეშინდებოდა! _ მიმართა მათ გახარებულმა სამსონამ და წინ შეეგება.

მოსულები იყვნენ: ნიკო და მასთან ფოთელი მუშა, _ მიხელა-იმერელი, ნიკოს ძველი მეგობარი.

ნიკომ ხელი ჩამოართვა სამსონას, მერე დათიასაც. ანდრო ვერ იცნო. აათვალიერ-

შეათვალიერა.

- ეს ვინ არის? _ მოკლედ იკითხა.

- ჩემი სტუმარია და ამიერიდან კი ძმა და მეგობარი. ნუ გერიდება, _ უპასუხა სამოსნამ.

- არ შემხვედრია... _ თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ნიკომ. ერთხელ კიდევ მუშტრის თვალი შეავლო ანდროს და ისევ სამსონას მოუბრუნდა:

- აბა, სამსონ, სასწრაფო საქმე გვაქვს შენთან... მომყევი აქეთ ერთი წამით.

- ჯერ ერთი ჭიქა ღვინოზე გვეწვიე!

- ჰა, არ იქნება... დროც არ არის. მოდი აქეთ, _ და ნიკომ ხელი მკლავში გაუყარა სამსონას, მოშორებით მდგარი ხისკენ გაიყოლა. მათ მასთან მოსული მიხელაც მიჰყვა.

ანდრომ და დათიამ ისევ ჭილოფზე მოიკალათეს.

ორივესთვის ნათელი იყო ნიკოს მიზანი, მაგრამ ამას ერთმანეთს უმალავდნენ.

დათიას პარტიული დისციპლინა ავალებდა ასე მოქცეულიყო, თუმცა ზედმიწევნით იცოდა ნიკოს ფოთში ჩამოსვლის მიზანი და მთელ მის განზრახვას გაცნობილი იყო სამსონასთან ერთად.

ანდრო კი სდუმდა, როგორც ახლა კაცი, რომლის საქმე არ იყო სხვის საიდუმლოებაში ჩარევა, თუ მას არ ჩარევდნენ. მით უმეტეს არჩილისაგან იყო გაფრთხილებული, სიტყვა არავისთან დაეძრა წუხელ ნიკოსთან გამართული კამათის შესახებ.

იგი ჩუმად ღელავდა გულში და სმენის დაჭიმვით ადევნევდა ყურს ნიკოს ჩურჩულს, რომელიც ღამის მყუდროებაში დროგამოშვებით უცნაურად აფეთქდებოდა ხოლმე გარშემო საფანტივით მიმოიბნეოდა. თუმცა სიტყვები ვერ აღწევდნენ ანდრომდის, მაგრამ ის ამ სიშორეზედაც გრძნობდა, რამდენად ბეჯითი და შეუპოვარი იყო ნიკო. ანდროზედაც კი ძალდტანებას ახდენდა მისი ჩურჩული.

«ვაი, თუ დაითანხმოს სამსონა და არჩილისთვის აღალატებინოს!» _ ფიქრობდა ანდრო და სმენად იყო გადაქცეული. ცდილობდა სამსონას ხმა არ გამოჰპარვოდა, ვინიცობაა მის კილოზე ახალი მეგობრის პასუხი შეეტყო.

მაგრამ შუაღამემაც მოაწია და საიდუმლო მოლაპარაკება კიდევ არ გათავებულა.

დაეღალა ყურადღება ანდროს. რომ ვერაფერი ვერ გამოარკვია, წუხილი დააწვა

გულზე.

ბოლოს მოულოდნელად შესწყდა ჩურჩული, და ჭილოფზე მსხდომმა ამხანაგებმა მათკენ გამალებით მომავალი ამხანაგების ნაბიჯის ხმას მოჰკრეს ყური.

- დათია, მანდ ხარ? _ გაისმა ამავე დროს სამსონას ხმა.

დათია მყისვე წამოხტა და სამსონასკენ გაეშურა.

- ნიკო გეძახის, ბიჭო... შენი ნახვა უნდა... მიდი! _ მოაძახა უცებ მას მოახლოვებულმა სამსონამ. დათიაც უსიტყვოდ, შეუჩერებლად გაექანა ნიკოსკენ.

სამსონა კი ანდროსთან მივიდა.

- უკაცრავად, ანდრო... არ მოგწყინდეს... პაწა საქმე გვაქვს და ახლავე დავბრუნდებით, _ უთხრა და თავაზიანად გაუღიმა, თითქოს ბოდიში მოიხადაო. სახეშიც ჩახედა გამოსაცდელად: საიდუმლოსთვის ყური ხომ არ მოუკრავსო.

ანდროს რაღაც ცუდად ენიშნა სამსონას ბოდიშიანი და გადაჭარბებული თავაზიანობა. ფარული აღელვებაც შეატყო ხმაზე.

«დაუთანხმებია», გაუელვა თავში.

- აქ იყავი... ახლავე მოვალთ, _ დაასრულა უცებ სამსონამ და აღარ დაუყოვნებია ანდროსთან, ისევ ნიკოსკენ გაიჭრა.

სახტად დარჩა ანდრო.

მის წარმოდგენაში უცბად შეიცვალა სამსონა.

«რა საჭიროა თვალთმაქცობა, თუ ძმობა შემომფიცა», გაიფიქრა ძალაუნებურად. მაგრამ მალე მოიაზრა, რომ, რაც უნდა ყოფილიყო, პირველ გაცნობაზე საიდუმლოებას მაინც არავინ გაანდობდა, და შეურიგდა სამსონას საქციელს.

«ასეც უნდაო», სქთვა გუნებაში.

მარტო რომ დარჩა, ფიქრები უფრო აეშალნენ. ახლა მას ნიკოს საიდუმლო პიროვნება აინტერესებდა. ერთი გულით წინააღმდეგი იყო მისი, არჩილთან გაგონილის ზეგავლენით. «ახლა კიდევ სამსონას გდაბირებას აპირებსო», ფიქრობდა ჩუმად. მაგრამ მეორე გულით კი მისდამი ფარულ პატივისცემასაც გრძნობდა. ის, რის გაკეთებასაც ნიკო აპირებდა ანდროს აზრით, ისეთი დიდი საქმე იყო, რომლის გაბედვა არსებულ პირობებში მხოლოდ არაჩვეულებრივ გმირს შეეძლო. იდუმალ შურსაც კი გრძნობდა ნიკოსადმი, რომ იგი ასე გაბედულად ასეთ დიდ საქმეს ატრიალებდა.

«არჩილთან რომ არ ჰქონდეს უთანხმოება»... დაიწყო ვითომ მსჯელობა, მაგრამ შეშინდა ამისი. არ დაათავა. ნაცვლად, ახალშეძენილ რევოლვერს გადაუსვა ხელი და გულისკენ მიიზიდა. მიესიყვარულა.

«ვსთქვათ, მართლა დაეთანხმა სამსონა... ამან კი თავის მხრივ მე მომცა წინადადება: წამოგვყევი, დაგვეხმარეო... მაშინ?» _ განაგრძო ისევ თავისთვის ფიქრი.

ასეთი წინადადების მოცემის შესაძლებლობამ შეაკრთო. ვერ წარმოედგინა, როგორ ეტყოდა უარს სამსონას მას შემდეგ, რაც ერთმანეთს ძმობა შეჰფიცეს, და მისგან კიდევ ისეთი საჩუქარი მიიღო, როგორიც სახაზინო ყალიბის რევოლვერია.

შეწუხდა.

მაგრამ ნიკოს საშინელ განზრახვასთან არჩილის დამოკიდებულება რომ მოაგონდა, ასეთი გამოსავალი ჰპოვა:

«ტყუილია, შეუძლებელია, რომ სამსონა დასთანხმდეს. არჩილს იგი არასოდეს არ უღლატებსო».

ასე მოიშორა მაწუხებელი აზრი.

მაგრამ იჭვი მაინც ისევ მალე დაუბრუნდა. დროდადრო ისიც კი ელანდებოდა:

აი, მოდის მასთან სამოსნა უდიდესად აღელვებული, ვინემ იყო დათიას გახმობის დროს, და საიდუმლო ჩურჩულით ეუბნება:

«ანდრო, სიტყვა გვაქვს შენთან... გვნახეო»!

ხოლო სამსონა არ ჩანდა ნამდვილად. ანდროს ერთ წამში ეს რომ უხაროდა, მეორე წამში სწყინდა კიდევაც:

«არასანდოდ და გლახად ხომ არ ჩამთვალესო».

...

ნიკოსთვის ხელსაყრელი გამოდგა ქუთაისში არჩილის წასვლა. _ მან ერთ დღე-ღამეში დაამთავრა თავდასხმის ჩასატარებლად საჭირო ორგანიზაცია: საკმაო თოფი და ტყვია იშოვნა, შვიდი გამოცდილი ფოთელი ამხანაგიც დაითანხმა. ამათ შორის, მიხელა-იმერელს გარდა, იყვნენ სამსონა და მისი მეგობარი დათია.

სამსონას დათანხმებას განსაკუთრებული მნიშვნელობაც ჰქონდა ნიკოსთვის. გარდა ამისა, რომ სამსონა ფოთის მიდამოებს ზედმიწევნით იცნობდა და იშვიათად გაბედული მებრძოლის სახელს ატარებდა, ფოთის ორგანიზაციის იარაღის საწყობიც მას

ებარა, და ყოველთვის შეეძლო ორგანიზაციის ნებადაურთველად, ასე ვსთქვათ, შინაურულად, ნიკოსთვის საჭირო იარაღი მიეწოდებინა.

ნიკოსაც უმთავრესად ეს მოსაზრება ჰქონდა, როცა სამსონასაგან თავდასხმაში მონაწილეობის მიღებას დაჟინებით მოითხოვდა:

ამ ღამეს კი, სამსონას დათანხმებამდე, ნიკო არაჩვეულებრივად ღელავდა და ჩქარობდა. სამსონას ყოყმანი მოთმინებას უკარგავდა. იერიშად იყო გდაქცეული. თუმცა ამის მიზეზიც ჰქონდა: _ დღითიდღე მოელოდა ქუთაისიდან ცნობას, თუ რომელ მატარებელს უნდა დახვედროდა და დაგვიანების ეშინოდა. ის იყო, რომ პროფესიული თავმოყვარეობა ელახებოდა: ამდენი დაყოვნება მარცხად ეჩვენებოდა. ჯავრი მოსდიოდა.

ამ ფიქრის დაშვებაც არ უნდოდა, რომ გაწბილებული და შერცხვენილი ფოთიდან უკან დაბრუნებულიყო.

მაგრამ სამსონას დასტურმა ფრთები შეასხა და გამარჯვებულის გუნებაზე დააყენა. ახლა წინ ვერაფერი ვერ გადაეღობებოდა.

ანდროს კი მისმა ახალმა მეგობრებმა ნიკოსთან შეთანხმების ამბავი არ გაუმხილეს. სამსონამ ისეთი სახე აჩვენა მას, თითქოს არაფერი მნიშვნელოვანი არ მომხდარიყოს.

მაგრამ ანდროს არ გამოპარვია, რაც მოხდა, ხოლო რაკი საიდუმლოება არ გაანდვეს, თვითონაც გული ჩაიკეტა. ისე დაიჭირა თავი, რომ ამაღამინდელი მოლაპარაკების საგანს ვითომ იჭვითაც კი მიხვედრილი არ ყოფილიყო. ...

ღამე მიწურული იყო.

სამსონას პატარა ოთახის ბუხარში ნიკოს ანთებული ჭრაქი შეედგა და მთელი ტანით ზედ ისე მიმჯდარიყო, რომ სინათლე ბუხარშივე დაეხშო.

ოთახში ბნელოდა. მხოლოდ ბუხრის პირდაპირ მაღლა, ჭერის კიდურს, ნიკოს ტანსა და ბუხრის პირს შუა გამოსხლეტილი მკრთალი სინათლე შეჰფენოდა და ზედ ნიკოს ბეჭებისა და თავის უცნაურად მოძრავი ლანდი აეტანა.

ნიკოს გვერდით მიხელა-იმერელი იჯდა და იქვე მიწის იატაკზე დაზვინულ ბერდანის სისტემას თოფებიდან თითო-თითოს იღებდა და წინასწარი მოკლე გასინჯვის

შემდეგ ნიკოს აწვდიდა. ის კი ჭრაქთან ახლოს მიიტანდა და კონდახიდან ტუჩამდის ყველა ნაწილს ზედმიწევნით უსინჯავდა. მერე საკეტს მომართავდა, ჩახმახს დასცემდა, ვაზნასაც ჩააგდებდა, საკეტს შეასრიალებდა, გამოასრიალებდა და დახშავდა. შემდეგ გამოაგდებდა ვაზნას, მომარჯვებით შეუშვერდა ხელის გულს და დაიჭერდა. მოწონებულ თოფს ცალკე გადადებდა. დაწუნებულს კიდევ _ ცალკე.

დროგამოშვებით ოთახში სამსონა და დათია ლანდებივით შემოიპარებოდნენ: საწყობიდან მოტანილ გაქონილ-დაზეთილ თოფებს ნიკოს გვერდით ფრთხილად დაალაგებდნენ, დაწუნებულს იღლიაში ამოიჩრიდნენ და ისევ ლანდებივით უსიტყვოდ გარეთ გადიოდნენ.

მთელი ეს ოპერაცია უხმოდ მიმდინარეობდა, სასტიკად დაცულ სიჩუმეში.

სახლს გარედან ანდრო ქარივაძე ყარაულობდა. ამხანაგებს ეს მოვალეობა დაეკისრებინათ მისთვის.

ანდროს სამსონას ნაჩუქარი რევოლვერი ხელში ეჭირა და ყურებ-დაცქვეტილი ყოველი მხრიდან ათვალიერებდა გზას. თვალი ღამეშიც კატასავით უჭრიდა მას და სმენაც სათანადოდ ჰქონდა გამახვილებული, იმის იჭვიც კი არ ეპარებოდა, რომ ამხანაგებს დროზე ვერ გააფრთხილებდა, თუ სადმე ხიფათი გაიჭაჭანებდა, და ფარულად თავი მოსწონდა.

მაგრამ მცირეოდენ ნაწყენი კი იყო, რომ ბრმა იარაღად იყენებდნენ და ასე თვალსა და თვალს შუა ატყუებდნენ. თუმცა კმაყოფილებასაც გრძნობდა: _ ყოველივე ეს ხომ მას იმ წრესთან აახლოვებდა, რომელზედაც სოფლიდან წამოსვლის წინ ოცნებობდა და რომლის წიაღში მისი საკუთარი რევოლუციური მუშაობა უნდა გაშლილიყო.

როცა ცნობისმოყვარეობა მოერეოდა, სახლს დაუახლოვდებოდა და ოთახში შეიჭვრეტდა.

«ემზადებიან»... გაიფიქრებდა ფარულად და ძალაუნებურად ჭერის იმ კიდურს მიაპყრობდა შემკრთლ თვალებს, რომელზედაც ნიკოს ლანდი ფანტასტიკურად მოძრაობდა. ამის დანახვაზე ზღაპრული დევ-გმირის სახე გაუელვებდა თვალწინ. შეშურდებოდა და გაუმხელელი ნატვრა გულზე დაუკაკუნებდა:

«ნეტავი, იმ კაცს დამაახლოვა და მისი ხიფათიანი ცხოვრება გამაზიარებინაო».

მაგრამ თავს შეიკავებდა უმალვე: ნიკოსადმი ისევ შიშისებური გრძნობა

მოიცავდა და, მტრისგან ლტოლვილივით, კვლავ თავის საყარაულოზე გასწევდა.

VII

ჭალადიდსა და პატარა ფოთს შორის შუა ფოსტის მატარებელზე მომხდარი თავდასხმა დიდი მარცხით დამთავრდა.

ეს იყო სამსონასთან შეთანხმების მეორე დღესვე, ნაშუაღამევს.

თავდამსხმელებმა მატარებელი გააჩერეს, მაგრამ ფოსტის დამცველმა რაზმმა მოულოდნელად ისე სასტიკად შემოუტია დამხვდურებს და საომარი წესით გამართა ფრონტი, რომ გამარჯვებაზე ფიქრიც ზედმეტი შეიქნა.

ეს ძალიან იშვიათი მოვლენა იყო ამჟამად, ჩვეულებრივად (ხშირი იყო მატარებლებზე თავდასხმა) ასეთ შემთხვევაში მცველები შეტევის უმალვე იარაღს ჰყრიდნენ და ნებდებოდნენ.

მაგრამ ახლა ეს ჩვეულება არ განმეორდა.

გაიმართა ომი.

სროლის დროს ჯერ ნიკო დაიჭრა ფეხში, მერე კიდევ სამსონას ორი ტყვია მოხვდა: ერთმა მკლავები დაუმსხვრია, მეორემ შიგ მკერდში გაუარა.

ამის შემდეგ ნიკოს რაზმი უკუიქცა. დიდი გაჭირვებით შეეფარა ტყეს და იქ მიმოიბნა. ნიკოსა და სამსონას მხოლოდ ორი ამხანაგი შერჩათ: დათია და მიხელა-იმერელი.

ყველაზე უწინ თავდასხმის ამბავი ფოთის მთავრობამ შეიტყო. ფიცხლად შეჰკრეს ქალაქი და ყაზახთა რაზმი ჭალადიდის ტყისკენ დასძრეს.

შეიქმნა დიდი ალიაქოთი.

...

ჯერ კიდევ განთიადის ნისლი ჰბურავდა ნაბადას, როცა შემთხვევით სამსონის მეგობარი, დათია, დაჭრილი ნადირივით ერასტო გერგაძის ბინის აივანზე ქლოშინით ავარდა და დარაბამიხურულ ფანჯარაზე დაუკაკუნა.

თითქოს მოელოდნენ: მყისვე გაიღო ფანჯარა და მოაჯირზე ანდრო გადმოდგა.

- დათიავ?! _ შიშით აღმოხდა მას. _ რა ამბავია?

მაგრამ დათიას პასუხისათვის არ ეცალა. ერთი დაკვრით ფანჯრიდან ოთახში

შეხტა.

- ერასტო! სად ხარ, ერასტო?.. _ დაიყვირა მან და ერასტოს ლოგინს მიაშურა.

- რომელი ხარ? _ შეუტია თავის მხრივ ერასტომ, რომელსაც ცალი ფეხის გადმოდგმაღა მოესწრო ლოგინიდან.

- მე ვარ, ერასტო. მე _ დათია! _ და დათიას ხმა სლოკინმა დაფარა.

ანდრო უკვე მიმხვდარიყო, რომ დათია კარგის მახარობელი არ ჩანდა, თვალები გიჟივით გაფართოებოდნენ და ასე შესცქეროდა სამსონას მეგობარს.

- რა იყო, ბიჭო? აგერ ვარ! _ მივარდა დათიას ერასტო. მოჰკიდა ხელი და ფანჯრის მკრთალ სინათლისკენ გაიყოლია. ისიც მიმხვდარიყო, თუ ამ სახით საიდან უნდა მოსულიყო დათია.

დათიას ენა ვერ მოებრუნებინა პირში. ხრიალით სუნთქავდა. სახე ისე მოქცეოდა, თითქოს შიგ გულში ყოფილიყო დაჭრილი.

დაგლეჯილ-გატალახიანებული იყო. კაცის სახე არ ჰქონდა.

- დავიღუპეთ! _ ამასღა იმეორებდა და ხან ერასტოს შეხედავდა, ხან კიდევ ანდროს. სიტყვა სიტყვაზე ვერ გადაება.

- განა არ ვიცოდი, რომ უბედურება დატრიალდებოდა? _ სქთვა ერასტომ და სასოწარკვეთილმა დათიას ხელი შეუშვა. ახლა ცოტა შორიდანაც შეათვალიერა. საქმის ვითარება უნდოდა ეკითხნა, მაგრამ დათიას ხალათის მკერდსა და სახელოებზე სისხლის კვალი ენიშნა და შეკრთომით ისევ მას მივარდა. ხელი მოჰკიდა. მკერდი გაუსინჯა.

- ბიჭო, შენ მგონი, ლაჭრილი ხარ?

- არა, მე არა... სამსონაა.

- ა? _ შეიცხადა ერასტომ.

- ჰო, ძალიან მძიმედ... მკერდშიც, ხელებშიც... ეს მისი სისხლია.

- დაიჭირეს კიდევაც?

- არა, დაჭერით არა. მაგრამ მისი გადარჩენა ძნელია. ნიკოც დაჭრილია. მსუბუქი ჭრილობა აქვს ფეხში. არა უშავს რა. რა ვქნა, ერასტო? სამსონას მე მარტო შევრჩი და ვეღარ ვატარე... ნიკოს კი მიხელაც კარგად შველის... რა ვქნა, სამსონა უთუოდ დაიღუპება!

- სად არის?

- რაიონის მხარეს, ტყეში დავტოვე. ნიკოსთან არის. ადგილი საიმედოა, მაგრამ... აქეთ რომ მოვრბოდი, შევნიშნე, რომ ქალაქში დიდი მოძრაობაა, პოლიცია ფეხზე დგას. ცნობა მიიღეს, ალბათ. საშიშია... ვინ წამომყვება სამსონას საშველად?

ერთიც კმარა... ორი შევძლებთ მის ტარებას...

სანამ ერასტო რასმე მოიაზრებდა, ანდროს უკვე წაეკრა თავი ყაბალახით და რევოლვერი ხელში აეღო. ცეცხლივით ანთებულიყო.

- წამიძეხ, ამხანაგო, მოვდივარ!

ერასტოს სიტყვის ამოღება არ დააცალა. ქორივით მოიმართა.

- თოფი და ტყვია თუ შეგრჩათ, რომ დაგვჭირდეს? _ ჰკითხა დათიას. - არის.

- მაშ, ვიაროთ!

დაიბნა ერასტო.

- ორივე გამოუცდელი ხართ. იარაღის კაცი არ ვარ, მაგრამ მაინც ჩემი წასვლა აჯობებს. მოიცა, ბიჭო ანდრო!

მაგრამ მას აღარავინ უსმენდა. ანდრო და დათია უკვე აივანზე გასულიყვნენ.

მისდია ერასტომაც.

- ფოთში დაბრუნება არ იფიქროთ, იცოდეთ: ან სამეგრელოში, გურიით, ან გურიაში, რიონის პირით... _ ძლივს გააგონა მან ყმაწვილებს, რომლებიც ამ დროს უკანა ეზოს ღობეზე გადადიოდნენ.

...

დათიამ და ანდრომ მშვიდობით განვლეს უბანი და იქით გაემართნენ, სადაც ტყის სიხშირე ჰორიზონტს ეკვროდა.

გზადაგზა ანდრომ დათიას გამოჰკითხა, თუ რა პირობებში მოხდა სამსონასა და ნიკოს დაჭრა, და ისიც, თუ შემდეგ როგორ უშველეს თავს.

დათიამაც მოკლედ, კანტი-კუნტად უამბო თავგადასავალი.

- ნიკო და სამსონა რომ არ დაჭრილიყვნენ, იქნება, გაგვემარჯვნა... თუმცა მატარებელს მთელი ჯარი ახლდა. დაუზოგველად შემოგვიტიეს... დიდი ომი იყო, არ მოველოდით, ასეთი... ახლა თუ სამსონა გადარჩა, კიდევ არაფერია. მაგრამ... იცი,

ამხანაგებმა რა გვიყვეს? მიგვატოვეს და თავს უშველეს. ნიკოს მიხელაღა შერჩა, და სამსონას კი _ მე.

ასე იარეს, სანამ წინ მინდორი არ დახვდათ. აქ კი შედგნენ და მიმოიხედეს. მინდვრის გადაჭრა ჭკუაში არ დაუჯდათ. დილის სინათლე საკმაოდ გაშლილიყო და შორი საგნების დანახვაც კარგად შეიძლებოდა. ამ მხრით უსაფარო, ტრიალ მინდორზე გადასვლა სახიფათო რამ იყო. მაგრამ მისი შემოვლაც უზრუნველყოფილად არ ეჩვენებოდათ, გზასაც აგრძელებდა. წამით მოითათბირეს. ბოლოს, ისევ მინდვრის გადაჭრა ამჯობინეს.

ისე გარბოდნენ, თითქოს ეჯიბრებიანო ერთმანეთს.

ის იყო, გალიეს ეს მინდორიც და ტყეში შესდგეს ფეხი, რომ უკანიდან ჯერ სტვენა და მერე რუსულ ხმაზე დაძახება მოესმათ.

მოიხედეს.

რამდენიმე ჩაფარი, ერთი მეორეზე დაშორებით, მინდვრის თავიდან მათკენ გამორბოდა და თოფებს ჰაერში აქნევდა:

- ხშირი ტყისკენ, დათია! მოგვდევენ! _ რევოლვერის მომარჯვებით შესძახა ანდრომ ამხანაგს.

- მომყევი! ჯავრი ნუ გავქს.

გზის ხაზი რამდენჯერმე გასტეხეს, ასე ირბინეს კარგა ხანს, სანამ ტყის სიღრმეში მოექცეოდნენ.

აქ შესდგნენ და მიაყურეს.

მშვიდობა იყო. სული მოითქვეს.

- რამდენი იქნებოდა! _ იკითხა დათიამ, რომელსაც თავი უკვე სამშვიდობოს ეგონა.

- სამს ოვკარი თვალი, შეიძლება, მეტიც იყო. ნეტავი საიდან დაგვინახეს იმ ურჯულოებმა;

- რუსები იყვნენ თუ აქაურები?

- მგონი, რუსულად მოგვაძახეს. ისე კი ვერ გავარჩიე.

- მეშეშეები ვეგონებოდით, თორემ უთუოდ გვესროდნენ... ალბათ, თავი დაგვანებეს! ა? შენ რას იტყვი?

- რა ვიცი... თუ სამის მეტი არ იყვნენ, ტყეში ვერ შემობედავდნენ... ვიაროთ!

ისევ განაგრძეს გზა.

მალე ტყის ჭაობიან ნაწილს მიაღწიეს.

- აქ ფრთხილად, ანდრო... ცოტაღა დაგვრჩა...

ტყის ამ ნაწილში სვლა მხოლოდ ბილიკებით შეიძლებოდა, ხიდან ხემდის. გარშემო მიწა ხავსმოკიდებული ღრუებით იყო დახეთქილი. შიგ ზოგან ძელი ჩაყირავებულიყო, ზოგან კიდევ კუნძი ამოჩრილიყო.

დათია საკვირველი მოხერხებით იყენებდა ერთსაც და მეორესაც: ბილიკიდან ძელზე გადადიოდა, ძელიდან კუნძზე და გზას ასე მიიკვლევდა.

ანდროსთვის თუმცა უჩვეულო იყო ასეთ გზაზე სიარული, მაგრამ მაინც კვალდაკვალ მისდევდა მეგობარს. მას განსაკუთრებით დაეჭიმა სმენა. ეშინოდა, ჭალადიდის ტყის თავისებურ სისინშერეულ შრიალში მტრის მოახლოება არ გამოპაროდა.

კარგა ხნის სიარულის შემდეგ დათია შესდგა. გამარჯვებული სახე უჩვენა ანდროს და ანიშნა, რომ ისიც შემდგარიყო. მერე ლიანითა და ეკლნარით დაბურულ ერთ ადგილთან წელქვეით დაიწია, მიიხედ-მოიხედა და ზედიზედ მოკლედ სამჯერ დაუსტვინა.

- ახლოს უნდა იყვნენ! _ წასჩურჩულა ანდროს. სტვენის პასუხი არ იყო.

მაშინ დათიამ ხელმეორედ დაუსტვინა.

პასუხის მაგიერ მახლობელ სუროშემოკრულ თხმელის ხესთან თოფიანი კაცი გამოჩნდა და დათიას ხელი დაუქნია. მერე ისევ დაიმალა.

- მიხელაა. წამოდი! _ უთხრა დათიამ ანდროს და იქეთ გაიქცა, სადაც მიხელა მიიმალა. ანდროც მიჰყვა.

როგორც კი გასცილდნენ სუროიან თხმელას, მათ წინ თვითონ ნიკო შემოეგება. იგი თავშიშველი იყო და პერანგისამარა. მოჩვენებას ჰგავდა. თოფი ყავარჯნად მოემარჯვებინა და ყაბალახითა და ხალათით შეხვეული მარცხენა ფეხი მარქაფა ცხენივით განზე წამოეყოლებინა.

- აბა, ბიჭებო, დაყოვნება არ იქნება! სამსონასთან მიდით! _ შესძახა მან მოახლოვებისთანავე დათიას და ანდროს და წინ გაუჩერდა.

ანდროს ჯერ ეჭვით შეხედა, წარბების შეკვრით, მერე მოაგონდა, სად ენახა. მაგრამ სახე არ შეუცვლია, ისე შეუღიმა. შეტევით ჰკითხა:

- შენი სახელი, ამხანაგო?

- ანდრო... სანდრო... სულ ერთია! _ მიუგო ბორძიკით ანდრომ და გვერდი აუქცია.

- დათიავ, გზაზე დაგვაყენე! შორს აქედან, რაც შეიძლება! გესმის?

დათია და ანდრო თითქმის ერთდროულად წააწყდნენ ხის ძირში დაწოლილ სამსონას.

იგი სისხლით გაჟღენთილი ჩვრებით იყო შეფუთვნილი. წელზევით და მკერდზე კიდევ ორფად ყაბალახი ჰქონდა შემოკრული. ცალი ხელი ზედვე ჰქონდა მიკრული. მეორე ჩვარივით ეგდო გვერდით.

იქვე ორი თოფი და სავაზნეები ეწყო.

სასიცოცხლო ფარზე არ იყო.

- დათია, მოდი? _ მილეული ხმის ჩახრიალებით ჰკითხა მან დათიას და სიკვდილის შიშით დაფერფლილი თვალებით ახედა ქვემოდან.

- ისევ შენთან ვარ! ჯავრი ნუ გაქვს, _ მიუგო დათიამ და მის წინ მუხლებზე დაეშვა. _ ჭრილობა ხომ არ შეგხსნია? _ ჰკითხა და შეხვეული გასინჯა. _ აი, ანდრო მოგიყვანე.

- ვხედავ... ჩემი ახალი და უკანასკნელი მეგობარი! _ წარმოსთქვა დათუთქული ხმით სამსონამ და ანდროს მიაპყრო თვალები. სახე ტკივილმა მოუქცია. მძიმედ ამოიოხრა და თვალები მიბნედით დახუჭა.

- თავი გაგიწირავს, მეგობარო! _ მადლობის კილოს დატანებით სთქვა მცირე სიჩუმის შემდეგ და ობოლმა ცრემლმა დახუჭული თვალების უბე შეუთვალიერა.

- არაფერს გაგიჭირვებთ, ნუ გეშინია! _ ძლივს წაილუღლუღა ანდრომ და სამსონასკენ მიიწია. მაგრამ უმალ საკუთარმა ხმამ შეაკრთო და შეაყენა. სამსონას მოულოდნელ შესახედაობას ისე ემოქმედნა მასზე, რომ ხმაში ძალაუნებურად უიმედობა შეჰპაროდა, და ნუგეშის მისაცემად სიტყვა ვერ მოენახა. იგრძნო მარცხი.

მაგრამ სანამ მას გამოასწორებდა და ვაჟკაცურ ხმას გააგონებდა ჭირში მყოფ ამხანაგებს, სამსონამ დაასწრო, _ უცებ გაახილა თვალები, თავი ასწია და შეშფოთებით მიმოიხედა, თითქოს ხიფათის მოახლოვება იგრძნოო.

- გვიან არის, გვიან... _ ყრუდ, გამაფრთხილებელი მნიშვნელობით წარმოსთქვა.

ანდროს საყვედურიც მოესმა სამსონას ხმაში, რომ დააგვიანეს, და გაფრთხილებაც: «ყური დაუგდეთ: არ გესმით, რა ამბავიაო?»

სამსონამ თავი ვერ შეიმაგრა, მოწყვეტილივით ისევ ხეს მიეყრდნო და თვალები კვლავ მინაბა.

სამსონას სიტყვებმა და ხმამ შეაფორიაქეს ანდრო. მოეჩვენა, თითქოს სადღაც წინადაც გაეგონოს ისინი. თითქოს მას მეორეჯერ უსაყვედურებენო დაგვიანებას და მეგობრის დაკარგვას. შეოცდა. მეხსიერებაში ვარდოს გატაცების ღამემ გაურბინა და ვარაძეების ხეივანში მოჩვენებული ტყის დედოფალის უიმედო სახე მოელანდა.

«გვიან არის, მოესმა ხელმეორედ უცნაური მოჩვენების საბედისწერო სიტყვები, და თან შიშიანმა მოლოდინმა გრძნობა ყალყზე დაუყენა, თითქოს სამსონას შეშფოთებული მიმოხედვის მიზეზი, მისმა გულის ყურმაც გაინაწილა და საშიში წამის მოახლოვება იგრძნოო.

«აჰა... კიდევ ტიალი დაგვიანება!» _ გაუელვა თავში.

ყველა კუნთი დაეჭიმა.

- თავი არ მინდა ცოცხალი, სამსონა, თუ არ გადაგარჩინე! _ შეუპოვარი შეტევის ხმით წარმოთქვა, თითქოს ბედი ბრძოლაში გამოიწვიაო, და სამსონას გვერდით მდებარე თოფსა და ტყვიებს დასწვდა.

- დათია, რომელია სამსონასი?

- ეს... ეს კი ჩემია! _ უპასუხა დათიამ, და ორივენი უმალვე შეიარაღდნენ.

მაგრამ ამავე დროს ნიკოც მოიჭრა მათთან, თვალებგადმოკარკლული.

- რად აგვინებთ, თქვე რჯულძაღლებო! დათია, გზა-მეთქი, ჩქარა! არ გესმის რომ გვიახლოვდებიან? შორს აქედან ახლავე.

მაგრამ სამსონას რომ დახედა, ელდანაცემივით შესდგა. მხოლოდ ახლა შეიქნა მისთვის ცხადი, თუ რა დაბრკოლებას წარმოადგენდა მათთვის სამსონა.

უცებ უცნაური შეთრთოლებით დააღრჭიალა კბილები, და თვალებში ფოლადის ავი ელვარება ჩაუდგა.

ამ დროს სწორედ სამსონამაც გაახილა თვალები, თითქოს გამოფხიზლდაო. ნიკოს თვალი გაუსწორა.

მაშინ ნიკომ უმალვე შეიცვალა სახის გამომეტყველება. ლმობიერი, მოალერსე მიუახლოვდა მომაკვდავ ამხანაგს.

- მოგვდევენ, ნიკო? _ მოულოდნელად მტკიცე ხმით მიმართა მას სამსონამ და თავი ისევ წამოსწია. _ მაშ, ვაჟკაცი იყავი ბოლომდის, ამხანაგო, და თავი დამანებე! წადი! თავსაც უშველე და ეს ბიჭებიც გადაარჩინე. ჩემთან ნუ შეაგვიანებ. იცოდე: ბედს შევურიგდი და არ მეშინია.

უთხრა და თვალებითაც ანიშნა, რომ მტკიცედ გადაწყვეტილს ამბობდა.

- დაიცა, სამსონა. ასე არ იქნება, ხომ იცი! შენს თავს არავის დავანებებთ. აი, ერთი ამხანაგი კიდევ შემოგვემატა. თუ გავალთ, ყველანი ერთად, თუ არა _ ერთად დავიღუპებით. ნუ ჩქარობ, ჯერ კიდევ არაფერი გვიჭირს.

დიდი თავდაჭერით, მშვიდად უპასუხა ნიკომ, თითქოს ძალიან შორს ყოფილიყოს საფრთხე.

სამსონას პასუხი არ დააცალა. იქვე მდგომ დათიასა და ანდროს უბრძანა ხელზე აეყვანათ და შეუჩერებლივ გზას დადგომოდნენ.

...

მაგრამ, სანამ მეგობრები დიდი გაჭირვებით აიყვანდნენ სამსონას, ანაზდად, მათ მახლობლად რამდენიმე თოფმა დაიჭექა და იმავე დროს თავის საყარაულოს მოწყვეტილი მიხელაც გამოჩნდა.

იგი გარეული კატის სიმარდით ხიდან ხეს ახტებოდა და ამხანაგებისაკენ ასე მოიწევდა.

- წადით, თავს უშველეთ! _ ანიშნებდა ხელით.

პირველად თითქოს დაიბნა ნიკო. გაქცევის შესაძლებლობის აზრმა შეიპყრო. მაგრამ უმალვე გაითვალისწინა მდგომარეობა და, თითქოს დაჭრილი ფეხი გაუმთელდაო, წინ გადახტა მიხელასკენ. საფარს ამოეფარა.

- შესდეგ მანდ, მიხელა, _ შესძახა მიხელას. _ ჩემს გვერდით საფარში.

- შემდეგ ანდროს და დათიას გადასძახა:

- თქვენ ცოტა განზე! სამსონა სულ უკან! ჩქარა!

- გაქცევა სჯობდა, ნიკო, _ წაუჩურჩულა მოახლოვებულმა მიხელამ ნიკოს და მის გვერდით ჩასაფრდა. _ ალყას შემოგვარტყამენ. ცოტანი ვართ... დამიჯერე. გვიან არ არის:

გაქცევა სჯობს.

ანდრომ და დათიამ სამსონა უკან გააქანეს. მაგრამ ათიოდე ნაბიჯიც ვერ გადადგეს, რომ მტრის საფარიდან ისევ დაჭექეს თოფებმა, და ხეივანი მდაბლად გართხმულმა კვამლმა შემურა.

მეგობრებმა პირველივე ხის ძირში მიაწვინეს სამსონა. დათია ცოტა განზე მდგარ ხეს მოეფარა, ხოლო ანდრო სამსონას შერჩა, მიწაზე გაწვა.

- გასწყვიტეთ ეს ურჯულოები! ცეცხლი, ამხანაგებო! _ დასჭექა ნიკომ ახლა, თითქოს დიდი ჯარის სარდალი ყოფილიყოს და მიხელასთან ერთად მდევრებს ცეცხლი შეუნთო.

ნიკოს ნიშანზე ანდრომაც და დათიამაც სროლა ასტეხეს.

გაჩაღდა ბრძოლა.

...

მალე გამოირკვა, რომ ნიკო და მისი ამხანაგები აქ მტერს ვერ გაუმკლავდებოდნენ.

ნიკომ დროზე შენიშნა, რომ მოწინააღმდეგეთა რიცხვს თანდათან ემატებოდა. ტყეში მიმოფანტული პოლიციის რაზმები სროლის ადგილისკენ მოიწევდნენ და თავისიანებს უერთდებოდნენ.

ახალმა საფრებმა იფეთქეს.

ალყის ხაზი ცეცხლად გაევლო ბრძოლის ადგილს.

სხვა საშველი არ იყო: რომ მტერს გზა არ მოეჭრა, მეგობრებს დაუყოვნებლივ უკან უნდა დაეხიათ.

ცალ მუხლზე შესდგა ნიკო. მარცხენა ხელში ვაზნები მოიმარაგა და ტყვიამფრქვევის სისწრაფით აამოქმედა ძველი ბერდანის თოფი.

აჭახჭახდნენ ანდროს და დათიას თოფებიც.

თითქოს ცა დამხობოდეს მიდამოს, ისე შეირყა ტყე.

მტრის წინახაზზე რამდენიმე მხრიდან უცებ სასიკვდილო ამოგმინვა გაისმა, და სროლაც მყისვე შესწყდა.

- ტყვია არ გამოილიო! წამო! _ მიაძახა მაშინ ნიკომ მიხელას, შესწყვიტა სროლა და მიწაზე დაკრულმა ხოხით იქეთ გასწია, სადაც ანდრო და დათია ეგულებოდა.

- კმარა! მომყევით! _ შეუსისინა ახლა ამათ გაპირისპირებისთანავე.

დაინახა თუ არა, რომ ნიკო და მიხელა უკან იხევდნენ, ანდრომ მხარზე მოიგდო თოფი და სამსონას მივარდა. ხელზე აყვანა დაუპირა, რათა ნიკოს დროზე მისდევნებოდა.

მაგრამ სამსონა ისე აბორგებულიყო, რომ ხელი არ მოეკიდებოდა.

მკერდზე შემოხვეული ყაბალახი შეხსნოდა. სისხლით შეღებილი ხელები შემზარავი ფართხალით ანდროსკენ გაეშვირა. თან ფეხზე წამოდგომას ცდილობდა და ხერხემალ გადატეხილივით ერთ ადგილზე იკლაკნებოდა.

- მომეცი ჩემი რევოლვერი! _ შეუხროტინა მან ანდროს დ ხელი გაუწოდა.

ანდრომ მოუზარებლად მყისვე ამოიძრო ქამრიდან მისი ნაჩუქარი რევოლვერი და გაუწოდა. მაგრამ რომ შეხედა, შიშით რევოლვერიანად უკან გადახტა: საშინელ განზრახვას მიუხვდა მეგობარს.

- მაშ, შენ უნდა მომკლა, ძამია! სიკვდილია ახლა ჩემი მხსნელი, ნუ მაწვალებ: ძმა ხარ... გადამარჩინე! ვაჟკაცი თუ ხარ, ახლა უნდა გამოდგე. მტერს საწამებლად ნუ მისცემ ჩემს თავს.

ანდრო ჯერ კიდევ კარგად ვერ მიმხვდარიყო, თუ რას სთხოვდა მას სამსონა.

- მომყევი, მტერი ჩაჩუმდა, დაიხია. _ ესღა უთხრა და კვლავ ასაყვანად მიუახლოვდა.

ამ დროს დათიაც მოიჭრა მათთან.

- ჩქარა, ანდრო! ჩვენ წინ უნდა ვიაროთ. მოჰკიდე ხელი! _ მიეშველა იგი ანდროს.

- ბიჭო დათია, შენ მაინც ივარგე... ხომ ხედავ, სავალი გზა ჯერ კიდევ გვაქვს.

მაგრამ სანამ მეგობრები ასაყვანად ხელს მოჰკიდებდნენ, სამსონა უცბად სასწაულებრ ფეხზე წამოდგა და მთელი თავისი სიმაღლით მათ წინ აიმართა სამარიდან ამოსულ მოჩვენებასავით.

- ჩემთვის ერთი ტყვიაც ვერ გაიმეტეთ... გლახებო... მაშ, აჰა, ახლა მაინც მომშორდით! _ სთქვა მან და მთელი ტანით ერთბაშად მოწყვეტით იქვე მდგარი ხის სვეტს ქვასავით შეეხეთქა.

- სამსონა, რას სჩადი? _ იყვირა ამის დანახვაზე დათიამ და სამსონას ტანით ზედ დაემხო. _ რას სჩადი? თავი მოიკალი? ვაიმე, ვაიმე!

ანდრო კი, სადაც იდგა, იქვე დარჩა გახევებული.

სწორედ ამ დროს გახელებული ნიკო ცალფეხზე ხტუნვით მათ თავზე წამოადგა.

- სადა ხართ ამდენხანს, მამაძაღლებო! _ ბრაზისაგან ძლივს გამოსცრა კბილებში და წითლად გაალებული თვალები პირველად უაზროდ მდგარ ანდროს შეანათა.

- ნიკო, სამსონა კვდება... თავი მოიკლა! _ ბავშვივით შესჩივლა მას დათიამ და მისკენ მოიხედა.

ისევ ცივმა ფოლადმა გაუელვა ნიკოს თვალებში.

- ადექი, გეუბნები! მიხელასთან მიდი, და გზა უჩვენე, სანამ გვიან არ არის! გესმის? _ უკანასკნელ ზომამდე დაჭიმული ბრძანების ხმით მიმართა დათიას ნიკომ და ცახცახშემდგარ ხელებში თოფი იმარჯვა.

- ჩქარა! ახლავე! _ დაასრულა მან თვალების უცნაური დახუჭვით და უმალვე გახელით.

დათია წამოდგა. შეხედა ნიკოს. მაგრამ თვალი ვერ გაუსწორა. პირში ენა ვერ მოიბრუნა. შეყოყმანებაც ვერ გაბედა, ბრძანების შესასრულებლად გასწია.

მაშინ ნიკო პირაღმა უძრავად გათხლაშულ სამსონას მიუახლოვდა და დახედა.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

- საბრალო სამსონა... _ წაილუღლუღა მან ისეთი გრძნობით გამთბარი ხმით, თითქოს სხვა კაცი ყოფილიყოს და არა ის, ვინც წუთის წინ დათიას სასტიკ ბრძანებას აძლევდა.

მაგრამ თქმის უმალვე ანდროსკენ მობრუნდა და ისევ წინანდებური ხმითა და ფოლადის თვალებით მიმართა:

- ვიაროთ!

მიუახლოვდა და დასაყრდნობლად მხარზე ხელი დაადვა.

მაგრამ გადადგეს თუ არა ორიოდე ნაბიჯი, მათ უკან სამსონას გულშემზარავი ამოკვნესა გაისმა, და მიმავალნი მომაკვდავი მეგობრის საშინელმა ყვირილმა შეჰზარა:

- ცოცხალი არ დამტოვოთ, ძმებო! ცოცხალი არ დამტოვოთ მტრის ხელში!.. გეხვეწებით, ჩემთვის ერთ ტყვიას ნუ დაინანებთ!

სამსონას ხმამ როგორც ნიკოს, ისე ანდროსაც ერთხანს სუნთქვა შეუკრა.

დადგნენ. ერთმანეთს შეხედეს. მაგრამ უმალვე თვალები ძირს დახარეს.

ნიკომ ჩურჩულით წარმოსთქვა:

- იქნება, სჯობს, რომ... _ მაგრამ ენა დაება. ვერ სთქვა სათქმელი. შეხედა ანდროს. თვალით ანიშნა, რისი თქმა უნდოდა.

ანდრო მიუხვდა. მაგრამ ენა ვერ დასძრა. იგი სდუმდა და მთელი ტანით კანკალებდა.

დრო დაყოვნებას არ ითმენდა.

- მიდი... თუ შეგიძლია! _ სწრაფად წარმოსთქვა ნიკომ და ხელის გაშვერით ანდროს სამსონასკენ გზა უჩვენა.

«თითქოს მიწის გულმა სადღაც სიღრმეში დაიგმინაო, ისე გავარდა ანდროს ხელში გნწირული ამხანაგის ნაჩუქარი საბედისწერო რევოლვერი.

ნაწილი მეორე

I

ფოთიდან წამოსული არჩილ დადიშიანი ქუთაისში ჩავიდა. რკინიგზელის დაბალი ტექნიკური მოსამსახურის ტანსაცმელი ეცვა და გარეგნობაც სათანადო ჰქონდა: მოუპარსავი წვერი, გამურული ხელები და პირისახე.

დილა იყო ადრიანი და ქუთაისს ჯერ კიდვ ეძინა.

არჩილი ვერ იყო კარგ გუნებაზე: თავისი კერძო საქმეც აწუხებდა, გარდა პარტიულისა, და მთელი ღამე არ სძინებია.

თავის თავთან მარტოდ დარჩენილს ათასი ფიქრი აღძროდა.

ქუთაისი ყოველთვის განსაკუთრებულად მოქმედებდა არჩილზე. გაუმხილებელი ტკივილის გრძნობას იწვევდა მის გულში და თან ტკბილ მოგონებებს აღუძრავდა.

დაიძრა თუ არა მატარებელი რიონის სადგურიდან, არჩილს მოგონებები აეშალნენ და მეხსიერებაში საოცარი სისწრაფით ქუთაისის გიმნაზიას და მეგობრებთან იყვნენ დაკავშირებულნი.

ვაგონის ფანჯარასთან დადგა და დილის ბურუსში გახვეული საყვარელი ქალაქისაკენ დაიწყო ცქერა.

ასე ეგონა, თითქოს რამდენიმე წელი გასულიყო, რაც იგი არ ენახა.

ქუთაისი არჩილის შეგნების პირველი დამრწევი აკვანი იყო, სადაც მისმა

პიროვნებამ საკუთარი სახე მოიპოვა და გრძნობებმა კი ქვეყნიერება გაიცვნეს.

მაგრამ ის, რასაც ინტიმურად განიცდიდა ქუთაისთან დაკავშირებით არჩილი, ახლა მოგონებაშიაც კი დაფარა, ვითომ თავისთავსაც არ გაუმხილა.

ეს იყო ცაცა რამაძის ქალი.

და როცა ნელად მიმავალი მატარებლიდან არჩილმა რიონის ჭალებს თვალი გააყოლა ვიდრე ქალაქამდის, ბალახვნის ქუჩა მთელი სიგრძით ნათლად წარმოესახა და მოეჩვენა, თითქოს ამ ქუჩის ერთ-ერთი სახლის ფანჯრიდან ოდნავ ელამმა შავმა თვალებმა დაგვიანებისათვის საყვედურით შემოხედეს.

- ქუთაისი და... _ ჩაითქვა გულში, ხოლო აღარ დაათავა. «ცაცა» უნდა ეთქვა, მაგრამ საიდუმლოდ შეინახა თავისთვის.

...

ქუთაისის სადგურიდან წამოსულმა არჩილმა უახლოესი შესახვევით ბალახვნის ქუჩისკენ გადაუხვია. იგი თავისი სიყრმის მეგობართან, შალვა რამაძესთან მიდიოდა, რომელთანაც ბინა ჰქონდა ქუთაისში.

რამაძეების ერთსართულიანს, მაგრამ საკმაოდ მაღლად მდგარ სახლს ფართო ადგილი ეჭირა ბალახვანის ქუჩაზე. მისი დიდი ეზო რიონზე გადიოდა, რომლის გაყოლებაზე, ქვითკირის გალავანს შიგნით, დარაჯებივით მწყობრად ჩარაზმულიყვნენ ტოტებგაშლილი ძველი ჭადრები. არჩილის მეგობრის მამა, ნოდარ რამაძე, იმერეთის ერთ-ერთ შეძლებულ თავადად ითვლებოდა. იგი ქუთაისის თავადზნაურობის დეპუტატების საკრებულოს თვალსაჩინო წევრი იყო.

დაუახლოვდა თუ არა ნაცნობ სახლს, არჩილმა უწინარეს ყოვლისა ჯერ კიდევ დახურული დარაბები შეათვალიერა. ერთი მათგანი ნახევრად გამოღებული იყო. იგი ჩრდილოეთის მხრით ზედ კუთხესთან ჰქონდა კედელს განცალკევებით ჩატანებული და შალვა რამაძის ოთახს ეკუთვნოდა. «ალბათ, არ სძინავს..» _ გაუხარდა არჩილს და გამოღებული დარაბის პირდაპირ დადგა. დარაბას შიგნით ფანჯარაც ღია აღმოჩნდა.

არჩილი დაწვდა ქუჩაზე კენჭს, აიღო და ოთახში ფრთხილად შეისროლა.

პასუხს არ დაუყოვნებია: გაიღო დარაბა და ფანჯარაში ფერმკრთალი, მკერდგაღეღილი პერანგისამარა კაცი გამოჩნდა, თავზე თმააბურძგვნილი. თვალების

ბეციანი ხუჭვით შეხვდა არჩილს, კითხვის ნიშნის გამოხატვით, და რომ ვერ იცნო დილის სტუმარი, მიიმალა. მაგრამ უმალვე ისევ გამოჩნდა ფნჯარასთან, ახლა უკვე ცხვირზე პენსნე ჩამოცმული.

- აი, შე ბეცო... ვერ მიცანი? _ ხუმრობით მიმართა არჩილმა.

- არჩილ! _ ხელების გაშლით გაიკვირვა შალვამ. _ მოდი, კაცო! მოდი კართან... ახლავე გაგიღებ.

არჩილმა კიბეზე აირბინა და სახლის შესავალ კარებს მიაშურა.

...

შალვა რამაძის ოთახი ძალზე არეულ-დარეული იყო. ნაომარ ადგილს ჰგავდა. მაგიდაზე ნაწერი და უწერი ქაღალდების ზვინი იდგა. იქვე წიგნები დ ჟურნალები უწესრიგოდ ეყარა, ზოგი დაკეცილი, პაპიროსისა და ასანთის ნამწვებში არეული. იატაკზე გაზეთები. ლოგინთან სასთუმალის მხრით მიდგმულ სკამზე ლამპასთან ერთად კიდევ წიგნები ელაგა, ჟურნალები და გაზეთები. აქაც პაპიროსის ნამწვები იყო დაფანტული. ბალიშის ქვეშიდან ამოჩრილიყო ვეება ტანის წიგნი, რომელსაც მუთაქის მაგივრობის გაწევა თავისუფლად შეეძლო.

- რა ამბავი? _ სახეზე დამცინავი ღიმილი აათამაშა არჩილმა და ისე ჰკითხა მეგობარს, როცა ოთახში შევიდა და თვალში უწესრიგობა ეცა.

შალვამ ლამპიანი სკამი სასწრაფოდ გაათავისუფლა და სტუმარს მიაწოდა.

- დაჯექი. არაფერია. წუხელ შენიანებთან ჩხუბი მქონდა, _ უპასუხა მან რუსულად არჩილს, გაჰკრა ასანთს, პაპიროსი გააბოლა და ლოგინში ჩაგორდა, ზეწარი გადაიხურა.

- იმათ კი დავუფეთე ანგელოზები! _ არჩილმა შეხედა. შეათვალიერა. მერე ისევ რუსულად ჰკითხა: _ სად დაიკარგე, კაცო! _ ერთხელ კიდევ შეათვალიერა სტუმარი და განაგრძო: _ ეს რა ჩაგიცვამს? მუშა ხარ ვითომ ნამდვილად რაღა.

- მაშ, რა გეგონა... შენსავით ბურჟუა კი არ ვარ...

- აუცილებელია: მუშათა პარტიას მუშები უნდა ჰყავდეს, და რაკი საქართველოში პროლეტარი აღარ აღმოჩნდა, თვითონ უნდა გაპროლეტარდეთ, მეტი რა გზა გაქვთ!

შალვა რამაძეს და არჩილსაც ქართულზე უკეთ რუსული ეხერხებოდათ. შერეულად ლაპარაკობდნენ რუსულ-ქართულად, როგორც იმდროინდელი

ახალგაზრდობა.

- ალბათ, წუხანდელი კამათის გაგრძელება გსურს... მერე იყოს, თუ ძმა ხარ. შენ ჯერ ეს მითხარი: შენიანები შინ არიან თუ არა? _ სიტყვა ბანზე აუგდო მეგობარს არჩილმა.

- პირდაპირ თქვი, ვინ უფრო გაინტერესებს? _ მცდელი თვალებით შეხედა შალვამ და ცბიერად გაუღიმა.

- დაიცა, შალვა, მაგას თავი დაანებე... _ ცოტა არ იყოს, დარცხვენილად მიუგო არჩილმა. _ კარგად იცი, ვის შესახებაც გეკითხები: მამაშენის მერიდება.

- ჰო... მამა ტფილისშია. ხომ იცი, ჩვენმა თავადაზნაურობამ დეპუტაცია მიუგზავნა მეფისნაცვალს. აქაო და, ქვეყანა დაწყნარდაო და ახლა ასე და ისეო... ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა. დედა სახლშია. შენი ნახვა გაუხარდება, რაც შეეხება... _ ხმის მნიშვნელოვანი აწევით გააგრძელა უკანასკნელი სიტყვა შალვამ და კიდევ ცბიერად შეხედა არჩილს.

- ჰო, ნეტავი, მოცლილი არ იყო... _ ესროლა გაჯავრებულივით არჩილმა. ადგა და მაგიდაზე წიგნებს დაუწყო თვალიერება.

- მართლა, ცაცა სამი-ოთხი დღეა რაც სოფლიდან დაბრუნდა. გაჯავრებულია შენზე. წერილი რომ მიგიწერია... ამ მხრივ ვერ არის, მგონია, შენი საქმე კარგად. გეცოდინება, წელს მოსკოვს აპირებს წასვლას. მადლობა ღმერთს. მობეზრდა თქვენი «ერფრუტის პროგრამა» და «რევოლუციის მეორე დღეს!» _ ახლა უკვე სერიოზულად აცნობა მეგობარს შალვამ.

- კარგი ამბავია!

- ყოველ შემთხვევაში, არ გირჩევ, რომ ამ სახით დაენახო: სოციალ-დემოკრატობს, მაგრამ მაინც თავადის ქალია, ძმაო. ხუმრობა-გაშვებით: შენ აქ რევოლუციონერად არავინ არ გიცნობს. გამოიცვალე ტანსაცმელი. მანდ, კუთხეში ჰკიდია... ამოირჩიე. წვერიც გაიპარსე: სამართებელი მანდ დევს პატარა მაგიდაზე... სარკის წინ.

- აი, ეს კი მართლა საჭიროა... ქუთაისში მუშა უფრო საეჭვოა და იშვიათი. ფოთში კი _ ინტელიგენტი. სწორედ ამისთვის გამოგიარე, თორემ ძალიან სასწრაფო საქმე მაქვს.

ამ სიტყვებით არჩილმა კუთხეში კედელზე ჩამოკიდებული ტანსაცმელები გასინჯა. ერთი ხალათი და შარვალი ჩამოხსნა.

- ხო რაც დამჭირდება... შეიძლება?

- რატომ მკითხავ? რომელიც გინდა ჩაიცვი. მე სულ შინა ვარ... საწერი მაქვს სასწრაფო.

არჩილმა ჯერ პირსაბანზე ხელპირი კარგად დაიბანა. ჭუჭყი მოიშორა, მერე ტანსაცმელის გამოცვლას შეუდგა. ამასობაში შალვაც წამოდგა და ტანთ ჩაცმა დაიწყო.

- უნდა გამოგიტყდე, ძალიან ძნელია არალეგალური მუშაობა. პირობები პირდაპირ საშინელია, აუტანელი. არ მეგონა, რომ შევეჩვეოდი. არც ისე იდეალური ყოფილა ეს მდგომარეობა, როგორც წარმოდგენილი მქონდა, _ ლაპარაკობდა არჩილი და კუთხეში მიმდგარი რკინიგზელის ძველ ტანისამოსს იხდიდა.

- მართლა, რას ფიქრობ, ბიჭო უნივერსიტეტისას? წელსაც არ აპირობ სწავლის გაგრძელებას? _ ჰკითხა შალვამ.

- ვერ ვერ გადამიწყვეტია. ბევრი საქმე მაქვს. არ ვიცი, თავს როგორ დავაღწევ. მეორე მხრივ, აქ რომ დავრჩე, ისე დამდევენ, რომ უთუოდ ჩავვარდები. რა ვქნა, არ ვიცი... გზის ფულიც კი ვერ მომიმარაგებია. დედაჩემს კიდევ ჩემი სწავლის არაფერი სჯერა. საქმე ვერ მაქვს კარგად.

- ფულის ჯავრი ნუ გაქვს: ერთად ვიქნებით და იოლას წავალთ. შენ ოღონდ მოშორდი მაგ შენს პარტიულ რეზიდენციას. სხვა რომ არა იყოს-რა, მალარია დაგახრჩობს, ჩემო ძმაო... მერე შენთვის სულ ერთი არ არის, სად იმუშავებ: საქართველო ხომ გწამს, და პროლეტარიატი რუსი იქნება თუ ქართველი, ამას რა მნიშვნელობა აქვს.

- დიაღაც, ჩემო შალვა.

- მაშ, მეტი რაღა გინდა? წამოდი. აი, ცაცამაც გადაწყვიტა წამოსვლა. ჭკუას შვრება. მამამისმა ბანკში მამული დააგირავა, კარგა ბლომად აიღო. ცაცას ორმოცდაათი მანეთი დაპირდა თვეში.

- ჰო-ჰო! კარგად ჰქონია საქმე.

- თუმცა ამ ბოლო დროს ძალიან არეულია. ჯერ მაგ თქვენს პარტიას იყო გადაყოლილი... იქნება, რა ვიცი, შენი ხათრისათვის. ახლა კიდევ მუსიკაზე ოცნებობს და სხვა ყველაფერი ეჯავრება. წუხელ მაინც გაიხსენა ძველებური და კამათში ჩაება: ბევრი ახსენა თქვენი წმინდანები: მარქსი, ენგელსი... რას მიქვიან საქართველოო, ავტონომიაო. ამას წინად რომ ჩემი წერილები იბეჭდებოდა ეროვნულ საკითხზე, თავზე დამახია. მისი

ტემპერამენტის ამბავი ხომ იცი... თქვენი პარტიის მიერ არის მოწამლული... ჰეე, ჩემო არჩილ, სწორე გითხრა, რომ ვაკვირდები, თანდათან ვრწმუნდები, რომ ძალიან რყვნით ახლგაზრდობას.

- ჰერიჰაა... მერე... მერე... ილაპარაკე. გისმენ, სანამ წვერს მოვიპარსავდე.

გდაცმული არჩილი ახლა სარკის წინ დაჯდა და სამართებელი მოიმარჯვა.

- არ შეგრჩებათ, იცოდე, აი... ნეტავი, ახლა შენც თუ იზიარებ პარტიულ ნიჰილიზმს ეროვნულ საკითხში? _ გამოცვლილ კილოზე, სერიოზულად შეეკითხა მას შალვა და უკვე ჩაცმული თავზე წამოადგა. სარკეში შეხედა. მეგობრების თვალები ერთდროულად შეხვდნენ ერთმანეთს.

არჩილს გაეცინა.

- რას იცინი? მე სერიოზულად გეკითხები.

- ხომ იცი, შალვა, რაც გვაცალკევებდა თავიდან: შენ მუდამ ნაციონალისტი იყავი, მე კი _ სოციალისტი. როგორც შენ არ გიღალატნია შენი პრინციპებისათვის, ისე არც მე _ ჩემისათვის.

- კი, მაგრამ მე არასოდეს ვყოფილვარ ნაციონალისტი. განა ვისაც თავისი ერი სწამს და სამშობლო უყვარს, ნაციონალისტია? _ თქვა შალვამ და სარკეს მოშორდა. მაგიდასთან მივიდა, ჩუმად ამოიოხრა და პაპიროსს მოუკიდა.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

- ჩვენ, ძმაო, დაღუპულები ვართ! _ ნაღვლიანი სიმწარით წარმოსთქვა ბოლოს შალვამ, ჯიბეში ჩაიწყო ხელები და გაიარ-გამოიარა.

არჩილი გაუჩუმდა. მალულად შეავლო სარკიდან თვალები. ტანჯვა შენიშნა სახეზე, უცები ნერვიული აცახცახება.

- კი, მგრამ აკი ანარქო-სინდიკალიზმისაკენ იხრებოდი, შალვა! ასე რომ არ გაინტერესებდა ეროვნული პრობლემა? _ შემპარავი სილბილით შეეკითხა სიჩუმის შემდეგ არჩილი. _ მართალი გითხრა, სოციალისტისათვის ეს არც ისე მთავარი საგანია.

ახლა შალვა გაუჩუმდა არჩილს. ხოლო მცირე ხანს შემდეგ ოდეკოლონის შუშა აიღო მაგიდიდან, მიუტანა არჩილს და უხმოდ წინ დაუდგა.

- ანარქო-სინდიკალიზმი... ანარქო-სინდიკალიზმი! _ ორჯერ ჩაილაპარაკა მან თავისთვის დიდმნიშვნელოვნად და ისევ გაისეირნა.

მერე უცებ შესდგა არჩილთან სახეშეფითრებული, წინ გაუჩერდა და მარჯვენა ხელი მაღლა ამართა სალოკი თითის გაშვერით.

- ჩვენი საქმე იქ... იქ, შორს... ჩვენი ისტორიის სათავეში არის წაგებული! _ წარმოსთქვა პათეტიურად, მგრამ გულის სიღრმიდან და, სანამ არჩილი თავს ასწევდა და შეხედავდა, მოწყდომით ოთახიდან გავიდა.

«რა გაუსწორებელი მეტაფიზიკოსია. ნეტავი, რა მოუვიდა?» გაიფიქრა არჩილმა. ცოტა არ იყოს, შეაფეთა შალვას მოულოდნელმა ტრაგიკულმა ხმამ.

რამაძის ასეთი ხმა ყოველთვის უცნაურად მოქმედებდა არჩილზე. სადღაც მიმალულ გრძნობებს უღვიძებდა. ხანდახან ისეთ აზრებსაც აღუძრავდა, რომლებიც სოციალ-დემოკრატს არავითარ შემთხვევაში არ შეეფერებოდნენ. მაგრამ ამ გარემოებას თავისთავსაც არ უმხელდა არჩილი. შალვასთან განზრახ სასტიკ გულგრილობას იჩენდა ყოველგვარი ეროვნული პრობლემისადმი, რომელსაც რაიმე კავშირი ჰქონდა საქართველოსთან. ამ შემთხვევაშიც ვითომ ყურადღება არ მიაქცია მეგობრის სიტყვებს. გულმოდგინედ განაგრძო თავისი საქმე: საჩქაროდ მოათავა წვერის პარსვა, სახეზე ოდეკოლონი შეიპკურა, პუდრი შეიფრქვია. თმა დაივარცხნა. შელამაზდა.

სარკის წინ დადგა. მაღალი იყო. კარგად მოყვანილი. სწორი, სუფთა სახე ჰქონდა, ქერა, კეთილშობილური. ლაჟვარდივით ღრმა, ოდნავად მომწვანო თვალები.

საყელო და სახელოებ-მოქარგული ხალათი შვენოდა.

სულ არ ჰგავდა ფოთელ არჩილს.

- იქნება, ეს გირჩევნია? _ ჰკითხა თავის ორეულს სარკში და თვალების დაპატარავებით დააცქერდა.

მაგრამ უცებ არ მოეწონა საქციელი. თითქოს გაჯავრდა და სარკეს მოშორდა.

ის-იყო, არჩილი თავის ტუალეტს მორჩა, რომ მოულოდნელად ფართოდ გაიღო შემოსავალი კარი და ოთახში ცაცა ისე შემოვიდა, თითქოს შემოფრინდაო. არჩილის წინ შესდგა და შეხვდა.

შეუპოვრად შეეკრა სახე. წარბები მშვილდივით მოეღუნა და მოელვარე თვალებში გაკვირვების, გნრისხების და ფარული მისალმების სხივები ყველა ერთად და ერთსა და იმავე დროს ჩაეყენებინა.

დილის საშინაო კაბა ეცვა. თავი ფერადი მანდილით წაეკრა. ყელი მოეღერებინა.

ახალი ამდგარი იყო.

- აჰ... ვინ ყოფილა? ვაჟბატონი! _ სთქვა და არჩილს თვალები შეანათა.

- უკაცრავად... არ ვიცოდი, რომ თქვენ ბრძანდებოდით, _ აატნ უმალვე ბოდიშით და უკან კარისკენ გადადგა ნაბიჯი.

აიმრიზა არჩილი. დაიბნა. სისხლი აუვარდა სახეზე.

- ცაცა! _ მიმართა ცაცას და მისკენ ხელის ჩამოსართმევად გაიწია.

- შესდექით მანდ! მე თქვენ არ გიცნობთ! _ დაუზოგველად შეუტია მას ცაცამ და რისხვიანი თვალებით ერთხელ კიდევ გაზომა.

მერე ისევე სწრაფად გავიდა ოთახიდან, როგორც შემოვიდა.

სახტად დარჩა არჩილი. ჩამოსართმევად გამზადებული ხელი ჰაერში უმიზნოდ გაეშვირა და ღიმილშერჩენილი სახით ცაცას მიერ მოხურულ კარს მისჩერებოდა.

თუმცა კარგად იცოდა ცაცას ხასიათი, მაგრამ ასეთ შეხვედრას მისგან მაინც არ მოელოდა.

ეწყინა. შეურაცხება იგრძნო.

ამ დროს შალვას ფეხის ხმაც მოესმა. სწრაფად მიტრიალდა საწერ მაგიდისკენ, უხერხული პოზა გაისწორა.

- გარდა იმისა რომ ცაცა ჩემი ბიძაშვილია, სტუმარიცაა ჩემი... რატომ აწყენინე, არჩილ? _ შემოსვლისთანავე მიმართა არჩილს ხუმრობით შალვამ. მიუახლოვდა და ხელი მხარზე დაადვა. _ ა? მართალია? შერიგების მაგიერ კიდევ წაიჩხუბეთ?

პასუხად არჩილმა გაუცინა მეგობარს. მერე თვალები მინაბა და სახე გამოიცვალა. ამით აგრძნობინა: ცაცას შესახებ ნურაფერს მკითხავსო.

ერთიხნის შემდეგ საქმიანი კილოთი მიმართა:

- შალვა, მე უნდა წავიდე ახლა, საჩქარო საქმე მაქვს. კიდევ გნახავ... ჰო, ის მინდოდა მეთქვა: ქუდიც მათხოვე სტუდენტური.

- ბატონი ბრძანდები. მაგრამ სად მიგეჩქარება? _ გამოიცვალა შალვამაც ხმა.

- საქმე მაქვს.

- კაცო, მეორე «დუმისათვის» ხომ არ დაგიწყიათ ჯერ სამზადისი?

- არა, სხვა რამეა... მალე მოვბრუნდები. შენთან კიდევ ბევრი სალაპარაკო მაქვს.

შალვამ ქუდთან ერთად თავისი ჯოხიც მიაწოდა არჩილს. სთხოვა, სადილად

სხვაგან არ დარჩენილიყო და კიბემდის მიაცილა.

...

ქუჩაში რომ გავიდა, მცირე ხნით შესდგა არჩილი. რიონს გაღმა უნდა გასულიყო პარტიული ამხანგების სანახავად და იმაზე ფიქრობდა, რომელი გზით ევლო: ხიდით, თუ ბორანით მოეჭრა გზა.

ბორანი აირჩია. მოტრიალდა და რამაძის სახლის წინა ფასადს გაჰყვა აჩქარებით.

ის-იყო, ჩაიარა თუ არა, სახლს უკანასკნელი ფანჯარა ჩახმაურებით გაიღო და დარაბები კედელს აქეთ-იქით ისე შეეხეთქნენ, რომ არჩილმა ძალაუნებურად მოიხედა.

ფანჯარაზე ცაცა გადმომდგარიყო და აფეთქებული სახით უმზერდა არჩილს.

შესდგა არჩილი. სახემოღუშულმა შეხედა ცაცას.

«მართლა მიდიხარ?»

«ჰო, წადი, მე არ გაკავებ»... «ნუ თუ ვერ გაიგე, რისთვის შემოგწყერი».

«დაბრუნდი».

«არა გრცხვენია?»

«არა, წადი... სულ წადი, თუ შეგიძლია».

ყველას ამას ერთდროულად გამოხატავდა ცაცას ანთებული სახის გამომეტყველება.

«ნამდვილი არტისტია», გაიფიქრა გულში არჩილმა. მაგრამ იგრძნო, რომ ცაცას ეს საქციელი მის გამარჯვებას მოასწავებდა და ამით გათამამებული ახლა თვითონ გადავიდა შეტევაზე: _ გაჯავრებული და შეურაცხყოფილი სახე უჩვენა. ჯერ შერისხვით გაუსწორა თვალები, მერე უცბად მიტრიალდა და თავისი გზა განაგრძო.

ბეჯითად გაიარა კარგა მანძილი, ვიდრე გადასახვევამდის. აქ კი მობრუნდა და ცაცასკენ მოიხედა.

წასული ეგონა.

მაგრამ ცაცა ისევ იმავე ფანჯარასთან იდგა და თვალების მოუცილებლად უცქეროდა მას.

ცხადი იყო, იგი პატიებას თხოვდა არჩილს წეღანდელი საქციელისათვის.

ვერ მოითმინა ახლა არჩილმა. გაუღიმა, ვითომ, აჰა, მოვდივარო და მისკენ

გაჰქანდა გახარებული.

ცაცას სახეზე ცელქმა ღიმილმა გაიციალა. გაჯობე თუ არაო, ეუბნებოდა თითქოს იგი არჩილს. მერე ენა გამოუყო მოახლოვებულს და მის თვალწინ ფანჯარა სწრაფად მიხურა... მიიმალა.

კიდევ დამარცხდა არჩილი.

- დამაცა, გადაგიხდი, _ დაემუქრა იგი ცაცას და დარცხვენილი ბორნისკენ გაეშურა უკანმოუხედავად.

II

რიონს გაღმა არჩილი ჯერ გეგუთის ქუჩაზე გავიდა.

რაღაც მოღიმარი ეჩვენებოდა და ქვეყანა და თვითონაც იღიმებოდა. გულში უხაროდა ცაცას ბავშვური მოქცევა და იმაზე ფიქრობდა, რა სახით უნდა მომხდარიყო მასთან შერიგება. წინასწარ წარმოედგინა ყველა ხერხი, რომლისთვისაც უნდა მიემართნა ამ თავნება ბავშვის გულის მოსაგებად.

«ფანჯარაზე რომ გადმოდგა, უთუოდ მოინანია ცუდი შეხვედრა», _ ფიქრობდა და ბავშვივთ უხაროდა.

გულის სიღრმეში კი რაც ხინჯი და ფარული იჭვები ჰქონდა ცაცასადმი, ამას ახლა აღარ გრძნობდა. სხვანაირად იყო განწყობილი.

გეგუთის ქუჩამაც გაუმხიარულა გუნება. ამ ქუჩასთან არა ერთი ნეტარი მოგონება ჰქონდა დაკავშირებული: მოწაფეობის უმეტესი ხანი მის მიდამოებში გაეტარებინა.

თითქოს მიესალმნენ არჩილს ნაცნობი ადგილები: სახლები, ეზოები, ხეები, ქვებიც კი.

ნელი ნაბიჯით მოდიოდა. თვითონაც ესალმებოდა საყვარელ ქუჩას. აგონდებოდა ბავშვობა. ყოველ კუთხეში იცქირებოდა. ყოველ წვრილმანს აღნიშნავდა.

წინ პატარა არჩილი მიუძღოდა, ხან კოჭებით უბე ავსებული, ხან როკტაფელით შეიარაღებული. ღაჟღაჟალოყებიანი. ბედნიერი. ცელქი. ბავშვობის ამბებს მოუთხრობდა დიდ არჩილს.

- აი, ეს აქ იყო... ის კიდევ _ იქ. იმ დიდ მინდორზე _ ბურთი. იმ დიდ ეზოში _ ოთურმა. აი, ამ დიდ სახლში კიდევ _ ჩვენ ვცხოვრობდითო.

საკვირველია: ათვალიერებს არჩილი შენაზარდ ადგილებს და მინდორიც პატარა ეჩვენება ახლა და ეზოც. «დიდი» სახლი კი სულ დაბალია, პატარა მის სახურავს კაცი ხელითაც კი აწვდება.

რა უცნაურია!

რა მოხდა? რატომ არის ასე?

ის მოხდა, რომ არჩილი გაიზარდა, ახლა არჩილია სამაგიეროდ დიდი.

საუცხოოა!

მაგრამ აქ მცირედ შეფიქრდა არჩილი.

«სად მიდის, სად იკარგება ეს დრო? რა აზრი აქვს ყოველსავე ამას?»

შედგა. ფიქრებმა გაიტაცეს. მართლა როგორ იცვლება ქვეყანა და რა უცნაურია იგი!

მის აზრებს ყმაწვილური სითამამე გადაჰკრავდა. შორს შედიოდნენ ისინი, და რაც უფრო შორს მიდიოდნენ, მით უფრო ბუნდოვანი ხდებოდნენ.

გეგუთის ქუჩა მაინც თვალწინ გადაშლია. მის აფრენილ აზრებს ადევნებია. თავისკენ ეწევა, უდარდელ ბავშვობისკენ ახედვინებს.

ერთი გული მისკენ მიუპყრია არჩილს. ვერ ეშვება. ბოლოს მაინც ხელი ჩაიქნია.

«რაც იყო, ხომ იყო. გათავდა. ახლა კი რა არის არჩილი, ან მისგან რა უნდა გამოვიდეს?»

ამაზე ერთხანს დაფიქრდა, მაგრამ პასუხი არ აღმოაჩნდა.

გაუკვირდა. თითქოს არ იყო ასე, თითქოს ყოველთვის იცოდა, რასაც წარმოადგენდა და მომავალი მოფიქრებული ჰქონდა, აწონილ-დაწონილი.

ერთი რამ კი იყო მისთვის ცხადი: მას არ უნდოდა ყოფილიყო ის, რაც ამჟამად არის, არამედ გაცილებით უფრო დიდი. რაღაც სხვა.

მაგრამ სახელდობრ რა, ეს გარკვეული არ ჰქონდა.

შეწუხდა.

«აი, ინტელიგენტური ქანაობაო რომ იტყვიან, სწორედ ეს არის», გაივლო გულში და ნიკოს მიერ ფოთში წამოყენებული ბრალდება მოაგონდა.

დაუფარავად რომ სთქვას კაცმა, ნიკომ სხვაც ბევრი მართალი უთხრა. ახლა რომ უკვირდება არჩილი, რწმუნდება, რომ მას მთლიანობა აკლია _ აზრის, გრძნობის,

განცდის. სხვამ არავინ იცის, მაგრამ თავისთავს ხომ არ დაუფარავს, რომ ასეა.

ავიღოთ ეროვნული საკითხი. შალვა რამაძეს, მართალია, ეკამათება, მაგრამ გულში კი... ძალიან ხშირად ეთანხმება მას. ეს არის არჩილის უბედურება, რომ მუდამ წინააღმდეგობაში იმყოფება.

ვის გაუგონია: სოციალისტი, რევოლუციონერი, მარქსისტი და ასეთი ამბავი!

აი, ნიკოსთანა მთლიანი კაცია რევოლუციისათვის საჭირო.

ნეტავი, არჩილიც ასეთი იყოს.

მაგრამ რა უყოს ამ აზრებს, თავში რომ ამდენი აქვს, თითქოს ყოველთვის ერთიმეორის უარმყოფელი. ცაცასადმი სიყვარულიც ასეთია: წამდაუწუმ ეცვლება.

ხან ერთს ფიქრობს და სულ სხვას აკეთებს, ხან კი ერთს აკეთებს, და სხვას ფიქრობს.

მაგრამ აქ ანაზდეულად არჩილის ყურადღება კუთხური სახლის გვერდით, მის პირდაპირ, მიკრუნჩხულმა პატარა საწვრილმანომ მოიტაცა დუქნის თაროიან სარკმელში ვარდისფერი შაქრის ყინული დაინახა და სიღრმეში კი _ ნაცნობი ბაყალის, ბებერ დათიკას სილუეტი.

გაუხარდა, რომ ამ სურათმა მაწუხებელი ფიქრების დენა შეუწყვიტა.

მაგრამ უცბად რაღამაც გააოცა და, თითქოს სასწაულად მოეჩვენაო დანახული, ისე დიდად გაკვირვებულმა შაქრისყინულიან სარკმელს მზერა დაუწყო.

ეს ხომ ის დუქანია, რომელიც ათი წლის წინადაც იდგა აქ... სწორედ ასევე, როგორც ახლა დგას. მოხუცი დათიკაც ხომ იგივეა... მაგრამ საკვირველებად ეს კი არ მოეჩვენა ახლა არჩილს _ იგი იმ ვარდისფერმა შაქრისყინულის ნატეხმა გააოცა, რომელიც სარკმლის მინიდან გამოსჭვივოდა: _ ის ისევე იდვა თაროზე, როგორც არჩილის ბავშვობისას.

ეს სწორედ ის ნატეხია, რომლის დანახვაზე პატარა არჩილს არაერთხელ პირი ნერწყვით ავსებია.

არც მეტი, არც ნაკლები: სწორედ ის არის.

და არჩილში ბავშვობის დროინდელმა ნატვრამ გაიღვიძა. უცნაურად აენთო. პირში ნერწყვი ჩაუდგა. თავადაც თითქოს დაპატარავდა. გაბავშვდა. ამას წინად რომ მოგონებაში თავისი პატარაობის სახე მიუხტოდა წინ ქუჩაში, სწორედ იმად გადაიქცა,

და ერთბაშად მოსწყდა თავის ადგილს. ქუჩა ხტუნვით გადასჭრა. დუქანთან მიირბინა.

მართლა უცნაურია!

უნდა იყიდოს უთუოდ.

ამასობაში დათიკა ბაყალმა შეამჩნია არჩილი. კარზე გადმოდგა.

- მობრძანდი, რა გნებავს? _ ვაჭრულ კილოზე მიმართა არჩილს. დუქანში შეიპატიჟა.

- გამარჯობა, დათიკა! ვერ მიცანი?

ბებერი ბაყალი დააკვირდა არჩილს. მერე ხელის გული თვალებზე ჩამოიფარა. ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.

მოიგონა. იცნო. გაუკვირდა.

გაუხარდა. გაუცინა. თავისებური ჩიფჩიფით მიუალერსა:

როგორ გამოცვლილა, დავაჟკაცებულა არჩილი! უთხრა ასეთი იყავიო პატარა და ხელით უჩვენა ზომა.

- კიდევ შეხედა. კიდევ გაიკვირვა. თავი გაიქნია:

- საკვირველია ადამიანი! _ დაასრულა დაუფარავი შეღონებით და თვალები ისე დაახამხამა, თითქოს ლოცვის წარმოსათქმელად მოემზადაო.

- როგორ გიკითხო, დათიკა? სულ არ გამოცვლილხარ... შენი დუქანიც ისეთივეა.

- ჩვენ ახლა სიკვდილი თუ გამოგვცვლის... მეტი გზა აღარ გვაქვს... _ მოსწრებით უპასუხა მოხუცმა და თვალებს შიგნით უაღრესად მშვიდი და სათუთი სევდა დაანახვა არჩილს.

ახალი რამ ეცნაურა არჩილს დათიკას გამოხედვაში.

შეხედა დათიკას, მისი თვალების სიღრმეში მიმალულ სევდას დააკვირდა ფარულად.

უარესად ადამიანური განცდა ენიშნა. არჩილს დათიკას სევდის სახით.

«ეს კიდევ სხვა ამბავიაო», გაიფიქრა და უნებლიედ დათიკას თვალებით შეხედა ამას წინად წარმოდგენილ თავისი პატარაობის სახეს.

«საით მივდივარ!» _ _ გაუელვა აზრმა და იდუმალმა შიშმა შეიპყრო, შიშმა იმ ცხოვრებისადმი, რომლის წარსულის ერთ ფურცელს ასე უდარდელად ათვალიერებდა იგი თავის პაწია ორეულთან ერთად...

...

ასე გაიარა არჩილმა გეგუთის ქუჩა.

ახლა აღარ უღიმოდა იგი ქვეყანას. არც ქვეყანა ეჩვენებოდა მოღიმარი.

გუნება შეცვლოდა.

რაღაც მძიმე ტირთი აკიდებოდა, _ უსახო, უსახელო.

საქმე ელოდა: ორ ადგილას უნდა მისულიყო. საერთო პარტიულ საქმეებზე მოსალაპარაკებლად ამხანაგი ვასო უნდა ენახა. მერე კი ვასოსთან ერთად იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის ბინაზე უნდა გამოცხადებულიყო ნიკოს მიერ აღძრული საკითხის გამოსარკვევად.

საქმე საქმედ უნდა წარმართულიყო.

შინაგანი სულიერი განწყობილება სხვა დროისათვის უნდა შემოენახა.

... მალე ვასოს ბინის კარს მიადგა.

ვასოს მეტ სახელად ხან «ქუთაისის კომიტეტს» და ხან კიდევ «დიდ ვასოს» ეძახდნენ ქუთაისში.

ნამდვილად ის პატარა ტანის კაცი იყო, დაბალი, ვერცხლისწყალისებრ მოძრავი. მაინც იშვიათი პიროვნება იყო: სრულად დამსახურებული ჰქონდა «ქუთაისის კომიტეტის» სახელწოდება. ლეგალურად ვასოს გარდა პარტიული სხვა აღარავინ ცხოვრობდა ქუთაისში, და მთელი მუშაობა მას დასწოლოდა ამ შავი რეაქციის თარეშის ხანაში. პირნათლადაც ასრულებდა თავის მოვალეობას. საკვირველ ენერგიას იჩენდა და მოხერხებას.

არჩილს მასთან პირადი, მეგობრული განწყობილებაც ჰქონდა.

- რა ამბავია შენს ფოთში, არჩილ? _ ჩვეულებრივი მისალმებით არ დაუჭერიხართ. მობრძნდი. _ მერე მოულოდნელად გაუჩერდა წინ, წარბებ ქვეშიდან ცქრიალა ჭრელი თვალებით ახედა და საყვედურიანი სერიოზულობით ჰკითხა:

- ნიკო ფოთში დასტოვე?

არჩილს არ გაკვირვებია ვასოსაგან ასეთი შეკითხვის გაგონება. «ქუთაისის კომიტეტს» იშვიათად თუ გამოეპარებოდა რომელიმე პარტიული საიდუმლოება.

- კი... _ თავის დაქნევით უპასუხა არჩილმა. _ რატომ მკითხავ? არ უნდა დამეტოვებინა? _ ჰკითხა მერე დაუფარავად შეშინებულმა.

- არავითარ შემთხვევაში, _ თითქოს შეუწყრა ვასო, მაგრამ მერე შერბილებული გამოთქმით დაასრულა: _ თუმცა ჩვენ საკმაოდ ძლიერი ვართ ფოთში. არაფერია.

- ამ მხრივ მე ნიკოს ფოთში ჩამოსვლა სულაც არ მაშინებდა, _ თქვა ახლა თამამად არჩილმა. _ მაგრამ მისი მიზანი სხვაა, ამხანაგო ვასო. და მეც სწორედ იმიტომ გამოვეშურე აქეთ, რომ როგორმე ხელი შევუშალო და...

- არ დაუჯერო, _ გააწყვეტინა უცებ ვასომ სიტყვა არჩილს. _ ვითომ მატარებელს უნდა დავხვდეთო და სხვა ასეთი... არა?

- შენც გცოდნია! _ გაიკვირვა არჩილმა.

- მე ისიც ვიცი, ამხანაგო არჩილ, რომ ეს ნიკოს ოინია, თავისებური ტაქტიკა, მეთოდი, თორემ რა შვილია, იგი ახლა მატარებელზე თავდასხმას გაბედავს!

- არაფერი მესმის... _ გააწყვეტინა არჩილმა.

- უნდა გითხრა, ჩემო არჩილ, რომ ნიკო ჩინებული ორგანიზატორია. ამნაირ ხერხს მიმართავს იგი ხშირად, როცა გარშემო ამხანაგების შემოკრება უნდა და ბოლშევიკური ორგანიზაციის მოწყობა. ეშმაკია: აქაო და ასეთი პარტიული, რევოლუციონური საქმე უნდა გაკეთდეს და ვინ ვარგიხარ, მსურველი ვინ ხარო... გესმის? მსურველები უთუოდ გამოჩნდებიან. ნიკოც სამზადისს შეუდგება. ჩაიყოლიებს ერთს, მეორეს... მერე გაიხედავ და _ ორგანიზაციაც მზად აქვს. ვინც არ ვარგა, მასთან არ წავა. ამიტომ მაგარი, შეკრული ორგანიზაცია ჰყავს ყველგან.

- მე კი ეს არ ვიცოდი, _ გაუხარდა არჩილს გაგონილი, _ მეშინოდა, ალიაქოთს დააყენებს ფოთში და ზედმეტ რეპრესიებს გამოაწვევინებს-მეთქი, თორემ ამ ხერხით ჩვენთან რას გააწყობს. შეხედე: მე კი სერიოზულად მომცა წინადადება. ბევრიც მეკამათა. გამლანძღა კიდევაც. ჩვენი ზოგიერთი ბიჭების ამბავი ხომ იცი: მითხრეს, ორიოდეს მართლა უფიქრნია დახმარების აღმოჩენა... გესმის?

- აი, აი.

- მაგრამ მე მაინც უნდა ვნახო აქ ზოგიერთი მისიანი, რომ უკან დაბრუნებულმა კარგად შევარცხვინო. ნეტავი ვინ არიან ახლა აქ?.. შენც წამომყევი, ვასო.

- მე და ბოლშევიკებთან? _ გაიცინა ვასომ და, ცოტა არ იყოს, ამაყი გამომეტყველება მიიღო. _ რას მეუბნები, კაცო? მისვლა კი არა, დასანახავად ვეზარები. ისევ ის სჯობია, რომ შენ მარტო ინახულო. მე არც მცალია. წარმოიდგინე: ამდენი

სამუშაოა და ხალხი კი აღარ არის. ამჟამად მხოლოდ ციხის გარშემო ვმუშაობ და ამასაც ვეღარ გავწვდი.

- ბევრია დაპატიმრებული?

- ბევრი რომელია? ხომ იცი, ყველა კუთხიდან ხალხი აქ მოჰყავთ. ციხეში ტევა არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ კვირა ას-ასობით გზავნიან ჩრდილოეთსა და ციმბირში.... დიდი უბედურება ტრიალებს. დახმარების საშუალება ძალიან ცოტაა... ციხიდან კი ამასღა გვითვლიან: თბილი საცვალიო, ფულიო... პასპორტიო და სხვა ასეთი. ხო, კაცო, თქვენ რას შვრებით ფულისას? ამდენ ხალხს საგზალი არ უნდა?

- ცოტა გამოგიგზავნეთ ამას წინად. ისე კი მაინცდამაინც ძალას არ ვატანთ მუშებს. ხომ იცი ისეთი დროა, გვეშინია, არ დაგვიფრთხნენ.

- ასეც არ ვარგა, ამხანაგო! უწინარეს ყოვლისა, ჩვენ რევოლუციონერები ვართ! _ თითქოს გაჯავრდა ვასო. _ უნდა შეაგნებინოთ დროის მოთხოვნილება. გეცოდინება, რომ ეს საკითხი ამჟამად ყველაზე უფრო მწვავედ დგას პარტიის წინშე.

და ვასომ რამდენიმე პრაქტიკული რჩევა მისცა არჩილს, თუ როგორ მოეგვარებინა ფოთში დაპატიმრებული ამხანაგების დახმარების საქმე. მერე ნამდვილი პარტიული ხელმძღვანელის როლოში ჩადგა და დირექტივებით განაგრძო ლაპარაკი.

- გარდა პარტიული ამხანაგებისა, ინტელიგენციაც უნდა ჩავრიოთ ამ საქმეში. მთელი საზოგადოებაც, განურჩევლად მდგომარეობისა, მიმართულებისა. უნდა განემარტოს ყველას, რომ თითო-ოროლა ამხანაგს კი არ შეეხება ჯალათი მთავრობის მიერ წარმოებული რეპრესია. დამნაშავეს და უდანაშაულოს შორის გარჩევა არ არის! ამნაირად, საკითხი ფართო აგიტაციისა და პროპაგანდის ცენტრად უნდა გადავაქციოთ; მასები უნდა ავამოძრაოთ! უსაქმო, ბურჟუაზიული ინტელიგენცია, რომელიც დღეს უმიზნო ლაყბობაში ატარებს დროს და ნაციონალური შხამით სწამლავს ჰაერს, ამ ინტელიგენციასაც, _ ვამბობ მე, საქმე უნდა გავუჩინოთ, მუშაობაში უნდა ჩავაბათ. მართალია, ცუდ, ძალიან ცუდ პირობებში იმყოფება დღეს პარტია, მაგრამ მუშაობის ერთგვარი წარმოება მაინც შეიძლება და სწორედ ამ საქმის გარშემო ჩვენ შეგვიძლიან დიდი საორგანიზაციო მუშაობა გავაჩაღოთ. ჩვენ ვუღალატებთ პარტიას, თუ ამ გარემოებას არ გამოვიყენებთ და პარტიის რიგებს არ გავაძლიერებთ, მის გავლენას არ გავაფართოვებთ...

ვასო გახურდა. ფანატიკური გადაწყვეტილებით ლაპარაკობდა, ანთებით. ცალი ხელი შარვლის ჯიბეში ჰქონდა, ცალით კი არგუმენტაციის მაგვარ რაღაცას ხაზავდა ჰაერში ხან წრის შემოვლებით, ხან კიდევ უროსავით მოქნეული მუშტის სახით.

ეს პატარა, დაბალი კაცი ახლა ისე მოჩანდა, თითქოს არჩილზე უფრო მაღალი და ახოვანი ყოფილიყო.

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... _ უდასტურებდა მას ყოველ წინადადებას არჩილი და, ცოტა არ იყოს, ძალდატანებული აღტაცებით შესცქეროდა. თან ფიქრობდა: «აი, თურმე რატომ ვეძახით ამ პატარა კაცს «დიდ ვასოსო».

პარტიული დარიგება რომ დაამთავრა, ვასომ ისევ ჩვეულებრივი სახე მიიღო. მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. ეტყობოდა, კმაყოფილი იყო თავისი თავით.

- ჰე... რა ხალხი ხართ ეს ინტელიგენცია! _ ნაღვლიანად ამოიოხრა ბოლოს, _ ტყუილად კი არ ამბობენ, სანდონი არ არიანო!

- ხე-ხე-ხე! _ ცალი ყბით ჩაიცინა ამაზე არჩილმა და მეტი არაფერი თქვა.

- არ გჯერა? _ ჰკითხა უცებ მას ვასომ. მერე მოტრიალდა და მაგიდაზე პატარა წიგნაკი აიღო, არჩილს გაუწოდა.

- აი, საბუთი!

არჩილმა წიგნაკი ჩამოართვა. სათაურს დააცქერდა.

- წაკითხული გექნება.

- არა... წარმოიდგინე, პირველად ვხედავ.

- წაიკითხე. სამარცხვინო ამბავია... ამის ავტორი მარქსისტი ვარო, გაიძახის!

- საინტერესოა. რამდენადაც ვიცი, ამის ავტორს ყოველთვის აინტერესებდა ეროვნული პრობლემა. ცოტა გადახრაც სჩვეოდა...

- გადახრა რომელია, კაცო. პირწავარდნილი ნაციონალისტია! ასე იცის რეაქციამ: მერყევ ელემენტებს პარტიიდან ერეკება...

- სამწუხაროა სწორედ... უთუოდ წავიკითხავ! თუ ძმა ხარ, ვასო, გამომიგზავნე ხოლმე ყოველთვის ახალი ლიტერატურა.

- ეს რა ლიტერატურაა, ჩემო არჩილ! ნამდვილი მაქვს შენთვის... თუ გინდა, ახლავე მოგცემ.

- წასვლის წინ შემოვივლი, სჯობია.

- როგორც გინდა. ბინით სადა ხარ? ალბათ, ისევ იმ შენს მეგობართან?

- შალვა რამაძესთან. _ დაუდასტურა არჩილმა.

- ხო, მართლა, უნდა მეკითხნა შენთვის: კაცო, ცაცა რამაძის ქალი ჩვენგან ხომ არ წასულა? _ შეეკითხა მოულოდნელად ვასო და ცბიერად გდახედა არჩილს.

გაუკვირდა არჩილს, არ მოელოდა ასეთ შეკითხვას. კითხვის ნიშნის გამოსახვით შეხედა ამხანაგს და იგრძნო, რომ სახეზე წამოწითლდა.

- ხო, რას გაწითლდი? შენი მეგობარი ქალის, ცაცას შესახებ გეკითხები. ძალიან გვეხმარებოდა წინად, ფულიც კარგა მოჰქონდა ციხისათვის, საცვალიც. ხომ იცი, რა მოხერხებულები არიან ასეთ საქმეში ქალები. ის კიდევ განსაკუთრებულ ენერგიას იჩენდა. ახლა კი, ერთი ხანია, რაც თვალით არ დამინახავს. მის ბიძაშვილს ხომ არ გადაუბირებია, თუ იცი, _ ფედერალისტი რომ არის, თუ ანარქისტი... ისიც შენი მეგობარია.

- ამის შესახებ ცნობა არა მაქვს, _ მოჭრით უპასუხა არჩილმა ვასოს და თვალები აარიდა, _ თუმცა არა მგონია, რომ ასეთი რამ მომხდარიყოს. ალბათ, ამ ზაფხულს აქ არ იყო.

- რომ ნახო, უთხარი, ამხანაგი ვასო უკმაყოფილოა-თქო.

- უთუოდ გადავცემ.

ისევ პარტიულ საკითხებს დაუბრუნდნენ. კარგა ხანს ისაუბრეს. ვასომ ბევრი ახალი ამბავი გადასცა არჩილს. აცნობა, თუ სად იმყოფებოდნენ ცნობილი ამხანაგები, რას აკეთებდნენ, თუ როგორი განწყობილება არსებობდა პარტიაში მომავალი მეორე სათათბიროსადმი. ბოლშევიკების აზრი გააცნო, მენშევიკების, ლიკვიდატორების პოზიციაზე ესაუბრა.

III

ვასოსგან წამოსული არჩილი მესხეთის ქუჩაზე გავიდა.

დაღლილად გრძნობდა თავს.

ქუჩაში უფრო იგრძნო, თუ რა დიდი ლოდივით აწვა თავს ეს პატრა ამხანაგი ოთახში.

- იქნება, ფოთში მეც ასეთი ვარ: დიდი, _ გაიფიქრა საკუთარი თავისადმი

მიმართული ირონიით.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიის დიდ პატრიოტად მოჰქონდა თავი, ვასოსებური ფანატიზმი მისთვის მაინც უცნობი იყო.

არჩილი პარტიასთან უფრო ფსიქოლოგიურად იყო დაკავშირებული, განცდებით. იგი გიმნაზიაშივე სოციალ-დემოკრატიული პარტიის გავლენის ქვეშ მყოფ წრეში მოჰყვა. ეს ის დრო იყო, როცა საქართველოში სოციალ-დემოკრატიის იდეური ჰეგემონია მყარდებოდა.

არჩილის თაობის დიდი ნაწილის გზა ასეთი იყო: ჯერ მარქსისტული წრე. რევოლუციური იდეებით პირველი გატაცება. არარეგალური ხალხის გაცნობა. აკრძალული ლიტერატურის ჯადო. თანდათან პრაქტიკულ მუშაობაზე გადასვლა. არალეგალური მუშაობა. ბრძოლა.

არჩილიც თავიდანვე ამ რკალში იყო მოქცეული.

როგორც წინათ, პირველი გატაცების წლებში, მას ახლაც სწამდა, რომ დიდსა და აუცილებელ საქმეს აკეთებდა და რომ ეს მისი მოვალეობა იყო.

ამის შეგნება, რომ დიდი მსხვერპლი ჰქონდა გაღებული რევოლუციისათვის და ახლაც ერთხელ აღებულ გეზს არ ღალატობდა, მორალურ კმაყოფილებას ანიჭებდა, საკუთარ თავს აწონებდა.

ხოლო ის ფიქრები, რომლებიც ამ დილას, ვასოს ნახვამდის, გეგუთის ქუჩაზე აღეძრნენ, ყოველთვის აწუხებდნენ მას. უცნაურ გაორებას ყოველთვის გრძნობდა არჩილი, მაგრამ ეს მისი შეგნებისა და ნების გარეშე ხდებოდა, რაღაც თავისთავად და უჩინრად.

ეგონა, რომ ეს იყო მისი ახირებული ხასიათის ერთი გამოცხადებათაგანი და ეს გარემოება ახლაც ხელს არ შეუშლიდა რევოლუციურ მუშაობაში ისე, როგორც წინათაც არ უშლიდა.

ვასოს წყლობით არჩილს ახლა ერთი დიდი ტვირთი გულიდან ჰქონდა გადაგდებული: ეს იყო ნიკოს ამბავი.

თუმცა მესხეთის ქუჩით იმიტომ წავიდა, რომ ნაცნობი ბოლშევიკები მოენახულებინა (იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი სწორედ ამ ქუჩაზე იმყოფებოდა), მაგრამ გზადაგზა გადაიფიქრა: ვასოს განმარტების შემდეგ საჭიროდ აღარ დაინახა

ფოთში ნიკოს ჩასვლის მიზნის შესახებ მოლაპარაკება გაემართნა. მაინცდამაინც იმისი იმედიც არ ჰქონდა, რომ კომიტეტის ბინაზე უთუოდ ნაცნობ ამხანაგს შეხვდებოდა.

ნიკოს ამბავი ახლა აღარ აწუხებდა არჩილს. ეს გარემოება უხაროდა მეტად. გარდა იმისა, რომ ფოთის ორგანიზაციას განსაცდელი არ მოელოდა, არჩილსაც საშუალება ეძლეოდა ქუთაისში რამდენიმე დღე დარჩენილიყო: ფოთს აღარ სჭიროდა ახლა მისი სასწრაფო დაბრუნება. ანდროს კი ერასტოც კარგად უპატრონებდა მის ჩასვლამდე.

ქუთაისში დარჩენა რამდენიმე დღით მაინც აუცილებელი იყო არჩილისათვის. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გამოერკვია ცაცასთან დამოკიდებულება და ერთ გარკვეულ გზაზე დამდგარიყო.

არჩილს ახლა უმთავრესად ეს აწუხებდა.

რაც ამ დილის აქეთ გაიგო ცაცას შესახებ ჯერ შალვასაგან, მერე კიდევ ვასოსაგანაც, რის მოწმეც თვითონაც გახდა ამ დილას, ყოველივე ეს თანდათან არწმუნებდა არჩილს, რომ ცაცაში რაღაცა დიდი ცვლილება იყო მომხდარი.

არჩილის ამდილანდელი გახარება ცაცას საქციელით უთუოდ უსაფუძვლო იყო.

რატომ ჰგონია მაინცდამაინც, რომ ცაცა მასთა შერიგების მიზნით გადმოდგა ფანჯარაზე? იქნება, პირიქით, ცაცა ამ სახით სამუდამოდ გამოეთხოვა მას.

ახლა ეს უფრო შესაძლებლად მიიჩნია არჩილმა.

გულზე ათასმა იჭვმა დაუკაკუნა.

უცნაური რამ სჭირდა არჩილს: ცაცაზე დიდხანს ისე ვერ იფიქრებდა, რომ აზრი რამდენჯერმე არ შეცვლოდა.

დროით რომ გულუბრყვილო ბავშვად წარმოიდგენდა, დროით ბოროტებით აღსავსე ქალად ეჩვენებოდა. _ ერთი აზრი არ ჰქონდა.

გულში ყოველთვის რაღაც იდუმალ შიშს განიცდიდა მისდამი, არ ენდობოდა და არასოდეს არ იყო სრულიად დარწმუნებული, რომ ცაცას იგი გულწრფელად უყვარდა. ეჭვიანობდა.

თვითონაც რაღაც არეულად განიცდიდა სიყვარულს. ერთ წამში უყვარდა, მეორეში _ არა.

ახლაც ასეთი რამ ემართებოდა.

«ჰე, რას გადავეკიდე! _ გაიფიქრა ბოლოს თავმობეზრებულმა. _ სჯობია, ერთხელ

და სამუდამოდ თავი დავანებო».

მაგრამ ამ აზრს იქით კიდევ იმასაც გრძნობდა, რომ მისი ფიქრები სიყრმიდანვე ცაცას სახეს შეხორცებოდნენ და რომ მისდამი სიყვარულს ვერასოდეს ვერ დასთმობდა.

თეთრი ხიდი გაიარა. აქ გულმა არ მოუთმინა, რომ ქუთაისის გიმნაზიისათვის არ შეეხედნა. მერე ბულვარისაკენაც არ გაესეირნებია.

ფარულად იმის იმედიც ჰქონდა, რომ ამ მხარეს, შესაძლებელია, ცაცასაც სადმე შეხვდებოდა.

«საინტერესოა ვისთან იქნებაო» _ გაიფიქრა.

გიმნაზიის ახალ შენობასთან ნაბიჯი შეანელა. სევდიანი თვალები მიაპყრო იმ კუთხეს, სადაც მერვე კლასი იყო მოთავსებული. მოაგონდა გიმნაზიაში ყოფნის უკანასკნელი წელი. ათზე მეტი დაუვიწყარი მეგობრის სახელი და გვარი გულზე დაეწერა.

«სად არიან, ნეტავი? რას აკეთებენ?»

ორი-სამი მეგობრის ამბავი თუ იცოდა არჩილმა. დანარჩენებზე არავითარი ცნობა არ ჰქონდა. გული დაწყდა. ახლაც ისეთმა ნაღვლიანმა გრძნობამ მოიცვა, რომელიც ამას წინად გეგუთის ქუჩაზე ეწვია დათიკა ბაყალისა და მისი დუქნის წყალობით.

«მართლა რა უცნაურია ცხოვრებაო». ერთხელ კიდევ გულში ჩაითქვა.

გიმნაზიის ეზოს დამამშვენებელს ისტორიულ ჭადარს შენობა მიფარებოდა. მხოლოდ მის ერთ ტოტს მოჰკრა თვალი. მაინც წარმოიდგინა ხის მედიდური გაშლილობა, რომელიც ასე აკვირვებდა მოწაფეობის დროს.

ძალაუნებურად მოაგონდა შალვა რამაძის ნათქვამი:

«ეს ჭადარი ჩვენი გამძლეობის ნამდვილი სიმბოლოა. მრისხანე საუკუნეებმა მხოლოდ ტოტები შეუმსხვრიეს აქა-იქ... ასეთია ჩვენი ხალხიც».

უთუოდ უცნაურია ეს შალვა რამაძე. სად რა მოეჩვენება, სად რას დაეძებს;

საინტერესოა, რომ ყოველ მოვლენას თუ საგანს, ადამიანის თვალსაზრისი აძლევს შინაარსს. ვასოს თვალსაზრისით, მაგალითად, ჭადრის ხე, დიდია თუ პატარა, ჭადრის ხეა და სხვა არაფერი შეიძლება იყოს.

ვასო უთუოდ მართალია, მაგრამ არც შალვაა გასამტყუნებელი, რამდენადაც ადამიანს მართალის გარდა კიდევ სხვაც სჭირია.

ასეთი ფიქრებით გართული არჩილი ბულვარს დაუახლოვდა. მთავარ-ანგელოზის საყდრის ქვაფენილს აჰყვა.

ბულვარის ხეივნისკენ გაიხედა.

შუა ხეივნის ერთ კუთხეში, ახალგაზრდების ერთ ჯგუფს მოჰკრა თვალი. თითქმის ყველა იცნო, _ ქალიც, ვაჟიც. გულმა ვერ მოუთმინა. გადაწყვიტა მათთან მისვლა.

კმარა, რაც ფოთის ბუნაგისაგან ხავსი აქვს მოკიდებული. გაერთობა.

ის იყო, ქუჩა უნდა გადაეჭრა, რომ ნაცნობი ჯგუფიდან ცოტა მოშორებით, განმარტოებულ სკამზე მჯდარი ქალ-ვაჟი შენიშნა.

ქალიც იცნო და ვაჟიც.

შესდგა, უკან დაიხია.

იგრძნო, რომ ფერი შეეცვალა.

ცაცას რაღაც წიგნები ედვა მუხლზე. წითელი ყვავილი ჩვეულებისამებრ მკერდს უმშვენებდა. არჩილმა შეხედვისთანავე შენიშნა, რომ მას კეკლუცად ეჭირა თავი და გულითად საუბარში იყო გართული.

არჩილი ამ სცენას უთუოდ არ მიაქცევდა ყურადღებას, რომ ცაცას სახეს არ შეეოცებინა.

დააკვირდა.

მისმა თვალებმა გამადიდებელი აპარატივით მოიზიდეს ცაცას სახე.

ჰო, სწორეა.

განა არჩილი არ იცნობს ცაცას?

თუნდაც არ დაენახა, უნდა ეგულისხმა, რომ ცაცა უთუოდ ასეთი იქნებოდა ლევან პტაშვილთან!

არჩილმა კარგად იცის, თუ როდის და ვისთან აჩენს ცაცა ასეთ სახეს.

რა სამაგლობაა!

ლევან პატაშვილი...

არჩილს უცებ მოელანდა, ვითომ ყვითელი ფერი გადაედვა მის საყვარელ ქუთაისის ბულვარს.

ერთხანს ფეხი ვერ დასძრა ადგილიდან.

მაგრამ მალე დაიმორჩილა აშლილი გრძნობა.

- რა იყო? რა მოხდა? _ შეუწყრა თავის თავს.

მერე სახეზე უცნაური ღიმილი აიფინა და ჩქარი ნაბიჯით ქვაფენილს გაჰყვა.

თითქოს ბულვარისაკენ არც გაეხედოს და ცაცასთვის თვალიც არ მოეკრას.

...

მხოლოდ შეღამებისას გამოცხადდა არჩილი ბალახვანის ქუჩაზე, შალვას სახლთან.

რაღაც ინერციით, თავისდაუნებურად მიდიოდა.

შალვას ოთახი უკვე განათებული იყო. არჩილმა ქუჩიდან დაინახა, რომ შალვა საწერ მაგიდას უჯდა და მუშაობდა. სხვა ფანჯრებში ბნელოდა. მყუდროება იყო, სიჩუმე.

«ალბათ, შინ არ არიან», _ გაიფიქრა არჩილმა და ეზოს პატარა კარით ბაღში შევიდა.

მიიხედ-მოიხედა: ბაღშიც არავინ ჩანდა.

ჭადრებისაკენ გაემართა.

აქ გრილოდა. რიონის სიო ჰქროდა. ოდნავ ირხეოდნენ ჭადრის ტოტები. რიონის შხუილთან შეწყობილად, გულჩათხრობილად შრიალებდნენ ფოთლები.

არჩილმა ბაღის ყველაზე უფრო ბნელ და მივარდნილ კუთხეს მიაშურა. აქ პატარა ფანჩატური და ზურგიანი გრძელი სკამები ეგულებოდა რიონის გადასახედე.

დასვენება უნდოდა. განმარტოება.

ფანჩატურის წინ, ბზის ბუჩქებთან, სკამზე ვიღაცის ლანდი შენიშნა.

ისე შესდგა არჩილი, თითქოს შეშინდაო. ის იყო, უნდა მოტრიალებულიყო, რომ მოულოდნელმა ნაცნობმა ხმამ შეაყენა:

- მშიშარა!

თითქოს ხაფანგში გაბმულიყო, ისე იმოქმედა არჩილზე ცაცას ხმამ ბაღის ამ ბნელ კუთხეში.

მაინც გადაწყიტა ამ ადგილს მოშორებოდა, _ რა უნდა ელაპარაკნა ახლა ცაცასთან? არ იცოდა, თავიც როგორ დაეჭირა მასთან.

- ნუ გეშინიათ, არავინ შეგჭამსთ, _ წასათამამებლად მიმართა ცაცამ, როცა არჩილს

შეყოყმანება შეამჩნია.

- უკაცრავად... უნებლიედ ხელი შეგიშალეთ... მაგრამ არ მინდა შალვა მომეცდინა და ბაღში ამიტომ შემოველ, _ უპასუხა არჩილმა გადამეტებული თავაზიანობით და უკან დაიხია.

- უკაცრავად, არც მე ვარ უსაქმო.

- მე არ ვიცი, თქვენ რას აკეთებთ.

გაეცინა ცაცას, მგრამ ოდნავ, რაღაც ჩუმად.

მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

- მე აქ პაემანზე ვარ, ბატონო არჩილ, _ ხმალივით მოუქნია სიტყვა ცაცამ არჩილს და კიდევ გაიცინა. ახლა უფრო ხმამაღლა.

იგრძნო არჩილმა, უკანდახევა გვიან იყო. რაკი ერთხელ ხმა გასცა, უნდა განეგრძო საუბარი და ცაცას გამოწვევა მიეღო.

და თითქოს ხმალზე ხელი აუკრაო, ისე დამცინავად უპასუხა:

- საინტერესოა, ვინ არის ის ბედნიერი, რომელსაც თქვენ აქ მოელით!

- თქვენ ეს ძალიან გაინტერესებთ?

- არა. ისე. პასუხისათვის ნუ შესწუხდებით: უკან მიმაქვს ჩემი შეკითხვა.

- მე მაინც გეტყვით: არჩილ დადიშიანი.

თითქოს დაიჭრა არჩილი, მაგრამ არ შეიმჩნია.

- მე არც მიფიქრნია თქვენთვის აქ პაემანი დამენიშნა. ღმერთმა დამიფაროს.

- სამაგიეროდ მე დავნიშნე და, როგორც ხედავთ, თქვენც იკადრეთ მოსვლა.

- ჰე, ნეტავი თქვენ, რომ კარგ გუნებაზე ხართ.

- რად უნდა ვიყო ცუდზე?

მცირე პაუზა.

- სადილად რად არ მობრძანდით? მოგელოდნენ. შალვა მე წამეჩხუბა, შენი ბრალიაო.

- თქვენ რა შუაში ხართ? სხვაგან შევრჩი.

- ვიცით: თავდავიწყებით განაგრძობთ პარტიულ მუშაობას.

- დიაღაც. თქვენსავით მოვალეობა არ დამივიწყნია.

- არაფერიც. მე ახლა არ მცალია: რუსეთში გასამგზავრებლად ვემზადები.

- გავიგეთ. გზა დამილოცავს.

- მომბეზრდა აქაურობა. შემძულდა ყველაფერი.

- საეჭვოა... აქაურები ხომ ძალიან გაინტერესებთ.

ეს შეტევა ძალიან მარჯვე მოეჩვენა არჩილს,.

- ლევან პატაშვილი ჩემი კარგი მეგობარია... მხოლოდ, _ დიდი ღირსებით მოიგერია ცაცამ.

- რად გგონიათ, რომ მე ლევანზე ვლაპარაკობ?

გაიმარჯვა არჩილმა: დაჭრა ცაცა. უხარია.

- თქვენს გარდა, სხვებსაც აქვთ თვალი, ბატონო არჩილ: კარგად დაგინახეთ, რომ მთავარანგელოზის ეკლესიასთან მითვალთვალებდით.

მოხდა რაღაც მოულოდნელი: ცაცას მაგიერ არჩილი დაიჭრა.

შერცხვა არჩილს: თითქოს სამარცხვინო ქურდობაზე დაიჭირესო.

ენა დაება. სიტყვა ვეღარ იპოვნა საპასუხოდ.

გალავნისაკენ გაიწია. ზედ მკლავებით დაეყრდნო და რიონს დაუწყო ცქერა.

რატომ მოვიდა აქ? რომ არ უნდოდა? რომ გადაწყვეტილი ჰქონდა არასოდეს არ გაეცა ხმა ცაცასათვის!

ბავშვივით გაუჯავრდა თავის თავს.

ასე გავიდა მცირე ხანი.

ცაცამ იგრძნო გამარჯვება. მაგრამ არჩილის დადუმებამ და უხერხულობამ მასაც იარაღი აჰყარა, თითქოს გული ეტკინა, რომ ასე აწყენინა არჩილს.

წამოდგა სკამიდან. მიუახლოვდა არჩილს და მის გვერდით დადგა. მერე ალერსიანი ჩურჩულით უთხრა:

- არჩილ, კმარა, _ და ხელი მკლავზე მოჰკიდა. ფრთხილად, გაუბედავად.

არჩილი გაირინდა და ისე შეაცქერდა ცაცას.

- კმარა-მეთქი, _ გაიმეორა კიდევ ცაცამ ატკივებული ხმით და არჩილს სახე მიუახლოვა.

არჩილმა უცებ შეთრთოლებით დასტაცა ცაცას ხელს ხელი. მაგრად შეკუმშა, დაუზოგველად, მაგრამ მოულოდნელად შეალბილა და დაჭერილი ხელი გულთან ახლოს მიიტანა. ცაცას თვალებში ჩააცქერდა.

ცაცამ დაანება ხელი და თვალები გაუსწორა.

ასე ერთხანს უცქირეს ერთმანეთს.

- საძაგელო! _ დაარღვია სიჩუმე ბოლოს არჩილმა.

- ჰო, საძაგელი ვარ! მაგრამ შენი ბრალია. _ წაიბუტბუტა ცაცამ და არჩილს გულზე მიეკრა. _ ჩემთან არა ხარ. მე კი... ასე არ შემიძლია. მინდა შური ვიძიო.

დაფარული ტკივილი იგრძნობოდა ცაცას ხმაში.

მოლბა არჩილი.

- მერე რა, რო შენთან არა ვარ... _ ვნებიანი წაჩურჩულებით უპასუხა მან ცაცას და ხელი მოხვია. გულზე მიიკრა. _ ხომ იცი, რომ...

- არა, არა. არ მინდა! _ გაუსხლტა უცებ ცაცა ხელიდან. _ არ მწამს: შენ შენი ფოთი უფრო გიყვარს... მე არ მინდა ასეთი სიყვარული!

- ცაცა!

- ცაცა, ცაცა. _ გამოაჯავრა ცაცამ. _ რტომ ჩამოდი? ამხანაგმა ვასომ გიხმო ხომ? ცაცასთვის არ ჩამოსულხარ...

- დამაცა, მოდი აქ. მათქმევინე.

ისევ მოჰკიდა ხელი. გულთან მიიზიდა.

- ჰა, რა გინდა? _ დანებდა ცაცა. _ გისმენ.

- ცაცა, ნუ მაწვალებ...

- ან მე, ან ფოთი! _ გააწყვეტინა ცაცამ.

- დაანებე თავი ამ ფოთს.

- არა, ჯერ შენ დაანებე.

- კარგი, ოღონდ მომეცი ხელი. მოდი ჩემთან. აკი შემირიგდი?

- იცოდე, მხოლოდ ერთი პირობით.

- ფოთს დავანებო თავი, არა?

- უსათუოდ!

- კარგი. მაგრამ შენის მხრითაც არის პირობა საჭირო...

- ჩემი მხრით არავითარი პირობა!

- ეს არ იქნება. ესეც უთუოდ... ესეც აუცილებლად...

მაგრამ არჩილმა აღარ იცოდა, რასაც ამბობდა, ისე დაეწვა იგი ცაცას ტანის ვნებას.

რაღაც გაუგებარს ჩურჩულებდა და ისე კოცნიდა ხელებზე.

ცაცა თვინიერად ჩახუტებოდა გულში და არჩილის ალერსს ოდნავ გაღიმებული ნებდებოდა.

ამით შეთამამებულმა არჩილმა ახლა მკლავებიც დაუკოცნა ცაცას. გული. ყელი. მერე თმაზე ლოყით დაეკონა. ყურებთან ხელის გული მოხვია. თავი მცირედ გადაუწია და ასე თვალებში ჩახედა, თითქოს ცდისო. დიდხანს უცქირა ასე თვალებშეუწყვეტლივ. თითქოს არ სჯეროდა, რომ ბედნიერი იყო, რომ ცაცასთან იმყოფებოდა და ეალერსებოდა.

მაგრამ ცაცამ მოულოდნელად შეუწყვიტა ტკბობა: _ ხელები გაჰკრა მკლავებზე. თავი გაინთავისუფლა. შემდეგ ცერზე შესდგა. არჩილს მკლავები კისერზე შემოხვია, აიწია, ჩაეხუტა და აკოცა.

- აი, ასე! _ სთქვა და განშორდა, გაიქცა. არჩილი მარტო დატოვა.

IV

არ დასცალდათ ცაცასა და არჩილს შერიგება მოეთავებინათ და, რაც მოსალაპარაკებელი ჰქონდათ, დაესრულებინათ: იმ საღამოს შალვას მამა, ნოდარ რამაძე, ტფილისიდან დაბრუნდა და სახლში დიდი ამბავი დატრიალდა.

მშვიდობით დაბრუნების მოსალოცავად და უმაღლესი მთავრობის წინაშე წარსდგომის შთაბეჭდილების გასაზიარებლად მაღალი წოდების დეპუტატს ერთი მეორეზე ესტუმრნენ თავადაზნაურობის წრის მოღვაწენი, ქალაქის თავი, უმაღლესი მოხელენი.

ნათესავებმაც მოიკითხეს. ნაცნობებმაც.

ეტლი ეტლს აწყდებოდა შემოსავალ კარებთან.

კნეინა ნინუცა დიასახლისის მოვალეობის ასრულებას შეუდგა.

ჩაისათვის სუფრა ძველებურ აივანზე გაიშალა.

განათდა სახლი, ბაღი.

დაფაცურდნენ მსახურნი.

ცაცას დიასახლისის მისაშველებლად მოუწოდეს.

შალვა და არჩილი კი ცალკე ოთახში განმარტოვდნენ.

გვიან ღამემდის არ შეწყვეტილა მისვლა-მოსვლა ნოდარ რამაძისას. ჩაის ვახშამიც მოჰყვა. დაიწყო აუცილებელი სადღეგრძელოები, საგულისხმიერო სიტყვები და სხვა.

ცაცამ მაინც მოასწრო არჩილი გაეფრთხილებინა, რომ ბიძამისის ჩამოსვლის შემდეგ ისინი ვერც ხვალ მოახერხებდნენ სახლში თავისუფლად მოლაპარაკებას. ხოლო რაკი ერთმანეთისათვის სათქმელი კიდევ ბევრი ჰქონდათ, ცაცას აზრით, უმჯობესი იქნებოდა დილიდანვე სადმე ქალაქ გარეთ გასულიყვნენ.

ამაზე შეთანხმდნენ კიდევაც.

ცაცამ ადგილიც კი დანიშნა, სადაც დილის სრულ ათ საათზე ერთი-მეორეს უნდა შეხვედროდნენ.

...

იმ ღამეს არჩილს შალვას ოთახში გაუშალეს ლოგინი.

არც შალვა იყო საუბრის გუნებაზე და არც მისი სტუმარი. არ ეცალათ: შალვა სასწრაფო სტატიას ამზადებდა გაზეთისათვის. წერას შესდგომოდა. ხოლო აივნიდან მომავალი ხმაურობა ხელს უშლიდა და წერილი ვერ დაემთავრებინა. ბუზღუნებდა. ჯავრობდა.

მისი ყურადღება რომ არ მიექცია, არჩილმა ლოგინის გაწყობისთანავე ბოდიში მოიხადა მეგობრის წინაშე, დაღლილობა მოიმიზეზა და დაწვა.

ვასოსაგან წამოღებული წიგნაკი გაშალა, ვითომ ძილის წინ კითხვას შეუდგა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ქვეყანაზე გარდა ამ წიგნისა სხვა აღარაფერი აინტერესებსო.

შალვამ მაინც ჰკითხა, თუ რა წიგნს კითხულობდა ასე გატაცებით. მერე მიუახლოვდა. სათაურზე დახედა. ძალიან გაუხარდა.

- ჰე, ბიჭო, ციხე, იქნება, შიგნიდან გატყდეს! მეტად კარგად დაწერილი წიგნია. ავტორი აშკარად მოითხოვს ავტონომიას!.. წაიკითხე და შენი აზრი მითხარი!

მაგრამ არჩილმა ყურადღება განზრახ არ მიაქცია მეგობრის სიტყვებს.

- ხვალამდის მათხოვეს. წაკითხვა უნდა მოვასწრო, _ უპასუხა მოგონებული გულგრილობით: წიგნისათვის თვალი არ მოუცილებია და სახის გამომეტყველება არ შეუცვლია.

ახლა შალვასაც მოერიდა მისი. ამ საგანზე სიტყვა არ გაუგრძელებია. ისევ თავის

საქმეს დაუბრუნდა.

წიგნში კი იცქირებოდა არჩილი დიდი ყურადღებით და სტრიქონებში თვალებს არონიებდა, როგორც წესი და რიგია, მაგრამ ნამდვილად კი სულ სხვა რასმე ფიქრობდა და ძალიან დაშორებულიყო იმ აზრებს, რომლებიც წიგნის ავტორსა და მის მეგობარს შალვას აინტერესებდა.

ცაცასთან მოულოდნელი შეხვედრით გამოწვეული გრძნობისათვის არჩილს ჯერ კიდევ ანგარიში ვერ გაეწია და უეცრად მომხდარი შერიგების მნიშვნელობა ვერ აეწონ-დაეწონა.

მთელი ეს დღე რაღაც უცნაური შეიქნა არჩილისათვის, _ გაუგებარი, მოულოდნელი და ერთმანეთის მოწინააღმდეგე შემთხვევებისაგან შემდგარი.

თვითონ არჩილიც ვერ იდგა თავის ღირსების სიმაღლეზე. თავი ვერ გაართვა. ყოველ შემთხვევაში ისე ვერ იქცეოდა, როგორც რვოლუციონერს შეეფერებოდა.

ყველაზე უფრო ეს ცაცასთან თავდაუჭერლობაში გამოაშკარავდა:

ასე გამოდის, რომ არჩილს თავისი ნებისყოფა არ აქვს და სხვის ნებაზეა იგი დამოკიდებული. უაზროდ, ბრმად ემორჩილება გარემოებებს, რომლებიც მას იქეთ მიაქანებენ, საითაც თვითონ წასვლა არ უნდა.

მეტიც: იმის საწინააღმდეგოს აკეთებს, რაც გულში გადაწყვეტილი აქვს.

რომ უკვირდება ყოველსავე ამას ახლა არჩილი, ისე ეჩვენება, თითქოს უმცროსი კლასის მოწაფე იყოს, რომელმაც თვითონ არ იცის რას მიედებ-მოედება.

რას იტყოდა, მაგალითად, ნიკო, რომ მას არჩილის საქციელისთვის დღეს თვალი ედევნებინა? ის ნიკო, რომელმაც არჩილის რევოლუციონერობაში ეჭვი შეიტანა ფოთში, და რომლის მიზეზითაც იგი ასე სასწრაფოდ ქუთაისს გამოემგზავრა დიდი ამბით.

გინდ, ანდროც? სამსონაც ან ერასტო?

იმათ, ალბათ, იმის წარმოდგენაც კი არ შეუძლიათ, თუ რა პატარა კაცია ნამდვილად არჩილი!

არჩილმა ხომ ისე დასთმო ისინი ცაცას მოთხოვნის უმალვე, რომ არც კი დაფიქრებულა.

სამარცხვინოა პირდაპირ.

ნეტავი, როგორ მოიქცეოდნენ მის ადგილას ანდრო ან სამსონა?

რა თქმა უნდა, ამათ ვერავინ გაუბედავდა ასეთი მოთხოვნის წაყენებას.

დიაღ, ცაცასაგან სჭირს არჩილს, რაც სჭირს!

დღეს ასე ჰსურდა ცაცას, და არჩილიც ასეთი იყო. ხვალ, იქნება, ამავე ცაცამ სხვანაირად ისურვოს... და მაშინაც დაყვება, ალბათ, ნებას არჩილი.

ამის შემდეგ რა უფლება აქვს მას რევოლუციონერის სახელი ატაროს და გვერდში ამოუდგეს ნიკოსთანა რკინის ხალხს!

ასე ფიქრობს არჩილი და გულზე თანდათან ჯავრის შხამი უგროვდება. ერთსა და იმავე გვერდზე გადაკეცილ წიგნაკს მისჩერებია, ხოლო თვალწინ განვლილი დღისა და ცაცას ამბავი გადაშლია.

რა თქმა უნდა, ის არასოდეს არ აპატიებს თავისთავს, რომ შეურიგდა ცაცას და თავი მახეში გააბმევინა.

ნუთუ მან მართლა იწამა ცაცას გულწრფელობა ამ საღამოს?

განა არ შეეძლო ცაცას სწორედ ასეთივე ამბავი იმავე ლევან პატაშვილთან დაეტრიალებინა?

რა იცის არჩილმა, რომ «იქ» უარესიც არ ხდება?

რაც დღეს ბულვარში ნახა, ნამდვილად ნახა, კი არ მოსჩვენებია.

ესეც არ იყოს, არჩილს მიხვედრის თვალიც კარგად უჭრის და ამ საღამოსაც, ბაღში, ძალაუნებურად ბევრი ისეთი რამ გამოარკვია, რაც წინად ვერც კი წარმოედგინა.

აი, ცაცას კოცნაც რომ ავიღოთ, _ ესეც დიდი საბუთია არჩილისათვის.

რა დასაჯერებელია ყმაწვილი ქალის ასეთი სითამამე, ასეთი გაბედვა, თუ ის ცოდვილი არ არის?

მაგრამ სხვა წვრილმანიც არანაკლებ საყურადღებოა და მნიშვნელოვანი.

პირველი:

ჩუმი გაცინება შეხვედრისას. ცბიერი, მზაკვრული ნამდვილი ქალური, რომლის მნიშვნელობას განსაკუთრებით ახლა ხვდება არჩილი.

მეორე:

როცა არჩილმა მიმართა: «საძაგელო», ცაცამ მაშინვე დაუფიქრებლად უპასუხა:

«ჰო საძაგელი ვარ... მაგრამ შენი ბრალია!»

ეს პასუხი უთუოდ მრავალმეტყველი რამ არის: მასში უნებლიე, უეცარი აღსარება

იმალება, რომლის შინაარსს სავსებით ააშკარავებს გასამართლებელი საბუთის დართვა ფრაზის მეორე ნაწილში: «მაგრამ შენი ბრალია!»

ეს უეჭველი სინდისის მხილებაა.

მესამე:

«ლევან პატაშვილი ჩემი კარგი მეგობარია... მხოლოდ».

ეს ქალაქური თვალთმაქცობის პირდაპირ კლასიკური გამოხატულებაა.

განსაკუთრებით საგულისხმოა სიტყვის «მხოლოდ» მნიშვნელობა და ის საოცარი მახვილი, რომელიც აჯდა ამ სიტყვას მთელი წინადადების წარმოთქმის დროს.

ვითომ არ გაბედო, სხვა აზრი თავში არ გაივლოო.

«მხოლოდ».

და ზედა მახვილი, რომელსაც უნდა შეეშინებინა არჩილი და მისთვის ხმა ჩაეკმინდა.

ჰმ... «კარგი მეგობარი!» რომელსაც «მხოლოდ»-ის დამატება სჭირია...

საშინელებაა, კაცი რომ დაუკვირდეს.

მეოთხე:

პირობის წამოყენება: ან მე ან ფოთი!

შესანიშნავი მაგალითი ქალაქური ფუქსავატობისა. სოციალიტი და რევოლუციონერი ვარო კი გაიძახოდა!

აი, სანამდის მისულა ცაცა!

მეხუთე:

ქალაქგარეთ გაწვევა.

ამ შემთხვევაში გამოაშკარავებულია ოსტატური ხერხი, რომელიც არ შეიძლება ვარჯიშის შედეგი არ იყოს.

სწრაფი ორიენტაციის უნარი, უთუოდ შეძენილი მსგავს დაბრკოლებათა გადალახვის დროს:

გათვალისწინება. მიხვედრა. გადაწყვეტა. ნიშნის მოგება.

ერთი სიტყვით: ქალი მთელი მისი სულისა და ხორცის საშიში თვისებებით.

და ასე მოყოლებით დიდხანს განაგრძობდა არჩილი ცაცას ჩხრეკას თავისი გამანადგურებელი კომენტარებით.

თითქოს შურს იძიებსო, არ ზოგავდა, არ ინდობდა და ყოველ «ახალ აღმოჩენაზე» რაღაც უცნაურ სიხარულს განიცდიდა.

მაგრამ ერთდროულად იჭვის ნემსებისგან გული ეჭხვლიტებოდა, თანდათან ტანჯვის ალში ეხვეოდა.

ნუთუ მას ასეთი ცაცა უყვარს?

წიგნი იატაკზე დააგდო, პირიქით კედლისკენ მიბრუნდა.

თვალები დახუჭა. ფერად-ფერადმა ფანტასტიურმა სხივებმა ახლა თვალებს შიგნით გაუციალეს. უცნაურ სახეებად შეიკონენ. მერე ისევ დაიშალნენ, დაიფანტნენ და მთელ ტანზე ცეცხლად შეეკიდნენ.

ასე განვლო მთელმა საათმა.

შალვამ გაათავა წერა. დაწვა. სინათლე ჩააქრო.

სტუმრებიც წავიდნენ. სახლში ღამის სიჩუმე დამკვიდრდა.

არჩილს კი კვლავ საშინელი აზრები მაჯლაჯუნასავით ჰგუდავდნენ. ჰკრუნჩხავდნენ. ჰკაწრავდნენ...

უყვარს თუ არა არჩილი ცაცას?

მართალია თუ არა ყოველივე ის, რასაც არჩილი ფიქრობს, რასაც განიცდის, რაც ეჩვენება, ჰგონია?

თუ მართალია, მაშინ?

არა, გადააჭარბა არჩილმა, ჩვეულებრივად საზღვარს გადასცდა, თორემ შეუძლებელია, რაც იფიქრა ცაცას შესახებ, მართალი იყოს.

ახლა ის უნდა, რომ თვითონ იყოს მტყუანი, ცაცა კი _ მართალი.

ტვინი უდუღს, ლამის სისხლის მილები დაუსკდნენ.

- ცაცა! _ წარმოსთქვა ჩუმად, რაღაც ვედრებით, ხვეწნით, თითქოს შებრალებას ითხოვსო.

გული აუჩვილდა.

კიდევ გაიმეორა ცაცას სახელი, დათუთქვით. თითქოს უხმობსო, შველას სთხოვსო.

პასუხად ელამმა თვალებმა ბნელი გაჰკვეთეს. მიუახლოვდნენ. შემოაცქერდნენ.

«არჩილ, კმარა!» _ მოესმა არჩილს.

ბალიშიდან თავი წამოსწია. ფართოდ გაახილა თვალები.

ხელებში ცაცას ხელის სითბო იგრძნო, ამ საღამოს ბაღში რომ განიცადა. - ცაცა! _ სთქვა ერთხელ კიდევ და ხელი ჰაერში გააფათურა: ეძებს ცაცას. უნდა ხელი მოჰკიდოს. მისი სიახლოვე იგრძნოს, სითბო, მისგან მართალი გაიგოს.

მაგრამ ამაოდ.

ბალიშში პირქვე ჩაემხო ღონემიხდილი.

ვერ გამოერკვია, ასე რა ტანჯავდა და აწამებდა: სიყვარული თუ ეჭვი. ვერ გაერჩია ისინი ერთმანეთისგან.

V

ასე გათენდა უძილო ღამე.

არჩილი განთიადს აჰყვა. ტანთ ჩაიცვა გაუხმაურებლად და ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდა.

თავი მძიმე ჰქონდა ტყვიასავით და ტანი დათენთილი.

მხოლოდ ბაღში დილის სიომ ოდნავ მოასულიერა.

ყოვლად მშვიდი და ნაზი იყო ქუთაისის გათენება. მტრედისფერი, მორცხვი, უბიწო. ახლად არტახებ-შეხსნილი ჩვილ ბალღივით უმანკოდ სუნთქავდა.

თითქოს შეელოცოს არჩილისათვის, გულის წყლული დაუამა.

არჩილმა ხარბად ჩაითქვა მისი ჰაერი. ღრმად ამოისუნთქა, გულზე დალექილი შხამის წკირები ამოაყოლა.

შვება რამ იგრძნო.

მერე რიონის ნაპირისაკენ დაეშვა. აქ ხელპირი დაიბანა. კოშმარების ხიწვები მოიშორა.

კლდეზე ჩამოჯდა დასასვენებლად. მოხალისდა.

მის წინ რიონი აღლუმზე გამოსულივით შხუილით გარბოდა. ახალგაზრდული გატაცებით მიაგორებდა თავის ლაჟვარდისფერ ტალღებს. ზოგან ჩაიგუგუნებდა შეტორტმანებით, ზოგან კიდევ ჩანჩქერებად მომდინარებდა და საკუთარი სიმარდით აღტაცებული ყალყზე შემდგარი, ფაფარგაშლილი კვიციით აჭიხვინებულიყო.

გაცხოველებული ძალა შეეფრქვია მისგან არჩილს. ძარღვებში დაუარა. გაიტაცა

და აკისკისებულ ბუნების ხალისში ჩაიყოლია.

დაავიწყდა წუხანდელი ღამე. წამოდგა. გაიმართა და გათენების უჩინარ ორკესტრს ხმაშეწყობით შეეხმაურა.

და თიქოს მის სულშიც გათენდაო, ისე ჩაუდგა თვალებში დილის ლაჟვარდის ფერი და გულში კი _ რიონის ჭიხვინის გამოძახილი.

ეჭვები ჩამოცილდნენ. ცაცას კოცნა ახლა ისე წარმოიდგინა, როგორც გახარება, და პირზე შეშხაპუნებული რიონის ჯადო-წყალის ცხოველმყოფელობა.

...

როცა არჩილი ოთახში დაბრუნდა, კარგა გათენებული იყო. შალვა ამდგარი დახვდა.

მიესალმნენ ერთმანეთს.

შალვამ წუხელ დამთავრებული წერილი წაუკითხა არჩილს. მერე აზრი ჰკითხა მოსმენილის შესახებ.

არჩილმა მოუწონა. შეაქო.

- რა გამოგდის, კაცო? ვასოსგან წამოღებულ წიგნს ხომ არ მოუნათლიხარ? _ გაუკვირდა წერილის მოწონება არჩილის მიერ. _ აქ მე საქართველოს ავტონომიის იდეას ვიცავ, არჩილ!

ეს რა მარცხი მოუვიდა არჩილს? ალბათ, წერილის შინაარსისათვის ყური არ უგდია. თითონაც ეოცა ეს ამბავი.

მაგრამ მაინც უკან არ დაიხია. ბავშვივით გაუცინა მეგობარს და ასე უთხრა, განსაკუთრებული მნიშვნელობის დატანებით:

- მერე რა?.. კი არ მეშინია, შე კაცო!

- ძალიან მიხარია! აკი გითხარი: ციხე შგნიდან გატყდება-მეთქი... წუხელ რომ წიგნს კითხულობდი, ის უთუოდ თქვენი პარტიული ციხის გაბზარვას მოასწავებს.

- ჰო... სამწუხაროდ, არც კი წამიკითხავს.

- მაშ, ეს ამბავი ნამდვილად სასწაულია, არჩილ? ა? შენ და ავტონომია! რას მივაწერო, არ ვიცი. ჩვენი მოდგომა ხომ არ ამეტყველებულა შენში, ძველი ქართული. ათასოვან წელთა მომნელებელი... გარდაუვალი, მარადი? _ და შალვამ ცდით შეხედა არჩილს თვალებში.

- მოიცა, კაცო. გასაგებად მელაპარაკე... შენ ისე შეჰხარი ამ უბრალო ამბავს, თითქოს დიდი რამე მომხდარიყოს. გაუსწორებელი ხარ. მაგრამ ახლა მაგის გუნებაზე არა ვარ; სხვა რამ მინდა გითხრა. იცი, გუშინ ცაცა და მე შევრიგდით.

- მოგილოცავთ. ან აქამდისაც რა გქონდათ გასაყოფი?

- დაიცა, კიდევ რა გითხრა: გადავწყვიტე ფოთს თავი დავანებო და...

- აი, მესმის! შენ, კაცო, ძალიან ნიჭიერი ხარ: პროპაგანდისტობა რა შენი საქმეა. გეყოფა. ახლა, ძმაო, ისევ სწავლას დაუბრუნდი. ძალიან კარგი რამ გადაგიწყვეტია. მაშ, უნივერსიტეტში მოდიხარ!

- კი... მაგრამ წელს იქნებ კიდევ ვერ მოვახერხო. ორგანიზაციას ასე უცბად თავს ვერ დავანებებ.

- ჰეე. ეს კი არ მომწონს! სოციალ-დემოკრატების მეტი რაა ჩვენში, რომ პარტიას შენ დააკლდე მაინცდამაინც. რევოლუცია კი, ჩემო არჩილ, კარგა დიდხანს არ დაბრუნდება. ისტორიაა... მერე კიდევ რუსეთის. შენ მე დამიჯერე: რაკი გადასწყვიტე, მორჩი და გაათავე. აი, მე ამ დღეებში გავემგზავრები... ერთად წავიდეთ.

ისაუბრეს ერთხანს. მერე ჩაიც შემოუტანეს. დალიეს.

მეათე საათი იყო.

ცაცას ხმაც გაისმა სახლში.

ქუჩაც ახმაურდა.

გაზეთები ჩამოატარეს.

- ახალი დეპეშები. ახალი დეპეშები! _ დაიძახა დაჩვეულმა მეგაზეთემ შალვას ფანჯარასთან.

იყიდეს.

პირველმა შალვამ გადაათვალიერა.

-

ჰო ჰო... კაცო, ფოთში, მგონია, რაღაც უბედურება დატრიალებულა. მატარებელზე თავდასხმა... ნახე! _ მიმართა მან არჩილს და დეპეშები გაუწოდა.

- აი, წაიკითხე.

დეპეშა ჭალადიდსა და პატარა ფოთს შუა მატარებელზე მომხდარ თავდასხმას იუწყებოდა.

არჩილს რამდენჯერმე ეცვალა ფერი: ჯერ გაწითლდა. აენთო, მერე თანდათან ბინდი შეაწვა სახეზე. გაფითრდა.

დეპეშის კითხვა ბოლომდის არ დაეთავებინა, რომ ტყვიანაკრავივით შეჰყვირა:

- ა? სამსონა გაჰყოლია და... მოუკლავთ კიდევაც... როგორ დავიჯერო! _ თავში ხელი იტაცა. სკამზე მოკეცით დაეშვა.

- რა იყო? შენი ნაცნობია? _ ჰკითხა მისი შეყვირებით გაკვირვებულმა შალვამ. მივიდა, დეპეშა ჩამოართვა და ხელახლა დაკვირვებით წაიკითხა ბოლომდის.

ამბავი მოკლედ იყო მოთხრობილი, თუ სად მოხდა თავდასხმა და რა დროს. ბრძოლა იყო აღწერილი. მერე თავდამსხმელთა უკუქცევა. სროლის დროს მოკლული სამსონა ტაბაძის აღმოჩენა ტყეში. მისი ვინაობა იყო აღნიშნული, როგორც ფოთში კარგად ცნობილი ტერორისტისა და თავდასხმის ორგანიზატორის. დეპეშის ბოლოში: ბოროტგამზრახველთა დევნა და სუფსის მიდამოებში მეორე თავდამსხმელის შეპყრობა, _ მიხელა-იმერელის სახელწოდებით.

დეპეშის შინაარსმა და არჩილის შეცხადებამ შალვას ის ეჭვი დაუბადა ძალაუნებურად, თითქოს მთელი ეს საქმე ფოთის ორგანიზაციის მიერ ყოფილიყო მოწყობილი, თვითონ არჩილის ხელმძღვანელობით და მონაწილეობით.

- თქვენი პარტიის მოწყობილი იყო? _ გაუმჟღავნა მან კიდევაც ეჭვი არჩილს და მცდელი თვალებით შეხედა.

- არა, _ გადაჭრით უპასუხა არჩილმა. მაგრამ უცებ ისევ წამოწითლდა სახეზე, თვალები აარიდა მეგობარს და დაბნეულად შეუბრუნა კითხვა:

- ჩვენი პარტიისაო, მკითხე? სიდან ჩანს?

- ვინ არის მოკლული? ტერორისტი იყოო, რომ სწერენ? იცნობდი?

- როგორ არა! ჩემი... _ მაგრამ ვერ დაათავა. თვალებზე ცრემლი მოადგა. _ მერე რა ბიჭი, შალვა! რა ბიჭი, რომ იცოდე! _ ძლივს სთქვა და შალვასაგან პირი მიიბრუნა, ოთახის კუთხეში მიდგა. ყელზე მოწოლილი სლოკინი დააცხრო.

- ეს მეორე კი ვინ არის, რო შეუპყრიათ? _ ცოტა ხანს შემდეგ ჰკითხა ისევ შალვამ.

- ვინ მეორე, კაცო? რომ არ წამიკითხავს! ამაში სწერია? _ დეპეშა ხელიდან გამოჰგლიჯა. _ სად სწერია?

შალვამ თითით უჩვენა ის ადგილი, სადაც მიხელა-იმერლის შეპყრობის ამბავი

ეწერა.

არჩილმა წაიკითხა.

შალვა ამ შემთხვევაშიც არჩილის აფეთქებას მოელოდა. მაგრამ პირუკუღმა მოხდა: წაკითხვისთანავე არჩილს დამშვიდება დაეტყო, მოულოდნელი კმაყოფილება სახეზე აღებეჭდა. ცხადი იყო, წაკითხულმა ცნობამ ის არ გაუმართლა, რასაც ფარული შიშით მოლოდა.

- უცნობია? _ შეეკითხა კიდევ შალვა.

- ვიცნობ: ფოთელი მუშაა... _ უპასუხა გულგრილად და ოთახში გაიარ-გამოიარა.

- ცუდი ამბავია! _ დაარღვია ბოლოს შალვამ სიჩუმე.

- საშინელება! _ ჩამოართვა სიტყვა არჩილმა და შუა ოთახში შესდგა. _ განა იმისთვის გამოვეშურე აქეთ, რომ... _ და ტუჩზე იკბინა. ისევ გაიარა. _ მაგრამ იმ... იმ... _ ვერ სთქვა, პირისახე ბრაზისაგან მოექცა. ნიკაპი აუკანკალდა. _ იმ იდიოტმა ვასომ გზა ამიბნია. აზრი შემიცვალა. ჩემი ბრალია. ჰო, ჩემი ბრალია, რომ დავუჯერე!..

მაგრამ აზრი არ დაუმთავრებია, უცებ შესდგა შუა ოთახში მთელი ტანით შეკანკალებული. გიჟივით გადაატრიალა თვალები.

- ვაიმე, დავიღუპე, მგონია! იქნება, ანდროც შეპყრობილია! ერასტოც. სხვებიც... არაფერს ნიშნავს, რომ ისინი დეპეშაში მოხსენებულნი არ არიან. მთელ უბანს დაარბევენ, რაკი სამსონა გარეულა ამ საქმეში.

ბარბაცით მივიდა სკამთან და ზედ დაეშვა სასოწარკვეთილი.

უცბად ისევ წამოდგა. გამოცოცხლდა.

- შალვა, ცაცას უთხარი, ჩემი ფოთში დაბრუნება აუცილებელი იყო-თქვა... ასე უთხარი, თუ ძმა ხარ.

კუთხეში კედელზე ჩამოკიდებულ თავის მუშურ ტანსაცმელთან მივიდა. ჩამოხსნა ფიცხლად. გადაცმას შეუდგა.

- მატარებელი ფოთისაკენ თორმეტზე გადის. უნდა მივუსწრო... დაგვიანება შეუძლებელია.

შალვას კი არაფერი ესმოდა იმისა, რაც მისი მეგობრის თავს ხდებოდა. უკიდურესად შეწუხებული და დაბნეული შესცქეროდა მას. ის კი ახლა უკვე საბოლოოდ დარწმუნებულიყო, რომ დეპეშის მოტანილი დიდი ამბის ავტორი _ მისი

სტუმარი და მეგობარი, არჩილ დადიშიანი იყო.

- მე კი არ გირჩევ, არჩილ, დაბრუნებას. რაკი საქმე ასეა, ძალიან საშიშია შენი ახლა ფოთში ჩასვლა: აუცილებლად დაგიჭერენ, _ უთხრა მან არჩილს შეგვიანებით.

- ანდრო თუ დაჭერილი არა არის, უნდა მივუსწრო. თუ დაჭერლია, მაინც უნდა მივუსწრო, რომ ვუშველო... _ უპასუხა არჩილმა.

- არაფერი მესმის, ძმაო, რასაც ლაპარაკობ. მაგრამ მაინც უნდა გითხრა: შეიძლება ძალიან უჭირდეთ იქ, მაგრამ შენი წასვლა მაინც უაზრობაა. თავს დაიღუპავ, ორიოდე დღე მაინც შეიცადე აქ და მერე წადი. _ ერთხელ კიდევ შეეცადა შალვა მეგობარი გონზე მოეყვანა, მაგრამ ამაოდ.

არჩილი ორ-სამ წუთში უკვე მზად იყო და გასავალი კარებისაკენ მიეშურებოდა.

შალვას მეტი აღარაფერი დარჩენოდა სათქმელი. უხმოდ, უსიტყვოდ მიაცილა მეგობარი სახლის კიბემდის და უკან დაბრუნდა.

მაგრამ ოთახში რომ შევიდა, შეფიქრიანდა.

- სადგურამდის მაინც გავყვები შორი-ახლო. თავის ჭკუაზე არ არის. არაფერი შეემთხვეს. _ სთქვა, საჩქაროდ აიღო ჯოხი, დაიხურა ქუდი და არჩილს დაედევნა.

...

სახლიდან გამოსვლისა და მიხედ-მოხედვისთანავე დაინახა შალვამ არჩილი. იგი ბალახვანის და ტფილისის ქუჩების შემაერთებელი შესახვევით მიდიოდა აჩქარებული.

შალვაც ამ გზას დაადგა. მოაზრებული ჰქონდა, თავი ახლოს დაეჭირა მეგობრისაგან და თვალი ისე ედვნებინა. მუშურ ტანსაცმელში გამოწყობილ არჩილთან ერთად გავლა სახიფათოდ მიეჩნია.

ტფილისის ქუჩის კუთხეში ხედვის არედან დაეკარგა მეგობარი. გაიქცა. თვითონაც გადაუხვია. გახედა: _ დამაშორებელი მანძილი შეემოკლებინა.

ქუჩის მეორეს მხარეს გადავიდა, რომ უკეთ ეთვალთვალნა. ასე განაგრძეს რკინიგზის სადგურისკენ სვლა.

მგრამ გაიარეს თუ არა მცირე მანძილი, უცებ მოულოდნელი ამბავი დატრიალდა.

არჩილი ვიღაც პოლიციის ბოქაულის ფირმაში გამოწყობილმა კაცმა გააჩერა, და მათ შორის ფიცხელი ლაპარაკი შეიქმნა.

შალვას შიშმა გულის ცემა შეუჩერა.

- არჩილ დადიშიანი! სტუდენტი-აგიტატორი! გადაცმული! დიაღ, კარგად გიცნობთ! _ ყვიროდა პოლიციელი. _ თქვენ დაპატიმრებული ხართ!

შალვა შესდგა. მიაყურადა. მაგრამ არჩილის ხმა ვერ გაიგონა. დაინახა კი, რომ იგი რაღაცას ენერგიულად ელაპრაკებოდა ბოქაულს.

- გთხოვთ მომყვეთ! პასუხს იქ აგებთ, სადაც ჯერია, _ ახლა უფრო ხმამაღლა იყვირა პოლიციელმა და რევოლვერის ბუდეს ხელი წაატანა.

გამვლელებიც შესდგნენ შორი-ახლო.

- ფაეტონ! _ დაიძახა ბოქაულმა.

ფიცხლად ჩასვა შიგ არჩილი და თვითონ გვერდით მიუჯდა. ხელში ბუდიდან ამოღებული რევოლვერი ეჭირა.

- ვინ არის? ვინ არის? _ გაისმა შემთხვევით თავმოყრილ ხალხში.

- არჩილ დადიშიანი, _ მოჰკრა ყური შალვამ ვიღაცის ხმას. ერთ წამში რამდენიმე ათეულმა პირმა გაიმეორა ეს სახელი სხვადასხვანაირი წარმოთქმით.

მაგრამ შალვა რამაძეს აქ აღარ შეუგვინებია. პირველსავე თავისუფალ გამომვლელ ეტლში ჩაჯდა და მეეტლეს უბრძანა ბოქაულის ეტლს დადევნებოდა.

პოლიციელმა ეტლი ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს წინ დააყენებინა. პირველად თვითონ ჩამოხტა. მას არჩილიც მიჰყვა. სამმართველოს მოჰყავდა მეეტლეს ცხენები. არჩილმა მოიხედა. გაუკვირდა შალვას დნახვა.

მეგობრებმა ერთმანეთს შეხედეს.

შალვას უკიდურესი შეშინება და შეწუხება ვერ დაეფარა. თვალები ისე გაფართოვებოდნენ, რომ პენსნეს ზომას გადასცილებოდნენ.

სამაგიეროდ არჩილმა მტკიცე სიმშვიდე დაანახვა შალვას. თვალებში უბედურებასთან გაპირისპირებით გამოწვეული ვაჟკაცური სიამაყე ჩაიყენა და ისე შეხედა მეგობარს.

მერე, თითქოს მიხვდაო ამ ადგილას მისი მოულოდნელი გამოჩენის მიზეზს, შეუღიმა მადლობის ნიშნად და ამ სახით დინჯად შესდგა ფეხი ჟანდარმთა სამმართველოში.

...

შალვამ კი თავისი ეტლი ბალახვნის ქუჩისკენ გააქანა. მას ის შიში აწუხებდა, რომ

არჩილის დაჭერას ფოთში მომხდარ მატარებელზე თავდასხმას უკავშირებდა. _ სახლში იმისთვის მიიჩქაროდა, რომ მამის გავლენისათვის მიემართნა და ამ გზით ეშველნა მეგობრისათვის.

სახლს უახლოვდებოდა, როცა წინ ცაცა შემოეყარა.

შალვამ ეტლი დააყენბინა და ცაცას მასთან მოსვლა ანიშნა.

- არ მცალია. _ შედგომით უპასუხა ცაცამ. _ სად იყავი? _ ჰკითხა მერე და გზის გაგრძელება დააპირა.

- მოდი-მეთქი... არ გესმის? _ დაუძახა ახლა შალვამ და ისეთი სახე უჩვენა, რომ ცაცა ძლაუნებურად მიუახლოვდა.

- დაჯექი აქ. შინ დაბრუნდი, _ იმავე ხმით განაგრძო შალვამ.

- რა მოგივიდა? გითხარი, არ მცალია-მეთქი, _ უპასუხა გაჯავრებულმა ცაცამ და ხელის საათზე დაიხედა. _ აი, ათს გადაცილებულია... მიმელიან!

-იცი? არჩილი დააპატიმრეს!.. _ უთხრა შალვამ. გადმოიწია ეტლიდან, მოჰკიდა ცაცას ხელი და გვერდში მოისვა.

- რას ამბობ? ხომ არ გაგიჟდი? _ და ცაცამ თავისი ელამი თვალები შეანათა შალვას.

- მამა ხომ არ წასულა სადმე? ახლავე უნდა მივაღებინოთ ზომები, რომ გაანთავისუფლებიოს. სანამ ციხეში გადაიყვნდნენ, ჩემი აზრით, მანამ უნდა შველა.

- მართალს ამბობ, შალვა? _ ფერი ეცვალა ახლა ცაცას. _ როგორ? სად?

- აი, შევიდეთ სახლში... ყველაფერს გეტყვი. საქმე, მგონია, ძალიან სერიოზულია... ყოჩაღად კი ეჭირა თავი. ისე არ სტოვებს შთაბეჭდილებას, და ნამდვილი ვაჟკაცი კი არის. ძალიან მომეწონა, იცოდე... მის მაგიერ მე შემეშინდა.

სახლში რომ შევიდნენ, შალვამ დაწვრილებით უამბო ცაცას, თუ რა პირობებში მოხდა აჩილის დაპატიმრება. დეპეშაც წააკითხა და არჩილის გაუგებარი საქციელი გააცნო. თავისი ეჭვებიც გაუმხილა საიდუმლოდ.

- შენ ახლავე გაიქეცი ვასოსთან, ცაცა. შეატყობინე. იქნება, იმანაც რამე ზომა მიიღოს, _ დაასრულა შალვამ.

ცაცამ ხმის ამოუღებლად ბოლომდის მოუსმინა შალვას. მერეც კარგა ხანს იყო დადუმებული. ბოლოს წარბები შეკრა უეცრად და შალვას ჰკითხა:

- ფოთში მიდიოდა? მუშის ტანსაცმელში გამოწყობილი?

- ჰო... აკი გითხარი. შენ დაგიბარა, ჩემი გამგზავრება აუცილებელი იყოო. მაგრამ თქმა ვერ მოვასწარი.

- იცი, შალვა, მე მაგ შენი არჩილისათვის ფეხსაც არსად არ გადავდგამ. თავი მომაბეზრა სწორედ. კმარა. მეტი არ შემიძლია. ეს იცოდე: რუსეთში ჩემს გამგზავრებას ერთი დღითაც არ გადავდებ... რომ ჩამოახრჩონ კიდეც. შენ კი როგორც გსურდეს, ისე მოიქეცი. «აუცილებელი იყოო», მეც ჩემი აუცილებლობა მაქვს... არც კი ვინაღვლებ! _ სთქვა მოულოდნელად გაანჩხლებულმა ცაცამ, მაგრამ იმავე წამში თვალებში ცრემლები მოადგა და მკერდი გულზე მოწოლილმა ჯავრმა აუტოკა.

კიდევ უნდოდა რაღაც ექთვა, მაგრამ იგრძნო, რომ თავს ვერ შეიკავებდა, და სწრაფად გავიდა შალვას ოთახიდან.

შალვამ კი გაბოლებული პაპიროსი მოათავა ჩაფიქრებული სახით. ნამწვი საფერფლეში ჩასრისა. მერე პენსნე გაისწორა. ხალათის კალთა უკან დაიხვეტა და ჩქარი ნაბიჯით მამის ოთახისკენ გაეშურა.

...

მიუხედავად შალვა რამაძის მიერ მიღებული ზომებისა და საქმეში მამამისის ჩარევისა, არჩილ დადიშიანი მოკლე დაკითხვის შემდეგ იმავე დღეს, საღამოს, ჟანდარმთა სამმართველოდან საგუბერნიო ციხეში გადაგზავნეს.

როგორც კი გაიგო ეს ამბავი შალვამ, დაუყოვნებლივ დაამზადებინა სახლში ქვეშაგები, საცვლები და სხვა პირველი საჭიროების საგნები, დააბარებინა ეტლი და თავისი ხელით წაუღო მეგობარს ციხეში.

VI

არჩილ დადიშიანს ციხეში ამხანაგები ამბით შეეგებნენ.

სანამ მას ციხის კანტორიდან ზემო სართულში აიყვანდნენ, სადაც პოლიტიკურები იყვნენ მოთავსებულნი, და კამერას მიუჩენდნენ, მთელმა ციხემ უკვე იცოდა მისი ამბავი.

ზემოსართულის დერეფანში შექუჩებული პატიმრები ისე შეხვდნენ საერთო მისალმებით, თითქოს დაპატიმრებას ულოცავენო.

ციხის ამხანაგების უმრავლესობას, უპირველესად ყოვლისა, ის აინტერესებდა

უფრო, თუ რომელ კამერაში იყო განწესებული ახალი პატიმარი.

- კამერა !", _ გაისმა რუსი ზედამხედველის ხმა.

ახლა არჩილს ამ კამერის ტუსაღები შემოეხვივნენ. ჩაიყენეს შუაში და გრძელი და ვიწრო, ეგრედ წოდებული «პოლიტიკურთა დერეფნის» ბოლოსკენ გააქანეს, სადაც მეოთხე კამერა იმყოფებოდა.

იმჟამად პოლიტიკურებს ის შეღავათი ჰქონდათ ქუთაისის ციხეში, რომ მთელი დღის განმავლობაში მათი კამერები ღია, დაუკეტავი რჩებოდა, და ისინიც თავისუფლად მიმოდიოდნენ კამერიდან კამერაში და დერეფანში განუწყვეტლივ დასეირნობდნენ.

- მეოთხე კამერაო?! მაშ, არა გიშავს-რა, ამხანაგო! _ მიაძახეს გასამხნევებლად სხვა კამერის ამხანაგებმა, _ «ადმინისტრატიული» ყოფილხარ... შეიძლება, აქედან სულ მალე გახვიდე!

ქუთაისის ციხის ტუსაღებს თავიანთი ნიშნები ჰქონდათ: ამა თუ იმ კამერაში მოთავსების მიხედვით ხვდებოდნენ, თუ პატიმარი რომელი ხარისხის დამნაშავედ იყო ჩათვლილი.

კამერები კი მრავლნაირი იყო:

«სასკივდილო» _ ციხის ქვედა სართულში, განცალკევებული, პატარა, ნახევრად ბნელი. უსკამო და უნარო.

«საგამომძიებლო» _ პატარა საკანების სახით, რომლებსაც «სეკრეტებს» უწოდებდნენ.

«საკატორღო» _ კატორღამისჯილთათვის.

«საადმინისტრაციო» და სხვა.

არჩილის კამერა !" მოდიდო ოთახს წარმოადგენდა, ციხის ეზოში გამავალი ორი ფანჯარა ჰქონდა. იგი ნორმით თორმეტ ტუსაღს იტევდა. მაგრამ ამჟამად მასში ორმოცი პოლიტიკური იყო მოთავსებული.

კამერაში არჩილს საპატიო ადგილი დაუთმეს ამხანაგებმა. ფანჯარასთან ახლოს ნარის ფიცარნახევარი მოუზომეს სიგრძე-სიგანით და აქ «დაასახლეს». ზოგმა ლეიბი შესთავაზა, ზოგმა კიდევ _ საბანი.

დატრიალდნენ, პატივისცემას შეუდგნენ. გაამხნევეს.

არჩილი კი მთელ ამ ამბავს ისე უცქეროდა, როგორც დიდი პატარების თამაშს

შესცქერის ხოლმე _ მთელი პირისახე უღიმოდა და თვალებში ყველასადმი სიყვარულისა და უღრმესი პატივისცემის შუქი უციალებდა.

მალე არჩილთან სხვა კამერებიდანაც წყება-წყებად დაიწყეს ამხანაგებმა დენა. ვინც იცნობდა, ესალმებოდა, ვინც არა _ ახლა ეცნობოდა ხელის ჩამორთმევითა და სახელისა და გვარის მორცხვი წარმოთქმით. ზოგი მის გვერდით ჯდებოდა, ზოგი ახლომახლო დგებოდა. დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ.

«სად დაგიჭირეს? ვინ? საშიშარი ხომ არაფერია?» _ წამდაუწუმ ეკითხებოდნენ ნაცნობები.

ბოლოს კამერის კართან ბორკილების ჩხარაჩხურიც გაისმა და კამერაში მაღალი ტანის, ახოვანი ტუსაღი შემოვიდა. მის გამოჩენაზე იქ თავმოყრილები ფეხზე წამოიშალნენ, გაიწ-გამოიწიეს და შემოსულს არჩილისაკენ გზა დაუთმეს.

იგი ცოტა მოშორებით შესდგა არჩილის წინ, თვალებზე ხელი ჩამოიფარა გაკვირვების ნიშნად და ასე შეხედა ახალ პატიმარს.

- არჩილ! _ მიმართა მერე ისეთი გაკვირვებული ხმით, თითქოს მხოლოდ ეს არის მისი დაპატიმრების ამბავი გაიგოო.

არჩილმა პირველად ვერც კი იცნო ბორკილიანი ამხანაგი, მერე უცებ ადგილიდან წამოხტა და მისკენ გაექანა.

- გოგია! _ შეჰყვირა და მკერდში ჩაეკრა. გადაეხვია.

- შენც? რა მოგივიდა, ბიჭო? _ ალერსით ჰკითხა გოგიამ და თავიდან ფეხებამდის დაათვალიერა.

გოგია არჩილის ძველი მეგობარი იყო, მოწაფეობის დროიდანვე. გეგუთის ქუჩაზე ერთ სახლში ჰქონდათ ბინა, როცა არჩილი გიმნაზიაში სწავლობდა, ხოლო გოგია _ სემინარიაში.

ქუთაისის სემინარიაში მომხდარმა მოწაფეთა ისტორიულმა გაფიცვამ დააშორა ისინი ერთმანეთს. გოგია მეორე კლასიდან გამორიცხეს, რის შემდეგ ის ჯერ სოფელში ცხოვრობდა დედ-მამასთან, ზემოიმერეთში. მერე არალეგალურ პარტიულ მუშაობას შეუდგა და პროფესიონალ რევოლუციონერთა რიცხვში მოექცა. იგი ბოლშევიკი იყო.

ახლა გოგია სამხედრო სასამართლოში იყო მიცემული და «სეკრეტში» იჯდა ბორკილებგაყრილი, როგორც დიდი დამნაშავე: წიფის ომის დროს მთავრობის ჯარის

ერთი რაზმის იარაღის აყრა ბრალდებოდა და რაზმის მეთაური ოფიცრის მოკვლა.

- წამო ჩემთან, სანამ ჩაგვკეტავენ. ამბები მინდა გკითხო, _ უთხრა მან არჩილს მოკითხვის შემდეგ, იღლიაში ამოიდვა ხელი და, კამერის წინაშე ბოდიშის მოხდით დერეფანში გაიყვანა.

...

პირველი საღამო და მეორე ღამეც არჩილს მოსვენების საშუალება არ მისცეს ციხეში. არ ეშვებოდნენ ამხანაგები.

როცა დაღამდა და კამერები ჩაირაზა, არჩილის კამერა, თითქოს ჯურღმულში ჩაიძირაო, ბოლგართხმულ ვიწრო და დაბალკედლიან მაღაროს დაემსგავსა. თუნუქის პატარა ლამპა კედელზე ეკიდა მომაღლოდ, ნარებს ზემოთ, და მისი მკრთალი სინათლე ისე ადგებოდა თავზე ტუსაღებს, როგორც «სულიწმინდის მოფენა».

კამერაში ყველაზე უფრო ეს ლამპა მის ორივე მხრით გრძლად და შავად ამოჭრილ წარწერას ანათებდა:
«მე თეოფანე მაკალათიამ ვიწამე კონცენტრაცია და კაპიტალი // ივლისს არხანგელსკში გამამგზავრეს. გაუმარჯოს შეიარაღებულ რევოლუციას და ჭეშმარიტებას».

კამერის ჰაერი ძალზე შეხუთული იყო.

მოდიდო ზომის «პარაშკა», მისი აუცილებელი როლისათვის სრულად გამზადებული, თავმოყვარეობის ჯალათივით კუთხეში ატუზულიყო და გარშემო მყრალი სუნი დაეყენებინა.

თამბაქოს ბოლს ორმოცი კაცის ტანჯვა, ორთქლი, სუნთქვა და დაუბანელი ტანის სუნი შერეოდა.

ზოგი ტუსაღი წამოწოლილიყო, ზოგი ფეხმორთხმით იჯდა და ხელში პურისაგან გაკეთებულ კრიალოსანს ათამაშებდა.

როცა ყველანი დალაგდნენ და შედარებით სიჩუმე ჩამოვარდა, არჩილს სთხოვეს მოხსენება გაეკეთებინა «მიმდინარე მომენტებზე».

არჩილი დაპირდა ამხანაგებს, რომ ამ თემაზე ის ხვალ გაუკეთებდა მათ მოხსენებას. ახლა კი თავის ტკივილი და დაღლილობა მოიმიზეზა.

- უკაცრავად ვარ... მაგრამ არა ვარ რაღაც კარგად... _ გულსა და თავზე მითითებით უთხრა და ისეთი შეწუხებული სახე უჩვენა, რომ უმალვე თავი დაანებეს.

არჩილს მართლაც სტკიოდა გულიც და თავიც.

ცნობისმოყვარე ამხანაგებისაგან რომ თავი დაეფარა, შალვას მიერ შემოგზავნილი ქვეშაგები შუა გაკეცა სიგრძეზე, მისთვის მიზომილ ნარზე დააფინა და ზედ გაუხდელად მიწვა.

მის მარჯვნით უცნობი ამხანაგი იწვა, გრძელთმიანი, რომლის სახის გარკვეულმა ფილოსოფიურმა გამომეტყველებამ არჩილის ყურადღება თავიდანვე მიიქცია.

იგი მთელი საღამო, განსაკუთრებით კი დაწოლის წინ, ისეთი საიდუმლო ღიმილით ადევნებდა თვალს არჩილს, რომ ეტყობოდა დიდი სურვილი ჰქონდა მასთან გამოსაუბრების.

სანამ მიწვებოდა თავის ადგილზე, არჩილმა უნებურად შეავლო თვალი მეზობელს. მაშინვე მიუხვდა განზრახვას, მაგრამ სად წაესვლებოდა? მარცხნით დაწოლილ ამხანაგს ჩასძინებოდა და ზრდილობამ ნება არ მისცა ზურგი მის აშკარად მოდარაჯე მღვიძარ მეზობლებისთვის შეექცია.

ისღა შესძლო, რომ პირაღმა დაწვა და მაშინვე თვალები მილულა.

- უკაცრავად, ამხანაგო... _ დაბალ ხმაზე ბოდიშით მიმართა მას მეზობელმა. _ ერთი რამე უნდა გკითხოთ... თუ შეიძლება?

- ბრძანეთ, ბრძანეთ, _ არ შეხედა, ისე უპასუხა არჩილმა.

წინასწარ მოკლედ ჩაახველა უცნობმა, თითქოს ხმა გაიწმინდაო, და მიღებული ნებართვით წათამამებულმა დაიწყო:

- თქვენ უთუოდ წაკითხული გექნებათ ენგელსის «ანტიდიურინგი»... ეს ისე გკითხეთ, რომ... რა თქმა უნდა... წაკითხული გექნებათ, როგორც მარქსისტს... ჰო და, ამ წიგნის ზოგი ადგილი ჩემში დიდ ეჭვებს ჰბადებს და... ზოგი რამის განმარტება უნდა გთხოვოთ.

არჩილს თვალები გაუფართოვდა. არ ჯეროდა, რაც ესმოდა თითქოს ეჭვის შესამოწმებლად, თავი მიატრიალა უცნაური მეზობლისკენ და დაუფარავი გაოცებით შეხედა. შეშლილი ხომ არ არისო.

- უნდა გამოგიტყდეთ, რომ განსაკუთრებულად ერთმა ადგილმა ძალიან შემაწუხა, _ დამშვიდებულად განაგრძო მეზობელმა. _ აქ, ციხეში, ვერც ერთმა ამხანაგმა ვერ ამიხსნა, ვერ განმიმარტა, საქმე იმაშია, რომ...

- არ შეიძლება, ხვალისთვის გადავდვათ, ამხანაგო? _ გააწყვეტინა ლბილად არჩილმა. _ ძალიან მეძინება... _ და რაც შეიძლება, მაგრად დახუჭა თვალები.

- საერთოდ ძალიან მაინტერესებს ფილოსოფიისა და დიალექტიკის საკითხები მარქსისტული მეცნიერების შუქის მიყენებით გაშუქებული... ა? მარქსისტული მეცნიერების შუქი. როგორ მოგწონთ? მე დიდი ხანია, მარქსისტი ვარ და, შეიძლება ითქვას, პიონერი ამ დარგში ჩემი თაობის ხალხს შორის. გთხოვთ სიმოკლისათვის მხოლოდ სახელით მიცნობდეთ. იუსტინე მქვიან. ეს სხვათა შორის. ჰო, იმას ვამბობდი. საქმე იმაშია-მეთქი, რომ... თუმცა, იქნება, მართლა გეძინებათ და გიშლით?

- ძალიან მეძინება. უკაცრავად ვარ. თვალები არ მემორჩილებიან.

- ჰო... მესმის, დაღლილი ხართ... შთაბეჭდილება და სხვა... ციხეში პირველად ხართ?

- დიაღ.

- ასე იცის: პირველ ღამეს მეც ძალიან დამეძინა. მერე და მერე კი, ვერა... თუმცა არ ვნაღვლობ, წარმოიდგინეთ: რაც გარეთ წაუკითხავი წიგნები დამრჩა, სულ აქ წავიკითხე. თუმცა ეს «ანტიდიურინგს» არ შეეხება. ამ წიგნს დიდი ხანია ვიცნობ. გარედაც ვფიქრობდი, რომ ენგელსს ზოგი ადგილი ვერ აქვს მაინცდამაინც სწორედ დაწერილი. წმინდა მარქსისტული მეცნიერების შუქის მიყენების თვალსაზრისით რომ მივუდგეთ. თუმცა, ჰო, ამაზე მერე... ახლა, თუ გნებავთ დაიძინეთ. თორემ ერთხელ თუ ძილი გაგიტყდათ, მერე მშვიდობით... ციხეს, წარმოიდგინეთ, თავისი კანონები აქვს, როგორც, თუ გინდა, ამ დიალექტიკასაც. «ტეზა», ანტიტეზა» აქაც დიდებულად მიუდგება... ხე... ხე... ეს დიალექტიკა, მართლაცდა დიდებული მოგონებაა, თუ მართალია და ტყუილი არ არის. ესე იგი ტყუილი არა სიყალბის აზრით, არამედ, სინმდვილის შეუფერებლობის აზრით. ტყუილი ძალიან კარგიც შეიძლება იყოს... როგორც მართალი _ ტყუილი. ეს ჩემი ფილოსოფიაა და, შეიძლება, პირველად ვერც კი გაიგოთ, რადგანაც ამას დიდი დაფიქრება სჭირია... მე მიყვარს ფილოსოფია. მაგრამ ფილოსოფიაც არის და ფილოსოფიაც. ყველას სჯობია, რა თქმა უნდა, ჩვენი დიალექტიკა... ჩვენი, ე.ი. მარქსისტული, რომელიც ჰეგელისას უპირისპირდება როგორც ნათელი ბნელს, როგორც... ჰმ... ეს კარგი შედარებაა, მაგრამ კიდევ მინდა სხვაც ვსთქვა... დიაღ, როგორც ნათელი ბნელს... როგორც... როგორ გითხრათ... დამაცადეთ მოვიფიქრო... როგორც...

ჰმ... შენ ხარ ჩემი ბატონი... ასე იტყოდა განსვენებული ბიძაჩემი, როცა სიტყვა გაუჭირდებოდა... ჰმ... როგორც...

მაგრამ აქ სასაუბრო ხმა არჩილის მეზობელმა უცებ შესცვალა და უცნაურ ჩურჩულზე გადავიდა. არჩილს მოეჩვენა, რომ იგი ახლა თავისთავს ელაპარაკებოდა.

ტანში ჟრუნატელმა დაუარა არჩილს.

ერთხანს უსმინა. მერე მართლა შიშმა შეიპყრო და წამოდგომა დააპირა. აუტანელად მოეჩვენა, მაგრამ ადგომისაც შეეშინდა, _ ისევ გადამეკიდებაო.

უცნაური მეზობელი კი, ახლა მონოტონური გაბმით და «სანისა» და «შინის» წამდაუწუმი ცვლით განაგრძობდა ჩურჩულს.

მერე უცებ შესწყვიტა.

- გძინავთ? _ საიდუმლოდ ჰკითხა არჩილს, რომელმაც სწრაფად ისევ ძილი მოიგონა. _ მომილოცავს პირველმა ღამემ ასე იცის. აკი გითხარით.

ამის შემდეგ უცებ, მანქანასავით აშრიალდა და არჩილის სმენა ერთიმეორეზე გადაბმით მიყოლებულმა, საოცარმა: «ერთიორისამიოთხიხუთიექვსიშვიდ»-მა დაატყვევა.

- აჰა. _ შვებით თქვა არჩილმა და მალულად გადახედა მეზობელს. მიხვდა, რომ «ანტიდიურინგის» კრიტიკოსი ძილს მახეს უგებდა.

ამ გარემოებამ ნერვები დაუწყნარა არჩილს.

რაღაც ძლაუნებურად და მწარედ გაეცინა გუნებაში.

- უთუოდ ადვილია აქ ჭკუაზე შეშლაც! _ გაიფიქრა მალული შიშით და ერთხანს ყური მიუგდო მეზობლის თვლას.

მაგრამ არჩილს თავისი ფიქრებიც ჰქონდა, თავისი საკითხები, რომლებიც უნდა გადაეჭრა.

პირველი კითხვა, რომელზედაც მას პასუხი უნდა გაეცა და რომელიც დაპატიმრების წამიდან თავში უკაკუნებდა, ხოლო რომლისათვის აქამდის ვერ მოეცალა, იყო: _ რა მოხდა?

ამ «რა მოხდას»-ს ქვეშ არჩილი ისეთ დიდსა და უსაზღვრო რასმე გულისხმობდა, რაც მთელ მის წარსულ ცხოვრებას მოიცავდა და რასაც მისი მომავალიც უნდა საბოლოოდ გამოერკვია.

მთავარი აქ ბედისწერის უინტიმესი გრძნობა იყო, რომლის გასაღებს იგი იდუმალ ეძებდა გუშინდელსა და დღევანდელ თავგადასავალში, ჯერ ცაცასთან, მერე კიდევ დეპეშის ცნობასა და მის დაპატიმრებასთან დაკავშირებით.

მაგრამ ერთსა და იმავე დროს ყურში შეუწყვეტლად ჩაესმოდა გაბმული:

- «ასერთიასორიასსამიასოთხიასხუთი».

და ტკბილი შხამივით შეუწყვეტლად შიგ ტვინში ეშხაპუნებოდა. თვალებს უმძიმებდა და ძილის ჯარს მთელ ტანზე უსევდა.

ერთხანს ებრძოლა არჩილი ამ შხამის გავლენას.

ერთი გვერდიდან მეორეზე გადაბრუნდა.

ფიქრები ხან ასე გააფრინა, ხან ისე..

საყვარელი სამსონაც კი მოიგონა, რომ გულისტკივილი გამწვავებოდა, მერე ანდროც, რომ მისთვის შიშისაგან სიფხიზლის ძალა შემატებოდა.

მაგრამ ამაოდ.

«სამასერთისამასორისამასსამისამასოთხი» _ უსისინებდა ყურში მეზობელი.

შენალოცი გველივით გაიკლაკნა არჩილი. მალე აზრიც შეუწუხდა და ფიქრიც.

ძილი მოერია.

ნაწილი მესამე

I

წვიმიანი კვირა გათენდა, _ ქუთაისის ჩვეულებრივი ბაზრობის დღე. ისე სცრიდა, თითქოს ციდან აბრეშუმის დახვეწილი ძაფი გადმოშვებულა და წყება-წყება დედამიწაზე ეფინებაო, თეთრი და შრიალა.

დასავლეთიდან «ზღვაური» უბერავდა და აგორავებული ღრუბლების დიდ ქარავანს ქუთაისის შემურული ცით აღმოსავლეთისაკენ მიერეკებოდა.

ანჩხლი სუსხი იდგა.

მიუხედავად ამისა, ქუთაისის გარშემო მდებარე სოფლებიდან ბლომად დაძრულიყო ხალხი და ნაირ-ნაირი სანოვაგით დატვირთული, ქალაქისაკენ მიეშურებოდა. ზოგი _ ურმებით, ზოგი ტვირთაკიდებული ცხენებით, მამაკაცი _ ზურგზე ძაძებით და რადარანაირი შეკრულ-შეხვეულით.

სოფელ ქვიტირის გზით სხვა ურმებთან ერთად ჭყინტი სიმინდით დატვირთული ორი იმერული ურემი შემოვიდა ორპირის ქუჩით ქალაქისკენ გაემართა.

უკანაზე შავი კაცი იჯდა, გრძელი გლეხი მიუძღოდა, მუხლამდე აკაპიწებული, რომელსაც თავზე ყაბალახმოხვეული.

წინა ურემს კი ფეხდაფეხ ყმაწვილი სახრით ხელში, სიმინდიან ჟარზე ზურგით მოწოლილი, თავზე მოდიდო ტომარი წამოეგო წვიმის წინააღმდეგ და ზურგიც მით დაეფარა.

როგორც თვითონ მეურმეები, ისე ხარებიც და ურმებიც ტალახში იყვნენ ამოსვრილები და წვიმით გაწუმპულები.

უხმოდ მოდიოდნენ. მოიჩქაროდნენ.

მესხეთის ქუჩის შესახვევთან, უკან მომავალი მეურმის ნიშნებით, წინამ თავისი ურემი დააყენა და უკან მოიხედა. ახლა უკანა დაწინაურდა და მესხეთის ქუჩისაკენ გადაუხვია. მას მეორეც მიჰყვა.

ასე იარეს, ვიდრე ერთ მესერშემოვლებულ ეზოიან სახლთან არ დადგნენ.

აქ შავი კაცი დინჯად ჩამოვიდა ურმიდან და მეორეს ანიშნა მიახლოვებოდა. ყმაწვილი გლეხი დაუყოვნებლივ მიიჭრა მასთან. შავმა ურმიდან სიმინდიანი ძარი გადმოაღებინა. მხარზე შეიდგა და ეზოში შევიდა. სახლს გაუპირისპირა.

ყმაწვილმა ერთხანს თვალი გააყოლა მიმავალს. მერე იქაურობა შეათვალიერა: გარშემო სახლებს შეავლო თვალი, ქუჩა გაზომა აქეთ-იქით და გამვლელ-გამომვლელთაც ახედ-დახედა.

მაგრამ შავს მეურმეს არ დაუყოვნებია სახლში. მალე დაბრუნდა ცარიელი ძარით, რომელიც გოდორივით თავზე წამოეხურა.

- შენი რიგია! _ უთხრა ყმაწვილს.

ყმაწვილმა გლეხმა შეუგვიანებლად დასტაცა ხელი თავის ურმის ძარს და თვალის დახამხამებაში ნაფოტივით მხარზე მოიგდო. ჭიშკარში შევიდა.

- სულ პირდაპირ. კარს გაგიღებენ. _ მიაძახა მას დარჩენილმა.

- ვიცი!

არ გასულა ხანიც, რომ ეს მეორე მეურმეც უკან დაბრუნდა: ცარიელი ძარით იღლიაში ამოჩრილი, თავზე ისევ ტომარა-წამოცმული.

- მორჩი? _ ჰკითხა დამხდურმა.

დაბრუნებულს არ უპასუხნია. გაუცინა მხოლოდ და ძარი ურემზე დააგდო.

ამის შემდეგ ამათ აღარ შეუგვიანებიათ. სასწრაფოდ გარეკეს ხარები და გზას გაუდგნენ.

ეზოიან სახლში სიმინდიანი ძარის პირველი შემტანი იყო ნიკო, მეორე კი _ ანდრო.

ცარიელი ძარებით კი უკან დბრუნებულები იყვნენ: _ ორი ნამდვილი მუხიანელი გლეხი, ურმების პატრონები და ნიკოს ერთგული მეგობრები.

...

ჭალადიდის ტყეში ომის გადახდის შემდეგ ნიკო და მისი ამხანაგები რიონის ნაპირებს აფარებდნენ თავს და ასე, მდინარის გაყოლებით, გურიისკენ წამოსულიყვნენ.

სუფსის მიდამოებში მდევრების ერთი შემოტევა კიდევ მოეგერიებინათ, რომლის დროს დიდი გაჭირვება უნახავთ: ნიკო ანდროს საარაკო გამბედაობასა და საკვირველ სიმარჯვეს უხსნია ტყვეობისაგან, ხოლო მიხელა-იმერელი მტერს ხელთ ჩავარდნია. გადარჩენილებს _ ნიკოს, ანდროს და დათას _ ათასი ვაივაგლახის შემდეგ მუხიანამდის მოუღწევიათ და აქ ნიკოს ნაცნობ გლეხის ოჯხში თავი შეუფარებიათ.

აქედან ნიკოს ქუთაისში გადაეწყვიტა ჩასვლა ანდროს თანხლებით, ხოლო დათია დროებით მუხიანში უნდა დარჩენილიყო.

წინასწარ კი ნიკომ ორი მეგობარი მუხიანელი გლეხი ქუთაისს გამოგზავნა. დათოს მისამართი მისცა მესხეთის ქუჩაზე _ ძველი პარტიული ამხანაგისა და პირადი მეგობრის. მისთან საიდუმლო წერილიც გამოიტანა და აცნობა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო.

მეორე დღეს კი გათენებამდის, ის და ანდრო, ვითომ სიმინდის სავაჭროდ, მუხიანიდან გამოემგზავრნენ წინაღამით წამოსული გლეხების ურმებით.

და ასე, ზემოდ აწერილი გზითა და სახით, უვნებლად ქუთაისში ჩამოვიდნენ. დათოს ბინაში დამალულმა გლეხებმა კი ურმები უკან დააბრუნეს.

...

- სამშვიდობოს ვართ, ანდრო!

იყო პირველი სიტყვა, რომლითაც ნიკომ მიმართა ანდროს, როცა იგი ნიკოს

მეგობარმა და ოთახის პატრონმა დათომ სახლში შემოიყვანა.

სუფთა, კოხტად მოწყობილმა ოთახმა, ცოტა არ იყოს, დააბნია ანდრო. არ იცოდა, თავისი შიშველი, გატალახიანებული ფეხები სად და როგორ დაედგა.

ღიმილით შეხედა ნიკოს და კედელს მორცხვად მიეკრა.

- იცი, დათო, რა ბიჭი მოგიყვანე? გაიცანი... მაგისთანა ამხანაგი ჯერ არ შემხვედრია. თვალის ჩინივით მოუარე, იცოდე. ამან გადამარჩინა!

წვერულვაშგაპარსულმა დათომ ჯერ იჭის თვალით შეათვალიერა ანდრო, მერე მიუახლოვდა, მეგობრულად ჩამოართვა ხელი, გულითადად გაუცინა და უთხრა:

- სასიამოვნოა... დაბრძანდი.

- რა დაბრძანდი, კაცო?! _ ჩაერია ნიკო. _ ჯერ ტანსაცმელი გამოგვიცვალე. ჩაგვაცვი, დაგვახურე... ხომ ხედავ, რას ვგევართ!

- ფული თუ არა, ტანსაცმელი მაინც წამოგეღოთ. საშოვარზე შენ იყავი, და არა მე. _ ეხუმრა ნიკოს მასპინძელი.

- ამას ხომ ხედავ? _ მაღლა ამართა შეფუთული ფეხი ნიკომ. _ დაჭრილი ვარ, ძმაო: ექიმი უნდა მომგვარო.

- წადი და საავადმყოფოში დაწექი. ალბათ, დოსტაქარი დაგჭირდება.

კიდევ წაეხუმრნენ ერთმანეთს, მერე დათომ ხალათები და შარვლები მოაგროვა. ზოგი ოთახში მოძებნა, ზოგიც სხვა ოთახებიდან გამოიტანა. ერთი წყვილი ნიკოს დაუდვა წინ, მეორე _ ანდროს გადასცა.

- მე ვიცი, თქვენ უჭმელიც იქნებით!

- მაშ! თუ რამე მოგეპოვება სახელდახელოდ, გვაჭამე, თუ ძმა ხარ.

დათო ოთახიდან გავიდა.

ნიკო და ანდრო გადაცმას შეუდგნენ.

ანდრომ ჯერ თავისი სმიტის და ვისსონის რევოლვერი ამოათრია შარვლიდან. ჟანგი მოჰკიდებოდა წვიმისაგან იარაღს და თოფის წამლის სუნიც უდიოდა. ზედ რომ დახედა, სახეზე ფარულმა ტკივილმა გადაურბინა ანდროს. ჩუმად, მაგრამ მწარედ ამოიოხრა.

- დათოს გადაეცი, გაგიწმენდს, შეგინახავს, _ უთხრა ნიკომ.

- მე თვითონ გავწმინდავ. ოღონდ რამე ჩვარი, ნაფთი, ან ზეთი თუ არის?

- ძალიან კი გვემსახურა! კარგი გამოდგა, არა? სუფსაში გამოგადგა განსაკუთრებით!

- კარგი რევოლვერია.

- ტუყილა კი არ ეშვებოდი. თავს არ ანებებდი... მაჩვენე.

ჩამოართვა იარაღი ნიკომ. გასინჯა.

- არ გააცუდებს. _ ჩაილაპარაკა სერიოზულად, როცა ბურთი დაატრიალა და ჩახმახი მომართა.

- ვინ მოგცა? _ ჰკითხა, როცა უბრუნებდა.

გაჩუმდა ანდრო. მალულად შეხედა ერთი და მერე თვალები აარიდა.

- წაართმევდი ვისმე... _ ეხუმრა ნიკო.

- ძმადნაფიცის ნაჩუქარია. _ ფარული წყენით მიუგო ანდრომ.

- სამეგრელოში?

- არა.

- მალავ, მგონია.

დაუგვიანა ანდრომ პასუხი, გაუძნელდა სამსონას დასახელება. მაგრამ მაინც უთხრა ბოლოს:

- სამსონამ მაჩუქა, ფოთში.

უაღრესად ნაღვლიანი ხმა ჰქონდა, ჯავრისაგან სახეც აუკანკალდა.

გაკვირვებით შეხედა ნიკომ. უცებ მოულოდნელმა აზრმა გაურბინა თავში, სახეც ისე მოექცა, თითქოს ჭალადიდის ტყეში ანდროს მიერ განასროლმა რევოლვერმა ხელმეორედ ზედ მის ყურთან დაიჭექაო.

სამსონას სიკვდილის სურათი თვალწინ წარმოუდგა.

ის იყო რაღაც უნდა ეკითხნა, რომ ანდროს სახის გამომეტყველებამ ენა ჩაუგდო, დაადუმა. მან უსიტყვოდ დაარწმუნა ნიკო, რომ ჭალადიდის ტყეში ანდრომ სწორედ ამ რევოლვერით მოუღო სამსონას სიცოცხლე.

ნელ-ნელა დაჰხარა მან თვალები ანდროს წინ.

სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა.

...

მცირე ხნის შემდეგ ორივენი ისევ გადაცმას შეუდგნენ უხმოდ.

დათოც მალე დაბრუნდა. საჭმელი შემოიტანა. ოთახში დამკვიდრებულმა სიჩუმემ გააკვირვა.

ჯერ ნიკოს შეხედა, მერე _ ანდროს.

- ნუ გეშინიათ, ხალხო... ჩემს ბინაზე უცხო არავინ არის. რატომ ჩაგიკმენდია ხმა?

მაგრამ მისთვის არავის უპასუხნია.

საჭმელი მაგიდაზე დადგა: დაჭრილი, მოხარშული ხორცი, კეცის ჭადი და ბოთლი ღვინო.

- მირთვით.

მძიმედ მიუახლოვდა ნიკო მაგიდას.

- ანდრო. _ მიმართა ანდროს. _ მოდი, ძმაო, ჭამე.

დაჯდა, ჭადი გატეხა, მერე მოზრდილი ლუკმა მოტეხა, შიგ ხოცრის ნაჭერი ჩადვა და ჭამას შეუდგა.

- ამხანაგო, მიირთვი, _ შესთავაზა საჭმელი თავის მხრით დათომაც ანდროს.

ახლა ანდროც მიუჯდა მაგიდას. ხორცს ხელი არ ახლო. ხოლო ჭადს კი მოტეხა და შეჭამა.

- ხორცი შეატანე, ანდრო. _ უთხრა ნიკომ. _ რამდენი ხანია, ხორცი არ გიჭამია.

- არ მინდა, _ რაღაც მოჭრით უპასუხა ანდრომ, საყვედურიანი ხმით. თავი ძირს დაჰხარა, რომ ნიკოსთვის არ ეცქირნა. დაუშვებლად მიაჩნდა, რომ ნიკო ხორცს ჭამდა. თვითონ ისევ ჭადის ჭამა განაგრძო.

ნიკომ იჭვიანი თვალები შეავლო ანდროს. თითქოს მიუხვდაო გულის ნადებს. უცებ შესწყვიტა ჭამა, ხორციან თეფშს ხელი ჰკრა და მოიშორა.

- რა ამბავია კაცო? რატომ არ გინდათ? ხორცს მიწუნებთ? ცუდი არ გეგონოსთ! _ მიმართა სტუმრებს შეურაცხყოფილმა დათომ.

- არა, აქ, სულ სხვა ამბავია, დათო. ანდრო მეგობარს გლოვობს... არც მე მინდა ხორცი. შენ ვერ გაიგებ ამას. ლამის გამაგიჟოს ამ მეგრელმა, _ უპასუხა ნიკომ, მაგრამ მყისვე შესცვალა საუბრის საგანი და ხმის კილოც გამოიცვალა.

- დავანებოთ ამას თავი. დათო, მოდი, ახლა აქაური ამბებიც მითხარი. როგორ მიდის საქმე? ჩვენ, როგორც ხედავ, გადავრჩით და ეს არის. აგერ ვართ. თქვენ რას შვრებით?

- თქვენი მარცხის ამბავმა შეგვაწუხა... კაცო, მიხელა რა პირობებში დაიჭირეს?

- ჰო, უკვე იქნებოდა დეპეშები. წარმოიდგინე, კინაღამ ყველანი დავიღუპეთ... აი, ეს რომ არ ყოფილიყო, _ ანდროზე მიუთითა ნიკომ. _ დაწვრილებით შემდეგ გიამბობ. შენ დღეს «დიდ ვასოსთან» უნდა მიმეგზავნო და გამიგო: მიხელა აქ, ციხეში, ხომ არ ჩამოუყვანიათ. ეს დროზე უნდა ვიცოდე... მაგას ციხეში ვერ დავტოვებთ.

- გაცემის შიში ხომ არ გაქვს?

- არა, მიხელა ბოლშევიკია, მაგრამ, ხომ იცი, არ გადარჩება. თუ დროზე არ ვუშველეთ. ციხის გატეხაც რომ დაგვჭირდეს, როგორმე უნდა ვუშველოთ.

- იმის გარდა სხვაც ბევრია, ძმაო საშველი და დასახსნელი. ათზე მეტი ამხანაგი სამხედრო სასამართლოშია მიცემული. უმრავლესობას ჩამოხრჩობა მოელის!

- უნდა გატყდეს, კაცო, ეს ციხე ბოლოს! სხვა გზა არ არის! დაჰკრა ნიკომ ხელი მაგიდაზე. _ რას აკეთებთ, რომ აქ წამომჯდარხართ? ასე არც ერთი ჩვენგანი ცოცხალი არ დარჩება! გუშინ _ ის, დღეს _ შენ, ხვალ _ კიდევ მე... სანამდის?

- გატყდეს და გატყდეს. ითავე!

- ბიჭი არ ვიქნები, თუ არ ვითავო! _ მტკიცე გადაწყვეტილებით განაგრძო ნიკომ. _ შენ რა გგონია? თუ მოვინდომებთ, ვერ ვიზამთ? რა მიუვალი გგონია ეს ციხე?

შეხურდა ნიკო.

დათომ კი სიჩუმე არჩია.

ანდროც სდუმდა. ოღონდ გაკვირვებით კი შესცქეროდა ნიკოს.

- ჰო, კიდევ რა უნდა გთხოვო, იცი, _ შეანელა ხმა ნიკომ. _ გამიგე, არჩილ დადიშიანი ამჟამად სად არის?.. ეს ამხანაგი მისი მეგობარია. უნდა ნახოს.

- მაგას გაგება არ სჭირია, ნიკო. მესამე დღეა, რაც ციხეშია.

- როგორ? დაიჭირეს?

- მაშ, თვითონ ხომ არ ჩაჯდებოდა? ქუჩაში შემთხვევით უცვნია პოლიციელს, გადაცმული რომ მიდიოდა...

ამის გაგონებაზე ანდრო ზე წამოიჭრა, იგი მრისხანე სახით მიაჩერდა დათოს, თითქოს განადგურებას უპირებსო.

სუნთქვა შეწყვეტოდა.

- ჯერ მაგ თქვენს საქმეს უკავშირებდნენ დადიშიანის დაჭერას... მაგრამ ახლა

გამოირკვა, რომ ცხრაას ხუთი წლის გამო შეიპყრეს... არა უშავს რა: «ადმინისტრატიულების» რიცხვშია, _ დაასრულა დათომ.

ანდროს აღელვება რომ დაინახა, ნიკომ ნელა მოჰკიდა ხელზე ხელი. მოფერებით წაუთათუნა.

- დაჯექი, ანდრო. _ უთხრა ალერსით. _ რა ვუყოთ მერე? ყველაფერი შემთხვევაა.

ანდროც ხმის ამოუღებლად დაჯდა.

მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

- იქნება, მოხერხდეს არჩილის ნახვა ციხეში? _ იკითხა მერე ნიკომ.

- რატომ არა? დღეს კვირაა. სწორედ ნახვის დღეა. ვასოს უნდა ვუთხრათ.

ისე წამოდგა ანდრო. ახლა შესაბრალისი სახე ჰქონდა, საწყალი.

დათოს მიუახლოვდა გაუბედავად.

- მე მინდა ვნახო... ძალიან საჭიროა, _ უთხრა შეხვეწნით.

- ადვილი საქმეა, ამხანაგო. _ უპასუხა დათომ.

- დადიშიანის ძიძისშვილია-თქვა, სოფლიდან ჩამოსული სანახავად-თქვა, კარგი პასპორტიც აქვს, უთუოდ ანახვებენ, _ ჩაერია ნიკო. _ «დიდ ვასოსაც» ასე უთხარი. მე კი არ მახსენო ამასთან ერთად, იცოდე.

...

ნიკოს მალე პარტიული ამხანაგი ესტუმრა დათოს ოთახში.

სანამ მათ შორის საუბარი გაიბმებოდა, დათომ დასტოვა ისინი და ანდროს თანხლებით ვასოსთან წავიდა.

წამოსვლის წინ ანდრომ თავისი რევოლვერი ნიკოს ჩააბარა და, ცოტა არ იყოს, მასთან პირველი დაშორებით შემკრთალი, დათოს გაჰყვა.

ვასოსთან ოთახში არ შესულან. შესავალ კართან ამდგარ ამხანაგს დათომ გადასცა ანდროს თხოვნა და მისი ახალი ვინაობა, ნიკომ რომ წამოსვლის წინ გამოუგონა.

- სანდრო გერგაძეა, _ გააცნო პასპორტის მიხედვით.

ვასომ უბის წიგნაკში ჩაიწერა ეს სახელი და გვარი.

- არჩილის ნახვის მსურველი დღეს ძალიან ბევრია. ამას რომლიმე სხვა პატიმარი ამხანაგის ნახვის ნებართვას ვუშოვნით... ციხეში რომ შევა, მერე არჩილსაც ნახავს. სრულ პირველ საათზე ციხის კარებთან მომიცადოს. ქაღალდს მე თვითონ გადავცემ: იქ

ვიქნები იმ დროს, _ უპასუხა ვასომ მოსულებს და ანდრო კარგა დაკვირვებით შეათვალიერა, რომ მისი სახე დამახსოვრებოდა.

ანდრომაც მისთვის ჩვეულებრივი, ფარული, უცები, მაგრამ მკვეთრი შეხედვით აღბეჭდა თავის მეხსიერებაში ვასოს სახე და მოძრავი ფიგურა.

როგორც კი გაათავა თავისი სიტყვა ვასომ, დათო მიუახლოვდა და საიდუმლოდ ყურთან ჰკითხა:

- მიხელა-იმერელი ხომ არ ჩამოუყვანიათ ციხეში? არაფერი გაგიგია?

ვასომ მაქოსავით გამოასრიალა მისკენ თვალები და მხოლოდ სულ ერთი წამით შეაჩერა ისინი ამხანაგის სახეზე. მერე შორს სადღაც სივრცეში გაიხედა, დიდმნიშვნელოვნად შეკრა სახე და სამი მოკლე სიტყვა მოწყალებასავით ესროლა:

- აქ არის, ციხეში.

%%

ვასოს დანიშნულ საათისათვის დათომ ანდრო ციხის კართან მიიყვანა.

ნაშუადღევს წვიმას გადაეღო. პატიმრების სანახავად მოსულებს ციხესთან ბლომად მოეყარათ თავი. ესენი იყვნენ: _ დედები, დები, მამები, ძმები და სხვ.

უმრავლესობა ჩამოსული გლეხობა იყო. ამათში კიდევ დედაკაცები სჭარბობდნენ.

ბჭისა და კედლის გასწვრივ ჩარიგებულიყვნენ ჯგუფ-ჯგუფად.

დაბალი, დუდუნისებური ხმაურობა იდგა, ჯგუფებს შორის კილოებად დანაწილებული.

მეტწილად გურული კილო ისმოდა, სხარტი და გამყინავი. საერთო ხმაურობას მეგრელების გაუბედავი ქართულიც შეჰპაროდა.

ციხის კარისა და კედლის შეღრმავებულ კუთხეში ორი უცხო ქალი მოთავსებულიყო _ ერთი, ხანდაზმული, კუთხეში მიდგმული ზანდუკისებურ მოდიდო კალათაზე ჩამომჯდარიყო, შალმოხვეული. ქანდაკებასავით უძრავი და წმინდა სანთელივით ჩამოქნილი სახე მოუთმენლად მოფუსფუსე ხალხისაგან გაერიდებინა.

მეორე, დაბალი, სოფლურად ჩაცმული, მის გვერდით იდგა, ამას მარჯვენა ხელში გაუშლელი ქოლგა ეჭირა, მარცხენაში _ ხელსახოცგადაფარებული ხელის მოზრდილი კალათა. პირი შეღრეჯით დაეღო და სახესა და თვალებში შიში და დიდი გაოცება

ჩასდგომოდა. ორთავენი სდუმდნენ.

დათო ანდრო ციხის პირდაპირ, ქუჩის გადაღმა ჩაყოლებული ქვაფენილით მოვიდნენ. იქ ინტელიგენტების ჯგუფი მიმოსეირნობდა, ნახვის დაწყების მოლოდინში, ისინი ციხის ზედასართულის დარკინულ ფანჯრებზე მომდგარ პატიმრებს საიდუმლო ნიშანს აძლევდნენ ხელით თუ თავის ქნევით.

დათომ ამ ადგილიდან ანდრო ციხის შესავალთან შეჯგუფულ ხალხისაკენ გამოისტუმრა.

- ხომ იცნობ იმ პატარა კაცს, ამ დილას რომ აქ მოსვლას დაგვპირდა. ის იქ მოვა. უთვალთვალე. არ გამოგეპაროს. მე კი აქ ვიქნები, _ უთხრა და თვითონ ქვაფენილზე მოსეირნეთ შეუერთდა.

ანდრო სულ ძირს იმზირებოდა. ხანდახან თუ აწევდა თავს და მიმოიხედავდა გარშემო.

შექუჩებულ ხალხისაგან, რამდენადაც შეიძლებოდა, თავი შორს დაიჭირა, ქუჩის პირად მდგარ ფარნის სვეტს მიეყრდნო და გახევდა.

ეჭვმიუტანებელი ამბავი იყო, რომ ანდრო ქარივაძე ქუთაისის ციხის შესავალთან იდგა.

ანდროს გულიც სწორედ ამ გარემოს აეფორიაქებინა.

«ქუთაისის ციხის შესავალთან!»

იმ ციხის, რომლის უფროსად ანდროს მელიტონ აბლანდია ეგულებოდა და რომლის შორი-ახლოს თუ არა, ამ დიდ გალავანს შიგნით, ვარდოს სამყოფელიც უნდა ყოფილიყო.

სად მოიყვანა ბედმა ანდრო?

მას ხომ ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ოდესმე ამ ციხეს ეწვეოდა!

ვითომ ასეა: მართლაც არ უფიქრნია?

თუ სოფლიდან წამოსვლის წამიდან, გულში სულ იმას ნატრობდა იდუმალ, რომ ვარდოს ახალი ბინისათვის მიეგნო და ერთხელ მაინც, თუნდაც შორიდან, დაენახა მისი სახე, მაგრამ თავის ამ საიდუმლოებას როგორც სხვას, ისე თავის თავსაც უმალავდა?

შესაძლებელია, ასეც იყოს.

მაგრამ ვინ მიხვდება. საიდუმლოებაზე შეყვარებული ბიჭის ნიღაბს ქვეშ რა

აზრები და გრძნობები იმალება?

ის ჯალათი აბლანდია ახლა, ალბათ, ციხის იმ რკინის პირს იქით იმყოფება, აქეთ კი _ ანდრო ქარივაძე. იქნება, სულ ოციოდე ნაბიჯი ჰყოფს მათ... სულ მხოლოდ ოციოდე ნაბიჯი!

აუტანელია ეს ანდროსთვის.

მარჯვენა მკლავის კუნთები დაეჭიმა, ხელის თითებიც ისე აუმოძრავდნენ მალულად, თითქოს რევოლვერის ტარი მოიმარჯვეს და ჩახმახი დასაცემად შეაყენესო.

ამ დროს ანაზდეულად ანდრო ციხის კარისა და კედლის კუთხეში კალათზე ჩამომჯდარმა შალმოხვეულმა ქალმა შენიშნა და უძრავი სახე უცბად შეუკრთა. უაღრესი გაოცებით დააკვირდა. მერე მის გვერდით მდგომ ქალს ასე მიმართა:

- მაიკო, მოდი აქეთ. ხომ არ მეჩვენება: ის ბიჭი, ფარანთან რომ დგას, ჩვენი ანდრო ხომ არ არის, ქარივაძე? შეხედე კარგად.

მაიკომ ნაჩვენებ ადგილისაკენ გაიხედა. დაბნეული თვალები აქეთ-იქით გაშტერებით მიმოავლო, მაგრამ ვერავინ ვერ იცნო.

- საით იმზირები, გოგო? ფარანთან-მეთქი.

ახლა კი დაინახა მაიკომ ანდრო.

- დედაია! _ წამოიკივლა. მარჯვენა ხელიდან ქოლგა გააგდო და ზედიზედ სამჯერ პირჯვარი დაიწერა.

- ჯვარი აქაურობას!... ანდროა, ქალბატონო. რა უნდოდა აქ შეჩვენებულს? ღმერთო, შეგვიწყალე!

- მიდი, აბა, ერთი და ჩემი აქ ყოფნა უთხარი.

მაიკო კალათიანად მიიჭრა ანდროსთან.

- ანდრო, შენ ხარ, შე წყეულო? სიზმარში ხომ არ ვარ. მოიხედე აქეთ!

ანდრო გველნაკბენივით შეკრთა ნაცნობი ხმის გაგონებაზე. მოტრიალდა. შეხედა. შიშისაგან სახე მოექცა.

- ვერ მიცანი? მაიკო ვარ, ბიჭო!

- შენ? მაიკო? საიდან, ქალო?

მიუახლოვდა ანდრო, ხელი მკლავზე მოჰკიდა, გასინჯა, შეამოწმა.

- ქალბატონს ჩამოვყევი. გეცოდინება, არჩილი რომ დაიჭირეს.

- ქალბატონს? მერე სად არის ქალბატონი?

- აი, აგერ ზის, _ და მაიკომ თავის ქალბტონისაკენ მიიხედა, _ დილიდან აქა ვართ. იცი, არჩილის ნახვის ნება არ მოგვცეს.

როგორც კი შეხედა ანდრომ არჩილის დედას, მყისვე მისკენ გაემართა.

- მართლა შენ ყოფილხარ. აქ რა გინდა, შვილო ანდრო? _ ჰკითხა სალომემ სახეალეწილ ანდროს მიახლოვებისთანავე და ხელი ჩამოსართმევად გაუწოდა.

- არჩილის სანახავად მოვედი, ქალბატონო.

- არჩილს რომ არავის ვანახვებთო. ხომ ხედავ: დავიღუპე, ანდრო... ჩემი არჩილი დაიჭირეს, _ დანჯღრეული ხმით განაგრძო სალომემ. _ ამ სიშორიდან ჩამოვედი დედა შვილის სანახავად... და აქ მითხრეს, ნახვის უფლება არა გაქვსო. გუშინდელს აქეთ მისი საქმე განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელს გადაეცა და სანამ გამოძიება იწარმოებს, არავის ანახვებენო. ახლა რა ვქნა, არ ვიცი... ვის მივმართო... ნეტავი, რა დააშავა ჩემმა შვილმა იმისთანა, სხვას რომ არ დაუშავებია.

გაუკვირდა ანდროს ეს ცნობა. აკი მას ამ დილას უთხრეს ამხანაგებმა, რომ არჩილის ნახვის ნება არისო.

- უარი ვინ გითხრა, ქალბატონო, ნახვა არ შეიძლებაო?

- ჟანდარმების სამმართველოში მითხრეს: შეიძლებოდაო, მაგრამ ახლა არაო... გარეომება გამოიცვალაო, ამ დილას მითხრეს, ბევრი ვემუდარე, ვეხვეწე, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა. მითხარი, ანდრო, შენ გეცოდინება, რა ამბავია ჩემი შვილის თავს? სანახავად მოვედიო, რომ მითხარი, ნებართვა საიდან გაქვს;

- მე მიხერხებენ ისე... ამხანაგები.

- მერე, უთხარი მეც მომიხერხონ. ისე როგორ დავბრუნდე, არჩილი ვერ ვნახო.

- კი... ამას ახლავე გაგიგებ! მოხერხდება უთუოდ... ნუ იჯავრებ. _ უპასუხა ანდრომ და ქუჩის იმ მხარეს გაიხედა, სადაც დათო ეგულებოდა. როცა დაინახა, წასვლა დააპირა.

- მოიცა, ანდრო, ასე უთხარი: დედა არის-თქვა, გუშინ ჩამოვიდა-თქვა... გესმის... შვილის ნახვა უნდა-თქვა. _ ხელი წაავლო ანდროს სალომემ, შეაჩერა და დარიგება მისცა.

- ამას თუ რამე შეუძლია, რომ არ გააკეთოს, არ მოვკლავ უბედურს? ამას გარედ რა

უნდა, შეჩვენებულს, როცა არჩილი ციხეშია? _ ჩაერია თამამად მაიკო.

- შენ გაჩუმდი, მაი. _ შეაჩერა იგი სალომემ და ისევ ანდროს მიუბრუნდა. _ მერე კიდევ, აი, რა გითხრა: ვარაძის ქალი, ვარდო, ამ ციხის უფროსზე არის გათხოვებული. იქნება, ისიც დაგვეხმაროს და ნახვაც მოხერხდეს.

ანდროს ამის გაგონებაზე სახე მოეღუშა.

- გამიშვი, ქალბატონო. გაგიგებ ახლავე, აქვე.

უთხრა ანდრომ და ქვაფენილზე მოსეირნე ამხანაგ დათოსკენ გაიქცა.

- იქნება, მართლა გამომადგეს ეს ბიჭი. _ სთქვა სალომემ. მერე ნაღვლიანად ჩაილაპარაკა: _ ვაი, ამ დროს! ღმერთო, რას შევესწარი.

...

ანდრომ დათოს გადასცა სალომეს გასაჭირი და გამომძიებელზე არჩილის გადარიცხვის ამბავი, არჩილის დედას რომ გაეგო ჟანდარმთა სამმართველოში.

დათომ ამ უკანასკნელ ცნობაში ეჭვი შეიტანა.

საათი ამოიღო და დახედა. პირველი სრულდებოდა.

- აი, ამხანაგი ვასოც გამოჩნდება, საცა არის: მართალ ამბავს ის მოგვიტანს, _ უთხრა მან ანდროს. _ დადიშიანის დედა აქ არისო სთქვი? _ ჰკითხა მერე.

- აქ არის. _ მიუგო ანდრომ. _ ციხის კართან ზის. _ და ხელით ანიშნა.

დათოც ნელი ნაბიჯით გაემართა სალომესკენ. ანდროც გაჰყვა.

სანამ ქუჩას გადაჭრიდნენ, წინ ეტლმა ჩაუარათ, რომელიც ციხის კარებთან დადგა. ეტლიდან ცაცა და შალვა რამაძეები ჩამოხტნენ. ცაცას მოდიდო ქაღალდის შეკვრა მოჰქონდა ფრთხილად.

დათო შესდგა და მათ სალამი მისცა.

შალვამ ჯერ შეათვალიერა იქაურობა. მერე ცაცასთან ერთად დათოსკენ წამოვიდა.

- უკაცრავად... ამხანაგი ვასო აქ ხომ არ არის? _ ჰკითხა მან დათოს და ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად.

- ჯერ არ მოსულა. _ უპასუხა დათომ, _ ჩვენ მას ველოდებით. _ შემდეგ ცაცასთან მივიდა, ჰკითხა, _ ახალი ხომ არაფერი გაგიგიათ, გაიხმო და საიდუმლოდ ლაპარაკი დაუწყო.

ცაცა და ანდრო პირისპირ შერჩნენ ერთმანეთს.

- ცაცას არ მოეწონა, რომ ანდრო თვალმოუცილებლივ უცქეროდა მას. ჰკითხა:

- თქვენ ვისთან ხართ?

- არჩილთან, _ მოკლედ მოუჭრა ანდრომ.

- არჩილთან? _ გაიკვირვა ცაცამ. _ რა ხართ მისი?..

- ძიძისშვილი, _ დაუყოვნებლივ მიუგო ანდრომ.

- სოფლიდან ჩამოდით?

- დიაღ...

მაგრამ ანდროს უცბად სახე გამოეცვალა. რაღაც გაუკვირდა მოულოდნელად და ისე გაუღიმა ცაცას, თითქოს მისი კარგი ნაცნობი ყოფილიყო.

ცაცამ კი მისგან პირი მიიბრუნა.

«ნამდვლად ის არის!» _ გაუელვა აზრმა ანდროს.

მოაგონდა: როცა ცხრაასხუთის აჯანყებას მოყოლილმა რეაქციამ სურამის ქედი გადმოლახა და ადგილობრივად მომუშავე რევოლუციონერები გაერიდნენ მის ცეცხლსა და მახვილს, ანდრო არჩილის დედას იმის გადამალვაში ეხმარებოდა, რაც არჩილს სახლში პროკლამაცია და აკრძალული წიგნები ჰქონდა. ქაღალდებისა და წერილების გადარჩევის დროს სალომე უცხო ფოტოგრაფიულ სურათს წააწყდა, მაგიდის ყუთის უკან კუთხეში მიჩქმალულს.

- ვინ არის, ბიჭო, ეს ელამი გოგო? იქნება, შენ იცნობ? _ ჰკითხა მაშინ სალომემ ანდროს და სურათი აჩვენა.

ანდრო დააკვირდა... დააკვირდა...

და, აი, მხოლოდ ამ წამში მიხვდა, თუ ვინ იყო იმ სურათზე დახატული.

«ის არის», დაიდასტურა მეორედ მიხვედრა.

კიდევ უნდოდა დაკვირვებოდა ცაცას და გულში მაინც მალულად თაყვანი ეცა საყვარელი არჩილის სატრფოსთვის, მაგრამ ამასობაში შალვამ და დათომ მოათავეს სიდუმლო თათბირი და უკან დაბრუნდნენ.

ამათ ახლა ძალზე შეფიქრიანებული სახე ჰქონდათ.

ცაცამ ერთი თვალით გადახედა დათოს და რაღაც განსაკუთრებული მწუხარებით ჰკითხა შალვას:

- შალვა, მართალი ყოფილა?

მაგრამ ამ დროს ვასოც გამოჩნდა ათოხარიკებით მომავალი და ყველანი მისკენ გაემართნენ.

ცხვირზე ოფლი უკამკამებდა ვასოს და შეკავებული ქლოშინით სუნთქავდა.

- ხომ არ დამგვიანებია? _ იკითხა მან პირველადვე და თვალების ჩქარი შევლებით ციხის კარზე მიზღვავებული ხალხი შეათვალიერა. მერე სათითაოდ ხელი ჩამოართვა მასთან მისულ ამხანაგებს, ცაცადან დაწყებული. ანდროს ჰკითხა:

- თქვენ ხართ არჩილის ძიძისშვილი, ამ დილით ჩემთან რომ იყავით? გერგაძე... სანდრო!

- დიაღ.

ცაცა ახლა ერთხელ კიდევ დააკვირდა ანდროს!

«გერგაძე? პირველად ესმის ცაცას ეს გვარი. თუ ასეთი ძიძისშვილი ჰყავდა არჩილს, რატომ ერთხელაც არ უთხრა ეს მას?» _ გაიფიქრა ცაცამ.

- საქმე ახლა ასეა, ამხანაგებო. _ დაიწყო დაბალი ხმით ვასომ. _ ამხანაგი არჩილი საგანგებო საქმეთა გამომძიებელზე გადაურიცხავთ. მისი ნახვა აკრძალულია. ცალკე «სეკრეტში» მოუთავსებიათ. როგორც გავიგე, ფოთთან მომხდარ ამბავს უნდათ დაუკავშირონ. მაგრამ, შეიძლება ეს ნამდვილი არ გამოდგეს.

ყურები სცქვიტა ამის გაგონებაზე ანდრომ. უცნაურად წაილესა სახე და კისერი წაიგრძელა, სმენად გადაიქცა.

- ეს ხომ საძაგლობაა! _ ვერ მოითმინა ცაცამ და სახეზე სისხლავარდნილმა გააწყვეტინა სიტყვა ვასოს.

შალვამ კი პენსნე ცხვირზე შეისწორა და განზე მიიხედა დანაღვლიანებულმა.

- ჯერ კიდევ დანამდვილებით არაფერი ვიცი. _ განაგრძო ვასომ, _ ყოველ შემთხვევაში, საქმე გართულებულია. მაგრამ ჩვენ მაინც დღეს ვნახავთ არჩილს, ნებართვის ქაღალდები მოვიმარაგე... აი, გადმოგცემთ. _ დასთვალა და ისე ჩამოარიგა. _ არჩილის მნახველთ მეტი აღარ ერგოთ. მაშ ასე: პირველ რიგში თქვენ შედით... მეორეში _ მე. ნებართვაში აღნიშნული გვარები დაიმახსოვრეთ ყოველ შემთხვევისათვის. არჩილი გაფრთხილებულია. ის იმათ შორის იქნება, ვისაც ნებართვა აქვს: შეგიძლიათ ნახოთ და ესაუბროთ.

- ეს ყველაფერი კარგი, ამხანაგო ვასო. მაგრამ აქ სხვა საქმეც სჭირს... დადიშიანის

დედაა ჩამოსული. და ნახვის ნება მისთვისაც არ მიუციათ. _ განაცხადა დათომ.

- დედა? სად არის? _ იკითხა გაკვირვებულმა ცაცამ.

- აქ არის, ბატონო. _ ჩაერია ანდრო და ამხანაგებს იქითკენ მიახედა, სადაც სალომე იმყოფებოდა.

ყველამ ერთდროულად შეხედა არჩილის დედას.

სალომე თავიდანვე ადევნებდა თვალს ანდროს. ახლა, როცა დაინახა, რომ სამმა უცნობმა ახალგაზრდამ მისკენ ერთდროულად მოატრიალეს თავი და დიდი ყურადღებით ცქერა დაუწყეს, წამოდგა თავის ადგილიდან და მათკენ გადმოდგა ნაბიჯი.

პირველი ვასო მივიდა მასთან.

- არჩილ დადიშიანის დედა ბრძანდებით? სასიამოვნოა. რა თქმა უნდა, თქვენ შვილის სანახავად ჩამობრძანდებოდით, _ დაიწყო ვასომ სალმის მიცემისთანავე.

ცაცა, შალვა და დათოც მიუახლოვდნენ სალომეს და თავი დაუკრეს... ანდრო კი შორიახლო დადგა.

- არჩილის მეგობრები ვართ. ჩვენც მის სანახავად მოვედით, _ დაასრულა ვასომ და მოახლოვებულ ამხანაგებს განზე გადგომით ადგილი დაუთმო, თითქოს გააცნო ისინი სალომეს.

- მე ბედნიერი ვარ, რომ ჩემი არჩილის მეგობრებს ვხედავ, რომლებიც მას უყურადღებოდ არ სტოვებენ და მისთვის სწუხან... _ თავის დაკვრით მიმართა ყველას ერთად სალომემ. მერე ვასოს მიუბრუნდა _ დიაღ, შვილო, არჩილის დედა გახლავარ... ჩემი უბედურება ის არის, რომ შორიდან ჩამოვედი და დედისერთა შვილის ნახვის საშუალება კი არა მაქვს. ალბათ, დიდ დამნაშავედ სთვლიან ჩემს შვილს, რომ დედას ნახვა ამიკრძალეს. მე მაინც დახმარების აღმოჩენა შემიძლია. მაგრამ ღმერთს არ გაუწირავს არჩილი, რომ თქვენისთანა ამხანაგები და მეგობრები ჭირისუფლად მოუცია მისთვის. _ სთქვა და აცრემლებული თვალები ძირს დაჰხარა. მერე ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ცრემლი მოიწმინდა. _ ღმერთმა თქვენც არ მოგაკლოსთ, შვილო, თავისი ამაგი და მზრუნველობა.

დიდი შთაბეჭდილება დასტოვა არჩილის მეგობრებზე სალომემ.

ცაცას ცრემლმა დაუნამა თვალები.

- ვინ დაუთმობს ნებართვას? _ მცირე დუმილის შემდეგ მიმართა ამხანაგებს რუსულად ვასომ. _ მე სიამოვნებით, მაგრამ საქმე ისე მოითხოვს, რომ უთუოდ უნდა ვნახო არჩილი...

წინ წამოდგა ცაცა, ნებართვის ქაღალდი გაუწოდა სალომეს და უთხრა:

- ქალბატონო, ამ ქაღალდით თქვენ შეგიძლიათ დღეს ნახოთ არჩილი. სალომემ დაკვირვებით შეხედა ახლა ცაცას, უფრო სახე ეოცა მისი, ვიდრე თავაზიანი წინადადება.

- დიდი მადლობელი ვარ... შვილო, თქვენი... _ მიუგო მან, მაგრამ მისდაუნებურად რაღაც გრძლად ნათქვამი გამოუვიდა, თითქოს იმისთვის, რომ ცაცასთვის უფრო მეტ ხანს ეცქირნა. _ მადლობელი ვარ... _ გაიმეორა და ქაღალდი მეტისმეტად ფრთხილად და გაუბედავად ჩამოართვა. მერე მალულად აქეთ-იქით გაიხედა და ანდროს რომ თვალი მოჰკრა. საიდუმლო კითხვის გამოხატვით დააცქერდა, თითქოს ეკითხებოდა:

«არ გახსოვს, ანდრო, ამ ქალის სახე?»

- ამ ქაღალდზე, ქალბატონო, სხვისი სახელი და გვარი სწერია. ვითომ თქვენ მის სანახავად შედიხართ ციხეში... _ გააწყვეტინა სალომეს ფიქრები ვასომ. _ მაგრამ იქ კი არჩილიც იქნება, და შეგიძლიათ გამოელაპარაკოთ.

- მეც ამათთან ვიქნები. ერთად ვნახავთ არჩილს, _ განაცხადა შალვამ. _ ქდბატონო, მე მიბოძეთ თქვენი ქაღალდი!

- კი, მაგრამ... _ ცაცასადმი მიმართვით დაიწყო სალომემ, _ ბოდიში უნდა მოვითხოვო, რომ ჩემი მიზეზით...

- რას ბრძანებთ? _ გააწყვეტინა ცაცამ არჩილის დედას. _ მე სხვა დროსაც შემიძლია მის ნახვა. ნუ შეწუხდებით.

- ჰო, დედა ვარ. _ ოდნავი გაღიმებით წარმოსთქვა სალომემ. _ დედას ეპატიება.

ამასობაში ნახვის დაწყების საათმაც დარეკა.

ყველანი ციხის კარებისკენ გაეშურნენ.

- მაიკო, ხომ ხედავ, მე ძლივს შევდივარ.. შენ აქ დაიცადე, _ უთხრა სალომემ თავის მოახლეს.

- ჩემი თავი მის სანაცვლოდ, ქალბატონო. შენ ნახე. ოღონდ ბარგს ვინ შეიტანს? ან ამ კალათს? უპასუხა მაიკომ და ვაჟებს გადახედა. _ ესენი არ გაირჯებიან? როგორ

ვკადრო... მაგრამ...

ანდრომ სალომეს დიდ კალათას წაატანა ხელი.

შალვა რამაძემ მაიკოს ხელის კალათა ჩამოართვა.

- ესეც გადაეცი არჩილს, _ უთხრა ცაცამ შალვას და თავისი შეკრული გადასცა.

- მაშ, ასე: პირველ რიგში დედა, ძიძისშვილი და შალვა... _ დაიჭირა თადარიგი ვასომ. _ დათო, შენ მოიცდი, თუ ახლა შეხვალ?

- ვასო, ხომ იცი, მე სხვებიც უნდა ვნახო.. მომელიან. საქმეა. სჯობია, ამ რიგში შევიდე, _ უპასუხა დათომ ჩუმად. _ თუ მოვახერხე, მეორეზედაც დავრჩები.

- კეთილი, _ უთხრა ვასომ და მერე ხმას დაუწია: _ ჰო, რა უნდა მეთქვა შენთვის, დათო. თუმცა ამხანაგ გოგიას უთუოდ ვნახავ და ის შესძლებს საქმის მოწესრიგებას, მაგრამ, იქნება, რა იცი, რა შემთხვევამ დამაბრკოლოს. შეეცადე: მიხელა-იმერელი შენც გააფრთხილებინე, რომ არჩილს არ იცნობს. პირისპირ რომ დაუყენონ, ვითომ პირველად ხედავდეს, თავი ისე უნდა დაიჭიროს, _ უჩურჩულა ვასომ დათოს და თვალებითაც მიახვედრა, თუ რა მიზნით ეუბნებოდა.

- მესმის.

- მეორე რიგში კი, _ განაგრძო ახლა ხმამაღლა ვასომ: _ მე და... _ მიმოიხედა, გვერდზე გამდგარი ცაცას ნაღვლიან სახეს მოჰკრა თვალი. თანაგრძნობით შეხედა და დაასრულა: _ რა გაეწყობა, მხოლოდ მე. ამხანაგო ცაცა, ჩემი შესვლა რომ აუცილებელი არ იყოს, უთუოდ დაგითმობდით, _ მაგრამ აქ ხალხის რევამ «დიდი ვასო» სადღაც ნაფოტივით მიჩქმალა.

- მე მომყევით, ქალბატონო, აქეთ, რიდი ნუ გქვთ! _ წაუძღვა წინ სალომეს შალვა რამაძე.

III

პირველ რიგში მოქცეული მნახველები მეკარემ სათითაოდ დასთვალა და ციხის ეზოში ასე გამოატარა.

აქ მათ ზედამხედველებმა ალყა შემოარტყეს და კარებს უკან, საყარაულოსთან, მოაქუჩეს.

გასინჯეს, გაჩხრიკეს.

მერე რიგრიგობით ციხის მთავარი შენობის შესავლისაკენ გაისტუმრეს.

არჩილ დადიშიანის დედა შალვას გვერდში ამოსდგომოდა. სახე შიშისა და პირველად განცდილი გრძნობისაგან შეფორიაქებოდა, მაგრამ გარეგნული წონასწორობა _ დარბაისლური თავდაჭერილობა მაინც შეინარჩუნებინა.

ამათ უკან დიდი კალათით ხელში ანდრო დამდგარიყო. დათოს კი ზედ შესავალთან, ყველაზე წინ დაეჭირა ადგილი.

ანდროს დიდად დაბნეული სახე ჰქონდა. თითქოს სადღაც სხვაგან იმყოფებაო, ისე ატრიალებდა ირგვლივ თვალებს.

ეტყობოდა, რაღაც მაწუხებელი აზრისათვის თავი ვერ გაერთმია.

თითქოს სრულიად უინტერესოდ, შემთხვევით შემოსული კაცივით ათვალიერებდა ციხის კედლებს, ეზოს და გალავანს.

მარცხნით, მთავარ კორპუსსა და გალავანს შუა, ეზოს სიღრმეში, დაბალი ფლიგელი იდგა, რკინის მოაჯირით განცალკევებული, რომელშიაც ციხის უფროსის სახაზინო ბინა იყო მოთავსებული.

როდესაც ანდრომ ამ ფლიგელს შეავლო თვალი, უცნაური რამ დაემართა: სახე მოულოდნელობისაგან მოექცა და მთელი ტანით ისე შებარბაცდა ადგილზე, თითქოს მის ფეხებქვეშ დედამიწა დაძრულიყოს.

ფლიგელის ერთ-ერთ ღია ფანჯარასთან ვარდო იდგა და ციხის ეზოში შემოსულებს დაკვირვებით ათვალიერებდა.

ანდრო ისე გაშტერებით მისჩერებოდა მას, ჩანდა, არ ჯეროდა, რომ მის პირდაპირ, დაბალი სახლის ფანჯარასთან, მისკენ მომზირალი ვარდო იდგა და არა ვინმე სხვა ქალი.

როცა შენიშნა, რომ ბოლოს ვარდომაც იცნო იგი და ნიშნად ამისა, დაფეთებული, ძალზე გაკვირვებული სახე ფანჯრიდან გარედ გამოიტანა, ვეღარ გაუძლო სანახაობას: სალომეს კალათი ძირს დადგა. დაიღუნა და შიგ უაზროდ ხელის ფათური დაიწყო. ვარდოს სახის მზერისთვის ვეღარ გაეძლო საბრალოს.

მას წინ მდგარნი სალომე და შალვა ამასობაში სხვებთან ერთად ციხის შესავლისაკენ გამართულიყვნენ.

მერე უკანა რიგში მდგარნიც დაწინაურდნენ და ანდროს გვერდი აუარეს.

სალომემ მხოლოდ მაშინ მოიხედა უკან, ანდროსკენ, როცა ციხის გარე კიბეზე ავიდა და შალვასთან ერთად კარებში ფეხი შესდგა.

- ანდრო სად არის? _ იკითხა შეშინებულმა, როცა ანდრო იქ ვერ დაინახა, სადაც უნდა ყოფილიყო.

პირველმა შალვამ შენიშნა კალათთან უცნაურად შებრკოლებული არჩილის «ძიძისშვილი».

«ალბათ, კალათი მძიმეა და ვერ ზიდა», _ გაიფიქრა, მაგრამ თვითონაც ვერ იყო მომარჯვებული: მაიკოს ხელის კალათა და ცაცას შეკვრა დიდი გაჭირვებით მიჰქონდა. პენსნეც არ უმაგრდებოდა ცხვირზე, ისე გაოფლიანდებოდა სახე გამოვლილ არევ-დარევაში.

სანამ ხელებს გაინთავისუფლებდა და ანდროსთან საშველად მიირბენდა, სალომემაც შეამჩნია ანდრო და ხმამაღლა დაუძახა.

- ანდრო, სად ხარ? ჩქარა წამოდი!

სალომეს ხმამ გონს მოიყვანა ანდრო. აიმართა წელში და ახალგამოღვიძებულივით მიმოიხედა.

მიხვდა, რაც მოუვიდა.

ახლა აღარ დაუყოვნებია: დასტაცა ხელი კალათს და სალომესა და შალვასკენ გამოიქცა, კიბე აირბინა.

მკვდრის ფერი გადაჰკრავდა, თითქოს არც კი სუნთქავსო.

- რა მოგივიდა, ანდრო? დასდგი ძირს კალათი! კაცის ფერი არ გადევს!.. ხომ არ შეშინდი, შვილო? _ მოეფერა სალომე. _ რატომ ჩამოგვრჩი? ავად ხომ არა ხარ?

- გადმომეცით მე თქვენი კალათი... ეს კი... თქვენ დაიჭირეთ, მსუბუქია, _ მიმართა ანდროს შალვამაც თანაგრძნობით, როცა მისი ფერმკრთალი სახე დაინახა.

- არა, არაფერია. _ გაუღიმა ორსავეს ანდრომ. _ არა მიშავს-რა... ცოტა შემაგვიანდა.

ძალა დაატნა თავს: გონს მოეგო, გული დაიმორჩილა. ისევ აიღო ხელში კალათი.

მეტი აღარ შეუგვიანებიათ. სამივე აჩქარებით დერეფნის მსგავს სანახავ ოთახში შევიდნენ.

ნახევრად ბნელ სანახავში ისეთი ღრიანცელი და აურზაური იდგა, რომ მისგან ყურთასმენა არ იყო.

ოთახს მთელ სიგრძეზე შუა ჰყოფდა საცრის მსგავსი რკინის დიდი ბადე. ბადის ერთი მხრით ტუსაღები იდგნენ, მეორე მხრით _ მნახველები.

«ნახვა» უკვე დაწყებულიყო.

ყველა ერთად ლაპარაკობდა და, რადგანაც ერთიმეორის გაგონება ჭირდა, თვითეული იმის ცდაში იყო, რომ სხვებზე უფრო მაღლა ეყვირა.

რკინის ბადეს ვიწრო სარკმელი ჰქონდა შუა უდგილას ჩატანებული. ამ სარკმლით გადაცემ-გადმოცემა ხდებოდა დარაჯების სასტიკ კონტროლის ქვეშ.

აქ ისეთი ჯიბრი გაემართათ მოსულებს, რომ ერთი მეორეს არაფრით არ ზოგავდა. იყო ჩხუბი და გინება. არ აცლიდნენ ერთმანეთს.

- ღმერთო, სადა ვარ? ნუთუ არჩილიც აქ არის? _ ჩაილაპარაკა გულდათუთქულმა სალომემ. მას მართლა მოეჩვენა, რომ საგიჟეთში მოხვდა.

შალვა კი წინ წამდგარიყო და ბადეზე მომდგარ ტუსაღებს შორის არჩილს ეძებდა თვალების ჭირვეული ცეცებით.

არჩილი და გოგია ამ დროს რკინის ბადისა და კედლის კუთხეში მალვით იკრუნჩხულიყვნენ, რომ ციხის ადმინისტრაციას თვალში არ სცემოდნენ. გარშემო ტუსაღები ეხვეოდნენ. მათ წინ კიდევ, ბადის გარეთ, მნახველები ყაყანით ირეოდნენ.

პირველმა გოგიამ დაინახა ჯერ დათო და მერე შალვა.

- არჩილ, რამაძე გეწვია... _ ჩასჩურჩულ გოგიამ არჩილს და შალვასკენ გაახედვინა. თვითონ კი დათოს დაუძახა, მასთან მისულიყო.

შალვასთან ერთად არჩილმა დედაც დაინახა. მერე _ ანდროც.

ამათ კი არ მოელოდა.

ანდროს დანახვამ ისე იმოქმედა მასზე, თითქოს სასწაული მომხდარიყოს.

ძალზე შემკრთალი და განაწამები სახე გაკვირვებისა და სიხარულისაგან აილეწა.

მაგრამ შალვას ჯერ კიდევ ვერ დაენახა, მეგობარი.

- შალვა! _ მოუთმენლად დაუყვირა ბოლოს არჩილმა.

როგორც კი შენიშნა იგი შალვამ, დატრიალდა, მოჰკიდა სალომეს ხელი და არჩილისკენ გზა გაუკაფა.

- დედაშენია, არჩილ, ხომ იცანი? _ დინჯად ჩაულაპარაკა გოგიამ არჩილს. მერე თავისთვის: _ ჩემთან კი არავინ ჩანს! ნუთუ ვასოც არ მოვა?

- ვხედავ... რამ ჩამოიყვანა? _ თითქოს იწყინა არჩილმა დედის მოულოდნელი სტუმრობა.

სანამ სალომე ბადეს მიუახლოვდებოდა, დედაშვილმა უკვე შორითვე შეავლეს ერთმანეთს თვალი, და იმ გზებითა და ბილიკებით, რომლებზედაც მხოლოდ დედაშვილურ გრძნობას შეუძლია ამ ქვეყანაზე გავლა, ერთი მეორის სულსა და გულში შეიჭვრიტეს.

- არჩილ... შვილო... შვილო! _ თვალების მოუცილებლად მიმართა არჩილს სალომემ, მაგრამ ვეღარ განაგრძო, ხმა ჩაუწყდა.

- რატომ ჩამოდი? რატომ შეწუხდი, დედავ? _ ასე მიესალმა არჩილი დედას და მყისვე თავი ძირს დაჰხარა. იგრძნო რომ მასაც ცრემლი ერეოდა და აჩვილებული გულის დაწყნარება უძნელდებოდა.

მიუახლოვდა დედა. ძალა დაატანა თავს: სახე და ხმა გამოიცვალა.

- არაფერია, შვილო, მხნედ იყავი. რა ვქნათ? გაურიდებელ ჭირსა და უბედურებას გაძლება უნდა. _ უთხრა გასამხნევებლად. _ ნუ შეშინდები...

მაგრამ არჩილმა არ გაათავებია დედას. უცებ მაღლა შეისროლა თავი და მოახლოვებულს ანდროს გიჟური მოუთმენლობით მიმართა:

- ანდრო, შენ აქ როგორ მოხვდი? მოდი აქეთ ჩქარა! მითხარი, რაც იცი!

მაგრამ ის, რაც ანდრომ იცოდა, გამოუთქმელი რამ იყო ამ პირობებში.

ანდროც გაუჩუმდა არჩილს, მუნჯურად შეხედა და ასე მიესალმა.

- სამსონა მოჰკლეს? _ იმავე ხმით ჰკითხა არჩილმა.

ახლაც ვერ დასძრა ენა ანდრომ. თავით კი ანიშნა, ისიც მალულად, კიო.

- ერასტო სად არის?

- ფოთში დავტოვე.

- კი, მაგრამ შენ როგორ ჩამოხვედი? ვის ჩამოყევი?

არ ეშვებოდა არჩილი, მიუხედავად ამისა, რომ ანდროს შელურჯებულ სახეზე იმდენი ვაება, შიში, უმწეობა და მოკრძალება გამოხატოდა, რომ ცხადი იყო, დალაგებული პასუხის გაცემა არ შეეძლო.

არჩილი კი ისე ჩასცქეროდა მას თვალებში, თითქოს მის გულის საჯაროდ გაჩხრეკას ლამობსო.

რა ეთქვა, ან როგორ ეთქვა ანდროს არჩილისათვის ის, რაც მას ახლა ასე ფიცხლად აინტრესებდა?

რაც არჩილის ფოთიდან წამოსვლის შემდეგ თავს დაატყდა ანდროს, ეს ხომ უბრალო ამბავი არ იყო?

ანდრო არ ფიქრობდა არჩილისათვის რაიმე დაემალა, მაგრამ როგორ გადაეცა ამდენ ხალხში, რაც სათქმელი ჰქონდა?

ესეც არ იყოს, მას შემდეგ, რაც ვასოსგან გაიგო ამ რამოდენიმე წუთის წინად, რომ არჩილს მატარებელზე თავდასხმის დაბრალებას უპირებდნენ, თითქოს ყოველნაირი მოსაზრების უნარი დაჰკარგა და ენა წაერთვა.

სულ იმაზე ფიქრობდა, რომ არჩილს დასჯიდნენ ნიკოს მიერ ჩადენილ საქმისათვის, რომლის მონაწილედ ახლა მას თავის თავიც მოჰქონდა.

თავში ის აზრი უტრიალებდა, თუ როგორ შეიძლება არჩილის დახსნა ამ სასჯელისაგან.

საკუთარი თავის გაწირვა არაფრად არ მიაჩნდა. ამაზე არც კი დაფიქრდებოდა. მაგრამ თუ არჩილის სიცოცხლე მისგან მოითხოვდა სიმართლის აღდგენას და იმათ განწირვას, რომელთაც ნამდვილად მოაწყვეს ის საშინელი საქმე, მაშინ?

ცეცხლივით შენთებოდა ტვინში ეს «მაშინ» და სხვა აზრი, ფიქრი, გრძნობა სრულიად ამოფხვროდა არსებიდან...

ამას კიდევ ვარდოს უნებლიე, მოულოდნელი დნახვა დაერთო, და... რკინა ხომ არ იყო?

აღარ ეყო ღონე.

ამ საშინელი დღეების განმავლობაში, ვიდრე ფოთიდან ამ მტარვალი ციხის «სანახავი» ოთახამდის მოაღწევდა, მოსვენება არ ჰქონებია. ერთიმეორეზე უსასტიკესი ქარიშხლის იერიშებზე უმძაფრესი შემთხვევები ისე გადაეტანა, რომ სიტყვაც არავისთან დაუძრავს, მეგობართან საუბარში გული ერთხელაც არ მოუოხებია.

რა უნდა ეთქვა აქ არჩილისათვის? რომელ სიტყვას უნდა გამოეხატა, რასაც გრძნობდა და რაც აწვალებდა?

თვალები გაუყარა თვალებში არჩილს. ისე შეხედა, თითქოს შებრალება და პატიება სთხოვაო და მერე ზედ ბადესთან სახის მიტანით უთხრა:

- არჩილ, ნუ მკითხავ...

და თავი ვეღა შეიკავა.

კისრის ძარღვები დაეჭიმა, ნერვიული კანკალი აუვარდა და თვალებიდან ცრემლი წასკდა.

...

ნახვის დრო თავდებოდა. პირველი გაფრთხილების ნიშნის ხმა გაისმა.

აურზაურმა იმატა.

სალომეს აღარ დააცალეს გული მოეჯერებინა აჩილთან გამოლაპარაკებით. ისიც კი ვერ აცნობა დედამ შვილს დალაგებით, თუ რა ჩამოუტანა და ვერ გამოჰკითხა, თუ კიდევ რა სჭიროდა.

ნახვის მიწურულში არჩილსა და გოგიასთან კიდევ დათოც გაჩნდა.

ამათ ახლა საქმეზე დაიწყეს ლაპარაკი.

არჩილმა უკვე იცოდა, მისი საქმე განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელს ჰქონდა გადაცემული.

საერთო კამერიდან ცალკე საკანში გადაყვანამ მიხელა-იმერელის ჩამოყვანის მეორე დღესვე, ჯერ არჩილს და მერე გოგიასაც ის ეჭვი დაუბადა, რომ შესაძლებელი იყო, საქმეს ძალიან სახიფათო მიმართულება მიეღო და არჩილი ნიკოს მიერ მოწყობილ თავდასხმაში გაერიათ.

მთავრობისათვის ადვილი საქმე იყო ასეთი «გარევისათვის» ფორმალური საფუძველის გამონახვა:

ცნობილი იყო, რომ არჩილი ფოთის არალეგალურ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა. ამ ორგანიზაციის ჩაურევლად კი, ფოთიდან სულ ახლოს საფოსტო და სამხედრო მატარებელზე თავდასხმის მოხდენას მთავრობა, რა თქმა უნდა, არ დაიჯრებდა და ვერც წარმოიდგენდა.

მიხელა-იმერელიც, ფოთის რევოლუციონერი, რომელიც დღეს მთავრობას ხელთ ჰყავდა, ამის ცოცხალ, ურყეველ საბუთს წარმოადგენდა.

ამ საშინელებას ნათლად გრძნობდა არჩილი.

მაგრამ რაღაც ფატალისტსავით ეჭირა თავი და საკუთარი ბედი თითქოს ძალიან ნაკლებად აინტერესებდა.

ამიტომ, როცა ჯერ შალვამ და მერე დათომაც დაარიგეს, როგორი ჩვენება უნდა მიეცა, თუ ფოთის საქმის შესახებ დაჰკითხავდნენ, თავი ისე დაიჭირა, როგორც ბედთან შერიგებულმა.

ბოლომდის მოუსმინა ამხანაგებს, მერე გაუცინა და უთხრა:

- ტყუილა კი არა ხარ იურისტი, შალვა, ფდშიშ-ს ძალა გწამს... ერთი რამ კი გავიწყდება: რუსეთში ვცხოვრობთ და რეაქცია მძვინვარებს. არ მოგვერიდებიან, «ალიბიანადაც» კარგად ჩამოგვახრჩობენ.

თითქოს იხუმრა, მაგრამ ეტყობოდა მაინც, რომ ამხანაგების მოტანლ ცნობას მის ნერვებზე ემოქმედნა.

- თქვენ თუ მართლა ჩვენი გადარჩენა გინდათ, _ ჩაერია ლაპარაკში გოგია, _ გაგვიყვანეთ აქედან... ეს უფრო ნამდვილი საშუალებაა. «ალიბი-მალიბი»-თ ჩვენც ნუ გვატყუილებთ და თავსაც ნუ იტყუილებთ!

- ეს ხომ უებარი რამ არის, გოგი... მაგრამ, მაგარი ის არის თუ «როგორ» და «რა გზით». ვფიქრობთ, მაგრამ ვერაფერი ვერ მოგვიფიქრებია, _ უპასუხა დათომ.

- რომ გითხრათ «როგორ» და «რა გზით», იზამთ, გააკეთებთ? _ შეტევით ჰკითხა გოგიამ, თითქოს უკვე მოფიქრებულიც ჰქონდა ეს «როგორ» და «რა გზით».

- მაშ! შენ ოღონდ გვითხარი! _ არ დაუთმო დათომ.

- მაშ, მიიღე განკარგულება: აი, აქ, ამ წერილში სწერია!

და გოგიამ ჩუმად ხელის გულში დამალული ქაღალდი უჩვენა, შემდეგ შეხედა და თვალითაც რაღაცა საიდუმლოდ ანიშნა.

არჩილს გაახსენდა: გოგია გაქცევის დიდ «გეგმაზე» ელაპარაკებოდა მას ორიოდე დღის წინად, მაგრამ არ ეგონა, თუ ამას იგი აქ გამოიტანდა.

- არც ისეა საქმე, თქვენ რომ წარმოგიდგენიათ, _ ისევ არჩილის საქმეს დაუბრუნდა ახლა შალვა. _ ასე ადვილი როდია ჩამოხრჩობა. ყოველ შემთხვევისათვის გითხარი, არჩილ. თუ დგკითხეს-მეთქი, მთელი ჩვენი ოჯახი დაიმოწმე, რომ ამა და ამ რიცხვიდან ჩვენსა იყავი. ამაზე ვასოც მოგელაპარაკება. მაგრამ დანამდვილებით არაფერი ვიცით. მაინც სჯობია, მზად იყო... იქნება, ნამდვილად საქმე სულ უბრალოა და ტყუილა ვწუხვართ!

სალომე ამ დროს ცოტა განზე იდგა. არჩილს შესცქეროდა შორიდან. თუმცა ყური კი

მოჰკრა ამხანაგების საუბარს, რომ არჩილის საქმეზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ შინაარსი ვერ გაეგო.

როცა არჩილის სახეზე ფარული შეკრთომა შეამჩნია, ისევ ბადეს მიუახლოვდა და სმენა გაამახვილა.

- ვნახოთ, ვნახოთ, _ გულგრილად უპასუხა არჩილმა შალვას. მერე, თითქოს უნებურად, დედას გადახედა. მისი მწუხარე სახე რომ ნახა, შეეცოდა.

- ამას კი ნუ გააგებინებთ ამ ამბავს, _ ცოდვაა, _ გადაისროლა ამხანაგებისაკენ რუსულად, და სალომეს მიმართა:

- შენ ნუღარ მოიცდი, დედა, ქუთაისში. ახლა ჩამოსვლაც მეტი იყო.. მე არა მიშავს რა... დღესვე დაბრუნდი და ჩემზე ნუ იჯავრებ...

- რა ვქნა, შვილო, გეცოდებოდე, შენს მეტი ვინ გამაჩნია ქვეყანაზე? ჰე... ჩვენი ბედი ასეთი არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ ასე ისურვე და.

- კარგი, დედა, გეყოფა ახლა. გარწმუნებ, თუ საჭირო იქნები, წერილს მოგწერ და დაგიბარებ.

მაგრამ აქ ზედამხედველებმა უკანასკნელად გააფრთხილეს მნახველები, რომ წასვლის დრო იყო.

ახლა უფრო აირია ხალხი. ყვირილს უმატეს.

- შვილო, ფული ჩამოგიტანე ცოტაოდენი... და როგორ გადმოგცე? აკრძალული ხომ არ არის, _ ჰკითხა საჩქაროდ სალომემ შვილს. _ ბარგიც ჩაიბარე... ანდრო გადმოგცემს... ე იმ სარკმელთან მოგელის.

ბადის შიგნით ტუსაღებიც არეულიყვნენ: გაყრა დაწყებულიყო. ემშვიდობებოდნენ, ეთხოვებოდნენ თავისიანებს, ქსელის გასწვრივ შეშლილებივით გარბოდნენ და გამორბოდნენ. ზოგი დაცარიელებულ კალათას უკან აბრუნებდა. ზოგი სავსეს იღებდა.

უსაშინლესი განგაში იყო ატეხილი.

ლაპარაკი უკვე აღარ შეიძლებოდა.

არჩილმა სალომეს ანიშნა, ფული შალვასათვის გადაეცა. მერე სარკმელთან მიირბინა.

აქ პირველ რიგში ანდრო დამდგარიყო კალათებიანად. მიუხედავად

დაუზოგველი იერიშებისა, რომლებიც მის წინააღმდეგ მოჰქონდათ ყოველ მხრიდან, იგი ადგილიდან ვერავის ვერ დაეძრა.

მის დანახვაზე არჩილი უცებ ისევ შალვასკენ მიტრიალდა. თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი მოაგონდაო.

ერთ პატიმარს დაუძახა. სთხოვა დახმარებოდა და ანდროსაგან ბარგი მის მაგიერ ჩაებარებნა.

თვითონ შალვასთან მიირბინა და ბადის იმ მხარეს გაიხმო, სადაც წერილების საიდულო გადასაცემი იყო რკინის ქსელს ქვეშ გამოჭრილი.

ამ ადგილას ერთმანეთის პირისპირ გოგია და დათო მიმდგარიყვნენ. გოგიას თავისი «განკარგულება» წერილთან ერთად უკვე გადაეცა დათოსთვის და ახლა თვალის უცნაური პაჭუნით მეგობარს რაღაცას ანიშნებდა. დათოს კი ტუჩებზე ეჭვის გამომხატველი ღიმილი დაფრენოდა და ისე უსმენდა აღელვებულ გოგიას.

შალვა მიხვდა, თუ რატომ გაიხმო აქეთკენ არჩილმა. მესამედ იყო მასთან და ტუსაღების წერილების ეს საიდუმლო გდასაცემი მისთვის ნაცნობი იყო.

წერილების გადაცემ-გადმოცემის ხერხიც შეეთვისებინა.

როცა დათო და გოგია ერთმანეთს დაშორდნენ, არჩილი მიიჭრა ბადესთან, ცალი ყურით მიეკრა. ცალი ხელი კი ისე დაიკიდა, რომ თითები ბადის ქვემოთ ფიცარში ამოჭრილ ჭუჭრუტანას მიწვდენოდა.

- ერთი რამ უნდა მეთქვა, შალვა, და გადამავიწყდა... რომც ძალიან შეგაწუხოს, მაინც ამისრულე სათხოვარი!

და არჩილმა ანდროს თავი ჩააბარა მეგობარს. მოკლედ აუხსნა, თუ რა იყო მისი, რა გასაჭირი ჰქონდა ამ ჟამად ანდროს. დაბინავება სთხოვა მისი საიმედოდ და ყოველნაირი დახმარების გაწევა.

ბოლოს უთხრა:

- ახლა ცაცასთან წერილს გადმოგცემ... დღესვე მიეცი. შენც ურჩიე, თუ ძმა ხარ, წავიდეს, სადაც მიდის. ჩემი ამბავი კი სიზმარივით დაივიწყოს! გესმის: სიზმარივით... ძალიან გთხოვ, შალვა, დააჯერო... _ ხმის უცნაური აკანკალებით დაასრულა არჩილმა და საიდუმლო ჭუჭრუტანიდან ცაცასადმი მიწერილი ბარათი მარჯვედ გადასცა.

- მესმის ყველაფერი... _ უპასუხა შალვამ და საკვირველი, ოსტატური მოხერხებით

გამოართვა წერილი. ჩაიგდო თუ არა ხელში, უმალვე შეჭმუჭნა და დამალა.

ამ დროს სალომე ერთხელ კიდევ მიუახლოვდა არჩილს დიდი გაჭირვებით.

- შვილო, არჩილ, დამავიწყდა მაიკოს მოკითხვა გადმომეცა შენთვის. აქ არის კარებთან და დამაბარა. არ შემოუშვეს საცოდავი... ხაჭაპური გამოგიცხო საგანგებოდ. კალათშია... _ ძლივს გააგონა შვილს.

- ჩვენი მაიკო! _ უდიდესად გაიკვირვა არჩილმა და სახეზე რაღაც უსათუთესმა გრძნობამ გადაურბინა.

მაგრამ დედა და შვილი მეტი აღარ დაალაპარაკეს.

ბადის წინ ზედამხედველები ჩამოდგნენ ჯარისკაცებითურთ და გაშლილი ხელების მოსმით ხალხი გარეთ გარეკეს.

IV

როდესაც არჩილის მახლობლები ციხიდან ქუჩაში გამოვიდნენ, სალომემ დიდი მადლობა გადაუხადა შალვას და დათოს. სთხოვა კვლავადაც უყურადღებოდ არ დაეტოვებინათ მისი შვილი. შალვას, არჩილის ნიშნებისამებრ, ჩამოტანილი ფული გადასცა და დაემშვიდობა.

გამომშვიდობების დროს სალომეს ცაცა და ვასო თვალში დააკლდნენ. განსაკუთრებით ის «ელამი გოგო» რომელმაც ციხეში შესასვლელი ნებართვა დაუთმო და ამით გააკვირვა, რომ ეცნაურა.

მაგრამ ცაცა არსად ჩანდა. აღარ დაეცადა მათთვის.

პტარა კაცი კი _ ვასო _ მნახველთა შორის ახალ რიგში ჩამდგარიყო აუარება ხალხში და მასთან ახლოს არ მიისვლებოდა.

სალომემ მათთვის მადლობა და გამოსათხოვარი სალამი შალვას დაუბარა.

ანდრომ სალომეს გაცილება მოინდომა.

- თქვენს შესახებ მე არჩილი მელაპარაკა, ამხანაგო, _ შეაჩერა ანდრო შალვამ, _ რამდენადაც გავიგე, თქვენ ქუთაისში რჩებით. გთხოვთ ბინა ჩემთან იგულვოთ.

გაწითლდა ანდრო. ვერ მიუხვდა შალვას. დათოს გადახედა.

- ამას, შალვა, ჩემთან აქვს ბინა, _ მიუგო ანდროს მაგიერ დათომ.

- კი ბატონო, თქვენ აღარ შეგაწუხებთ, _ უთხრა ანდრომაც.

შალვამ მაინც საჭიროდ დაინახა წინადადება მიეცა ანდროსთვის, რომ იგი არ მორიდებოდა მას და თუ რამე დასჭირდებოდა, დაუყოვნებლივ ეცნობებინა.

ამის შემდეგ სალომე ანდროსა და მაიკოს თანხლებით თავის გზას გაუდგა.

ცოტა რომ გაიარეს, არჩილის დედამ ანდრო ახლოს მოიხმო და საიდუმლოდ ჰკითხა:

- ანდრო... მითხარი, არ დამიმალო: მე რომ ყმაწვილმა ქალმა შესასვლელი ქაღალდი დამითმო, ვინ არის? შენ გეცოდინება... არ იცნობ?

- არ ვიცნობ, _ უპასუხა ანდრომ, მაგრამ ისე შეხედა კი, რომ ეჭვი აღუძრა.

მოჰკრა თუ არა ყური სალომეს სიტყვებს, მაიკომ ერთი მოკლედ შეჰკივლა და თავის ქალბატონთან მოურდებლად მიიჭრა:

- მათქმევინე, ქადბტონო... თვალები რატომ რ დამევსება... ის არის... ის... _ საიდუმლოების გამომჟღავნების ჟინით ატანილივით მიმართა მან სალომეს. _ ის... არჩილს რომ სურათი ჰქონდა... დედაია, დედაია! _ და ჯერ ბარძაყზე დაიკრა ხელი, მერე კიდევ ლოყაზე გაიტკაცნა.

- ღმერთო ჩემო! სწორეა! ნამდვილად ის არის. _ მოაგონდა ახლა სალომესაც. მაგრამ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების სიამე სახეზე დიდხანს არ შერჩენია. მოულოდნელად დანაღვლიანდა, _ კი მაგრამ, რომ... არ ვარგა! რომ არ არის არჩილის შესაფერი.

- შავია. ელამიც. ტანით პატარა... _ განაგრძო წუნისდება სალომემ. _ არ მომწონს.

- ეშხიანი კი არის, ქალბატონო. მაგრამ ანგელოზს რომ არ ჰგავს, არც მე მომწონს, როგორ ვსთქვა, თუ არა... _ გულდაწყვეტილად ჩაილაპარაკა მაიკომ.

ქალებს მხოლოდ ანდრო არ ეთანხმებოდა. მაგრამ უადგილოდ სცნო მათ შეცილებოდა და დადუმდა.

...

ასე გაიარეს ქუჩის პირველ კუთხემდის.

აქ შესდგა სალომე და გულჩათხრობილად მიმოიხედა გარშემო.

ეტყობოდა, რომ ახლა კიდევ სხვა საგონებელი გაჩენოდა.

დაკვირვებით ათვალიერებდა უცნობ ქუჩას, თითქოს ციხეს მიყოლებულ შენობებს ნიშანში იღებსო.

მას ერთი საიდუმლო გეგმა ჰქონდა ასასრულებელი, რომელიც როგორც არჩილს, ისე მის მეგობრებს დაუმალა. სოფლიდან რომ წამოვიდა, მთავარ იმედს ამ გეგმაზე ამყარებდა.

ეს იყო ვარდოს მონახულება და მისი გავლენის გამოყენება, როგორც ციხის უფროსის ცოლისა, არჩილის მდგომარეობის შემამსუბუქებლად.

ეს საშუალება მოკეთეებმაც ურჩიეს სოფლიდან წამოსვლისას.

სალომეს მელიტონ აბლანდიას მისამართი წამოეღო. ვარდოს დედისათვის გამოერთმია წამოსვლის წინ და მისგან წერილიც წამოეღო შვილთან.

სალომეს ფიქრით, ვარდოს ნახვა საიდუმლოდ უნდა მომხდარიყო. რომ მის ქმარს ამით არაფერი დაშავებოდა სამსახურში.

- ანდრო, _ მიმართა ბოლოს მან ანდროს, როცა დარწმუნდა, რომ დაუხმარებლად გზას ვერ გაიკვლევდა. _ ამიტომ კიდევ წამოგიყოლე აქეთ დ ამხანაგებს აგაცდინე, რომ შენთვის მეკითხა... ჰმ... შენ უთუოდ გეცოდინება, ვარდო რომელ სახლში ცხოვრობს აქ? უნდა მიმასწავლო.

- არ ვიცი, ქალბატონო! _ სწრაფად მიუგო ანდრომ და თვალი აარიდა. უნებურად გაწითლდა.

სალომემ ეჭვით შეხედა მას.

- შენც უკადრისობ, ალბათ, პოლიციელის ცოლი რომ არის... ა? ნუთუ მართლა არ იცი, ბიჭო?

- არა... ქალბატონო. _ იმავე სახით გაუმეორა ანდრომ.

- ასე ამიხსნა დედამისმა. სადღაც აქ ახლოს უნდა ჰქონდეს ბინა... ციხის გვერდით არისო. აქ, ალბათ, ყველას ეცოდინება. _ თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, ისე განაგრძო სალომემ.

- ანდრო, რამ გაგაჩერა ასე, ბიჭო? ჰკითხე ვისმე გამვლელს. _ ხელის კვრით მიმართა ახლა მაიკომ ანდროს.

მაგრამ სალომემ აღარ დაუცადა ანდროს. ვიღაც გამვლელ ქალს გადაეღობა წინ. გააჩერა და წინასწარი ბოდიშის მოხდით ჰკითხა:

- ამ ციხის უფროსის, მელიტონ აბლანდიას ბინა ხომ არ გეცოდინებათ, ბატონო?

უცნობმა ქალმა შესახვევისკენ მიუთითა.

- ამ ქუჩას რომ გამოჰყვებით, მარჯვნით არის, ციხის გაყოლებაზე... პირველი კარი მისია.

სალომე დაუყოვნებლივ აემართა ნაჩვენები მიმართულებით.

ანდროს კი ფეხები დაუმძიმდა. ჩამორჩა.

არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. გაყოლა არ შეეძლო, ხოლო ვერც თავი დაენებებინა სალომესათვის.

როცა სალომემ მისკენ მოიხედა, ანდრომ ისარგებლა ამით, მიირბინა მასთან და ძალზე შეჭირვებულად უთხრა:

- მე ამ კუთხეში მოგიცდი, ქალბატონო...

- კი, შვილო, განა არ ვიცი: იმალები და ვერ ეჩვენები... თუმცა ახლა წასვლაც შეგიძლია. საჭირო აღარ ხარ. ამხანაგები არ დაკარგო, არ დაიბნე ამ უცხო ქალაქში.

- არა... მოგიცდი.

სალომეს არ ეცალა მაინცდამაინც ანდროსათვის.

როგორც გინდოდესო, დაუბარა და მაიკოთურთ აბლნდიას ბინისკენ გზა განაგრძო.

...

სალომეს კარი თვითონ ვარდომ გაუღო.

როგორც კი იცნო მოულოდნელი სტუმრები, სიხარულისაგან შეჰკივლა, ჯერ სალომეს გადაეხვია და გადაკოცნა, მერე მაიკოს.

- როგორ დავიჯერო! ნუთუ სალომე ქალბატონი ბრძანდები? ღმერთო ჩემო, ეს რა ბედნიერება მეწია! ციხეში შემოსული კი დაგინახე. მინდოდა მოსვლა, მაგრამ... მე თვითონ ტყვე ვარ. უფლება არ მქონდა მოვსულიყავი. ქმარი მომკლავდა. როცა წარმოვიდგენ, რომ არჩილი ამ დასაქცევ ციხეშია, და მე კი... _ ვეღარ განაგრძო. ცრემლები მოერია და სალომეს ბავშვივით ჩაეხუტა. _ ჩემო კეთილო ქალბატონო, ჩემო საყვარელო ქალბატონო. რა ბედნიერი ვარ,

რომ გხედავ...

- დედისგან წერილი ჩამოგიტანე, შვილო. მეც დიდი სათხოვარი საქმე მაქვს. გაგახაროს, შვილო, ღმერთმა, რომ ჩემი უბედური თავის ნახვა გაგეხარდა. კარგი ბედი გქონებია, ვარდო. ღირსიც იყავი: ჩვენი სოფლის გოგოებში შენისთანა მეორე არავინ იყო.

მშობლებიც გაახარე. მე კი, ხომ ხედავ, არჩილმა სიბერე როგორ წამიმწარა. ციხეშია, შვილო, ჩემი არჩილი... და ვინ იცის, რა მოელის.

დერეფნიდან ოთახში შევიდნენ.

აქ ვარდომ ცრემლი შეიმშრალა. მერე გამასპინძლება მოინდომა.

მაგრამ სალომემ არ დაანება. დედის წერილი გადასცა და მოსვლის მიზანი გააცნო.

- ბევრს კი არაფერს გთხოვ, შვილო. რა კი ასე ახლოს ხარ და ქმარიც დიდი კაცი გყავს, მთელი ციხის უფროსი, მიხედე ხანდახან არჩილს. ხომ იცი, როგორ მყავს გაზრდილი. მოიკითხე დროგამოშვებით. საჭმელი მიაწოდე. მეშინია, ციხის საჭმელმა არ მომიკლას. კვირაში ერთხელ რომ ექნეს შესარგი სადილი, ესეც დიდი საქმეა... ქმარსაც სთხოვე, ყურადღება მიაქციოს. შეუმსუბუქოს ციხის ატანა. ღმერთი სამაგიეროს გადაუხდის... კარგი იყავი ყოველთვის, მოსიყვარულე. ამიტომ გთხოვ.. ვიცი, შენც გიყვარდა, შვილო, არჩილი. მისთვის გარჯა არ დაგეზარება.

- რა ბრძანებაა. რაც კი შემეძლება, არჩილისათვის როგორ დავზოგავ. ჯავრი ნუ გაქვს, ქლბატონო. საჭმელს ყოველ დღეს შევუგზავნი, მოვიკითხავ. ქმრისათვის კი ნურაფერს ნუ მათხოვნინებ... სასტიკია, შენი ჭირიმე, და გულქვა ადამიანი. _ და ვარდოს თვალებზე კვლავ ცრემლი მოადგა. _ კი არ უნდა ვსთქვა, მაგრამ რა ვქნა?.. ჩემს მშობლებს ჩემთვის ლუკმა გაუწყდათ და... მე ასე დამღუპეს.

- რას ამბობ, შვილო, ღმერთმა დაგიფაროს!

- უიმე, თვალები რატომ არ დამიდგება, _ ჩაერია გაკვირვებით ახლა მაიკოც. _ მეფე ქმარი გყოლია და დედოფალივით ცხოვრობ აქ, ქალაქში.. მეტი რა გინდა?

- სასტიკი რომ არის, ციხის უფროსიც ამიტომ არის, შვილო...

- ჰე, ქალბატონო. რა უფლება მაქვს თავი შეგაწყინოთ ჩემი უბედურობით. მაპატიე... ვერ დაგიფარე, ჩემიანი რომ ხარ ამისთვის.

მერე თავი შეიკავა. ხმა გამოიცვალა. თითქოს შერცხვა, რომ ასე გაამხილა გულის დარდი.

ახლა სხვა რამეზე ესაუბრა.

ისე ეფერებოდა, როგორც საყვარელ დედას, დიდიხნის უნახავს.

სადილად დარჩენაც სთხოვა.

მაგრამ სალომე ერთხნის საუბრის შემდეგ წამოდგა. ერთხელ კიდევ მოაგონა არჩილი, სათხოვარი გაუმეორა და წამოვიდა.

- არჩილისათვის რაც მიბრძანეთ, ყოველივეს შევასრულებ. ჯავრი ნუ გექნება, ქალბატონო. ჩემი ცხოვრება სულ რაღა იქნება, თუ ამ პირობებში არჩილსაც კი პატივი ვერ ვეცი. -ამ სიტყვებით ვარდომ ქუჩამდის გამოაცილა სტუმრები.

მაგრამ აქაც თავი ვერ გაანება.

- ცოტას კიდევ გაგაცილებ, ქალბატონო. აი, კუთხემდის... ისე მეჩვენება, თითქოს ჩვენს სოფელში ვიყვე. და ეს მიხარია... მაპატიე. თქვენთან რომ ვარ, თავი ისევ პატარა მგონია დ ბედნიერი. _ მერე მაიკოს მიუბრუნდა. _ ჩემო მაიკო, პატივი ვერ გეცი... მითხარი, ხომ არ დავავიწყდი მეზობლებს? ჩეი ლიზიკო როგორ არის? უთხარი ჩემ მაგიერ, რ გათხოვდე-თქო. მე სულ მაგონებდნენ ყველანი... ცხადშიც... სიზმარშიც.

ქუჩის კუთხეში სალომეს ანდრო ელოდებოდა.

მოჰკრა თუ არა მან თვალი მომავალთ, ლანდივით სახლის კედელს მიეფარა, მაგრამ მაიკომ მაინც შეასწრო თვალი.

- ანდრო არ წასულა, ქალბატონო, _ უთხრა მან სალომეს, მაგრამ შეკრთა და თქმის უმალვე ხელის გული პირზე აიფარა. შიშით გადახედა ვარდოს.

- ვარდოსაგან რა დასამალავია, მაი! კი არ გასცემს, შე სულელო, _ შენიშნა სალომემ. მერე ვარდოს აცნობა: _ ჩვენი ანდრო ქარივაძეა. არჩილის სანახავად ჩამოვიდა. ხომ იცი, როგორ მეგობრობენ ერთმანეთს. მასაც დასაჭერად დაეძებენ უბედურს!..

უცებ შესდგა ვარდო.

სახე შიშისაგან შეუმკრთალდა და დამფრთხალივით მიმოიხედა.

- ახლა კი... მშვიდობით, ქალბატონო. _ უთხრა გაუბედავად და გამოსამშვიდობებლად მოემზადა.

- მშვიდობა ნუ მოგაკლოს ღვთისმშობელმა, შვილო... დაბრუნდი, ნუ წამოხვალ.

ერთხელ კიდევ გამოემშვიდობნენ ერთმანეთს. გადაკოცნეს და დაშორდნენ.

ვარდო რომ მიიმალა, მაიკო დაუახლოვდა სალომეს და კბილების გადმოყრით საიდუმლოდ ჰკითხა:

- ვარდო რომ გვშორდებოდა, არაფერი შეგიმჩნევია ქალბატონო?

- რა უნდა შემემჩნია? გოგო? რას ამბობ?

- იმას, რომ რასაც სოფელში იტყვიან, ყველაფერი მართალია. ვარდოს ქალბატონო, ის ბიჭი... წყეული ანდრო, უნდა უყვარდეს. კინაღამ გული წაუვიდა, როცა უთხარი, აქ არის... ვერ შეატყვე: როგორ დალეულა.

- რას სულელობ? არსად წამოგცდეს!

V

შალვა რამაძემ არჩილის წერილი ცაცას გვიან საღამოს გადასცა. იმ დღეს ცაცა სახლში შეღამებისას დაბრუნდა ორი მეგობარი ქალის თანხლებით, რომლებსაც ცაცასთან ერთად რუსეთში გამგზავრება ჰქონდათ გადაწყვეტილი.

მოწყენილობა ეტყობოდათ.

უხმოდ შემოვიდნენ ბაღში და რიონის გადასახედზე ფანჩატურის წინ სკამებზე ჩამოსხდნენ.

ცაცას თავის მეგობრებისთვის არჩილის საშიშარი მდგომარეობა ეცნობებინა. ეჭვი გამოეთქვა იმის შესახებ, რომ შესძლებდა მათთან ერთად წელს მოსკოვში გამგზავრებას არჩილის საქმის გამორკვევამდის.

ამ ამბავს დაეღონებინა ქალები. მდუმარებით უცხადებდნენ ცაცას თანაგრძნობას. თითოეული თავის ფიქრში წასულიყო.

ლამაზი იყო ახალგაზრდა ქალების სევდიანი მოწყენილობა შებინდებისას.

თვითონაც გრძნობდნენ ამას და ხმის ამოღებას უფრთხოდნენ.

ასე იყვნენ კარგა დიდხანს.

- იცით, ბავშებო, დღეს მე ვინ ვნახე და ვინ გავიცანი? _ წარმოსთქვა ბოლოს ოცნებაშეფრქვეული ხმით ცაცამ.

- ვინ, ცაცა? _ ხმის შეწყობით ჰკითხეს მეგობრებმა.

- არჩილის დედა...

- სად?

- ციხესთან... _ და მცირე დუმილის შემდეგ განაგრძო: _ უცნაურია: არასოდეს არ მინახავს, მაგრამ რომ შევხედე, ასე მომეჩვენა, თითქოს სულ ვიცნობდი... კი არ გამკვირვებია მაშინ. ვითომ ასეც უნდა ყოფილიყო. ახლა კი მიკვირს ცოტა. უცნაურია, არა?

- არჩილი რომ გიყვარს, იმის ბრალია.

- დამაცა, სწორედ ისეთი იყო, როგორც წარმოდგენილი მყავდა. ჩემი აზრით, სხვანაირი არც შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო... ძალიან კარგი ქალია, ნმდვილი ქალბატონი. იმანაც ისე შემომხედა... რაღაც სხვანაირად... თითქოს მიცნო. იქნება, იმასაც ასე მოეჩვენა: ეს ქალი უთუოდ არჩილის საცოლეაო. შეიძლება ხომ, იმასაც ასე ეფიქრა? თუ მე ვიცანი, რატომ არ შეიძლებოდა, იმასაც ვეცვნე?.. ერთი კი ვერ გამოვარკვიე: მოვეწონე თუ არა? მგონია, ჩემს ელამ თვალს დააკვირდა. მე არ მგონია, რომ ძალიან ელამი ვიყო... თქვენ როგორ ფიქრობთ?

- გიხდება კიდევაც, ცაცა, რომ ცოტა ელამი ხარ.

- ხომ? ქალბატონმა არჩილის დედამ კი უთუოდ იფიქრა: «როგორ იქნება? ელამი ქალი რა საკადრისია? ნაკლი ჰქონებია და მაგას ჩემს არჩილს ვერ შევრთაო». ვიცი, ასე სთქვა გულში. იცით, როგორ დამაღონა ამან? გავჯავრდი! ნებართვის ქაღალდი რო მიცემული არ მქონოდა, არ დავუთმობდი... კინაღამ ავტირდი და მაშინვე სახლში წამოვედი. ჰო, ის არ მითქვამს: არჩილის დედას ციხეში შესვლის ნება არ ჰქონდა. მე მივეცი ჩემი... მერე ერთი ყმაწვილი გავიცანი კიდევ: არჩილის ძიძისშვილი ვარო. ალბათ. ქ-ნ დადიშიანს ჩამოჰყვა სოფლიდან. წარმოიდგინეთ, ისე შემომაცქერდა, თითქოს მიცნო. ეს მეგრელები, ნეტავი, გულთმისნები ხომ არ არიან... ი ბიჭს კი მოვეწონე ნამდვილად.

- მაშ, შენ არჩილი არ გინახავს დღეს, ცაცა?

- არ მინახავს. მაგრამ არ ვნაღვლობ: ჩემ მაგიერ დედამ ნახა... დედას ხომ მეტი უფლება აქვს. ეს მსხვერპლი იყო ჩემი მხრით. მაგრამ, როგორც გითხარით, მგონია, ვერ მიშველა ვერც ამ მსხვერპლმა: მაინც არ მოვეწონე... რა უბედური ვარ!

უცებ გაჩუმდა, მერე ხმა გამოიცვალა და გადაიხარხარა:

- ხა-ხა-ხა... რა სულელი ვარ, ღმერთო ჩემო, ვითომ რა? ვითომ მგონია, რომ დედის მუცელში ვუყვარდი არჩილს და ეს ამბავი დედამისმა მაშინაც კი იცოდა! ასე გამოდის! ხა-ხა-ხა.. რა სისულელეა!

ისევ დუმილი დამკვიდრდა.

მერე წამოდგა. უახლოეს მეგობართან შესდგა და თითქოს საიდუმლოება გაანდოო, ისე ჰკითხა:

- ნატო, ნეტავი რატომ ვარ დღეს ასეთი?

- იმიტომ, რომ არჩილი გიყვარს!

- შენ ვინ გიყვარს, ნატო?

- ნატოს არავინ. მე კი შეყვარებული ვარ! _ უპასუხა ნატოს მაგიერ მეორემ.

- ჰო, და მაშ შენ მითხარი, ნუცა: საიდან იცი რომ შეყვარებული ხარ!

- როგორ გითხრა, გენაცვალე, ისე ვიცი...

- ნამდვილად იცი? სულ უეჭველად, თუ ნახევრად გგონია, რომ გიყვარს, ნახევრად კი _ რომ არ გიყვარს...

- ნამდვილად! სულ, ცაცა!

- მე კი _ არა. მე ახლა, ამ წამში, მგონია, მაგალითად, რომ დადიშიანი არ მიყვარს.

- დაგიჯერეთ და ეს არის! _ ერთად გაეხმაურნენ ნატო და ნუცა.

- ღმერთმანი, მართალს ვამბობ. მგონია, კი არა, ნამდვილად არ მიყვარს! აი, ვამბობ!

- მაშ, ლევან პატაშვილს გაუტაცნიხარ! _ უთხრა ნუცამ.

- ლევანს?.. რატომ გგონია? არა. თუმცა... _ არჩილის ეჭვიანობა მოაგონდა ცაცას და გაიღიმა.

- თუ ეს მართალია, აბა თუ ქალი ხარ, არჩილი დასტოვე აქ, ციხეში, და შენ კი კვირას ჩვენთან ერთად წამოდი მოსკოვში! აი, მაშინ დაგიჯერებთ, _ შეება ახლა ნატო.

- წასვლას თუ წაუსვლელობას რა მნიშვნელობა აქვს, ქალო?

- აქვს.

- ეს მე არ მესმის: შეიძლება ძალიან მიყვარდეს და მაინც წავიდე. შეიძლება, სულ არ მიყვარდეს და არ წავიდე... ეს რა საზომია სიყვარულის?

- არ გეთანხმები. როგორ შეიძლება: შენი საყვარელი ადმიანი ციხეში იტანჯებოდეს, შენ კი ამ დროს...

- ჰეე, ნატო... ეს ხომ უაზრო სენტიმენტალობაა.

- თვითონ სიყვარულიც ხომ სენტიმენტალობაა.

- ვის როგორ ესმის? მე კი სხვა რამ მგონია. შენ, ნატო, რომელიმე დეკაბრისტის ცოლობა შეგეფერებოდა. ციმბირში გაჰყვებოდი ქმარს და... მის ტანჯვას გაინაწილებდი. ყოველ საღამოს, დაბალჭერიან ოთახში რომ ლამპას აანთებდნენ, მიუჯდებოდი მაგიდას

და დღიურის წერას შეუდგებოდი. პატიოსნად აღნიშნავდი, თუ შენმა ქმარმა დღის განმავლობაში რა გააკეთა. მის დიდ ფიქრებს ჩასწერდი. მერე იმასაც, თუ შენ როგორ უვლიდი მას და მდგომარეობას უმსუბუქბდი და ყოველივე ამით, ჩემო ნატო, ძალიან ბედნიერი იქნებოდი. გეგონებოდა, რომ ქვეყანაზე შენისთანა კარგი მეორე ქალი არ არის. დარწმუნებულიც იქნებოდი, როცა ეს შენი დღიური გამოქვეყნდებოდა, მთელი კაცობრიობა აღფრთოვანებით წაიკითხავდა მას. მაგრამ... აი, დაუკვირდი: მაგრამ ნამდვილად კი ქვეყანა თავის ცხოვრებას განაგრძობდა და შენი დღიური ვინმე ბებერი ისტორიკოსის, სწორედ ბებერი ისტორიკოსის, სასინჯი გახდებოდა, სხვა არაფერი, მორჩა და გათავდა... ფი! ეს რა როლია? რა ცხოვრებაა!

ამაზე კამათი შეექმნათ.

მაგრამ კამათის გაგრძელება ცაცამ აღარ ისურვა.

- იცით, რა გითხრათ: კამათი სისულელეა. ყოველი აზრი მოწინააღმდეგე აზრს იწვევს. ზოგჯერ ერთია მართალი, ზოგჯერ მეორე. გააჩნია როდის ამბობენ და რისთვის... დეკაბრისტის ცოლობაზე რომ გითხარით, ეს იმიტომ, რომ სწორედ ამ დილას სანამ ავდგებოდი, შემთხვევით რომელიღაც წიგნი გადმოვიღე თაროდან. დღიური აღმოჩნდა ერთ-ერთი დეკაბრისტის ცოლის. საინტერესოა. აი, ის რომ არ გადამეფურცლა, ეს აზრიც თავში არ მომივიდოდა... ყველაფერი შემთხვევაა. მხოლოდ მართალი და მუდმივი ამ ქვეყნად მარტოდენ მუსიკაა. ამიტომ წამოდით ოთხში: ძალიან მინდა, რომ დავუკრა: ოღონდ ამ გუნებაზე სინათლეს კი ნუ ავანთებთ, იცოდეთ. ჩუმად მისმინეთ დ იოცნებეთ _ ნახავთ, რა გამოვიდეს. მე კი დავუკრავ რამე გამოსათხოვარს, ჩემი ამბავის შესაფერს: თქვენ რომ მიდიხართ, და მე კი რომ ვრჩები! აი, ამისთანა რასმე... გინდათ?

დასთანხმდნენ მეგობრები. აიშალნენ, სახლისკენ გაემართნენ.

ამ დროს ბაღში კიდევ სხვა სტუმრებიც შემოვიდნენ. ამათაც გადაწყვეტილი ჰქონდათ დღეის სწორ კვირას რუსეთს გამგზავრება.

მოსულებს შორის ლევან პატაშვილიც იყო.

მიეგებნენ ერთმანეთს.

ნატომ და ნუცამ ახალ მოსულებს ცაცას გადწყვეტილების ამბავი მაშინვე ყურში ჩასჩურჩულეს.

- იცით, ცაცა აღარ მოდის, რჩება.

იწყინეს.

ყველა მიხვდა მიზეზს.

- მართალია, ცაცა? მართლა აღარ მოდიხარ?

- მართალია!

შეთანხმებულივით დადუმდნენ.

მაგრამ ცაცამ უმალვე დაარღვია უადგილო სიჩუმე.

- ნუ მოგიწყენიათ, არაფერია. ახლა ლევან პატაშვილი «მხოლოდ შენ ერთს» გვიმღერებს. წამოდით, ხალხო! _ მიმართა მან სტუმრებს და ყველანი სახლში შეიწვია. წინ წაუძღვა. აივანზე აირბინა.

მოუწონეს. მიყვნენ.

მაგრამ ლევან პატაშვილი განზე გადგა.

- მე ამ წამიდან მგლოვიარედ ვარ. არ ვიმღერებ, _ განაცხადა მან და გულხელდაკრეფილი აივნის ქვედა სვეტს მიეყუდა.

შესდგნენ. გადახედეს.

- როგორ თუ მგლოვიარედ?!

- ისე... _ და პატაშვილმა ისეთი ნაღვლიანი თვალებით ახედა აივანზე გადმომდგარ ცაცას, რომ დაინტერესებული მეგობრები თავის განცხადების ფარულ აზრს მიახვედრა.

- ჰა... ეს ფანდი აქ ვერ გასჭრის, ბატონო ლევან! ციც! ცაცას შენვის არ სცალია! _ უთხრა ნატომ ლევანს.

ახმაურდნენ.

- ერთი ამას შეხედეთ: თურმე გულში რა უდევს?

შემოეხვივნენ. დასტაცეს ხელი და გაიყოლიეს.

ასე შევიდნენ დარბაზში დიდი ხმაურობით.

ცაცა მაშინვე როიალს მიუჯდა და იმ დროინდელი მოდის რომანსის «მხოლოდ შენ ერთს» მელოდიამ შემოსულებს შორის მყისვე სიჩუმე დაამკვიდრა.

ლევან პატაშვილს საამო ბარიტონი ჰქონდა. გრძნობით იცოდა სიმღერა, ქუთაისის ქალიშვილებს ძალიან მოსწონდათ.

რომანსის შესრულებაში ყველამ მიიღო მონაწილეობა, ვისაც ხმა ნებას არ აძლევდა, ნაჩუმათევად ან გუნებაში მაინც მღეროდა.

ქალების ხმაში ყველაზე გამოჩინებით ცაცას ხმა გაისმოდა, _ პატარა, ოქროს ეჟვანივით წკრიალა.

ის იყო, გაათავეს სიმღერა თუ არა, დარბაზში შალვა რამაძე შემოვიდა.

ძალიან სერიოზული სახე ჰქონდა. ეტყობოდა, რომ ცაცას კონცერტი არ მოსწონდა.

საერთო სალამი მისცა სტუმრებს. მიუახლოვდა ცაცას და გარეთ გაიხმო.

ცოტა შეიკვირვა ცაცამ, მაგრამ უმალვე გაჰყვა.

შალვა შეუჩერებლად შევიდა თავის ოთახში და იქ ანთებული ლამპის წინ ცაცას არჩილის წერილი გადასცა უხმოდ.

ცაცამ იქვე სწრაფად გაშალა წერილი, ლამპასთან ახლოს მიიტანა.

თვალის ერთი გადავლებით წაიკითხა მოკლე ბარათი. უმალ სახეზე ცეცხლის ალივით შეეკიდა სიწითლე. სულ მცირე ხანს უცნაურად გარინდული დარჩა. მერე ქაღლდი ხელის გულში ნერვიულად შეკუმშა და მთელი ტანით შალვასკენ მობრუნდა. ისე შეაცქერდა უხმოდ, თითქოს უნდა გამოსცადოსო. შალვას თვალი აერიდებინა მისთვის. განზე იცქირებოდა.

- იცი, აქ რა სწერია, შალვა? _ გაისმა ბოლოს ცაცას ხმა, რომელმაც შალვას ყურთასმენა თავის შეკავებული, მაგრამ მით უფრო გამომჟღავნებული მთრთოლვარებით მიიზიდა. შალვამ ფიცხლად შეხედა ლამპის შუქისკენ ზურგშექცეულად მდგარ ცაცას. დაჩრდილულ სახეზედაც კი ნათლად დაინახა, თუ რას მოასწავებდა ცაცას ხმა.

- ალბათ, ის სწერია, რაც მან სიტყვიერადაც დამაბარა შენთან _ უპასუხა ცოტა დაგვიანებით შალვამ. _ მოსკოვს წავიდეს, ჩემთვის ტყვილა აქ დროს ნუ აცდენსო. უთუოდ ფიქრობს, რომ ციხეს დიდხანს თავს ვერ დააღწევს.

როცა ახლოს შეხედა თვალებში, შეეცოდა შალვას: სჩანდა, ცაცას აღელვება დიდი იყო.

- ტრაგედიაა, არა? _ ჩუმად, უაღრესად ინტიმური თნაგრძნობით შეესიტყვა, ხელი მოკიდა ხელზე მოსაფერებლად.

- აქ სულ სხვა სწერია. სამწუხაროდ არავითარი ტრაგედია... ტრაგედია ხომ დიდ განცდას, დიდ ხასიათს გულისხობს ყოველთვის... აქ კი.. _ უფრო შეკუმშა ბარათი ხელში ცაცამ.

- ჰო, აქ სულ სხვა სწერია! _ დაასრულა ათრთოლებული ხმით. მერე უცებ გასწორდა, გაიმართა მედიდურად.

- იცოდე, თუ ჩემი გამტყუნება ოდესმე აზრად მოგივიდეს, სანამ ბრალს დამდებდე, ეს წერილი წაიკითხე. ის მე მექნება შენახული! დეე, იყოს ასე! _ მტკიცედ წარმოსთქვა მან და ბეჯითი ნაბიჯით გაემართა გასავალი კარისკენ. მარტოდ დარჩენილ შალვასკენ არც კი მიუხედავს, ისე გავიდა ოთახიდან.

დარბაზის შესავალთან შესდგა. თვალებსა და სახეზე ხელი შეისვა, თმა გაისწორა.

- დე, იყოს ასე! _ გაიმეორა თავისთვის ჩუმად, მაგრამ უფრო გადაჭრილად, ვინემ პირველად, თავი შეიბერტყა. კარები ერთბაშად გააღო და დარბაზში შეიჭრა. შუა ოთახში შესდგა.

მეგობრები შემოეხვივნენ გარშემო. ქალები უმალვე დაკითხვას შეუდგნენ: შალვამ რატომ გაგიხმო ან ამდენხანს რატომ დაიგვიანეო. მათ თვალებს არ გამოპარვია ცაცას შემკრთალ სახეზე აღბეჭდილი განცდილი მღელვარების კვალი.

- მეგობრებო, _ მიმართა მათ ცაცამ ხმამაღლა. _ მეც თქვენთან ერთად მოვდივარ მოსკოვს! მომილოცეთ!

ყველას ხმა ჩაუწყდა. წყვილ-წყვილად დარაზმულმა, უდიდესი ცნობისმოყვარეობით აგზნებულმა და გაკვირვებისაგან გაფართოვებულმა თვალებმა ალყა შემოარტყეს ცაცას.

დიდხანს გაგრძელდა სიჩუმე.

ნაწილი მეოთხე

I

წმინდა წყლის ფანტაზიად მოეჩვენა დათოს ის, რაც გოგიამ ნახვის დროს ციხეში უთხრა. დიდი ხმაურობა იდგა, და გოგია საიდუმლო ჩურჩულით ელაპარაკებოდა, მაგრამ მაინც გაიგო ყოველივე.

ეს იყო ციხში გარედან გვირაბის შეყვანის ახალი გეგმა, რასაც წერილის

გადმოცემაც მოჰყვა საიდუმლო ჭუჭრუტანიდან.

- ამ წერილით უფრო მიხვდები, ოღონდ დაკვირვებით წაიკითხე... კარგად დაიმახსოვრე, რასაც წაიკითხავ, და მერე აუცილებლად დასწვი. _ დაარიგა გოგიამ დათო.

დათომ იცოდა, რომ ციხე უსაქმოდ მყოფ ტუსაღების ფანტაზიის ამშლელი იყო. გოგიას კი უციხოდაც, ცოტა არ იყოს, ფანტაზიის კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი.

მოსმენით კი მოუსმინა დათომ ყოველივე და წერილიც ჩამოართვა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და ძალაუნებურად გაეცინა, როცა გეგმისადმი უაღრესი რწმენით ანთებულ გოგიას სახეს შეხედა.

ციხიდან რომ გამოვიდა, იმ გაცინების ბეჭედი დათოს სახეზე ჯერ კიდევ შერჩენოდა.

ვნახოთ მაინც ყოველ შემთხვევისათვისო, გაიფიქრა მან და ციხის გარემო ისეთი ყურადღებით შეათვალიერა, თითქოს იქაურობას პირველად ხედავსო.

- უთუოდ ძალიან ბეჯითად ლაპარაკობდა გოგია, იქნება, მართლა რასმე აზრს მიაგნო... ვნახოთ ერთი ის თეთრი, პატრა სახლიც, რომლის ნახვა ასე ჩაციებით დამავალა, _ სთქვა გუნებაში და ქუჩას ქვევით დაჰყვა.

მარცხენა მხრით ციხეს შდარებით უფრო ვიწრო ქუჩა ჩაუდიოდა. ამ მხარეს, ციხის პირდაპირ, კუთხეში ზედ ქუჩის პირად პატარა ერთსართულიანი დაბალი თეთრი სახლი იდგა.

დათო შესდგა მის წინ.

შესდგა და უცებ ჩამოსცილდა უნდო ღიმილის ბეჭედი, ციხიდან რომ გამოჰყვა. ჯერ გაკვირვებამ მოიცვა, მერე ღრმა დაფიქრება აღებეჭდა სახეზე.

თითქოს შვილდ-ისარი მომართაო, ისე დაუმიზნა თვალები ამ პატარა სახლს.

სახლის წინ, ციხის გვერდით ჩამავალი ქუჩის განს გახედა. თვალით გაზომა.

ციხის გალავანს ქვემოდან მაღლა ააყოლა თვალები. გალავანთან ახლოს, შგნიდან ამართულ ციხის კდელზე შეაჩერა.

დაფიქრდა.

შეეტყო რომ კმაყოფილი იყო იმით, რაც ნახა.

- ა? _ წარმოთქვა თავისდაუნებურად. _ ეს არც ისეთი ფანტაზიაა.

და უცებ შუბლი შეეკრა დიდი და გაბედული აზრის გაელვებისაგან.

მერე გაუხარდა რაღაც.

მალულად გაიღიმა.

ამის შემდგ გამალებული ნაბიჯით მოშორდა იქაურობას და, თითქოს უჩინმაჩინის ქუდი დაიხურაო, გაჰქრა, მიიმალა.

დაბრუნდა თუ არა თავის ოთახში, დათომ კარები ჩაიკეტა და მაშინვე მაგიდას მიუჯდა.

ჯიბიდან ათასნაირად დაკეცილი გოგიას წერილი ამოაძვრინა და ფრთხილად მაგიდას მიუჯდა.

წერილი ძალიან წვრილი ხელით იყო დაწერილი. ტექტში რაღაც საიდუმლო, მოკლე-მოკლე ისრის მაგვარი ხაზები იყო ჩართული.

დათო დაუყოვნებლივ შეუდგა წრილის კითხვას.

იგი მეტად ახირბულად იყო შედგენილი. მოკლე თქმას ზოგან ირონიაც ჰქონდა დაყოლებული.

პირველი სტრიქონი ასეთი იყო:

«ჩვენ სიკვდილი მოგველის. ხსნა _ ციხიდან წასვლაა. სხვა იმედი ყველა ტყუილია. ნუ მიედ-მოედებით, ხალხო, დროს ნუ კარგავთ».

საკუთრივ წერილი ამის შემდეგ იწყებოდა.

«წელიწადზე მეტია ამ საკითხზე ვფიქრობ. ნამდვილი გზა სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე.

«ალბათ, ყველა დიდ აღმოჩენას ერთი გზა აქვს: შემთხვევა.

«აბლანდიას თვალები აქ ისე ანათებენ, რომ შიგნიდან არაფერი არ მოხერხდება: სამ ტუსაღში ერთი მისი აგენტია. ოთხ კედელში ორს მისი ყურები ასხია. ფაქტი: რამდენჯერ დავიწყეთ ციხის გამოჭრა, იმდენჯერ აღმოაჩინეს. ხალხი ტყუილა დაიღუპა (სხვათა შორის აბლანდია უთუოდ თავიდან მოსაშორებელია).

«ჩვენი ციხე სხვა ციხეს არ ჰგავს. იგი გარედან უნდა გატყდეს და არა შიგნიდან. დეე, მოხდეს ანდაზებშიაც რევოლუცია.

«სმენა.

«მარცხნივ დაბალი სახლი დგას, პირდაპირ. ზედ ქუჩის პირად, ციხესა და ამ

სახლს შუა ვიწრო ქუჩაა. ამ მხრით ციხის კედელიც თითქმის გალავანს ეკვრის.

«მანძილი ამ პატარა სახლამდის ციხის კედლიდან სულ ბევრი /? _ "? ნაბიჯი იქნება (ამდენივე სახარების მადლი ამ პატარა სახლის ამშენებელს!)

«იგი მდგმურებს უჭირავთ. ერთი ოჯახია. შემთხვევით გავიგე:

«ამ დღეებში სხვაგან გადადიან. სახლს ანთავისუფლებენ. «თავისთავად ეს ამბავი ძალიან უმნიშვნელოა. ისეთივეა, როგორც ვაშლის ხიდან ჩამოვარდნა. რამდენი ხალხი გადადის ერთი სახლიდან მეორეში. რამდენი ვაშლი ვარდება ხიდან?

«მაგრამ მოიგონეთ: ნიუტონის აღმოჩენაში ხიდან ვაშლის ჩამოვარდნამ რა როლი ითამაშა.

«სწორედ სრულიად ამისთანა როლი ითამაშა ჩემს აღმოჩენაში შემთხვევით გაგებულმა ამბავმა: ამ დღეებში მდგმურები სხვაგან გადადიანო.

«უეჭველია, ნიუტონისა და ჩემი აზრის გაქანება სრულიად ერთნაირი იყო, როცა ნიუტონის ყურადღება ვაშლის ჩამოვარდნამ მიიპყრო, ხოლო ჩემი კი _ აღნიშნულმა ამბავმა (ეს შედარება კადნიერებაში ან მეტიჩრობაში არ ჩამომართვათ. დიდია კაცი თუ პატარა, სულერთია, ერთსაც და მეორესაც ორი თვალი აქვს, ორი ყური, ერთი შუბლი, ერთი ცხვირი... და, რაც მთავარია, ერთი ფსიქოლოგია...).

«ამას გაგება უნდა სხვანაირი და გამოყენება. ხალხია სათანადო საჭირო, თქვენ კი, იქნება, ვერც მიხვდეთ. მე სემინარიელი ვარ: ცოტა მეტაფიზიკა მიყვარს, ე.ი. აზრის გაქანება. რაც ამ ამბის შემთხვევით გაგებას მოჰყვა, ამას მაინც გულდასმით უგდეთ ყური. დამიჯერეთ და იწამეთ.

«შედეგი ასეთია და ამას ხელი არ გაუშვათ, იცოდეთ:

«ეს სახლი პატრონისაგან ახლავე დაიქირავეთ. სხვებზე მეტი მიეცით (სულწასულობა არ შეგეტყოსთ).

«სახლში საიმედო ამხანაგი ჩააყენეთ. _ ოჯახიანი, მაგრამ უბავშვო, უკეთესია. «სახლს სარდაფი აქვს, აქედანაც დაინახება.

«ამ სარდაფიდან უნდა დაჰკრათ «პოდკოპი» (ციხის ინტერნაციონალური სიტყვაა), განვლოთ ქუჩა და ციხის გალავნისა და კედლის საძირკველის ქვეშიდან შემოვლით საპყრობილის ქვემო სართულის პირველი კამერის იატაკზე დააკაკუნოთ

(იხილე ხაზების ისრები).

«ასეთია გეგმა. ზოგს ეს ხაზებიც მიგახვედრებსთ.

«დეტალებიც ბევრია. ამაზე მაშინ, როცა გეგმას მოიწონებთ და მიიღებთ.

«აზრი ნათელია. მარტივიც. საქმის მოწყობას კი დიდი ორგანიზაცია და ნიჭი სჭირია.

«შემთხვევითი ხალხი ახლოს არ გაიკაროთ.

«ისე კი ნამდვილია, უეჭველი რამ.

«შეიძლება ცოტა სისხლიც დაიღვაროს. მაგრამ არაფერია: ისტორიას სისხლი უყვარს.

«წაიკითხე კიდევ ერთხელ ეს წერილი. დათო ხარ, თუ სხვა ამხანაგი, სულერთია. «წაიკითხე? კარგად მიმიხვდი?

«მაშ, ახლა დაწვა არ დაგავიწყდეს, იცოდე.

პასუხის ვადა: ორი დღე».

...

ერთხელ რომ წაიკითხა ეს წერილი დათომ, არ შეუსვენებია, ისევ ხემეორედ თავიდან დაიწყო.

ახლა უფრო დაკვირვებით წაიკითხა. ზოგ ადგილას შეჩერდა. გაიაზრა. - კარგია! _ თქვა გადაჭრით, როცა გაათავა.

მოეწონა.

ადგა, შეიშმუშნა. გაიარ-გამოიარა მოკლედ.

მერე მაგიდასთან შესდგა. წერილი აიღო. შეატრიალ-შემოატრიალა. დაათვალიერა: სადმე რამე მინაწერი ხომ არ არისო. ამის შემდეგ საფერფლეზე დააგდო და ცეცხლი წაუკიდა.

- ყოჩაღ, გოგია! გეთანხმები, ფანტაზია კარგი რამეა მიხვედრისათვის! _ ჩაილაპარაკა და კიდევ გაიარ-გამოიარა. შარვლის ჯიბეში უნდოდა ხელის ჩადება, _ ასეთი ჩვეულება ჰქონდა, მაგრამ ამისთვის ვითომ ვერ მოიცალა, თავში იმდენი აზრი უტრიალებდა.

ბევრი იარა კუთხით კუთხემდე.

მერე ლოგინზე წამოწვა პირაღმა.

ახლა გულში რაღაცას გულმოდგინეთ ანგარიშობდა.

ხანდახან თითებს იშველიებდა თვლაში. ეტყობოდა, რაღაცა ვერ დაეთვალა, სულ თავიდან იწყებდა, მარცხენა ხელის თითების სათითაოდ გადმოკეცით; ყველაზე მეტი ჯაფა ნეკს ადგა.

სახე ეცვლებოდა. ზოგჯერ წამოწითლდებოდა.

უცებ არ მოეწონა, რომ წამოწოლილი იყო, წამოხტა. მაგიდას მიუჯდა. რამდენიმე სახელი ჩამოსწერა ქაღალდზე. წაიკითხა ჩამოწერილი. ზოგი ამოშალა. სხვა ჩაურთო. გააგრძელა. კარგა გრძელი სია გამოუვიდა. შეამოკლა და ისევ მიუმატა. არ მოსწონდა, რომ ჩაწერილი სახელები თხუთმეტს აღწევდა.

ნკუწ-ნაკუწ დახია ქაღალდი.

- ამდენ ხალხში რა დაიცავს საიდუმლოებას მთელი თვის განმავლობაში! წარმოსთქვა ხმამაღლა და კიდევ გაიარ-გამოიარა.

ბოლოს ქუდი შუბლზე მაგრად ჩამოიფხატა და ოთახიდან ფიცხლად გავიდა.

...

- აფერუმ, ჩემო გოგია! _ წამოიძახა აღფრთოვანებულმა ნიკომ და პირველმა დაარღვია სიჩუმე, რომელიც გოგიას გეგმის განსახილველად მოწვეულ პარტიულ თათბირზე ჩამოვარდნილიყო დათოს მოხსენების შემდეგ. ციხეში გარედან გვირაბის შეყვანის იდეას ნიკოზე ისე ემოქმედნა, როგორც მოულოდნელ, მაგრამ მოხერხებულ ადგილას ნადირის გამოჩენა მოქმედებს ხოლმე მთელი დღის ამაო ხეტიალით მოქანცულ მონადირეზე.

- აფერუმ, მე და ჩემმა ღმერთმა! კაცო, ეს რა ბედნიერი აზრი მოსვლია თავში იმ ჩვენს გოგიას! აი, ეს მესმის ნადმვილი დიდი საქმე, თუ გნებავთ, ეს არის, თორემ მეტად დავკნინდით ამ ბოლო დროს. პატარა, წვრილმან საქმეებს იქით ვერ გაგვიხედნია: ეს ფულის შეგროვებაო, ეს თბილი ტანსაცმელის შოვნაო, ეს პასპორტების მომარაგებაო... დავგლახაკდით სწორედ და ეს არის!.. ბრძოლაა, ამხანაგებო, საჭირო, იერიშები! მე მომანდევით გოგიას გეგმის შესრულება. ხომ იცით, ძველი მაღაროელი ვარ, გვირაბების მეტი რა მითხრია ჭიათურაში. მეგობარი ბიჭებიც მყვანან. ახლაც მაღაროებში მუშაობენ. დაძახების მეტი არა სჭირიათ რა! თვალის დახამხამებაში გამოვუთხრით ძირს მაგ ციხეს.

ასე ამბობდა ნიკო. თათბირის დანარჩენი მონაწილენიც იზიარებდნენ მის აღფრთოვანებას. გოგიას გეგმა ყველას მოსწონებოდა, მაგრამ თავს იკავებდნენ, რადგანაც მოწონებასთან ერთად ის დაბრკოლებებიც წარმოედგინათ, რომლების გადალახვა დასჭირდებოდათ, როცა გეგმის განხორციელებას შეუდგებოდნენ ამიტომ საქმიანი თათბირი არჩიეს.

თათბირმა შუაღამემდი გასტანა. გოგიას გეგმას ყოველი მხრიდან მიუდგნენ. ათასჯერ გაზომეს, ისიც სულ იზრდებოდა ყოველ ახალ გაზომაზე. თვითოეული წვრილმანი გაითვალისწინეს. ნემსის ყურის ოდენა ადგილიც არ დაუტოვებიათ გაუჩხრეკავი.

ბოლოს ჩამოთვალეს საიმედო ამხანაგები, რომლებიც უნდა ჩაებათ საქმეში.

სულ უკანასკნელად თავიანთ შორისაც გაინაწილეს სამუშაო.

ჭიათურელი მუშების მოზიდვა და გვირაბის გაყვანის ხელმძღვანელობა ნიკოს დაევალა.

პატარა სახლის კომენდანტად ამ თავითვე დათო დანიშნეს. მას უნდა დაექირავებინ სახლი და მდგმურებიც გამოენახა.

როგორც ციხეში მყოფ, ისე გარეთ მომქმედ ამხანაგებთან კავშირის დაჭერა, საქმის ფულით უზრუნველყოფა, მისვლა-მოსვლა, თვალყური «დიდ ვასოს» მიანდვეს.

გათენდებოდა თუ არა, საქმეს უნდა შესდგომოდნენ.

II

არჩილ დადიშიანს ციხეში დღე არ უღამდებოდა და ღამე არ უთენდებოდა, ისე გაერთიანებოდა დრო.

უცნობ ტყეში დაბნეულივით დაწრიალებდა იგი თავის ახალ სამყოფელში _ პაწია, უჯრისოდენა საკანში.

მთვარეულსა ჰგავდა.

თუ ორ-სამ სიტყვას მოუსმენდა ვისმე მთელი დღის განმავლობაში, და ამდენსავეს ეტყოდა, მეტის მოთმინება არ ყოფნიდა. თითქოს არ ეცალა და დიდად დატვირთული იყო ციხის ამ უსაქმოდ მიმდინარე გრძელსა და გვიან დღე და ღამეში.

რაღაც დიდი წუხილი აწვა გულზე, დამაღონებელი და უღარესად მწვავე,

რომლისაგან ხშირად ხორციელ ტკივილსაც კი გრძნობდა.

ნარჩევი გაორების ნიშნებიც მოძალეობდნენ. წამდაუწუმ ისე იცვლებოდა, რომ თავის თავს ვეღარ ცნობდა.

ცხადი იყო არჩილისთვის: _ დიდი და ღრმა გარდატეხის წინაშე იდგა და მისი აზროვნება რაღაც მისთვის გაუგებარი აუცილებლობით ნაჩვევ კალაპოტიდან ამოვარდნას აპირებდა.

აქამდე უჩინარი, უცნობი აზრები შეთქმულ ყაჩაღებივით თავს ესხმოდნენ ხოლმე და ასეთ დარბევის ქარს დაუტრიალებდნენ, რომ არჩილისაგან აღარაფერი არ რჩებოდა: ხელაღებით შეუგინებდნენ მთელ წარსულს და მისი სულის ფაქიზად მოვლილ სალოცავებს ძირფესვიანად მიუნგრევ-მოუნგრევდნენ.

თითქოს ახალი ყურები გამოსხმოდა, ახალი თვალები ახილებოდა, ახალი ხმები ესმოდა, წინათ რომ არ გაეგონა, და, ახალ ფერებს ხედავდა, წინათ რომ არ ენახა.

ეშინოდა არჩილს ამ ახალი აზრების, რომლებიც მას ახალი შეგნებისაკენ მოუწოდებდნენ. ცდილობდა შებრძოლებოდა მათ.

მაგრამ ცოდვასავით იზიდავდნენ ისინი მას, ჰხიბლავდნენ და იტაცებდნენ.

არჩილის უბედურება უფრო ის იყო, რომ ეს ახალი აზრები მართლა ყაჩაღებივით სძარცვავდნენ მას: _ უარყოფდნენ იმას, რასაც არჩილი შეზრდოდა, ხოლო დადებითად სამაგიეროს არაფერს აძლევდნენ. მათი გადამკიდე არჩილმაც მარტოოდენ ის იცოდა, თუ რა არ უნდოდა, მაგრამ რა უნდოდა, ეს კი ნათლად ვეღარ გაერკვია.

და ამისგნ იყო, რომ მოსვენება არ ჰქონდა, დღე და ღამე იტანჯებოდა.

...

საერთო კამერიდან გოგიას გვერდით საკანში გადაყვანამ არჩილის სულის ფორიაქს უფრო შეუწყო ხელი, ვინემ დააწყნარა.

გოგიას მისთვის არ სცალოდა. ათასი საქმე ჰქონდა. იგი პოლიტიკურებს მამასახლისად აერჩიათ და ახლა კიდევ მთელი დღე ციხის ცხოვრების განწესრიგებას უნდებოდა.

სხვა ამხანაგები კი არჩილს გარიდებოდნენ. მის განდმგომილებაში მათ ეჭვი შეეტანათ, პარტიული ხასიათის, და განდგომილობითვე ეპასუხნათ.

ზოგს კიდევ უკადრისობა დაეწამებინა.

მეოთხე კამერიდან ის აზრიც გამოსულიყო, თითქოს არჩილი სწორი მარქსისტული მსოფლმხედველობის ხაზიდან გადახრილიყოს და განსაკუთრებულად ეროვნულ საკითხში პარტიულ პროგრამას დაშორებულიყოს.

ამ კამერაში არჩილი ამხანაგებს დროგამოშვებით ლექციებს უკითხავდა მარქსიზმსა და სოციალიზმზე (ეს მოვალეობა ციხეში მეორე დღესვე დაეკისრებინათ მისთვის), და შიგადაშიგ, მსმენელების დასკვნის შეუფერებელ და თავისუფალ აზრებს გამოსთქვამდა. ხოლო, მიუხედავად მთელი კამერის მოთხოვნისა, ეროვნულ საკითხს სულაც არ ეხებოდა და თავის გადაჭრილ აზრს ამ საგნის შესახებ მალავდა.

ამ ბრალდების ნამდვილი ავტორი არჩილის ორი ღამის მეზობელი და ენგელსის «ანტიდიურინგის» ძილგამტყდარი კრიტიკოსი იუსტინე გამოდგა, რომელსაც თავისებური ანალიზი გაეკეთებინა არჩილის ლექციებისათვის და მის მარქსისტობაში ეჭვი შეეტანა.

ჭორმა არჩილამდისაც მიაღწია.

დაფიქრდა.

ნეტავი, ვინ შეიჭვრიტა მის სულში?

გოგიამაც ერთხელ შინაურულად, მეგობრულად ჰკითხა:

- არჩილ, გაჟეჟილს გატეხილი სჯობია. მოდი, გულწრფელად მითხარი, იზიარებ თუ არა ჩვენს ეროვნულ პროგრამას?

არჩილი მიხვდა, თუ საიდან მომდინარეობდა გოგიას შეკითხვა. პასუხი არ დაუყოვნებია.

- რა თქმა უნდა, ვიზიარებ. _ და მცირე დაფიქრების შემდეგ ჰკითხა: _ რატომ მკითხე?

- ჭორი ვრცელდება შენს შესახებ, ავტონომისტია და ნაციონალისტიო. _ ორაზროვნად გაუცინა, თვალებში შეხედა და ისე განაგრძო: _ ტყუილა კი არ მეგობრობს შალვა რამაძესო... მოდი ერთი გაფანტე ეს ჭორი, რომ არ დააფრთხო ამხანაგები: ერთი ლექცია წაგვიკითხე საგანგებოდ ეროვნულ საკითხზე. ავტორიტეტი აღიდგინე.

- ბატონი ბრძანდები, _ დასთანხმდა არჩილი.

მაგრამ შიგ გულში კი მთელ ამ ამბავს ისე განიცდიდა იგი, თითქოს ხმალამოღებული ჯალათები თავზედ დასდგომოდნენ და მისი განკითხვის დღეც

მოახლოვებულიყო.

...

გოგიას მიერ დავალებული ლექცია არჩილს ყოველი მხრით არაჩვეულებრივი გამოუვიდა.

თითქოს ვიღაცის ჯიბრზე თავის თავსაც გადააჭარბა და ძველი აღთქმის შთაგონებული წინასწარმეტყველივით დიდი რისხვითა და გადაჭრილობით გაილაშქრა იმათ წინააღმდეგ, ვინც სავსებით არ იზიარებდა რ.ს.დ.მ.პ. პროგრამას ეროვნულ საკითხში.

ეს იყო იშვიათი პათოსისა და უგულწრფელესი რწმენის სამაგალითო დემონსტრაცია.

არჩილი მთელი თავისი შეგნებით უარყოფდა ეროვნული საკითხის პრაქტიკულად დაყენების საჭიროებას საერთოდ რუსეთში და განსაკუთრებით კი ისეთ უმნიშვნელო კუთხეში, როგორიც იყვნენ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიები. (მიუხედავად აღფრთოვანებისა, არჩილს პარტიული შეხედულების წმინდა ფორმის დაცვაც არ დავიწყებოდა: _ წამოცდენითაც კი ერთხელადაც არ წამოსცდენია სიტყვა «საქართველო»).

ლექციის დასასრულიც ახალს არაფერს შეიცავდა. მაგრამ არჩილმა ისიც კი შესძლო, რომ ცეცხლი შეუკეთა გაცვეთილ აზრებს და მსმენელებს ისე მოაჩვენა ისინი, თითქოს პირველად ესმოდათ ათასჯერ გაგონილი და დაზეპირებული დებულებანი, როგორიც იყვნენ: ეროვნული საკითხის სახით მომავალი რეაქცია. საერთაშორისო გაერთიანება, როგორც ისტორიის გზა. სახელმწიფოთა შორის საზღვრების მოსპობა. ეროვნული პრობლემა, როგორც ბურჟუაზიული იდეოლოგიის მიერ გადმოსროლილი ანკესი მერყევთა დასაჭერად და გაერთიანებული მებრძოლი პროლეტარიატის საერთო ფრონტის დასაშლელად.

ჩვეულებრივი პროპაგანდისტისაგან არჩილი მხოლოდ იმით განირჩეოდა, რომ იშვიათი გატაცებით ლაპარაკობდა.

აუდიტორიის დიდმა უმრავლესობამ ორატორი ტაშით დააჯილდოვა, ოვაცია გაუმართა.

- ვინ სთქვა არჩილმა გვიღალატაო. _ გაისმა აქა-იქ და «იანტიდიურინგის»

კრიტიკოსს ზოგიერთებმა ნიშნის მოგებითაც გადახედეს.

ზოგი ამხანაგი ისე აღფრთოვანდა, რომ არჩილთან მიიჭრა და ხელის მხურვალე ჩამორთმევით გამარჯვება მიულოცა.

უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილიყო არჩილის კრიტიკოსი. რომ თავისი საქციელი გამოესწორებინა, ნარზე მაღლა შემდგარიყო და დიდი ტრიბუნივით ხელი ჰაერში შეეტყორცნა, ფანატიკური ანთებით ჰყვიროდა:

- ძირს ავტონომია. ძირს ბურჟუაზია, ძირს იდეალისტ-ნაციონალისტ-ფედერალისტ-მატყუარები! გაუმარჯოს სოციალიზმს, გაუმარჯოს მსოფლიოს! _ იძახოდა იგი და აღტაცებული ტაშს უკრავდა არჩილს.

მაგრამ თვითონ არჩილს კი უცნაური რამ დამართოდა.

თითქოს აუდიტორია ნამდვილად მის წინააღმდეგ ამხედრებულიყოს, კუთხეში საწყლად მიჩქმალულიყო და საჯაროდ სილაგაწნილივით სირცხვილისაგან იწოდა.

თვალებს ვერ ახელდა.

როცა «ანტიდიურინგის» კრიტიკოსს შეხედა და მის ოთხსართულიანს «ძირს» და «გაუმარჯოს» ყური მოჰკრა, ვეღარ გასძლო კამერაში და გასავალი კარისკენ გატყორცნილივით გაიჭრა.

- ვაშა! ვაშა! გაუმარჯოს არჩილ დადიშიანს! _ ზედ კართან ერთხელ კიდევ მიაძახეს ამხანაგებმა.

პანღურივით მოხვდნენ ეს სიტყვები არჩილს.

უკან არც კ მოუხედავს. ისე გაქანდა იგი თვის საკანისკენ.

...

საკანში შესვლისთანავე კარი ჩაირაზა და ლოგინზე პირდაღმა დაემხო.

გაყუჩდა.

დერეფანში ტუსაღები მოსმენილ ლექციაზე განაგრძობდნენ კამათს, ხმაურობა არჩილის საკანშიც შემოდიოდა.

არჩილმა ყურები თითებით დაიცვა. არ შეეძლო მისი გაგონება.

მალე გოგიაც მოადგა ოთახის კარს. ჩარაზული რომ ნახა, სარკმელში შეიჭვრიტა:

- გამიღე, არჩილ, მე ვარ.

გოგიას ხმის გაგონებაზე არჩილი უცებ გიჟივით წამოიჭრა ლოგინიდან. მივარდა

სარკმელს, რომელშიც გოგიას მოცინარი ცალი თვალი შემოიცქირებოდა.

ეს ხომ ის გოგიაა, რომელმაც არჩილს ლექციის წაკითხვა ჩააგონა და იმის შინაარსიც წინასწარ განუსაზღვრა, რაც უნდა ეთქვა.

- გამიღე, გამარჯვება მინდა მოგილოცო, _ გაიმეორა გოგიამ შეტკბილებული ხმით.

არჩილმა რაზას ხელი აჰკრა.

გოგია შევიდა. შეიღიმა.

მშვიდი სახე ჰქონდა. თვალების ურყეველი გამომეტყველება, შიგ არჩილისადმი მიმართული ალერსი უკიაფებდა, მოწონება, სიყვარული.

დაჭიმული კუნთები ისევ მოეშვნენ არჩილს. თვალები ვერ გაუსწორა ამხანაგს. ძირს დახარა.

- მომილოცავს, არჩილ! ძალიან «დაგიცხია!» _ მიულოცა გოგიამ. _ ყოჩაღ! ვწუხვარ: შემთხვევით ვერ დავესწარი! _ და ხელი ჩამოსართმევად გაუწოდა.

არ უპასუხა არჩილმა. ხელიც არ მისცა. ზურგს უკან დამალა. ამღვრეული ჰქონდა თვალები. სახის კუნთები უცნაურად უკრთოდნენ.

- გოგი... სუ... სუ... თორემ... _ ძლივს წარმოსთქვა და აკანკალებული მარცხენა ხელის თითები ზედ სახესთან მიუტანა რაღაც გაუგებარი ნიშნის ჩვენებით, რომელიც უფრო გაუბედავად მუქარას გამოხატავდა.

- რა ამბავია? _ გაუკვირდა გოგიას მეგობრის გაუგებარი აღელვება.

- ასე რას აუღელვებიხარ, ბიჭო?

თვალებში შეხედა.

- სთქვი, რა მოგივიდა? _ და არჩილს უცნაურად აკანკალებულ, მის სახესთან მუქარით მიტანილ ხელზე მოფერებით ხელი მოჰკიდა. ძირს დააშვებინა.

ამ ლექციამ არჩილი იმ დასკვნამდის მიიყვანა, რომ მისი პიროვნება განადგურების გზაზე იდგა და ამ თავითვე ხსნა იყო საჭირო, რათა სულ არ დაღუპულიყო. მის გაორებას საზღვარი უნდა დადებოდა.

ლექციის ანალიზმა საშინელი შედეგები მისცა. უფსკრულები აღმოაჩენინა.

ძალიან რთული ფსიქოლოგიური ხლართის გაშლა დასჭირდა.

უწინარეს ყოვლისა მისი ყურადღება იმ ფაქტმა მიიპყრო, რომ რამდენადაც

აღფრთოვანებული და ბეჯითი იყო მისი გლაშქრება საქართველოში ეროვნული საკითხის წამოყენების წინააღმდეგ, იმდენად იგი არ შეეფერბოდა მის ნამდვილ აზრს და მის ნამდვილ რწმენას არ გამოხატავდა.

აი, ეს მომენტი ჰქონდა ახლა არჩილს ანალიზის ნიშანში ამოღებული.

ეჩვენებოდა, რომ ვიღაცის შთაგონება ალაპარაკებდა და მის ნებისყოფას ისეთი სალტე ჰქონდა შემორტყმული, რომ სხვანაირად ვერ მოიქცეოდა.

რა იყო ეს?

ერთს გარემოებას ადვილად ითვალისწინებდა:

ეს იყო ის, რომ არჩილი თავიდანვე აზროვნების გარკვეული სისტემის რკალში მოექცა. ამ სისტემამ გიმნაზიის სკამიდანვე დაიპყრო მისი სული და გული, მზა-მზარეული აზრები ჩაულაგა თავში. შეუდედა. შეუხორცა.

ინერცია დაეუფლა მის გონებას.

და გონება ხომ კონსერვატორია.

ამ მხრით არჩილს გასაგებად მიაჩნდა ყოველივე, რაც სჭირდა.

გაუგებარი იყო ის, თუ საიდან არჩილს ის იშვიათი პათოსი, ეჭვმიუტანელი აღფრთოვანება, რწმენის ძალა, რამაც მოხიბლა მსმენელნი.

რომელ წყაროდან მომდინარეობდა ეს უცნაურება?

საიდან იყო, რომ არჩილის ლექცია ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს ყველა მისი ფიქრის, გრძნობის, მთელი მისი არსების ერთადერთი მამოძრავებელი ის იყო, რასაც ამბობდა, და გარეშე ამისა. არჩილისათვის თითქოს არაფერი არ არსებობდა.

და ეს კი ნამდვილად ტყუილი იყო. ნამდვილი ის იყო, რომ არჩილს არ სწამდა ის, რასაც ისეთი აღფრთოვანებით ამბობდა.

ვერ გარკვეულიყო.

უფრო მისტიციზმის ბილიკებით მოდიოდა მისი მიხვედრა.

რომელიღაც გრძნობით კი გრძნობდა, რომ რაღაც გამოუცხადებელს, ფარულად მოქმედ შიშს ჰყავდა იგი ტყვედ, მაგრამ მის დასაბამს ვერ მისწვდენოდა. ხან ახლოს ეჩვენებოდა იგი, საკუთარ არსებაში, ხან კიდევ შორს.

რ.ს.დ.მ.პ.-ის მაგიერ ბრჭყალებსაც კი ხსნიდა და იქ ეძებდა უცნაური მოვლენის ფსიქოლოგიურ ახსნას. თვითონ მარქსისტული აზროვნების სისტემის შორეულ

კუნჭულებშიც იჭვრიტებოდა და საკუთარი შეგნების ფორმაციის საფეხურებსაც სინჯავდა ათასნაირი მიდგომითა და სხვადასხვა თვალსაზრისით, მაგრამ ამაოდ, მიზანს ვერ სწეოდა.

ძალიან შორეულმა და მისთვის სრულიად უცხო აზრმაც რამდენიმეჯერ კი გადაურბინა მისტიურ მოლანდებასავით შორს გაჭრილი ფიქრების წინ, მაგრამ ისევ მიეფარა შეუცნობის ფარდას.

ეს იყო ჯერ კიდევ უსახო აზრის პირველი გაელვება არჩილის შეგნებაში, უფრო ინსტიქტიდან გამომდინარე, ვინემ ცნობიერებიდან.

მართლაც მოლანდება.

მოლანდება არჩილის მიერ უხსენებელი საქართველოს ისტორიისა და ოდესღაც ძლიერის, მაგრამ ამჟამად განადგურებული მოდგმის დაშინებული სულისა, რომელსაც საკუთარი თავის უარყოფა დაშთენოდა თავდაცვის უკანასკნელ და ერთადერთ საშუალებად, რომ არსებობა განეგრძო.

მაგრამ ამ წამიერ ინსტიქტურ ცხადებას არჩილის შეგნებამდის ჯერ კიდევ ვერ მიეღწია.

III

შალვა რამაძის ხელით არჩილმა რომ ცაცას გამოსათხოვარი წერილი გაუგზავნა, ეს იყო შედეგი მისი ახალი სულიერი განწყობილებისა, რომელსაც, განსაკუთრებით უკანასკნელი ლექციის შემდეგ, გარკვეული სახე და შინაარსი მიეღო.

სულიერი მთლიანობის აღსადგენად, არჩილს გადაეწყვიტა, უწინრეს ყოვლისა, შინაგანი დამოუკიდებლობა და ხასიათის სიმტკიცე მოეპოვებინა.

ცხადი იყო: შერყეულ, დაქსაქსულ და დაბნეულ პიროვნებას დიდი განწმენდა ეჭირვებოდა.

ამ მიზანს რომ სწეოდა, ფიქრობდა თავისსავე თავს შებრძოლებოდა და ამით ისეთი ტნჯვის ცეცხლი შეეკიდებინა სულისათვის, რომ შიგ საბოლოოდ გამოეწვა და გამოებუგა ყოველივე, რაც კი აქამდე შეგნებასა და სინდისზე დალექოდა.

თავდაპირველად ცაცასგან უნდოდა თავი გაენთავისუფლებინა.

არჩილი ახლა ისე ფიქრობდა, რომ ცაცასადმი სიყვარულსაც მხოლოდ ინერციით

ედგა სული. ალბათ, ასე მოხდა ადრე, სიყრმეში: ჯერ კიდევ მოუმწიფებელს მოეჩვენა, რომ ცაცა შეუყვარდა. არჩილიც თანდათან შეეჩვია ამ მოჩვენებას, როგორც სინამდვილეს. შეეჩვია ისევე, როგორც ამ აზრებს, რომლების ზეგავლენით აღიზარდა და რომლებსაც ამჟამად თავიდან ვერ იცილებდა. თუმცა ისინი უკვე აღარ სწამდა.

ასე რომ არ ყოფილიყო, ან ასე რომ არ იყოს, როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ ნამდვილი სიყვარული რწმენის არეშე. როგორ შეიძლება ერთ გულში ერთად მოთავსდნენ სიყვარული და დაუსრულებელი ეჭვიანობა, უნდობლობა, წამდაუწუმი წინააღმდეგობა? სიყვარულს უწინარეს ყოვლისა რწმენის სხივი უნდა აცხოველებდეს, როგორც ქვეყანას მზე. უმზეო ქვეყანა სად გაგონილა, და რწმენა კი მზეა სიყვარულისა. არჩილს არ აქვს რწმენა ცაცასადმი, მაშასადამე არც უყვარს ცაცა.

დიაღ, არჩილს უწინარეს ცაცასთან განშორება ჰქონდა გადაწყვეტილი. ამით უნდოდა თავიც გამოეცადნა: ეყოფოდა თუ არა ხასიათი, ნებისყოფა იმ დაბრკოლებათა დასაძლევადაც, რომლებიც უთუოდ წინ გადაეღობებოდნენ, როცა ახალი ცხოვრებისა და შეგნებისათვის ბრძოლას დაიწყებდა.

ბევრი იფიქრა იმ წერილზე, რომელიც შალვას ხელით ცაცას გაუგზავნა. მთელი ღამე არ უძინია. ბოლო იმით გაათავა, რომ ყოვლად შეუფერებელი რამ საქციელი დაიბრალა იმისათვის, რათა გულფიცხ ცაცას თავად გადაედგა გადაჭრილი ნაბიჯი და უღირს არჩილს ერთბაშად გაცლოდა.

ასე კი მოიქცა არჩილი, მაგრამ წერილის გადაცემის მეორე დღესვე იჭვი აღეძრა: არ დაიჯერებს ცაცა, განსაკუთრებულ ნებართვას იშოვნის, შემოვა ციხეში და შემაჩვენებს, დმტუქსავს: როგორ გაბედე, რომ ასეთი წერილი მომწერეო, ჭირში ხარ და თავს როგორ დაგანებებო.

თუ ვუყვარვარ, უთუოდ ასეც მოიქცევა, ფიქრობდა იდუმალ არჩილი და ამ შეხვედრისათვის ემზადებოდა, რომ ცდა არ გაბათილებოდა.

მაგრამ ნამდვილად ცაცა არც თავად გამოცხადდა ციხეში და არც რაიმე პასუხი გასცა არჩილს.

სამაგიეროდ სწორედ მეორე დღესვე რამაძემ ქართული «სახარება» შემოუგზავნა ენაში სავარჯიშოდ და ცაცას შესახებ უბრალოდ და მოკლედ აცნობა:

«ამა და ამ დღეს ცაცა მოსკოვს მიემგზავრება ამხანაგებთან ერთადო».

მოულოდნელი იყო არჩილისათვის ასეთი იოლი გამარჯვება.

გახარების მაგიერ გული დაწყდა.

სიცალიერე იგრძნო, იქ, სადაც ცაცა ეგულებოდა და სადაც პირველი იერიშის მიტანას ლამობდა. მტერი არსად იყო.

ნუთუ ასე უბრალოდ გათავდა ის დიდი, ხანგრძლივი კავშირი, რომელიც მას ცაცასთან აერთებდა?

ასე უბრალოდ: თითქოს არაფერი ყოფილიყო!

შეუძლებელია: უთუოდ იყო რაღაცა, მცირეოდენი მაინც იმ დიდი კავშირისა, რომელსაც სიყვარული ჰქვიან.

სად არის ეს მცირეოდენიც?

«ამა და ამ დღეს ცაცა მოსკოვს მიემგზავრება».

მეტი არაფერი.

აჰა�ა... თუ ასეა, რა დიდი მიხვედრის კაცი ყოფილა არჩილი, რომ ცაცაში ეჭვი შეჰქონდა და მისი სიყვარული არა სჯეროდა! გაუმართლდა, რასაც ფიქრობდა: თვალთმაქცობა იყო ყოველივე.

«რა სცოდნია ამ ციხეს: აი, ესეც რა ამბავი გამოაშკარავა».

ჰმ... იქნება, გაუხარდა კიდეც ცაცას არჩილის წერილის მიღება. ისე გაუხარდა, რომ წაკითხვის უმალვე ბარგის შეკვრას შეუდგა. თანამგზავრებთანაც ცნობა აფრინა: _ მომილოცეთ, გავთავისუფლდი და მოვდივარო.

ამის შემდეგ განა გაემტყუნება არჩილს, რომ აღარ სწამდეს, რაც სწამდა და მთელი თავისი ცხოვრების გადასინჯვის და გადაფასების საჭიროებას გრძნობდეს?

მაშ, გაიყარა არჩილისა და ცაცას გზები.

- გზა მშვიდობისა, ქალბატონო რამაძის ქალო!

არჩილს წინ სულ სხვა, ახალი გზა უდევს. ეს არის წამების გზა, რომელმაც ახალი არჩილი უნდა დაბადოს, ცეცხლში ფოლადივით გამოწრთობილი. ძლიერი, დიდი.

რა იყო არჩილი აქამდე?

არჩილ დადიშიანის სახელწოდებას ატარებდა მხოლოდ, არჩილ დადიშიანი კი არ იყო.

და ეს უმთავრესად, იქნება, ცაცას წყალობით სჭირდა მას!

ამ ტანჯვის გზას, რომელიც არჩილს ახალმა ბედმა არგუნა, იგი მარტოდ-მარტო გაივლის! _ ციხე, ბორკილები, კატორღა, იქნება სახრჩობელაც, ეს იმ დიდი კიბის სანატრელი საფეხურებია, რომლებმაც არჩილი საბოლოოდ ახალი შემეცნების მწვერვალამდე უნდა აიყვანონ და ახალ სულიერ ყოფას აზიარონ.

არა თუ თანამგზავრი, თანამგრძნობიც კი არ ესაჭიროება არჩილს ამ გზაზე. რა ტანჯვა იქნებოდა ქრისტეს ტანჯვა, რომ მისი ტვირთი ვისმეს გაენაწილებინა? _ მახარებლებმა უთუოდ იცოდნენ, რასაც სწერდნენ.

- გზა მშვიდობისა, ცაცა რამაძის ქალო!

არჩილმა ამიერიდან კარგად იცის, თუ რა უნდა მოიმოქმედოს. ახლა ერთია იგი, მარტო. ცაცას ხუნდის სოლები არ უჭერდნენ სულსა და გულზე. მით უფრო ადვილად შესძლებს იგი მოიპოვოს საკუთარი «მე», რომელსაც აქამდე სხვები ათრევდნენ და სთელავდნენ განუკითხავად, _ სხვები, ყველა, მთელი ქვეყანა, პარტიიდან დაწყებული და რამაძის ქალი გათავებული...

...

ეს ის დღე იყო, როცა არჩილმა შალვა რამაძისაგან ცნობა მიიღო ცაცას გადაწყვეტილების შესახებ, და არჩილიც თავის პატარა გალიიდან სამუდამოდ და უკვე დაუფარავად ემშვიდობებოდა ცაცას და მასთან ერთად კიდევ ბევრს რასმე, რაც მას გარეშე ქვეყანასთან აკავშირებდა.

ამ დღეს გოგია დილიდანვე არაჩვეულებრივად აღელვებული და მოუსვენარი იყო. ძალზე შემკრთალი და შეშინებული სახე ჰქონდა. ასე დარბოდა მთელ ციხეში ბორკილების ჩხარუნით.

არავინ უშლიდა ხელს, რადგანაც «მამასახლისი» იყო. ანტონა-ფერშალს დაეძებდა, და ეგონათ, რომ ტკივილი რამ აწუხებდა და წამალი სჭიროდა.

უფრო ხშირად მაღლიდან ქვემო სართულში ჩარბოდა, სადაც ციხის საავადმყოფო იყო გამართული. აქ პატრა აფთიაქში შედიოდა _ ისევ იმავე ფერშალს კითხულობდა.

ციხის ფერშალი, ანტონი კი ჯერ კიდევ არ მოსულიყო.

გოგია ბრაზობდა. იგინებოდა. კბილებს აკრაჭუნებდა.

იქნებ მოვიდა და სადმე კამერაშია, «შემოვლაზეო!»

მერე ისევ მაღლა არბოდა შეწუხებული და პოლიტიკურების დერეფანს

მიაშურებდა.

აქ წაღმა-უკუღმა დაუწყებდა მიმოსვლას ქუჩის მხრით ჩამწკრივებული ფნჯრების გასწვრივ. ზოგ ფანჯარასთან ნაბიჯს შეანელებდა, ზოგთან შედგებოდა და თვალებს მალულად მოავლებდა ციხის პირდაპირ, ქუჩის პირად მდგარ პატარა ერთსართულიან თეთრ სახლს.

სახლის წინ ეტლი იდგა და მის უკან ურემი. კურტნიან მუშებს სახლიდან ბარგი გამოჰქონდათ. ზოგს ურემზე ლაგებდნენ, ზოგიც თვითონ მიჰქონდათ სადღაც.

სახლი იცლებოდა.

უეჭველი იყო, რომ გოგიას თეთრი სახლის მდგმურები მიდიოდნენ, ბინას სცლიდნენ.

გოგიას კი დათოსგან თავის წერილზე ჯერ კიდევ პასუხი არ მიეღო, და არ იცოდა, თუ რა ეწია მის გეგმას, რომლის ბედი თეთრი სახლის ძველი მდგმურების გადასვლისა და ახლების შემოსვლის მომენტს უნდა გადაეწყვიტა.

ეს მდგმურები კი მიდიოდნენ, ამას გოგია დილიდანვე ხედავდა, მაგრამ მათ შემდეგ ვინ აპირებდა სახლის დაჭერას, ეს არსაიდან ჩანდა.

ანტონა-ფერშალს გოგია იმიტომ დაეძებდა მთელ ციხეში, რომ ის დღეს მორიგე იყო და დათოსაგან პასუხიც მას უნდა მოეტანა.

ეს ანტონა პარტიული იყო, ციხის ფერშლის ადგილზე ვასოს მოხერხებით ჩარიცხული ციხესა და პარტიას შორის ცოცხალი კავშირის დასამყარებლად.

თითქოს დღეს განზრახ აგვიანებდა ანტონა.

გოგიას თითქმის იმედი გაუწყდა: მისი თეთრი სახლის მობინადრენი აიყარნენ, და დაცარილებული სახლის დაბალ აივანზე ახალი პატრონი გამოჩნდა: «კაკარდიანი» რუსული ქუდით თავზე, გადმოშვებული ფართე შალვრით და უმასრო, უხანჯლო ჩოხით ტანზე.

ის იყო საშინელი გინება უნდა მოსწყდომოდა გოგიას ენაზე და ფანჯარას მოშორებოდა, რომ სახლის წინ ჩამავალ ქუჩაზე ამხანაგი დათო გამოჩნდა. სახლს ჩაუარა კარგა მანძილზე და მერე უცბად ციხისკენ მოიხედა.

სახის დაღრეჯითა და ხელის ნერვიული ქნევით შეხვდა მის მოხედვას გოგია.

დათომ პასუხად ცალი ხელი მაღლა შეისროლა და თითები ისე აათამაშა, თითქოს

გოგიას ანიშნაო: არხეინად იყავი, ყველაფერი კარგად ეწყობაო.

მერე მიიმალა.

გოგია ვერ მიხვდა ამხანაგის ნიშნის აზრს. ამან უფრო გააბრაზა.

შესაგინებელი სიტყვა რომ ჰქონდა მომზადებული, შესისინებით დაადევნა დათოს და ფანჯარას სასოწარკვეთილი ხელის ჩაქნევით მოშორდა. თავის საკანისკენ გაეშურა.

გულმა მაინც არ უქნა, რომ ერთხელ კიდევ საავადმყოფოში არ ჩასულიყო და ის «მამაძაღლი» ანტონა არ მოეკითხნა.

კიბეზე რომ ჩადიოდა, ანაზდად წინ ფერშალი შემოეყარა.

- სად ხარ, კაცო, ამდენხანს? _ თავი ვერ შეიკავა და ხმამაღლა შეუწყრა გოგია ანტონას, თითქოს მისი უფროსი ყოფილიყო.

- რაშია საქმე? რა ამბავია? _ წარბების შეკვრით შეუტია სამაგიროდ ფერშალმაც თავისი ოფიცილური ღირსების დასაცავად.

სხვებიც ჩადიოდნენ, ამოდიოდნენ კიბეზე. გოგიამ იგძრნო, რომ უხერხულად მოექცა. მოეწონა, რომ ამხანაგი არ დაიბნა და თავი შესაფერისად დაიჭირა.

- რა მბვია და, ჩემო ძმაო, აქ ხალხი იხოცება და ექიმები დროზე ყურდღებას არ გვაქცევთ. სხვა რა იქნება! _ გაასწორა თავისი საქციელი გოგიამ. _ რა ჰქენი, წამალი მომიტანე?

- არის, ნუ გეშინია, მოთმინება იქონიე!

- მაშ, მომეცი რაღა?

ძირს დაეშვნენ. პატარა სააფიაქო ოთხში შევიდნენ.

«დღეს საღამოთი ჩვენები ჩასახლდებიან. დაინახავ, ვინც იქნებიან, საქმე დავიწყეთ, დაწვრილებით «ნახვაზე!» _ სიტყვასიტყვით ეს დამაბარა დათომ. აი, შენი წამალიც, ეს ცნობა არის, _ უთხრა ანტონ-ფერშალმა გოგიას.

- მეტი არაფერი? _ გაუბრწყინდა შავი სახე გოგიას.

- ის მითხრა კიდევ, ამის შესახებ სიტყვა სულ არავისთან დასძრაო.

- ჰერიჰე, ჭკუის სწავლებაც დამიწყო?! კეთილი, ჩემო ანტონ! გადაეცი: ვუთხარი-თქო და ძალიან გაეხარდა-თქო, ცნობა ყოველთვის დროზე მიაწოდე-თქო და «ნახვის» დღეს მაინცდამაინც ნუ უცდითქო... ასე თუ კიდევ რამე დასაბარები მექნა, სანამ წახვალ, შეგატყობინებ.

და გოგია ჩხარაჩხურიანი ნაბიჯით ისევ მაღლა სართულში ავარდა.

ახლა არჩილთან შეიჭრა საკანში.

...

თითქოს თავად ქორი ყოფილიყოს და არჩილი კი წიწილა, ისე თავზე დააფრინდა გოგია მეგობარს.

ფართოდ გაშლილი ხელები ზურგზე ორივე მხრით სალტესავით მოსდვა და ასე გულში მაგრად ჩაიკრა, მერე ბურთივით მაღლა აისროლა.

- გაიხარე, არჩილ: მივდივართ! მივდივართ! მივდივართ გარეთ, თავისუფლებაზე... სადაც ცხოვრება სდუღს და გადმოდუღს! რომ იცოდე, რა ბედნიერი ვარ!

მერე ლოგინზე ჩამოჯდა, არჩილი გვერდით მოისვა, სიტყვის ამოღებაც არ დააცალა, ისევ თვითონ განაგრძო.

დაწვრილებით უამბო თავისი გეგმის ისტორია. ტრაბახსაც არ დაერიდა.

ამ დილის ამბავიც გადასცა, რაც შიში განიცადა, და ახლა კი რად იყო აგრე გახარებული.

- მე კი არსად მივდივარ, ჩემო გოგი, შენთვის გზა დამილოცავს, _ ცივი წყალი გადაასხა აღტაცებულ მეგობარს არჩილმა.

- ბიჭოს! ეს ვითომ რატომაო?

- სად წავიდე, ან რისთვის? გარეთ რა დამრჩენია?

- თავისუფლება, არჩილ! თავისუფლება! ამაზე უკეთესი რაღა იქნება, ანადა ამაზე დიდი!

- სულ ტყუილია, თითქოს იქ, გარეთ, თავისუფლება იყოს... არა, გოგია, ჩემი ბედი სხვა არის. ნუ ვილაპარაკებთ ამაზე.

- რა ბედი, რის ბედი: მეხუმრები და ეს არის. ჩვენი ბედი ჩვენ თვითონა ვართ! მაშ! რას მიჰქარავ! ჩვენი ამხანაგები ჩვენთვის რომ თავს სწირავენ, ეს არაფერი არ ყოფილა, შენი აზრით, თუ რაღაც ბედზე ვართ დამოკიდებული!.. ხომ ხუმრობ, არჩილ, მითხარი, თუ ძმა ხარ?

ბალღივით გაიბუტა არჩილი.

- არა... არ ვხუმრობ, გოგი.

- მაშ, მითხარი, შენ თავს რა ამბავია? აი, გისმენ.

- მაგდენიც არაფერი. შენ გიხარია, რომ ციხიდან მიდიხარ და თავისუფლება მოგელის. მე კი აქ, ციხეში ვფიქრობ თავისუფლება მოვიპოვო.

- არაფერი არ მესმის. აქ, ციხეში, მხოლოდ აბლანდია არის თავისუფალი... მე კი მგონია, რომ ხუმრობ, კარგი, გეყოფა: დიდი სამუშაო მოგველის და მზად იყავი, ჯერ ეს ამბავი აქ მხოლოდ ორმა ვიცით: მე და შენ.

- მუშაობით ვიმუშავებ, მაგრამ წამსვლელი არა ვარ!

- გაჩუმდი თორემ... იცოდე, გცემ! შენ რაღაც ცხვირი ჩამოუშვი ამ ციხეში «ლიკვიდატორი» ხომ არ გამხდარხარ! მგონია, იმ ლექციამაც ცუდად იმოქმედა შენზე, ალბათ, ვინმემ გაწყენინა. რა მერე? ჯანდაბას ყველა ლექცია მისი ფილოსოფიითა და ათასნაირი პრობლემებით. დაანებე, თუ ძმა ხარ თავი. ოღონდ ჩვენ ვიყოთ კარგად და თავისუფლები და დანარჩენი ყველაფერი თავისთავად მოგვეცემა: ავტონომია გინდა, ცენტრალიზაცია, თუ ფედერაცია. რას აკლავ თავს? მართალი გითხრა, ამაზე ძალიან ნაკლებად ვფიქრობ. სისულელეა. დავიცადოთ. მოვესწრებით. ჯერ გავიმარჯვოთ, დათვი მოვკლათ და მერე, მერწმუნე, ადვილად მოვახერხებთ მისი ქონისა და ტყავის განაწილებას!

- ყოველივე, რაც სთქვი, მე ახლა ნაკლებად შემეხება, გოგი. მე სულ სხვა ფიქრებიდან გამოვდივარ. როგორც გინდა, გაიგე: იმდენ ღირებულებას არ წარმოვადგენ პარტიისათვის, რომ მან ჩემთვის მსხვერპლი გაიღოს...

- ჰიი, კარგი ერთი! სტუმარივით ნუ გიჭირავს თავი... რა დროს მორცხვობაა! თუ მაინცდამაინც ასე გინდა ამ საქმეს მიუდგე, შენი ღირებულების საკითხის გადაწყვეტა ჩვენ მოგვანდევი... შენ ამას რავინ გკითხავს. რაც შეეხება იმას, რომ რაღაც მოშვებულხარ ყაზახი და თავში ქალაჩუნა აზრები გაგჩენია, ეს იმის ბრალია, რომ, ალბათ, უსაქმურობით ამ ციხეში ფოთიდან გამოყოლილი მალარია მოგერია და ავად ხარ. აი, საქმეს რომ შევუდგებით, უცბათ გაგივლის. მე დამიჯერე.

ამაზე პასუხის გაცემა არ დაანება გოგიამ არჩილს. ხელის გული პირზე მიაფარა და გააჩუმა.

- სუ, სიხარულს ნუ მიწამლავ. თორემ მოგახრჩობ! _ შეეჭიდა, ერთხელ კიდევ ხელი მოხვია, გულში ჩაიკრა.

ამ დროს კარზე დააკაკუნეს.

გოგიას ნაცნობი ციხის მეკარის თანაშემწე, ქერა რუსი, სარკმელთან მომდგარიყო და საკანში იჭვრიტებოდა.

არჩილ დადიშიანს კითხულობდა.

წამოხტა გოგია. კარი გაუღო.

- რა გინდა, პავლიკ? შემოდი.

რუსი მორიდებით შევიდა, ხელში სუფთა, თეთრ ხელსახოცში გახვეული შეკვრა ეჭირა.

- დადიშიანი არჩილ, _ იკითხა კიდევ ერთხელ.

- რა გნებავთ? _ ახლა არჩილიც წამოდგა და მოულოდნელ სტუმარს შეეგება.

მეკარე არჩილის პაწია მაგიდას მიუახლოვდა და ზედ ფრთხილად დადვა შეკრული. მერე არჩილისაკენ მობრუნდა და დაბალი, მაგრამ საზეიმო ხმით განაცხადა:

- ციხის უფროსის მეუღლე დადიშიანს სადილით მოიკითხავს. _ ამ სიტყვებით თავი დაუკრა არჩილს და გაღიმებული კუთხეში დადგა.

არჩილი დაიბნა. გაკვირვებით გადახედა გოგიას.

მაგრამ გოგიასთვის ენა ჩაეგდო პავლიკას მოულოდნელ და საკვირველ მისიას. მეკარემ კი ამასობაში ერთხელ კიდევ დაუკრა თავი მეგობრებს და ოთახიდან გავიდა.

- რაო, რაო? რაღაც გაუგებრობაა, მგონია... ვერ გავიგე კარგად, _ სთქვა ბოლოს გოგიამ და შეკვრას დაუწყო თვალიერება.

- ეს ამბავი რაღაც ზღაპარს ჰგავს, გოგი. ალბათ, მისამართი შეეშალა რუსს. _ როგორც იქნა, არჩილმაც დასძრა ენა.

- კი, მაგრამ შენს გვარს რომ გარკვევით ამბობდა!.. მოდი, გავხსნათ. რა ამბავია, _ და გოგიამ ხელსახოცის დამარყუჟებული წვეტები გაშალა.

ორ რიგად ერთმანეთზე ელაგა ლამბაქებ გადახურული თეფშები.

ფრთხილად გადმოალაგა ისინი გოგიამ.

ერთზე _ შამფურზე ახლად შემწვრი დაბრაწული ვარია იდვა. მეორეზე _ სულგუნის დიდრონ ნაჭრებით ამოვსებული ცხელი ღომი.

საჭმელს ოხშივარი ასდიოდა და გარშემო ნერწყვის მომგვრელ სურნელს აყენებდა.

- ბიჭოს! აი, ნამდვილი მეგრული სადილი. არჩილ, მართალია რუსი: უთუოდ შენ გეკუთვნის! იცოდე, რომ აქ სადმე წერილიც იქნება... აი, ნახავ.

გოგიამ ხელსახოცი აიღო. დაბერტყა. იატაკზე მართლა დავარდა ოთხად გაკეცილი ქაღალდი.

ქაღალდს არჩილი დაწვდა. აიღო. გაშალა.

- ბიჭოს! ვიღაცა მართლა მე მწერს. მოიცა... ა? «ვარდო ვარაძის ქალი». გოგი, მოდი, შენც წაიკითხე. ხომ ასე სწერია?

- სწორეა: ვარდო ვარაძის ქალი... თავიდან წაიკითხე ბარემ.

- ძვირფასო და პატივცემულო არჩილ. დედათქვენმა დამავალა ხანდახან ჩვენებური სადილით გაგიმასპინძლდეთ. იმედია, მოგაგონდებით თქვენი მეზობელი და ბავშვობიდანვე თქვენი მოყვარული და პატივისმცემელი ვარდო ვარაძის ქალი».

არჩილის განცვიფრება აუწერელი იყო. ხან წერილს დახედავდა დაბნეული, ხან გოგიას შეხედავდა.

- კი, მაგრამ «უფროსის მეუღლემ» გამოაგზავნაო, რუსმა ეს საიდან წამოაყრანტალა? რა შუაში იყო! ჩანს, ვიღაცა ვარდო გზავნის დედაშენის დავალებით. არჩილ, არ გაგონდება ეს ვარდო?

- დაიცა, გოგი. როგორ არა. ის ვარდო... ის ვარდო... ანდროს ვარდო...

- ჰო, ერთი სიტყვით, ვარდო!

არჩილს უცნაური შიში გამოხატვოდა სახეზე.

თითქოს ახლა ამ წამში ეთქვას ანდროს მისთვის «ვარდო გაათხოვესო», ისე ხელახლად მოესმა არჩილს ეს სიტყვები.

«მაშ, აქ ყოფილა გათხოვებული? მაგრამ «უფროსის მეუღლემ» გამოგზავნაო, ეს კიდევ რას ნიშნავს, ნეტავი?»

- ჰა... _ თითქოს გამოიცნოო, ისე წარმოსთქვა ბოლოს.

- არჩილ, აბლნდიას ცოლი მეგრელი ქალი არისო. ამბობენ... ეს შენი ვარდო მართლა მისი ცოლი არ იყოს, კაცო! ა? ვერ გაიხსენე?

ა? გახსენებით როგორ ვერ გავიხსენე, მაგრამ... აქ კიდევ რაღაც სხვა მბავია, იცოდე. მოდი, რა ჰქენი, იცი. გოგია: ნახე ერთი ის შენი პავლიკა-რუსი და კარგად გამოჰკითხე, ვისგან არის. ვინ მისცა. სად მისა და რა პირობებში. რომ გაახოვეს ის

ვარდო, თვითონ ანდრომ მითხრა, მაგრამ ვისზე, ეს კი არ უთქვამს.

... საღამოს ბინდი მოახლოვებულიყო.. ციხე ჩაისთვის ემზადებოდა. ზოგი ცხელ წყალს იმარაგებდა, ზოგი პურს, იყო შაქრის დასესხება კამერიდან კამერაში.

მორიგეები «პრაშკებს» ასუფთავებდნენ. თავიანთ კამერაში ეზიდებოდნენ.

საქმეს უფრო ადრე მორჩომილებიც იყვნენ. ახლა ესენი კუთხეკუთხე შეჯგუფებულიყვნენ და სიმღერა დაეწყოთ. გურულებს ცალკე, მეგრელებს კიდევ ცალკე.

კრიმანჭულის ჯიბრი გაჩაღებულიყო.

გოგია ამ დროს განცალკევებული იდგა დერეფნის კუთხეში და ფანჯრის ყურეს მიყუდებული თვალების მოუცილებლად გადასცქეროდა «თავის» ერთსართულიან თეთრ სახლს.

იგი მოუთმენლად მოელოდა ახალ მდგმურებს, რომლებიც მიღებული ცნობისდა მიხედვით, საცა იყო, უნდა გამოჩენილიყვნენ.

ის-იყო, ქუჩის ფარნებიც აინთო აქა-იქ ქალაქში, რომ ეტლმაც სახლის მახლობლად გაირახრახა. მერე ციხის მხრით ჩამავალ ქუჩაში შემოუხვია და თეთრ სახლს გაუპირისპირა.

გოგიამ კარგად დაინახა გარშემო, წინ და უკან ბარგებშემოწყობილი ორი ქალი _ ერთი ქუდიანი, მეორე უბრალო თავსაკრავიანი, რომელთაც ეტლი მოაქროლებდა.

კოფოზე, მეეტლესთან, დიდი კოლოფით ხელში ვინმე ყაბალახჩამოფხატული იჯდა და ყაბალახქვეშიდან მალვით ციხისკენ იმზირებოდა.

«ნუთუ ისინი არიან? ქალები!» _ შეიკვირვა გოგიამ.

მაგრამ უცბად კოფოზე მჯდომარი ყმაწვილი ეცნაურა. დააკვირდა.

«უთუოდ ის ბიჭია, არჩილის დედასთან ერთად სანახავად რომ იყო! სწორედ ის! არჩილის ბარგი რომ ხელში ეჭირა».

სიხარულისა და გაკვირვებისაგან შეაცახცახა გოგიას.

ეტლი სახლის წინ დადგა.

მაშინ გოგია გიჟივით მოწყდა თავის ადგილს და არჩილის ოთახისაკენ გაექანა.

გამოიხმო არჩილი. ხელი მარწუხივით მკლავებზე ჩაავლო და დერეფანში გამოიყოლა.

- მოდი, რა გაჩვენო. მაგრად იყავი, გაკვირვება არავინ შეგატყოს.

ფანჯარასთან მიიყვანა. გადაახედვინა.

ეტლიდან ქალები ჩამოსულიყვნენ, და მათ მხლებელს, ყაბალახიან ყმაწვილს, ახლა ბარგი ჩაჰქონდა ძირს.

თითქოს უცნაურმა ძალამ თვალები მოსჭრაო არჩილს. ისე შეაქანა თავი ამ ყმაწვილის დანახვაზე და ფანჯარასაც მყისვ მოშორდა.

- ანდრო!

ძლივს წარმოსთქვა და სახეზე ფერი შეუკრთა.

- იცანი? _ გაუღიმა გოგიამ და ხელი წელზე შემოავლო, თავისკენ მოიზიდა. _ ის არის ხომ? შენი...

ახლა უცებ მოულოდნელად აენთო არჩილი.

სისხლი სახეზე მოაწვა. უცნაურად გამოიცვალა.

- ნუ შვრებით ამას-მეთქი, გოგია! დაიღუპება ის ბიჭი... უთუოდ დაიღუპება! ამის ნებას კი არ მოგცემთ! გესმის? არ იქნება!

ძლივს შეკავებული კივილით სთქვა.

- სუ... საკანში წამოდი, იქ მოვილაპარაკოთ. _ ხელის რბილი მოთათუნებით მოეფერა მას გოგია გასაჩუმებლად და ფანჯარას მოაშორა.

არჩილის საქციელით გაკვირვებულ გოგიას ვერ გაეგო: შიშით იყო მისი მეგობრის პროტესტი გამოწვეული, თუ სხვა რამე აღელვებდა მას.

IV

თეთრი სახლის სარდაფიდან ციხის მთავარი კორპუსის მიმართულებით გვირაბის გასაყვანად მიწის თხრა უკვე დაწყებულიყო.

სულ სამი კაცი მუშაობდა მუდმივად: ორი ჭიათურის მაღაროებიდან ჩამოყვანილი მუშა, ხელის ლომითა და წერაქვით და მესამე _ ანდრო ქარივაძე ნიჩბით.

მათ კი თავზე ნიკო ადგა დარაჯად.

მუშაობა დილით იწყებოდა, როცა ციხე ახმაურდებოდა, და საღამოს სწყდებოდა, როგორც კი ციხის დღე გათავდებოდა და კამერები ჩაირაზებოდა.

უკვე გაერღვიათ სარდაფის კედელი, სიღრმისაკენ დაექანებინათ გვირაბის ხაზი და ქუჩის ქვეშ მიწაში შეჭრილიყვნენ.

დასაწყისში სიგრძე-სიგანეზე საკმაოდ დიდი არე მოეჭრათ გარშემო: შიგ კაცი გაიმართებოდა.

საკუთრივ გვირაბი აქედან იწყებოდა.

სარდაფიდან აქ, თუმცა მკრთალად, მაგრამ ჯერ კიდევ აღწევდა დღის სინათლე.

სახლის გამორღვეული საძირკვლის ყურესთან ოთხი თოფი იყო მიყუდებული სავაზნებითურთ. იქვე ეწყო რამდენიმე ხელის ყუმბარა.

შორიახლო თავდაცული წყლის დიდი დოქი და ღვინის მოზრდილი ხელადა იდგა.

გვირაბის შესავალთან, თოფების გვერდით, ნიკო აყუდებულიყო, შავი, ჩუმი და უძრავი.

მის იქ ყოფნას ორი თვალის შავი ბრწყინვალებაღა ააშკარავებდა.

თვალთაგან შეუდრეკელი ნებისყოფის ანთებული მუგუხლებს ჰყრიდა და სახეს უნათებდა გამარჯვების მტკიცე რწმენის ნათელი.

მისი ტანი თოფებთან ერთად ისე იყო კედელზე შემართული, თითქოს თავადაც თოფი ყოფილიყო, ჩახმახშეყენებული და მტერს დამიზნებული.

შიშისა თუ იჭვის ლანდიც კი ახლოს არ უნდა გაკარებოდა სარდაფს.

სიღრმეში კი, მაღაროებში სახმარებელი ფარნის მბჟუტავ სინათლებზე, ოქროს ფრად მოკიაფე მტვრის ბუქი იდგა და მის მორევში, როგორც მარწუხები, ისე იშდებოდნენ და იკეცებოდნენ სამი ადამიანის შიშველი, კუნთებაბურთული, ძარღვმაგარი მკლავები.

გამოზომილი, ფრთხილი თანდათანობით, ყრუდ, თითქმის უხმაუროდ ირღვეოდა მიწა. ფენა-ფენად იკვეთებოდა და იშლებოდა მისი კედელი.

ჭიათურელ მუშებს კვალდაკვალ უკან ანდრო მიჰყვებოდა. მორღვეულ მიწას ნიჩბით ტომარაში ჰყრიდა, რომელსაც გავსების უმალვე საგანგებოდ დაფენილ ფიცრებზე გაასრიალებდა და სარდაფის წინა კუთხეში სცლიდა.

ოფლი სდიოდა სახეზე წურწურით. ზედ მტვერიც დაჰკროდა სქლად. მთლად შემურულიყო.

ისეთი ხალისითა და სიხარულით მუშაობდა, თითქოს ცეკვავსო.

არ ისვენებდა: სამუშაო არ ყოფნიდა.

რომ გახმაურების შიში არ ჰქონოდა და ნება მიეცათ, იგი ღამითაც იმუშავებდა და ციხეს ფრჩხილებით გამოუთხრიდა ძირს, რომ არჩილამდის მალე მიეღწია და გასაჭირისაგან ეხსნა.

წინ რომ ნელა მიიწევდნენ. მოთმინება არ ჰყოფნიდა. დაგვიანების ეშინოდა.

...

სახლის ზემოთ კი _ როგორც ოთახში, ისე აივანზე _ სიმშვიდე იყო და მყუდროება.

ახალ მდგმურებს აქ საქსოვი და საქარგავი სახელოსნო გაემართნათ და დაბინავების მეორე დღიდანვე საქმეს შესდგომოდნენ.

ესენი იყვნენ ვითომდა გურიიდან ჩამოსული ცნობილი ოსტატი ქალები, რომელთაც თავიანთი ვინაობა მორცხვად აღენიშნათ რუსულად, შესავალ კართან გამოკიდებულ აბრაზე.

სახლის ფანჯრებზე ფარდა იყო ჩამოფარებული. ფარდაზე კი ნაქსოვისა და ნაქრგის ნიმუშები აეკრათ.

შუა ფანჯრიდან ხელის მანქანა მოსჩანდა,ზინგერის მარკიანი, რომელსაც ციხისკენ ზურგშებრუნებული ოსტატი ქალი უჯდა უკან და თავაუღებლად მუშაობდა.

აივანზე განდაგან გაბმულ თოკზე უცხო რამ ხურჯინი იყო გადაკიდებული. ამ ხურჯინს ერთი თვალი შავი ჰქონდა, მეორე კი თეთრი.

იგი პოლიტიკურების დერეფნის კიდური ფანჯრის პირდაპირ ეკიდა.

გოგიას რომ დღეში ასჯერ შეევლო თვალი ამ ხურჯინისათვის, ცოტა იყო.

მას უაღრესად მნიშვნელოვანი საიდუმლო დანიშნულება ჰქონდა, რომელიც ციხეში მხოლოდ გოგიამ და არჩილ დადიშიანმა იცოდნენ.

პირველი ის იყო, რომ თუ ამ ხურჯინს ზედ რამე გადაეფარებოდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ გვირაბში მუშაობა რაიმე მიზეზით არ სწარმოებდა.

მეორე დანიშნულება კი ხურჯინის თვლების დამოკლება-გაგრძელებაში იფარებოდა: რამდენად თოკის ერთი მხრით გადმოშვებული თეთრი თვალი მოკლდებოდა და მის ხარჯზე მეორე გრძელდებოდა, იმდენად გვირბი თანდათან ციხისკენ მოიწევდა და გასათხრელი მანძილიც ილეოდა.

გოგიაც სულ იმის ნატვრაში იყო, რომ ეს უცნაური ხურჯინი, რაც შეიძლება მალე,

ერთი თვლის წვერზე ჩამოკიდებულიყო მთელ სიგრძეზე გაშლილი.

მაგრამ ხურჯინის თვლები მაინცდამაინც არ ჩქარობდნენ ერთმანეთს დასცილებოდნენ.

მათი მთელი საათი მთელი დღის ოდენა იყო.

...

როგორც ციხის გარედ, ისე ციხეშიც დიდი მუშაობა იყო გაჩაღებული.

გარედ დათოს და «დიდ ვასოს» დღე მოსვენება არ ჰქონდათ, ღამე _ ძილი.

ამზადებდნენ ბინებს, პასპორტებს, ტანსაცმელებს, ფულს.

არ სტოვებდნენ, ვინც კი საიმედო იყო და მცირეოდენ გამოსადეგი: არ ზოგავდნენ არავის, არც პარტიულს, არც გარეშეს.

შალვა რამაძეც კი ჩაეთრიათ მუშაობაში, რომელსაც ახლა ციხიდან არჩილის გამოსვლამდის გადაედო თავისი გამგზავრება რუსეთში.

ცაცას წასვლა ვასოს «ღალატად» მოენათლა და მისი წილი საქმე ზედმეტად შალვასთვის დაეკისრებინა.

ციხეში კი გოგია ძალიან ფრთხილად მოქმედებდა. გადაეწყვიტა, უკანასკნელ დრომდის არჩილის გარდა სხვა ამხანაგებისთვის არ გაენდო საიდუმლოება.

მანამ კი არჩილთან ერთად «გასაქცევთა» სიას ადგენდა, დაწვრილებით ამუშავებდა «წასვლის» გეგმას და «დანარჩენ» ამხანაგებს შორის ეძებდა ისეთებს, რომლებიც შესძლებდნენ «წასვლის» ბოლომდის წესრიგიანად ჩატარებას, რაკი თვითონ გოგიას მახლობელ ამხანაგებითურთ პირვლ რიგშივე გასვლა მოუხდებოდა.

ხოლო არჩილის მდგომარეობა ახლა დღითი-დღე რთულდებოდა.

ფოთის მატარებელზე თავდასხმის საქმის გაფორმებას უკვე შესდგომოდნენ: საგანგებო საქმეთა გამომძიებელი ყოველ მეორე დღეს მოდიოდა ციხეში ვიღაც სამხედრო პირის თანხლებით. ჯერ სრულიად განცალკევებულად დამწყვდეულ მიხელა-იმერელს გამოიძახებდნენ საგამომძიებლო ოთახში, რომლის დაკითხვის შემდეგ რიგი არჩილზე მიდგებოდა.

დაკითხვის საგანი მატარებელზე თავდასხმა იყო.

არჩილის წამება ყოველ საზღვარს გადასცდენოდა. მტერი საშინელ სამარცხვინო დაღუპვას უმზადებდა. აშკარა იყო, რომ მის ყაჩაღად გმოცხადებას აპირებდნენ.

და ის «ტანჯვის ფილოსოფია», რომელსაც არჩილი ხელახლად უნდა ეშვა ამ ქვეყნად, თანდათან უმიზნო, უშინაარსო თავისმოტყუილებად გდაქცეულიყო.

არჩილის თვალებიც ახლა, თითქოს ძალაუნებურად, უფრო და უფრო ხშირად თეთრი სახლის აივანზე გამოფენილ ხურჯინისკენ იცქირებოდნენ: ციხეში დარჩენა სრული განადგურებით ემუქრებოდა არჩილს _ ფიზიკურად და მორალურადაც.

ასე გავიდა მთელი ერთი კვირა. მერე _ მეორეც.

საცა იყო, მესამეც უნდა მიწურულიყო.

თეთრი სახლის აივანზე ჩამოკიდებული ხურჯინის ერთი თვალიც იმდენად დამოკლებულიყო, რომ ერთი მტკაველის სიგრძეზე იყო გადმოფენილი.

ხურჯინის მთელ სიგრძეზე გაშლით დაკიდების სანატრელი საათიც ახლოვდებოდა.

V

მაგრამ ერთ დღეს, დილით ადრე, ციხეში მოულოდნელი რამ ამბავი დატრიალდა.

ეს იყო ორშაბათი.

ღამის ბინდი ქალაქიდან ჯერ კიდევ არ აყრილიყო და ციხის მოსახლეობასაც ღრმა ძილით ეძინა.

მხოლოდ ციხის ქვემო სართულში ამ დროს კანცელარიასა და დერეფანში, ადმინისტრაციას უკლებლივ თავმოეყარა და უფროსის ოთახსა და შემოსავალ ალაყაფს კარებს შორის რაღაც გაუგებარი, საიდუმლო ნიშნებიანი, ფეხაკრეფილი მიმოსვლა გაემართნა.

გულჩათხრობილნი მიდი-მოდიოდნენ მსახურნი. უხმოდ, სწრაფად, თითქოს მომართული ავტომატები ყოფილიყვნენ.

ყველა ფორმაში იყო გამოწყობილი: _ მარცხნით გვერდზე ყვითელტარიანი ხმალი. მარჯვნით _ ქამარზე რევოლვერი, მომწვანო ზონრით კისერზე შეკიდებული. ხელში კი _ გასაღებების ასხმულა.

აბლანდია თავის კაბინეტში იმყოფებოდა. ფანჯარასთან იდგა და მარცხენა ხელში თასმის შოლტი ეჭირა, რომელსაც ნერვიული მოუთმენლობით თითებსა და თითებს შუა წაღმა-უკუღმა ატრიალებდა.

მასთან უფროსი ზედამხედველები მორიგეობით შემოდიოდნენ და თვალგაშტერებით შორიახლო დგებოდნენ სამხედრო ყაიდაზე გამოჭიმულები.

აბლანდია მათ რაღაც უცნურ განკარგულებას აძლევდა, თითქოს ნაჩუმათევად, თვალების ახამხამებით, რის შემდეგ ზედამხედველები ისევ უკან მიიქცეოდნენ.

უმცროსისაგან დაწყებული უფროსამდე ყველანი ღელავდნენ, ფაციფუცობდნენ, ხოლო თითოეული თავისთვის, მალულად, რომ მეორეს არ შეემჩნია და ეჭვი რამე არ შეეტანა. თვალებს არიდებდნენ ერთმანეთს.

შიშიანი, უნდობელი გამომეტყველება ჰქონდათ.

ჩანდა, რომ დიდ ამბავს მოელოდნენ, და არ იცოდნენ, თუ ვის რა უბედურება დაატყდებოდა თავს.

ეს დიდი ამბავი ციხის მორიგი, გენერალური ჩხრეკა იყო, რომელიც წუხელ ნაშუაღამევს უეცრად დაენიშნა ქუთაისის პოლიცმეისტერს, პროკურორთან შეთანხმებით დილის ექვსი საათისათვის. ჩხრეკას ციხის ადმინისტრაციის მუშაობის რევიზიაც უნდა მოჰყოლოდა აუცილებლად.

აბლანდიას მახლობელ თანამშრომლებითურთ მთელი ღამე არ სძინებია. დავთრებში იჩხრიკებოდნენ, თადარიგს იჭერდნენ და ამ განსაცდელისათვის ემზადებოდნენ.

ის იყო, ექვსი საათიც შესრულდა, რომ ყაზახ-რუსების ერთი ქვეითა ასეული სამი ოფიცრის მეთაურობით და პროკურორისა და პოლიცმეისტერის თანხლებით ციხის ალაყაფის კარებს მოადგა, და ნელად კარის ზარიც ჩამორეკა.

თვალის დახამხამებაში გამოიშალნენ გარეთ აბლანდია და მისი თანამშრომლები.

მყისვე უხმოდ, მაგრამ ფართოდ გაიღო ციხის კარები. სამხედრო წესით დარაზმული ჯარი მოკლე, გაზომილი ნაბიჯით ეზოში გაუხმაურებლად შემოიკრიბა.

გაიჩხარუნეს დეზებმა და უფროსები ერთმანეთს მიესალმნენ.

მერე შექუჩდნენ, ჩუმად მოითათბირეს.

არ გასულა ხანი, რომ ყაზახთა რაზმი ორად გაჰყვეს. ერთი ნაწილი ყარაულის უფროსს გააყოლეს შენობის ადმინისტრაციის წინამძღოლობით, ფეხაკრეფით შიგ ციხეში შეიმართა. ესენი დერეფნებში ჩარიგდნენ.

არ გასულა ხანი, რომ მძინარე კამერების კარებთან თოფიანი ყაზახები

საფრთხობელასავით აიმართნენ.

შეიკრა ციხე ქვევით და ზევით.

და უცებ მოულოდნელად, თითქოს მეწყერი გრიალ-ხრიალით წამოვიდაო, ისევ გაისმა დილის სიჩუმეში დოლების ერთდროული და უეცარი არახუნება ყოველი მხრიდან, _ როგორც ეზოში, ისე შენობის ზემო და ქვემო სართულებში.

როგორც ნაღმი, ისე აფეთქდა ციხის მყუდროება.

შიშით ზარდაცემული ტუსაღები ნარებიდან წამოცვივდნენ. ზოგი ფანჯრას მივარდა, ზოგი კარს.

ზე წამოიჭრა თავის ლოგინიდან შეფეთებული გოგიაც.

დოლების არახრახება სმენაში ისე შეჭროდა, როგორც თოფების უეცარი ბათქი.

პირველად საკნის კარის პაწია სარკმელს მიაპყრო ნამძინარევი თვალები.

კარზე მომდგარი ყაზახის ბანჯგვლიანი უცნობი სახე რომ დაინახა, უმალვე ისევ დახუჭა თვალები: გაითიქრა, ალბათ, სიზმარში ვარო.

შემდეგ თვალები მოიფშვნიტა და ისევ გაახილა.

უცნობი ყაზახი კვლავ მის სარკმელში იჭვრიტებოდა.

საშინელი ეჭვი შანთივით შეერჭო თავში.

ხელმეორედ დახუჭა თვალები და ასე თვალებდახუჭული, მთვარეულივით, კარისაკენ გამოემართა.

დოლის ხმა მეხის ბოძალივით შიგ ყურებში ურტყამდა. თავში კი საშინელი ეჭვი ხანძარივით შეჰკიდებოდა:

- დავიღუპეთ, გვირაბი აღმოუჩენიათ!

- სად მოძვრები ხოჭოსავით? უკან დაიხიე! _ შემოსძახა ყაზახმა.

შედსგა გოგია. თვალები გაახილა.

უეჭველი იყო: სარკმლიდან ნამდვილი ყაზახ-რუსი შემოსცქეროდა.

«აღმოუჩენიათ!» _ დაადასტურა ახლა ეჭვი შეგნებამაც.

და უცებ შებარბაცდა, შეჰქანდა და ფართოდ გაშლილი ხელების რაღაც გიჟური გასავსავებით კედელს მთელი ტანით მიეჯახა და ზედ მიეკრა.

- ვაიმე! _ აღმოხდა გულიდან.

მის წარმოდგენაში ელვის სისწრაფით საშინელმა სურათმა გაირბინა:

გვირაბი აღმოაჩინეს, ამხანაგები შეიპყრეს, და ახლა ჯერი ციხეზე მიდგაო.

დიდხანს ვერ მოვიდა გონს. ადგილიდან ვერ დაიძრა.

დილის ცემა შემწყდარიყო.

ახლა დერეფანში ადამიანები ხმაურობდნენ: ლაპარაკობდნენ, მიმოდიოდნენ.

მალე ვიღაცა გოგიას საკნის კარსაც მოადგა, გაისმა კლიტეში გასაღების მომარჯვების ხმა.

გაიღო კარი.

- ნაბრძანებია, დასცალეთ კამერა! _ მოესმა გოგიას ნაცნობი ხმა.

სეკრეტში მეკარე პავლიკამ შემოჰყო თავი.

- ჩქარა! _ დასჩხავლა მან მრისხანედ.

როდესაც იცნო იგი გოგიამ, მოიკრიბა ღონე და მისკენ გადახტა. მკლავზე ხელი დასტაცა.

- რა ამბავია, პავლიკ? მითხარი ახლავე!

რუსმა ჯერ თითქოს იუცხოვა გოგიას საქციელი. მარჯვედ გაინთავისუფლა მისგან მკლავი, ერთი უკან მოიხედა, ვინმე ხომ არ მითვალთვალებსო, და გოგიას წაუჩურჩულა:

- არაფერია, საერთო ჩხრეკაა, მორიგი, წლიური. _ მერე მყისვე უკან დაიხია დერეფნისაკენ და ერთხელ კიდევ მრისხანედ შეჰყვირა საკანში: _ გარეთ-მეთქი, დაუყოვნებლივ!

გულზე მოეშვა გოგიას. ნამდვილ სიკვდილს შემთხვევით გადარჩენილივით გაუნათდა თვალები.

«მაშ, თეთრი სახლი არაფერ შუაშია».

მოიაზრა მდგომარეობა.

ახლა კიდევ სულ სხვა მიმართულებით ამუშავდა აზრი.

უწინარეს ყოვლისა დიდი ვაი-ვაგლახით შემენილი და შემონახული ქლიბი მოაგონდა, რომელსაც დიდი მოხერხებით ინახავდა თავის პატარა სამყოფელში.

ჩხრეკის დროს მისი აღმოჩენა გოგიასთვის უდიდესი უბედურება იქნებოდა: როცა წასვლაზე საქმე მიდგებოდა, ბორკილიანი სად უნდა წასულიყო? უქლიბოდ ბორკილი როგორ უნდა მოეცილებინა?

მიუხედავად მეკარის განკარგულებისა, მაინც შეაგვიანა გამოსვლა ხალათის ჩაცმა დაიწყო, ვითომ სასთუმალთან შებრკოლდა.

ამით ისარგებლა და ქვეშაგებიდან ქლიბი ფრთხილად გამოაძვრინა. მიიხედ-მოიხედა, საიმედო დასამალავი დგილი ვერსად ვერ ნახა. თითქოს დაიბნა. დაყოვნებაც არ შეიძლებოდა. ოთახში დატოვებას ამჯობინა ჯიბეში ჩაედვა.

ამ სახით მობრუნდა და დერეფნისკენ გამოეშურა. კარს რომ დაუახლოვდა, ანაზდად მისი ყურადღება იქვე კუთხეში ჩამოკიდებულმა თარომ მიიპყრო, რომელზედაც მონარჩენი პურის კარგა დიდი ნაჭერი იდვა.

უცებ გაუბრწყინდა თვალები. შესდგა. პური ჩამოიღო, მოტეხა ლუკმის ოდენა და პირში ჩაიჩარა. გაიხედ-გამოიხედა და ისეთი უცნაური სიხარბით დაუწყო ლუკმას ღეჭვა, ვითომ დიდი ხნის დამშეული ყოფილიყო.

ერთდროულად კი გამოცდილი ჯამბაზის სიმარჯვით ქლიბი ჯიბიდან ამოიღო და იმ პურის ნატეხის გულში ღრმად შეარჭო. მერე ისევ თაროზე დააგდო და გამარჯვებულივით დერეფანში გამოვიდა.

- ხელები მაღლა! _ შეტევით შესძახა მას რუსმა. დააყენეს, ჩხრეკა დაუწყეს.

დერეფნის კუთხეში პატიმრებს თავი ერთად მოეყარათ. მათ შორის გოგიამ არჩილიც შენიშნა.

გაჩხრიკეს თუ არა, გოგიასაც იმ კუთხისაკნ უჩვენეს გზა, სდაც მისი ამხანაგები იდგნენ.

- ა? რა იფიქრე, არჩილ? _ ხელების მეგობრული მოხვევით ჩასჩურჩულა გოგიამ მეგობარს და თვალებში ჩახედა.

არჩილს ხმა არ ამოუღია. შეხედა ოღონდ, ტუჩების უცნაური მოკუმშვით და თავის გასავსავებით: სთხოვა ვითომ, ნუღარ მეკითხებიო.

გოგიამ შეატყო, რომ მართლაც არ ითქმებოდა, რაც, ალბათ, მის მეგობარსაც თავს გადახდა.

- ამ ორშაბათს თუ გადავრჩით, იმ ორშაბათს არ მეშინია, აქ აღარ ვიქნებით! _ ჩაულაპარაკა მან არჩილს და უკვე წელში გამართულმა შეავლო თვალი ციხეში დატრიალებულ საყოველთაო ჩხრეკის სურათს.

მალე თვითონ აბლანდიაც გამოჩნდა დერეფანში.

მან ბრძანება გასცა, ახლა აქაც შესდგომოდნენ ჩხრეკას.

უცნაური ფერი გადაჰკრავდა. მთელი სხეული უკრთოდა, უცახცახებდა. ხმაც ჩახლეჩოდა.

თვალებიდან რაღაც ავი, ბოროტი სხივები უცვივოდნენ და სახე დაუფარავი შურისძიებით ჰქონდა ანთებული.

კამერების ჩხრეკას უკვე მოეცა შედეგი.

აბლანდიაც სწორედ ამ შედეგს შეეხურებინა.

კატორღელების კამერებიდან გამოჰქონდათ ნაწილ-ნაწილ იქ აღმოჩენილი დოკუმენტები», რომლებიც აბლანდიას და მისი თნამშრომლების ერთგულებას დიდი ეჭვის ჩრდილს აყენებდნენ მაღალ ადმინისტრაციის თვალში.

ეს იყო: დანები, ბებუთები, ხელის პატარა ლომები, ქლიბები, ბურღები, პატარა ხერხები და სხვა ისეთი ხელსაწყო, რაც ტროფეის სახით ჯერ თვითოეულ კამერაში გროვდებოდა, შემდეგ ერთად თავმოყრილი დიდი ამბითა და ზეიმით თოფმომარჯვებულ ყაზახებს ქვემოთ ჩაჰქონდათ კანტორაში.

მგელივით შესცქეროდა თავის ხელქვეით მოსამსახურეებს აბლანდია. ყველას სწამებდა ღალატს და ტუსაღებთან კავშირის დაჭერას აბრალებდა.

კბილებს აკრაჭუნებდა ბრაზისაგან, უშვერად იგინებოდა თავსლაფდასხმულივით.

აქ, ამ პატარა დერეფანში იმიტომ გამოცხადებულიყო, რომ სხვა კამერებში აღმოჩენილ საშინელებისთვის თავი გაერიდებინა და საკუთარი თვალებით არ ეცქირნა თავს დატეხილი უბედურებისათვის.

ამასობაში ერთმა მჩხრეკავმა ზედამხედველთაგანმა არჩილ დადიშიანის საკნიდან გაუბედავად გამოჰყო თავი და დერეფნის შესავალთან მდგარ აბლანდიასკენ მიიხედა. ორი წიგნი ეჭირა ხელში. გარეთ ამოვიდა და ციხის უფროსს მიუახლოვდა.

- წიგნებს რა ვუყოთ, თქვენო კეთილშობილებავ! _ ჰკითხა და წიგნები გაუწოდა.

- რა წიგნებია? მე ვუჩვენებ მათ წიგნებს! აქაც რა ამბავია? _ დაიღრიალა აბლანდიამ. _ დააგროვეთ ერთად... კანტორაში ჩაიარეთ!

მერე ერთი წიგნი ჩამოართვა. დახედა ქართული სახარება იყო, შალვა რამაძის მიერ შემოგზავნილი.

- ვისია?

- დადიშიანის.

- ჰმ... სოციალისტია! სახარებას კითხულობს! _ ზიზღით თქვა აბლანდიამ და წიგნი მოქნევით იატაკზე დაანარცხა. _ ყველა წიგნი კანტორაში ჩაიტანეთ. იქ გაარჩევენ.

ამ სცენას უხმოდ შესცქეროდნენ დერეფნის კუთხეში შექუჩებული პოლიტიკურები. გოგიას ამაზე უნდოდა რაღაც ეოხუნჯა, მაგრამ აბლანდია უცებ მოსწყდა თავის ადგილს და არჩილის საკნისაკენ გაემართა. კარის ზღურბლთან შესდგა.

- კიდევ რა წიგნებია მანდ? _ იკითხა და შიგ შევიდა.

მაგიდაზე მდებარე წიგნები დაათვალიერა. ქართულიც იყო, რუსულიც. ყველა ნებადართული, უწყინარია.

მაინც არ მოეწონა.

- კანტორაში! _ მოკლედ უბრძანა მჩხრეკავთ.

ამ დროს მოულოდნელად აბლანდიას ყურადღება მაგიდის ბოლოში, კედელთან მიდგმულმა ნახევრად გაშლილმა ხელსახოცმა მიიპყრო.

მისმა დანახვამ უცებ სასწაულებრივ შეაოცა იგი. მაგიდაზე გადმოფენილ ინიციალებიან წვეტს დააკვირდა.

მერე მიუახლოვდა.

თვალები გიჟსავით გაუფართოვდნენ.

ხელი დასტაცა უცნაურ ხელსახოცს, ინიციალები ზედ თვალებთან მიტანა.

«მ.ა.»

თითქოს არ დაიჯერაო, მიხედ-მოიხედა:

«მართლაც ხომ რ გაგიჟბულა?! უთუოდ ეჩვენება, თორემ მის ხელსახოცს აქ რა უნდოდა? აქ, ციხეში?»

კიდევ დახედა.

კიდევ: «მ.ა».

გადაშალა, დაათვალიერა. უთუოდ მისი ინიციალებია, თვითონ რომ შეუკვეთა ცოლის შერთვამდის. მერე თვითონ რომ ხმარობდა და ახლაც ყოველ დღეს ხმარობს. სწორედ ისა.

შეეშინდა.

ისევ მაგიდაზე დააგდო ხელსახოცი.

- ვინ იმყოფება აქ? _ იკითხა, თითქოს დაავიწყდაო, რომ ეს ამას წინად გააგებინეს.

- დადიშიანი! _ მიუგეს.

«დადიშიანი?» რაღაც გაუგონია! «დადიშიანი?..» როგორ არ გაუგონია! ჰმ... ვარდოს სოფლიდან რომ არის. მის შესახებ ამას წინად რაღაც კიდევაც ჰკითხა, თუ სთხოვა ვარდომ. ახლა აგონდება.

დიაღ, ჰკითხა რაღაცა. აბლნდიას აგონდება, რომ ვარდოს რაღაც შეშინებული სახე ჰქონდა ამ დროს და ხმა უკანკალებდა.

საშინელმა ეჭვმა უცებ სახე მოუქცია.

თოფნაკრავივით გამოვრდა საკანიდან.

- დადიშიანი! _ შეკავებული, მგრამ რისხვით გატენილი ხმით გამოიძახა არჩილმა, როცა დერეფანში გამოვიდა.

გაკვირვებით შეხედეს კუთხიდან ფერწასულ უფროსს, მაგრამ არჩილი ადგილიდანაც არ დაიძრა.

- დადიშიანი! _ გაიმეორა აბლანდიამ და თვალებიდან წითელი ალი გადმოისროლა.

წინ წამოდგა ახლა არჩილი.

- რა გნებავთ? _ ჰკიხა სრულიად დამშვიდებულმა.

ვითომ პირველად ხედავსო, ისე დააცქერდა არჩილს აბლანდია. რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა.

შემდეგ უცებ თასმის შოლტი შეატრიალა და ჩექმის ყელზე მუქარით გაატკაცუნა.

სიტყვა არ დაუგდია. მოტრიალდა და მოკლე ნაბიჯით დერეფნიდან გასავალს მიაშურა.

გოგიამ და არჩილმა ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს.

- რამ უკბინა, ნეტავი? _ ჩაილაპარაკა გოგიამ.

მაგრამ აბლანდიას ათიოდე ნაბიჯიც არ გაუვლია, რომ ისევ შესდგა.

უკან დაბრუნდა. ისევ არჩილის საკანში შეიჭრა.

უმალვე ისევ გარეთ გამოვიდა. ახლა ხელში შეჭმუჭვნილი ხელსახოცი ეჭირა.

შეუჩერებლად განშორდა იქაურობას და ქვემო სართულში ჩასავალ კიბისკენ

გაემართა.

ახლა კი პირველი გოგია მიხვდა, რაც არჩილის საკანში აბლანდიას მოუვიდა.

- არჩილ, მგონია, დავღუპეთ ის შენი მოყვარე ვარაძის ქალი, სადილს რომ გვიგზავნის. აბლნდიამ უთუოდ თავისი ხელსახოცი გამოიცნო. ინიციალები თუ ჰქონდა? ხომ შეხედე. თან წაიღო. კაცო, როგორ მოგივიდა, რომ მომტანს უკანვე არ გაატანე.

არჩილს კი ენა ჩავარდნოდა, _ შიში, წყენა, უმწეობა და გაკვირვება ერთდროულად ჩასახოდნენ თვალებში.

...

როგორც კი გათავდა ჩხრეკა და რაც კი ადმინისტრაციას კამარაში ნადავლი ერგო, ცალკე ოთახში მოთავსეს, ჩარაზეს და დალუქეს, მელიტონ აბლანდია თავის ბინისკენ მოუთმენლად გაემართა. ცალ ხელში არჩილის საკანში ნაპოვნი ხელსახოცი ეჭირა, ცალში განუყრელი თასმის შოლტი.

ვარდო სახლში მარტო იყო. ოთახებს ალაგებდა.

ქმრის უდროო დროს დაბრუნებამ მცირედ გააკვირვა.

უნდოდა ეკითხნა, მაგრამ სახეზე რომ შეხედა, დადუმება არჩია: ისეთი იყო, რომ კაცს არ შეეხედებოდა. დაუფარავი ავი განზრახვით ანთებოდნენ უძილო, გაწითლებული თვალები და პირიდან დორბლი გადმოსდიოდა.

ტანის შეუვალი რხევითა და წინასწარი სასტიკი განაჩენის სახეზე აღბეჭდვით მიუახლოვდა იგი ვარდოს.

- ამის პასუხი დალაგებით! თავიდან ბოლომდის! _ ხმის უცნაური ჩხრიალებით მიმართა და შეკუმშული ხელსახოცი სახეში ესროლა. _ ჩქარა!

დაიბნა ვარდო.

- რისი პასუხი გინდა, კაცო? _ ჰკითხა გაუბედავად.

- სად იყო ეს?

ვარდომ დახედა ხელსახოცს. მაგრამ ვერ მიუხვდა, რას ეკითხებოდა.

- მე რა ვიცი?

აბლანდიამ შოლტი ამართა.

- სთქვი!

შეკრთა ვარდო. ხმა ვერ ამოიღო.

- საიდან გაჩნდა ეს ხელსახოცი ციხეში?

უცებ გაწითლდა ვარდო, ახლა კი მიხვდა, რა უბედურებაც თავს ატყდებოდა.

ამოიკვნესა უნებლიედ და სახეზე ხელის გული აიფარა.

- თქვი-მეთქი! _ დაიჩხავლა ახლა აბლანდიამ. ხელი წაავლო ხელზე და სახეზე მოჰგლიჯა. ვარდოს საქციელმა თითქოს ეჭვი დაუდასტურა.

- რა გინდა, კაცო?

- სთქვი-მეთქი, უკანასკნელად გაფრთხილებაა!

ვარდომ ყოველივე უამბო.

- რა არის შენი დადიშიანი?

- მეზობელი, ნაცნობი, მოყვარე.

- მაშ, რად მიმალავდი?

- ვიცოდი, გაწყრებოდი.

- მართლი სთქვი!

- მართალს ვამბობ.

- სტყუი!

- არა, ღმერთმანი.

- წერილი არ მიგიწერია?

- ვაცნობე, სადილს გიგზავნი-მეთქი.

- სტყუი! სხვა რამეს მისწერდი! ვისი ხელით?

- აქ რომ მეკარე დადის!

- რამდენჯერ მისწრე?

- ერთხელ მხოლოდ.

- სტყუი! ქოფაკო! მალავ: დადიშიანის საყვარელი იყავი!

ზიზღის შხმამი ჩაენთხია ვარდოს თვალებში. არ მოელოდა ასეთ ბრალდებას. ენა ვერ დასძრა.

- მაშ! მიგიხვდი თუ არა! ჰა, ქალბატონო... იქნება, შენ გზავნიდი ციხეში ქლიბებსაც, ხერხებსაც... შე კახპავ, შენა!

ვარდომ შიშით უკან დაიხია.

- გამოტყდი-მეთქი, რომ დადიშიანის საყვარელი ხარ! _ აბლანდიამ ერთხელ კიდევ ამართა შოლტი. _ სთქვი-მეთქი!

- გაჩუმდი! მხეცო! _ დაჰკარგა მოთმინება ვარდომაც და შოლტს ხელი დასტაცა. ჩაეჭიდა; წართმევა დაუპირა.

მაგრამ საბედისწერო შეიქმნა ეს შეჭიდება ვარდოსთვის.

აბლნდიამ, თითქოს ბრძოლის დაწყებას მოელოდაო, ღვედივით მოიქნია მთელი ტანი და მკლავების მძლავრი გაშლით ვარდოს ხელიდან შოლტი გამოსხლიტა.

გაიწივლა გამოსხლეტილმა თასმამ ჰაერში, თითქოს პატრონს ნიშანი მისცაო. ელვის ხაზივით ერთი გაიელვა ოთახში და ვარდოს სახეზე ლარივით სწორი სისხლის დაღი აღბეჭდა.

არ მოელოდა ვარდო.

გაქვავდა. ქანდაკებას დაემსგავსა.

ასე დაუდგა წინ ჯალათ ქმარს და გასისხლიანებული, მაგრამ სრულიად უძრავი მინის თვალებით პირდაპირ მზერა დაუწყო.

- ნუ მიმზერ აგრე-მეთქი! დახუჭე თვალები! დახუჭე-მეთქი! _ უფრო შიშისაგან შესწივლა ახლა აბლანდიამ და, თითქოს საშინელ მტერს იგერიებსო, შოლტის თვალშეუსწრებელი, სწრაფი მონაცვლეობით დაუწყო ცემა ვარდოს თავში, სახეში, მთელ ტანზე, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა.

...

უკუქცეული. დამფრთხალი ყაჩაღივით გამოვიდა აბლანდია ვარდოს ოთახიდან.

სახლიდან გასავალ კართან შესდგა და პირუტყვული სიჩლუნგის გამომხატველი სახე უაზროდ ზედ კარის დაფასთან შეაყენა.

ყურთა სმენა კი იმ კუთხისკენ მიეპყრო, სადაც მისგან გათელილი ვარდო იატაკზე დავარდნლი ეგულებოდა. უნდოდა გაეგონა მისი კვნესა ან ოხვრა, კივილი _ სულ ერთი იყო რა _ ოღონდ სიცოცხლის რაიმე ნიშნისათვის ყური მოეკრა.

მაგრამ არაფერი არ არღვევდა სახლში გამეფებულ მძიმე სიჩუმეს.

აბლნდიამ ჩუმად გამოაღო კარი. პარვით გაიტანა გარეთ ნახევარი ტანი, მაგრამ იევ შესდგა.

«ნეტავი, ხომ რ შემომაკვდა?»

უცებ თმა აებურძგნა. ტანში შიშის ჟრუნატელმა დაუარა.

ველარ გაბედა კი ეჭვი შეემოწმებინა. ვერც წასვლა გაებედნა.

ბოლოს ისღა მოახერხა, რომ კარს შიგნიდან გასაღები გამოაძრო და სწრაფად გარეთ გავიდა. კარი მოიხურა, ჩაჰკეტა, გასაღები გამოიღო და ჯიბეში ჩაიდვა.

ბინის გვერდით ჩამავალ გარე დერეფანს გაჰყვა და თავის კანცელარიისკენ გაემართა.

ვარდო თითქოს იმას მოელოდა, როდის წავიდოდა სახლიდან.

როგორც კი კარი მიიხურა აბლანდიამ და გარედან ჩაჰკეტა, ვარდომ ძალა მოიკრიბა და წამოდგა.

თმა ჩამოფარებოდა სახეზე.

ტანთსაცმელი დაფლეთოდა. შეკავებით ქშინავდა, მკერდის შიგნით.

ნელა გაიმართა წელში. თმა უკან გადაიგდო.

სახე სისხლიან ღარებად ჰქონდა დახეთქილი. ნამდვილი გამომეტყველება არ უჩანდა, ისე შეშუპებოდა.

მხოლოდ ბაგეების მარცხენა კუთხეში უცნაური ხაზი მიკვდომოდა გამოურკვეველი ციმციმით. არც ღიმილისა იყო, არც წუხილის. გამოუთქმელ სულიერ ყოფას აღნიშნავდა ფარულს. მიუწვდომელს.

გაიმართა წელში თუ არა, ერთხანს სუნთქვაშეყენებული დაფიქრდა. მერე თითქოს ჩვეულებრივი დილა გათენებოდეს, ისე დფაცურდა და მორთვას შეუდგა.

ხელსაბანზე სისხლი მოიბანა სახეზე, კარგად შეიმშრალა. სარკესთან მივიდა. თმა უკან დაიკრიფა, ხელის ჩანთა მონახა. შიგ რაღაცეები ჩაალაგა. დიდი შალი თავსა დ ზედატანზე მოიხურა. შიგ პირისახეც დაიმალა. აიღო ჩანთა და ციხის მხრით აივანზე გმავალ ფანჯარასთან მივიდა. გაღო. სკამზე შედგა. გადააბიჯა. მობრუნდა. ისევ მიხურა ფანჯარა და აივნის გადაჭრით ქუჩაში გამავალ კარებს მიაშურა.

გადაეწყვიტა: ბორნით რიონს გაღმა გასულიყო და პირველივე მატარებლით ქუთაისიდან სადმე შორს, უკვალოდ და სამუდამოდ გადაკარგულიყო.

როცა ვარდომ ფანჯარა გააღო, აბლანდია ციხეს უახლოვდებოდა, ხმაურობა რომ მოესმა, შესდგა და პირი თავის ბინისკენ მოიბრუნა. ფანჯრიდან გადმომავალი ვარდო დაინახა. გაუკვირდა. ერთხანს ვერ მოიაზრა. როგორ მოქცეულიყო. იმის შიშმა კი

გადაუარა, რომ ვარდო მკვდარი ეგონა. ახლა კიდევ ახალმა შიშმა შეაკრთო.

აივანი რომ გამალებით გაიარა ვარდომ და სახლს მიეფარა, აბლანდიაც მოსწყდა თავის ადგილს და ბინისკენ გამოიქცა. აივანზე აირბინა. ფეხი აიკრიფა და ვარდოს ასე კედელკედელ დაედევნა.

ქუჩაში გამავალი კარი ღია დახვდა. გავიდა. გაიხედა. ვარდოს პირდაპირ რიონზე მიმავალ ვიწრო ქუჩაში შეეხვია. თვალი მოჰკრა. საშინელმა ეჭვმა თავზარი დასცა. გაიქცა.

ვარდო ახლა რიონის პირის გაყოლებაზე საცალფეხო გზით მიდიოდა ბორნისკენ.

მოეშვა გულზე აბლნდიას. ცხადი იყო, ვარდო თავის დახრჩობას არ აპირებდა.

ახლა გათამამდა კიდევაც. სირბილით განვლო რამდენიმე ნაბიჯი და ხმამაღლა გასძახა:

- შესდექი! სად მიხვალ?

ვარდო შესდგა, მოიხედა.

შოლტიანი ხელი მაღლა აეშვირა აბლანდიას და მუქარით მისკენ გამორბოდა.

- ღმერთო!

აბლნდია კი უახლოვდებოდა შოლტმომართული.

- დაბრუნდი, გიბრძანებ!

ცხადი იყო: ვარდო ვერსად წაუვიდოდა აბლანდიას.

და ისიც თვალის დახამხამებაში უცებ მოწყდა მდინარის ნაპირს.

ერთ წამში ყველაფერი გამოიცვალა.

თავში იტაცა ხელი აბლანდიამ. რიონთან მიიჭრა და იქითკენ გაიხედა, სადაც ვარდო გაჰქრა.

მდინარის ტალღებში ცალკე შალს მოჰკრა თვალი, ცალკე ვარდოს ხელებსა და თმას.

- ჰაა! _ წამოსკდა ღრიალით.

გონება უფრო იმ საშინელმა შერცხვენამ შეურყია, მას რომ მოელოდა, როცა ვარდოს უბედურებას ხალხი გაიგებდა.

უკვე ყოველმხრიდან გამორბოდნენ ვარდოს საშველად. ბორნიდანაც კი მდინარის შუა ტანში გადაეშვა ვიღაცა.

უცებ მოტრიალდა აბლანდია. სახეზე ხელები აიფარა და, რამდენადაც შეეძლო შიშით წამხდარი ლაჩარი კაცის მუხლებს, უკან, ციხისკენ, გამოიქცა, რათა დამალულიყო, თავზარდამცემი სურათის შემსწრე არ გამხდარიყო.

ნაწილი მეხუთე

I

ოთხშაბათი იყო, ვარდოს დაღუპვის მესამე დღე.

ამ დღეს დილით ვარდოს ასაფლავებდნენ, ხოლო საღამოსთვის უკვე დამთავრებული გვირაბით პოლიტიკური პატიმრების ციხიდან გაქცევა იყო დანიშნული.

დილიდანვე ქარი ჰქროდა არეული და ცხელი. მტვრის სვეტბს აყენებდა ქუჩებში და ციხეს ყოველი მხრიდან კენჭებს და ქვიშას უშენდა შემოსეული მტერივით.

დროგამოშვებით აბლანდიას ბინიდან ვარდოს დედის გულისგამაწყალებელი მოთქმის ხმას მოიტაცებდა და ციხის ფანჯრებში შემოისროდა:

- «დიდავოი, ვარდო!... დიდავოი, შვილო ვარდო!.. დიდავოი ნანა...»

სული გაენაბა ციხეს.

ტუსაღების უმრავლესობას ყურადღება ამ დამთუთქველ უცხო «დიდავოის» გაეტაცნა დილიდანვე და ამის ამბავს შეექცია, თუ რა უჩვეულო ზარით და ვიშით ჩამოსულიყვნენ სამეგრელოდან ვარაძის ქალის მგლოვიარე ჭირისუფლები და მეგრული წესით გაემართნათ ტირილი.

ადმინისტრაციაც ნაკლებად ჩანდა დღეს ციხეში. უფროსი ზედამხედველები აბლანდიას ბინაზე იმყოფებოდნენ, ხოლო უმცროს მსახურთაც თვალყური იქითკენ ეჭირათ და ტუსაღების საერთო ცნობისმოყვარეობას ინაწილებდნენ.

თავისთავად შენელებულიყო სასტიკი რეჟიმი, რომელიც გენერალური ჩხრეკის შემდეგ ადმინისტრაციას ციხეში დაემყარებინა.

კამერებში და დერეფნებში ჩუმი მითქმა-მოთქმა გაემართნათ ვარდოს ტრაგედიის გარშემო.

ამ ტრაგედიის ამბავი თუმცა პირველად ისე გავრცელდა ციხეში, თითქოს აბლნდიას მეუღლე უბედური შემთხვევის მსხვერპლი გამხდარიყოს და რიონში

უცაბედად გადავარდნილიყოს, მაგრამ ციხის ყურს მაინც არ ასცდა საქმის ნამდვილი ვითარება.

გოგია და არჩილი თავიდანვე მოელოდნენ, რომ ვარდოს თავს რაღაც უბედურება დატრიალებოდა: აბლანდიას სახის გამომეტყველება ხელსახოცის აღმოჩენის დროს და მისი საქციელი ამის უტყუარი საბუთი იყო. მაგრამ თუ სიკვდილამდის საქმე მივიდოდა, არც ამათ ეგონათ.

ვარდოს დახრჩობას სხვა ამბებიც მოჰყვა: ფიცხლად დააპატიმრეს გოგიას მეგობრი მეკარე პავლიკი და არჩილ დადიშიანის საკანთან ცალკე დარაჯი დააყენეს, ახმახი ვინმე, შემზარავი სახის კაცი, რომელიც, როგორც ტუსაღებს შენიშნული ჰქონდათ, ციხის ჰორიზონტზე მაშინ გამოჩნდებოდა, როცა მორიგი სიკვდილის გნაჩენის სისრულეში მოყვანის დღე დადგებოდა.

ყოველივე ეს და საბედისწერო ხელსახოცის აღმოჩენის ისტორია, რომელიც სათანადო განმარტებით მყისვე მოეფინა მთელ ციხეს, მრავალი ჭორის საბაბი გამხდარიყო თავიდან.

და დღესაც ტუსაღები ამ მძივად აცმულ ჭორებსა და ქარით აწიალებულ ვარდოს დედის უცხო მოთქმას ისე შეექცია, რომ მათი გულისყური ოდნავადაც კი ვერ შეერყია იმ ფაცაფუციან თადარიგს, რომელიც გოგიას და მის მიერ შერჩეულ კომისიას დილიდან დაეჭირათ ციხიდან წესიერად გასვლის ჩასატარებლად.

არჩილ დადიშიანი კი მშვილდის მძლავრად მოზიდულ ლარს დამსგავსებოდა, ისე დაჭიმოდა ძარღვები.

ისეთი შეგრძნება ჰქონდა მდგომარეობისა, რომ ეჩვენებოდა, თითქოს საიდგანღაც უეცრად მოვარდნილ ჩანჩქერს ჰყავდა გატაცებული. არსად ჩანდა ნაპირი, არსად იყო საყრდენი, და მიჰყვებოდა არჩილი ამ ჩანჩქერის მდინარებას.

რაც თავში ფიქრი ჰქონდა და გულში კიდევ რაც ცეცხლი ენთო, კარგად იცოდა, რომ ამას ვერც სიტყვაში მოაქცევდა და ვერც სხვა სახით გამოხატავდა.

რაღაც დამუნჯებას გრძნობდა იმ დიდი და სწრაფი ამბების წინაშე, რომლებიც მის თვლწინ ერთმანეთს ცვლიდნენ და რომლების მთავარი მონაწილე თვითონ იყო სრულიად მისდაუნებურად, რაღა გაუგებარი და შეუცნობელი ბედისწერის წყალობით.

ეჩვენებოდა _ და ყველაზე უფრო არჩილს სწორედ ეს გარემოება ამუნჯებდა, _

რომ მისი სინდისის ყურთან საიდუმლო ხმა წამდაუწუმ სამს სახელს იმეორებდა და თვითეულისათვის ცალცალკე მისგან პასუხს მოითხოვდა, გარკვეულ ზნეობრივ ვალდებულებას ადებდა. ეს სახელები იყვნენ:

სამსონა, ვარდო, ანდრო.

არჩილის პასუხი კი ის იყო ნამდვილად, რომ მას დღეს დილიდანვე საგანგებოდ ჩაეცვა და დაეხურა. თითქოს სადღესასწაულოდ მორთული და მომზადებული მოუთმენლად მოელოდა იმ საათს, როცა გოგიას კომისია მასაც გამქცევთა რიგში ჩააყენებდა იმ საშინელი, მაგრამ დამხსნელი გვირაბის თავთან.

მაგრამ გულში კი არ უნდოდა, რომ ასე ყოფილიყო, რცხვენოდა რომ თავს შველოდა, როცა სხვები იღუპებოდნენ.

ნუ თუ ბედზე ეწერა არჩილს ყოველივე, რაც მის გრშემო ხდებოდა, და გარემოებათა მიმდინარეობის შეცვლა მის ძალ-ღონეს აღემატებოდა?

ალბათ, ანდროც ვერ გადარჩება სიკვდილს და მისი დაღუპვა მხოლოდ დროის საკითხია!

გოგიაზედაც ასე ფიქრობდა.

სიკვდილი თუ ახლავს თან არჩილს, ცელმოღერებული, დაუნდობელი, რომელსაც შეუცნობელი რამ მიზანი აქვს დასახული: თვითონ არჩილს ცოცხალს, უვნებელს სტოვებს, ხოლო იმათ კი არ ზოგავს, ვინც მისი მახლობლებია.

არჩილი კი მიდის ციხიდან.

გადაურჩება დაბრალებული «ექსპროპრიაციისათვის» სასჯელს, გდაურჩება აბლანდიას მიერ შემოჩენილ ჯალათსაც, თავს დააღწევს საპყრობილეს, სიკვდილს...

მაგრამ რისთვის უნდა მოხდეს ასე და არა სხვანაირად?

ან რომ მიდის არჩილი, სად მიდის და რა უნდა გააკეთოს?

ეზოში გამავალ ფანჯარასთან დგას. თვალები ეზოს მიღმა, შორს სივრცეში შეუსვრია, სადაც აბორგებულ ხეების წვეროებზე ქარს ყირამალა თარეში გაუმართავს და ჰაერის მღვრიე მორევი დაუტრიალებია. ყურთა სმენა კი ვარდოს დედის შეუწყვეტელ «დიდავოისთვის» მიუპყრია და მის აქვითინებულ ჰანგებში საკუთარი გულის ცრემლმორეული მოთქმა უხმოდ, ჩუმად გაურევია.

«დიდავოი, ვარდო, დიდავოი, ნანაია»... _ ხან ნაწყვეტად გააკივლებს ამ დედური

მწუხარების ამონაკვნესს არჩილის ფნჯარასთან ქარი, ხან კიდევ მოზარე გუნდივით სხვადასხვა ხმაზე აბგერებს გაშლილი დაგუგუნებით, დაბლიდან მაღალზე გადასვლით, კვნესით, ოხვრით, ვაებით.

და ამ უცნაური სიმფონიის ზეგავლენით არჩილის თვალწინ თანდათნ მისი სამშობლო სოფლის დათალხული მიდამოები იშლებიან, სადაც პირველად ფეხი აუდგამს, ენაზე ტკბილი «დედა» მოწყვეტია და მერე ბუნებისა და ადამიანების უშუალო ცნობა მიუღია.

წარმოუდგება თითქოს ყველა დედა, რამდენის სახეც კი დამახსოვრებია, შავში შემოსილები ერთად შეყრილან. მათ ხმაშეწყობილი საზოგადო ტირილი გაუმართავთ, მორიგეობით მოსთქვამენ, საჯაროდ ჰშლიან გულის წყლულს და ცრემლთა ფრქვევით ღაღადებენ, თუ ვის რა უბედურება სჭირს დაუნდობელი სიკვდილისაგან.

მათ შორის არჩილის დედაც იმყოფება და ანდროს საცოდავი მამიდაც. გარშემო სოფლის მამაკაცები დამდგარან ღრმა მდუმარებით, _ მამები, ძმები, შვილები. გულზე ხელები დაუკრეფიათ. ამათ მკერდის სიღრმიდან მძიმე «ვაი» აღმოსკდებათ დროგამოშვებით და ისე დადუმდებიან.

მოთქმით რიგი არჩილის დედასაც ხვდება. წინ წარსდგება, როგორ ყოველთვის ახლაც მორიდებული. მწუხარების ნაოჭებით დაღარულ, სანთელივით ჩამოქნილ სახეზე ღაწვების გასწვრივ თითების ჩხირებს ჩამოისვამს. კანს გაიკაწრავს და სისხლის ღარებს გამოაჩენს. დათუთქული ხმით დაიწყებს:

«ჰეე... ჰე... შვილო არჩილ... შვილო ჩემო, არჩილ...»

დედათა გუნდი აქვითინდება, არჩილის დედას მოთქმას ჩამოართმევს:

«დიდავოი, ნანა... დიდავოი... უბედურო სალომე... უბედურო სალომე... უბედურო დედა სალომე, სად გყავს შენი ერთა, შენი საყვარელი არჩილი!»..

მერე მამაკაცები დაამთავრებენ «ვაი... ვაის» შეძახებით, რომელიც მთელს მიდამოს ზარის ხმად მოედება _ ნაცნობ ეზოებს, ჭალებს, გორაკებს, ტყეს, შუკებს.

თვალებზე ცრემლი მოადგება არჩილს ამ სურათის წარმოდგენაზე. გულს ესალმუნება.

თითქოს ხორცი თუ სისხლი მოუწოდებდეს ამ მგლოვიარე მახლობელთა კრებულისაკენ, ისე უნდა მათთან ყოფნა, _ თვითეული დედისთვის სამძიმრის

გმოცხადება. ახლოს მისვლა. მოხვევნა, ნუგეშისცემა.

ბედნიერი იქნებოდა, რომ შეეძლოს თავისი «დიდავოიც» მკერდის ფიცარს შიგნიდან რომ მოწოლია, იმათ მოთქმასა და ზარს შეუერთოს, და რაც სულის ტკივილი აქვს, მათ წინაშე ერთი ამოგმინვით ამოანთხიოს.

ხორცით და სისხლით ნათესავები თუ გაუგებენ არჩილს, რაც მას აწვალებს, რისთვისაც გული შესტკივა. მისი გულით ხომ მთელი მოდგმა ძგერს. მისი ღაღადისიც ხომ მოდგმის კივილია, ამ უდიდესი საფრთხის წინაშე დამდგარის, რასაც სიკვდილი ეწოდება.

დიაღ, არჩილის გაგება ახლა მხოლოდ დედას შეუძლია.

ჰო, სიცოცხლესაც კი არ დაიშურებდა არჩილი დედის ერთი დანახვისათვის, მასთან ერთი გამოლაპარაკებისათვის.

მან არ იცოდა დედის ფასი აქამდის.

იქნება, იმიტომ იყო ასე, რომ მის სულს ამ ზომამდის ჯერ კიდევ არ გასჭირვებია.

ვარდოს დედამ მოაგონა მას დავიწყებული დედამისი. მისმა დედურმა «დიდავოიმ» მიტოვებულ კერას დაუბრუნა იგი, სისხლის გაწყვეტილი კავშირი აღუდგინა.

დეე, კიდევ იქვითინოს არჩილის საკნის სარკმელთან ამ «დიდავოიმ!» დეე, უფრო ღრმად ჩასწვდეს არჩილის სულს მისი მწუხარე ჰანგი: მას ტირილი მართებს უფრო ხანგრძლივი და ცრემლის დინება დაუშრეტლად, რომ ნაწილობრივ მაინც გამოიტიროს, რაც გულში მწუხარება დაუგუბებია.

და ქუთაისის გიჟი ქარიც, თითქოს არჩილს დამორჩილდაო, ათას საკრავიდან შემდგარი ორკესტრივით ხმების ზღვას აგუგუნებს გულის შემღონებელი ერთი ლეიტმოტივის გარშემო, რომელიც «დიდავოით» გამოითქმის.

ასე დიდხანს.

მერე უცებ, თითქოს შეწყდაო ეს უჩინარი სიმფონია, მის მაგიერ უწესრიგო კივილმა მოიცვა გარემო, თითქოს ველურების ლაშქარი ქალაქს შემოესიაო.

არჩილი მიხვდა, რომ ჭირისუფლები უკანასკნელად ეთხოვებოდნენ ვარდოს და კუბო სახლიდან გაჰქონდათ.

მან იცის, როგორ ხდება ეს. თითქოს იქ, ჭირისუფალთა შორის იმყოფებაო, ის

ხედავს გაკაწრულ სახეებს, გაშლილ თმებს, გაგიჟებულ თვალებს და თავდავიწყებულ ამაო ჭიდილს კუბოსთან.

მაგრამ სად არის, ნეტავი ახლა ანდრო?

რას შვრება, რას ფიქრობს?

ნეტავი, თუ იცის, რომ ვარდოს უბედურების მიზეზი არჩილია და სხვა არავინ?

იქნება, იმ თეთრი სახლის სარდაფიდან ამ ხნის განმავლობაში სულაც არ ამოსულა, მიწის ქვეშ იმყოფება, და რაც ამბავი დტრიალდა, ამის ცნობაც არა აქვს?

ჰო, რა ძნელია იმის წარმოდგენა, თუ როგორ შეხედავს თვალებში ან ხმას როგორ გასცემს.

მაგრამ, აჰა, კივილიც მისწყდა.

ალბათ, გაასვენეს მიცვალებული.

«მშვიდობის» მაგვარი რაღაც ტუჩებზე უხმოდ დაეწერა არჩილს და გული ისე ჩაეთუთქა, რომ გრძნობაწასულივით შებარბაცდა და იქვე კედელთან უღონოდ ჩაიკეცა.

II

ხალხისგან დაცარიელებული სასაფლაო ქალაქგარეთ. მივარდნილ კუთხეში ვარდოს ახალი მიწაწაყრილი საფლავი, განმარტოებული. ზედ ორიოდე გვირგვინი და ცოტა მოშორებით ცაცხვის ხე.

კიდით-კიდემდე ქარის ანჩხლი ნავარდი და სტვენა გადარეული.

შუადღე გარდასულია.

საფლავიდან დაშორებული ჯვრიანი რკინის ჭიშკრიდან ვარდოს დაგვიანებული უკანასკნელი ჭირისუფალი გადის.

ამავე დროს, თითქოს მიწამ შობაო, მიტოვებულ საფლავთან სახე ყაბალახით დაფარული, სვეტივით აღიმართა სამარის წინ.

ყაბალახის წვეტები შენასკვილი აქვს. ნასკვზე ხელები ჩამოუწყვია.

უძრავად დგას და მდუმარებს.

ქარის ქროლვაში სიჩუმის ხარვეზებია ჩატანებული. ისინი უფსკრულებს ჰგვანან. ქროლვის ერთი ტალღა რომ გაივლის, მეორის მოსვლამდის, სასაფლაოს ეს უფსკრულისებრი სიჩუმე მოიცავს, ხანმოკლეა იგი, წამზე უფრო წამიერი, მაგრამ

სიკვდილის უმძიმესი ლოდივით აწვება თავზე გარემოს და სუნთქვას უკრავს, საუკუნო მდუმარების შიშსა ჰგვრის.

ისევ მოვარდნილი ქარი გაიტაცებს, სადღაც წაიღებს და ქვეყანას ისევ შვება ეძლევა.

ანდროს მდუმარება კი თითქოს გარდუვალი ჩანს. თითონაც, სიკვდილის ლოდს დამსგავსებია, ვარდოს საფლავზე ამართულს, ისე დგას ცივი, მძიმე და შეუვალი.

ასე გადის დიდი ხანი.

უცებ, თითქოს სხვა ქვეყნიდან მოისმაო, ყრუდ დაირხა:

- აჰა, უკანასკნელად დავიგვიანე, და შენც აღარ ხარ... აღარ ხარ, შენი ჭირიმე!

და ანდროს მაგიერ ქალმა ჩაიქვითინა.

თვითონ მას კი ამ გაშლილ მინდორში ჰაერი არ ჰყოფნის სასუნთქავად და სული ეხუთება.

ყაბალახი გადაიძრო, თავი შეაქანა და ჰაერი ზედიზედ ხარბად ჩაყლაპა.

სახეზე ბრინჯაოს ფერი შეფითრებია. ნახშირის თვალებს ცეცხლი აქვს შეკიდებული და ხედვა ალად გდაქცევია. შიგ სისხლის ფერი უკიაფებს.

- აჰა, უკანასკნელად დავიგვიანე და...

იტყვის და ისევ დადუმდება. მეტი სიტყვა არ აქვს.

კვლავ უძრავად დგას, უცნაურად შეკუმშული, და ასე საფლავს დასჩერებია.

გადის ხანი.

გულისჯიბიდან საათი ამოიღო. დახედა, დროს ანგარიშობს. ეს საათი ამხნაგებმა გამოტანეს. დრო დაუნიშნეს.

ციხიდან გამოსვლა ამა და ამ სათს მოხდება, არ დაგაგვიანდეს, თუ გინდა ქუჩაში გვირაბიდან გამოსულ არჩილს დახვდეო.

საათი ისევ შეინახა. დრო ჯერ კიდევ აქვს.

ადგილი გამოიცვალა. ხისკენ მიდგა. ზედ მიეყრდნო და საყვარელ საფლავს ახლა აქედან მიაცქერდა.

- თეთრი დღეა, ნათელი, მე და შენ მარტო ვართ ერთად. არ არის საჭირო, რომ ღამე გვფარავდეს. ჩვენ აქ არავინ გვიცნობს. ასე უნდა იყოს განა, რომ შენ მკვდარი ხარ

და მე ცოცხალი. საშინელი ბედისა ვყოფილვართ, ვარდო! მაგრამ ვის რა ვუთხრა მე აქ? ჩემი მეგობრები შორს არიან და შენ კი მდუმარებ.

ამას უხმოდ ამბობს. თავისთვის, ფიქრში.

მერე თავი მაღლა ასწია და მიმოიხედა, თითქოს თანამგრძნობთ ეძებსო.

აგონდება უკანასკნელი ღამე, სოფელში რომ გაატარა. ქარის ფრთებზე შორს, ცის ტატნობთან, სახეები გაიელვებენ.

ანდრო შეკრთა, მის გონების თვალს ნაცნობი სახეები წარმოუდგნენ.

მგლოვიარენი, თავჩაქინდრულნი მისკენ დინჯად წამოიმართნენ. ყველაზე წინ ნაცნობი ტყის დედოფალი მოდის, ანდროს და ვარდოს მესაიდუმლე, მერე სამნი ერთად, არსენა, იონა და სანდრო. გვერდზე, განცალკევებით _ ანდროს საცოდავი მამიდა.

მოდინ ნელა. მძიმედ. მდუმარედ.

ტყის დედოფალს ხელთ ანთებული კელაპტარი უჭირავს.

ვარდოს საფლავს მიუახლოვდებიან. სათითაოდ სტირიან, როგორც წესი და რიგია. ხის ძირში მდგომ ანდროს უახლოვდებიან და სამძიმარს უცხადებენ.

ვაჟები მასთან დგებიან. მამიდა და ტყის დედოფალი კი ისევ ვარდოს საფლავს დაუბრუნდებიან. ფეხების მორთხმით გარს შემოუსხდებიან თმაგაშლილები.

ერთხანს ყველანი მდუმარებენ.

ანდროს თითქოს რცხვენია, რომ აქ იმყოფება ვარდოს საიდუმლო ჭირისუფლად. აკი, უმალავდა მეგობრებს თავის სიყვარულს.

მაგრამ მოთმინება აღარ ჰყოფნის. აქვითინდება. თვალებიდან ცრემლის ნაკადებს გადმოღვრის.

მეგობრებიც სტირიან.

«როგორ მოხდა, ანდრო?» განა ასე შორს იყავი, რომ ვერ უშველე?» _ არღვევს სიჩუმეს არსენა.

«მე არ ვიცი, როგორ მოხდა. ცხადია, ვერ გასძლო ტყვეობაში და თავი დაიხრჩო. ყველაზე გვიან მე გავიგე. არ მცალოდა: არჩილის დახსნისათვის ვმუშაობდი. გავიგე, მაგრამ რა? მე მაინც ცოცხალი ვარ და ის კი მკვდარია».

«საცოდავი ვარდო»...

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

«შენ როგორ გგონია, არსენა, შენც, იონა და შენც, სანდრო, რამდენი სისხლი უნდა დაიღვაროს, რომ ოდნავად მაინც მომიკლას შურისძიების წყურვილი?»

«ბევრი, ბევრი, ანდრო» _ ნაღვლიანი დაღონებით უპასუხებენ მეგობრები.

მაშინ ანდრომ სამოსონას ნაჩუქარი რევოლვერი ამოიღო. მეგობრებს გაუწოდა საჩვენებლად.

«აი ამაზე ფიცი დამიდვია. ხატზე უფრო მწამს. ეს რევოლვერი ნაჩუქარია, და ის, ვინც მაჩუქა, მხოლოდ ერთი დღე ღამე იყო ჩემთან, მაგრამ თქვენსავით მახლობელი და ძმადნაფიცი გამიხდა. ხოლო ახლა ჩემთან ვერ მოვა იგი. თქვენც ვერასოდეს ვერ ნახავთ მას. მისი სახელი სამსონა იყო. დაიმახსოვრეთ. გურული იყო, ვაჟკაცი. და ამ მის ნაჩუქარი საბედისწერო რევოლვერის პირველმა ტყვიამ, ჩემი ხელიდან განასროლმა, ბოლო მოუღო მასვე. ასე მოხდა, ძმებო... აი, რა ბედი მქონებია! ეს ის რევოლვერია, და მას ვიმოწმებ, როცა ამ ფიცს ვდებ თქვენთან: ბოლო მოვუღო ვარდოს ჯალათებს და იმათაც, ვინც მე სამსონა მომაკვლევინეს... მე ახლა ისეთი უფროსი მეგობარი მყავს, რომელსაც მკერდში ფოლადის გული უდევს. რასაც ვამბობ, ამას მე სხვათასან არ ვიტყვი. ეს თქვენც იცით. უთუოდ შევასრულებ!».

სამსონას ამბავი ძალიან გაუკვირდათ მეგობრებს. ერთმანეთს გადახედეს. სიტყვა მოუწონეს ანდროს.

ისევ დუმილი ჩამოვარდა.

ანდრომ კვლავ საათს დაჰხედა.

- მე მალე უნდა წავიდე, ძმებო. _ სთქვა უცებ აჩქარებულმა. _ დღეს კიდევ არა მცალია. დღეის იქით კი თავისუფალი ვარ. ერთ დიდ საქმეზე მივდივარ: ჩვენი ძვირფასი არჩილის ბედი ამ საქმეზე ჰკიდია. შეიძლება, გაგვიჭირდეს და თქვენთან მოსვლა მოგვიხდეს სოფელში. მზად იყავით! მე ახლა ამ საქმისთვის მივდივარ. დაყოვნება არ შეიძლება. ვარდოს საფლავი კი გულში მექნება. იგი სულ ჩემთან იქნება. მშვიდობით. თანაგრძნობისათვის მადლობელი ვარ, ძმებო!

და ანდრო ისევ მარტო დგას ხის ძირში, გარს დაურღვეველი მდუმარება ახვევია და სადღაც შორს იმზირება. მის წინ ისევ ვარდოს მიტოვებული საფლავია და გარშემო აზვირთებული ქარის ქვეყნირებასთან ჭიდილი.

საათი ამოუღია და ხელში უჭირავს.

დროა, უნდა წავიდეს.

ნელა გადადგა ნაბიჯი. რაღაც შიშითა და კრძალვით ერთხელ კიდევ საფლავს მიუახლოვდა.

«აი, რით გათავდა ყოველივე», გაიფიქრა და საფლავს ახლოს დააცქერდა.

იქ, შიგნით, ღრმად მიწაში, ვარდო წევს. პირაღმა, თვალებდახუჭული. ხელები გულზე დაკრეფილი აქვს და ისე უძრავია, როგორც მხოლოდ მკვდარი შეიძლება იყოს.

ოქროსფერი თმა გაშლილი აქვს და ყელზე შემოჭდობილი. გულმკერდზედაც აფენია.

თეთრია, როგორც ქაღალდი. ტუჩებიც ისე თეთრი აქვს, როგორც მთელი სახე.

არ სუნთქავს. არ ხედავს. არ გრძნობს.

ასეთია ახლა ვარდო.

ანდრო თითქოს სულ ახლოს, თავდახრილ კუბოსთან დგასო, ასე დასცქერის მას.

დასცქერის და თვალებს არ უჯერის.

ნუ თუ სიკვდილს მართლა არაფრის გრძნობა არა აქვს?

აი, ხელს ასწევს ანდრო და ვარდოს ვითომ ფრთხილად შუბლზე დაადებს...

მაგრამ უცებ თავში ყოველი ფიქრი შეუწყდება. ხელი შეუკანკალდება. უკან გადადგამს ნაბიჯს.

ჯერ განუცდელი, გაურკვეველი, მაგრამ დიდი რამ გრძნობა მოიცავს ანდროს. რაღაც ღრმა და შეუცნობლი შიში ისე შეუფორიაქებს მთელ არსებას, თითქოს ყოფნის საშინელი საიდუმლოების საზღვართან მისულიყოს, სადაც ყოველივე თავდება.

სული შეეკუმშება.

მარტოობაზე შეყვარებულს ახლა მარტოობა შეაშინებს ამ საყვარელ საფლავთან.

ჰო, ნეტავი, ანდროც მკვდარი იყოს და უგრძნობი.

თორემ ისე იგი სხვაა, და ვარდო კიდევ სხვა, და ანდროსთვის ეს აუტანელია.

მას ახლა წასვლაც ვერ მოუხერხებია. ნებისყოფა არ აქვს, ცნობიერება დაკარგვია.

ასეა ერთხანს.

ბოლოს, როცა ქარმა შემოუქროლა და სასაფლაოზე დაწოლილი სიკვდილის მძიმე დუმილი ზუზუნით დაარღვია, ანდროს გულზე მოეშვა და ცნობიერება დაუბრუნდა.

საფლავს ნელი ნაბიჯით ჩაუარა. ერთხელ კიდევ დახედა, ახლა კი უკანასკნელად.

ერთხელ კიდევ უცნაური შიში ეწვია, ამას წინად რომ განიცადა, კვლავ მთელი ტანი შეეკუმშა და როგორც მოვიდა უეცრად, ისე უეცრად მიიმალა, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო.

..

ნაშუადღევის ოთხი საათი შესრულდა და ანდროც დანიშნულ ადგილს მივიდა. აქ ყველაფერი რიგზე იყო. ბალახვანის ქუჩაში, ბორნის შესახვევთან, ეტლი იდგა, როგორც სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა ქუჩის ამ კუთხეში, და კოფოზე წამოწოლილი მეეტლე ზანტად ყალიონს აბოლებდა.

ეტლის პირდაპირ, მეორე მხარეს ქვაფენილზე შალვა რამაძე მიმოდიოდა: ხელში გაზეთი ეჭირა.

ანდრო ეტლთან მივიდა. ახლოს მდგარ ხეს მიეყუდა და მეეტლეს მიმართა:

- ალექსა-მეეტლეს გაუმარჯოს!

ალექსამ ყალიონი პირიდან გამოიღო. კოფოე შესწორდა და უცნობ ყმაწვილს შუბლშეკრული მიაშტერდა. დაგვიანებით უპასუხა:

- რა გამარჯობა, ძმაო, მუშტარი რომ არ არის.

შალვა რამაძემ ამ დროს ნაბიჯი შეანელა, დაკეცილი გაზეთი თვალთან მიიტანა და მოგონებული ყურადღებით კითხვა დაუწყო.

ქუჩა ცარილია. მთელ მის სიგრძეზე არავინ არ ჩანს. დროა ისეთი, რომ ხალხი სახლში ისვენებს. ქარსაც უფრთხილდებიან.

ანდრო ერთხელ კიდევ გაესაუბრა მეეტლეს.

მერე დადუმდნენ.

შალვა რამაძე მოკლე მანძილზე მიმოდიოდა. პაპიროსს სწევდა, როცა პირს ბორნის მხარეს მიაბრუნებდა, პენსნედან ირიბული გამოხედვით პირს ბორნის ვიწრო შესახვევს გააყოლებდა ბორნისკენ. ასე გზის ხაზს ათვალირებდა. ამას რაღაც მალულად შვრებოდა, ქურდულად, და ისევ გაზეთს დააცქერდებოდა.

როცა ქარი გაზეთის ხელიდან გამოგლეჯას დაუპირებდა, რაღაც გადაჭარბებით გაჯავრდებოდა, ცალი ხელით გაზეთს იღლიაში იჩრიდა, ცალით კი ცხვირზე პენსნეს იმაგრებდა.

ასე მიდიოდა დრო.

თვალები ვითომ მალვით სამაჯურის საათისკენაც ეჭირა, მაგრამ ეს თითქოს

თავსითავად ხდებოდა ასე, თორემ რა დასამალავი იყო.

ვინ დასწამებდა შალვას, რომ იგი აქ ციხიდან გამოქცეულ მეგობარს მოელოდა, რომ მისი იყო ეტლიც, რომლითაც არჩილი საიდუმლო ბინაზე უნდა წაეყვანა ანდროსთან ერთად.

გულში ეუცხოვებოდა, რომ ასე გაეშმაკებული იყო და უკვირდა, ქვეყანას როგორ ატყუებდა. კონსპირაციის ნიჭიც თუ აღმოაჩნდებოდა, არ ეგონა.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, არჩილის წყალობაა.

ლამის, იქამდისაც მივიდეს შალვა, რომ იგი სოც-დემოკრატიულ პარტიაშიც კი ჩაეწეროს!

თუმცა ეს არასოდეს არ იქნება. პირიქით რომ მოხდეს, ეს კი შეიძლება: დადიშიანი შალვას პარტიაში ჩაეწეროს.

მაგრამ აი, მეოთხე საათმაც განვლო და შალვას გული ძალზე ეკუმშება.

საცა არის, გამოქცეულები უნდა გამოჩნდნენ.

ნუთუ მართლა გამოიქცევიან?.. რა უცნაურია. ერთი ვნახოთ: უცბათ სროლა ატყდა! გაუგეს, მაშინ? მაშინ რა ჰქნას შალვამ? მეგობრებს მიეშველოს, თუ გაიქცეს, წავიდეს, გაერიდოს? ნეტავი ის ყმაწვილი რას იზამს, არჩილის ძიძისშვილი, ეტლის გვერდით რომ დგას და ასე შეუნძრევლად, თითქოს ხის სვეტს შეზრდიაო? ის კი უთუოდ მიეშველება არჩილს. ისეთი თვალები აქვს და სახე, რომ თავგანწირვა მისთვის ადვილი საქმე უნდა იყოს...

არა, არაფერიც არ გაუჭირდებათ, ისეთი თვალები აქვს და სახე, რომ თავგანწირვა მისთვის ადვილი საქმე უნდა იყოს...

არა, არაფერიც არ გაუჭირდებათ, ისე წამოვლენ. მერე კი, როცა გაიგებენ, მთავრობა უთუოდ დიდ ამბავს დაატრიალებს ქალაქში, მაგრამ გვიან იქნება! არჩილი მაშინ შალვას ისეთ ადგილას ეყოლება, რომ არა დაუშავდება რა.

ყველაფერი საგანგებოდ მოწყობილი და მოგვარებული აქვს რამაძეს: _ მატარებელი. ბათომი. გემი, ზღვა. მოსკოვი.

არჩილისათვის გამოწყობილი პასპორტიც ჯიბეში უდევს. დიდმა ვასომ დაამზადა.

რა ჰქვიან ახლა არჩილს? გაბრიელ ანუ გაბო გაბაშიძე... კარგია, რით არის ცუდი ან

საეჭვო? არაფრით. მგონია, ალიტერაციაც ამშვენებს.

მაგრამ რომ აგვიანებენ?

III

სანამ აბლანდიას ბინიდან ვარდოს გაასვენებდნენ და არჩილიც თავის საკანში ქარის ამოტანილ «დიდავოის» ხმაზე მოსთქვამდა თავისთვის, ციხის ქვედა სართულის საკანში ![1] დაუჯერებელი რამ ამბავი ხდებოდა.

ამ საკნის ერთ-ერთ კუთხეში, კედლიდან გამოწეულ ტახტთან, დუღაბის იატაკზე, ჩვენებური ცხენის ნალის მსგავსი და მისი ოდენა ნახვრეტი იყო გაკეთებული და მის ქვეშ შავი ღრუ მოსჩანდა.

ტახტზე ავადმყოფი პატიმარი იწვა, თავწაკრული, რომელსაც თავთან, ძირს იატაკზე, გოგია უჯდა ფეხმორთხმული, ჭირისუფალივით.

საკნის კარი მაგრად იყო დახშული და კარის ხელის გულის ოდენა პატარა სარკმელს შიგნიდან რაღაც ტილო ჰქონდა აფარებული, ვითომ ორპირი ქარის წინააღმდეგ.

ავადმყოფი დროგამოშვებით კვნესოდა, ხოლო გოგია დუმდა და თვალების მოუცილებლად მის გვერდით ამოჭრილ ნახვრეტს დასცქეროდა, ლოდინად გადაქცეული.

შემდეგ უცებ რაღაცამ ნახვრეტის თავთან შეიშრიალა, და იქიდან პაპიროსის მაგვარად დახვეულმა ქაღალდმა სასწაულივით თავი ამოჰყო.

როგორც კი შენიშნა გოგიამ, ხელი მოავლო. ამოიღო. საკმაოდ გრძელი აღმოჩნდა. ძველი სიგელივით დაგრაგნილი რამ იყო.

- გოგია ხარ, ბიჭო? _ ამოჰყვა ქაღალდს ნახვრეტიდან ადამიანის გარკვეული ხმა.

გახარებული გოგია ნახვრეტზე უმალვე თავით მიწვა, ზედ ტუჩები მიადგა და შიგ ჩასძახა:

- მე ვარ, ნიკო!

- მაშ, აჰა, ესეც წაიღე! _ კვლავ მოესმა ღრუდან ხმა. ახლა რამდენიმე მოკლე ხვეული ზედიზედ ამოვარდა ნახვრეტიდან. ეს მოწითალო თუმნიანი ასიგნაციები იყო. ათრთოლებულმა გოგიამ ისინი ჯიბეებსა და უბეში ჩაიჩარა.

- ფულია... ქუთაისის ბურჟუაზიამ შემოგწირათ, _ ამოიძახა იმავე ხმამ გახუმრების კილოზე.

- ხე-ხე-ხე... _ გაცინებაღა მოახერხა გოგიამ.

- სხვა კიდევ თუ რამე გინდათ? სთქვი რაღა!

გოგიამ თითქოს აღარ იცოდა, თუ კიდევ რამე უნდოდა.

ყველაფერი მზადაა? რიგზეა? _ იკითხა მცირე გაჩუმების შემდეგ.

- მანდ ქაღალდში წერია ყველაფერი დაწვრილებით. წესი სასტიკად დაიცავით, იცოდე, ყველაფერი გამოზომილია და არ აირიოთ. მაშ, ასე. ნახვამდის.

- ნახვამდის... ნახვამდის, ნიკო! ნა-ხვა-მდის, ბიჭო!

როცა გოგია იატაკიდან წამოდგა, სიხარულისაგან სულელივით იღრიჭებოდა: თითქოს კიდევაც იცინისო და კიდევაც სტირისო ერთდროულად.

- ა? ხედავ, პეტრე, რა ამბავია? _ მიმართა მან ავადმყოფ მეგობარს და ისე შეხედა, თითქოს იმის სინამდილე შეამოწმაო, რაც მოხდა.

ვხედავ და მეტი არა!... ამაზე უკეთესი ზღაპარიც არ იქნება!

მეც მგონია, რომ არ იქნება. მაგრამ თუ იქნება, მით უკეთესი, _ გონს მოეგო გოგია. სინამდვილეს დაუბრუნდა. პეტრეს უთხრა: ხო, შენ, ჩემო პეტრე, ისევ შენი განაგრძე: ყველას ის უთხარი, რომ სახადი გჭირს. რათა გაგერიდონ. რაც ნაკლებად შემოვა აქ ხალხი მით უკეთესი. თუმცა არავის სცალია, მგონია, ჩვენთვის, ისე გაიტაცა იმ მეგრულმა ტირილმა ხალხი... მაინც იკვნესე, რამდენიც შეგიძლია... საღამომდის ასე გაძელი. მე, არჩილი და შენ ერთად გავალთ, ახლა გავიგებთ, რასაც ამხანაგები გარედან იწერებიან... შენ იცი, მაგრად იყავი, კიდევ შემოვალ, რა თქმა უნდა.

ამხანაგი პეტრეს «ავადმყოფობით» თითქოს ძალზედ შეწუხებული გოგია საკნიდან გავიდა და ციხიდან «გასვლის» ხელმძღვანელი კომისიის წევრების თავის მოსაყრელად გაეშურა...

...

წამსვლელთა რიცხვი ოცდაათამდის ადიოდა. ესენი უკვე წინადღით იყვნენ გაფრთხილებულები, და თვითეულმა იცოდა, რომ დღეს, რა დროსაც უნდა მიეცათ ნიშანი, წასასვლელად მზად უნდა ყოფილიყვნენ და დაუხანებლად მიჰყოლოდნენ მშენებელს.

ყველას სუფთად ჩაეცვა და დაეხურა, რომ ქუჩაში გასულებს რითიმე ზედმეტი ყურადღება არ მიექციათ. უმრავლესობას შესაფერისი ქუდის უქონლობა უჭირებდა საქმეს. ეგონათ, რომ კარგ ქუდზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. გოგიას მოსვენებას არ აძლევდნენ: შეუთვალე გარედ, რომ ამხანაგებმა, რც შეიძლება, მეტი ქუდი დაგვახვედრონ ამოსარჩევადო.

ყველაზე უფრო შფოთავდა მეოთხე კამერის ფილოსოფოსი, ენგელსის «ანტიდიურინგის» კრიტიკოსი. მისი დიდი თავისა და გრძლად მოშვებული თმის დასაფარავად მთელ ციხეში არაფერი არ აღმოჩნდა. ვერც გაკრეჭა გაებედა, ეჭვი არ აიღონო. თავშიშველს კი ქუჩაში გავლის ეშინოდა, უთუოდ მიცნობენო.

ბოლოს, ვიღაცის რჩევით ჩოხა-ახალუხი ჩაეცვა და თავზე ყაბალახი მოეხურა. ახლა მართლაც ძნელი საცნობი იყო. მაგრამ ჩოხა არ უხდებოდა. რაღაც უცნაური ფერის იყო. ფილოსოფოსის ფერისცვალებისათვის მთელ ციხეს ყურადღება მიექცია.

- სად მიბრძანდები, ბატონო იუსტინე, რომ ასე გამოწყობილხარ? _ შეეკითხა კიდევაც ვიღაცა, ძმაო, _ უპასუხა ცნობისმოყვარე ტუსაღს იუსტინემ, მაგრამ სიმწრის ოფლმა კი გადაასხა.

გოგიას სათითაოდ გაფრთხილებული ჰყავდა ამხანაგები, რომ მეტად თავდაჭერილად ყოფილიყვნენ. იმის შორეული ეჭვიც კი არ უნდა დაბადებოდა ვისმეს ციხეში, რაც ნამდვილად ხდებოდა.

უცხო ტუსაღის შეკითვამ იუსტინეს ნერვები აუშალა.

თავი გავეცი და სხვებიც დავღუპეო, გაიფიქრა.

ერთ ადგილას ვერ დგებოდა. ერთ კამერაში ვერ იცდიდა. წონასწორობა დაკარგოდა წინასწარი შიშის ზეგავლენით და აწყვეტილივით დადიოდა მთელ ციხეში, ამღვრეული თვალების უცნაური შტერებით.

შეშინებულმა ამხანაგებმა გოგია გააფრთხილეს, დაგვღუპავს იუსტინეო. გოგიამაც თავისებურ ხერხს მიმართა. მოიხმო კალაპოტიდან ამოვარდნილი ამხანაგი და საიდუმლოდ უთხრა:

- ამხანაგო იუსტინე, გარემოება ასეთი შეიქმნა, რომ ჩვენი წასვლა კიდევ ხუთი დღით გადაიდვა. ასე რომ, დღეს და ხვალ არაფერი არ იქნება... როცა დრო მოვა, ისევ გაგაფრთხილებ. ხსვებიც გაფრთხილებული მყავს. _ შემდეგ ახედ-დახედა. თითქოს

მხოლოდ ამ წამში მიაქციაო მის ჩოხას ყურადღება, ასე დაასრულა: _ ბიჭოს, მართლა კარგად გამოწყობილხარ, სად იშოვე, კაცო, ამ ფერის ჩოხა? ძალიან მომწონს. ეჭვსაც კი ვერ მიიტანენ შენზე. ყოჩაღ.

უაღრესად დამამშვიდებელი წამალივით იმოქმედეს გოგიას ამ სიტყვებმა იუსტინეზე, განსაკუთრებით კი ჩოხის მოწონებამ დაამშვიდა. სახე გაუსწორდა და თვალები დაუწყნარდა. კამერაში კმაყოფილი დაბრუნდა და ჩუმად ნარზე წამოწვა.

...

გათავდა თუ არა მეოთხე საათი, ზედამხედველებმა დერეფნებში ზარი ჩამოაწკარუნეს და პოლიტიკურების საერთო სეირნობაც დაიწყო.

სულ რამდენსამე წამში ორასზე მეტი კაცი ციხის პატარა ეზოს განსაკუთრებული ახმაურებით შეეფინა და კუთხიდან კუთხეში მიმოიფანტა.

ზედამხედველები სადარაჯო პუნქტებზე ჩამორიგდნენ და ტუსაღებმაც მათ შორის ტრიალით მიმოსვლა გამართეს, როგორც სეირნობის წესი მოითხოვდა.

ერთი ნაწილი განზე გადგა და ტანთვარჯიშობას მიჰყო ხელი.

ზოგნი კიდევ შეჯგუფდნენ და მასლაათი გააბეს, რომლის საგანი ისევე უბედური ვარდო იყო და აბლანდიასას ამ დილით გამართული მეგრელი ქალების მოთქმა-ტირილი.

ეზოში ჩამავალი ციხის კიბის ყურესთან არჩილი და გოგია დამდგარიყვნენ განცალკევებით და ხელების დამშვიდებული შლით ჩუმი საუბარი გაემართნათ. თან ისეთი სახე გამოეჩინათ, რომ, თუ ვინმე მთთან მისვლას განიზრახავდა, უთუოდ ენიშნებოდა:

- ცოტახანს დაგვაცადე, ამხანაგო, არა გვცალია და მერე შემოგვიერთდიო.

ამავე დროს ეზოს ათვალიერებდნენ კუთხით-კუთხემდე და, თითქოს საიდგანღაც რაღაც საიდუმლო ნიშნის გაელვებას მოელიანო, ფარულ მოლოდინში იმყოფებოდნენ.

გაქცევის სანატრელ საათს, საცა იყო, უნდა დაერეკა.

ნიკოს მიერ გვირაბის უშუალოდ გადმოცემული ინსტრუქცია ზედმიწევნით იყო შესრულებული. ყველამ იცოდა გზა, როგორც ხვრელამდის, ხვრელის იქითაც, როცა ქუჩაში გავიდოდნენ, თუ სად მისულიყვნენ და ვისთვის როგორ უნდა მიემართნათ.

ახლა მხოლოდ ნიშანს მოელოდნენ რიგ-რიგობით წასასვლელად.

უცებ ვიღაცა ჩვენებით, ეზოს შუაგულში მოსეირნეთა ერთმა ნაწილმა წრე შეჰკრა. დაჰკრეს ტაში და ისეთი საცეკვაო შემოსძახეს, რომ მთელმა ეზომ ახლა იმათკენ პირი იბრუნა.

მყისვე ამ წრის გვერდით, ვითომ ვიღაცამ მეტი სიხარულისაგან მოიმოქმედაო, თეთრი ცხვირსახოცი მაღლა ავარდა და ჰაერში გაიშალა.

ეს გასვლის დაწყების ნიშანი იყო, რომლის დანახვაზე გოგია და არჩილი დაუყოვნებლივ უნდა წასულიყვნენ ქვედა სართულის პირველ საკნისკენ, სადაც ხვრელი იყო შემოყვანილი.

- წამო, ჩვენი რიგია! _ უთხრა არჩილს გოგიამ, მკლავში გაუყარა ხელი და თვალის დახამხამებაში კიბეზე აარბენინა.

პირველი საკნისკენ მიმავალ დერეფნის სიღრმეში კომისიის ერთ-ერთი წევრი იდგა, რომელსაც მომავალთათვის ორი ნიშანი ჰქონდა: თუ იგი ყბა შეხვეული იქნებოდა, დერეფანში შემოსული ამხანაგი უმალვე უკან უნდა დაბრუნებულიყო. ხოლო თუ ყბა არ ექნებოდა ახვეული, _ გზა ხსნილი იყო.

მშვიდობით გაიარეს დერეფანი გოგიამ და არჩილმა.

- გზა დამილოცავს, _ წასჩურჩულა მათ კომისიის წევრმა საკანში შესვლისას.

მშვიდობით, სიმონა! _ შესდგა მასთან გოგია. _ აბა, შენ იცი: წესრიგზე ჰკიდია ჩვენი ამბავი. ოდნავი გადახრაც კი არ უნდა მოხდეს. _ უთხრა და ხელი ჩამოართვა.

- ჯავრი ნუ გაქვს... ვინც წესს დაარღვევს, ჩვენივე ხელით გავათავებთ! იარეთ!

გოგია და არჩილი საკანში შევიდნენ და კარი მოხურეს. აქ მათ ამ საკნის ავადმყოფი აბორიგენი დახვდა, ამხანაგი პეტრე, _ მომზადებული, გამოწყობილი.

გოგიას არ შეუყოვნებია. ხელის ერთი გაკვრით მოიშორა წინასწარ გაქლიბული ბორკილი და კუთხეში მიაგდო. მერე მივიდა იატაკში ამოჭრილ ნახვრეტთან და ზედ, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, მაგრად მოქნეული მარჯვენა ფეხი დაჰკრა, როგორც ნიკოს ინსტრუქციაში იყო ნაჩვენები.

ხრიალით ჩაიქცა იატაკი და ხვრელს მრგვლად მოყვანილი პირი გაუკეთდა, რომელშიაც კაცი ადვილად გაეტეოდა.

გოგიამ არჩილს გადახედა და შეუცინა, თითქოს თავი მოიწონაო.

- ხედავ?

არჩილი სახეზე შეწითლებულიყო და დაუფარავი განცვიფრებით დასცქეროდა მის წინ შავი გველეშაპივით პირდაღებულ ღრუს.

აღელვება რომ დაემალა, იღიმებოდა.

- რაღაც სასწაულის მაგვარია! _ თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა და უნდოდა რაღაც კიდევ ეთქვა, მაგრამ გოგიამ დაასწრო.

- მაშ, პირჯვარი დაიწერეთ და მომყევით! _ წარმოსთქვა მან მოკლედ და თქმის უმალვე მართლა სასწაულებრივ გაჰქრა. მიწამ უყო პირი.

არჩილს ახლა სახეზე ღიმილი ჩამოშორდა.

უნებლიედ მის უკან მდგომ ამხანაგს შეაცქერდა, აბა, ამაზე როგორ იმოქმედა ამ ამბავმაო.

ამხანაგ პეტრეს სახე შენაცრებოდა და გალურჯებული ტუჩები უცნაურად აეცმაცუნებინა, თანაც მართლა პირჯვარს იწერდა და ერთი თვალი რომ ხვრელისკენ ეჭირა, მეორე ისე აეპყრო მაღლა, იატაკისკენ, თითქოს იქ ღმერთს უყურებსო.

- მივდივართ, მაშ? _ ჰკითხა მას არჩილმა იმისთვის, რომ რამე ეთქვა, და სანამ ხვრელისკენ ნაბიჯს გადადგამდა, მისი გონების რომელიღაც უჯრედმა გაკვირვებით აღნიშნა, რომ მას შიშის გრძნობა სრულიად დაჩლუნგებოდა და იმის წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, თუ რა საშიშ გზაზე იმყოფებოდა.

აუჩქარებლად მოიხადა ქუდი. შუა გაკეცა და იღლიაში ამოიდვა. ტანი და ფეხები ხვრელში ჩასვლის წინ მოიმოქმედა და თავი უფსკრულს მისცა თვალდახუჭულმა.

უცებ ბრაგვანით დაეცა რაღაც მყარზე და ფეხქვეშ მიწა იგრძნო.

თვალებში სინათლე არ ჰქონდა. ეგონა, რომ ისევ დახუჭული ჰქონდა და ფართოდ გაახილა, მაგრამ მაინც ბნელოდა.

გაიწ-გამოიწია, მაგრამ ლურსმანივით ჩარჭობილიყო მიწის კედლებშუა და ვერ ინძრეოდა.

უცებ მოიაზრა, რომ აქ დაყოვნება არ შეიძლებოდა, რათა უკან მომავალი პეტრე თავს არ დსცემოდა. მიტრიალ-მოტრიალდა მაგრად. ზურგის მხრით ცარიელი ადგილი იგრძნო, მაგრამ მისკენ პირი ვერ მიებრუნებია, ისე ვიწრო იყო ხვრელი. მაშინ მოიკაკვა და კიბოს მსგავსად დაიხია. ასე გასხლტა ამ ვიწრობიდან.

ახლა გვირაბის სიმაღლემ იკლო და არჩილიც მიწაზე გაერთხა. მკლავებითა და მუხლებით მიჩოჩავდა.

ცოტახანს ასე იარა.

უცებ სინათლე ეცა თვალში. გაუკვირდა. ნახა, რომ აქეთ-იქით კედელში მიწა შეთხრილიყო და შიგ ანთებული სანთლები ბჟუტავდნენ.

აქ ხვრელიც მობრუნდა, პირი გასავალისკენ ჰქნა, გაიმართა კიდევაც სანახევროდ და გამალებული გაჰყვა გზას.

მალე მოხვდა გვირაბის იმ ნაწილში, რომელიც ქუჩის ქვეშ გადიოდა. ეს ნაწილი ზემოთ და ქვემოთ ფიცრებით იყო შეკრული და სვეტებით გამაგრებული, რომ მიწა არ ჩამოშლილიყო.

აქედან თითქმის ტანგამართული შეიძლებოდა სვლა. თეთრი სახლის სარდაფიდან აქ სინათლეც კი აღწევდა.

რამდენიმე ნაბიჯი კიდევ და არჩილიც ნათხარი მიწით სავსე სარდაფში გაჩნდა, საიდანაც, თითქოს მოულოდნელად, დიდსა და ნათელ ოთახში შესდგა ფეხი.

ისე მოეჩვენა, რომ ნამდვილად სულ სხვა ქვეყანაში მოხვდა.

პირდაპირ, კედელზე, დიდი სარკე იყო აყუდებული და იქიდან ვიღაც ევროპულად მორთული და თვალებზე მწვანე სათვალეებაფარებული, არჩილს ღიმილით შემოსცქეროდა.

სარკის წინ გოგია იდგა არჩილისაკენ ზურგით.

არჩილმა ზურგი იცნო, რომ გოგიასი იყო, სარკის სიღრმიდან რომ სახე შემოსცქეროდა, ის ეუცხოვა.

- აქ მოდი, არჩილ, გოგია ვარ, _ უთხრა არჩილს გოგიამ, როცა გაკვირვება შეატყო.

- რა გაეწყობა, უნდა დაგიჯერო, თორემ არ გავხარ! _ უპასუხა არჩილმა და მისკენ გაემართა.

სარკეს რომ კარგად გაუსწორდა, შიგ კიდევ საკუთარი თავისა და გოგიას გარდა სხვაც დაინახა, რომელიც მის უკან იდგა, კუთხეში, და მშვიდად იცინოდა.

- მართლა არ გამაგიჟოთ, ხალხო! _ სთქვა არჩილმა და უკან დაიხია.

- მომილოცავს, ამხანაგო არჩილ! მე კიდევ დათო ვარ! _ გაისმა დათოს ხმა. არჩილი მყისვე მისკენ მიბრუნდა.

ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს.

- არ მოგელოდით აქ, დათო...

- მე ამ სახლის კომენდანტი ვარ... ამხანაგებმა, სალამის გადმოცემა დამავალეს, _ უპასუხა დათომ.

მაგრამ ამ დროს არჩილს გოგია მიუახლოვდა და ზურგზე ტანთსაცმელის ფუნჯი ჩამოუსვა. სახელოებზე და გვერდებზედაც ჩამოჰკრა.

- ლაპარაკის დრო არ არის... გაიბერტყე მტვერი! გაიწმინდე და ჰაიდა! სარკესთან მიდი და თმა დაივარცხნე, ქუდი სად გაქვს, რომ არ გახურავს?

არჩილს ახლა მოაგონდა მისი ქუდი, რომელიც ხვრელში ჩახტომის წინ იღლიაში ამოიჩარა.

ფიცხლად იტაცა ხელი ჯერ ერთ იღლიაში, მერე მეორეში, მაგრამ არც ერთში ქუდი არ აღმოაჩნდა.

გაწილდა. დაიბნა. ჯიბეშიც დაუწყო ქუდს ძებნა.

- რას ეძებ, კაცო? _ ჰკითხა გოგიამ.

- ქუდს. აქ შევინახე, რომ არ დამკარგვოდა, და აღარ არის. _ გაიხადა ზევითა საცვამი. სახელოები გადმოუბრუნა. მაგრად დაბერტყა და იატაკს დააშტერდა. სარდაფში ჩასვლისკენ მიიხედა და, ის-იყო უცებ უნდა მოსწყდომოდა თავის ადგილს, რომ გოგიამ ხელი სტაცა მკლავზე და შეაკავა.

- მოიცა... ხომ რ გაგიჟდი, ქუდისთვის ისევ ხვრელში ბრუნდები? უქუდოდაც კარგად ივლი!

- უქუდობა, როგორ იქნება? _ არ ნებდებოდა არჩილი.

- აი, ჩემი ქუდი! _ განაცხადა დათომ. _ თქვენს კოსტუმზე ზედ გამოჭრილია. _ ამ სიტყვებით მან ქუდი მოიხადა და არჩილს თავზე დაახურა.

არჩილს კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ამ დროს ამხანაგებს მოულოდნელად თავზე უცნაური სახე წამოადგათ.

ძლივს იცნეს.

- ჰო, პეტრე! _ მიეგება მას გოგია. _ ჩვენ ვართ, ნუ გეშინია! _ თან გიჟივით სიცილი აუტყდა.

ძნელად წარმოსადგენი სახე ჰქონდა ამ პეტრეს, _ შიშს, გაოცებას და მტვერს

ასპარეზად გაეხადნათ იგი და ზედ ისეთი ბუქნაობა გაემართნათ, რომ კაცს მართლა არ შეეხედებოდა.

მაგრამ ამისთვის ახლა აღარ ეცალათ ამხანაგებს.

- გოგი, თქვენ უკვე აგვიანებთ! _ გააფრთხილა გოგია და არჩილი დათომ.

გონს მოეგო გოგია.

- აბა, არჩილ, წამო! _ მიმართა არჩილს, მკლავში ხელი გაუყარა და ქუჩაში გასავალი კარისაკენ გააქანა.

პირველი გოგია გავიდა ქუჩაში.

- აი, სარკე, ამხანაგო პეტრე, შეილამაზე თავი და წადი... შიში ნუ გაქვს. ყველაფერი რიგზეა. ბინის მისამართი ხომ იცი? _ მოესმა ოთახიდან არჩილს დათოს ბეჯითი ხმა, როცა ტანი გამოღებულ კარსა და კარს შუა გაჰქონდა.

პატარა სახლის ეს კარი პირდაპირ ციხეს შეჰყურებდა. იქვე საყარაულო იყო და თოფიანი ჯარისკაცი გალავნის გაყოლებაზე დინჯად მიმოდიოდა.

გოგიამ და არჩილმა უდარდელი სახე მიიღეს, წყნარი სიცილგარეული საუბარი წამოიწყეს და დარაჯს ასე ჩაუარეს.

გაიარეს თუ არა ციხის განი, ნაბიჯს მოუმატეს.

პირველსავე გადასახვევში გადაუხვიეს. აქ კიდევ მოუმატეს ნაბიჯს.

- იცი, არჩილ, ჩვენ ბალახვანის ქუჩამდის ერთად ვივლით, იქ რამაძე დაგვხვდება ეტლით. ეს ეტლი ერთად წაგვიყვანს... შენ შენს ბინასთან ჩამოგსვამს. მერე მეც ჩემს ბინასთან. ცალ-ცლკე, მაგრამ ახლოს. ჩვენსა და ვასოს შორის შენი ანდრო ივლის მოამბედ... ასეა მოწყობილი, _ ეუბნებოდა გზადაგზა გოგია არჩილს.

- აკი მითხარი, კაცო, ერთხელ. დაგავიწყდა?..

არჩილს რაღაც ფეხი ფეხზე ედებოდა და ამის გამო გუნებაზე ვერ იყო, ცხენივით იათახს იკრავდა.

მალე ბორნისკენ პირდაპირ მიმავალ ქუჩაში გავიდნენ.

- საკვირველია, _ დაიწყო ახლა არჩილმა, _ მე არ მეშინია და ჩემს ფეხებს კი რა მოუვიდათ?

- არ მოდიან?

- მოდიან კი, მაგრამ რაღაც კარგად ვერ მოდიან... თქვენში რა ჰქვიან ისეთ კაცს,

რომელსაც სიარულის დროს ფეხი-ფეხზე ედება... ნახირშიაც გაერევა ხოლმე ასეთი ძროხა ან ხარი... ზოგს ცხენსაც სჩვევია... ა? არ იცი ამის სახელი?

გოგიამ ჯერ გაკვირვებით გადახედა არჩილს. მერე მიუხვდა, რომ კარგად იქცეოდა, გულის გადასაყოლებელს რასმე რომ ამბობდა.

- რა ჰქვიან? ჰმ... ცხენზე იტყვიან იათახს იკრავსო... _ უპასუხა. ქი? _ არ დაკმაყოფილდა არჩილი გოგიას პასუხით.

- ისეთ კაცს რა ჰქვიან? ჰმ... ჰმ... _ ვერ მოიგონა. მერე ჩაიცინა და უპასუხა: _ ჩვენში ასეთი კაცი არც კი არსებობს. ყველა სწორად დადის. სამეგრელოში კი ბევრია, ალბათ, და სახელიც იქ ეცოდინებათ.

- ჩვენში ამისთანა კაცს «კაჭა» ჰქვიან.

- ვერაფერი შვილი სიტყვაა, უნდა გმოგიტყდე,ბიჭო, ბორანიც გამოჩნდა, მგონი, შეხედე, ამ მხარეს არის. იქნება, მოვუსწროთ, გამოიარე! გეყოფა ლინგვისტიკა!

- გავიქცეთ, გინდა? იქნება, გგონია, რომ არ შემიძლია?

კიდევ უფრო ჩქარა წავიდნენ.

- «კაჭა» იმიტომ ჰქვიან, ალბათ, _ განაგრძო სულის მოთქმასა და მოთქმას შუა არჩილმა, _ რომ როცა ძვალი ძვალს მოხვდება, ხმას გამოსცემს ხოლმე: კაჭ... კაჭ... კაჭ... გესმის?

- კი, მაგრამ სამეგრელოში ხალხს ფეხის ძვალს არაფერი უფარავს? როგორ გეკადრება!

- იმ დროის ამბავია, როცა არ ეცვათ.

- აგაშენა ღმერთმა... ჰე, არჩილ, მგონია მოუსწარით კიდევაც... მხოლოდ ახლა სხდებიან! ჩქარა წამოდი! არა გვიშავს რა, იცოდე.

მივიდნენ, რიგში ჩადგნენ, ჩასხდნენ. ნავიც დაიძრა.

როცა არჩილს რიონის ნაცნობმა სიომ შემოუქროლა, გული მცირედ მოუამდა, და დაწყნარდა.

მეგობრები სდუმდნენ. თვითეული თავის ფიქრში იყო წასული.

არჩილს გონება უცნაურად აუმუშავდა. იგი თითქოს ჯიბრზე არისო, არ სცნობდა ციხიდან გამოქცევის მომხდარ ფაქტს და თავისთავს ისევ ციხეში გულისხმობდა, თავის მიტოვებულ პატარა საკანში.

არჩილსაც ახლა მომხდარ ამბავზე უფრო გარემოება აკვირვებდა. რამდენიმე წუთის წინად იგი უთუოდ ციხეში იმყოფებოდა, ახლა კი, ეჭვის გარეშეა რომ თავისუფალია და ბორანზე ზის გოგიასთან ერთად, სრულიად ხელუხლებელი და უვნებელი.

საიდან არის, რომ მის გონებას ამ ფაქტში ეჭვი შეუდის?

დაუჯერებელი ამბავი კი მოხდა: მაგრამ ხომ მოხდა და ამას ყველაფერი ამტკიცებს: რიონი, ბორანი, გაღმა-გამოღმა ნაცნობი ადგილები, გარშემო უცხო ხალხი, რომელიც ხან წყალში იცქირება, ხან გარემოს მიმოავლებს თვალებს და ხან კიდევ ბორანის ჯაჭვით გასრიალებულ კოჭს უცქერის.

უმთავრესი კი ის არის, რომ არჩილს იმ შემოჩენილ წითელთვალებიანი ჯალათის არ ეშინია, რომელიც ამ უკანასკნელ დროს დღედაღამ მოსვენებას არ აძლევდა.

«ფაქტია, ფაქტი!» ამბობს გულში არჩილი, თითქოს თავის ურწმუნო გონებას აჯერებსო.

«კაცმა რომ გონებას დაუჯეროს, ქვეყანაზე არაფერი არ შეიცვლებოდა, და ცხოვრებაც მაშინ არაფრად არ ეღირებოდაო», ამბობს თავის გუნებაში არჩილი და გაღმა ნაცნობ ნაპირს მიაპყრობს თვალებს.

აი, პირდაპირ, რამაძეების ნაცნობი ბაღის გალავანი და ჩამწკრივებული ჭადრები მოსჩანან. აი, მათ ქვემოთ, ის წყლიდან ამოზიდული კლდეც, რომელზედაც არჩილი დაჭერის წინ იჯდა და წინაღამის კოშმარებს მდინარეში ახრჩობდა.

მოაგონდება ის აღფრთოვანებაც, რომელიც მაშინ რიონმა განაცდევინა.

ცაცაც დაუდგება თვალწინ, წარმოუდგება მასთან უკანასკნელი შეხვედრა ბაღში.

მაგრამ, არა, არ უნდა არჩილს ცაცაზე ფიქრი.

თვალს მოსწყვეტს ნაცნობ ადგილს და მაგრად დახუჭავს, რომ როგორც სინათლე თვალში, ისე თავშიც ცაცას მოგონება გაუქრეს.

მაგრამ მისმა თვალებმა ახლა სხვა მხრით დაიწყეს მზერა, _ არჩილის შიგნით, სადღაც ღრმად, მიუვალ კუნჭულში.

რამდენი უხილავი ფიქრი, გრძნობა და განცდა მიმალულა ამ კუნჭულში!

მიმოავლებს თვალებს მათ რიგებსაც არჩილი და შეკრთება.

ეუცნაურება: მათ შორის პირველობას სწორედ ისენი იჩემებენ, რომლებიც არჩილმა ციხეში საბოლოოდ დაჰგმო და უარჰყო, რადგანაც არჩილი მათ ცაცა რამაძის ქალის გამოქომაგებას აბრალებდა.

ახლა კი ისევ შემოსევიან ისინი არჩილს. აჯანყებულებივით უჭირავთ თავი, არჩილს წინ ცაცას სახე დროშასავით გაუშლიათ და იმუქრებიან. არჩილს პირიქით ღალატს აბრალებენ.

ჰოო, სად წაიღოს თვალები არჩილმა, მან ეს გარადუვალი ფიქრები სად ან როდემდის დამალოს?

თუ არჩილმა ციხის ზღუდე გაარღვია და აიწყვიტა, აჰა, მის გრძნობებსაც აუწყვეტიათ, ციხეში რომ ჯაჭვით ჰყავდა დაბმული.

იქნება, ისევ ციხეში სჯობდა ტანჯვა.

მაგრამ: დეე, კიდევ მოხდეს, რაც მოსახდენია. როგორც ამ ნავს მიჰყვება არჩილი, ისე გაჰყვება იგი ცხოვრებასაც და იმ ნაპირს მიადგება, რომელიც ბედზე უწერია, თუ კი არსებობს სადმე ნაპირი ამ ცხოვრებაში და მასზე დადგომა შესაძლებელია.

და არჩილი თვალებს გაახელს.

ნავიც ამ დროს ნაპირს მიადგა, და არჩილის ხანმოკლე ექსკურსიაც ფიქრებში ამაზე შესწყდა.

...

არ გასულა ხანი, რომ ალექსა-მეეტლე ოთხ ამხანაგს ბალახვანის ქუჩით ქალაქის შუაგულისკენ მიაქანებდა ქარის სისწრაფით.

უკანა სკამებზე არჩილი და გოგია ისხდნენ, წინ კი, მათ პირდაპირ _ ანდრო და შალვა რამაძე.

IV

ასეთი საშინელი საღამო და კიდევ უფრო საშინელი ღამე ქუთაისს თავის დღეში არ უნახავს.

ხვრელის აღმოჩენის უმალვე ქალაქს გარშემო ცხენოსანი ყაზახ-რუსების ალყა შემოარტყეს, ხოლო შიგნით ჯარითა და პოლიციით ყველა ქუჩა შეჰკრეს რაიონის გაღმა-გამოღმა.

შეიქმნა საყოველთაო ჩხრეკა, დაპატიმრება, ცემა, ვაის ყვირილი.

თვითონ ციხე კი ჯოჯოხეთად გადაქცეულიყო.

გაქცევის ამბავი ციხის ადმინისტრაციამ შემთხვევით გაიგო.

სანამ პოლიტიკურების სეირნობა გათავდებოდა, გასვლის ხელმძღვანელმა კომისიამ სია ამოსწურა და ოცდა ათი პატიმარი გოგიასა და არჩილის კვალით, ციხიდან მშვიდობით გაისტუმრა.

ამის შემდეგ ხვრელის არსებობის ამბავი სწრაფად მოედვა მთელ ციხეს. ვისაც სურდა, ყველას შეეძლო წასვლა.

ტუსაღები ხვრელს მიაწყდნენ. საქმე მისწრებაზე იყო. მსურველი იმდენი აღმოჩნდა, რამდენიც კატორღელი და ციმბირში გადასახლებამისჯილი. მაგრამ შეიძლებოდა, ხვრელი კიდევ კარგა ხანს ვერ აღმოეჩინა. ადმინისტრაციას, რომ ერთ-ერთი ასეთნაირად გაქცეულთაგანი ქუჩაში შემთხვევით არ დაეპატიმრებინათ ჯარისკაცებს და ციხეში არ დაებრუნებინათ.

ის კატორღელი იყო. ქალაქის ასავალ-დასავალი არ სცოდნოდა და ციხის ახლომახლო დაეწყო ხეტიალი, სადაც ჯარის სადგომი ყაზარმები უნდა იყოს, ციხიდან გამომძვრალიყო, _ შეეპყროთ. შესამოწმებლად ციხეში წამოეყვანათ.

გამოიცნეს.

ეს ამბავი აბლანდიას აცნობეს ბინაზე. ისიც შემოიჭრა ციხეში და როცა ამ ტუსაღს ცემით დაჰკითხა, თუ როგორ გაჩნდა იგი ქუჩაში, ხვრელის საიდუმლოებას ფარდა აეხადა.

გაბოროტებული აბლანდია რევოლვერითა და თავისი განუყრელი თასმის შოლტით შეიარაღებული ნამდვილი აფთარივით დაერია პატიმრებს.

ასე დაიწყო როგორც ციხის, ისე ქალაქის დარბევა.

...

მთავრობის სასტიკი შემოტევის წინააღმდეგ ბრძოლა მეტად ძნელი შეიქნა. თავდაცვაზე გადასული რევოლუციონერები ისე დაქსაქსულიყვნენ, რომ არავინ იცოდა, თუ ვის რა უჭირდა და თავს ვინ როგორ შველოდა.

ასე იყო, ვიდრე შუაღამემ არ მოაღწია და მთავრობის აგენტებსაც სიფიცხე ოდნავ არ შეუნელდათ.

რევოლუციონერების შტაბი ქალაქის შუაგულში იმყოფებოდა, ერთ-ერთი ეჭვმიუტანელი სახლის მეორე სართულში, სადაც თავი უნდა მოეყარა ყველა ცნობას გამოქცეულთა მდგომარეობის შესახებ.

აქ იმყოფებოდნენ ამ დღის უშულო ავტორები: გოგია, დათო, ნიკო, ვასო და აგრეთვე ანდროც.

ოთახი საკმაოდ მოდიდო იყო და მისი ორი ფანჯარა მთავარ ქუჩას გადასცქეროდა. შიგ ბნელოდა. მხოლოდ ღია ფანჯრით მთვარის მკრთალი სინათლე ალმაცერად შემოდიოდა და ოთახის ერთ კუთხეს ანათებდა.

ამ კუთხეში ტახტი იდგა და ზედ ნაირნაირი ტანსაცმელი უწესრიგოდ ეყარა: _ უფრო სამხედრო, სამხრეებიანი და მედლებიანი, აგრეთვე სხვადასხვა ფერის ჩოხა-ახალუხი, ქამარ-ხანჯლითა და წუღა-მესტებით, ანაფორებიც კი ჯვრებითურთ.

ოთახში სიჩუმე იყო გამეფებული.

ისღა ააშკარავებდა იქ მყოფთ, რომ დროგამოშვებით კედლის გასწვრივ, აქა-იქ, ციცინათელასავით გაანათებდა მოწეული პაპიროსი და ისევ ჩაქრებოდა.

მის შემდეგ, რაც მთავრობამ შემოტევა დაიწყო და საშინელი შიში დასცა ქალაქს, ვიდრე აქამდის ოთახში შეკრებილებმა არ იცოდნენ, თუ ციხიდან გამოქცევის შემდეგ ამხანაგებს რა ბედი ეწიათ.

ამბავის პირველი მომტანი ანტონა-ფერშალი უნდა ყოფილიყო, რომელსაც დავალებული ჰქონდა ციხეში იმ დრომდე დარჩენილიყო, სანამ ხვრელს არ აღმოაჩენდნენ და საქმის მდგომარეობა დაახლოებით მაინც არ გამოირკვეოდა.

მაგრამ იგი არ ჩანდა.

დათოს ის ამშვიდებდა, რომ მის მირ შერჩეული ბინების დიდი იმედი ჰქონდა, და ფიქრობდა, თუ ამხანაგები დროზე მიაღწევდენ დანიშნულ თავშესაფრებს, ჩხრეკასა და დაპატიმრებას ადვილად გადაურჩებოდნენ.

ეს ბინები მეტწილად ცნობილ თავადებს ეკუთვნოდა, ან ეჭვის გარეშე მდგომ საზოგადო მოღვაწეებს და სხვადასხვა რანგის მოხელეებს.

არჩილ დადიშიანის შიში ამხანაგებს სულაც არ ჰქონდათ. შალვა რამაძეს იგი მის ნათესავთან ჰყავდა მოთავსებული, რომელიც საგანგებო მინდობილობათა მოხელედ მსახურობდა გუბერნატორთან, შალვაც მასთან იმყოფებოდა.

შუაღამე გადასული იყო, როცა ბოლოს ამხანაგებს ლოდინი გაუმართლდათ და ოთახში ანტონა ფერშალი შემოვიდა.

იგი უფრო მკვდარს ჰგავდა, ვინემ ცოცხალ ადამიანს.

ამდენი ამხანაგი ერთად შეკრებილი რომ ნახა, ეუცხოვა.

მაგრამ მალე დაამშვიდეს და იმანაც ამხანაგებს ერთიმეორეზე უსაშინელესი ამბავი აუწყა.

მისი დაგვიანების მიზეზი ის ყოფილიყო, რომ თვითონ მთავრობას არ გამოეშვა იგი ციხიდან.

ციხიდან ხვრელით გაქცეული და ქუჩებში დაპატიმრებული ტუსაღები სასტიკად ნაცემი შემოჰყავდათ უკან ციხეში, ზოგი გრძნობა-დაკარგულიც. იმათ კიდევ აბლანდიაც სცემდა თავის კაბინეტში დაკითხვის დროს. ვისაც სიკვდილის ნიშნებს შეატყობდნენ, მოსასულიერებლად ანტონა-ფერშალს უგზავნიდნენ საავადმყოფოში. ასე გრძელდებოდა დიდხანს.

- ამით აიხსნება ჩემი დაგვიანება, თორემ «პროპუსკი» მქონდა და რა დამაკავებდა, _ დაასრულა ამხანაგმა ანტონამ.

- ჩემს ხელში ათამდის ასეთმა ტუსაღმა გაიარა. ისეთებიც იყვნენ, რომლებიც უწამლოდაც უძლებდნენ ცემას, _ განაგრძო მან მცირე პაუზის შემდეგ, რადგან მისი მსმენელები მძიმე დუმილს განაგრძობდნენ.

- ჩვენიანი ბევრი შეიპყრეს? _ რაღაც გაუბედავად, ძლივს გასაგონად იკითხა ბოლოს გოგიამ.

- თითქმის ყველა დაჭერილები სიის გარეშე წასულები არიან, ჩვენიანები მხოლოდ ერთადერთი იუსტინე იყო.

- ჩვენი ფილოსოფოსი! _ წამოიძახა გოგიამ. _ სცემეს?

- აბლანდიამ საკუთარი ხელბით სულ თმით ითრია საცოდავი. ვითომ მარქსი ხარ, თმა რომ მოგიშვიაო? ძალიან ცუდად არის!

- ვაიმე აბლანდიავ! _ და გოგიამ მუშტი მკერდში ჩაირტყა.

- ჩვენიანიც კი ბევრი სცემეს ციხეში დარჩენილთაგანი. ალბათ, იცოდით რატომ არ გაამხილეთო, და აბლანდია არავის ზოგავდა. პავლიკა რომ იყო მეკარე, აი, კარცერში რომ იჯდა საერთო ჩხრეკვის შემდეგ, მასაც იქამდის სცემა, სანამ საწყალმა სული არ

განუტევა.

- რას ამბობ, კაცო? _ იყვირა გოგიამ. _ მართლა მოკვდა?

- ნაგანის ტარი საფეთქელში მოერტყა იმ რჯულძაღლს. საავადმყოფომდის არ მიუღწევია...

- საწყალი ჩემი პავლიკა!

ამ დროს ნიკო უცებ თავის ადგილიდან წამოიჭრა.

- კაცო, შენ რა ქალივით მოთქვამ! მოქმედებაა საჭირო! _ შესძახა მან გოგიას, მერე დათოსთან შედგა. _ დათო მომეცი ერთი შენი ქუდი! _ და მძიმე რისხვით დამძიმებულმა ოთახში გაიარ-გამოიარა.

ის ვიღაცა აბლანდია ამდენს როგორ უნდა ბედავდეს? ჩვენი ბრალია! მომეცი-მეთქი, დათო ქუდი! _ მთვარით გაშუქებულ კუთხეში მივიდა. გულისჯიბიდან ქაღალადი და ფანქარი ამოიღო. ქაღლდი შუაზე გახია. ერთზე ჯვარი დასცა მოდიდოდ და პაპიროსი დაამრგვალა.

გაკვირვებული შესცქეროდნენ ნიკოს ამხანაგები. ვერ მიმხვდარიყვნენ მისი საქციელის საიდუმლო მნიშვნელობას.

დათომ ქუდი მიაწოდა ამხანაგს.

ნიკომ ჩამოართვა. შიგ ორი დახვეული ქაღალდი ჩააგდო და ფანჯარაზე ჩამოდგა.

ახლა კი მიხვდნენ ნიკოს განზრახვას.

- ვადა: ხვალ საღამომდის ვისაც ჯვარი ამოუვა, იმან აბლანდია საიქიოს უნდა გაისტუმროს. მორჩა და გათავდა. პირველი მე ვიღებ.

სანამ დანარჩენები სიტყვას დასძრავდნენ, ნიკომ ქუდში ხელი ჩაჰყო და «კენჭი» ამოიღო. ფიცხლად გაშალა.

- სამწუხაროა: ალბათ, შენ დაგრჩა, დათო! _ განაცხადა და უნიშნო ქაღალდი ქუდის გვერდით დააგდო.

- რატომ დათოს, ჩემი იყოს! _ წამოიწია გოგიამ და ქუდიდან დარჩენილი კენჭის ამოღება დააპირა.

მაგრამ მოულოდნელად მას წინ ანდრო გადაეღობა:

- უკაცრავად, ამხანაგო! იგი ჩემია. ვერ დაგითმობთ! _ სთქვა და თვალებიდან ცეცხლი დასცვივდა.

თქმისთანავე ქუდთან გაჩნდა და ჯვრიანი ქაღალდი ამოიღო. არ გაუშლია, ისე ხელში შეკუმშა. გულთან მიიტანა და ამ სახით უსიტყვოდ თავის ადგილზე დაბრუნდა.

ისეთი იყო, რომ ყველა გაკვირვებული შესცქეროდა. სიტყვაც კი ვერავის შეებედნა.

მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

ნიკო მიუახლოვდა ანდროს, თითქოს მალულად, სწრაფად ხელი ჩამოართვა და დაბლად უთხრა:

- რაკი ასე გინდა, ანდრო, შენი იყოს. გეგმა მერე დათოსთან ერთად შევადგინოთ...

...

ამის შემდეგ ამხანაგები იმის ბჭობას შეუდგნენ, თუ ამიერიდან რა გზას დასდგომოდნენ, რომ გაქცეული ამხანაგები ქალაქიდან გაეყვანათ.
ეს არც ისე ადვილი საქმე იყო.

- ბოლოს და ბოლოს გვირაბის გაყვანა და გამოქცევა უადვილესი რამ საქმე გამოდგა, ძნელი ამბავი აქედან იწყება! _ ამბობდა ნიკო.

ვასოს აზრით, ერთადერთი საშუალება ქუთაისიდან გასვლა იყო, რომ ამხანაგები სათითაოდ არ შეეპყრათ და ისევ ციხეში არ დაებრუნებინათ.

- უნდა გადაიცვან და ხვალიდანვე აქედან წასვლა უნდა დაიწყონ. ზოგს სამხედრო ფორმა ჩავაცვათ. ზოგს ბერის თუ ხუცესის, ზოგს თავადი გავაყოლოთ. ზოგს კნეინა რომელიმე. ნაწილი პარტიულ კონდუქტორებს ჩავაბაროთ... და ასე თანდათან, თითო-თითოდ ყოველმატარებელზე გავისტუმროთ _ ცალკე არ არიან, და ორ-სამ დღეში დავცლით ქუთაისს.

- სადგური ძალიან სახიფათო იქნება, ვასო.

- აქ დარჩენა კი უფრო სახიფათოა.

- მიხელა-იმერელი მე უკვე გავაგზავნე ბათომისაკენ. ალბათ, ახლა წასული იქნება, _ ცნობად სთქვა დათომ. _ გამოვიდა ციხიდან თუ არა, ნიკა მემანქანეს გავუგზავნე. ნათქვამი ჰქონდა, ჩემთან ორთქლმავალში მოვათავსებო. იგი, მგონია, ხვალ უკანვე დაბრუნდება. ყოველ წასვლაზე თითოს წაიყვანს.

- კი, მაგრამ ასე რამდენი უნდა წაიყვანოს?

- რაკი საეჭვო ბინაზე არ არიან, ჩემის აზრით, მოცდაც შეიძლება, სანამ ეს

ქარიშხალი დაწყნარდებოდეს. აჩქარებამ, იქნება, საქმე წაახდინოს.

სხვადასხვა აზრი ტრიალებდა. უპირატესობა ვერც ერთისთვის ვერ მიეცათ.

ბოლოს ყველა საშუალებისა და ყველა გზის გამოყენება გადაწყდა. ზოგი რკინის გზას უნდა მინდობოდა, ზოგი ფეხის გზას. ზოგს კიდევ ქუთაისში უნდა დაეცადნა, სანამ პირობები გამოიცვლებოდნენ.

- თქვენც ნუ ხართ, ხალხო, აქ! _ დაასრულა ვასომ ნიკოსადმი მიმართვით. _ წადით სადმე... ახლა, ხვალ კიდევ იმ კაცის მოკვლა გადაგიწყვეტიათ და ეს უბედურება კიდევ რას გამოიწვევს, ღმერთმა იცის.

- ბრძოლაში, ჩემო ვასო, გამბედავი იმარჯვებს! _ გააწყვეტინა მას ნიკომ, _ შეიძლება, აბლანდიას მოკვლამ ისე დააფრთხოს მთავრობის აგენტები, რომ აქეთ შემოგვეხვეწონ: ბილეთებს ჩვენ თვითონ ვიყიდით და სადგურზედაც გაგაცილებთ, ოღონდ აქედან წადითო.

- მაგრამ ხომ შეიძლება პირუკუღმაც მოხდეს? და ეს ხალხი სულ დავღუპოთ.

- გაბედვა, ჩემო ვასო, გაბედვა, და ქვეყანა ჩვენია! დამიჯერე, რომ ასეა.

V

დილის რვა საათი იქნებოდა, როცა ახალგაზრდა «პრაპორჩიკის» ფორმაში გამოწყობილი დათო თავის მოკლეჩოხიან კოხტა მხლებელითურთ ქუთაისის საკათედრო ტაძრის წინ გაშლილ მოედანზე გამოჩნდა და ბულვარისაკენ წავიდა.

თითქოს შემთხვევით მოედნის კუთხეში მდგომი ეტლი შენიშნა, უცებ შესდგა და მეეტლეს ნიშანი მისცა მოახლოვებოდა.

შავი ჩოხა ეცვა და თეთრი ახალუხი, მომაღლო, წინ ოდნავ ჩაკეცილი ბუხრის ქუდი ეხურა. მხრებზე სამხრეები უბრწყინავდა, ხოლო წელზე მოოქრული ხანჯალი და ხმალი ერტყა. მოდურ წელწერწეტა თავადს ჰგავდა, რომლის მსგავსები იმ ხანად მრავალნი მოიპოვებოდნენ ქუთაისში და დილიდან საღამომდის ბულვარს ამშვენებდნენ იშვიათი ტანადობით, უცხო ჩაცმულობით და მობეზრებული უსაქმობით.

მისი მხლებელიც _ ანდრო ქარივაძე _ ლამაზად იყო ჩაცმული. თალხი ფერის ჩოხა ეცვა და უბრალო მოკლე შავი ხანჯალი ერტყა. თავი ყაბალახით ჰქონდა წაკრული გურულ ყაიდაზე.

- საითკენ მიბრძანებ, კნიაზ? _ განსაკუთრებული თავაზიანობით მიმართა დათოს მეეტლემ, როცა შეჯიბრებულ ცხენებს ლაგამების მაგრა მოზიდვით კისერი მოუქცია და ეტლი მოხდენილად დათოს წინ დააყენა.

- მესხეთის ქუჩა! _ უპასუხა დათომ და მსუბუქი ტანის თავადური რხევით ეტლში ჩახტა.

ანდრო მყისვე კოფოზე აფრინდა.

ასე ჩაიარეს ბულვარი და გიმნაზიის ქუჩით თეთრი ხიდისკენ შეუხვიეს.

როცა ხიდზე გადავიდნენ, დათომ მეეტლეს მოკლედ შესძახა:

- ციხისკენ, ალექსავ!

ციხისკენ მიმავალ ქუჩაში შეუხვიეს. ის იყო, რომელიღაც სახლის წინ დადგომას აპირებდნენ, რომ პირდაპირ დიდი არახრახებით მომავალი ეტლი დაინახეს, რომლის კოფოზე მეეტლესთან სავაზნეებით გულ-მკერდ აბზრიალებული ვეება ვინმე იჯდა და ხელში მომარჯვებული თოფი ეჭირა.

- გასწი, პირდაპირ ჩაუარე! _ დაიძახა ამის დანახვაზე დათომ, როცა ალექსამ დასაყენებლად ცხენებს ლაგამი მოსწია.

მეეტლემ ცხენები ისევ მიუშვა.

შემოყრილ ეტლთან დათოსა და ანდროს თვალწინ ორი კაცის სახემ ჩაქროლებით გაიელვა. დათომ იმათში მხოლოდ ერთი იცნო _ მელიტონ აბლანდია. ანდრომ კი მეორეც: ეს იყო სოლომონ ვარაძე, ვარდოს ბიძა და მაჭანკალი.

«ეს ასე როგორ მოხდა? რა ამბავია?» _ გაიფიქრა შემკრთალმა ანდრომ და უმალვე დათოსკენ მიიხედა, როგორ მოვიქცეო, და თან გადმოსახტომად გამზადებულმა ხელი ჯიბეზე წაივლო, სადაც რეოლვერი ჰქონდა დამალული.

დათო თვალებით შეუწყრა და ანიშნა ადგილიდან არ დანძრეულიყო.

ცოტა მანძილი რომ გაიარეს, დათომ ეტლს მარჯვნით გადაახვევინა. ასე იარეს პირველ შესახვევამდის. შემდეგ მარცხნით მოუხვიეს და მეორე მხრიდან ისევ ციხის ქუჩაზე გამოვიდნენ.

დათოს სახე არაჩვეულებრივად ანთებოდა. რაც ნიკოსთან ერთად გეგმა შეემუშავებინა, აბლანდიას მოულოდნელ შეხვედრას სრულიად დაეშალა და ახლა იმის გააზრებაში იყო, თუ როგორ მოქცეულიყო.

სწრაფი ორიენტაცია იყო საჭირო და ახალ გარემოებათა გათვალისწინება.

სანამ მიხვეულ-მოხვეულში გაივლიდნენ, თავში ახალი გეგმა შეამზადა.

თითქოს ეს ახალი უფრო მოეწონა და ჭკუაში დაუჯდა.

ჯერ კიდევ გატაცებით ითვალისწინებდა მის დეტალებს, რომ ციხეს დაუახლოვდნენ.

- კარებთან დადექ! _ უბრძანა მან უცებ მეეტლეს და სანამ ალექსა ეტლს ბრძანებისამებრ დააყენებდა, წამოდგა და გადმოსახტომად მოემზადა.

ანდროს გაკვირვებულ თვალებისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია, ისე ჩამოხტა და სწრაფი, მაგრამ ნაბიჯის მხედრულ ყაიდაზე დგმით, ციხის ალაყაფის კარებთან მიიჭრა, სადაც ჩამოსარეკი ზარის ტარი ეკიდა. დარეკა.

სანამ კარს გაუღებდნენ, ანდროსკენ პირი მოიბრუნა და ცალი თვალი უყო, არხეინად იყავი მანდ, ჯავრი ნუ გაქვსო.

მეკარემ ჯერ კარის ვიწრო სარკმელში გამოიხედა. სამხედრო პირი რომ დაინახა, სასწრაფოდ გააღო კარი და სამხედრო სალამის მიცემით დათოს წინ გაუჩერდა.

ბატონი ვიცე-გუბერნატორის დავალებით ციხის უფროსი აბლანდია უნდა ვნახო. _ რიხით განუცხადა დათომ მეკარეს.

- არ გახლავთ, თქვენო კეთილშობილებავ! _ მიუგო იმან და კვლავ გამოეჭიმა.

- ნაბრძანები იყო უნდა დამხვედროდა! _ თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა დათომ.

უცებ ისევ მეკარეს მიმართა: _ ვერ გაიგებ, გეთაყვა, სად იქნება ბატონი აბლანდია ან... როდის დაბრუნდება უკან?

მეკარე დაფაცურდა, კარი დაახშო და კანტორაში გაიქცა. მეორე წამშივე უკან დაბრუნდა და დათოს ასე მოახსენა:

- ციხის უფროსი, ეს-ეს არის, საგუბერნიო სამმართველოს უფროსის თანაშემწის თანხლებით პოლიცმეისტერთან გეახლათ. უკან ერთ საათში მოელიან.

- პოლიცმეისტერთან! _ მთელი ქუჩის გასაგონად უბრძანა მეეტლეს დათომ.

ალექსამაც ოთხნაღებ დასძრა თავისი ლურჯა ლაფშები.

მაგრამ გაიარეს თუ არა ციხის ქუჩა, იმის მაგიერ რომ თეთრი ხიდისკენ გამართულიყვნენ, დათომ მეეტლეს განკარგულება მისცა წითელი ხიდისკენ წასულიყო.

...

დათოს მიერ ანაზდად შემუშავებული გეგმა ასეთი იყო:

რაკი აბლანდიას უკან ციხეში ერთ საათში მოელოდნენ საპოლიციო სამმართველოდან, იგი სხვაგან არ გაივლიდა და პირდაპირ ციხეში დაბრუნდებოდა. ამ შემთხვევაში მისი მარშრუტი არ აცდებოდა ბულვარის რომელსამე მხარეს, მერე იქიდან გიმნაზიის ქუჩას, ამ ქუჩიდან _ თეთრ ხიდს და ასე ციხემდის.

ამ მანძილის გათვალისწინებამ დათო იმ დასკვნამდის მიიყვანა, რომ ყველაზე უფრო ხელსაყრელ და მარჯვე დასახვედრ პუნქტად გიმნაზიის შენობის ის კუთხე გამოდგებოდა, რომელიც რაიონისკენ მიმავალი ქუჩისა და თეატრის ქუჩის შესაყართან იყო. აქედან, უპირველესად ყოვლისა, ადვილი იყო აბლანდიას ეტლის შორიდანვე დროზე შენიშვნა.

ამას გარდა, ამ ადგილს თავს იყრიდა კიდევ ორი ქუჩა. გზაჯვარედინი კეთდებოდა. აქტის შესრულების შემდეგ უკან დახევის დროს დამალვისათვის ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა: ოთხ გზაში, გასაქცევად, იმის არჩევა შეიძლებოდა, რომელიც ნაკლებად შეკრული აღმოჩნდებოდა. გასაქცევად გამოყენებისათვის ყველაზე ხელსაყრელი მაინც თეატრის ქუჩის გაგრძელება იყო, რომელიც გიმნაზიის შენობის გაყოლებით რიონში ჩადიოდა.

ეს ქუჩა მრავალი მხრით იყო დათოსთვის საყურდღებო.

მის ერთ მხარეს გიმნაზიის შენობა იდგა, _ ნეიტრალური დაწესებულება, რომელიც გაჭირვების შემთხვევაში უფრო ხელს შეუწყობდა ამხანაგებს, ვინემ დააბრკოლებდა, _ მეორე მხარეს კი ხე-ტყის საწყობი იყო, რომლის ადგილ-მდებარეობის გამოყენება შეიძლებოდა თავდაცვის დროს, როგორც თავშესაფრად, ისე საბარიკადო ბრძოლისათვისაც, თუ ამას მდგომარეობა მოითხოვდა.

ყველაზე უფრო კი დათოს ეს ქუჩა იმ მხრით აინტერესებდა, რომ აზრად ჰქონდა, როგორც კი ანდრო «საქმეს» მორჩებოდა, იგი რიონისკენ გაექცია და ნაპირ-ნაპირ ეტარებინა მდინარის გასწვრივ, ვიდრე წითელ ხიდს ქვეშ არ გაივლიდა და ეგრედ წოდებულ «სკაპეცების» უბანში ამავალ ბილიკს არ მიაღწევდა. აქ კი საიმედო თავშესაფარი ეგულებოდა...

..

ყოველივე ეს უკვე გათვალისწინებული ჰქონდა დათოს, როცა ალექსამ ზედ წითელ ხიდის მოკაუჭებულ მოსახვევთან ნაბიჯი შეანელა და ჰკითხა, თუ ახლა საით წასულიყო.

ცოტა დაფიქრების შემდეგ დათომ ეტლი დააყენებინა, ჩამოხტა. ანდროსაც უთხრა ჩამოსულიყო, და ალექსა ამ სიტყვებით გაისტუმრა:

- შენ წადი ახლა, ალექსა. შეიძლება დაგვჭირდე, შეიძლება არა. ყოველ შემთხვევაში აქედან რომ წახვალ, მწვანე ბაზართან დადექი, «სკაპეცებში» რომ ქუჩა მიდის, იმის კუთხეში. გვიცადე არა ნაკლებ ორი საათისა. მერე, სადაც გინდა, წადი. საჭირო აღარ იქნები. მაშ, ასე! გამარჯვებით.

გვერდში ანდრო ამოიყენა და დიდად მოცლილ მოსეირნის ნაბიჯით წითელ ხიდს მიაშურა.

შუამდის რომ მივიდნენ, დათო შესდგა, ანდროს მკლავში ხელი გაუყარა და ასე სამხრეთისკენ მიბრუნებული ხიდის მოაჯირს მიეყრდნო.

- აი, ის დიდი შენობა, რიონის პირად რომ დგას, გიმნაზიაა. _ შემგონებელივით დაიწყო დათომ. _ ხედავ, ფართე ქუჩა ჩაუდის. ის ქუჩა პირდაპირ შიგ ქალაქში იჭრება და ბულვარამდის მიდის. აქეთ კი რიონში ჩადის, სადაც ხომ ამჩნევ, მეთულუხეებს წყალი ამოაქვთ დააკვირდი კარგად. მერე აქეთ ნაპირს გამოაყოლე თვალები. ცარიელი ადგილია. ნაპირი საკმაოდ ფართეა. ხომ ხედავ, ურემიც კი გაივლის. გზასავითაა. აქეთ მოდის, ჩვენსკენ. მერე ვიწროვდება და ჩვენ რომ ვდგევართ, ამ ხიდის ქვეშ გამოივლის. მერე... მოდი, იმ მხარეს გადავდგეთ, უფრო ვნახავთ, აი, იქ ძალიან დავიწროებულია, მაგრამ გავლა მაინც, როგორც ხედავ, შეიძლება. იქ უკვე კლდე იწყება. მაგრამ კლდემდის, ძველი ქვითკირის ნაშენია რაღაც, და იმის გვერდით, აქეთ, ბილიკი, ნაგვის გადმოსაყრელი ადგილი. ზედ ასვლა შეიძლება... ბილიკზე ნაფეხურებიც კი სჩანს... გადიან-გამოდიან, ალბათ. იქ რომ აცოცდეს კაცი, პატარა ქუჩაში მოხვდება. გარშემო დაბალი სახლებია სულ პატარა ეზოებით... სოფელში ნაცხოვრებ კაცს გაეცინება კიდეც. იმ პაწაწინა ეზოებს რომ დაინახავს, იქვე ურიები ქათმებს ჰყიდიან გალიებში და კიდევ კვერცხებს. ეს ადგილი წინეთ «სკაპეცებით» იყო დასახლებული. ახლაც არიან, თუმცა ცოტა. იმ ქუჩას რომ გაივლი, სამიკიტნოები ხშირდება და მერე მწვანე ბაზარიც იწყება. იქ, სადმე კუთხეში, ჩვენს ალექსას ნახავ ეტლით. გაიგე, რასაც გეუბნები? იმასაც ხომ

მიხვდი, თუ რისთვის გეუბნები?

- კი.

- დაინიშნე ეს გზა, იმ დიდი შენობიდან ვიდრე იმ ბილიკამდის?

- კი.

- ყური მიგდე: შესაძლებელია, ჩვენ ამ გზით მოგვიხდეს წამოსვლა. გაიგე? კარგი გზაა ხომ: ერთი მხრით, ზემოდან, კლდიანი ნაპირი, მეორე მხრით მდინარე. წინ და უკან ბილიკი. შესაძლებელია ერთად მოგვიხდეს უკან დახევა... ეს ჩვენთვის ხელსაყრელი ამბავია. მაგრამ შესაძლებელია, შემთხვევამ დაგვაშოროს და შენ მარტო მოგიხდეს ამ ბილიკით სვლა. მაშინ მე ალექსასთან დაგხვდები. თუ არა და, ალექსა მაინც დაგხვდება და... იმას მიენდობი.

- კარგი.

- დაიმახსოვრე კარგად. მაშინაც არ დაგავიწყდეს, ცეცხლშიაც რომ გაგხვიონ, და ეცადე ამ გზით გაუსხლტე მტერს.

- არ დამავიწყდება.

- ახლა კი ხარ ყოჩაღად, ანდრო, მაგრამ... ხომ იცი, იმ დროს გული და თვალია კაცის ბედის გადამწყვეტი.

- ხომ არ მაშინებ, დათო? _ და ანდრომ ამ ლბილად წარმოთქმულ სიტყვებთან ერთად ისე შეუღიმა დათოს, რომ აგრძნობინა: როგორ გითხრა, ბოდიში მომიხდია, მაგრამ საჭიროა მხოლოდ გზის ჩვენება და დანარჩენი მე ვიციო.

- ეს ყველაფერი კარგი, ანდრო. _ მიუხვდა წყენას დათო, მაგრამ მაინც არ მოეშვა, _ მაგრამ ისიც უნდა გითხრა, რომ თუ დაინახო, საქმე არ გამოდის, ან უხერხულია, ან მოულოდნელი რამ ხელს გიშლის, თავი უცებ მიანებე. არავითარ შემთხვევაში არ აჩქარდე. გადავდვათ... ხვალ რომ მოხდეს, დაგვიანებული არ იქნება.

- კარგი...

- მაშ, ვიაროთ, დანარჩენს კიდევ გზადაგზა გეტყვი.

...

ეს მოხდა დილის სრულ ათ საათზე.

ის იყო, აბლანდიას ნიშნიანი ეტლი _ თოფიანი მცველით კოფოზე _ ბულვარის კიდურ ქუჩაში გამოჩნდა და დაბარებულივით პირდაპირ გიმნაზიისკენ წამოვიდა, რომ

თეატრის კუთხეში მდგარმა დათომ ქუდი მოიხადა და თეთრი ცხვირსახოცით, წინასწარ დაბერტყვის შემდეგ, თავსა და პირზე ოფლი მოიხოცა.

იმავე წამში გიმნაზიის წინ გაშენებული პატარა ბაღი მოჯირს ანდროც მოსწყდა და ქუჩის, პირად დადგა, გზაჯვარედინის იმ კუთხეში, სადაც ბულვარიდან მომავალი ქუჩის მოსაქცევი იყო.

მისცა თუ არა ნიშანი, დათო აჩქარებული ნაბიჯით თეატრის კედელს გამოყვა და ანდროსკენ გამოეშურა. მას თვალები ანდროსთვის შეეცივებინა, ხოლო ყური უკან მომავალი ეტლის ხმაურისთვის მიეპყრო.

მოეწონა ანდროს სახე, როცა მცირედ მოახლოებულმა მისი გამომეტყველება კრგად გაარჩია.

თვალები ცეცხლმოკიდებული ისარივით ქუჩის პირდაპირ ხაზით მომავალი ეტლისაკენ გაეტყორცნა ანდროს და სახეზე საკვირველი სიმშვიდის ნიღაბი აეკრა, უცნაური ღიმილის ხაზებით შეკრული. ზედ შეურყეველი გაბედულობის ბეჭედი აჯდა და სიხარულის შუქი უკრთოდა.

«უკან დამხევს არ ჰგავს», გაიფიქრა დათომ.

მაგრამ, აი, მას კიდევაც დაეწია ეტლი. წამი და გაუსწრო კიდეც.

თვალები შეავლო. შიგ ისევ ორნი იყვნენ: მელიტონ აბლანდია და მისი თანამგზავრი.

და როცა დათომ კვლავ ანდროს შეხედა, ერთდროულად ეტლიც მოჰყვა მის ხედვის ფარგალში: ეტლმა ანდროს გაუპირისპირა და მისგან სამიოდე ნაბიჯის მანძილზე გიმნაზიის ქუჩისკენ შეუხვია.

გადამწყვეტი მომენტის დადგომის აღსანიშნავად დათომ თვალი, ფიქრის უმალესად, დახუჭა და ისევ გაახილა.

თითქოს არ დაიჯერა: ანდრო გაქროლებული ეტლის ასავალ საფეხურზე იდგა.

მაგრამ უმალვე ზედიზედ ორჯერ გავარდა რევოლვერი, და ეტლი კომლმა შებურა.

.... ყველაფერი. შეინძრა ქუჩა. რახუნით დაიხურა დარაბები.

დათომ მაინც გაარჩია, რომ ორი კაცი ეტლიდან ჰაერში ავარდნენ და ქუჩაში გაიშხლართნენ. იმავე წამში მან ისიც დაინახა, რომ ცხენების მიერ გატაცებულ ეტლის

კოფოდან თოფიანი მცველი გადმოხტა და ცალ მუხლზე დაშვებულმა თოფი ანდროს დაუმიზნა.

გავარდა ორი ერთიმეორეზე.

დათოს სმენაში ისინი მოთავსდნენ, თითქოს პირველი გასროლა რევოლვერის უნდა ყოფილიყო.

მაგრამ სანამ თვალით შეამოწმებდა, რომ ანდრო კვლავ ფეხზე იდგა, მესამედ კვლავ გავარდა. ახლა კი გარკვეულად რევოლვერის ხმა მოესმა დათოს და ისიც შენიშნა, რომ აბლანდიას მცველი ქუჩაში გართხული იყო.

თითქოს დაავიწყდაო თავისი მოვალეობა, გახარებული დათო მოსწყდა თავის ადგილს და იქითკენ გაეშურა, სადაც რევოლვერით ხელში ანდრო იდგა და ხან ერთი მხრით უმოძრაოდ დაყრილ აბლანდიასა და მის თანამგზავრს დახედავდა, ხან კიდევ მოშორებით მეორე მხარეს მიგდებულს მათ მცველს.

ქუჩა სრულიად დაცარიელებული იყო.

დათოს გახარების აღტაცებამ გადაუარა. ისევ შედგა.

საუკეთესო დრო იყო გაქცევისათვის. მათი კვალიც კი ახლა ადვილად დაიკარგებოდა.

მაგრამ ანდრო არ ჩქარობდა წამოსვლას, ადგილიდან არ იძვროდა.

დათოს სისხლი ეცა სახეში მოუთმენლობისაგან.

- წამოდი! _ უცებ დასჭექა მან, რათა გარინდებული ანდროს სმენამდის კარგად მიეწვდინა. თვითონ კი უკან დაიხია ზურგით, რომ ანდრო თვალიდან არ დაკარგვოდა.

დაძახების გაგონებაზე მობრუნდა და რიონისკენ მიმავალ ქუჩას გახედა. მის თავში დათო დაინახა, რომელმაც ახლა ხელით ანიშნა, ჩქარა ჩემსკენ გამოიქეციო.

მთელ არემარეში არავინ ჩანდა დათოს გარდა: არც პოლიცია, არც შემთხვევით გამვლელიც კი.

ანდროც არ ჩქარობდა. ერთხელ კიდევ თვალი შეავლო ქუჩაში დაყრილ-დახოცილებს.

აბლანდიასკენ ნაბიჯი გადადგა.

დააცქერდა.

აბლანდიას სახეზე მტვერი წაყროდა და ზედ პირიდან გადმონთხეული სისხლი

გადაღვროდა. ცალი თვალიღა უჩანდა, უმეტყველო, მინისებური.

ანდროს ყურადღება, თითქოს მოულოდნელად, გახვრეტილი გულიდან მომდინარე, დაშრეტაზე მიმდგარმა სისხლის ნაკადმა მიიქცია.

უცებ იგრძნო, რომ რაღაც შეინძრა შიგნით, სადღაც აქამდე დახშულ სიღრმეში, და ყოველ ტკივილზე უმწვავესი სურვილი ცეცხლის ალივით მთელ ტანზე შეეკიდა.

- სისხლი! _ გამოსძახა ტუჩების აბგერებით და, თითქოს წარმართული ღმერთის იდუმალ ძახილს ყური მოჰკრაო, ისე შეთრთოლდა, აღტყინდა.

სწრაფად დაიღუნა და მარჯვენა ხელის სალოკი თითით სისხლს დასწვდა.

თბილი იყო.

თვალები დახუჭა. გაიმართა. თავი მაღლა შეისროლა, და მიუწვდომელი ექსტაზის ფარული სიამის სახეზე გამოხატვით, წარმოსთქვა:

- აჰა, მოვიკალ ერთი წყურვილიც!

მერე უცებ მოსწყდა თავის ადგილს.

სწრაფად გადაირბინა ქუჩის განი და ქვაფენილით ხე-ტყის საწყობისაკენ გაეშურა. სადაც მას დათო მოელოდა.

ამ დროს კიდევაც გაისმა პოლიციის სანიშნებელი სტვენა. ანდრომ და დათომ ერთსა და იმავე დროს შენიშნეს, რომ ბულვარის მხრიდან პოლიციელთა გუნდი გამოჩნდა ორი ბოქაულის მეთაურობით.

ჯერ კიდევ შორს იყვნენ, მაგრამ ჩანდა, სწორი გეზი ჰქონდათ აღებული და მკვლელობის ადგილისაკენ ერთმანეთს დაშორიშორებულები გამორბოდნენ.

მათ დანახვაზე ანდრო შესდგა და შესატევად იქვე თავშესაფარს დაუწყო ძებნა.

მაგრამ დათომ მაგრად ჩაავლო მკლავში ხელი და თან გაიყოლა.

წამოდი-მეთქი ჩქარა! _ თითქოს შეუწყრა შეგვიანებისათვის. _ რევოლვერი დამალე! იარე.

ასე მცირე მანძილი სირბილით განვლეს და ხე-ტყის საწყობის ეზოში შევიდნენ.

აქ ერთიც უკან მოიხედეს.

პოლიციელებს უკვე შეენიშნათ ისინი, რევოლვერები ამოეღოთ და შუა ქუჩით გამორბოდნენ.

- არაფერია! _ სთქვა დათომ. _ წამო!

ეზო გადაჭრეს. უკანა ღობეზე გადახტნენ. რაღაც ხრამი გადაიარეს და იქიდან დაქანებით რიონის ნაპირს მიაღწიეს.

უკან ეხლა ხმაურობა ისმოდა, ცხენების თქარათქურ-შერეული.

დათო და ანდრო ნაპირის ხაზს მიჰყვებოდნენ.

მალე წითელ ხიდს დაუახლოვდნენ.

მის ქვეშ რომ მოხვდნენ, დათომ ანდრო წინ გაატარა. თვითონ კი თვალის დახამხამებაში ქამარი წელზე შეიხსნა და ხმლიან-ხანჯლიან მდინარეში გადააგდო. ჩოხა-ახალუხი შეიგლიჯა. გაიხადა. ბურთივით დაამრგვალა, ქუდიც შიგ მიაყოლა და ესეც წყალში გდაისროლა.

ახალუხის ქვეშ უბრალო ხალათი აღმოაჩნდა, ზოლებიანი. _ «პროპორშჩიკის» _ აღარაფერი შერჩა.

ამ სახით დაწინაურებულ ანდროს დაეწია. რამდენიმე ნაბიჯი კიდევ, და ნაცნობ ბილიკსაც მიაღწიეს რომლსაც ამას წინად ხიდიდან ათვალიერებდნენ.

აქ მათთან ერთად მათი კვალიც გაჰქრა.

VI

ხელჩართულ ომს ჰგავდა მთავრობასა და რევოლუციონერების ორგანიზაციას შორის გამართული ბრძოლა.

მან მთელი კვირა გასტანა.

ამ ხნის განმავლობაში რევოლუციონერების შტაბი ციხიდან გამოქცეულ ამხანაგებს დღედაღამე შეუსვენებლად ქუთაისიდან ისტუმრებდა.

მიუხედავად დიდი სიფრთხილისა და მიღებული ზომებისა, ბევრ მათგანს ბედმა უმტყუნა და პოლიციას ხელთ ჩაუვარდა _ ზოგი საერთო ჩხრეკის დროს შემთხვევით დააპატიმრეს, ზოგი გზაზე «ჩავარდა». ორ შემთხვევაში ღალატსაც ჰქონდა ადგილი, რომლისგან, მიუხედავად დამხმარე ხალხის სასტიკი შერჩევისა, ვასომ მაინც ვერ უზრუნველჰყო ამხანაგები.

გოგია, მღვდლის ანაფორით გამოწყობილი, აბლანდიას მოკვლის დღესვე უთენებლად გავიდა ქალაქიდან, ტფილისის მიმართულებით.

მეორე დღეს კი ღამით, ბათომის მატარებელს გაჰყვა არჩილ დადიშიანი შალვა

რამაძის თანხლებით, და მისგან დამოუკიდებლად, სრულიად ცალკე, ამავე მატარებლით ნიკო და ანდროც ბათომისაკენ გაემგზავრნენ.

ასე თანდათან განიტვირთა ქუთაისი.

ქალაქში მხოლოდ «დიდი ვასო» და დათო დარჩნენ.

...

განსაკუთრებულად ხელსაყრელ პირობებში მოხდა არჩილის გამგზავრება ქუთაისიდან. მას სრულიად ლეგალური სახე ჰქონდა.

ბათომის მატარებლის გასვლამდის რამდენიმე წუთით ადრე, ნაშუაღამევს, ქუთაისის სადგურს ორი ეტლი მიადგა, ბრწყინვალე გვამებით დატვირთული: _ წარჩინებული თავადი ნოდარ რამაძე მახლობლების თანხლებით რუსეთში მიმავალ თავის შვილს შალვას და მის მეგობარს გაბო გაბაშიძეს აცილებდა დიდის ამბით.

თანამხლებლები იყვნენ: განსაკუთრებულ მინდობილებათა მოხელის თანამდებობის აღმასრულებელი გუბერნატორთან, მთელ ქუთაისში კარგად ცნობილი ახალგაზრდა თავადი ბოკოკია რამაძე, რომლის ბინაში შალვას არჩილი ჰყავდა დამალული, მისი და მერი, დროგარდასული თავადის ასული, ცაცასა და არჩილის რომანის შორიდან მეთვალყურე, და ერთიც სამხედრო პირი, ბოკოკიას მეგობარი, ესეც რამაძეების ნათესავი.

ეტლიდან ჩამოსულები ყველანი ერთად სადგურის დარბაზში შეიმართნენ, შალვა და გაბო გაბაშიძედ მონათლული არჩილი სტუდენტურ ფორმაში იყვნენ გამოწყობილი. ბრწყინვალე თავადებს ისინი შუაში ჩაყენებული მოჰყავდათ.

მერის ერთი მხრით თავადი ბოკოკია ამოდგომოდა, მეორე მხრით კი არჩილი.

ბოკოკიას რამაძეს პირზე სულ «კნიაზ» და «კნიაჟნა» წყდებოდა. სულ რუსულად ლაპარაკობდა, ხუმრობდა, თვითონაც იცინოდა და სხვებსაც აცინებდა. ნაცნობებს მარჯვნივ და მარცხნივ სალამს აძლევდა სამხედრო ყაიდაზე და ასე წერწეტი ტანის რწევითა და ბედნიერი უდარდელობით ბაქანზე გასავალ კარისკენ გზას მიიკვლევდა. აქით «პარდონს» შესძახებდა ფრანგულად, იქით კიდევ _ რუსულად ბოდიშს მოიხდიდა.

რამაძეების ჯგუფი პირველი კლასის ვაგონისაკენ გაემართა და ასავალ კიბესთან შესდგა, სანამ მუშები შალვას ბარგს კუპეში შეიტანდნენ.

თავადი ბოკოკია აქაც არ დაწყნარდა. ბარგის მუშებს შეუწყრა, რაღაც

განკარგულება მისცა. კონდუქტორსაც სათანადო კილოზე გამოელაპარაკა. მერე ანაზდად თვალი მოჰკრა ჟანდარმთა ოფიცერს, რომელმაც შემთხვევით იმ მხარეს ჩაიარა, და მთელი ბაქანის გასაგონად მიესალმა. შეაყენა. ხელი ჩამოართვა. მოიკითხა და შემდეგ საქმიანი საუბარიც გაუმართა.

არჩილ დადიშიანს რაღაც უხერხულობის გრძნობა აწუხებდა. ღიმილიც კი შერჩენოდა ცალ ყბაზე, მაგრამ ნაძალადევი რომ იყო, თვითონ ატყობდა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო: ბუნებრივ ღიმილად ვერ შეეცვალა, ხოლო მისი მთლად ჩამოშორებაც ვერ გაებედნა.

მერი მას განზრახ გრძელ რასმე ამბავს უყვებოდა, ვითომ ძალიან საინტერესოს. მაგრამ არჩილს აქა-იქ თუ ესმოდა მისი სიტყვა. ხანდახან ზრდილობისათვის თუ ამოიღებდა ხმას და უმალვე ისევ დადუმდებოდა. შალვას კი ხშირად შეხედავდა თვალებში, უმწეოდ, თითქოს ეკითხებოდა:

«კაცო, როდის გადავრჩები ამ კომედიას? წავალთ, თუ არა».

მეორე ზარიც დაირეკა.

ახმაურდა სადგური.

გულზე მოეშვა არჩილს.

- მე თქვენ განსაკუთრებული მოკითხვა უნდა დაგაბაროთ ცაცასთან. _ მიმართა ახლა მას მერიმ. _ უთხარით: მერიმ... იმდენი გაკოცა... იმდენი გაკოცა, რომ სულ რომ ითვალო, ვერ დაითვლი-თქო. ასე უთხარით.

- რა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით! დიდი მადლობელი ვარ... _ უპასუხა არჩილმა დაუფიქრებლად. მაგრამ უცაბედად წარმოთქმული სიტყვების აზრი ცოტა მოგვიანოდ რომ გაიგო, შეკრთა.

«როგორ? ცაცასთან კოცნას მაბარებენ და მე მადლობას ვეუბნებიო?» _ ძალიან გაწყრა გულში, მაგრამ გვიან იყო. ნათქვამის გამოსწორება არ შეიძლებოდა.

- თქვენი განთავისუფლებაც მიულოცეთ ჩემ მაგიერ. _ ყურთან ჩასჩურჩულა ახლა მერიმ და დიდმნიშვნელოვნად გაიცინა.

- უკაცრავად, ქალბატონო მერი, მაგრამ... ჰმ... მე მგონია, რომ მოსკოვში ძალიან შეგვიანებით მოვხვდები და... კარგს იზამთ, თუ მოკითხვას შალვას დააბარებთ. _ ვითომ ეს მოიგონა, რომ პირველი მარცხი გაესწორებინა, მაგრამ თვითონაც იგრძნო, რომ

საქციელი წაუხდა. შერცხვა.

უხერხულ მდგომარეობიდან იგი შალვას მამამ გამოიყვანა. _ მაშ, გზა მშვიდობისა! _ მიმართა მან არჩილს და გამოსამშვიდობებლად მიუახლოვდა. ხელი ჩამოართვა.

არჩილს მისთვის მადლობის გამოცხადება უნდოდა. ის იყო, ძლივს აიდგა ენა აბორძიკებით, მაგრამ თავადმა ნოდარმა გააწყვეტინა:

- თავი ტყუილა არ დაიღუპო, შვილო... სხვა რომ არა იყოს რა, დედა უნდა შეიცოდო... _ მერე თავი დახარა და შუბლზედ აკოცა.

- თქვენო ბრწყინვალებავ! _ გაისმა ახლა არჩილის მიმართ თავადი ბოკოკიას რუსული. _ მეც მომეცი ნება, გზა დაგილოცო და მშვიდობით დაბრუნება გისურვო. იმედი მაქვს სასახელო დიპლომს ჩამოიტან და შენს ცოდნას და გამოცდილებას მეფის, სამშობლოს და სარწმუნოების ერთგულ სამსახურისთვის გამოიყენებ, გვარისა და ერის სასახელოდ! _ უკანასკნელი წინადადება ძალიან ხმამაღლა წარმოსთქვა ბოკოკიამ, თვალების ირვგლივ მიმოვლებით, მერე მალულად სახე ძალზე დაღრიჯა, ენის წვერი გამოაჩინა და ასე არჩილს პირი დაუახლოვა. _ მეფე კი საქართველოსი იგულისხმე, იცოდე! _ ყურთან გაუჩურჩულა ქართულად და აკოცა.

მესამე ზარზე გამოთხოვებაც გათავდა, შალვა და არჩილი კუპეში შევიდნენ.

VII

მატარაბელი სუფსას უახლოვდებოდა, როცა გათენდა.

არჩილს მთელი ღამე არ სძინებია. როგორც კი დღის სინათლემ კუპეში შემოატანა, იგი თავისი ადგილიდან წამოდგა და ღია ფანჯარასთან დადგა. ფრთხილად გადასწია ერთი მხრით ფარდა, რომ შალვა არ გამოეღვიძებინა, და დაღლილი სახე ასხლეტით მქროლავ ჰაერს შეუშვირა.

ცაში უფერული ლაქის მსგავსი ღრუბლები ირეოდნენ. პირდაპირ კი მიდამოს აქა-იქ უკვე მოჭრილი სიმინდის ყანები ძველი და გახუნებული ფარდაგივით გადაფარებოდნენ.

ფანჯარაში სინესტით გაჟღენთილი დილის სიგრილე შემოდიოდა.

არჩილს პაპიროსის ბოლებით პირი ჰქონდა გამომწვარი. ამიტომ სინესტეს

ხახადაღებული ჰყლაპავდა და ვითომ წყალსავით პირში იგუბებდა, რომ გამოერეცხა.

თავი ქვასავით მძიმე ჰქონდა. იგი უცხო რამ საგნად ეჩვენებოდა, რომელიც აწუხებდა. იდაყვები ფანჯრის რაფაზე დაებჯინა და თავით ხელებს დაყრდნობოდა.

უძილო ღამის განმალვლობაში, მატარებლის ერთფეროვან რახარუხს აყოლებული ერთი და იგივე ფიქრი იმაზე, რაც მის ახლნდელ მდგომარობას შეეხებოდა, ისე მობეზრებოდა, რომ კვლავ მისი ატანა აღარ შეეძლო.

მაგრამ ერთი ფიქრისთვის კი ახლაც თავი ვერ გაენებებინა. ეს იყო ანდრო ქარივაძის გამოურკვეველი მდგომარეობა.

არჩილს მასთან არ დასცალდა ერთად ყოფნა და გულდასმით ლაპარაკი. ციხიდან გამოქცევის შემდეგ სულ რაღაც ორ-სამჯერ ნახა რამდენიმე წამით და ისიც სხვების თანდასწრებით.

ამ შეხვედრიდან არჩილს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ანდრო უფრო გაურბოდა მას, ვინემ სცდილობდა მასთან დარჩენილიყო. ყოველთვის რაღაც აჩქარება ეტყობოდა და უჩვეულო მოუთმენლობა. არჩილს ანდრო ახლა არაბუნებრივად გულჩახვეული მოეჩვენა, თითქოს ისიც კი შენიშნა, რომ რაღაცას მალავდა მისგან და გულის კარი დახშული ჰქონდა.

ნეტავი, რას უნდა გამოეცვალა აგრერიგად ანდრო? ან რა საიდუმლოება უნდა ჰქონოდა გულში, რომ არჩილთან თავი ასე უცხოსავით ეჭირა?

იმის წარმოდგენა დაუშვებლად მიაჩნდა არჩილს, რომ ანდროსა და მას შორის ოდესმე ნიკო ჩადგებოდა და მისი სიყრმის მეგობარი ამ «საშიშარი» კაცის მესაიდუმლე გახდებოდა.

აბლანდიას მოკვლის შემდეგ კი ერთხელაც არ მოხერხდა არჩილისა და ანდროს შეხვედრა.

არჩილმა აბლანდიას მკვლელობისა ის იცოდა მხოლოდ, რომ ეს პარტიის მიერ გადაწყვეტილი და მოწყობილი საქმე იყო, მაგრამ თუ მკვლელი ანდრო იყო, ამის შორეული ეჭვიც არ დაბადებია.

ამ ტერორისტული აქტის შემდეგ არჩილს ვასოს გარდა სხვა ამხანაგი არც უნახავს, რომ ციხიდან გამოქცევის ამ მნიშვნელოვანი ეპიზოდის წვრილმანი გაეგო. წამოსვლის წინ ვასოსთან კი ჰქონდა ხანმოკლე საუბარი, მაგრამ იგი სულ სხვა საგანს შეეხებოდა.

როცა არჩილმა ანდროზე სიტყვა ჩამოუგდო ვასოს და სთხოვა მისთვის განსაკუთრებული ყურადღება მიექცია, ვასომ აცნობა, ანდრო ნიკოს ბათუმში მიჰყავსო იმავე მატარებლით, რომელითაც შალვა და არჩილი უნდა გამგზავრებულიყვნენ.

- მგონი, შენი გაცილება უნდათ. ნიკომ მითხრა, გზაზე თვალყურს ვადევნებთო, ხოლო ბათომში კი უეჭველად ვნახავთო.

ამ ცნობასთან ერთად ვასომ არჩილს ბათომელი ამხანაგების მისამართიც გდასცა ყოველ შემთხვევისათვის.

არჩილს ახლაც ის შიში ჰქონდა ანდოსათვის, რასაც იგი მისი ქუთაისში მოულოდნელ ჩამოსვლის შმდეგ განიცდიდა: _ ეს იყო ამ დროს ნიკოსთან დაახლოვება და ის უეჭველი გავლენა, რომელსაც მისი გამოუცდელი მეგობარი ვერ ასცდებოდა, თუ ნიკოსთან დროზე კავშირს არ გასწყვეტდა. არჩილის ეს შიში მხოლოდ პარტიული თუ ფრაქციული მოსაზრებით არ იყო გამოწვეული. მას ანდროსადმი მშობლიური რამ გრძნობა ჰქონდა და უმთავრესად იმის ეშინოდა, რომ ნიკოს გზაზე დადგომა ანდროს უთუოდ ფიზიკურადაც დაღუპავდა. რა დღეს, რა ხვალ, უთუოდ შეიპყრობდნენ და დაიკარგებაო, ფიქრობდა.

მაგრამ რა ღონისძიებისათვის მიემართნა ამ მდგომარეობაში მყოფ არჩილს, რომ ანდრო აშკარა უბედურებისათვის გაერიდებინა?

ცხადი იყო, თუ აქ ყოფნის დროსაც კი მას ნიკოსა და ანდროს დაახლოვებისათვის ხელი ვერ შეეშალა, რუსეთს რომ წავიდოდა, იქიდან სულ რა გავლენის მოხდენას შესძლებდა.

«აი, ერთიც ჩემი ხელით განწირული, რომლისათვის ყველაზე უფრო დიდი პასუხი მომეთხოვება», უსაყვედურებდა გულში თავისთავს.

კარგად ჰქონდა წარმოდგენილი, თუ რა წრეშიც მოხვდებოდა ანდრო ბათომში, ნიკოს ამ ძველ სამყოფელში, და ფოთელი სამსონას კვალობაზე, რა სწრაფად დაქანდებოდა იგი დაღუპვის გზაზე.

«უეჭველია: სამსონას ბედი მოელის ანდროს, თუ არა უარესი!»

და არჩილს ჯავრი მოსდიოდა, რომ იგი უძლური იყო რამე ცვლილება შეეტანა შექმნილ მდგომარეობაში, და ერთი-მეორეზე რაღაც უაზროდ წაწყობილ გარემოებათ ასე ბრმად უნდა დამორჩილებოდა.

მაგრამ უცებ თავში აზრმა გაუელვა:

«მოდი, თან წავიყვან ანდროს რუსეთში და იქ ჩემთან ვამყოფებო».

სიხარულით წაეტანა ამ აზრს. შესაძლებლად მოეჩვენა მისი განხორციელება.

- მართლაც, რატომ არ შეიძლებოდა ანდროს თან გაყოლება? როგორც თვითონ არჩილს, არც ანდროს არ ეწერა შუბლზე, თუ ვინ იყო. გარეგნობით კი ანდრო რომელ სტუდენტს ჩამოუვარდებოდა.

ამ აზრის გარშემო არჩილს ფანტაზიაც აუთამაშდა. წარმოიდგინა, თუ როგორ მოაწყობდა მეგობარს მოსკოვში, ხელს გამოიღებდა და მისგან შესანიშნავ ადამიანს გამოიყვანდა: მასწავლებლად დაუდგებოდა, მოამზადებდა, სტუდენტების წრეში გარევდა, განავითარებდა და რამდენსამე წელში, შესაძლებელი იყო მისი ანდრო ნამდვილი სტუდენტიც გამხდარიყო.

«რა გადაულახავია მაინცდამაინც გიმნაზიის კურსი?.. აი, ეს კი მესმის. ეს მართლა დიდი ამბავია. ანდრო უნივერსიტეტის დაამთავრებს და... «. აღტაცებული ამბობდა გულში არჩილი. მოუთმენლობა ეტყობოდა. უნდოდა მალე დალეულიყო ეს დაუსრულებელი გზა, რომ ბათომის სადგურზე ანდროს შეხვედროდა. გადაწყვეტილი ჰქონდა სადგურიდანვე თავის ბინაზე წაეყვანა იგი და აღარ მოეშორებინა, სანამ გემში არ ჩასვამდა.

ფიქრობდა, ამნაირად დაეხსნა მეგობარი ნიკოს ტყვეობიდან.

ამ განზრახვის შესრულება მხოლოდ ერთ რასმე შეეძლო დაებრკოლებინა: თვით არჩილს ამ ჟამად ფული არ ჰქონდა და რუსეთში შალვა რამაძის ხარჯზე მიემგზავრებოდა. უხერხულად ეჩვენებოდა, კიდევ სხვა კაციც აეკიდნა იმავე რამაძის ხარჯზე. დარწმუნებული კი იყო, რომ შალვა უარს არ ეტყოდა, მაგრამ თქმა მაინც ეძნელებოდა.

ახლა კიდევ ეს გარემოება აწუხებდა.

დანაღვლიანებული თვალებით გასცქეროდა დილის ნისლში გახვეულ მიდამოს, რომელიც ბზრიალასავით ტრიალებდა თავისთვის მატარებლის ჩაქროლებისაგან და არჩილის ფიქრებსა და გეგმებში გარევას სულაც არ აპირებდა.

უკვე კარგა გათენებულიყო.

შორი-ახლო სოფლებიდან სიმინდის მოსაწევად წამოსული გლეხები თავიანთი

ყანებისაკენ მიეშურებოდნენ, ზოგან კალათებით მხარზე, ზოგან ურმებით, ზოგან ქალებისა და კუდბუთქა ძაღლების თანხლებით.

მატარებლის დანახვაზე, კაციან-ძაღლიან შესდგებოდნენ და გაჭენებულ მანქანას ხელჩამოფარებულ თვალებს გაკვირვებით გააყოლებდნენ.

«ალბათ, ასე იქნებოდა გუშინ და წინადაც. ასე იქნება ხვალ და ხვალზევითაც», _ შეერია ფიქრებში არჩილს. _ «აქ კი სხვა ცხოვრებაა, სხვა აზრები და ფიქრები. დღეში რომ ათასჯერ ჩაიქროლოს მატარებელმა, ისინიც ათასჯერ შესდგებიან და ათასჯერვე გაკვირვებით თვალს გააყოლებენ მას. ჰა, შეხედე, რამ ჩაგვიარაო, მეათასეჯერ გაიფიქრებენ, თითქოს მატარებელს პირველად უცქერიანო, და ისევ თავიანთ საქმეს განაგრძობენ».

და არჩილს მოულოდნელად ისე მოეჩვენა, თითქოს როგორც თვითონ ის, ისე მთელი მისი ამბავიც ცხოვრების წინაშე ჩაქროლებული უცხო მატარებელი ყოფილიყოს, რომელიც «ჰა, შეხედე, ჩაგვიარაო» -ზე უფრო ღრმა კვალს ხალხის შემეცნებაში ვერ დატოვებდა.

მატარებელი რომ ერთ მხარეს გარბოდა, ყანები კიდევ მეორე მხარეს მირბოდნენ.

მუშების რიცხვს კი თანდათან ემატებოდა. ერთ ყნაში რომ სამი-ოთხი მუშაობდა, იქვე მეორეს ათი და მეტი ქალი და კაცი შესეოდა. კიდევ მოდიოდნენ და მოდიოდნენ.

სურათი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს მთელი ხალხი, დიდიან-პატარიან, ხარ-კამეჩიან უხვი ნადავლის გასანაწილებლად გამოსულა და ხელ-ფეხდაკაპიწებული ერთმანეთს ეჯიბრება. თუ ვინ რამდენის აღება შეუძლიაო.

«ბოლოსდაბოლოს, იქნება, ეს არის ნამდვილი ცხოვრება, და ჩვენი ამბავი კი უმნიშვნელო ზღაპარი და ფუსფუსია, შედარებით ამ მარტივ, უბრალო, მაგრამ ნამდვილ და საარსებო საქმესთან, რომელიც დღითიდღე გაუხმაურებლად კეთდება აქ, ცხოვრების ძირეულ ფენაში, ამ უჩინარი და უსახელო ხალხის მიერ», _ განაგრძობდა ფიქრს არჩილი. «შესაძლებელია, ამათ მიერ მოწეული სიმინდის ერთ ტაროსაც კი მეტი ფასი ჰქონდეს ცხოვრებისათვის, ვინემ ყველა ჩვენს მაღალ თეორიას, რომელიც ბოლოს, იქნება, ძალიან ტყუილიც კი გამოდგესო».

«ვინ იცის?»

მაგრამ მალე სუფსის სადგურიც გამოჩნდა, და ყანები მის შენობებს ამოეფარნენ.

არჩილს ფიქრები შეუწყდნენ.

მატარებელი დადგა.

ბაქანზე სადგურის უფროსის წითელი ქუდი დატრიალდა და ზეზენამძინარევი მომსახურეები ნალოთარებივით ამოძრავდნენ.

ბაქნის თავში, განცალკევებით, აყლაყუდა, გრძელწვერიანი წითელი ჟანდარმის ფიგურა ძეგლივით აიმართა და დამდგარი მატარებელი თვალების ერთ მოვლებით თავიდან ბოლომდის ადდაღა.

გარეშე ხალხი კი არ გამოჩენილა.

მატარებელსაც არ დაუხანებია. დადგა თუ არა, ისევ ქშინვით ფეხი აიდგა.

რამდენიმე ხანი კიდევ და ზღვის ლურჯი არშიაც ცის ტატნობს აეკრა.

...

ბათომის სადგურზე კი მოულოდნელი უბედურება დატრიალდა.

შუადღე იყო, როცა მატარებელი სადგურს მიადგა. არჩილმა ბარგი შალვას შეატოვა. უთხრა, ძირს გასავალ კარებთან დაგიცდიო, და კუპედან სასწრაფოდ გავიდა.

სანამ ორთქლმავალი დადგებოდა, ბაქანზე ჩამოხტა და სადგურის შენობის შუაკარებს მოაშურა, საიდანაც მგზავრები უნდა გასულიყვნენ. ეშინოდა, ნიკო და ანდრო დროზე ვერ შეემჩნია, და ისინიც სადგურიდან ისე წასულიყვნენ, რომ ანდროს აცილებოდა.

კარებთან დადგა და ვაგონიდან ჩამომავალ მგზავრებს თვალიერება დაუწყო მატარებლის მთელ სიგრძეზე.

მესამე კლასის ერთი ვაგონის კიბესთან ანაზდად რაღაც ჩოჩქოლი ატყდა. ჩამოსული და დამხვდური ხალხი უცებ უწესრიგოდ და რაღაც შფოთვით აირია ერთმანეთში, და მკაცრი შეტევის ხმა გაისმა.

- ხელები ზევით!

წრე გაკეთდა. უმალვე ჟანდარმებიც გაჩნდნენ და გაისმა რუსული ბრძანება. წრე ისევ შიშით დაიშალა.

არჩილმა ახლა, როგორც ხელის გულზე ისე დაინახა ვაგონის კიბიდან ოდნავ მოშორბით მდგარი, მაღლა ხელებაშვერილი ნიკო და მის გვერდით ანდრო, ესეც ხელებაწეული. ამათ ორი ვინმე უცხო ზედ გულთან რევოლვერს უმიზნებდა სასტიკი

გაფრთხილებით:

- არ გაინძრეთ, თორემ...

თითქოს უცებ გახმაო, ისე გაშეშდა არჩილი.

როცა დაინახა, რომ შეპყრობილ ამხანაგებს მალე ჟანდარმებიც ამოუდგნენ გვერდში, არჩილმა თავი ვერ შეიკავა და, თუმცა რ იცოდა რისთვის სჩადიოდა ამას, მათკენ პირდაპირ ნაბიჯი გადასდგა. მაგრამ ამ დროს ჯერ ნიკომ და მერე ანდრომაც შენიშნეს იგი. ორთავემ, შეთანხმებულივით, თვალების გაფართოვებითა და უხილავი შეწყრომით ანიშნეს, რომ დაუყოვნებლივ გაცლოდა იქაურობას. ხოლო სანამ არჩილის გონს მოვიდოდა და შესდგებოდა, ნიკო და ანდრო საკომენდანტოში შეიყვანეს.

«რა ამბავი, შე კაცო? რა ყაჩაღები გვნახე? თუ მიცანი, გეცოდინება, რომ რავინ არ მომიკლავს და არ გამიძარცვავს. გასაქცევი რა მაქვს? რაშია საქმე?» _ მოჰკრა ყური არჩილმა ნიკოს მიერ ბაქნის ბოლოში ხმამაღლა, მაგრამ უწყინრად წარმოთქმულ პროტესტს.

შეშინებულმა შალვა რამაძემ ძლივს გაატანა შექუჩებულ ხალხში და, როგორც იქნა, არჩილამდის მიაღწია.

- არჩილ! _ უთხრა ჩუმად, მაგრამ შემგონებელი საყვედურის გამომეტყველი თვალებით და წინ გამწყრალი დაუდგა. მკლავზე ხელი მოჰკიდა. _ აქ რას შვრები, კაცო? წამოდი. _ გვერდით ამოუდგა და გასავალი კარებისაკენ გამოიყოლია.

- იცი, შალვა, რა მოხდა? _ ტუჩების აკანკალბით ჰკითხა არჩილმა მეგობარს, როცა მცირე მანძილი გაიარეს, და ბავშვივით თვალებში შეხედა. დაწყნარებული რომ ეჩვენა მეგობარი, გაუკვირდა. «თუ იცის, ასე დმშვიდებული რატომ არისო!»

-ვიცი... მაგრამ რას იზამ, ჩემო არჩილ? _ და შალვამ ფრთხილად მიმოიხედა. _ უარესი იქნება ხომ, რომ შენც მათთან ერთად დაგიჭირონ? წამოდი, აქ ნუ შევაგვიანებთ, თუ ძმა ხარ!

...

შალვა და არჩილი სასტუმროში დაბინავდნენ, ნავთსადგურის პირდაპირ, სადაც რუსეთის გემით მიმავალი მგზავრები დგებონენ ხოლმე.

დაბინავებისთანავე მეგობრებმა გადასწყვიტეს ბათომის კომიტეტთან კავშირი

გაებათ და ადგილობრივი ამხანაგებისათვის ნიკოს დაპატიმრების ამბავი ეუწყებინათ.

არჩილი ზოგს ბათომელ ამხანაგს დაახლოვებითაც იცნობდა. ვასოს მიერ ქუთაისში გადმოცემული მისამართების გარდა, თვითონაც იცოდა ზოგიერთს ბინა.

მაგრამ კიდევ რომ რაიმე უბედურება არ შემთხვეოდათ, შალვამ არჩილს ოთახიდან გამოსვლა აუკრძალა. თვითონ იკისრა საჭირო ამხანაგებთან წასვლა და მათი მოყვანა არჩილთან.

გაიგეს თუ არა ციხიდან გამოქცეული დადიშიანის ჩამოსვლა და ნიკოს დპატიმრება, ბათომელი ამხანაგები ფეხზე დადგნენ.

ამუშავდა პარტიის ყველა აპარატი.

ნაშუადღევისთვის უკვე გამორკვეული იყო, თუ რა პირობებში მოხდა ნიკოს დაპატიმრება და ისიც, დაახლოვებით, თუ რა ბედი მოელოდა მას.

ამხანაგებმა დაწვრილებით აცნობეს არჩილს საქმის ვითარება.

ნიკო გზაში შემთხვევით ეცნო ბათომის საიდუმლო პოლიციის ერთ ცნობილ აგენტს, რომელიც ნიკოს მტრად ჰყავდა გადაკიდებული ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა ბათომში როტშილდის ქარხნები მუშაობდნენ და რევოლუციონური მოძრობა საქართველოში პირველად ფეხს იკიდებდა.

მაგრამ ერთადერთი ბრალდება, რომლის წამოყენება შეეძლო ახლა ბათომის ადმინისტრაციას ნიკოს წინააღმდეგ, იყო მისი ძველი რეგიონალური მოღვაწეობა.

ბათომის კომიტეტის ინოფრმაციით, ნიკოს ერთადერთი სასჯელი მოელოდა. ადმინისტრაციული წესით გადასახლება.

- რც შეეხება მის თანამგზავრს, ვინმე ანდრო გერგაძეს, _ აუწყეს ადგილობრივმა ამხანაგებმა არჩილს, _ მას ბათომის პოლიცია სრულიად არ იცნობს და ალბათ გულმოდგინე ჯაშუშმა ყოველ შემთხვევისათვის შეიპყრო, როგორც ნიკოს ამყოლი, ვინაობის გამორკვევისთანავე, ალბათ, გაანთავისუფლებენო.

არჩილმა საქმის გამორკვევამდის ბათომში დარჩენა მოისურვა. მაგრამ ეს არ ურჩიეს ამხანაგებმა.

«რაკი მიდიხარ საქართველოდან, დღესვე წადიო, _ უთხრეს. _ თუ დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება შესაძლებელი იქნა, ამას უშენოდაც უკეთ გავაკეთებთო».

მოტანილმა ცნობამ დიდად დაამშვიდა არჩილი: რადგანაც ნიკოს და ანდროს შეპყრობა არც ფოთისა და არც ქუთაისის ამბებთან არ იყო დაკავშირებული, საქმის გამოსწორება ადვილად შეიძლებოდა.

მან ფიცხლად დასწერა წერილი «დიდ» ვასოსთან. შექმნილი მდგომარეობა აცნობა და სთხოვა საქმის სასწრაფოდ მოგვარება.

უმთავრესად იმას სთხოვდა, რომ როგორც კი მის «ძიძიშვილს» სანდრო გერგაძეს, იმავე ანდროს, გაანთავისუფლებდნენ, მაშინვე დეპეშით ეცნობებინა მისთვის მოსკოვში. ხოლო მისგან პასუხის მიღებამდის თავისთან წაეყვანა.

როცა მოსკოვის მისამართი უნდა მიეწერა, კალამი შეუჩერდა და დაფიქრიანდა. შალვას ჰკითხა, როგორ მოქცეულიყო.

- ცაცას მისამართი ჩაუწერე, ცაცას მისამართი. ასე სჯობია! _ მიეშველა შალვა.

არჩილის ხელი ოჩანი ცხენივით შედგა ქაღალდზე. თითქოს არ უნდოდ ამ სახელის დაწერა, მაგრამ სხვა გზა არ იყო.

როც დაწერა, უნებლიედ დააკვირდა დაწერილს. ეუცხოვა, მოეჩვენა, რომ ძალიან უცნაურად ეწერა «ცაცა» თითქოს ოთხივე უწესრიგოდ მოხაზულ ასოდან ცაცას ელამი თვალები დაცინვით შემოსცქერიანო.

საჩქაროდ დაკეცა წერილი.

ახლა შალვა რამაძე დაფაცურდა. სასტუმროს კომისიონერს ორი ბილეთი შეუკვეთა ოდესამდის.

მერე ტლეგრაფში გაეშურ და მოსკოვს ცაცას სახელზე დეპეშა გაგზავნა:

- მოვდივარ ამეღამ ბათომით და ოდესით. ოთახი დაიქირავე ორისთვის და ბე მიეცი.,

არჩილიმა ამასობაში დედასთანაც წერილი დასწერა. მშვიდობით გადარჩენა აცნობა და კარგად ყოფნა, სთხოვა არ შეწუხებულიყო და მისათვის არ ეჯავრა.

«ჩემი გასაჭირი ახლა ფული არის და თუ ორას მანეთს მომაშველებ, მიხსნისო».

დედასაც ფულისა და წერილის გამოსაგზავნად ცაცა რამაძის მოსკოვის მისამართი მისწრა.

ეს წერილი კონსპირაციისათვის მახლობელ დაბაში გაგზავნა ერთი საიმედო ნათესავის სახელზე, რომელსაც ცალკედ სთხოვდა დანიშნულებისამებრ გადაცემას.

...

შუაღამე იქნებოდა, როცა მეგობრები შავი ზღვის ერთ-ერთმა დიდმა გემმა ბათომიდან მშვიდობით გაიყვანა.

ნაწილი მეექვსე

I

არჩილმა და შალვამ გემში სრული უშიშრობა იგრძნეს. თავი ცალკე კუპეში ჩაიკეტეს. დილამდის იძინეს.

როცა გათენდა, პირველმა შალვამ გამოიღვიძა. ტანთ ჩაიცვა და გემის ბანზე ავიდა.

დილის ნისლი ჯერ კიდევ ჰბუგავდა ჰორიზონტს, შალვამ ძლივს მიაწვდინა თვალები შორეულ ნაპირებს.

ვერ გაარკვია, თუ სად იმყოფებოდნენ. იკითხა.

ერთი საათი არ იქნება, რაც ფოთი დავტოვეთო, უთხრეს.

შალვა ისევ საკანში ჩავიდა და ეს ამბავი არჩილსაც აუწყა.

მეგობრებმა ამჯობინეს საკანში დარჩენილიყვნენ, ვიდრე საქართველოს საზღვრებს არ გასცდებოდნენ. იცოდნენ, რომ ამ ხაზზე, განსაკუთრებულად სოხუმამდის, ბევრი ადგილობრივი მკვიდრი მოგზაურობდა. შესაძლებელი იყო, არჩილი ვისმე ეცნო, რაც დიდ საფრთხეს წარმოადგენდა.

ნასაუზმევს შალვა რამაძემ ჩანთიდან წიგნები და რვეულები ამოალაგა, რომლებიც გზაზე სამუშაოდ წამოეღო, და ფანქრით ხელში საწოლზე, საკნის სარკმელთან, ჩამოჯდა.

ფიქრობდა ის დრო გზაში მოეგო, რაც ქუთაისში არჩილის განთავისუფლებაზე დაეკარგა.

რაც ამ ზაფხულისათვის სამუშაო ჰქონდა გათვალისწინებული, ვერ მოეთავებინა და გულნაკლული იყო. გარდა არჩილის დაპატიმრებისა და ამასთან დაკავშირებით გაწეული მუშაობისა, ადგილობრივი გაზეთის შეკვეთით წერილების წერასაც ბევრი დრო წაერთმია. დიდი შრომა კი, რომლის დამთავრება ამ ზაფხულს ჰქონდა განზრახული, ოდნავადაც წინ ვერო წაეწია.

ამ შრომით რამაძე ძალიან გატაცებული იყო. წელიწადზე მეტი მისთვის მხოლოდ მასალებს აგროვებდა, ჩუმად მუშაობდა და შრომის დედააზრს არავის უმხელდა. ეს ისტორიული ხასიათის შრომა იყო, რომელსაც ავტორის რწმენით, ახალი შუქი უნდა მოეფინა საქართველოს ისტორიის ზოგ ბნელით მოცულ საკითხისათვის.

არჩილმა რომ მეგობარი წიგნებში გართული ნახა, თითონაც წიგნი მოენატრა.

შალვას ნებართვა სთხოვა და მის წიგნებს გადარჩევა დაუწყო.

- სულ ისტორიაა. მერე კიდევ საქართველოსი. გაინტერესებს? _ ჰკითხა რამაძემ.

- მეც სწორედ ამ ჟამათ ეს მაინტერესებს ყველაზე უფრო, _ უპასუხა არჩილმა. ზ. ავალიშვილის რუსულ წიგნს _ «საქართველოს რუსეთთან შეერთებას» _ მოჰკრა თვალი. _ აი, მაგალითად, ეს... უთუოდ უნდა წავიკითხო. _ გაუხარდა და წიგნი ხელში აიღო.

- რა ამბავი! საქართველომ ასე რით დაგაინტერესა? _ ეჭვის თვალით ახედა შალვამ მეგობარს.

- განზრახვა მაქვს, ჩვენი ისტორია შევისწავლო. მე მგონია, ამის უფლება არა ნაციონლისტსაც აქვს!..

- მოსაწონი განზრახვაა. ეს შრომა დიდად საყურადღებოა. მაგრამ უნდა გაგაფრთხილო: სოციალ-დემოკრატიულს მასში ვერაფერს ვერ ნახავ, _ სთქვა შალვამ და ნახევრად სერიოზულად და ნახევრად დაცინვით დაუმატა: _ კლასთა ბრძოლის პრინციპი ავტორს გამოყენებული არა აქვს!

- მე მინდა მხოლოდ ისტორია, _ ვითომ ვერ მიუხვდა დაცინვას არჩილი.

- მართლა, შენ, მგონია, ნაკლებად იცნობ ჩვენს ისტორიას.

- სამწუხაროდ... მაგრამ, ზოგადი წრმოდგენა კი მაქვს. მე მგონია, ეს წიგნი ძალიან გამომადგება. ხომ შეიძლება წავიკითხო?

- რატომ არა? წამოწექი და... იკითხე ამბავი ესე; თუ როგორ წაიშალა უკანასკნელად ჩვენი სახელი ისტორიაში. _ ამოოხვრით სთქვა შალვამ.

პაპიროსი ამოიღო. გააბოლა. არჩილსაც მიაწოდა.

მცირე ხნის პაუზის შემდეგ სახის საიდუმლო გამომეტყველებით გადახედა არჩილს და განაცხადა:

- მე კი, ჩემო არჩილ, იმის ძიებას განვაგრძობ, თუ როგორ წაიშალა სულ პირველად იგივე სახელი ისტორიაში. იმედია, ხელს არ შევუშლით ერთმანეთს.

არჩილი ვერ მიხვდა ამ სიტყვების აზრს, ცოტა არ იყოს, შეოცებულად შეხედა შალვას და სიჩუმე ჩამოაგდო. მის პირდაპირ დაჯდა. ავალიშვილის წიგნი გადაშალა. პირველ გვერდზე თვალები გადაარბენინა.

- კი, მაგრამ ის პირველი წაშლა რომელია, კაცო? _ ვერ მოითმინა და ერთი ხნის შემდეგ მოულოდნელად ჰკიხა მან მეგობარს.

- აი, შენ რომ ახალ «წაშლას» წაიკითხავ ამ წიგნში, იმის შორეული სათავე, ჩვენი ტრაგედიას დასაბამი... _ უპასუხა შალვამ.

კვლავ გაჩუმდა არჩილი. მაგრამ კიდევ არ ეყო მოთმინება და სიჩუმე მალე დაარღვია.

- მაინც არ მესმის, შალვა. თუ ერთხელ «წაიშალა», მერე კიდევ... საიდან გამოჩნდა, რომ ხელმეორედ წაიშალა? _ ჰკითხა.

- ეს ჩვენი მოდგმის საიდუმლოებაა, ჩემო არჩილ. მას, ალბათ, სიკვდილი არ უწერია...

არჩილმა საბოლოოდ დაჰკარგა იმედი რამაძის სიტყვების საიდუმლო აზრის გაგებისა, უკმაყოფილოდ მოაშორა მას თვლები და ისევ წიგნს დაუბრუნდა.

შალვამაც თავის რვეულებს მიჰყო ხელი.

კარგა ხანმა გაიარა სიჩუმეში.

მაგრამ არჩილს ემჩნეოდა, რომ აღძრული კითხვა ძალიან აინტერესებდა და მის შესახებ შალვასთან აზრის გაცვლა უნდოდა.

ავალიშვილის წიგნის წინასიტყვაობა რომ წაიკითხა, თავი აიღო წიგნიდან და შალვას მიმართა.

- ამ ბოლო დროს, წარმოიდგინე, ერთმა საკითხმა ძალიან დამაინტერესა, შალვა. დამაინტერესა სახელდობრ იმან, თუ რატომ მოხდა რომ... _ მაგრამ აქ წაბორძიკდა და სიტყვა დაეკარგა, თითქოს რაღაცის შერცხვაო, წამოწითლდა კიდევაც. მაგრამ ისევ ამოიდგა ენა და შალვასთვის სრულიად მოულოდნელად აზრი თამამად ასე ჩამოაყალიბა: _ რატომ მოხდა-მეთქი, რომ საქართველომ ისტორიის დაბრკოლებანი ვერ გადალახა და დიდი ერის ძლევამოსილება მისთვის მიუღწეველი შეიქმნა?

ამის გაგონებაზე შალვას თვალები ისე გაუფართოვდნენ, თითქოს მის წინ უდიდესი სასწაული რამ მომხდარიყოს. უჩვეულო გაკვირვების გამოსახატავად მან

თავი უცებ ძირს დასწია და გაოცებულმა ასე ქვემოდან ახედა არჩილს.

- ეს შენა ხარ, ბრუტუს? _ მიმართა მოფერებით.

მერე ისევ გასწორდა. ცხვირზე პენსნე შეიმაგრა და არჩილს მოცინარი თვლები მიაპყრო.

- ყოჩაღ, არჩილ! _ უთხრა შექებით. _ გიფიქრნია, გეტყობა. კარგი ნიშანია. თქვენებური ტრაფარეტით რომ ვსთქვა, ეროვნული მომენტი ძალიან შეჭრილია შენს შეგნებაში. მეორედ არის, რომ მაკვირვებ. რადგანაც ასეა, სიამოვნებით ვიმსჯელებ ამ საგანზე შენთან... უნდა გითხრა, რომ ეს ერთი ხანია, რაც მეც არსებითად ამ საკითხზე ვმუშაობ. ზოგი ჩემი აზრი უთუოდ შენთვისაც საინტერესო იქნება. მაგრამ ამაზე შემდეგ. ჯერ ის გამაგებინე, თუ კაცი ხარ, როგორ მოხდა, რომ საქართველოს პრობლემამ ასე დაგაინტერესა?

- ამდენად გასაკვირველი, მგონია, არაფერი არ მითქვამს, შალვა. რატომ გგონია, რომ საქართველოზე ფიქრი შენს მონოპოლიას შეადგენს? ხუმრობაგაშვებით, თუ გაინტერესებს, შემიძლია შენი ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილო. ეს ცოტა უცნაური ამბავია... ციხეში რომ ვიყავი, უჩვეულო აზრები დამებადნენ. ამის საბაბი ერთმა შემთხევამ მომცა, მაგრამ ამის შესახებ შემდეგ მოგელაპარაკები: საინტერესო რამეა... ჰო და, იმ აზრების უჩვეულობა იმაში გამოიხატებოდა, რომ... როგორ გითხრა... ქართველი რომ ვიყავი, ამის გამო თავი ძალიან მეცოდებოდა. ამას ისიც დემატა, რომ ძალიან მინდოდა ეროვნულად დიდი ვყოფილიყავი, სულ ერთია, წარსულით თუ აწყმოთი, მაგრამ განსაკუთრებული დიდებით მინდოდა მეამაყნა. აი, როგორც ეს ინგლისელს, ან ფრანგს, გერმანელს, რუსს შეუძლია; გინდა, ძველებს მრავალს კიდევ, ბერძნებს, რომაელებს და სხვებს. მაგრამ, წარმოიდგინე, საამაყო ჩვენს ისტორიაში მაინცდამაინც ვერაფერი ვერ აცმოვაჩინე. თუმცა, როგორც გითხარი, საქართველოს ისტორიას კარგად ვერ ვიცნობ და, შეიძლება ვცდები. შენ კარგად იცი ჩვენი ისტორია, შალვა, მოდი, მითხარი: მართლა, რა იყო იმის იზეზი, რომ სულ უბედურება გვჭირდა და მონობას თავი ვერასოდეს ვერ დავაღწიეთ... შენთვის რომ მომისმენია, თუ გდაჭარბებული ნაციონალისტური გრძნობა არ გალაპარაკებდა, თითქოს ოდესღაც ძალიან დიდი ხალხი ვყოფილვართ. საიდან ჩანს ეს?

არჩილი მეტად უბრალოდ ლაპარაკობდა და გულწრფელად.

- საიდან ჩანს? _ ჩამოართვა კითხვა მას შალვამ და საპასუხოდ გაემზადა, მაგრამ უცებ დაფიქრდა და წამით მოულოდნელად დადუმდა. შემდეგ, თითქოს წარმოსათქმელად გამზადებული აზრი გამოსცვალაო, არჩილს შეეკითხა:

- შენ დიდი ისტორიის მასშტაბი გაქვს აღებული. არა?

- კი. დიდი ისტორიის, _ არ დაახანა პასუხი არჩილმა. _ შენც ასე მიდგომიხარ საქართველოს საკითხს, როგორც მე, საკვირველია! სიმპტომატიურ მოვლენად მიმაჩნია, რომ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ორსავეს ერთნაირი «გზნება» მოგვკიდებია, ალბათ, ბევრს სხვასაც აწუხებს ეს საკითხი არჩილ, _ დაიწყო რამაძემ და ისეთი საიდუმლო გამომეტყველება მიიღო, თითქოს ძალიან შორს, სადღაც თვალმიუწვდომელ სიღრმეში იცქირებაო. _ მე ვიცი, არჩილ, რა არის ის, რამაც ჩვენ აგრე აგვამეტყველა. მე ვიცი და მინდა, რომ ეს შენც იცოდე დღეიდან. _ განაგრძო და არჩილს მცდელი თვალები მიაპყრო.

არჩილს სასოწარკვეთილების ლანდმა გადაურბინა სახეზე: იგრძნო, თუ რამაძის ასეთი «მისტიური» სამზადისი რას მოასწავებდა. ხმაზე მიუხვდა, რომ იგი ძალიან «შორს» აპირებდა შეტოპვას. უნდოდა რაღაც ეთქვა, ამის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ სიმივით მომართულმა შალვამ დაასწრო და განაგრძო.

- აი, როცა ეს წუხილი, შენ რომ გწვევია, მთელი ჩვენი ხალხის შეგნებაშიც შეიჭრება, მაშინ საქართველოს ამჟამად წაშლილი სახელი შეიძლება კვლავ აღორძინდეს. წარმოიდგინე: შენი მეგობრები, პარტიული ამხანაგები, _ ის «დიდი ვასო», ან ის, ნიკო რომ ჰქვიან, გოგია ან დათო. _ და არ ვიცი, კიდევ ვინ დაგისახელო _ საქართველოსთვის რომ ასევე თავგანწირვით იბრძოდნენ და მათი ენერგია გადაშენებისა და გადაგვარების გზაზე მდგარ ერსა და ის სასიცოცხლო ინტერესებს რომ ხმარდებოდეს, განა ჩვენი ეროვნული ყოფა ასეთი აუტანელი იქნებოდა? მაგრამ მე მწამს, არჩილ, რომ ის, რამაც შენ, ამდენი ხნის განდგომილს მოგიწოდა, ერთხელ იქნება, და იმათაც მოაქცევს... და თუ ძველი გარდასული დიდების აღსადგენად ჩვენი ძალა და ენერგია კვლავად ვერ იკმარებს, იმას მაინც შესძლებს, რომ ისტორიას თვისი არსებობა ერთხელ კიდევ მოაგონოს...

- ეს აზრი შენგან წინათაც გამიგონია, შალვა. _ იხელთა შენიშვნისათვის დრო არჩილმა. _ მე ახლა იმ «ძველი, გარდუვალი» დიდების ისტორია უფრო მაინტერესებს,

შენ რომ ახსენე. როდის იყო იგი, თუ მართლა იყო?

- მე ორ დიდ პერიოდად ვანაწილებ ჩვენს ისტორიას, არჩილ. პირველია: ვიდრე ქართველი მოდგმის ტომები ახლანდელ ამიერკავკასიაში შემოვიდოდნენ. მეორე: ამ ტომების ამიერკავკასიაში შემოსვლისა და აქ სამეფოს დაარსებიდან ვიდრე დღემდის. მეორე პერიოდს საკუთრივ საქართველოს ისტორია ეწოდება. პირველი პერიოდი კი სახელწოდებიანად ისტორიის უფსკრულშია დაკარგული... შენ ჩვენი დიდი ისტორია მეორე პერიოდში გიძებნია. დიდი ისტორია, ალბათ, ასე გქონდა წარმოდგენილი: მსოფლიოს მაშსტაბით გამართლებული სახელმწიფოებრივი და კულტურული შემოქმედება. ისტორიის ქარტეხილებზე გამარჯვებული ეროვნული ორგანიზმი და ამ ქარტეხილების მბრძანებელი, გინდ მომავლინებელი ეროვნული ნებისყოფა, და... პირისპირ სხვა დიდი ერების თარეშისა მსოფლიოში ამავე მასშტაბით მოთარეშე საქართველოც. რა თქმა უნდა, ასეთ ამბავს ვერც ერთ წიგნში ვერ ამოიკითხავდი... რადგანაც ნამდვილი ჩვენი ისტორიის მეორე პერიოდი, ე.ი. საქართველოს ისტორია, იყო ისტორია უფრო მეტწილად სხვისი მოხარკე ერისა, რომელსაც თითქმის ყოველთვის რომელიმე «ბატონის» უღელი ედგა.

«სულ უბედურება გვჭირდა და მონობას თავი ვერასოდეს ვერ დავახწიეთო», წეღან სთქვი, და ეს სრული ჭეშმარიტებაა. მე ამ ჭეშმარიტებას სასოწარკვეთილებამდისაც კი მივუყვანივარ. მისგან თავის მოკვლაც კი განმიზრახავს. კი არ ვაჭარბებ, ნამდვილ მართალს გეუბნები... დიდება მეზმანებოდა და მდაბიობას ვერ ვურიგდებოდი... საიდან არის ეს ზმანება, თუ მას საფუძველი არა აქვს-მეთქი, ვეკითხებოდი ჩემს თავს, და საეჭვო, მაგრამ მხნე აზნაურივით, მაინც განვაგრძობდი ეროვნული თავადობის საბუთის ძიებას. იმ საერთო «უბედურებაში», რომელსაც საქართველოს ისტორია წარმოადგენს, შენ, ალბათ, არ შეგინიშნავს ზოგი ძალიან უცნაური მოვლენა, ამ ისტორიას რომ თან ფარულად ახლავს... აი, ასეთი, წყვდიადს რომ ნათელი უეცრად გვანათებს ხოლმე. მაგალითად, შეგიმჩნევია თუ არა, რომ ზოგი ქართული სახე საკვირველად დიდი მოსჩანს ჩვენი ისტორიის საერთო ფონზე? ეს სახეები ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ, თითქოს ისინი სხვა სფეროს, სხვა ისტორიას მოსწყდნენო და შემთხვევით ჩვენთან, ამ საქართველოს ისტორიაში, ჩამოვარდნენო. ა? შესანიშნავი აქ ის არის, რომ ისინი თავიანთი სიდიდით აშკარად არღვევენ ჩვენი

ისტორიის ტონს, სტილს, თითქოს მასში საოცარი დისონანსი შეაქვთ, თუ გინდა, ორიოდე ასეთი ძალიან აშკარად ცნობილი სახე დავასახელოთ საილუსტრაციოდ... თუმცა ერთი რუსთაველიც კმარა. საიდან არის ეს უცნაურობა? დაუფიქრდი კარგად...

«გინდა ამ სახეებს თავი დავანებოთ. სულ ახლანდელ ამბებს შევეხოთ. ავიღოთ ჩვენი საერთო სულის ხასიათი, დიდის დაჩემება რომ გვჩვევია და მისი ფაქტიური შესაძლებლობა კი რომ არა გვაქვს, საიდან არის ეს შეუსაბამო გაქანება, სითამამე? ბოლოს და ბოლოს, რამდენი ორ მილიონიანი ხალხი ცხოვრობს ქვეყანაზე, და რა შევიქენით მაინცდამაინც ჩვენ, რომ ამდენ პრეტენზიას ვაცხადებთ... დამაფიქრებელი არ არის განა, რომ ჩვენი შეგნება მეორეხარისხოვანი ერის ხვედრს ისტორიაში არ ურიგდება და იმაზე მეტს მოითხოვს, რისი მოცემაც ჩვენს აწინდელს, ფაქტიურ ძალღონეს შეუძლია. აი, მაგალითად, შენ რომ მსოფლიო მასშტაბის დიდება მოგნატრებია, და რაც მე გულის ნადები ამოგილაგე... საიდან არის ეს ყოველივე, თუ ჩვენს სულს არ ეზმანება ის დიდი...

«თუმცა აქ ერთი რამე უნდა გითხრა... ისტორიულ კვლევაძიებაში ინტუიციას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვინემ მეცნიერების რომელსამე სხვა დარგში. მე ვამბობ მცირედი მონაცემების საშუალებით დიდი და მთავარი აზრის მიგნების შესახებ, რაც ინტუიციის გზით ხდება ხოლმე. საქართველოს რაობის გაგებაში ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

«იმ მცირე და ჯერ კიდევ გაურკვეველი მასალებისა და ფაქტების მიხედვით, რომლების ნაწილი მე ამ ჩემს რვეულებში მომიგროვებია, მე ვამბობ, რომ ჩვენი დიდი ამბები შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის კი არ დატრიალებულა, რომ აქ მოქმედებენ მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილები იმ დიდი მოდგმისა, რომელიც ოდესღაც იყო მასაზრდოებელი კაცობრიობის უძლიერესი სულიერი და მატერიალური კულტურისა... ეს ჩვენი ისტორიის იმ პირველი პერიოდის ამბავია, რომლის შესახებ ზემოდ გითხარი. ეს პერიოდი ძნელად მისაგნებელ შორეულ წარსულს ეკუთვნის, როგორც აღვნიშნე. იგი ისტორიის უფსკრულშია ჩაფლული და... მეცნიერებამ, შეიძლება, ვერც კი ამოიტანოს ჩვენი დიდების ამბავი ამ უფსკრულიდან. ყოველ შემთხვევაში იმ «დიდებიდან» ამ დღევანდელ «უბედურებამდის» ისეთი დიდი მანძილი ძევს, რომლის გავლა, _ ამის თქმა თამამად შეიძლება, _ ჩვენს გარდა ვერც ერთს სხვა ისტორიულ ერს ვერ

მოუხერხებია. მარტო ეს მანძილიც რომ ავიღოთ, უკვე დიდ ისტორიასთან გვაქვს საქმე. მისი ერთი თავი წინა აზიაში იკარგება, სადაც დაირწა ჩვენი მოდგმის აკვანი, ხოლო მეორე თანამედროვე დიდი ევროპული კულტურის სათავეს ებჯინება. აი, აქ უნდა ვეძიოთ ჩვენ ის დიდება, რომელიც ოდესღაც გვქონდა.

«მაგრამ ეს დიდება დაიშალა, როგორც იშლებოდა ყველა სხვა, რომელიც კი ოდესმე სადმე შექმნილა. სხვათა შორის, ეს გარდაუვალი კანონია. _ კატასტროფამ (შეიძლება იგი იყო უმაგალითო მსოფლიოზე ჰეგემონიის მოპოვებისათვის საერთაშორისო ბრძოლის ისტორიაში) გაანადგურა და მოშალა იმ სისხლის მთავარი მილიც, რომლითაც მაშინდელი დიდი ისტორია იკვებებოდა... მხოლოდ მისმა ერთმა ნაკადმა კიდევ შესძლო საუკუნეებთან ჭიდილი და ქართველი ტომების სახით ბოლოს თავი კავკასიონის მთაგრეხილის კალთებს შეაფარა... საქართველოს საისტორიო წყაროები, ამიერკავკასიის კარებთან რომ უცნობ ტომებს ნახულობენ ჩვენი ისტორიის მეორე პერიოდის გარიჟრაჟზე, რომლებიც სხვადასხვა სახელწოდებით შემდეგში ახლანდელ საქართველოში შემოჰყავდათ, ესენი იმ დიდების ნაფლეთებია, რომელზედაც გელაპარაკე.

«ამნაირად, ჩემო არჩილ, იმ ენერგიის მცირე ნაკადმა, რომელიც ქართველ ტომებს მათი დიდების სამშობლოდან გამოჰყვა, აღარ იკმარა კვლავ დიდი ისტორიის შესაქმნელად. მან ისღა შესძლო, რომ ორ ათეულ საუკუნეზე მეტი კიდევ იბრძოლა თავის სახის შესანარჩუნებლად. ხოლო კაცობრიული იდელისათვის მის მიერ ოდესღაც გაწეული უმაგალითო, მაგრამ ამაო ბრძოლის აღსაბეჭდად, ისტორიის სინდისში ამირან-მიჯაჭვული პალო ჩაასო, როგორც ხორცშესხმული, სამარადისო მხილება იმისა, რაც იყო და რაც ახლა არის...

აქ დადუმდა შალვა და ამოოხვრით სული მოითქვა.

არჩილიც დუმილს განაგრძობდა, მაგრამ გამოურკვეველი სახე ჰქონდა. თითქოს რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ ამას ვერ ახერხებსო, ისეთი გამომეტყველება მიეღო და ასე უცნაურად შესცქეროდა შალვას.

- კი, მაგრამ, შალვა, _ დაიწყო მან ტუჩების მარჯვენა კუთხის ეჭვიანი აცახცახებით, მაგრამ რამაძემ არ დაანება.

- დამაცა, არჩილ, არ დამიმთავრებია. ჩვენი დიდი ენერგიის მცირე ნაშთმა მოაწია

ახლ ტერიტორიამდე, რომელსაც ახლა საქართველო ეწოდება. საუკუნეები მანძილზე დროგამოშვებით აქაც იფეთქებდა ხალხის წიაღში, მის ქვეშეგნებაში, მილექილი მოგონება გარდასული დიდებისა. ბევრი რამ გაუგებარი, საკვირველი, თითქოს საწინააღმდეგოც,: აწინდელ საქართველოს ისტორიას თან ახლავს-მეთქი რომ გითხარი, ეს აქედან არის. დიდი რუსთაველი, მაგალითად, ი დიდებიდან მომდინარეობს. ჩვენი მოდგმის მეორე პერიოდის ისტორიას, რომელსაც საკუთრივ საქართველოს ისტორიას ვუწოდებთ. რუსთაველის წარმოშობა არ შეეძლოს. ამიტომ ჰგავს ის სასწაულს. რუსთველის სახით ჩვენმა მოდგმამ ერთხელ კიდევ მოიგონა თავისი დიდების ხანა. რუსთაველი იმ ხანის გამოძახილია... და ჩვენი გარდაუვალი ზმანებაც დიდებისა, ჩემო არჩილ, ცასავით რომ ჩვენს სულს გადახურვია, სიზმრული მოლანდებაა ამისა, რაც ოდესღაც იყო.. და უნდა გვწამდეს, რომ ქართველი ხალხი თავისი გარდასული დიდების მოსაგონებლად კვლავ გვიჩვენებს სასწაულს. ეს იქნება ახალი ამირანის მოვლინება, მაგრამ ზღაპარში კი არა, _ სინამდვილეში.

...

ლაჟვარდის ტახტზე იჯდა ღამე, ზღაპარივით მორთული.

ორი მთვარის თვალი ჰქონდა _ ერთი ცაში, მეორე ზღვაში.

გარს ვერცხლში დაფერილი იდუმალება ეხვეოდა. სდუმდა და ფხიზლობდა.

გვიან იყო.

გემის დაცალიერებლ ბაქანზე არჩილი იდგა და ერთ ფერში გაერთიანებულ ცას, ჰაერს, ზღვას გულჩათხრობილი გასცქეროდა.

მარტო იყო. სდუმდა და ოცნებობდა.

მისი დუმილი ზღვისას ჰგავდა: თითქოს შორს, სადღაც მიუგნებელ სიღრმეში ხმაურობდა.

ოცნება სივრცის უნაპირო მანძილზე გაეშალა _ მაღლა ცისა და დაბლა ზღვის კიდეებამდის, რომლებიც არ სჩანდნენ.

როგორც მისი დუმილი, ისე ოცნებაც უსაგნო იყო. მაგრამ ორივე სავსე, როგორც ჰაერით ზეცა, წყლით ზღვის უფსკრული.

არჩილი ფიქრობდა ერთსა და იმავე დროს ყველაფერზე. ფიქრობდა ოცნებაშერეულად, როგორც ზღვის პირისპირ შეიძლება დუმილში ფიქრი.

ხანდახან შალვას ნაამბობის ზეგავლენით, ყურებს დასცქვეტდა უცნაურად და თითქოს სივრცის და დროს იქით იმზირებაო, იმის სიმართლეს სინჯავდა, რაც საქართველოს შესახებ მეგობარმა აუწყა.

ვითომ ისიც ეჩვენებოდა, რომ ისტორიის მიუგნებელი ჯურღმულებიდან თვითონ მოჰყვებოდა საქართველოსკენ საშინელ კატასტროფას გადარჩენილს, საკვირველი ენერგიის ნაკადს ქართველი ტომების სახით და მთელ მის თავგადასავალს ცხდად განიცდიდა თავიდან ბოლომდის.

მაგრამ ამ დროს ტკბილად და ნელად გაიღიმებდა, თითქოს გულუბრყვილო, მაგრამ საამო რამ ზღაპარს ისმენსო...

როგორც ღამეს ორი თვალი, ისე არჩილსაც ორი სული ჰქონდა: ერთი დროისა და სივრცის იქით, რომელსაც შალვა რამაძის სიტყვები სწამდა. მეორე კი _ მათ აქეთ, სინამდვილეში, პირველის უარმყოფელი.

და მათ შორის შეუცნობელი ბილიკებით თვითონ არჩილი მიდიოდა.

II

არჩილმა და შალვამ გზაში ოთხი დღე დაჰყვეს. მეხუთე დილას მოსკოვს მიაღწიეს.

მატარებელი რიაზანის სადგურს უახლოვდებოდა, როცა მეგობრები ჩამოსასვლელად მოემზადნენ. ხელისბარგი შეჰკრეს და წიგნები ჩემოდანში ჩაალაგეს.

მოუთმენლად მოელოდნენ მატარებლის დადგომას. ამდენიხნის ნამგზავრნი თავს დახუთულად გრძნობდნენ და წიგნების თავაუღებელი კითხვისა და «თავსამტვრევ» კითხვებზე კამათისაგან ტვინი დამძიმებოდათ. ტანის გასავარჯიშებლად ხელებს შლიდნენ და კუნთებს იჭიმავდნენ.

ფანჯარასთან იდგნენ.

მატარებელმა ჯერ ნაძვნარში მიმობნეულ რუსულ ყაიდაზე აშენებულ ჯარგვალის სახლებს ჩაუქროლა, მერე შენელებული სვლით გაჰყვა ქალაქის განაპირას და სადგურს გაუპირისპირა.

გამოჩნდა მოსკოვი.

ეს იყო ის უდიდესი ქალაქი, რომელსაც შალვა და არჩილი ქუთაისის გიმნაზიის

გათავების შემდეგ პირველად გაეცვნენ და რომელმაც გეგუთისა და ბალახვანის ქუჩების პატრიარქალური ბუდეებიდან ახლად აფრენილ ყმაწვილებს თანამედროვე დიდი ქალაქის უცხო და საკვირველი სახე უჩვენა.

პირველად მიღებული შთაბეჭდილება გაუცხოველდათ არჩილს და შალვას.

მაგრამ ის, რაც წინათ ენახათ და ახლა მოგონების თვალწინ ჰქონდათ გადაშლილი, ისიც, რასაც ფანჯრიდან უშუალოდ უცქეროდნენ _ ძველი ნაცნობი დიდი მოსკოვი _ მხოლოდ დიდი ქალაქი როდი იყო მათთვის.

მეგობრობის წარმოდგენაში ახლა მოსკოვის სხვა მხარეც შეჭრილიყო, რაც სტუდენტობის პირველ წელს მათ ყურადღებას ასცდენოდა. ეს იყო რუსეთის პირველი დედაქალაქის ორიგინალი რუსული სახე.

ამ სახის ცენტრი კრემლში იყო მოქცეული, რომელსაც მთელ ქალაქზე თავისებური ბეჭედი დაესვა.

მას შეოქრული ძველებური აბჯარი ჩაეცვა, ცად აზიდულიყო და, დილის მზით შებრჭყვიალებული ძვირფასი თვალებით დამშვენებული, დანარჩენ ქალაქს თავისი სტილის უპირატესობის ამაყი შეგნებით გადასცქეროდა.

მთავარი ადგილი იოანე მრისხანის აკიაფებულს, თვალწვეტიან მაღალ სამრეკლოს ეკუთვნოდა, რომელსაც გარშემო კრემლის სხვა დიდი და პატარა, კოცონებად ანთებული ჯვრიანი გუმბათები შემოეკრიბა.

ეს იყო ძველი, რიურიკოვიჩების რუსეთის სტილიანი ნაკვეთი, რომელსაც საუკუნეების მანძილზე სხვა მსგავს რუსულ ნამოქმედართა შორის უდავო უპირატესობა შეენარჩუნებინა და რომანოვების ახლანდელი მოსკოვისათვისაც უცილობელი შნო და ლაზათი მიენიჭებინა.

კრემლს იქით, «ვორობიოვის მთების» მხარეს, სადაც ჰორიზონტის მუქი არშია თვალთა ხედვის მანძილს მიჯნავდა, «ქრისტე მაცხოვრის» სახელობის ახალი ტაძრის მაღალი ჯვრიანი კამარის სილუეტი განმარტოვებული გამდგარიყო, ვეება და პირქუში. იგი ერთი მხრით კრემლის დიდებას შესცქეროდა ფარული შურით, ხოლო მეორე მხრით _ შორი-შორს და თითქოს მალვით, ქალაქის განაპირებში ჩარაზმული ქარხნების პირშემურულ მაღალ მილებს მრისხანებით გადაჰყურებდა.

ვეება ტაძარი თითქოს რომანოვების გვარის იმპერტორთა რუსეთის უხეშ

დიდებას გამოხატავდა, რომელიც ძველისა და ახლის მიჯნაზე მთელი თავისი მძიმე ტანის ჩლუნგი უძრაობით გაწოლილიყო.

- აი, მოვედით, _ სთქვა შალვა რამაძემ, როცა, მოსკოვის ზერელე და თვალწამიერ სანახაობას დაახლოებული შენობები ჩამოეფარნენ და მატარებელიც სადგურის დახურულ გრძელ ბაქანში შეიჭრა.

- ეს გრძელი გზა, ჩემო არჩილ, რომელიც ჩვენ გამოვიარეთ, ჩვენი ახალი ისტორიის გზაც არის, რომელიც უკანასკნელმა ბაგრატიონებმა გვიანდერძეს ამ ასი წლის წინათ. იგი ჩვენთვის შემთხვევითი არ არის. ამ გზას ახლანდელი საქართველოც ვერ შეელია სოციალ-დემოკრატების წყალობით, _ თითქოს ჩუმად ნაფიქრს ახლა დასკვნა გაუკეთაო, აზრის თავისებური გადაკვრით განაცხადა შალვა რამაძემ და ჩემოდანი ხელში აიღო.

არჩილმა კიდევ ჩანთა მოიგდო იღლიის ქვეშ.

- შენ როგორ გგონია, შალვა, ეს გზა აუცილებელი იყო ჩვენთვის, თუ შემთხვევითი? _ მცირე პაუზის შემდეგ შეეკითხა მეგობარს არჩილი, რომელიც შალვას ქარაგმული აზრების გაგებაში ფრიად დახელოვნებულიყო.

შალვამ ეს კითხვა უპასუხოდ დასტოვა.

მხოლოდ კუპეს კარი რომ გააღო, არჩილისკენ პირი მოიბრუნა და ხმადაწეულად უთხრა:

- სისხლი არ გვეყო, ჩემო ძმაო, სისხლი, დამოუკიდებელი ისტორიისათვის.

მატარებელი უკვე დამდგარიყო. ვაგონის დერეფანი ჩამომავალ ხალხს გაეჭედა. შალვა და არჩილი მგზავრებს შეერივნენ.

სადგურიდან ხმაურობა ამოდიოდა, ყვირილი, ხმობა, გაძახილი.

ბარგის მზიდველები დაუზოგველად იკვლევდნენ კუპეებისკენ გზას.

- გავიხედეთ და... სადგურზე ცაცა დაგვხვდა! კარგი არ იქნება? პირდაპირ ბინაზე წაგვიყვანს. ჩემს დეპეშას უთუოდ მიიღებდა. _ განაცხადა მოულოდნელად გაჭირვებით წინ მიმავალმა შალვამ და არჩილისკენ მოიხედა.

მისმა სიტყვებმა არჩილი თითქოს უცებ შეაშინეს. პასუხის მაგიერ მან მხოლოდ რაღაც უცნაურად გაიღიმა და შალვას შესხლეტით ააცილა თვალები.

არჩილს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ მოსკოვში ცაცას გვერდს ვერ

აუვლიდა და მათი შეხვედრა აუცილებელი იქნებოდა. თუ როგორ უნდა მომხდარიყო ეს შეხვედრა, ამაზე ბევრი ეფიქრნა კიდევაც გზაში. მისთვის წინასწარ მომზადებული მოდიოდა და სრული იმედი ჰქონდა, რომ შესძლებდა ცაცასთან ისე დაეჭირა თავი, როგორც უბრალო ნაცნობს.

მიუხედავად ამისა, შალვას მიერ ხმამაღლა წარმოთქმული რამაძის ქალის სახელი რომ გაიგონა, გული მაინც მოულოდნელად შეუკრთა.

ცუდად ენიშნა ეს ამბავი.

ძირს რომ ჩამოვიდნენ, შალვამ სადგური დაკვირვებით დაათვალიერა, მაგრამ ცაცა არსად იყო.

ამ გარემოებამ არჩილი შეათამამა.

მას იმედი მიეცა: ციხიდან მიწერილი წერილის შემდეგ, იქნება, ცაცამ ისევ მოახერხოს, რომ თავი ამარიდოსო.

«მაგრამ, შეიძლება სულაც არ მოელის ჩემს ჩამოსვლას».

სხვა გზა არ იყო: შალვას დღესვე უთუოდ უნდა ენახა ცაცა და ბათომიდან დეპეშით შეკვეთილი ბინის მისამართი გამოერთმია.

ხომ ვერ დაიმალებოდა არჩილი?

ეტლში ჩასხდნენ და ცაცას ბინისკენ გაემართნენ.

...

ცაცა რამაძის ქალი «დიდი ბაღისა» და ტვერის ქუჩების შესაყართან, ერთ კუთხის სახლში ცხოვრობდა.

შალვამ ეტლი ამ სახლის შესავალთან დააყენა.

- შენი ნახვა, არჩილ, ძალიან გაუკვირდება ცაცას. არ გელის, ალბათ! _ უთხრა მან არჩილს, სანამ ეტლიდან ჩამოვიდოდა. მერე უცებ, თითქოს რაღაცა მოაგონდაო, სიდუმლო ხმით შეეკითხა: _ მართლა მე, კაცო, მგონი დამავიწყდა, რომ... ჰმ... ცაცა და შენ... ა?.. _ ძალაუნებურად შებორძიკდა. სახის გამომეტყველებით ანიშნა, თუ რისი თქმაც უნდოდა. _ მგრამ არაფერია, შეგარიგებთ!

- საიდან მოიტანე, შალვა, რომ ჩვენ შერიგება გვჭირია? ჩვენ არ წავჩხუბებულვართ! სრულიადაც არა! _ უპასუხა არჩილმა. _ ეს შენც იცი: ჩვენი გზები გაიყარნენ მხოლოდ. რა ვუყოთ მერე? ეს ხელს არ შეგვიშლის, კარგ ნაცნობებად

დავრჩეთ. _ თავაზიანი ჩაცინებით დაამთავრა და ეტლში მჯდომარემ ზედატანი როგორღაც ისე მოიმარჯვა, თითქოს ვიღაცას სალამი მისცაო. მოქცევა უცნაური გამოუვიდა.

შალვამ ძალაუნებურად მიაქცია ამას ყურადღება. გაუკვირდა. მაგრამ არჩილს არ შეამჩნევინა თავისი გაკვირვება.

- კარგი და პატიოსანი. რა თქმა უნდა, ეს გარემოება ხელის შემშლელი არ იქნება, _ სთქვა უფრო გაკვირვების დასამალად და ეტლიდან ძირს ჩამოხტა. არჩილი შიგ დასტოვა. თვითონ სახლში შევიდა. კიბეზე აირბინა. ნუმერით მონახა ცაცას ბინა და დარეკა.

კარი თვითონ ცაცამ გააღო.

შალვა რომ დაინახა, მთელი სახე სისხლის ფერად აუბრიალდა და ელამი თვალები უფრო გაუელამდა.

- შალვა! _ სიხარულით წარმოსთქვა და ძვირფას სტუმარს გადაეხვია, გადაკოცნა, ბალღივით გულში ჩაიხუტა. _ ჩემო შალვა, რა კარგია, რომ გხედავ! რატომ დაიგვიანე? ყოველდღე მოგელოდი, _ უთხრა გულაჩვილებულმა. _ შემოდი. ის მეორე ვინ არის, ორისთვის რომ ოთახი დამაქირავებინე? _ ხმის ამოღებაც არ დააცალა შალვას, მკლავში ხელი ამოდვა და ღია კარისაკენ გააქანა.

- დაიცა, ცაცა. _ კართან შესდგა შალვა. _ ჩემთან არჩილია.

უცებ გაოცდა ცაცა და შალვას შეშინებული თვალებით შეხედა.

- არჩილი? რანაირად? გამოიქცა? გაზეთებში ცნობა იყო, ქუთაისში ციხე გატეხესო. მართალია?

შალვამ თავის დქნევით დაუმოწმა.

უფრო გაუფართოვდნენ ცაცას თვალები.

წამიერი სიჩუმე ჩამოვარდა. ცაცას რამდენჯერმე ეცვალა ფერი.

- სად არის მერე? _ გაუბედავად იკითხა და სახეზე წითელი ალი აეკიდა.

- აქვე მიცდის, დაბლა, ეტლთან. _ დაბალი ხმით აუწყა შალვამ, მერე რუსულად შეეკითხა: _ სად არის, ცაცა, ჩემი ოთახი? მისამართის გამოსართმევად გამოგიარე.

- ამავე ქაჩაზეა, ახლოს აქედან მესამე თუ მეოთხე სახლია. წამოგყვე? _ და ცაცა კიდევ უფრო გაწითლდა, რაღაც გაუბედაობა შეეტყო და დაბნევა.

- შენ რა მალ-მალე წითლდები, ჩემო დაია! _ გაეხუმრა ცაცას შალვა და მოფერებით ლოყაზე ხელი წაუთათუნა. თითქოს რაღაც მოულოდნელი შეემჩნიოს მის სახეზე, ისე დააკვირდა. _ გამხდარხარ, მგონია, ა? თუ მეჩვენება? _ ცოტა ხნის შემდეგ განაგრძო: _ ძალიან კარგს იზამ, თუ წამომყვები, ცაცა, დავბინავდებით ბარემ, _ კიდევ გაუცინა. მოეფერა, ვითომ დააწყნარაო. მერე თითქოს დარცხვენისა და დაბნევის დასაფარავად მიეშველაო, უთხრა: _ ნუ გეშინია, არავინ მოგვდევს.

- მე არ მეშინია! _ ვერ გაიგო ცაცამ შალვას ხერხი. _ ახლავე ქუდს დავიხურავ და გამოვალ შენ აქ მომიცადე, შალვა. _ სთქვა და ბინაში შევიდა.

«გამოცვლილია რაღაც ეს ბავშვი», თითქოს უნებლიე დაკვირვებისაგან მიღებული შთაბეჭდილება დაიდასტურაო, გაიფიქრა შალვამ, მაგრამ ასე უცბად ვერ გამოერკვია, სახელდობრ რაში შენიშნა ცვლილება ბიძაშვილს: ხმაში, თვალებში თუ სახის საერთო იერში.

მალე გამოვიდა ოთახიდან გამოწყობილი ცაცა. მას განუყრელი მიხაკის ყვავილი ებნია გულზე.

სანამ ძირს დაეშვებოდნენ, შალვამ ქუთაისის მოკითხვა გადასცა ცაცას და სახლის მშვიდობა აუწყა.

მაგრამ ცაცას ხმა არ ამოუღია, ისე მოყვებოდა გვერდით. ეტყობოდა ჩაფიქრებულიყო. ჩუმად ღელავდა.

არჩილმა და ცაცამ ერთმანეთს ერთდროულად შეავლეს თვალები, შეკრთომა და მოულოდნელობა აღიბეჭდა მათ სახეზე.

არჩილი წამოდგა ეტლში და ოფიციალი ზრდილობის წესის დაცვით ქუდი მოუხადა ცაცას, როგორც ვითომ შორეულ ნაცნობს, და ეტლიდან ჩამოსვლა დააპირა.

- მომეცი ნება, ცაცა, წარმოგიდგინო ჩემი ახალი მეგობარი, გაბო გაბაშიძე. _ მიმართა ცაცას შალვამ, მკლავში მოჰკიდა ხელი და ეტლს მიუახლოვდა.

- მესმის, _ წარმოსთქვა ცაცამ ძალაუნებური გაღიმებით.

ამასობაში არჩილიც ჩამოხტა ეტლიდან და ქუდმოხდილი მივიდა ცაცასთან. თვალების რიდებით ხელი ჩამოართვა.

- გმირი! _ ჩაესმა მას ცაცას ფრთხილი ხმა, როცა ხელში მისი ხელის სითბო იგრძნო.

თითქოს ეწყინაო, თავი უცებ მაღლა ასწია არჩილმა, შეხედა, ხომ არ დამცინესო. მაგრამ ცაცას სახე უფრო აღფრთოვანებას გამოხატავდა.

- რატომ ჩამოდი, არჩილ, ეტლიდან? ჩვენი ბინა აქ არ არის. ცაცამ უნდა წაგვიყვანოს. _ განაცხადა შალვამ და მით ცაცასა და არჩილს შორის ჩამოვარდნილი უხერხულობა დაფარა, ცაცას მიუბრუნდა:

- ჩვენი ეტლი ორადგილიანია, მაგრამ მაინც ყველანი კარგად დავეტევით. აქაურულად დავსხდეთ, მოდით, ხალხო! _ თვითონ პირველი ჩაჯდა. მერე არჩილი მოისვა გვერდით.

- სულ ორი-სამი ნაბიჯია. მე ფეხითაც გავივლი, _ სთქვა ცაცამ, მაგრამ შალვამ არ დაანება. ჩამოხტა და ცაცა ეტლისკენ გაიტაცა.

დაჯდა. ცაცა კი მუხლებზე დაისვა.

მოიკრუნჩხა არჩილი. მაგრამ ის მაინც ვერ შესძლო, რომ ცაცას სულ არ მიჰკარებოდა.

განსაცდელმა დიდხანს არ გასტანა: ცაცამ სულ მალე დააყენებინა მეეტლეს ცხენები.

- მოვედით! აქ არის. _ სთქვა და ისე სწრაფად ჩამოხტა ძირს, თითქოს ცეცხლი ეკიდებოდა და თავს უშველაო.

...

სულ რამდენსამე წუთში შალვა და არჩილი მათთვის დაქირავებულ ოთახში იმყოფებოდნენ, ცაცა ბინის დიასახლისს ახალ მდგმურებს აცნობდა.

ცაცას მოვალეობა დასრულებულიყო.

- შალვა, ჩაი კი ჩემთან დალიეთ. აქ ჯერ მოწყობილი არ ხართ. გთხოვთ. _ მიმართა ცაცამ შალვას, მაგრამ მრავლობითი რიცხვით, რათა ჩაიზე დაპატიჟება არჩილსაც მიეღო თავის თავზე. _ მოგელით... სანამ გამოეწყობით, ყველაფერი მზად იქნება.

ამ სიტყვებით საერთო სალამი მისცა მეგობრებს და ოთახიდან გამოვიდა.

- ყოჩაღ, ჩემო ცაცა! _ მიაძახა მას შალვამ.

არჩილს მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთი უბრალო სიტყვაც კი არ წამოსცდენია. ქვასავით სდუმდა. ოთახში შემოსვლისთანავე შალვას ჩემოდნისათვის

წაევლო ხელი, გაეხსნა და წიგნების გადმოლაგებას შესდომოდა.

თითქოს არც კი შეუმჩნევიაო, თუ როდის და როგორ წავიდა ცაცა.

მეგობრები მალე დალაგდნენ. დაიბანეს. დასუფთავდნენ. ტანთსაცმელი გამოიცვალეს.

შალვას ძალიან მოსწონებოდა ოთახი. ხან მას აქებდა, ხან კი მის დამქირავებელს. ოთახი მართლა მოსაწონი იყო. მშვენივრად მორთული, ახლად დასუფთავებული, შალვას უმთავრესად ის მოსწონდა, რომ ნათელი იყო და დიდი.

- წავიდეთ ახლა, არჩილ, ცაცას ვეწვიოთ. ჩაიზე დაგვპატიჟა. _ უთხრა შალვამ არჩილს, როცა გზის ჭუჭყი და მტვერი მოიშორეს.

- უკაცრავად შალვა, მაგრამ ვერ წამოვალ... არ მინდა რაღაც თავიც მტკივა და, მგონია, კარგად არ ვარ... შენ წადი. _ უარი განაცხადა არჩილმა და ისეთი შეწუხებული სახე მიიღო, რომ შალვას მართლა შეეცოდა.

- თავის ტკივილს სწორედ ჩაი მოუხდება. გავიაროთ, გარწმუნებ, მორჩები. კარგი ახლა! დაგემდურები, იცოდე. ცაცასაც გული დაწყდება. წამო თუ ძმა ხარ! რაკი მიესალმეთ ერთმანეთს, შერიგებულიც ხართ.

არ დაუჯერა შალვამ. ძალით გამოიყვანა ოთახიდან.

III

ცაცას ერთფანჯრიანი ოთახი პატარა იყო, მაგრამ კოხტა და ლამაზი. იგი ძალიან ახირებულად მოერთო ცაცას.

მორთულობაში წითელი და ყვითელი ფერი სჭარბობდა: ლამპის ფართე და არაჩვეულებრივად დიდი აბაჟურიდან დაწყებული, რომელიც ფანჯარასთან მიდგმული პატარა მაგიდის ზედაპირს თითქმის სულ ერთიანად ჰფარავდა, და კედელზე სურათების ქვეშ დატანებული საფენელ ქაღალდებით გათავებული, ყველაფერს ყვითელნარევი წითელი ფერი გადაკრავდა.

კუთხის სირღმეში მიჩქმალული ლოგინიც ამ ფერებით იყო მოკაზმული.

ფანჯრის ერთი მხრით, კედლისკენ, პიანინო იდგა, ზედ მოდიდო ჩარჩოებში ჩასმული სურათები იყო ჩამწკრივებული: შუაში ბეთჰოვენის, აქეთ-იქით _ ბახის, ჩაიკოვსკის, შოპენის, გრიგის და სხვების, მათ გვერდით რამდენიმე წიგნიც ელაგა.

პიანინოსთან ნოტების პტარა მრგვალი მაგიდა იდგა, რომელზედაც ნოტის წიგნები და რვეულები ეწყო. ზედ მოდიდო მინის საფერფლე იდვა და შიგ პაპიროსის ორი ნამწვი ეგდო.

თითქოს შალვას თოკზე მობმული მოჰყავსო, ისე შევიდა ცაცას ოთახში არჩილი. სახე შეფითრებოდა და ენა წართმეოდა.

თავში ის აზრი უტრიალებდა, რომ ბედისწერისაგან სჭირდა, რაც ახლა მის თავზე ხდებოდა: არ უნდოდა, არ სურდა ამ ყალბ მდგომარეობაში ჩავარდნილიყო, მაგრამ თავი მაინც ვერ დაეღწია. ამ შემთხვევაშიც ისე იყო, როგორც ყოველთვის მის ცხოვრებაში.

ოთახში სუფრა გაწყობილი იყო: ჩაი დასხმული, საჭმელი დალაგებული. გარშემო ცაცა დიასახლისობდა.

თვალების ერთი მოსმით შეათვალიერა არჩილმა ცაცას ოთახი.

რაღაც მანქანებით, პირველადვე მისი ხედვის ისარი ნოტის მაგიდაზე მდგარმა საფერფლემ მოიტაცა, და მასში გდებული პაპიროსის ნამწვები თვალში მუგუზალებივით შეეჭრნენ. თავი ჩაღუნა არჩილმა, რომ არ ეცქირნა.

დაუპატიჟებლად სკამზე დაეშვა და ჩაის მიუჯდა. თავის გამართვა ვერ გაებედნა და თვალები ვერ გაეხილა.

იმის შიში ჰქონდა, რომ მისი ყურადღება სხვა საეჭვო საგნებსაც არ მიეპყრო, რომლებიც ამ საფერფლისა და პაპიროსების ნამწვების შემდეგ, მისი აზრით, უთუოდ უნდა აღმოჩენილიყვნენ ცაცას ოთახში.

- შენი ოთახიც კარგია, ცაცა, მომწონს! _ ეუბნებოდა ცაცას კმაყოფილი შალვა. _ წითელი ფერი არ მაკვირვებს, მუდამ გიყვარდა. მგრამ ეს ყვითელი ფერები ნეტავი რისი მომასწავებელია? მაგრამ ამაზე შემდეგ. უპირველესად ყოვლისა ის მიამბე, როგორ მოეწყვე აქ? რას აკეთებ? კონსერვატორიაში უკვე დაიწყე მუშაობა? მოსკოვი როგორ მოგეწონა? ფერი რომ გიცვლია და გამხდარხარ, რისი ბრალია. დავიჯერო, ამდენს მუშაობ?

ცაცას უკვე დაეძლია პირველი შეკრთომა და მისთვის უჩვეულო დაბნეულობა. ჩვეულებრივი იერი დაბრუნებოდა. სტუმრებს უმასპინძლდებოდა. მოსკოვის გამოჩენილ ცხელ «კალაჩებს» კარაქწასმულს აწოდებდა წამდაუწუმ. სუფრაზე დილის ჩაისთვის შეუფერებელი ტკბილეულობაც დაეწყო და ქუთაისიდან ჩამოტანილი

ალუბლის მურაბაც გმოეტანა.

თან შალვას შეკითხვებთან შეფარდებით, მოსკოვის პირველ შთაბეჭდილებებს უამბობდა ახალჩამოსულებს.

მიუხედავად ბუნებრივი სითამამისა, რომელიც მას ახასიათებდა, თავისი ცხოვრების ამბავს მაინც დალაგებით ვერ ამბობდა.

შალვამ შენიშნა, რომ ცაცა ზოგჯერ შეგირდივით იბნეოდა, უცნაურ სიფრთხილეს იჩენდა. დაწყებულ ეპიზოდს ხშირად შუაში გასწყვეტდა, მეორეზე გადავიდოდა და იმასაც არ დაამთავრებდა. თითქოს იმისი ეშინოდა, რომ უნებლიეთ საიდუმლოება რამე არ წმოსცდენოდა.

მეგობრებმა მაინც ბევრი რამ უცხო და მოულოდნელი გაიგეს ცაცას ახალი ცხოვრებისა.

მთავარი ის იყო, რომ ცაცას მოსკოვი ზღაპარივით მოსწონებოდა, ამ მოკლე ხანში შეყვარებოდა კიდევაც. განსაკუთრებულად თეატრებს გაეტაცნა, უფრო კი ოპერას, და მის რომელიღაც გამოჩენილს მომღერალს, ტენორს, მოეხიბლა.

გარეშე ამისა, მუშაობაც დაეწყო კონსერვატორიაში, ცნობილი პროფესორის ხელმძღვანელობით, და ახალი ნაცნობების წრე გაეჩინა, რომლის წყალობით «სამხატვრო თეატრის» ახალი სასცენო სკოლის მიმდევარ დრამატიულ სტუდიასაც დაახლოვებოდა.

არჩილის გულში კი ცაცას ნაამბობი კიდევ სხვანაირად გადამტყდარიყო. იგი საფერფლეში შენიშნულ პაპიროსის ნამწვით ზომავდა ცაცას ყოველ ფრაზას და თვითეულ მათგანს გულში საშინელ კომენტარებს უკეთებდა.

ყველა ეს «თეატრი», «ოპერა», «ტენორი», «ნაცნობთა წრე», «დრამატული სტუდია» არჩილს თვალთმაქც შირმად წარმოედგინა, რომლის გატაცებას აჩენდა, ხოლო მეორე _ დაფარული იყო და მის ნამდვილ ამბავს ხანდახან, და ისიც შემთხვევით «პაპიროსის ნამწვავები» თუ გამოაშკარავებდნენ.

დაასრულა თუ არა ცაცამ თავისი ამბავი, უცებ, გაბუტული, თავის ფიქრებით გართული არჩილისაკენ პირი მიიბრუნა და აქოს აზრების მიმართულებას მიუხვდაო, მიმართა:

- მაგრამ გმირი მე კი არა ვარ, აი, ვინ არის! _ და ოდნავ, მოფერებით გაუღიმა არჩილს ძველებურად. ორაზროვნად მომნუსხველი თვალები მიაპყრო, _ მიამბეთ ახლა

თქვენი თავგადასავალი.

არჩილმა პირველად ვერ გამოარკვია, ცაცა დასცინოდა, თუ სერიოზულად ეკითხებოდა.

- ჰო... ეს ძალიან დიდი და გრძელი ამბავი იქნება! _ განაცხადა შალვამ, ადგა და პიანინოსკენ გაემართა სურათების დასათვალიერებლად.

არჩილი კი, პასუხის მიცემის მაგიერ, მოკუმშვით სკამზე შესწორდა, თითქოს სანახევროდ წამოდგაო, ისე აიწია, გულისჯიბიდან პაპიროსის კოლოფი ამოიღო, გახსნა და იატაკზე ფეხების უცნაური აფხაკუნებით ცაცასკენ მთელი ტანით გადაიწია.

- ჩემი თავგადასავალი ზღაპარსა ჰგავს, ქალბატონო ცაცა. ზღაპარს კი ჩვენში ღამე ამბობენ. _ უთხრა სახის უცნაური მოქცევით და დახელოვნებულ მოარშიყესავით პაპიროსი გაუწოდა. _ ინებეთ!

ახლა ისევ გაწითლდა ცაცა.

- მადლობელი ვარ, მაგრამ არ ვეწევი, _ უპასუხა და ეჭვიანი, ოდნავ დაპატარავებული თვალებით შეხედა. _ ჯერ კიდევ არ ვეწევი! _ დასძინა ბეჯითად, მაგრამ გადაკრული მნიშვნეობით.

არჩილმა ამაზე ურყევი ფაქტებით აღჭურვილი ულმობელი გამომძიებელივით ჩაიცინა ცალყბივ და საფერფლესთან ნაჩუმათევად გაიხედა. მერე სახის ცბიერი გამომეტყველებით თვალები ძირს დახარა, და თვითონ გააბოლა პაპიროსი.

ამ დროს ცაცას თვალებმა სანოტე მაგიდაზე მდგარი საფერფლე მოიკითხეს. იგი წამოდგა კიდევაც და მაგიდასთან მივიდა საფერფლის მოსატანად. შიგ ნამწვავები რომ დაინახა, გაკვირვებით დააცქერდა. უცებ მიხვდა, თუ რისთვის მოაწოდა მას პაპიროსი არჩილმა. იგრძნო, რომ გაწითლდა. აიღო საფერფლე. ის იყო, უნდა დაებერტყა იგი და ნამწვები გადაეყარა, მაგრამ ამისთვის მოქნეული ხელი თითქოს თავისთავად შეუჩერდა. აზრი შეიცვალა.

წმოიღო და ნამწვიანი საფერფლე არჩილს წინ დაუდგა.

- მაშ, თქვენ არ ეწევით? _ ჩაილაპარაკა ჩუმად არჩილმა და ცაცას თვალით ნამწვებზე ანიშნა: მაშ, შენს ოთახში ამას რა უნდაო?

- ალბათ, არიან, ბატონო არჩილ, თქვენს გარდა ისეთები, რომლებიც პაპიროსს სწევენ. იყო ცაცას პასუხი.

- ეჭვი არა მაქვს, რომ არიან! _ ხელოვნურად გამოწვეული ბოხი ხმით უთხრა მას არჩილმა და ისე შეხედა, თითქოს დაემუქრაო.

- არჩილ, მოდი აქ, ცაცას სურათები დაათვალიერე. წარმოიდგინე: არცერთი მარქსი! არცერთი ენგელსი... ღალატიც ასეთი უნდა! _ მიმართა ამ დროს ხმამაღლა არჩილს შალვამ, რომელიც ცაცას საწერ მაგიდასთან დამდგარიყო და კედელზე მიკრულ სურათებს ათვალიერებდა:

- ღალატის გამოაშკარავება წვრილმან რამეებს უფრო შეუძლია. _ ჩუმად სთქვა არჩილმა, მაგრამ ცაცას გასაგონად, და შალვასკენ წავიდა. _ მე მგონია, შალვა, უმჯობესი იქნება, თუ ჩვენი ბარგის ქვითარს გადმომცემ, სადგურზე წავალ და ბარგს მოვიტან! _ მოულოდნელად მიმართა მან მეგობარს, როცა მასთან მივიდა.

- მართლა, მოსატანია, მაგრამ რაღა შენ წახვალ , კაცო! მეეზოვეს გავგზავნი და მოგვიტანს. მოესწრება. მოდი დააკვირდი: ცაცას აქ ვყელა ქვეყნის მწერლებისთვის თავი მოუყრია. ქართველი არსად ჩანს! ესეც ხომ ღალატია ერთგვარი.

- რომელი გნებავდა, მაგალითად, შალვა? _ ჰკითხა თავისი ადგილიდან ცაცამ, რომელიც ახლა ჩაის ჭურჭლის მილაგებას შესდგომოდა.

- როგორ თუ რომელი? შოთა, მაგალითად.

- ნამდვილი რომ არ გვაქვს?

- აი, სირცხვილი! გურამიშვილი? ბესიკი?

- მათი სურათები რომ არ არსებობენ? ყოველ შემთხვევაში მე არ მინახავს!

- ბარათაშვილი?

- არც ბარათაშვილი არსებობს!

- ილია, აკაკი, ყაზბეგი... ჰე, რას ამბობ, შენ, ჩემო დაო: თავგამოსაჩენი თუ რამე მოგვეპოვება, მხოლოდ ეს სახელებია.

- იცი, რა გითხრა, შალვა: გეთანხმები, რომ ისინი დიდი მწერლებია, მაგრამ ოთახში გამოსაფენად გარდა მწერლის სახელისა, საჭიროა, რომ თვითონ სურათი იყოს მხატვრულად, ლამაზად შესრულებული. აი, როგორც მანდ არის შერჩეული. ზოგი სულ არ წამიკითხავს, მაგრამ სახე მომეწონა და შევიძინე. ქრთული მწერლების სურათები კი კარგად შესრულებული მე არსად მინახავს. ცალკე დაბეჭდილები არც მგონია, არსებობდნენ. სადღაც ძველ ალბომში, თუ ძველ წიგნში მომიკრავს თვალი. სად

შემეძინა, შემერჩია, სად მეყიდნა? რა ჩემი ბრალია? _ იმართლა თავი ცაცამ.

-ა ? მართალს ჰგავს, მგონია, ჩვენი ბრალია, რომ ასეა. შენ რას იტყვი, არჩილ? _ მოეწონა ცაცას თავისმართლება შალვას.

მაგრამ არჩილს ამ დროს არ სცალოდა. მას ყურიც არ უგდია შალვასა და ცაცას შორის გამართულ დიალოგისათვის. გაფითრებული, ნესტოებგაბერილი და სუნთქვაშეკრული დასჩერებოდა ცაცას საწერ მაგიდის ერთ გუთხეში რვეულებს შორის მიგდებულ, შეჭმუჭვნილ ქაღლდის ნაგლეჯს, რომელიც ზოგან მელნითა, ზოგან კიდევ ფანქრით იყო დაფხაჭნილი. რამდენსამე ადგილას მინაწერებიც ჰქონდა.

არჩილის ყურადღება ამ მინაწერებს მიეპყრო.

ჩანდა ორ ხელს უმუშავნია ქაღალდზე. ერთი ქალისა იყო, აშკარად ცაცასი, მეორე კი, უცნობი ხელი, უთუოდ საეჭვო, არჩილმა იგი მამაკაცისას მიამსგავსა.

ეტყობოდა, რომ ჯერ უმიზნოდ, თავის გასართობელად ევარჯიშნათ. ხან რუსულად, ხან ქართულად. მთელი ქაღალდი ქალის და კაცის სახელებით იყო აჭრელებული. არჩილმა თვალი მოჰკრა ორ-სამ ადგილას თავისი სახელის უცნაურ დამწერლობებსაც, გაუგებარი ხაზით შემოვლებულს _ «არჩი», «არჩ», «არჩილი», ბევრგან იყო მიწერილი: «ცა ნუ», «ნუცა», «ცაცა». იქვე შორი-ახლო: «ლევ..ან», «ლიოვა»! სრულიად უცნობი სახელებიც, როგორც: «ვსევოლოდ», ან სრულიდ მოულოდნელი, როგორც «ეგორ».

ყველა წარწერა ერთი თვალის მოვლებით აითვისა არჩილმა. მეორედ თვალის მოვლებაზე ქაღლდმა სულ სხვა სურათიც გადაუშალა.

უცნობი ხელი, რომელიც არჩილმა ვაჟისას მიამსგავსა, გარკვეულად სწერდა:

- «შენ გიყვარს... _ ჩემი ამბავი ხომ იცი. _ რას მეტყვი?»

ამ სიტყვების ქვეშ ცაცას ხელით მიწერილი იყო:

«ჰო და არა. _ ვიცი _ განაგრძე».

მეორე ადგილას, ცალკედ, ცაცას ხელი:

«უნდა გაბედო, მაშ!»

ამ სიტყვებს ქვეშ ქაღალდზე ფანქრების შებრძოლების კვალი აჩნდა. ერთ ფანქარს, ეტყობოდა, წვერი წატეხოდა. იქვე გვერდით, უცნობი ხელი და ახლა კალმით სწერდა საიდუმლოებით მოცულ გაუგებარს რასმე:

«მხოლოდ ერთხელ... ისე უმნიშვნელოდ»...

ცაცა ისევ ფანქრით, მოდიდოდ და ხელის გაქანებით:

«საძაგელი».

არჩილი ამ უკანასკნელს ქარაგმას კითხულობდა და თვალწინ ძველი ნაცნობი ლევან პატაშვილის საიდგანღაც მოულოდნელად გამოჩენილი სახე ელანდებოდა. როცა შალვამ მხარზე ხელი დაადვა, რაკი მისი ყურადღება შეკითხვით ვერ მიიქცია.

არჩილმა ამ დროს სწრაფად აიღო ქაღალდი და ხელის გულში შეჭმუჭნა. ტანი წინ წამოსწია და ხელი ჯერ ზურგს უკან დაიმალა, მერე შეუმჩნევლად ჯიბეში ჩაიდვა.

როცა თავი ასწია დ შალვას შეხედა, თვალები მღვრიე ჰქონდა და სახის კუნთები უკანკალებდა.

ტუჩები შელურჯებოდა, მძიმედ სუნთქავდა.

მისმა სახემ შალვა ძალზე გააოცა.

- წავიდეთ, შალვა. არ შემიძლია, _ ძლივს წარმოსთქვა არჩილმა.

- რა მოგივიდა, ბიჭო? ნუ გეშინია. თუ ავად ხარ, წამოწექი ლოგინზე, _ უთხრა შალვამ, მკლავებში ჩასჭიდა ხელი, შეესვეტა და ცაცას ლოგინისკენ წაყვანა დაუპირა.

- წვიდეთ-მეთქი, შალვა, _ გაიმეორა არჩილმა უკვე ბეჯითად და ისე გადაჭრილად გადადგა წინ, გასავლი კარისკენ ნაბიჯი, რომ შალვა ძლაუნებურად მიჰყვა.

მეგობრებს თითქოს სულაც დაავიწყდათ ცაცას იქ ყოფნა, არც კი შეუხედავთ მისთვის, ისე ჩაუარეს და ოთახიდან გავიდნენ.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

ცაცას ლამბაქი ხელში შერჩენოდა და გახევებულიყო. რაღაცის მოაზრებას ცდილობდა, მაგრამ ზრი ვერ მოეკრიფა. უცნაური გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს რაღაცაში ერკვევა და ვერ გამორკვეულაო, ან რაღაცას იგონებს და კი ვერ მოჰგონებიაო.

უცებ სახეზე ალმაცერმა ეჭვმა გაუელვა. თვალებიდან დამცინავი ნაპერწკლები დასცვივდა და პატარა საწერ მაგიდას შეეკიდა, სადაც არჩილ დადიშიანს გული შეუწუხდა.

ის-იყო, ცბიერმა ღიმილმა სახე მოუქცია. მაგიდასთან უნდოდა მისულიყო, მაგრამ დერეფანში შალვას ხმა გაისმა:

ცაცა, სადა ხარ? კარი გაგვიღე, ქალო!

ცაცამ მყისვე ღიმილი მოიშალა სახეზე და სერიოზული გამომეტყველებით დერეფანში გავარდა.

უსიტყვოდ გაუღო სტუმრებს კარი. თვითონ განზე დადგა. მიმავალი არჩილი რომ დაუახლოვდა. ელამი თვალები ისევ დამცინავად აუციალდა და არჩილს სახეში შეაცქერდა.

- სულელი! _ ვერ მოითმინა ცაცამ და ძლივს გასაგონად შეუსისინა, როცა არჩილმა მის წინ მძიმედ გაიარა.

პასუხად არჩილმა მოულოდნელი სისწრაფით შალვასაგან თავი გაინთავისუფლა, წელში გასწორდა. თავი მაღლა შეისროლა და მთელი ტანის ამაყური გამართვით ცაცასკენ მიბრუნდა. კართან მდგარ ცაცას ზიზღით სავსე თვალები მიაპყრო: ზედიზედ რამდენჯერმე გახსნა ტუჩები, მაგრამ სიტყვა პირით არ ამოუვიდა.

მაშინ ჯიბიდან ხელის გულში შეკუმშული, ქარაგმებით დაფხაჭნილი ქაღალდი ამოიღო და ხელის მედიდური გაქნევით ცაცას პირისახეში სიტყვა მოსწყდა პირზე:

- კახ...

და აჩქარებული ნაბიჯით კიბეზე დაეშვა.

შალვა დაბნეულიყო.

არჩილის საქციელი მას ტრაგიკულიც მოეჩვენა, შეურაცხმყოფელიც და სასაცილოც ერთსა და იმავე დროს.

არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ხან ცაცას შეხედავდა, ხან კი არჩილის განასროლ ქაღალდს იატაკზე.

სიყვარულის ამბავია უთუოდ! ესეც შენი «კარგი ნაცნობები დავრჩებითო», გაიფიქრა მან.

- რას ნიშნავს ყოველივე ეს, ცაცა? -ჰკითხა მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ თავის ბიძაშვილს. _ უცნაური რომანის გმირებივით იქცევით რაღაც! რა მოხდა?

ცაცა უძრავად ისევ კართან იდგა. ხოლო სახე ახლა ისე ალეწოდა და თვალებში ბრაზის ისეთი ცეცხლი ჩასდგომოდა, რომ მისმა სახემ შალვასაც კი შიში მოჰგვარა.

- ის მოხდა, რო შენი უზრდელი მეგობარი ამიერიდან აქ ფეხს ვერ შემოსდგამს.

და ცაცამ ისე მაგრად მოხურ კარები, რომ იქაურობა შეარყია.

შალვამ ერთი უმწეოდ შეხედა კარს. უკმაყოფილებისა და გაჯავრების გამოსახატავად ისღა შესძლო მხოლოდ, რომ ცალი ყბა მოიქცია და პენსნე გაისწორა ცხვირზე.

არჩილს ძირს, ქუჩაში გასავალ კართან, წამოეწია. გვერდში ამოუდგა და მკლავზე ხელი მოკიდა.

- კი, მაგრამ... რა იყო მაინც, კაცო? _ შეეკითხა ლბილად, როცა ქუჩაში გავიდნენ.

- შენთან ბოდიში. ცაცა რამაძის ქალს კი მე ამიერიდან არ ვიცნობ, შალვა! _ ხმის უცნაური ახრიალებით უპასუხა არჩილმა და დამძიმებული ნაბიჯით შეუჩერებლად გზა განაგრძო.

IV

ცაცასაგან მეგობრები პირდაპირ თავიანთ ახალ ბინაში დაბრუნდნენ.

არჩილს სახე რუხისფრად ჩაფერფლოდა და თვალებში მინის ცივი კრიალი ჩასდგომოდა.

- მგონია, გაციებას მიპირებს. საშინელი დაღლილიცა ვარ. თითქოს ტანი მერღვევა. _ ეუბნებოდა იგი შალვას ბოდიშის სახით.

უცნაურად იცქირებოდა: თითქოს ბრმა ყოფილიყო, რომელსაც გზა დაჰკარგვოდა უცნობ გარემოში და დაბნეულიყო.

ის მედიდური იერი აღარ ჰქონდა, ცაცასთან დაშორებისას რომ გამოიჩინა.

ოთახში შემოსვლისთანავე მძიმედ დაჯდა სავარძელში, შუბლით ხელის გულზე დაეყრდნო და ასე გახევებულივით დარჩა.

შალვასაც ხმა ჩაეკმინდა. აზრდაბნეულ ჭირისუფალს ჰგავდა. იგი ძალიან უხერხულად გრძნობდა თავს. ეგონა, თვითონ იყო მიზეზი მეგობრის ავად გახდომის.

«ცაცასთან რომ არ წამეყვანა, იქნება, ეს არ დამართნოდაო», ფიქრობდა.

ცხადი იყო, არჩილი ისე გამოიყურებოდა, რომ მართლაც ძალიან ცუდად უნდა ყოფილიყო. მაგრამ შალვას ვერ გმოერკვია, უფრო ავადმყოფობა სტანჯავდა მას, თუ სხვა ფარული რამ სატკივარი, ამას წინად რომ ცაცას ბინის კიბეზე ასე მოულოდნელად გამოშკარავდა.

თუმცა შალვასათვის სრულიად გაუგებარი იყო, რას წარმოადგენდა ის დაჭმუჭვნილი

ქაღალდი, რომელსაც მისმა მეგობარმა ცაცასაგან წამოსვლის დროს საეფექტოდ შემონახული სასცენო რეკვიზიტის როლი შეასრულებინა, მაგრამ მაინც იგი მიაჩნდა «უბედურების» მთავარ წყაროდ. თავის ამ მიხვედრას შალვა ასე მალავდა, როგორც არჩილი მის ნამდვილ «სატკივარს» თავაზიანობა ნებას არ აძლევდა, ამ საკითხზე სიტყვა ჩამოეგდო არჩილთან. კარგად გრძნობდა, თუ რა სათუთ მოვლენასთან ჰქონდა საქმე.

ამიტომ ვერ გადაეწყიტა ავადმყოფი მეგობარი მარტო დაეტოვებინა ოთახში, თუ მასთან დარჩენილიყო. წასვლა ვერ გაებედნა: იქნება, მოვლა დასჭირდესო. ხოლო დანარჩენის რიდიც ჰქონდა: იქნება მარტოობა ურჩევნიაო.

როცა სადგურიდან ბარგი მოიტანეს, შალვამ ლოგინების გაწყობის თადარიგი დაიჭირა. არჩილს კი სთხოვა დაწოლილიყო.

მაგრამ არჩილი ლოგინზე გაუხდელად წამოწვა.

- არა მიშავს-რა. თავი მტკივა მხოლოდ. ფოთის მალარიამ შემომიტია. არაფერია... _ სთქვა და ორივე მკლავი ჯვარედინად შუბლზე დაიწყო. ასე თავით ბალიშში პირაღმა ჩაეფლა.

შალვამ ახლა სამუშაო მაგიდაც მიალაგა თავის გემოზე. ვითომ საქმე გაიჩინა. მერე გაზეთები მოატანინა. იფიქრა, მეგობარი ახალმა ამბებმა, იქნება, გაართოსო. მაგრამ სანამ გაზეთის კითხვას შეუდგებოდა, არჩილი გამოსცადა. ძველმა ისტორიამ შეგვიყოლია. მგონია, ახალ ვითარებას კი ჩამოვრჩით. ვნახოთ, ამ ერთ კვირაში რა დატრიალებულა ქვეყნად! წინააღმდეგი ხომ არ იქნები? _ შემპარავად ჰკითხა.

- არა, _ ყრუდ წარმოსთქვა არჩილმა, თითქოს სხვა ქვეყნიდან გასცა პასუხიო.

შალვა მაგიდას მიუჯდა და სატახტო ქალაქის ზეწარივით ფართე გაზეთი გაშალა.

- ჰოჰოჰო... ეს რა ამბავია! _ თითქოს ვისმესთვის შეეცაცხანებინოს, ისე წამოიძახა, როგორც კი პირველი გვერდის დეპეშების სათაურს თვალი გადაავლო.

- აკი ვიგრძენი, ჩამოვრჩით-მეთქი! აი, შენი ახლანდელი ერთი კვირა! რა შორს წასულა ისტორია, ა? შენ როგორ გგონია, არჩილ, ახლანდელი ერთი კვირა რამდენ წელს უდრის იმ დროისას... ჰმ... როცა ჩვენი წინაპრები დიდი ისტორიას ჰქმნიდნენ... მსოფლიოში? საინტერესო გამოსაანგარიშებელია. მაგრამ ამას ახლა თავი დავანებოთ, მათემატიკაა... აი, ყური დამიგდე, რა ახალი ამბავი წავიკითხო.

არჩილისაკენ არც მიუხედავს, კითხვა ისე დაიწყო.

დეპეშა, მართლაც, საგულისხმიერო აღმოჩნდა. იგი ეხებოდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მომხდარ პოლიტიკურ გართულებას და აღნიშნავდა დიდი ამბების დტრიალების შესაძლებლობას მთელ ევროპაში.

- ჰა�ა... ამან კი, მგონი, უშედეგოდ არ ჩაიაროს. ა? შენ რას იტყვი, არჩილ? გესმის, როგორი პერსპექტივის წინაშე შეიძლება დაგვაყენოს გართულებამ? ომის სუნი ტრიალებს, მგონი!

შალვა რამაძეს პოლიტიკის მცოდნე ჟურნალისტად მოჰქონდა თავი და არ უნდოდა უკომენტაროდ დაეტოვებინა დეპეშების მოტანილი საყურადღებო ცნობა.

კარგა ფართედ, ვრცლად შეეხო თანამედროვე საერთაშორისო საკითხებს და ბალკანეთში მომხდარი გართულება ისე გააშუქა.

გარდა საკუთარი მოთხოვნილებისა, რომ მეგობრისათვის დეპეშით აღძრული აზრები გაენაწილებინა, შალვას ის საიდუმლო განზრახვაც ჰქონდა, რომ არჩილი საუბარში ჩაეთრია და ამ საშუალებით მისი უცნაური თავის ტკივილი და ფოთის მალარია მცირედ მაინც შეენელებინა.

მაგრამ მიზანს ვერ ეწია.

ლოგინზე პირაღმა წამოწოლილ არჩილს თვალების დარაბები მაგრად დაეხურა და სახეზე ისეთი ინდიფერენტიზმი გმოეხატა, თითქოს არც დეპეშისა და არც შალვას გრძელი კომენტარის ერთი სიტყვაც კი არ გაუგონიაო.

როცა მეგობრის შეუწყვეტელი სიჩუმით გაკვირვებულმა რამაძემ ვადმყოფ მეგობრისკენ მიიხედა, გაუკვირდა.

- ხომ არ დასძინებია, ნეტავი? _ გაიკვირვა. გაზეთი ფრთხილად განზე გადადვა, წამოდგა და ფეხაკრეფით არჩილის ლოგინს მიუახლოვდა.

- უთუოდ სძინავს! _ დაიდასტურა ეჭვი. _ ჩანს, ბალკანეთი და ევროპა ამას ახლა არ იინტერესებს. დაიძინოს, სჯობია, ვაცალოთ, ძილში გაუვლის, _ ჩაილაპარაკა და თავისი ლოგინისაკენ გაიარა.

საბანი აიღო და არჩილს გადააფარა.

არჩილი არც კი შენძრეულა.

ერთი კიდევ დახედა მას შალვამ, ცერზე შესდგა და ოთახიდან ქურდის სიფრთხილით გავიდა.

არჩილმა ახლა თვალები გაახილა. მიაყურა: მხოლოდ ოთახიდან გავიდა, თუ სულ წავიდაო.

დერეფანში შემოსავალი კარი გაიღო. ისევ დაიხურა და შიგნიდან თავისთავად ჩაიკეტა.

ცხადი იყო არჩილი მარტო დარჩა ოთახში.

...

ერთხანს გარინდებული და მიყუჩებული იწვა ლოგინში არჩილი. იმის გასააზრებლად ემზადებოდა, რაც დღეს თავს გადახდა.

უფრო ის აწუხებდა, რომ უღირსად მოიქცა და შალვას წინაშე ასე შერცხვა.

მარტოდ დარჩენა იმისთვის უნდოდა, რომ ანგარიში მიეცა თავისთვის შექმნილი მდგომარეობა გმოერკვია.

მაგრამ თავში აზრებს ვერ იკრებდა, ფიქრები სადღაც საცალიერეში ეფანტებოდა და გრძნობების მაგიერ მკერდქვეშ ლიპიანი ზიზღის სისინი მიმოუქროდა.

თითქოს ტვინი დაეშალაო, ისეთი გრძნობა ჰქონდა. ქვეყანაც რაღაც უცნობი, არეული და დაშლილი ეჩვენებოდა.
-ახლა მარტოობა ჭკუაში არ დაუჯდა. შეშინებოდა კიდევაც მისი, რადგანაც ცაცას ამბავი კვლავ აფორიაქებას უპირებდა.
ნელა წამოდგა ლოგინიდან. ახალი სადგომი შეათვალიერა. ზოგ საგანს განსაკუთრებით დააკვირდა. თითქოს მათი უსულობა საეჭვოდ მოეჩვენაო.

რცხვენოდა, რომ ასე უმწეო იყო.

პაპიროსი მოსწია. კვამლმა ყელში მოფხაჭნა. რამდენიმეჯერ ზედიზედ დაახველა და თვალებში სისხლი წამოაწვა. ოთახის კუთხემდის გაიარა. კიდევ დაახველა. თითქოს მკერდში რაღაც გაუწყდაო, ხელის გულით შეამაგრა გულის ფიცარი. იქნება, მართლა გაციებას უპირებდა და მალარიის მიკრობების ბრალი იყო ყოველივე? თავბრუ დაეხვა და თვალებში ობობას ქსელის მაგვარი რაღაც შეეფინა. არა, უთუოდ დაღლილია. მას შემდეგ ჯერ ხომ არც დაუსვენია, რაც დაიჭირეს და ამდენი რამე თავს გადახდა.
ისევ ლოგინს დაუბრუნდა. ჩამოჯდა. პაპიროსი გადააგდო. მერე ისევ პირაღმა წამოწვა.

სული განაბა, ვითომ ვისვენებო.

მის წინ, პირდაპირ კედელზე, მოდიდო სურათი ეკიდა, მოვარაყებულ ჩარჩოში ჩასმული.

პირვლად ახლა შენიშნა იგი. ამით ისარგებლა, რომ ცაცაზე ფიქრი არ აღძროდა. კედლის სურათს დააკვირდა. მაგრამ ისე, უმიზნოდ. შემდეგ თვალის გაქცევა რომ უნდოდა, რაღამაც შეაჩერა, წამით უცხო აზრმა გაუელვა.

ბალიშიდან წამოიწია და იმ სურათს მიაშტერდა.

თავისთავად სურათი დიდად უგემურად შესრულებული რამ იყო. მხატვრობასთან ერთად ყოველ აზრს მოკლებული. ვითომ ზღვა და ხმელეთი იყო ერთმანეთში არეული. წყლის სივრცეში აქა-იქ კუნჭულები ნაფოტებივით ეყარნენ. ერთგან ყინულის მთა ამოზიდულიყო. მის წვერზე შიშველი ქალი იდგა, ცალი ფეხის ცერზე შემდგარი. მეორე ფეხი მუხლთან მოეღუნა, ცალი ხელი მაღლა აეშვირა, რომელშიც მთვარის ნამგალი ეპყრო, მეორე კ ძირს ჩამოეშვა და მისი გული სასირცხო ადგილზე მიეფარებინა. შუბლის შუაადგილას მოციმციმე ვარსკვლავი აჯდა. ქალი ცბიერად იღიმოდა. ცაზე კიდევ მოღიმარი ვარსკვლავები ეხატა.

- ა? ამას კიდევ რა უნდა? _ ჰკითხა არჩილმა ვითომ ვიღაცას, როცა კარგად დაათვალიერა ეს სურათი, და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს იმ აზრს მიაგნო, რომელსაც ეძებდა. კიდევ დააკვირდა იმ ვარსკვლავიან ქალს. უცებ ყბა უცნაურად მოიქცია და ისე შეუღიმა ქალის ღიმილს. ეს თიქოს მისდა უნებურად მოუვიდა.

ქალს სახეზე უფრო აუციმციმდა ღიმილი.

- არჩილს ის მოსწონდა ამ სურათისა, რომ რაღაცას ადარებდა მას და ის, რასაც ადარებდა, ნაწილობრივად თავისი პირად ცხოვრებად ჰქონდა წარმოდგენილი.

უნდოდა გამოლაპარაკებოდა უცხო სურათს, მაგრამ უცებ სახე გამოეცვალა. ბალიშზე ისევ მძიმედ დაეშვა და თვალები მინაბა, თითქოს მოულოდნელად აღძრულმა უცხო ფიქრმა გადაიყოლაო.

დიდხანს იყო ასე.

დაღლილ ტვინში ხან ენთებოდნენ აზრები, ხან უქრებოდნენ, როგორც ბოდვაში. «მაშ, ასე... _ როგორც დაფაზე, ისე ეწერებოდა სადღაც თავში _ შენი ცხოვრების ერთი პერიოდი გათავდა, ძმაო არჩილ. შენ თვითონ მაინცდამაინც დიდი არაფერი იყავი. ცხოვრება იყო, რაც იყო. მხოლოდ ახლა ახალი ცხოვრება უნდა დაიწყო. შენზეა

დმოკიდებული, თუ თავს არ შეირცხვენ. ეს იცოდე, უნებისყოფო და უმოქმედო კაცი არ ვარგა. უთუოდ დაიღუპება. არ ათქმევინო ვისმე: ტყუილა გაიღეს ამდენი მსხვერპლი მისი ციხიდან განთავისუფლებისთვისო. ჰო და, შენ რომ იწყებ, ასე არ ვარგა. რას გადაეკიდა ამ რამაძის ქალს; ხომ გადასწყვიტე, თავი დაანებო! შენ კი... ისევ მას უბრუნდები. გიყვარს? მაგრამ შენი და მისი ამბავი რაღაც წვალებაა და არა სიყვარული. არა, არ მიყვარსო, ამბობ?.. რა, ნუ კი გრცხვენია, გამოტყდი, სთქვი. ხომ ცაცასთვის ჩამოდი აქ? მაშ, თუ არა ეს, რა საზღვარგარეთი იყო შენთვის მოსკოვი? პირველად ხდება, მგონია, რომ ციხიდან გამოქცეული საკატორღო კაცი იქ მიდიოდეს დასამალავად, სადაც მას ყველაზე უფრო მეტი საფრთხე მოელის. ნეტავი ვისი მოტყუილება გინდოდა? უთუოდ გეგონა, რომ ცაცაც მოგელოდა და... ა? ხომ ასეა? გეგონა, ხომ; ჰმ... შენს გარდა სხვა არავინ სწევს პაპიროსს დ შენს გარდა სხვა ვაჟი ქვეყნად არ არსებობს, სულელო შენა! ახლა იმ ქარაგმიანი ქაღალდის შესახებ რას იტყვი, ცაცამ რომ თავის მაგიდაზე დაგახვედრა? უეჭველია ხომ, რომ ის უცნობი ხელი მამაკაცისა იყო. შენ, ალბათ, იმის მტკიცება არ დაგჭირდება, რომ ის ხელი ლევან პატაშვილს ეკუთვნის? ა? იქნება, ამაშიც ეჭვი შეგდის ახლა? თუ არა, მაშინ დაუკვირდი: კლასთა ბრძოლას შეეხებოდა, იმ ქაღალდზე რომ წარწერა იყო, თუ ეროვნულ პრობლემას, რომელმაც შენ ასე დაგაინტერესა ამ უკანასკნელ დროს? ან, იქნება, შენი ციხიდან გმოქცევით იყვნენ დაინტერესებულნი მისი ავტორები და იმაზე ფიქრობდნენ, გადარჩი, თუ დაიღუპე? ა? ათასჯერ გულუბრყვილო კაცო! იქნებ, გგონია, რომ ქალი და ვაჟი ქვეყნად იმიტომ არიან გაჩენლნი, ომ... გარდა პარტიული საქმისა სხვა არაფერი აკეთონ».

მაგრამ აქ ცაცას ოთახში აღმოჩენილი საიდუმლო წარწერიანი ქაღალდის მოგონებაზე; არჩილის თავს ფარულ დაფაზე სიტყვების მაგიერ, რაღაც მანქანებით, ყინულის კლდეზე შემდგარი ქალის შიშველმა ტანმა გაიციალა და არჩილს შიგ ტვინში ცბიერი ღიმილით შეუქირქილა.

უცნაურად შეჰქანდა ოთახი და არჩილს თვალთ დაუბნელდა. სადღაც შეირყა და დაირღვა.

არჩილმა ვერ მოიაზრა, ნამდვილ ამბავთან ჰქონდა საქმე, თუ მოჩვენებასთან. უცნაურად აირია.

ნამდვილისა და მოჩვენების მიჯნის შეცნობის უნარი დაჰკარგვოდა. ისიც ვერ

გაერჩია, ზამთრის პირის მოკლე დღის მიწურვამ ჩამოაბნელა მის ოთახში, თუ სხვა რამ მოვლენამ.

იმ ვარსკვლავიანი ქალის შექირქილება კიდევ უვლიდა ტანში, მაგრამ ესეც ციების განავარდება ეგონა მის სხეულში...

ანაზდად მოახლოვებულმა საღამომ ფანჯრებიდან რამდენიმე უცნაური ლანდი შემოისროლა ოთახში და არჩილის პირდაპირ მაღლა ჭერში გაათამაშა.

ფანტასტიური განწყობილება შეექმნა არჩილს.

გარშემო უცბად ყველაფერი მოულოდნელად აირია: სახეგამოცვლილი საგნები სასწაულებრივ ჰაერში შეყირავდნენ და სივრცესეთან ერთად მორევივით დატრიალდნენ.

მალე ისევ გაჰქრნენ ლანდები, მაგრამ ახლა ამავე ფანრებში ანთებული მუგუზლების მსგავსმა ორმა ფანქარმა მაშხალასავით შემოანათა და არჩილს სახეში ნაპერწკლები შეაყარა.

ფრინველისებრი მოხდენილი მიმოხრით ეს უცნაური ფანქრები ოთახში შემოსრიალდნენ და კუთხიდან კუთხემდის გაინავარდეს. ჭერის შუა ადგილას, ჰაერში, შესდგნენ და სწორი წრე შემოხაზეს. შემდეგ რამდენიმეჯერ გარს შემოუარეს. შიგაც შეიფრიალეს. ერთმანეთს შეეტყუპნენ. ისევ განშორდნენ და წვერებით ჭერის პირს ქვემოდან მიებჯინენ. ზედ უსწორო ოთხკუთხედის ცეცხლის ხაზები გაავლეს და ის ადგილები ქაღალდის ნაგლეჯს დაამსგავსეს.

ერთმა ფნქარმა ერთი მხრით, მეორემ კიდევ მეორე მხრით, საოცარი შეკუნტრუშებით, გამოხაზული ქაღალდის კუთხეებში ღრაკნილი ალის ასოები გმოჰქარგეს და თვალის დახამხამებაში ის ქაღლდის ნაგლეჯი სიტყვების კოცონებით მოჭედეს:

«შენ გიყვარს. ჩემი ამბავი ხომ იცი? რას მეტყვი.

«ჰო და არა. _ ვიცი, _ განაგრძე.

«უნდა გაბედო, მაშ.

«მხოლოდ ერთხელ... ისე უმნიშვნელოდ»...

უკანასკნელი სიტყვების ქვეშ ცარიელი ადგილი დასტოვეს. შიგ წერტილები ჩასვეს და აქეთ-იქით ბრჭყალები გაუკეთეს. ახლა ერთმა ფანქარმა მეორეს წვერი აჰკრა. უცებ იმას, რომელმაც წვერი აჰკრა, ქალის

ხელი გამოება. მეორე კი ამავე დროს ვაჟის ხელმა დაიჭირა. ხელებს ტანებიც მოჰყვნენ. ჭერზე ცაას მოწითლოდ გნათებული პტარა მაგიდა გამოჩნდა, რომელსაც ფანქრებით შეიარაღებული ცაცა და ლევან პატაშვილი მოსხდომოდნენ.

ფანქრების შეჭიდება ახლა ამათმა ხელებმა შესცვალეს. ვაჟის ხელმა ქალის დაიჭირა და არ გაუშვა. ქალმა განთავისუფლება მოიწადინა. ხელები მაღლა ავარდნენ. ვაჟის ხელი უცებ ქალის მაჯიდან მკლავით ბეჭისაკენ ჩასხლტა და ცაცას ფართე სახელო დახვეტით გაიყოლია. ქალს მარჯვენა ხელი მთელ სიგრძეზე გაუშიშვლდა. ეს უცაბედად მოხდა.

ცაცამ სახელოს გასწორება მოინდომა. პატაშვილმა არ დაანება. მათი ხელები მკლავის ორთავა კუნთზე შეეჭიდნენ ერთმანეთს, სადაც სახელო იყო დახვეტილი. ცაცა სახელოს წინ სწევდა, მაჯისკენ. ვაჟი არ ანებებდა.

ორსავე აგზნებული სახე ერთმანეთთან ახლო მიეტანათ. ნამიანი თვალები ჰქონდათ, მიბნედილები.

მძიმედ სუნთქავდნენ. ერთი სუნთქვა მეორისას შერეოდა.

უცებ ქალს თმა შამოეშალა და ვაჟს სახეზე შეეფინა.

თიქოს მოულოდნელად იელვაო, ქალი შეკრთა და ვაჟიც. ვაჟმა, თითქოს მისდაუნებურად, ხელის გული სალტესავით შკმოარტყა ქალის მკლავს. პირთან მიიზიდა და ზედ მთრთოლვარე ტუჩებით დააკვდა.

გაიბრძოლა ქალმა. მაგრამ ისე მოუვიდა, რომ ვაჟის მეორე ხელი ახლა წელზე შემოერტყა და გასხლტომის მაგიერ გულზე მიეკრა.

ასე შეჭიდებულნი ზეზე წამოდგნენ.

ახლა ლერწამივით გადაიტეხა ქალმა ტანი. თავი უკან გადააგდო, ხელები გაშალა და ვაჟის შეუკავებლად მისკენ ლტოლვილ გაალებულ ტუჩებს ფართოდ შეაგება.

მაგრამ ამავე დროს მკერდზე ღილები შეეხსნა და გული აკორდი გადაეშალა. ზედ ორი ათქვირებული ძუძუს სიმკვრივემ ბრინჯოს ფერად იელვა.

სიგიჟის ალი მოაწვა ვაჟის თვალებს. ტანი ვეფხვის მსგავსად შეეკრა.

ვეფხვსავე თათივით გაიშალა მისი ხელი. თითების ნაცვლად ბრჭყალები გამოესხა.

ჯერ გაშლით სწვდა იგი ქალის ღია მკერდს. ზედ მოურიდებლად გაითარეშა.

მერე გახელებით ჩაბღუჯა და გადაჰქელა.

ქალი ახლა წინააღმდეგობას აღარ უწევდა. მხოლოდ ჩიტივით, აფართხალებულიყო, სუნთქვა შეკროდა და თვალები დახუჭვოდა. ოდნავ გაპობილ ბაგეთ გასწვრივ კბილების სითეთრე უციალებდა.

ვაჟმა აღარ დააყოვნა. გამარჯვებული სიხარულით ქალის დანებებული ტანი ზე აიტაცა.

ხორცის ფერი და სამოსთა თეთრი ფერი წამით ერთმანეთს შეეცილნენ ჰაერში და აირივნენ.

მერე თეთრი გაჰქრა.

და გაჰქრნენ უცებ ქალიც და ვაჟიც.

ჩაქრნენ ცეცხლის ალები ჭერზე, და სიტყვებიც წაიშალნენ. ჯადოსნური ფანქრებიც სადღაც სიბნელეში მიიმალნენ.

თავის დგილას მხოლოდ ალშემოვლებული საწერი ქაღელდის ნაფლეთი დარჩა ჭერზე და ზედ ბრჭყალებში ჩასმული ცალიერი ადგილი წერტილებით.

კარგა დადმა პაუზამ განვლო. წარმოდგენა ისევ გაგრძელდა.

ჭერის ბნელი კუთხიდან ერთი ნაცნობი ფანქართაგანი ისევ მოულოდნელად შემოსრიალდა. მაგრამ იგი მუგუზალს არ ჰავგდა წინანდებურად და არც მაშხალასავით ანათებდა.

წამოსრიალდა და წვერი იქ მიიტანა, სადაც ჭერში გამოხატულ ქაღალდზე ბრჭყალებით ცალიერი ადგილი იყო ლატოვებული.

აქ მას კვლავ ხელი გამოება. ხელს ტანი, და პატარა მაგიდასთან თმაგაშლილი ცაცა გამოჩნდა.

ის ახლა მარტო იყო. თვალები ძირს დაეხარა, არ უჩანდა.

სახე ხნძრის ნაბუგვი კვლებით ჰქონდა დსერილი. ხშირად სუნთქავდა.

წითელი ტუჩები დაგლეჯოდნენ, შიშველ მხრებზე დაბარდნილი თმა ეყარა.

კისერზე ლილის ფერი ნაწუწნი ბეჭდები ასხდნენ, და მოწეულ ყანასავით გადათელილ მკერდზე ძუძუები ისე ეკიდნენ, როგორ დაწურული ტევნი ქერქი.

ის ქაღალდს დასცქეროდა, რომელზედაც ისევ დანთებულიყვნენ ორი ფანქრის ამონაქარგი სიტყვის კოცონები. ცაცამ მათ სათითაოდ ფანქრის წვერი გააყოლა დ ისე

წაიკითხა: ბრჭყალებს შორის დატოვებულ ადგილზე შეჩერდა. თვალი არ გაუხელია, ისე რაღაც მოთენთილი შეგვიანებით ბოლოში ერთი სიტყვა მიაწერა:

«საძაგელი».

წითელ ფერად აბრიალდა ის ადგილი.

მაშინ ქალის ხელმა სწრაფად შეჭმუჭნა ის ქაღალდი, მოიქნია და მაგიდის კუთხეში, წიგნებსა და რვეულებს შორის მიაგდო.

და თვითონ უცებ საკვირველად გამოიცვალა. სურათზე დახატულ შიშველ ქალს დაემსგავსა. გული გაუმკვრივდა. ზედ სავსე ტევნები შეესხნენ, ცალი ხელი ცისკენ აღაპყრო, რომელშიაც ფანქარი ეჭირა. ფნქარის ნაცვლად მთვარის ნამგალი ჩაუჯდა თითებს შორის. მეორე ხელი მუცელთან მიიფარა. შუბლზე ვარსკვლავი აუციმციმდა და ტუჩებზე ცბიერი ღიმილი. აიწია და მაგიდაზე შესდგა. მაგიდა ყინულის მთად გადაიქცა და ფეხქვეშ შეებჯინა. ქალი ცალი ფეხის ცერზე შესდგა, მეორე მუხლთან მოღუნა... ამ სახით ჭერიდან ძირს რხევით დაეშვა და იმ მოვარაყებულ ჩარჩოში ჩადგა, რომელიც არჩილის პირდაპირ კედელზე ეკიდა.

ამ დროს საშინელმა შხუილიანმა დასისინებამ შეარყია ოთახი, თითქოს ვიღაცა დასჭრეს და მკერდით გადმონთხეულმა სისხლმა მიწაზე ითქრიალაო.

მყისვე ყველაფერი გამოიცვალა. სივრცის ტრიალი შეწყდა. ოთახი დადგა. ბნელი გაჰქრა და ფანჯრებით შემოსხლეტილ, ანთებული ქუჩის სინათლეზე, თავიანთ ადგილას დალაგებული საგნები გამოჩნდნენ.

წარმოდგენა გათავდა.

ლოგინზე არჩილი ისევ პირაღმა იწვა დამბლადაცემულივით სახემოქცეული. პირი დასაყვირებლად დაეღო და, რაც ძალა ჰქონდა, ყელში მოეკრიბა, მაგრამ ხმის მაგიერ პირიდან ზიზღის შხამით დაგესლილი დორბლი ამოუდიოდა.

...

კარგმა ხანმა განვლო.

არჩილი საბანში გახვეულიყო, ზედ კიდევ პალტო წამოეხურა. თავი ბალიშქვეშ შეეჩარნა. მაგრამ მაინც სციოდა და მთელი ტანით ძიგძიგებდა.

ტვინი თითქოს გაჰყინოდა. სისხლში კი ყინულის ნაკვეთები მიმოუსხლტოდნენ.

V

მთელმა კირამ გაიარა. არჩილი მოკეთებულიყო, მაგრამ მაინც ცუდად გრძნობდა თავს. უმეტეს ხანს იწვა. ოთახიდან არ გამოდიოდა.

შესამჩნევად დასუსტებულიყო. მაგრამ გულს რომ ცა ცას სახით შხამი უწამლავდა, ის კი მოენელებინა ამ ხნის განმავლობაში და სულის საშიში ფორიაქისათვის თავი დაეღწია. თითქოს უმძიმესი სახადი საბოლოოდ მოიხადაო, ისეთი სულიერი განწყობილება შეჰქმნოდა. ახლა მას უმთავრესად ის აწუხებდა, რომ მოსკოვის დატოვების აზრი თავიდან არ შორდებოდა და სულ იმის ფიქრში იყო, თუ სად როგორ წასულიყო. რომ აქ დარჩენა არ შეეძლო და ეს მისთვის უკვე უმიზნოც იყო, ამის ეჭვი არ ჰქონდა.

დღითი-დღე დედისაგან ფულს მოელოდა. ბათომიდან რომ მისწერა. სასწრაფოდ მომაშველეო. ხოლო «დიდ ვასოსაგან» ცნობა უნდა მიეღო, თუ რა ბედი ეწია ციხეში მის სიყრმის მეგობარს, ანდრო ქარივაძეს, რომელიც ბათომელი ამხანაგების ინფორმაციის მიხედვით, უკვე განთავისუფლებულიც უნდა ყოფილიყო. როგორც ერთს, ისე მეორესაც მჭიდროდ უკავშირებდა მოსკოვიდან თავის მგზავრობას.

ერთი ფიქრით ისევ საქართველოში დაბრუნება უნდოდა. ეს იმ შემთხვევაში, თუ დედა ფულს ვერ გამოუგზავნიდა და ანდროც თავისუფალი აღმოჩნდებოდა. მაშინ რაღა რუსეთს დარჩენილიყო და უცხო ქლაქებში ეხეტიალნა სხვის ხარჯზე. უმჯობესი იქნებოდა სამშობლოს დაბრუნებოდა და იქ ანდროსთან ერთად სადმე თავი შეეფარებინა, სანამ ამისი შესაძლებლობა იქნებოდა. მით უმეტეს, რომ თავის აუცილებელ მოვალეობად მიაჩნდა ანდროს ჭირი ბოლომდის გაენაწილებინა. მისი ოცნება, რომ ანდროს მოსკოს ჩამოიყვანდა, თავის თავად მტყუნდებოდა, რაკი ამ ქალქიდან წასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი.

მაგრამ უფრო კი საზღვარგარეთ გამგზავრებაზე ფიქრობდა არჩილი. საზღვარგარეთი მას დიდი და სერიოზული მუშობის შესაძლებლობით იტაცებდა.

ხოლო ამ ოცნების განხორციელებაც დედისაგან ფულის მიღებაზე იყო დამოკიდებული.

არასოდეს არ მოსწუყრებია არჩილს ისე ცოდნის შეძენა, როგორც ახლა სწყუროდა.

მის შეგნებაში უკვე საბოლოოდ გამტკიცებულიყო ის აზრი, რომ იგი ამდენხანს თავის მოწოდების გზაზე არ იდგა და გარემოებათა მიერ იყო რაღა უაზროდ აბურთავებული. ახლა სრულიად შეგნებული ჰქონდა, რომ უკვე დრო იყო გააზრებულ ცხოვრებას შესდგომოდა და წარამარა ენერგია არ ეხარჯნა.

არჩილის ფიქრებს მომვალაზე, სრულიად მისდაუნებურად, ერთი ახლი მომენტი შემატებოდა, რომელსაც შალვასთან გზად, გემში, საქართველოს საკითხზე გამართული საუბრის შემდეგ, მის აზროვნებაში ფარულად განსაკუთრებული ადგილი დაეჭირა. ახლაც ამ მომენტის გარშემო დატრიალებულიყო მისი ოცნებაც მომავალ მუშაობასა და ცხოვრებაზე.

ეს იყო რამაძის «ისტორიული ფილოსოფიით» მონაბერი სულისკვეთება, ფრიად ძნელი გასამხილებელი რამ გულისთქმა. ამდენადვე ბუნდოვანიც, რომელშიც თვითონ არჩილიც, ჯერ კიდევ კარგად ვერ ერკვეოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველთვის კი გულისხმობდა მას, როცა თავის მომავალს ითვალისწინებდა.

არჩილი იდუმალ ფიქრობდა, რომ ბოლოს უნდა დამდგარიყო ის დრო, როცა ქართველი ხალხის ძალა თავის შესაძლებლობათ ქვეყნის სააშკარაოზე გამოიტანდა და თავის ნამდვილ სახეს აღმოაჩენდა.

და არჩილს სწორედ ეს ეზმანებოდა საიდუმლოდ, რომ იგი ამ ძალის გამოაშკარავების ერთ-ერთი იარაღი გახდებოდა, ხელისშემწყობი დიდი ხნით დადუმებული ქართული ისტორიის მშობიარობისა, ამ ურთულესსა და უძნელეს თანამედროვე პირობებში.

მისი ოცნება შორს გაფრენასაც ჰბედავდა. ეჩვენებოდა, რომ «გარდასული დიდბის მოსაგონარი» სასაწულის ჯერის დრო უკვე დამდგარიყო, შალვა რამაძის წარმოდგენით საქართველოს რომ დროგამოშვებით ევლინებოდა საუკუნეების მანძილზე, ხოლო მის მიმრქმელად თვითონ არჩილი იყო მოწოდებული.

მაგრამ ეს არჩილის ძალიან შორს გაქანებული ოცნების თვალშეუწვდენელი კამარა იყო, როლისკენ თვითონაც ათასში ერთხელ თუ გაიხედავდა.

ასე მიდიოდა დრო, რომელსაც არჩილი უკვე საათობით ანგარიშობდა.

მიუხედავად იმისა, რომ არჩილის მოსკოვში ყოფნა საიდუმლო იყო, მისი ჩამოსვლა და ავადმყოფობა მაინც გაეგოთ მის ძველ ნაცნობებს. სანახავად მოდიოდნენ.

მათ შორის მეტ წილად სოციალ-დემოკრატები იყვნენ. ზოგი მათგანი ახლაც, ამ რეაქციის დროსაც, აქტიურ რევოლუციურ მუშობას ეწეოდა.

ესენი მოსკოვის პარტიული ორგანიზაციების ნაშთების აწინდელ მდგომარეობაზე ესაუბრებოდნენ არჩილს, შესჩიოდნენ დაქსაქსვას, რეაქციის მიერ შექმნილ აუტანელ პირობებს, პროვოკატორების გამრავლებას, საზღვარგარეთთან მუდმივი კავშირის დაჭერის სიძნელეს და სხვა.

მოხდებოდა ისე, რომ სტუმრებს ხშირად ერთმანეთში კამათიც აუტყდებოდათ არჩილის ლოგინთან.

ზოგი «ლენინელი» იყო, ზოგი «პლეხანოველი», ზოგიც «მარტოველი» და «ლაკვიდატორი».

უბის ჯიბეებიდან წმდაუწუმ ამოჰქონდათ სხვადასხვა გამოცემა, ზოგი საზღვარგარეთული, ზოგიც ადგილობრივი.

იყო ციტატების შეხლა-შემოხლა და პარტიული ლიდერების სახელების ხმლებივით ტრიალი.

არჩილსაც ეკითხებოდნენ, თუ რომელ ფრაქციას ეკუთვნოდა იგი. ციხიდან გამოქცეული რევოლუციონერისაგან ბევრს რასმე გამოელოდნენ. «პრესნიაში» თუ მოსკოვის სხვა მუშათა უბანში იწვევდნენ, სადაც ფრაქციული კამათი «მასებში» იყო გდატანილი.

მოხსენების გაკეთებასაც სთხოვდნენ, თუ რა მდგომარეობა იყო კავკასიაში და როგორი პირობები არსებობდა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების ჩასატარებლად.

სტუმრებს ძალიან აკვირვებდა არჩილი. მათ ეგონათ, რომ აღფრთოვანებულ და აღგზნებულ რევოლუციონერთან მოვიდნენ, მაგრამ არჩილი თავისი გამოუცნობი, უცნაური დუმილით მათ ყოველ მოლოდინს უცრუებდა. ისეთ სახეს უჩვენებდა, თითქოს მათი ამბავის ახლა არაფერი არ ესმისო.

ზოგი ავადმყოფობას მიაწერდა ამ გარემოებას, ზოგი _ ჩამორჩენას, პროვინციაში ცხოვრების წყალობით. ზოგს კი, ნამეტურ გამოცდილებას _ არჩილის უადგილო სიჩუმის გარდა, ისიც მეტად საეჭვოდ ენიშნებოდა, რომ მის ლოგინთან გალავანივით ამართულიყო მათი წრის კაცისთვის არაჩვეულებრივი სახელწოდების წიგნების გროვა. რომელსაც კი გადაშლიდნენ, სათაურიდან უთუოდ «საქართვ..» ეცემოდათ თვალში, ხან

რუსულად დაწერილი, ხან კიდევ ქართულად.

მაგრამ ამ ეჭვებს ახლა არ უმხელდნენ არჩილს.

წასვლის წინ ერთი-ორ ახალ პროკლამაციას მაინც დაუტოვებდნენ ახალჩამოსულ ამხანაგს. ზოგს ლიტერატურასაც ამოუდებდნენ ბალიშქვეშ,. შეჰპირდებოდნენ: პარტიის უკანასკნელ ყრილობის ოქმებს ამ დღეებში შემოგიტანთო.

- არ ჩამორჩე, ამხანაგო. წაიკითხე და მერე დაგვიბრუნეო, _ დაუბარებდნენ.

დაღლილი არჩილი სტუმრებს შეღიმებული სახის მეტად თავაზიანი გამომეტყველებით გააცილებდა. თავს დაუქნევდა მადლობის ნიშნად.

მაგრამ მისი ღიმილი ნამდვილ ღიმილს არ ჰგავდა, ისეთი ნაღვლიანი იყო.

VI

ერთ საღამოს არჩილის ბინის კარზე ჩაოირეკა, და, შემოსავალში ქალის ხმამ ჯერ შალვა რამაძე იკითხა, მერე გაბო გაბაშიძე. ჩაცმული არჩილი მაგიდასთან ლამპის წინ იჯდა და წიგნს კითხულობდა.

დღეს პირველად გასულიყო ქალაქში, ესეირნა. დილიდანვე ისეთი განწყობილება ჰქონდა, რომ გულს რაღაც მოუთმენელი ლოდინი არ უსვენებდა. ისე ეგონა, რომ რაღაც უეცრად უნდა მომხდარიყო, რაც მის ცხოვრების გზას ერთხელ კდევ სასწაულებრ გარდატეხდა.

ქუჩაში რომ დადიოდა, ზოგი გამვლელი «დიდი ვასოს» ან გოგიას სახით ელანდებოდა. დროთ ნიკოსა და ანდროს მოჩვენებას ხედავდა.

ძალიან აკვირვებდა ეს გარემოება, მაგრამ ისე დაბრუნდა სახლში, რომ სასწაული არ მომხდარა. რაღაც ლოდინის მაწუხებელი გრძნობა ოთახშიც შემოჰყვა.

როცა ბინაზე ჩამორეკეს და ქალის ხმა დერეფანში გაისმა, არჩილი შეჰკრთა. უცებ ქალის ხმა ნაცნობი მოეჩვენა. საშიშმა ეჭვმა ტანში ელვასავით დაუარა.

««ეს გაბაშიძე ვინ უნდა იყვესო?» ჩუმად იკითხა, სანამ მისი პასპორტის გვარი მოაგონდებოდა.

გამორკვევა ვერ მოასწრო, რომ მისი ოთახის კარზედაც დააკაკუნეს.

არჩილს პასუხი არ გაუცია, ისე გაიღო კარი და ოთახში უცნობმა ქალმა ქუდში შემალული თავი შემოჰყო.

- შეიძლება?

არჩილი წამოდგა და უცხო სტუმრისკენ ნაბიჯი გადადგა.

სანამ იტყოდა «მობრძანდითო», მოულოდნელი სტუმარი უკვე ოთახში შემოსულიყო და კარიც მიეხურა.

- არჩილ... უკაცრავად... ბატონო გაბო. ასე მიმართეო, დამარიგეს. გამარჯობა. ვერ მიცანით?

- ჰა... ნუცა! თქვენ აქ როგორ გაჩნდით? სასიამოვნოა თქვენი ნახვა, დაბრძანდით!»

- ცაცა და მე ხომ ერთად წამოვედით ქუთაისიდან. მაგრამ თქვენ საიდან გეცოდინებათ: მაშინ ციხეში იყავით.

არჩილის წინ რამაძის ქალის ქუთათელი მეგობარი, ნუცა იდგა, რომელიც არჩილის კარგი ნაცნობი იყო.

არჩილმა მცდელი თვალების შევლებით დაზვერა სტუმარი.

- მე მეგონა, იწექით. თქვენს ავადმყოფობას მბობდნენ. არ შეგაწუხებთ, მაგრამ შალვა უნდა მენახა. ცაცამ გამომგზავნა, თვითონ ძალიან ავად არის ეს ორი დღეა. გადასაცემი გამომატანა. _ ამბობდა ცაცას მეგობარი ქალი და თან ძალიან ცნობისმოყვარე თვალებით ათვალიერებდა არჩილს. შემკრთალი იყო რაღაც.

- შალვა ახლა აქ არ არის. _ დინჯად უპასუხა არჩილმა და ცაცას შიკრიკს მძიმედ ჩამოხურული სახე დაანახვა.

დჟიდი ხანი არ არის, რაც წავიდა. სათვისტომოში კრება უნდა ჰქონდეს. მალე დაბრუნდება. გნებავთ, მოუცადეთ.

- როდი მცალია. აქედან ექიმს უნდა გავუარო ცაცასთვის. თორემ თქენთან საუბრი ძალიან საინტერესო იქნებოდა ჩემთვის. _

უკანასკნელ სიტყვებზე რაღაც ორაზროვნად ჩაიცინა და ისე შეხედა არჩილს, თითქოს კიდევაც მიახვედრა და არც მიახვედრაო, რა მხრით უნდა ყოფილიყო ეს საუბარი მისთვის საინტერესო. მაგრამ არჩილის მოღუშული სახე რომ დაინახა, სიტყვა უცებ მოსჭრა: _ არ შეიძლება, შალვას მაგიდაზე დავუტოვო გადასაცემი? რომ მოვა, ნახავს, თუმცა ცაცამ დამავალა, პირდაპირ ხელში მიეციო. მაგრამ, განა სულ ერთი არ არის? წერილს დავუწერ.

ეს რაღაც არტისტულად სთქვ და დაფარული ცბიერებით ჩაიღიმა.

არჩილს ეჭვმა გაჰკრა, აქ რაღაც ოინიაო. რაღაცის მოლოდინის წინათგრძნობა რომ ჰქონდა დილიდანვე, ის განუახლდა.

- თუ ხელშია ჩასაბარებელი, ხელში მიეცით. რად უნდა დასტოვოთ?

- რაღაც წერილებია და კიდევ ფული, მგონი. აი, აქ არის გაზეთში შეხვეული ყველაფერი ერთად. ასე გამომატანა. შეიძლება, გთხოვოთ პატარა ქაღალდი და კალამი!

- თუ რამე ეჭვი გეპარებათ... _ სერიოზული გამომეტყველების შეუცვლელად დაიწყო არჩილმა, თან ქაღალდი და კალამიც მიაწოდა.

- რას ბრძანებთ? _ გააწყვეტინა ნუცამ და ამანათი მაგიდაზე ჩამოდვა. _ რას ბრძანებთ, _ გაიმეორა კიდევ ერთხელ და იქვე განაგრძო: _ ნამდვილად, ჩემი მიხედვით, ყოველივე ეს თქვენი სახელი ეხსენებინა. ჰმ... ალბათ, არალეგალური რომ ხართ, იმიტომ. იქნება, მე არ მენდო. ისე კი, მე ვიცი, წერილებიც და ფულიც თქვენთვის არის გამოგზავნილი ცაცას მისამართით. _ და ნუცამ კვლავ უცნაურად ჩაიცინა. _ ყოველ შემთხვევაში ამ ქაღალდზე აღვნიშნავ, რომ ვერ ვნახე და დავუტოვე.

აშკარა იყო, არჩილს საშიშ დიპლომატთან ჰქონდა საქმე.

გაოცებულად შეხედა მან ნუცას. მაგრამ მალე მიხვდა, რომ შეიძლებოდა ადვილად გაბმულიყო მახეში, თუ წინდახედულად არ იქნებოდა და საუბარში გაჰყვებოდა.

გაჩუმდა და რკინის შეუვალი ნიღაბი სახეზე აიფარა, აბა კიდევ რას იტყვისო.

ნუცამ წერილი დასწერა შალვასადმი. დაწერილი წინ დაუდვა გაშლილად და კვლავ ისე ჩაიცინა, რომ ამ გაცინებისათვის არჩილს უთუოდ ყურადღება მიექცია.

- ღმერთო ჩემო, რა უცნაური ხელი მაქვს: ჩემი ნაწერი ყველას მამაკაცისა ჰგონია. ეშლებათ.

არჩილმა კითხვის ნიშნისებურად შეხედა სტუმარს. ვერაფერი გაუგო.

- იმიტომ ვამბობ, რომ შალვამ სხვის დაწერილად არ მიიღოსმეთქი. _ თვალები გაუსწორა არჩილს და უკვე აშკარად ხელოვნური სიცილით დაასრულა: _ თუ ეჭვი შეიტანოს, უთხარით, რომ ნამდვილად მე დავწერე.

ამის შემდეგ წამოდგა და გამოემშვიდობა.

გააცილა თუ არა უცნაურად მოცინარი სტუმარი, არჩილი უდიდესი ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი და გულჩათხრობილი უმალვე მაგიდას დაუბრუნდა

და უწინარეს ყოვლისა ნუცას გაშლილ წერილს მაღლიდან თვალი გადაავლო.

სახეზე გაოცება აუფრინდა. თავი დაწია და წერილს დააკვირდა. უცებ ისევ მაღლა აისროლა თავი.

- წარმოუდგენელი თვალთმაქცობა! _ წამოიყვირა გაჯავრებულმა. _ ნამდვილი მზაკვრობა! აი, თურმე რად გამიკვირდა, მამაკაცის ხელი მაქვსო რომ უადგილოდ დაიჩემა. ერთი შეხედვით, ხელი როგორ მიუმსგავსებია! ალბათ, ამდენი ხანი ამაზე ვარჯიშობდნენ! ვითომდა ასეო, შენ რომ ეჭვი მიიტანე, ის მამაკაცის ნაწერი კი არ იყო, არამედ მე და ცაცა ვერთობოდითო. ვერ მოგართვი, ქალბატონო, არჩილის გასულელება არც ასე ადვილია.

ცოტა ხანს შემდეგ მართლა გაიკვირვა:

- ძალიან კი ჰგავს, მართლა, მაგრამ... სთქვა და ყურადღება შეკვრაზე გადაიტანა.

- ლბათ, ეს რაღაც შეკრულიც ტყუილია! შალვასათვის დატოვებული შეკვრა აიღო, ემძიმა.

გაუკვირდა. სასწრაფოდ გახსნა. გაშალა.

ნახა: შიგ სამი წერილი იდვა. ცალუკე კიდევ ქაღალდში მრგვლად გამოხვეული მძიმე რაღაცა. წერილები განზე გდადვა. ახლა ეს პატარა მძიმე შეკვრა გახსნა.

მაგიდაზე ოქროს თუმნიანებმა გაიწკრიალეს.

არჩილს კანკალი დააწყებინა.

ისევ წერილებს მიმართა. მისამართს დახედა, სამივე წერილი მისი იყო.

...

ჯერ ის კონვერტი ჩახია, რომელიც პირველად ხელში მოჰყვა.

წერილი დედამისის აღმოჩნდა. ნაცნობი იეროგლიფების კითხვას შეუდგა.

«საიმედო, წამდაუწუმ მოსაგონარო, ერთად-ერთო ჩემო შვილო და სიცოცხლეო»...

არჩილმა თვალები დახუჭა. ნელ-მარილიანი ნაჟური რმ გულზე დადინდა და მის თვალებისკენ გზა გაიკაფა.

... და სიცოცხლეო», გაუგონრად ერთხელ კიდევ გაისმა სადღაც.

არ შეეძლო კითხვა განეგრძო. წერილი ძირს დაუშვა. გაყუჩდა.

დიდხანს იყო ასე, სანამ რ დამშვიდდა.

მერე ისევ კითხვას შეუდგა.

მოკითხვისა დ ათასი კოცნის შემდეგ დედა სწერდა, რომ ამ ჟამად სამას მანეთს უგზავნიდა, ერთ თვეში კიდევ ამდენსავე გამოუგზავნიდა. არჩილის მამის დიდი საჯინიბო გაეყიდნა და ეზოს გარედ მდებარე ერთი ნაკვეთი მიწა. გარიგებული ფასის ნახევრი მიეღო და, ნახევარის გადასახდელად ერთი თვის ვადა მიეცა მყიდველისათვის. არჩილს სთხოვდა: «აქ ახლოს ნურსად დადგები, შვილო, უცხოეთში წადი. ჩასაცმელი კაბაც რომ არ დამრჩეს, სარჩენს არ მოგაკლებო».

წერილის ბოლოში ათზე მეტი ქალისა და კაცის სახელი იყო მოხსენებული _ ნათესავები, შინაურები, მეზობლები, რომლებიც არჩილს გულითადი სიყვარულით მოიკითხავდნენ.

მაიკოს შესახებ არჩილის დედა ცალკე იტყობინებოდა: «თავისი სიგრძე სანთელი მთავარნგელოზ შეჰპირდა, შვილო, შენი მშვიდობით გადარჩენისათვისო».

კერიის კომლივით შემოეხვია მოგონება არჩილს. სკამის ზურგზე გადაწვა. კვლავ თვალები დახუჭა.

სულ რამდენსამე წუთში მოიარა თავისი დავიწყებული სახლი, ეზო... განსაკუთრებული ყურადღებით მამის საჯინიბო დაათვალიერა, რომელიც დედას გაეყიდნა მისი გულისთვის.

გულს დააკლდა.

კარგა ხანს იყო სოფლით გართული.

მერე ისევ ნუცას მოტანილ ამანათს დაუბრუნდა. ორი სხვა წერილიც უნდა წაეკითხნა.

მეორე კონვერტი გახსნა, მაგრამ შიგ წერილი ვერ იპოვნა. თითები შეაფათურა კონვერტში. წერილი მაინც არ იყო. მაშინ შიგნით წიგნში ნადები ვარდის ფურცლის ოდნავ დაკეცილ ქაღალდს მოჰკრა თვალი. გამოაგდო. გაკვირვებით დახედა ზედ. გაშალა.

დაწერილი მის საკუთარ ხელს ჰგავდა. გაოცდა. პირვლი ორი სიტყვა წაიკითხა.

უცებ ფერი ეცვალა.

ეს ის, მეხსიერებიდან ამოვარდნილი წერილი იყო, რომელიც მან ქუთაისის ციხიდან შალვას ხელით ცაცას გამოგზავნა და როლის წაკითხვამაც ცაცას დაუყოვნებლივ მოსკოვს წამოსვლა გადააწყვეტინა.

თვალებს არ უჯერიდა არჩილი. რამდენჯერ წაიკითხა უცნაური დოკუმენტი. ეწერა:

«ცაცა, ციხეში ვზივარ და ოდვებს ვინანიებ. ძალიან ბევრი მქონებია. უდიდესი ცოდვა შენს წინაშე მიმიძღვის. ხლა უნდა გაგიმჟღავნო: ამდენხანს სულ გატყუებდი და სხვა მიყვარდა. შენ მხოლოდ შორეული ეჭვი გქონდა, თუ ფოთს რატომ თავს არ ვანებებდი. ახლა გთხოვ, ეს იცოდე და შენი გზა მონახო. ჩემი _ სხვა მხრით მიდის. არჩილი».

კი, ეს არჩილმა დასწერა, როცა ცაცას განშორება გადაწყვიტა ციხეში. ამ ჭორით უნდოდა მიზანს სწეოდა.

ერთხელ კიდევ წაიკითხა.

უცებ გულთან რაღაც შეენძრ და მის ცნობიერების კარზე საშინელი დანაშაულის გრძნობამ დააკაკუნა.

მაგრამ ეს იყო ერთი წამის ამბავი. მალე ისევ გადაუარა არჩილს.

- მერე რა? _ თითქოს ნუებლიე გრძნობების ამეტყველებ დაფარაო, ბრმის სიჯიუტით წარმოსთქვა მან. _ ცაცამაც ხომ მყისვე სხვა გზა მონახა, სხვა ვინმე ვაჟი შეიყვარა. _ ეპიური მოთხრობის დასასრულის მიუდგომელი სიდინჯით დაასრულა საკუთარი თავის დასაჯერებლად დ წერილი განზე გადააგდო.

როგორც მაშინ, როცა ციხეში ამ წერილის ტუყილს თხზავდა. ვერ წარმოედგინა, თუ რა საშინელებას სწერდა ცაცას, ტემპერამენტის მქონე ქალს, ისე ახლაც ვერ გაეთვლისწინებინა, თუ რამდენად დამნაშავე იყო იგი ცაცას წინაშე.

მაშინაც და ხლაც ეჭვის ტყვია ესხა გულის ყურში და მისგან ცნობიერება დახშული ჰქონდა...

...

უკანასკნელი წერილი გახსნა. იგი დათოსაგან იყო.

- ეს რა დიდი დღე გამთენებია! _ წარმოსთქვა ხმამაღლა და, სანამ დათოს წერილის კითხვას შეუდგებოდა, ოთახში გაიარ-გამოიარა, რათა მცირედ მაინც დამშვიდებულიყო.

დათოს წერილი დასაწყისშივე იყო დათარიღებული. არჩილი პირველად იმან გააკვირვა, რომ იგი ბაქოდან იწრებოდა.

წერილი ასე იწყებოდა:

«ამხ. გაბო, დღეს რომ ამ ჩემს წერილს მიიღებ, ხვალ თუ არა, ხვალზევით მაინც, მანდ შენთან ჩვენი გოგია გამოივლის. საზღვარგარეთ მიემგზავრება. არ გაგიკვირდეს, ბაქოს

ორგანიზაცია გზავნის. შენთვისაც პასპორტი მოაქვს და გზის ფული ცოტაოდენი. გირჩევ, ძმაო, წახვიდე გოგიასთან ერთად. ახლა აქ საჭირო არა ხარ».

ჭკუაზე არ შევცდეო, არჩილმა ჯერ შუბლი და მერე მთელი თავი გაისინჯა. თვალებზედაც ხელი შეისვა. სიზმარს ჰგავდა ყოველივე.

ამას გარდა დათო იმას იუწყებოდა, რომ ის იძულებული იყო ქუთაისი დროებით დაეტოვებინა და ბაქოს წასულიყო.

«ქუთაისში თქვენს შემდეგ ძალიან ამიჩემეს და უთუოდ დამიჭერდნენო».

საერთო მდგომარეობის შესახებ ზოგადად სწერდა. მხოლოდ წერილის ბოლოში აწვდიდა არჩილს მოკლე ცნობას ნიკოსა და ანდროს შესახებ.

«ეს არის, ბათომიდან წერილი მივიღეთ. ამხანაგები შენდა საცნობებლად იწერებიან, რომ ნიკოსა და შენს ძიძისშვილს ადმინისტრაციული წესით ციმბირში ასახლებენ, და ამ განაჩენს მთავრობას ვერაფრით ვერ შეაცვლევინებენ. უარესი იყო მოსალოდნელი. ნიკოს უთქვამს რუსეთში არ ვყოფივარ და სიამოვნებით წავალო».

არჩილმა ეს ადგილი რამდენჯერმე წაიკითხა.

- დამეკარგა ჩემი ანდროც... _ ესღა სთქვა ბოლოს და იმდენი ნაღველი ამოაყოლა ამ სამ სიტყვას, რომ მისგან თვალების უპე ცრემლით აევსო.

...

საცა იყო შუაღამე მოაწევდა.

არჩილი ისევ მაგიდას უჯდა, გულზე ხელებდაკრეფილი. წინ მიღებული წერილები გაეშალა და ზედ დათვლილი ოქროს ფულები დაეწყო.

თითქოს ნერვებით ფიქრობსო, ისეთი სახე ჰქონდა.

შალვას მოსვლას მოუთმენლად მოელოდა, რომ დღევანდელი საკვირველი ამბები მისთვის ეუწყებინა და თავის განცდებიც გაეზიარებინა. მაგრამ მისი მეგობარი აგვიანებდა.

ბოლოს თურმე შუაღამე იქნებოდა, როცა ზარი ჩამოირეკა. ასე გვიან სხვა დგმურებთაგანი არავინ არ ბრუნდებოდა. უთუოდ შალვა უნდა ყოფილიყო. არჩილი თვითონ წავიდა კარის გასაღებად.

მკრთალად განათებულ დერეფანში ორი კაცი შემოვიდა. ერთი შალვა რამაძე იყო.

- აბა, თუ იცნობ ამ კაცს, არჩილ? _ მიმართა შალვამ მეგობარს და წინ ვიღაც მაღალი, ევროპუად ჩაცმალი, წვერულვაშგაპარსული დაუყენა.

არჩილს მართლა ეგონა, რომ შალვას გარდა, ის სხვა, მეორე, მისი მოჩვენება იყო. მოლნდება, რაც სრულიად არ უკვირდა ამ საღამოს განცდების შემდეგ.

გააკვირვა დ შეაშინა მხოლოდ ამ მოჩვენების ეჭვმიუტანელმა რელობამ.

«სმენისა და ხედვის გალუცინაია»... _ გაიფიქრა და შიშდაკრული ხმით მიმართა შალვას:

- შემოდი, შალვა, ოთახში! _ თვითონ პირველი მიბრუნდა ოთახისაკენ, თითქოს შალვას მეტი იქ არავინ ყოფიოლიყოს.

- კაცო, შენ უცხო სტუმარი მიიპატიჟე, მე რას მეპატიჟები! როცა არჩილმა შესამოწმებლად ახლა პირი ისევ სტუმრისკენ მიიბრუნა, ის მოჩვენება ისევ მის ალაგას იდგა, აჩილს სახეში შესცქეროდა და უცინოდა.

ვითომ გოგია იყო.

- კაცო, არ გჯერა კიდევ? _ გაუცხადა ახლა შალვა. _ გოგიაა, გოგია!

მოჩვენებამ ახლა ხელები ფართოდ გაშალა და ბავშვივით შეშინებულ არჩილს მგრად მოხვია, გულში ჩაიკრა.

- არ მომელოდი, ბიჭო... დათოს წერილი არ მიგიღია? _ ეკითხებოდა იგი არჩილს. _ მოგწერეთ, რომ წერილთან ერთად წამოვედი.

- მეც დიდხანს არ დავიჯერე... გვიან იყო, ცაცასთან რომ შევიარე. უნივერსიტეტში შემატყობინეს, მალე მოდიო. მივედი, ვიღაცა ზის ცაცას ოთახში. ექიმი მეგონა. როცა ვიცანი, ისე ვიყვირე, რომ ავადმყოფ ცაცას იკნაღამ გული გაუსკდა... კარგია, გეყოფათ ხვევნა, ოთახში შემოდით, _ და შალვამ ხელის მოსმით მეგობრები ოთახში შეიყვანა.

- მართლა, არ მიგიღია ბაქოდან წერილი? _ გაუმეორა არჩილს კითხვა გოგიამ, როცა კიდევ შენიშნა, რომ მისი მეგობარი ახლა ლამპის სინათლეზე მას კვლავ ეჭვიანი თვალით ათვალიერებდა.

- სულ რამდენიმე საათია მხოლოდ, რაც მივიღე.

- მაშ იმ წერილის თანახმად მე ხვალ უნდა გამოვცხადებულიყავი შენთან, ან ხვაზევით. რაკი ახლა არ გინდა მიწამო, კეთილი, წავალ, ატონო. ხვალ რომ მოვალ, დათოს წერილი მაინც მიგახვედრებს, რომ გოგია ვარ. _ იოხუნჯა გოგიამ და თითქოს მართლა წასვლას პირებსო, კარისკენ დაიხია.

...

ის ღამე ისე გათენდა, რომ არც არჩილის და არც გოგიას თვალებს ძილი ხლოსაც არ მიჰკარებია.

არ ეინა შალვა რამაძესაც.

ნაჭირნახულევი მეგობრების ფიქრი და გონება მთელი ღამე იმას დასტრიალებდნენ თავს შეუსვენებლად, თუ რა ბედსა და თავგადასავალს უმზადებდა მათ ევროპა და ახალი ცხოვრება, რომელიც წინ ედვათ.

ფიქრობდნენ. ოცნებობდნენ. ანგარიშობდნენ.

- ამ ზაფხულს მეც მომელოდეთ ევროპაში! უთუოდ გეწვევით! _ ვერ მოითმინა შალვამ და ისიც ჩაერია მეგობრების ოცნებაში.

ასე გათენა.

- მაშ, ძვირფასო გოგია, გათავდა ყოველივე, რაც აქამდე იყო? ამდენი ბრძოლა! ამდენი სისხლი!

- ეს შესავალი იყო მხოლოდ, არჩილ. ბრძოლა და სისხლი ჯერ კიდევ მოგველის.

- ჩვენი სისხლიც ბოლოს თავისას გაიტანს. არჩილ. იცოდე, საქართველოს ისტორიის ცაზე სასწაულის წინამორბედები ენთებიან.